დღესდღეობით მსოფლიოში მოქმედებს უამრავი ვებსაიტი, რომელიც შექმნილია სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით. დეველოპერი ვებსაიტის შექმნის დაპროექტებისას ყოველთვის დგას დილემის წინაშე თუ რომელი ფრონტენდ ტექნოლოგია და რომელი მონაცემთა ბაზა უნდა იქნეს გამოყენებული. სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისთვის ავტორებმა ჩაატარეს ტექნოლოგიების ბაზრის მოკვლევა და მის შედეგები გამოსახეს წინამდებარე სტატიაში. სტატიაში ზედმიწევნით არის განხილული ვებსაიტის აგების თანამედროვე ტენდენციები, ამ ტენდენციების დადებითი და უარყოფითი მხარეები და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები თუ რომელი ტექნოლოგიის გამოყენება არის უმჯობესი და რატომ. კვლევები მოიცავენ ვებსაიტის აგების ტექნოლოგიების ძირითად მიმართულებებს - ფრონტენდ-ფრეიმვორკი და

მონაცემთა ბაზები. სტატიის კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შექმნილია რეალური ეხლაც მოქმედი ვებსაიტი, რომელშიც მსოფლიოს ყველა ნიჭიერ ადამიანს, რომელთაც სურთ თავიანთი შემოქმედება გააცნონ საზოგადოებას და თავიანთი თავის სრულად წარმოჩენა მიეცათ შესაძლებლობა ყოველგვარი გადასახადებისა და რეკლამების გარეშე განათავსონ თავიანთი შემოქმედება ყველასათვის განკუთვნილ ინტერნეტ გარემოში. ზემოაღნიშნული ვებსაიტი მორგებულია ნებისმიერ თანამედროვე მოწყობილობისათვის (კომპიუტერი, მობილური, პლანშეტი და სხვა) და ამასთან ერთად მას გააჩნია მარტივი გარემო. მიუხედავად იმისა, რომ ვებსაიტი იყო დაკვეთილი ორგანიზაციის მიერ, რომელიც ფუნქციონირებს ამერიკის შერთებული შტატებში, იგი მოქმედებს ორ ენაზე - ინგლისური და ქართული, რითიც იგი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველოში არსებულ ხელოვანთა შემოქმედების მსოფლოს ბაზარზე პოპულარიზაციისათვის.

საკვანძო სიტყვები: ვებსაიტი, ტექნოლოგიები, Front-end, მონაცემთა ბაზები, ოპტიმიზაცია.

1. შესავალი

სტატია ეხება ვებსაიტების შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიების მიმოხილვას და დეველოპერების წინაშე არსებულ მთავარ დილემებს, რომლებიც ეხება ტექნოლოგიების არჩევას. ვებსაიტის განვითარებისას დეველოპერები ხშირად დგანან არჩევანის წინაშე, თუ რომელი ტექნოლოგიები გამოიყენონ – რა ფრონტენდ-ფრეიმვორქი აირჩიონ და რომელი მონაცემთა ბაზა შეუსაბამონ პროექტს.

სტატიაში ავტორებმა ჩაატარეს ტექნოლოგიების ბაზრის სიღრმისეული ანალიზი და შეისწავლეს ვებსაიტების აგების სხვადასხვა ასპექტები. კერძოდ, განხილულია ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები და მათი გამოყენების ტენდენციები:

1. ფრონტენდ-ფრეიმვორქები: კვლევაში მიმოხილულია სხვადასხვა ფრეიმვორქები, როგორცაა React, Angular, Vue.js და სხვები. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად, React-ი ხასიათდება მაღალი მოქნილობითა და ეკოსისტემით, Angular-ი უფრო მასშტაბურ და კომპლექსურ პროექტებზეა ორიენტირებული, Vue.js კი მარტივად ათვისებადია და გამოდგება მცირე და საშუალო პროექტებისთვის.

2. მონაცემთა ბაზები: აქცენტი კეთდება როგორც SQL (რელაციურ), ასევე NoSQL (არარელაციურ) მონაცემთა ბაზებზე. განხილულია მონაცემთა ბაზების არჩევის კრიტერიუმები, როგორცაა მონაცემების სტრუქტურა, მოთხოვნადი დატვირთვა და მასშტაბურობა. SQL მონაცემთა ბაზები (მაგ., MySQL, PostgreSQL) სტრუქტურირებული მონაცემებისთვის საუკეთესო არჩევანია, ხოლო NoSQL (MongoDB, Firebase) უპირატესობას ანიჭებს მოქნილობას არასტრუქტურირებული მონაცემების დამუშავებისას.

სტატია ასახავს ვებსაიტის შექმნის თანამედროვე ტენდენციებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. კვლევის ფარგლებში, ავტორებმა გააანალიზეს ვებსაიტის შექმნის სხვადასხვა ტექნოლოგიები, რაც დაეხმარება დეველოპერებს არჩევანის გაკეთებაში, თუ რომელი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება არის ოპტიმალური. სტატიაში სხვადასხვა ტექნოლოგიებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფრონტენდ-ფრეიმვორქებისა და მონაცემთა ბაზების თანამედროვე ასპექტებს.

კვლევამ აჩვენა, რომ საბოლოო არჩევანი დამოკიდებულია ვებსაიტის სპეციფიკურ მოთხოვნებზე, მომხმარებლის გამოცდილებაზე და ტექნოლოგიების განვითარების დინამიკაზე. დასკვნის სახით, სტატიაში გამოკვეთილია ის ტექნოლოგიები, რომლებიც ავტორების აზრით, ოპტიმალურია თანამედროვე ვებსაიტების შექმნისთვის.

2. ძირითადი ნაწილი

პირველ რიგში ვებსაიტის შექმნის დაგეგმვისას უნდა იქნეს შერჩეული **ფრონტენდ-ფრეიმვორკი**. ავტორებმა მრავალმხრივი გამოკვლევის შედეგად შეარჩიეს React-ის ბიბლიოთეკა, რადგან იგი სხვა ბიბლიოთეკებთან შედარებით მომხმარებლებს სთავაზობს მრავალ სასარგებლო ფუნქციას. პროექტის განვითარებისთვის გამოყენებული React-ის ბიბლიოთეკა გამოირჩევა თავისი მოქნილობით, მრავალმხრივობით და დეველოპერებისთვის სასარგებლო ფუნქციების ფართო სპექტრით, რაც მას ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ხელსაწყოდ აქცევს ვებსაიტების შექმნის სფეროში. React საშუალებას აძლევს დეველოპერებს შეასრულონ კომპლექსური ამოცანები უფრო მარტივად და ეფექტურად. ქვემოთ განხილულია React-ის ძირითადი უპირატესობები და მისი დადებითი მხარეები პროექტის განვითარებისთვის:

1) კომპონენტების ბაზირებული არქიტექტურა

React-ის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი არის მისი კომპონენტებზე დაფუძნებული არქიტექტურა, რომელიც ვებ და მობილურ აპლიკაციებს ბევრად მოქნილს, მარტივად და სტრუქტურულს ხდის. React დეველოპერებს საშუალებას აძლევს აპლიკაციის კოდი დაყოფოს პატარა, დამოუკიდებელ კომპონენტებად, თითოეული მათგანი თავისი ლოგიკითა და ვიზუალური მხარით. ეს კომპონენტები შეიძლება განმეორებით იქნეს გამოყენებული აპლიკაციის სხვადასხვა ადგილებში, რაც ამცირებს კოდის დუბლირების საჭიროებას და განვითარების პროცესს უფრო ეფექტურს ხდის. კომპონენტების ეს მოდულური მიდგომა ამარტივებს აპლიკაციის მართვას: ცალკეული კომპონენტის განახლება ან შეცვლა არ იწვევს მთლიანი აპლიკაციის მოდიფიკაციას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შეცდომების წარმოქმნის რისკს. მაგალითად, თუ აპლიკაციას აქვს კომპონენტი, რომელიც ასახავს მომხმარებლის პროფილს, ეს კომპონენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა გვერდებზე ან სხვა აპლიკაციებში ცვლილებების გარეშე. ეს მიდგომა არა მხოლოდ აუმჯობესებს კოდის ხარისხს და სტრუქტურას, არამედ აჩქარებს ახალი ფუნქციების დამატების პროცესს, რაც საბოლოოდ ზრდის განვითარების ეფექტურობას და პროდუქტიულობას.

2) სისწრაფე და შესრულება

React-ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მისი სისწრაფე და მაღალი შესრულება. ეს მიიღწევა React-ის მიერ გამოყენებული ვირტუალური DOM-ის (Virtual DOM) ტექნოლოგიით, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ვებ აპლიკაციების მუშაობას. ვირტუალური DOM-ის პრინციპი გულისხმობს, რომ React ამუშავებს DOM-ს „ვირტუალურ“ ვერსიაში, ანუ სინთეზურ ასლში, რომლის საშუალებითაც სისტემატიურად ადარებს აპლიკაციის მდგომარეობებს. ამის შემდეგ, რეალურ DOM-ში განახლდება მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც შეიცვალა. ეს მიდგომა განსხვავდება ტრადიციული DOM-ისგან, სადაც ნებისმიერი ცვლილება იწვევს მთლიანი DOM-ის განახლებას. ვირტუალური DOM-ის გამოყენება ამცირებს რესურსების ხარჯვას და უზრუნველყოფს ეფექტურობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დინამიური ვებგვერდებისა და აპლიკაციების შექმნისას, სადაც ხშირია შინაარსის და ვიზუალური ელემენტების განახლება. ამ სისწრაფის და ეფექტურობის წყალობით, React-ს შეუძლია დიდი მოცულობის მონაცემების მქონე ვებგვერდების და აპლიკაციების ოპტიმიზაცია ისე, რომ მომხმარებელი არ გრძნობს შეფერხებებს ან სიჩქარის დაკარგვას.

3) UI/UX დიზაინი

UI/UX დიზაინი თანამედროვე ვებსაიტების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია და React ამ პროცესს ამარტივებს. React-ის დეკლარაციული ბუნება საშუალებას აძლევს დეველოპერებს მარტივად განსაზღვრონ როგორ უნდა გამოიყურებოდეს აპლიკაცია და როგორ უნდა იმუშაოს მან. დეკლარაციული მიდგომა განასხვავებს React-ს იმპერატიული მიდგომისგან, რომელსაც სხვა ბიბლიოთეკები იყენებენ. UI-ის კონსტრუქცია არის მარტივი და პროგნოზირებადი, რაც ამცირებს შეცდომების რისკს და უზრუნველყოფს საიტის ვიზუალურ ხარისხს. React დეველოპერებს საშუალებას აძლევს სწრაფად შეცვალონ UI კომპონენტები, რათა მისი შედეგები დაუყოვნებლივ ნახვონ. ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად ამცირებს დროს.

4) ვირტუალური DOM

React-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ვირტუალური DOM (Virtual DOM), რაც რეალური DOM-ის მანიპულირების შემცირებასა და აპლიკაციის ეფექტურობის გაზრდას ემსახურება. ვირტუალური DOM მუშაობს ისე, რომ მანიპულაციებს თავდაპირველად ატარებს მის საკუთარ, „ვირტუალურ“ ვერსიაზე, და მხოლოდ საჭირო ცვლილებები გადაყავს რეალურ DOM-ში. ეს ტექნოლოგია ამცირებს რეალური DOM-ის განახლებების რაოდენობას, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს აპლიკაციის მუშაობის სიჩქარეს და ზრდის შესრულებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა საქმე ეხება დინამიურ ვებსაიტებს, სადაც მუდმივად ხდება შინაარსის განახლება და ახალი მონაცემების დამატება.

5) React-ის მოქნილობა და ინტეგრაცია სხვა ტექნოლოგიებთან

React გამოირჩევა მაღალი მოქნილობით და თავსებადობით სხვა ტექნოლოგიებთან და ბიბლიოთეკებთან. ეს React-ს აქცევს იდეალურ არჩევანს არა მხოლოდ ვებაპლიკაციებისთვის, არამედ მობილური აპლიკაციებისთვისაც. React-ს მარტივად შეუძლია გაერთიანდეს სხვადასხვა JavaScript ბიბლიოთეკებთან, რაც დეველოპერებს აძლევს მრავალ ფუნქციას სხვადასხვა სირთულის და სტრუქტურის პროექტებში. React-ის ინტეგრაცია ისეთ ჩარჩოებთან, როგორცაა Redux (სტატუსის მენეჯმენტის ინსტრუმენტი) ან React Native (მობილური აპლიკაციების ჩარჩო), ხელს უწყობს აპლიკაციების განვითარებას სხვადასხვა პლატფორმებისთვის. მაგალითად, React Native-ის გამოყენებით დეველოპერები მარტივად ქმნიან მობილურ აპლიკაციებს iOS და Android პლატფორმებისთვის, რაც აძლევს მათ უნარს, გამოიყენონ იგივე React-ის პრინციპები, რაც ვებ აპლიკაციებში. ამასთან ერთად, React ასევე ადვილად ინტეგრირდება ისეთ ტექნოლოგიებთან, როგორცაა GraphQL მონაცემთა ჩატვირთვისთვის, Axios API-დან მონაცემების მოთხოვნისთვის, ან Webpack აპლიკაციის კომპონენტების ეფექტური კომპილაციისთვის. ეს მრავალმხრივობა React-ს მასშტაბურ და მოქნილ ინსტრუმენტად აქცევს ნებისმიერი ტიპის პროექტისთვის.

6) მობილურ აპლიკაციებთან თავსებადობა და React Native

React-ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მისი ტექნოლოგიური კავშირი მობილურ აპლიკაციებთან, რაც ხორციელდება React Native-ის გამოყენებით. React Native დეველოპერებს საშუალებას აძლევს შექმნან მობილური აპლიკაციები, რომლებიც მუშაობენ iOS და Android პლატფორმებზე ერთსა და იმავე კოდის ბაზაზე. ეს ნიშნავს, რომ დეველოპერები აღარ საჭიროებენ ორი ცალკეული აპლიკაციის (iOS და Android) განვითარებას, არამედ ერთიანი კოდის გამოყენებით შეუძლიათ აპლიკაციის შექმნა ორივე პლატფორმისთვის. ეს პროცესი მნიშვნელოვნად ამცირებს დროსა და რესურსებს, რომელიც საჭიროა მობილური აპლიკაციების შემუშავებისთვის. React Native ასევე სთავაზობს განვითარებულ ფუნქციებს და ბიბლიოთეკებს, რომლებიც React-ის მსგავსი კომპონენტებზე დაფუძნებული არქიტექტურით მუშაობენ, რაც დეველოპერებისთვის ადაპტაციას ბევრად ამარტივებს.

7) დეველოპერის პროდუქტიულობა

React-ის გამოყენება ასევე ზრდის დეველოპერის პროდუქტიულობას. React-ში გამოყენებული JSX (JavaScript XML) სინტაქსი აერთიანებს JavaScript-სა და HTML-ს, რაც კოდის წერის პროცესს ხდის უფრო სუფთას და ინტუიციურს. ეს ამარტივებს კომპონენტების შექმნასა და მათ მართვას, რადგან დეველოპერს შეუძლია ერთსა და იმავე კოდში მოათავსოს როგორც ლოგიკა, ასევე ვიზუალური ნაწილი. JSX-ის გამოყენება საშუალებას აძლევს დეველოპერებს სწრაფად დაამატონ ან შეცვალონ კომპონენტები, და ამავდროულად შეინარჩუნონ პროექტის სტრუქტურული სისუფთავე. ამასთანავე, React-ს მოყვება ისეთი ხელსაწყოები, როგორებიცაა React Developer Tools, რომელიც დეველოპერს აძლევს კომპონენტების სტრუქტურის და მდგომარეობის კონტროლის შესაძლებლობას. ეს ხელს უწყობს სამუშაო პროცესის ორგანიზებას და აპლიკაციის უფრო ეფექტურ განვითარებას.

8) პოპულარობა და მხარდაჭერა

React-ის უზარმაზარი პოპულარობა მოაქვს მას დიდ სათემო მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს დეველოპერების პროდუქტიულობას. რადგან React ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში, დეველოპერებს შეუძლიათ მარტივად იპოვონ დახმარება, ჩაერთონ დისკუსიებში და მიიღონ რჩევები სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაზე. React-ის გარშემო არსებულმა დიდმა დეველოპერულმა საზოგადოებამ შექმნა მრავალრიცხოვანი გზამკვლევები, დოკუმენტაცია, და გაკვეთილები, რომლებიც ახალბედა და გამოცდილ დეველოპერებს React-ის ბიბლიოთეკის გამოყენებაში ეხმარებიან. უამრავი ღია რესურსი და კოდის მაგალითი ხელმისაწვდომია დეველოპერებისთვის, რაც ამარტივებს React-ის ათვისების პროცესს და ზრდის მისი გამოყენების ეფექტურობას. ასევე, Facebook, რომელმაც შექმნა React, რეგულარულად ახდენს მისი ბიბლიოთეკის განახლებებს და გაუმჯობესებებს, რაც React-ს ინარჩუნებს ტენდენციების წინა ხაზზე. ყოველ ახალ ვერსიაში დანერგილია ახალი ფუნქციები, რომლებიც React-ს კიდევ უფრო მოქნილს და თანამედროვე მოთხოვნებს მორგებულს ხდის.

რაც შეეხება **მონაცემთა ბაზებს**, ავტორებმა მრავალმხრივი გამოკვლევის შედეგად შეარჩია MS SQL Server-ი, რომელიც არის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა (DBMS) და იგი ცნობილია თავისი მრავალფეროვანი ტექნოლოგიებით და შესაძლებლობებით. MS SQL Server-ი განკუთვნილია დიდი მოცულობის მონაცემების ეფექტურად დამუშავებისთვის და განსაკუთრებით პოპულარულია ბიზნეს სამყაროში, რადგან მას შეუძლია გააუმჯობესოს მონაცემთა მართვა, ანალიტიკა, უსაფრთხოება და მაღალი ხელმისაწვდომობა. განვიხილოთ უფრო დეტალურად თითოეული ფუნქცია, რომელიც ამ სისტემას მოაქვს.

1) Full-Text Search (ტექსტური ძებნა)

MS SQL Server-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის Full-Text Search. ეს ფუნქცია დეველოპერებს და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორებს აძლევს საშუალებას, სრულ ტექსტურ ბაზებში ჩატარდეს ძებნა სპეციფიკური სიტყვებისა და ფრაზების მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემების დამუშავებას. Full-Text Search იყენებს ძლიერი ინდექსაციის მექანიზმებს, რომლებიც არა მხოლოდ ტექსტის სწრაფ ძებნას უზრუნველყოფს, არამედ ავითარებს სიტყვების სინონიმებს, მომართვების ფორმებს და გრამატიკული ფორმების მოძიებას.

2) Replication (რეპლიკაცია)

Replication არის ტექნოლოგია, რომელიც მონაცემთა ბაზების კოპირებას და სინქრონიზაციას უზრუნველყოფს სხვადასხვა სერვერებსა და ფიზიკურ ლოკაციებს შორის. ეს

ნიშნავს, რომ მონაცემები შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე სერვერზე, რაც აუმჯობესებს სისტემის მუშაობის სიმძლავრეს და მაღალ ხელმისაწვდომობას (High Availability). ეს ტექნოლოგია განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მონაცემების ერთდროულად მიწოდება სხვადასხვა გეოგრაფიულ ლოკაციაზე ან საჭირო არის მონაცემთა ერთობლივი მუშაობის უზრუნველყოფა.

3) Partitioning (პარტიციონირება)

Partitioning წარმოადგენს მონაცემების დაყოფის მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზები დაიყოს უფრო მცირე, დამოუკიდებელ სეგმენტებად. ეს ფუნქცია ამარტივებს მონაცემთა ბაზების მართვას, ზრდის შესრულების სისწრაფეს და რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს სისტემას. Partitioning განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც საქმე ეხება ძალიან დიდ მონაცემთა ბაზებს, სადაც სწრაფი წვდომა და დამუშავება კრიტიკულია.

მაგალითად, თუ მონაცემთა ბაზას აქვს რამდენიმე მილიონი ჩანაწერი, შეიძლება მოხდეს მათი დაყოფა სხვადასხვა სეგმენტებად (მაგალითად, თარიღების მიხედვით), რაც აუმჯობესებს ძიების სიჩქარეს და ოპტიმიზაციას. ეს მიდგომა ასევე საშუალებას იძლევა უფრო მოქნილი და სწრაფი შესრულების ინდექსაცია განხორციელდეს.

4) In-Memory OLTP (ტრანზაქციების მესხიერებაში დამუშავება)

In-Memory OLTP არის MS SQL Server-ის მაღალი წარმადობის ტრანზაქციების დამუშავების მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემები მესხიერებაში განთავსდეს და სწრაფად დამუშავდეს, რის შედეგადაც შესრულების სიჩქარე რამდენჯერმე იზრდება ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ამ ტექნოლოგიით სისტემა აცილებს მონაცემთა ბაზაში ბლოკირების პრობლემებს, რომლებიც ხშირად წარმოიქმნება კლასიკურ სისტემებში.

In-Memory OLTP ამცირებს ტრანზაქციების შეფერხებებს და განახლებებს, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა მაღალი ტრაფიკის აპლიკაციებისთვის, როგორცაა ელექტრონული კომერციის საიტები, საბანკო სისტემები და რეალურ დროში მონაცემთა დამუშავების სისტემები.

5) Always On Availability Groups (მაღალი ხელმისაწვდომობა)

Always On Availability Groups არის მაღალი ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილება MS SQL Server-ში. მისი მეშვეობით შესაძლებელია მრავალი მონაცემთა ბაზის ავტონომიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სერვერის ავარიის ან გათიშვის შემთხვევაში. ამ ტექნოლოგიით სისტემა არ კარგავს მონაცემებს და განაგრძობს მუშაობას, რადგან სარეზერვო მონაცემთა ბაზები „ყოველთვის მზად არიან“ ავტომატური ჩართვისთვის.

Always On უზრუნველყოფს მონაცემთა დროული სინქრონიზაციას და სწრაფ აღდგენას ნებისმიერი პრობლემის დროს, რაც კრიტიკულია ბიზნესებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან უწყვეტ სერვისებზე და ვერ იტანენ მონაცემთა დაკარგვას ან სისტემის გაჩერებას.

6) Business Intelligence (BI) ინსტრუმენტები

MS SQL Server-ს გააჩნია მძლავრი Business Intelligence (BI) ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარებიან მონაცემების ანალიზს, ანგარიშგების (reporting), და ინტეგრაციის პროცესებს:

- SQL Server Reporting Services (SSRS) – მონაცემების ვიზუალიზაციის და ანგარიშგების შექმნის მექანიზმი, რომელიც მონაცემთა კომპლექსური ანალიზის საშუალებას იძლევა.

- SQL Server Integration Services (SSIS) – მონაცემთა წყაროებს შორის ინტეგრაცია და მონაცემთა ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი.
- SQL Server Analysis Services (SSAS) – მრავალგანზომილებიანი მონაცემთა ანალიზის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნეს ანალიტიკის ამოცანების სწრაფ გადაწყვეტას.

ეს ინსტრუმენტები მას საშუალებას აძლევს იყოს მძლავრი პლატფორმა კომპლექსური ბიზნეს გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად, რაც მონაცემთა ბაზების დამუშავებას და ანალიზს უფრო ეფექტურს ხდის.

7) Data Warehousing (მონაცემთა საცავები)

MS SQL Server მხარდაჭერას უწევს მონაცემთა საცავების (Data Warehousing) შექმნას, რაც წარმოადგენს დიდ მოცულობის მონაცემების შენახვისა და დამუშავების მექანიზმს. მონაცემთა საცავები გამოიყენება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან ისინი საშუალებას აძლევს ბიზნესებს გაანალიზონ ისტორიული მონაცემები და ტრენდები.

Data Warehousing ტექნოლოგია ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს განახორციელონ დიდი მოცულობის მონაცემების ანალიზი, ჩაატარონ სტრატეგიული პროგნოზირება და მიიღონ ბიზნესის განვითარების გადაწყვეტილებები.

8) უსაფრთხოების მძლავრი ფუნქციები

MS SQL Server უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალ დონეს. მისი უსაფრთხოების მექანიზმები მოიცავს:

- დაშიფვრას (Encryption) მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვისთვის.
- ავტორიზაციას (Authorization) მომხმარებლის წვდომის კონტროლისთვის.
- აუდიტს (Audit) მონაცემთა წვდომის და ცვლილებების მონიტორინგისთვის.

ეს მექანიზმები უზრუნველყოფენ მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების მაღალ დონეს, რაც მნიშვნელოვანია აპლიკაციებსა და სერვისებში, სადაც მონაცემთა დაცვა კრიტიკულია.

9) Cloud Integration (დრუბლოვანი ინტეგრაცია)

MS SQL Server-ს შეუძლია ინტეგრაცია Microsoft Azure-ის და სხვა დრუბლოვან სერვისებთან, რაც უზრუნველყოფს სკალირებადობას, მოქნილობას და დაცულობას. ეს ფუნქცია ბიზნესებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ დრუბლოვანი ინფრასტრუქტურა მონაცემთა მართვისთვის, რაც მოაქვს რესურსების ეფექტურ განაწილებას და მარტივ სკალირებას დიდი მოცულობის მონაცემებზე.

3. დასკვნა

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები ვებსაიტის შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართებაში:

React-ის პოპულარობა გამოწვეულია მისი ტექნოლოგიური მახასიათებლებით, რომლებიც უზრუნველყოფენ კოდის სტრუქტურას, შესრულების სისწრაფეს და მარტივად ინტეგრირებას სხვა ტექნოლოგიებთან. მისი კომპონენტებზე დაფუძნებული არქიტექტურა, ვირტუალური DOM და მაღალი მოქნილობა React-ს იდეალურ არჩევანს ხდის ნებისმიერი სირთულის ვებ და მობილური აპლიკაციების განვითარებისთვის.

React-ის მხარდაჭერა და განვითარებული დოკუმენტაცია აძლევს დეველოპერებს შესაძლებლობას სწრაფად დაეუფლონ ამ ბიბლიოთეკას და გამოიყენონ იგი როგორც მარტივი, ასევე კომპლექსური პროექტების განვითარებისთვის.

იგი სისტემაში გამოყენებულია მის მრავალფეროვანი ფუნქციებით რომელიც ამარტივებს ვებსაიტების ან აპლიკაციების განვითარებას და მათი კოდის გამართვას. კომპონენტებზე დაფუძნებული არქიტექტურა, ვირტუალური DOM, მოქნილობა და ინტეგრაციის შესაძლებლობები React-ს იდეალურ ხელსაწყოდ აქცევს როგორც მცირე, ასევე მასშტაბური პროექტებისთვის.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ React დღესდღეობით არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გამოყენებადი JavaScript ბიბლიოთეკა, რომელიც ორიენტირებულია ინტუიციური და ეფექტური მომხმარებლის ინტერფეისების შექმნაზე. ეს ბიბლიოთეკა ასევე იზრდება და ადაპტირდება ტექნოლოგიური ბაზრის ცვლილებებთან ერთად, რაც მას თანამედროვე ვებ განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად ხდის.

მისი წარმატება განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რაც მას თანამედროვე ვებ და მობილური აპლიკაციების განვითარებაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აქცევს.

რაც შეეხება MS SQL Server-ს, იგი არის მძლავრი და მრავალმხრივი მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან ფუნქციებს, რაც მას იდეალურ ინსტრუმენტად აქცევს როგორც მცირე, ასევე დიდი ორგანიზაციებისთვის. მისი უსაფრთხოების მექანიზმები, მაღალი ხელმისაწვდომობის ტექნოლოგიები, მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები, და ღრუბლოვანი ინტეგრაცია უზრუნველყოფენ მონაცემების ეფექტურ დამუშავებას და ბიზნესის განვითარებას. SQL Server-ის გამოყენება ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას მაქსიმალურად სწრაფად და უსაფრთხოდ მართონ საკუთარი მონაცემები, რაც ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს სისტემის გაჩერების რისკებს.

ლიტერატურა:

1. Chris Minnick. “ReactJS Foundations”. Building User Interfaces with ReactJS. Published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey. Published simultaneously in Canada. pp 454, 2022
2. Anthony Accomazzo, Ari Lerner, Nate Murray, Clay Allsopp, David Guttman, Tyler McGinnis. “Fullstack React”. The Complete Guide to ReactJS and Friends. Published in San Francisco, California by Fullstack.io. pp 825, 2017
3. Why Use React for Web Development: 10 Reasons To Apply უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2024
4. React vs. JavaScript: Which Framework Suits Your Mobile and Web Development Project Needs? - Pulsion Technology უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2024
5. Vue vs React: Which one to choose in 2024? | Alokai უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.10.2024

Modern trends in websites

Nugzar Amilakhvari, Ioseb Kartvelishvili Amiran Nebulishvili

Georgian Technical University

n.amilakhvari@gtu.ge, s.kartvelishvili@gtu.ge, nebulishvili.amiran22@gtu.ge

Abstract

Today, there are many websites in the world that are created using different technologies. When designing a flexible website, the developer is always faced with the dilemma of which frontend technology to use, which databases. To answer these questions, the authors conducted a technology market survey and

presented its results in this article. The article thoroughly reviews the modern trends in website building, the pros and cons of these trends, and the research draws conclusions as to which technology is best to use and why. Studies cover all major areas of website building technologies such as frontend frameworks and databases. Based on the results of the research of the article, a real and functioning website was created, in which all the talented people of the world, who want to introduce their creativity to the public and to fully present themselves, were given the opportunity to post their creativity in an Internet environment for everyone without any fees or advertisements. The above website is optimized for any modern device (computer, mobile, tablet and others) and along with that it has a simple environment. Although the website was commissioned by an organization operating in the United States of America, it operates in two languages - English and Georgian, thus it will play an important role in promoting the creativity of artists in Georgia to the world market.

Keywords: website, technologies, frontend, databases, optimization.

ბანკში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება

მედეა თევდორაძე, ნინო მელიქიძე, ნინო ღუდუშაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
medeat@gtu.ge; melikidze.nino22@gtu.ge; ghudushauri.n@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია საბანკო სფეროში გადარიცხვის სისტემის გადაწყვეტა სხვადასხვა მეთოდით, კერძოდ, ტრადიციული და თანამედროვე ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენებით. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენების უპირატესობების შესწავლის მიზნით შემუშავებულია და წარმოდგენილია ტრადიციული გადარიცხვის და ბლოკჩეინით ტრანზაქციის შესრულების ბიზნეს-პროცესები, შემუშავებულია მათი მოდელები BPMN-ნოტაციის გამოყენებით, და ჩატარებულია ამ მოდელების სიმულაცია. სიმულაციის შედეგებმა ცხადყო ტრანზაქციის განხორციელების დროის, ღირებულების და მონაწილე პერსონალის მინიმუმაცია საბანკო მომსახურების შესრულებისას ბლოკჩეინის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ფულის გადარიცხვა, საბანკო ტრანზაქცია, ბლოკჩეინი,

1. შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციების (ITC) განვითარებამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები გამოიწვია მთელ მსოფლიოში, რაც თავის მხრივ საბანკო ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ამასთან საბანკო სექტორის ტრანსფორმაციამ გამოიწვია ფინანსური ბაზრების მნიშვნელოვანი გაფართოება და საბანკო საქმიანობის დივერსიფიკაცია, რის გამოც გაიზარდა ძლიერი საბანკო ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების საჭიროება.

ასე მაგალითად, საერთაშორისო ფულის გადარიცხვისთვის ბანკები იყენებს გადარიცხვის ტრადიციულ მეთოდებს რომელიც არ არის უსაფრთხო და დაცული გაყალბებისგან. გადარიცხვის დრო კი მერყეობს 3 დან 5 სამუშაო დღემდე. უსაფრთხოება არის ერთერთი ძირითადი საკითხი ნებისმიერ ფინანსურ სისტემაში. თანხების გადარიცხვის ჩვეულებრივი

მეთოდი ექვემდებარება თაღლითობას, ჰაკერების მცდელობებს და მონაცემთა გაყალბებას. გარდა ამისა, ის ხარჯავს მეტ დროს, ძალისხმევას და ფულად სახსრებს.

თანამედროვე ბანკის საქმიანობა წარმოუდგენელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების გარეშე, ვინაიდან ზუსტად ისინი განაპირობებენ ბანკის ეფექტიან და კონკურენტუნარიან საქმიანობას. ამასთან ერთად, თავად ახალი საბანკო ტექნოლოგიები - სერვისები მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან [1].

საბანკო ინდუსტრიაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვამ მრავალი სარგებელი მოიტანა. თუმცა, ასევე არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტები აწყდებიან ციფრული გადაწყვეტილებების მიღებისას.

საბანკო სივრცეში უნდა დაინერგოს სხვადასხვა ინოვაცია, რომელიც გაზრდის მომხმარებლის კომფორტს საბანკო პროდუქტების გამოყენებისას, საბანკო სერვისებს გახდის უფრო ხელმისაწვდომს და მომხმარებელს მისცემს ახალი, მრავალფეროვანი, საინტერესო და უფრო მოქნილი ფუნქციების გამოყენების შესაძლებლობას. ციფრული საბანკო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და ფინანსური ინსტიტუტები კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მუდამ სიახლეების ძიებაში უნდა იყვნენ.

თანამედროვე საბანკო სექტორი ხასიათდება მომატებული კონკურენციით, რის პირობებშიც ბანკებს უწევთ ახალი მომსახურებების შეთავაზება საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით. ამ კუთხით წინა პლანზე იწევს საბანკო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სფეროების, მათი ხარისხის და შეთავაზების გზების სრულყოფა. ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა განვითარდეს საბანკო პროდუქტი და მომსახურება, განვითარდეს ბაზრის ინფრასტრუქტურა. თუმცა უდაოა ის ფაქტი, რომ ინოვაციური წინადადების დანერგვამდე უნდა განხორციელდეს ანალიზი საბანკო საქმიანობაზე მისი ზეგავლენის შესწავლის მიზნით [1].

ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად შეიძლება აღინიშნოს საბანკო ტრანზაქციების განხორციელება, და მათ განხორციელებაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს სანდო კონტროლს საბანკო ტრანზაქციებზე და კლიენტებს დაეხმარება გეოგრაფიული დისტანციის მიუხედავად მიიღონ სასურველი მომსახურება საუკეთესო პირობებით. ინტერნეტმა პრინციპულად შეცვალა სერვისების მიწოდების არხები და ის საბანკო მომსახურების მიწოდების ინსტრუმენტად იქცა. თუმცა აქ ჯერ კიდევ ადგილი აქვს გარკვეულ პრობლემებს. მნიშვნელოვანია ბანკებმა ინოვაციების დახმარებით შეამცირონ დანახარჯები, რაც განაპირობებს მათი მომგებიანობის ზრდას. თუმცა ეს ყოველივე საკმაოდ რთული პროცესია და გრძელვადიან პერიოდს მოიცავს.

წარმოდგენილ სტატიაში დახასიათებულია საბანკო სექტორში ისეთი ტიპის სიახლის და ბანკზე მისი ზეგავლენის კვლევა, როგორც არის ბლოკჩეინი და მისი გამოყენება საბანკო სფეროში, კერძოდ, სავალუტო გადარიცხვის პროცესში.

2. ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ბლოკჩეინის გამოყენების საკითხები ბანკში. ტექნიკურად, ეს არის უზარმაზარი მონაცემთა ბაზა ცენტრალური ორგანოს გარეშე, რომელიც ინახავს ინფორმაციას ტრანზაქციების შესახებ. ტრანზაქციებს ამოწმებენ თავად სისტემის მონაწილეები, რომლებიც ადასტურებენ განხორციელებული ქმედებების ავთენტურობას და

შემდეგ ქმნიან ბლოკებს ტრანზაქციის ჩანაწერებიდან. ეს მიდგომა საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ბლოკჩეინი არ საჭიროებს შუამავლებს ძვირადღირებული გადახდის სისტემების სახით, რომლებიც ამჟამად ამუშავებენ ტრანზაქციებს. მეორეც, დამუშავების ოპერაციების სიჩქარე იზრდება [2]. კლირინგის ორგანიზების ტრადიციულ სქემაში, ამ პროცესს შეიძლება რამდენიმე დღე დასჭირდეს, ხოლო ბლოკჩეინის შემთხვევაში, ტრანზაქციები ხირციელდება რეალურ დროში. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინი ტრადიციული ბანკების ერთ-ერთი შესაძლო კონკურენცია, მათ ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ტექნოლოგიაში 850 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს.

ფინანსური ინსტიტუტების ინტერესი ბლოკჩეინის მიმართ არ მცირდება, თუმცა იცვლება ტექნოლოგიასთან ურთიერთქმედების ფორმატი. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენება საერთაშორისო გადარიცხვებისთვის ძალიან პერსპექტიულად გამოიყურება.

ბანკები დიდ ძალისხმევასა და ფულს ხარჯავენ კლიენტების მონაცემების გადამოწმებისა და მათი იდენტიფიცირებისთვის. ამ პრობლემის გადასაჭრელად კომპანია Deloitte-მა გამოუშვა Deloitte Smart ID ბლოკჩეინის პლატფორმა. სისტემის გამოყენების მთავარი არსი არის ის, თუ როგორ უნდა მოტივირდეს კლიენტი, შეინახოს საკუთარი ჩანაწერი ბლოკჩეინში. ბლოკჩეინის გამოყენების კიდევ ერთი შემთხვევა არის თაღლითური მონაცემთა ბაზა. შემუშავებულ საპილოტე პროექტში ბანკებს შეუძლიათ შეიყვანონ მონაცემები კიბერდანაშაულების შესახებ ერთ ბლოკჩეინში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის დარღვევის გარეშე. ყოველივე ამის შემდეგ, მხოლოდ თაღლითის მონაცემების ჰეში შედის ბლოკჩეინში [3].

წარმოდგენილ სტატიაში მოყვანილია საერთაშორისო გადარიცხვების საბანკო ოპერაცია წარმოდგენილი ორ ვარიანტად: ტრადიციული ხერხით და ბლოკჩეინის გამოყენებით. ბლოკჩეინის საბანკო გადარიცხვაში ჯერ კიდევ არ გამოიყენება ყველა ქვეყანაში და ეს ვარიანტი მოითხოვს გარკვეული კვლევების ჩატარებას, რათა დამტკიცდეს მისი ეფექტიანობა. ბანკის საქმიანობაში (ფულის საერთაშორისო გადარიცხვის ოპერაციებში) ეფექტიანობის შესაფასებლად ჩვენს მიერ გამოყენებულია მიდგომა, როდესაც ფასდება ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება. ამ მიზნით შემთავზებულია ფულის სავალუტო გადარიცხვის ბიზნეს-პროცესების აგება როგორც ტრადიციული მიდგომისათვის ასევე ბლოკჩეინის გამოყენებით. შემდეგ ეს ბიზნეს-პროცესები წარმოდგენილია BPMN -ნოტაციის გამოყენებით, რამაც გააჩინა შესაძლებლობა, რომ შეფასდეს ბიზნეს-პროცესები (მათი ხანგრძლივობა, ღირებულება, ადამიანური და სხვა სახის რესურსების გამოყენება).

შემდეგ წარმოდგენილია საბანკო გადარიცხვის პროცესის ეტაპობრივი აღწერა ტრადიციული მეთოდით, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე, რომლის შემთხვევაში გადარიცხვის დრო მერყეობს 3-5 დღემდე. გარდა ამისა გადარიცხვის პროცესში შეიძლება მონაწილეობდეს ერთი ან მეტი შუამავალი ბანკი რაც იწვევს გადარიცხვის საკომისიოს ზრდას, რომელიც შეიძლება მერყეობდეს 5% დან 20% მდე [4]. მასში ჩართულია გარკვეული თანამშრომლების რაოდენობა და ძვირად ღირებული გადარიცხვის სისტემები (მათ შორის SWIFT-სისტემა) [4]:

1) **გადარიცხვის ინიცირება.** კლიენტი ინიცირებას უკეთებს გადარიცხვას გამგზავნი ბანკის მეშვეობით;

2) **გამგზავნი ბანკის მხრიდან კლიენტის იდენტიფიკაცია და ბალანსის გადამოწმება.** ბანკი ატარებს KYC (Know Your Customer) და AML (Anti-Money Laundering) შემოწმებებს, რათა

დარწმუნდეს, რომ მიმღები და გამომგზავნს შორის ოპერაცია დასაშვებია **AML** ასევე ბანკი ამოწმებს, აქვს თუ არა მომხმარებელს საკმარისი თანხა ტრანზაქციის გასატარებლად;

3) **SWIFT შეტყობინების შექმნა.** გამგზავნი ბანკი ქმნის SWIFT შეტყობინებას, როგორც წესი, MT (Message Type) ფორმატში. ეს შეტყობინება შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას ტრანზაქციის შესახებ, მათ შორის გამგზავნისა და მიმღების დეტალებს, ტრანზაქციის თანხას და დანიშნულებას;


4) **SWIFT-ის შეტყობინების გადაცემა ქსელის საშუალებით.** SWIFT შეტყობინება იგზავნება SWIFT ქსელის საშუალებით, ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს, თანხის უსაფრთხოდ მიწოდებას მიმღების ბანკში. შუამავალი ბანკის არსებობის შემთხვევაში შეტყობინება იგზავნება მისი საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში გამგზავნი ბანკი შეტყობინებას აგზავნის პირდაპირ მიმღებ ბანკში;

5) **ტრანზაქციის განხორციელება.** მიმდინარეობს თანხის გადარიცხვის პროცესი - თუ გამგზავნის ბანკს არ აქვს პირდაპირი კავშირი მიმღების ბანკთან, თანხა შეიძლება ჩაირიცხოს მიმღებ ბანკში ერთი ან რამდენიმე შუამავალი ბანკის გავლით;

6) **ანგარიშსწორება.** მას შემდეგ, რაც მიმღების ბანკი მიიღებს SWIFT შეტყობინებას, შეამოწმებს ტრანზაქციის დეტალებს და თანხის ტრანზაქცია გქანხორციელდება, ის ჩარიცხავს მიმღების ანგარიშზე გადმორიცხულ თანხას;

7) **დადასტურება.** მიმღები ბანკი ტრანზაქციის შესრულების დასტურს უგზავნის გამგზავნ ბანკს. ამის შემდეგ როგორც გამგზავნი, ისე მიმღები ბანკები თავიანთ შესაბამის კლიენტებს უგზავნიან დასტურის შეტყობინებას, რომელიც მიუთითებს, რომ გადარიცხვა წარმატებით დასრულდა.

ზემოდ წარმოდგენილი ალგორითმის მიხედვით შემუშავებულია ბიზნეს-პროცესი BPMN ნოტაციის გამოყენებით და ჩატარებულია მისი სიმულაცია Bizagi-Modeler პროგრამის საშუალებით (ნახ.1).



ნახ. 1. ტრადიციული მეთოდით. სავალუტო გადარიცხვის ბიზნეს-პროცესის მოდელი

Name	Scenario	Type	Instances completed	Instances started	Min. time	Max. time	Avg. time	Total time
საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	Process	2	4	1d 16h 45m	2d 2h 45m	1d 21h 45m	4d 21h 15m

ა)

Resource	Scenario	Utilization	Total fixed cost	Total unit cost	Total cost
ოპერატორი	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	10.68 %	27	0	27
საბანკო პროგრამა	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	96.88 %	72	0	72
SWIFT სისტემა	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	98.70 %	105	0	105
ანგარიშსწორების ფასტ-ტრეიდი	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	14.24 %	44	0	44
		Total საბანკო სავალუტო გადარიცხვა ტრადიციული მეთოდით	248	0	248

ბ)

ნახ.2 ა) და ბ). ტრადიციული მეთოდით სავალუტო გადარიცხვის ბიზნეს-პროცესის მოდელის სიმულაციის შედეგები

შემდეგ კი წარმოდგენილია იმის აღწერა, თუ როგორ შეიძლება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ინტეგრირება საბანკო გადარიცხვის პროცესში. ეს მიდგომა იყენებს ბლოკჩეინის უპირატესობებს, როგორცაა გამჭვირვალობა, უსაფრთხოება, საიმედოობა, ეფექტურობა და ა.შ [5].

საბანკო სავალუტო გადარიცხვის პროცესი ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით:


- 1) მომხმარებლის მიერ გადარიცხვის ინიცირება. კლიენტის მოთხოვნა შედის გამგზავნ ბანკში;
- 2) გამგზავნი ბანკის მიერ კლიენტის იდენტიფიკაცია და ბალანსის გადამოწმება.
- 3) ბანკი ბლოკჩეინში ატარებს KYC (Know Your Customer) და AML (Anti-Money Laundering) შემოწმებებს, რათა დარწმუნდეს, რომ მიმღები და გამომგზავნს შორის ოპერაცია დასაშვებია AML. ასევე ბანკი ამოწმებს, რომ მომხმარებელს აქვს საკმარისი თანხა ტრანზაქციის გასატარებლად. ითვლება, რომ ბლოკჩეინში წინასწარ მოთავსებულია ინფორმაცია კლიენტის შესახებ;
- 4) ჭკვიანი კონტრაქტის შექმნა. გადამგზავნი ბანკი ადგენს კონტრაქტს, რომელიც ასახავს: გამგზავნის და მიმღების დეტალებს, გადასარიცხ თანხას, შესრულების პირობებს და ციფრულ ხელმოწერას: ავთენტურობის უზრუნველსაყოფად ბანკი ციფრულად აწერს ხელს ჭკვიან კონტრაქტს მისი პირადი გასაღების გამოყენებით. აღნიშნული კონტრაქტი თავსდება ბლოკჩეინში და შესაბამისი შეტყობინება იგზავნება მიმღებ ბანკში [5];
- 5) ქსელის ვერიფიკაცია. გადაცემა ბლოკჩეინზე: ტრანზაქცია იგზავნება ბლოკჩეინის ქსელში. კვანძის დადასტურება: ქსელის კვანძები ამოწმებენ ტრანზაქციას კონსენსუსის მექანიზმით (მაგ., სამუშაოს დადასტურება);
- 6) გადარიცხვის განხორციელება. ბლოკის დამატება: დადასტურების შემდეგ, ტრანზაქცია შედის ახალ ბლოკში და დაემატება ბლოკჩეინს. უცვლელი ჩანაწერი: ტრანზაქცია ხდება მუდმივი წიგნის ნაწილი, რაც უზრუნველყოფს მის უცვლელობას;
- 7) მხარეების ინფორმირება. ბლოკჩეინ ტექნოლოგია ციფრული პლატფორმის საშუალებით აცნობებს როგორც გამგზავნს, ასევე მიმღებს წარმატებული ტრანზაქციის შესახებ;
- 8) ანგარიშსწორების პროცესი. ვალუტის კონვერტაცია (საჭიროების შემთხვევაში): საერთაშორისო გადარიცხვებისთვის ბანკს შეუძლია ვალუტის კონვერტაცია მიმდინარე კურსის მიხედვით. კლიენტის ანგარიშზე კონვერტირებული თანხის ჩარიცხვა;

9) შესაბამისობა და ანგარიშგება. მარეგულირებელი ანგარიშგება: ბანკი ბლოკჩეინის მონაცემების გამოყენებით ამზადებს ადგილობრივ და საერთაშორისო რეგულაციებთან შესაბამისობაში მყოფ საჭირო ანგარიშებს;

10) ტრანზაქციის ისტორიის შენახვა. მონაცემთა შენახვა: ბანკი ინახავს ტრანზაქციების ჩანაწერებს მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

შემდეგ წარმოდგენილია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით სავალუტო გადარიცხვის ბიზნეს-პროცესი და მისი სიმულაცია BPMN ნოტაციის მეშვეობით Bizagi-Modeler პროგრამაში (ნახ.3).

როგორც ჩანს მოდელირების შედეგებიდან, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ჩართვა სავალუტო გადარიცხვის პროცესში იძლევა მნიშვნელოვან უპიტატესობებს, პირველ რიგში ეს არის ტრანზაქციის შესრულების დროის მნიშვნელოვანი კლება, ადამიანური რესურსის შემცირება და შესაბამისად იკლებს ოპერაციების ხარჯების ოდენობა (ნახ.2 და ნახ.4).



ნახ.3. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით სავალუტო გადარიცხვის ბიზნეს-პროცესის მოდელი

Name	Scenario	Type	Instances completed	Instances started	Min. time	Max. time	Avg. time	Total time
საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით	Process	4	4	6m 20s	6m 20s	6m 20s	25m 20s

ა)

Resource	Scenario	Utilization	Total fixed cost	Total unit cost	Total cost
ოპერატორი	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით	0,14 %	0	0,266666666666665	0,266666666666665
საბანკო პროგრამა	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით	0,22 %	0	0,636666666666669	0,636666666666669
აგარიშპროცესის დეპარტამენტი	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით	0,00 %	0	0	0
ბლოკჩეინ ტექნოლოგია	საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით	0,37 %	0	2,49	2,49
Total საბანკო სავალუტო გადარიცხვა ბლოკჩეინ ტექნოლოგიით			0	3,39	3,39

ბ)

ნახ. 4 ა, ბ. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით სავალუტო გადარიცხვის ბიზნეს-პროცესის მოდელის სიმულაციის შედეგები

3. დასკვნა

ბიზნეს-პროცესების მოდელების შემუშავებამ, მათმა მოდელოვებამ, გვიჩვენა რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით მცირდება არამართო ოპერაციის შესრულების დრო, ასევე მცირდება ოპერაციის შესრულების ღირებულება, ჩართული ადამიანური და სხვა რესურსები. გარდა ამისა ბლოკჩეინის გამოყენება ვალუტის გადარიცხვის პროცესში გვამღებს გარკვეულ უპირატესობებს, როგორც არის: გამჭვირვალობა, უსაფრთხოება. ტრანზაქციები დაშიფრულია და დაკავშირებულია წინა ტრანზაქციებთან, რაც ხელს უშლის მონაცემების გაყალბებას. მას შემდეგ რაც, ბლოკჩეინში ტრანზაქცია დაფიქსირდება, მისი შეცვლა ან წაშლა შეუძლებელია, რაც უზრუნველყოფს ტრანზაქციების ისტორიის მთლიანობას. აღნიშნული უპირატესობები ბლოკჩეინს პერსპექტიულ ტექნოლოგიად აქცევს ვალუტის გადარიცხვის ეფექტურობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ამ დასკვნის გათვალისწინებით, სასურველია, რომ ქართული ბანკები გადავიდნენ აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებაზე.

ლიტერატურა:

1. მ.თევდორაძე, ნ.ლოლაშვილი. საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. სახელმძღვანელო. 280 გვ. სტუ, 2019. CD-6155
2. Blockchain Application in Banking system – Journal of Software Engineering and Applications, 2021, 14, 298-311 <https://www.scirp.org/journal/jsea> ISSN Online: 1945-3124, ISSN Print: 1945-3116. Minhaj Uddin Chowdhury, Khairunnahar Suchana, Syed Md Eftekhari Alam, Mohammad Monirujjaman Khan
3. The evolution of the payments value model - **Deloitte** authors Emily Williams Deloitte United States emiwilliams@deloitte.com James McWha Deloitte United Kingdom jmcwha@deloitte.co.uk Lauren Holohan Deloitte United States lholohan@deloitte.com Dan Schmeling Deloitte United States dschmeling@deloitte.com
4. Blockchain-Based System for Secure and Efficient Cross-Border Remittances: A Potential Alternative to SWIFT - System-Journal of Software Engineering and Applications, 2024, 17,664-712 <https://www.scirp.org/journal/jsea>
ISSN Online: 1945-3124, ISSN Print: 1945-3116 - Omoshola S. Owolabi¹, Emmanuel Hinneh¹, Prince C. Uche¹, Nathaniel T. Adeniken¹, Jennifer A. Ohaegbulem², Samuel Attakorah¹, Oluwabukola G. Emi-Johnson³, Chinaza S. Belolisa⁴, Harold Nwariaku⁵
5. Money Transfer System Using Blockchain Technology: A Case Study of Banks in Iraq - Journal of Xi'an Uni. of Architecture & Technology, M. Sabri Deer, I. Al-Mejibli, A.Talal Yassin, Iraqi Commission for Computers and Informatics, Baghdad. Issn No : 1006-7930

Evaluation of effectiveness of modern information technologies' use in the bank

Medea Tevdoradze, Nino Melikidze, Nino Gudushauri
Georgian Technical University
medeat@gtu.ge, melikidze.nino22@gtu.ge, ghudushauri.n@gtu.ge

Abstract

In the article there is discussed the execution of the transfer system using different methods, namely traditional and modern blockchain technology. In order to study the advantages of using of blockchain technology, the business processes of traditional transfer and execution of transaction by blockchain are developed and presented, their models are developed using BPMN-notation, and simulation of these models is carried out. The simulation results revealed the minimization of transaction execution time, usage cost and involved personnel in performing banking services by blockchain technology.

Key words: Money transfer, Banking Transaction, Blockchain.

Convolutional Neural Network for Medical Image Processing

Ana Pitskhelauri, Irina Kuratishvili

Georgian Technical University

a.pitskhelauri@gtu.ge, kuratishvili.irina24@gtu.ge

Abstract

Convolutional Neural Networks (CNNs) have become highly influential in medical image processing due to their ability to automatically learn and extract relevant features from medical images. They have played an important role in medical imaging - from diagnostics to research to data integration. Following the success of deep learning in other real-world applications, it is seen as also providing exciting and accurate solutions for medical imaging, and is seen as a key method for future applications in the health care sector. Several research articles have explored and advanced the application of CNNs in various medical imaging domains such as radiology, pathology, dermatology, and more. This material contains a review of key findings and themes across multiple articles on this topic. A comprehensive overview of the current state of CNN-based methods as applied for medical image understanding are also given in this review, highlighting methodological challenges and opportunities.

Key words: Medical Data Processing, Convolutional Neural Network, Image Analyses using Deep learning.

1. Introduction

Importance of CNN (Convolutional Neural Network) in Medical Image. In Medical Image Analysis CNN are mostly used for such tasks as:

- Image Classification: The models like AlexNet, GoogleNet, VGG and ResNet aim at classification by concatenating fully-connected layers with the different classifiers;
- Object Detection: Models like R-CNN, Faster R-CNN and YOLO are normally used for the object detection;
- Image Segmentation: Models like FCNN and U-Net are widely used for the segmentation task.

➤ Basic Structure of CNNs

CNNs have become the most suitable deep learning model for image classification due to their remarkable performance for object detection, pattern recognition, image classification, segmentation and disease diagnosis [3,4,5]. CNNs are able to distinguish complex shapes of images due to their ability to learn and extract features without the need for prior knowledge or human intervention.

Convolutional neural network is composed of an input layer, convolutional layer, a pooling layer, and several fully-connected layers that optimally represent the input image for classification [1], [2]. as presented at figure 1.

The first layer is the **input layer** which receives the input image and passes it to the hidden layers, which are made up of multiple convolutional and pooling layers.

The most important part of a CNN is **hidden layers**. Convolutional neural networks have three main types of hidden layers: convolutional layers, pooling layers, and fully connected layers.

Convolutional layers use feature extraction to perform the main “work” of the CNN. the convolution operation is performed using a set of learnable kernels or filters to detect edges, corners and textures (to extract features from the input data) [6] A feature detector, or kernel, scans the input and creates a map of the features it finds. A convolutional neural network can have many convolutional layers, with each layer adding a more detailed understanding of the input. In order to optimize the network’s performance.




Figure 1

Pooling layers: The pooling layer of a convolutional neural network simplifies the work of the convolutional layers, losing data in the process but gaining a more efficient and less complex output. The convolutional layer focuses on extracting all the features, while the pooling layer provides with a less computationally challenging data set.

Fully-connected layers: The fully-connected layer of the CNN is so named because every node in this layer connects to every node in the previous layer. Essentially, the CNN process is threefold: Once the convolutional layer extracts features from the data, this information passes to the pooling layer, where it is downsized; it then transfers to the fully-connected layer, which maps the information gained from the previous two layers, classifying it for output.

The output layer is the last layer which produces the desired output based on the task at hand

CNN's can have additional components like dropout and normalization layers, depending on the specific application and network design.

For medical image analysis along with a robust CNN structure it is also important to use an optimal activation function. Having a suitable nonlinear activation function can significantly improve the performance of the network. It should be noted that there is no single or “best” activation function that works universally for all CNN architectures. The choice of activation function should be based on empirical evaluation and specific task requirements. More widely used activation function are: ReLU, Softmax, Hyperbolic Tangent (Tanh), Sigmoid, and Softplus.

2. Main part

➤ **CNN frameworks widely used for medical image understanding are:** TensorFlow, Keras.

Hyperparameters of CNN's

Hyperparameters used for medical image analyses are settings that affect the performance of Neural networks. There are around 30 to 40 hyperparameters widely reported in relation with application of CNN for object recognition and medical image understanding. Some of them are: learning rate, number of epochs, loss function, activation function, dropout rate, stride, padding, pooling size, filter/kernel size etc.

Detection and Diagnosis of Diseases

Many articles focus on how CNNs are used to detect diseases, often from MRI, CT, X-ray, or histopathological images. For instance:

Lung Cancer Detection: CNN models have been employed to detect nodules in lung CT scans, achieving significant accuracy in identifying malignancies. Studies like [Shen et al. (2017)] developed a multi-scale CNN that improved the detection of small lung nodules, addressing challenges such as variations in size and shape of the nodules.

Breast Cancer: Mammogram image analysis using CNNs has shown substantial improvements in early cancer detection. Ribli et al. (2018) developed a deep learning model that outperformed traditional methods in detecting breast cancer lesions.

Diabetic Retinopathy: Ophthalmologists diagnose the presence and the severity of the DR through a visual assessment by direct examination and evaluation of the eyes. There is a need to automatically identify DR by examining retinal fundus images. It is reported that deep learning models are a practical approach for DR detection, which can better identify DR compared to ophthalmologists.

Segmentation of Medical Images

Segmentation is a critical task in medical image analysis, where CNNs have been applied extensively:

U-Net Architecture: Introduced by Ronneberger et al. (2015) is one of the most influential CNN architectures for biomedical image segmentation. It is widely used for tasks like organ segmentation in MRI images and tumor segmentation in brain scans. Its symmetric encoder-decoder architecture allows precise localization, crucial for medical image analysis.

DeepLab: Another important CNN-based method, DeepLab, leverages atrous convolutions for semantic segmentation, showing strong results in segmenting intricate features of medical images, such as detecting boundaries between different tissue types or identifying small lesions.

Multimodal Medical Image Fusion

Several studies focus on combining multiple modalities of medical images (e.g., CT, MRI, PET) using CNNs for better diagnosis and interpretation:

Fusion of MRI and PET: Studies like Zhang et al. (2019) employ CNNs to fuse MRI and PET images to improve the diagnosis of Alzheimer's disease. CNN-based fusion techniques help in highlighting complementary features from different imaging modalities, improving overall diagnostic accuracy.

3D Medical Image Processing

Processing 3D medical images, such as MRI and CT scans, has been another challenging area for which CNNs are increasingly applied. 3D CNNs, in particular, have been explored:

Tumor Detection in 3D: Zhao et al. (2018) applied 3D CNNs to automatically detect brain tumors in 3D MRI scans. The added dimension allows the model to extract volumetric features, leading to more accurate detection of the shape and structure of tumors.

Organ Segmentation: 3D U-Net has also been employed to segment organs in 3D MRI scans, offering better spatial coherence compared to 2D segmentation approaches.

➤ CNNs in Pathology and Histopathology

CNNs are also being used to analyze digitized pathology slides, which are often very high resolution:

Cancer Grading: Campanella et al. (2019) demonstrated that CNNs could automatically grade prostate cancer from whole-slide histopathology images with high accuracy. The model's ability to process large images with fine details makes it ideal for pathology tasks.

Tumor Detection: Research such as Liu et al. (2017) shows that CNNs can outperform human pathologists in detecting small tumor regions in breast cancer histopathology slides.

Challenges and Future Directions

While CNNs have demonstrated great promise, several challenges remain:

Data Scarcity: Medical datasets are often small due to privacy concerns and the cost of annotation. Some studies propose solutions like transfer learning, data augmentation, and synthetic data generation to address this issue. Improvement in this field includes: exploring new activation functions for efficient and robust learning, including on small datasets (to mitigate the issue of labeled data scarcity).

Explainability: CNNs are often criticized for being "black-box" models. There is growing research focused on making CNNs more interpretable, such as using heat maps to show which parts of the image contributed most to the prediction.

Generalization: Medical images can vary significantly across hospitals, scanners, and patient populations. Several articles have proposed domain adaptation techniques to improve the generalization of CNN models.

Ongoing research in this field aims to advance it and improve the effectiveness, interpretability and applicability of CNN models in clinical settings.

3. Conclusion

The application of CNNs in medical image processing has shown remarkable success, leading to enhanced disease detection, segmentation, and diagnosis across various medical fields. Architectures like U-Net and its variants are particularly well-suited for biomedical tasks. As the field progresses, addressing challenges related to data availability, model explainability, and generalization will be crucial for broader clinical adoption of CNN-based systems.

References:

Bees are important in relation to nature as they help in the enhancement of the world's food and in maintaining the ecosystem[1]. Bees and beekeeping are however prone to modern pressures, the importance of which requires scientifically informed and systematic approaches for resolution. Change in global climate calls for change in beekeepers' knowledge of beekeeping as well as change in the principles and practices of apiculture. According treating worldwide data on agriculture, there is an estimation that the pollination activity, in particular by bees, is economically worth about 9.5% of the total worth of agricultural outputs that are fit for human consumption [2]. The problem of climate change is recognized as a global problem that cannot be ignored, and resources like bees and other insect pollinators will surely be affected. Climate and temperature changes could potentially influence the activity, region of occurrence, flowering patterns, and stage length of bee colonies' development cycles. Over the course of the past century, the average temperature has increased by 0.6 degrees Celsius [3]. In the same way, 1.5 to 5.8 degrees are predicted and are expected by the end of the century [4]. One of the serious dangers is the widespread outbreak of parasitic mites, coupled with the necessity to test the efficacy of the acaricidal agents, which causes heavy losses to the bee colonies. In the sight of conflict, there is widespread devastation of the beekeeping farms which causes uncontrolled wandering of the bees and therefore, the spread of disease. This makes it important to establish such a system of monitoring the life history of the bee colonies with an emphasis on the consistency of the veterinary preparations and their behavioral aspects, which are significant with regards to the products quality, and the productivity of the apiary industry, in general, is affixed. Beekeeping is, by and large, a fitting embodiment of a circular economy as all bee products find applications in the pharmaceutical sector, electronics, and technical systems, to mention a few. Given their importance as pollinators of agricultural crops, honeybees are vital in the global food chain. Today, the use of unmanned aerial vehicles and other innovative monitoring technologies to observe colonies with some machine learning and computer vision elements comes in handy.

It is worth mentioning that special attention should be paid to the study of peculiarities of behavioral characteristics of the individuals within the studied breeds of honeybees. The division of the working attributes and preferences of the individual breeds creates a room for opportunities which relates to restructuring of the bee family formation for improved economic benefits minimizing the downsides of the bee communities' living conditions [5]. The principle of diversity is inspiring in terms of how beekeeping tips can be restructured. The objective of the research is to demonstrate the capability and possibilities of systematizing an approach in beekeeping with a focus on application of the principle of diversity as an organizational principle as a step to increasing the efficiency of bee farms and the quality of products. Their aim is to assess the viability of the use of diversity as a bees' conservation strategy in the context of global climate changes and social disturbances such – as globalization. We will synthesize current information about the effects of climate change on bees, give examples of social disruptions that have affected bees, and evaluate the possibilities and limitations of diversity-based approaches to conservation.

3. Methodology

The present review is focused on the analysis of documents and reports which are dealing with studies of the adaptation of bee communities to climate and anthropogenic changes. For this research, international scientific webs and field data were relied on. As part of this review, major scientific databases including Web of Science, Scopus and Google scholar were searched for relevant peer-reviewed journal articles, literature reviews and books. The search included the following phrases: “bees and climate change”, “global warming and the distribution of bee species”, “reasons for the declining numbers of pollinators”, “theories on prevention of further losses”, and so forth. Some of the articles included in this review also had their reference lists checked for similar studies of interest.

3. Main part

The type-variety principle is known as the deliberate synthesis of diverse elements. It includes systems, subsystems, components, technologies, materials of various types, models, algorithms, software components, etc., that can perform the same function but could have acted independently [6,7]. The interrelation and combination of these components prevents the probability of two failures due to a single cause and hence provides an efficient and qualitative way of solving the problems in design of reliable long-lasting systems, for example avoiding repetition of typical flaws, prognosis of defect, performance evaluation of the create products, the development of modern software and business processes etc.[6,7]. Most significantly, such a principle may be applied as a strategic plan in conserving the bee species as the world undergoes tremendous changes due to global warming and social unrest. One of the ways of dealing with rapid environmental alterations is to maintain the bee diversity together with its ecosystems as this creates the chances of the pollinators adjusting to the changing environments.

Climate change is likely the most pressing threat to the healthy state of bee populations around the globe leading to a slew of interrelated issues that, when combined, create a tenuous scenario. Scientific research reveals in recent times that the bees both wild and managed have come under extreme stress because of the changing climate[8]. Research highlights that, owing to anthropogenic actions, many insects, particularly bees, have their normal patterns of behavior, available habitats, and nutritional resources perturbed. In this respect, climate change acts as a stress multiplier, making the situation worse [8,9]. This threat is so severe that a recent study indicated bee populations in the U.S. are headed towards extinction by the year 2035 unless something is done to avert this [8]. Climate change has many effects on bees, including disruption of the synchrony of flowering plants with their pollinators, changes in temperature that affect winter dormancy and establishment of nests in spring or autumn, and changes in the climate which frustrate foraging and interactions among colonies[9]. Several factors are contributing to the visible impacts that climate change is having on bee populations including the relocation of colonies due to changing climates. Based on the SSP585 climate change scenario for the year 2070, nearly 65 percent of the 1365 bee’s species studied are anticipated to expand their ranges to areas of high climatic suitability. The number of these declines differ per continent [10]:

- Africa: 44 species will decline by an average of 51.4 percent [10].
- Asia: 27 species will decrease by 47 percent whereas 18 species will increase by 99 percent [10];
- Australia: 97 species will decrease by 28.4 percent, but 9 species will increase by 16.3 percent [10].
- Europe: 334 species will decrease by 56.7 percent; and 60 species will increase by 57.9 percent [10].
- North America: 331 species will decrease by 33 percent, while 366 species will increase by 48.2 percent [10].
- South America: 60 species will decline by 45 percent; 19 species will increase by 121.8 percent[10].

The anticipated reduction in climate suitability for most of the bee species seems to be in harmony with the previous estimations made on the effect of climate change on pollinators. Most of the bee hotspots are found in the arid, treeless zones which are indeed sensitive to nature in terms of climatic change. Although

loss of habitat remains the key factor in the reduction of pollinators, climate change is also an emerging threat as it shifts species distribution and disrupts plant-pollinator relations. Other noteworthy pollinators like butterflies, moths and murrets are also undergoing declines in number and they are pollinators too. In this case, the principle of diversity can be proposed as a strategy of conserving the bees in the occurrence of global warming. The strategies entail that keeping a variety of bee species, together with maintaining diversity of landscapes, enhances the resilience and adaptability of pollinators towards ecological changes. Promoting coexistence of different types of bee species with regards to temperature tolerance, foraging types, and nesting structures could be effective to conserve the ecosystems from climate change as well as habitat alterations [10]. If some species decrease in number, other species can take the same place in a community and do this biological job as well. By utilizing this principle, we can strengthen altering of several species of bees with diverse functions to promote transformation. Dispersed populations create a level of insurance against the unpredictability of warming and disruptive social changes as these can be made up for by the upsurge of some populations to lower levels of others.

Apart from the effects of climate change, which are hooked on many species including bees all over the world, they are facing albeit too serious odds from several social changes such as war, pollution and the use of pesticides. Such anthropogenic forces can result in very adverse impacts on bees and the environments that rely on them. Fighting forces, wars in general, and turmoil go along with the loss of flourishing ecosystems, alteration of pollinators and harmful effluents. The use of munitions and chemical agents, along with heavy machinery used for construction also have an immediate impact on bees and other pollinators whilst deleterious habitat change, and pollution has lasting impacts that affect the capacity of the bees and other pollinators to bounce back [11]. Industrialization and urban development, pollution caused by these facilities especially, are other threats to bees. Species of plants can be detrimental to the node if found in overpopulated ranges which are not beneficial to the ecosystem levels of reproduction and growth [12]. The nectar and pollen collected by bees can easily be contaminated by pathogens, pollutants and chemicals which can have consequences for the flowers they fertilize as well as the colony [1]. The usage of pesticides, in particular the extensive application of neonicotinoids and other systemic insecticides, has been named as one of the main contributors to the status of bees' populations across the globe [3]. These chemicals operate at both lethal and sub lethal thresholds; these thresholds extend the possibility of impaired navigation, learning and immune function, ultimately causing the bees to be more vulnerable to illnesses and parasites [13]. Alternatively, even low doses if taken on a long-term basis can cause other levels of population movement, including colony collapse disorder [14]. All these social disruptions, as well as climate change, habitat destruction, and other pressures, complicate and challenge bee conservation initiatives. Addressing these requires extensive strategies that include but are not limited to reduction of pollution and pesticides, conservation and restoration of already existing natural ecosystems and promoting agriculture that aids diversity and health of pollinators. By focusing on the possible impacts of war or climate change on bees, it is evident the threat goes beyond climate change hence it subsists in making conservation needs abound. To safeguard the survival of these crucial pollinators and the ecosystems they sustain; it is apparent that there is a need for a holistic plan of action of dealing with the various anthropogenic threats to bees.

New frontiers in IT applications such as machine learning, computer vision and drones hold some potential in monitoring and averting the impacts of climate change on the populations of bees. Such technologies can assist in data gathering, identifying conservation gaps and formulating specific and appropriate conservation policies. A great deal of bee population monitoring research such as surveillance on temperature, humidity, activity and weather conditions have been targeted using machine learning techniques to develop predictive capabilities regarding threats on bee colonies[15]. Techniques of ML such as support

vector machines (SVMs) and Neural networks (NN) have also achieved high (>95%) accuracy in usage of apiary-oriented data for early detection of problems[15]. With computer vision, monitoring bee hives' status and growth targeting decreases in bee productivity is made easier with deep learning models like convolutional neural networks (CNNs). Technologies like DeepBee can be used for comb evaluation, while DeepWings can quantify bee dimensions so that even without operating on hives, it is still possible to monitor the condition of the colonies and any deformities. UAVs or drones provided with cameras and sensors can cover extensive areas for the purposes of mapping and reconnaissance of bee habitats and the changes in flowering plants, as well as possible threats like pesticide application or habitat degradation. Drones may also be used to help aim pesticide treatments to manage invasive and agricultural pests that endanger bee populations. The use of machine learning algorithms together with input from aerospace drones and satellites can be useful to anticipate and visualize the effect of climate change on species' distribution and interaction of pollinators with plants. Such models, such as Geo-ViT-LSTM, incorporate vision transformers that extract useful features pertaining to the environment from multi-sensor images which enhances the accuracy of species distribution modelling. IT can as well promote sustainable farming that enhances the wellbeing of the bee through appropriate usage of water, fertilizers, and pesticides based on drone images and ML's prediction[16]. That reduces inefficiency, reduces the exposure of bees to harmful substances, and supports ecosystem integrity. Despite the potential these technological solutions have, it is equally important to be aware of their constraints and possible sources of bias. Maintaining the reliability and diversity of training sets, and of course the building of explainable and versatile ML models, is still a work in progress. Joint efforts of ecologists, computer scientists, and relevant stakeholders are crucial in creating sustainable, responsible, and efficient IT solutions related to bee protection activities.

4. Conclusion

According to the SSP585 climate scenario, it is expected that in 2070 the majority of bee species studied will decline in regions of optimal climatic conditions, with nearly 65% of the species studied projected to be declining. The extent of this effect, however, has a continental pattern, being most pronounced in Africa and in Europe. Since the challenges related to climate change and habitat destruction may have severe effects on these important pollinators, targeted protective measures that consider the likelihood of some specific species and regions are very important. To maintain the provision of crucial ecosystem services by these organisms, it is necessary to conserve both the diversity of bees and the synchrony between plants and pollinators. The destruction of bee habitats through military activities can be exacerbated using heavy vehicles, bombs and chemical weapons as well as environmental pollution that remains for years or even decades. Industrialization and urbanization have come with pollution which poses a number of toxic substances to the bees as well as contaminants that impair their health, their performance of tasks and their ability to reproduce. Pesticide usage is a cause for concern, notably neonicotinoids along with other systemic insecticides, which have also led to a steady decrease in the number of bees hence its insubordinate use effect yes and lead to population level effects such as colony collapse disorder. Addressing these threats requires an integrative and synergistic approach with systematic reduction of pollution and pesticide use, conservation and rehabilitation of critical ecosystems, and promotion of pollinator-friendly agriculture. Convergence theory will allow a better understanding of the interactions between social systems and environmental factors such as climate change leading to more effective conservation efforts for bees and the ecosystem services they ensure. Our hope to secure these key pollinators and the biodiversity they harbor rests solely on an integrated response to these multiple anthropogenic pressures. The principle of diversity provides an encouraging framework for bee conservation efforts in the times of oppositional global challenges. By addressing diversity from various levels such as genes, species and ecosystems, the resilience of pollinator communities can be enhanced and their important functions sustained.

Such a multi-faceted approach, together with strategies that deal with the causes of bee decline, is what is needed for the comprehensive protection of these important insects and their ecological associates. In conclusion, information technology has great potential when it comes to study, prognosis, and counteracting the consequences of climatic change impact on bees. With the assistance of ML, CV, UAVS, and remotely sensed data sets, it is possible to formulate focused conservation measures and promote better practices. Nonetheless, such technologies should be designed and used alongside field-based studies, indigenous knowledge, and strategies that deal with the determinants of the bee decline phenomena. Both technology and social action need to be harnessed in the fight to conserve these important pollinators in the context of climate crisis.

References:

1. *Why bees are essential to people and planet.* (2022, May 18). <https://www.unep.org/news-and-stories/story/why-bees-are-essential-people-and-planet>
2. Stringer, L. C., Fraser, E. D. G., Harris, D., Lyon, C., Pereira, L., Ward, C. F. M., & Simelton, E. (2020). Adaptation and development pathways for different types of farmers. *Environmental Science & Policy*, *104*, 174–189. <https://doi.org/10.1016/j.envsci.2019.10.007>
3. World Bank. (2009). *The Social Dimensions of Climate Change: Equity and Vulnerability in a Warming World* (R. Mearns & A. Norton, Eds.). The World Bank. <https://doi.org/10.1596/978-0-8213-7887-8>
4. International Conference Socioecos 2024. Climate change, sustainability and socio-ecological practices. (2024). *International Conference Socioecos 2024*. International Conference Socioecos 2024, Bilbao.
5. Sieck, M., Ibisch, P. L., Moloney, K. A., & Jeltsch, F. (2011). Current models broadly neglect specific needs of biodiversity conservation in protected areas under climate change. *BMC Ecology*, *11*(1), 12. <https://doi.org/10.1186/1472-6785-11-12>
6. Zaslavskiy, V. (2006). The type-principle in the study of complex systems with a high cost of failure. *Visnyk Taras Shevchenko National University of Kyiv. Military-Special Sciences*, *12–13*, 11–14.
7. Yailymova, H., Zaslavskiy, V., & Yang, H. (2017). Models and methods in creative computing: Diversity and type-variety principle in development of innovation solutions. *Proceedings - 14th International Symposium on Pervasive Systems, Algorithms and Networks, I-SPAN 2017, 11th International Conference on Frontier of Computer Science and Technology, FCST 2017 and 3rd International Symposium of Creative Computing, ISCC 2017, 2017-November*, 454–461.
8. Landaverde, R., Rodriguez, M. T., & Parrella, J. A. (2023). Honey Production and Climate Change: Beekeepers' Perceptions, Farm Adaptation Strategies, and Information Needs. *Insects*, *14*(6), 493. <https://doi.org/10.3390/insects14060493>
9. Cox-Foster, D., & DeGrandi-Hoffman, G. (n.d.). *Bolstering Bees in a Changing Climate*. <https://tellus.ars.usda.gov/stories/articles/bolstering-bees-changing-climate>
10. Rahimi, E., & Jung, C. (2024). Global Trends in Climate Suitability of Bees: Ups and Downs in a Warming World. *Insects*, *15*(2), 127. <https://doi.org/10.3390/insects15020127>
11. De Jong, D., & Lester, P. J. (2023). The global challenge of improving bee protection and health. *Frontiers in Bee Science*, *1*, 1118292. <https://doi.org/10.3389/frbee.2023.1118292>
12. Ullah, A., Tlak Gajger, I., Majoros, A., Dar, S. A., Khan, S., Kalimullah, Haleem Shah, A., Nasir Khabir, M., Hussain, R., Khan, H. U., Hameed, M., & Anjum, S. I. (2021). Viral impacts on honey bee populations: A review. *Saudi Journal of Biological Sciences*, *28*(1), 523–530. <https://doi.org/10.1016/j.sjbs.2020.10.037>
13. Albacete, S., Sancho, G., Azpiaz, C., Rodrigo, A., Molowny-Horas, R., Sgolastra, F., & Bosch, J. (2023). Bees exposed to climate change are more sensitive to pesticides. *Global Change Biology*, *29*(22), 6248–6260. <https://doi.org/10.1111/gcb.16928>
14. Le Conte, Y., & Navajas, M. (2008). Climate change: Impact on honey bee populations and diseases. *Revue Scientifique et Technique (International Office of Epizootics)*, *27*, 485–497, 499.
15. Astuti, P. K., Hegedüs, B., Oleksa, A., Bagi, Z., & Kusza, S. (2024). Buzzing with Intelligence: Current Issues in Apiculture and the Role of Artificial Intelligence (AI) to Tackle It. *Insects*, *15*(6), 418. <https://doi.org/10.3390/insects15060418>

16. O’Sullivan, B. (2021, November 2). *Drones as a Tool for Climate Change Mitigation and Adaptation*. https://ghe.uwo.ca/blog/posts/drones_as_a_tool_for_climate_change_mitigation_and_adaptation.html

მოდელებით მართვადი დეველოპმენტი და რევერსული პროგრამირება მართვის საინფორმაციო სისტემების ასაგებად

გია სურგულაძე, ბეჟან გელაძე, გულბაათ ნარეშელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
g.surguladze@gtu.ge; bejangeladze67@gmail.com; g.nareshelashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია მოდელებზე ბაზირებული და მოდელებით მართვადი დეველოპმენტის საკითხები, მათი ძირითადი დანიშნულებებისა და კონცეპტუალური განსხვავებების ჩათვლით. წარმოდგენილია ექსპერიმენტული შედეგები კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საფუძველზე რევერსული პროგრამირების გამოყენებით. შემოთავაზებულია ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემის ავტომატიზებული დაპროექტების და პროგრამული რეალიზაციის ამოცანა უნივერსიტეტის მაგალითზე, UML/Agile მეთოდოლოგიების კომპრომისული გამოყენების საფუძველზე. დიდი პროგრამული პროექტების აგების პროცესში ძალზე ეფექტურია CASE ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით უნიფიცირებული პროცესების მოდელირებისას ობიექტ-ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. ექსტრემალური პროგრამირების ან Scrum მეთოდების გამოყენებისას დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია, ამიტომ აქ UML დიაგრამების სრული გამოყენება არ ხდება. მხოლოდ ბიზნესპროცესის (Activity-D) ან კლასების დიაგრამის გამოყენებაა რეკომენდებული (სემანტიკური მიზნებისთვის), რაც კომპრომისულ გადაწყვეტილებად ითვლება. წარმოდგენილია უნიფიცირებული პროცესის რევერსული ასახვის („მოდელი <--> კოდი“) რეალიზაცია მაიკროსოფტის Visual Studio.NET Framework 2022 პლატფორმაზე. მაიკროსოფტის კორპორაცია აქტიურად აფართოებს Visual Studio.NET Core პლატფორმის ფუნქციონალობას ამ მიმართულებით, რაც დესკტოპ- და ვებ-აპლიკაციების სწრაფ და ხარისხიან დეველოპმენტს უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: პროგრამული აპლიკაცია. მოდელებით მართვადი დეველოპმენტი. UML. Agile. პროექტირების ავტომატიზაცია, პროგრამირების ავტომატიზაცია. რევერსული პროგრამირება.

1. შესავალი

მოდელებით მართვადი დეველოპმენტი (Model driven development) ახორციელებს საკვლევ სისტემის მოთხოვნების, სტრუქტურისა და ქცევის ვიზუალურ მოდელებში ასახვას. ისინი შემდეგ გარდაიქმნება შესრულებად კოდში. ასეთი ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს ხელით ან ავტომატურად (CASE ინსტრუმენტებით). ძირითადი ცნებები ტრიალებს მოდელების, მეტამოდელებისა და კოდის გენერირების გარშემო [1,2].

სისტემა, ზოგადად გამოისახება სტრუქტურით და ქცევით (იხ. სისტემების ზოგადი თეორია, ნაწილობრივ მოწესრიგებული სისტემები და სხვ.) [3]. სისტემები, მათი კლასიფიკაციის თვალსაზრისით, იყოფა მარტივ ან რთულ და მცირე ან დიდ სისტემებად.

ზოგადად, სისტემა აღიწერება მოდელით

$$S = \langle M, f \rangle,$$

სადაც M – მოდელის ინფორმაციული მატარებელია, ხოლო f – მოდელის ფუნქციონალური სიგნატურა.

ამგვარად, სისტემა ხასიათდება მისი სტრუქტურული მოდელით (S_m – Structural model) და ქცევითი მოდელით (B_m – Behavioral model) [4,5]. სისტემების ზოგადი თეორიის საფუძველზე, მოდელების სემანტიკის გათვალისწინებით, სისტემა აისახება შემდეგი სამეულით:

$$\langle B_m, S_m, P_0(B_m, S_m) \rangle$$

სადაც

$$P_0(B_m, S_m) = \begin{cases} 1, & \text{თუ არსებობს } B_m \rightarrow S_m \text{ გარდაქმნა} \\ & \text{მოდელების ინფორმაციების ელემენტებს} \\ & \text{შორის ცალსახა შესაბამისობის დროს;} \\ 0, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში.} \end{cases}$$

და რომელშიც B_m და S_m მოდელების ინფორმაციებს და სიგნატურებს აქვს ორი განსხვავებული ფიზიკური ინტერპრეტაცია მაინც. ესაა კონცეფცია იზომორფიზმების კანონის შესახებ.

$P_0(B_m, S_m)$ პრედიკატი განსაზღვრავს სისტემის დანიშნულებას, მის ფუნქციონალურ მთლიანობას (ემერჯენტულობას). გამოსახულებას

$$Sem = \langle B_m, S_m, P_0(B_m, S_m) \rangle$$

უწოდებენ სემანტიკურ მოდელს.

სისტემა *რთულია* თუ მისი სემანტიკური მოდელი ისეთია, რომ არ არსებობს ცალსახა დამოკიდებულება B_m და S_m მოდელების ინფორმაციებს შორის, რომლის დროსაც $P_0(B_m, S_m)$ პრედიკატი იქნებოდა ჭეშმარიტი. $B_m \rightarrow S_m$ გარდაქმნას, რომლის დროსაც $P_0(B_m, S_m) = 1$, ეწოდება სისტემის გამარტივება. B_m ყოფაქცევის მოდელის *ინფორმაციების გაფართოების* მინიმალურ $|\Delta M_b|$ სიმძლავრეს ან მისი *სიგნატურის შეკუმშვის* მინიმალურ $|\Delta P_{b_i}|$ სიმძლავრეს, რომლის დროსაც წარმოებს $B \rightarrow \tilde{B}_m$ გარდაქმნა და $P_0(\tilde{B}_m, S_m) = 1$, უწოდებენ სისტემის სირთულეს.

სისტემა არის *დიდი*, თუ მისი გამარტივების შედეგად შეუძლებელია სისტემის რეალიზაცია მოცემული გამოთვლითი რესურსების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა მცირეა.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ თუ ორი განსხვავებული ფიზიკური ინტერპრეტაციის მოდელი იზომორფულია, მაშინ, აბსტრაქტული თვალსაზრისით, საქმე გვაქვს ერთიდაიმავე სისტემასთან. ამასთანავე, ერთი სისტემისთვის შემუშავებული *პროგრამული უზრუნველყოფა* შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მეორესთვის (მცირე ადაპტაციით).

2. ძირითადი ნაწილი

სისტემების ზოგადი თეორიის საფუძველზე სისტემის დეკომპოზიციის (გამარტივების) განხილული საკითხი მისი სტრუქტურის და ქცევის მოდელების ბაზაზე აბსტრაქტულად (განზოგადებულად) აღწერს შესაბამის პროცესებს, რაც აისახება განსხვავებულ ობიექტებზე პროგრამული უზრუნველყოფის თავსებადობით იზომორფიზმის თვალსაზრისით.


ამჯერად განვიხილავთ რევერსული პროგრამირების ანუ „მოდელი <--> კოდის“ მიმართების ამოცანას დაპროექტების და დაპროგრამების პროცესების ავტომატიზაციის მიზნით.

რევერსული ინჟინერია (Reverse engineering in Programming) არის სისტემის დიზაინის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების ანალიზის და შემცენების პროცესი (მისი საბოლოო ფორმისგან უკან ხედვის გზით). იგი გულისხმობს ობიექტის ან პროგრამული უზრუნველყოფის დაშლას, რათა აღმოაჩინოს მისი შიგა პროცესები, თუ როგორ შეიქმნა იგი.

21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს მაიკროსოფტის კორპორაციამ განაცხადა ASP.NET პლატფორმაზე დაშენებული ახალი პროგრამული პლატფორმის შექმნის შესახებ. ამ


ტექნოლოგიაში გაერთიანებული იყო MVC (Model-View-Controller) არქიტექტურის ეფექტიანობა, Agile Development მიდგომის უახლესი იდეოლოგია, ASP.NET პლატფორმის საუკეთესო ნაწილები და სუფთა არქიტექტურის (CA) კონცეფცია (ნახ.1 და 2) [6].

მომხმარებელი ასრულებს მოქმედებას, საპასუხოდ აპლიკაცია ცვლის Data Model ობიექტს და მომხმარებელს უბრუნებს შეცვლილ View ობიექტს, შემდეგ ეს ციკლი ისევ მეორდება.



ნახ. 1. MVC


არქიტექტურა



ნახ. 2. დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები, სუფთა არქიტექტურა და MVC

მართვის საინფორმაციო სისტემების დასაპროექტებლად და ასაგებად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს ისეთი ფრეიმვორკების და მეთოდოლოგიების ინტეგრირებული და კომპრომისული გამოყენება, როგორც ITIL (Information Technology Infrastructure Library), COBIT-სტანდარტები, UML და Agile (ნახ.3) [7].

ჩვენი ამოცანის გადაწყვეტის პროგრამული აპლიკაციის რეალიზაციის მიზნით გამოკვლეულ იქნა მაიკროსოფტის პლატფორმა Visual Studio.NET 2022-ის რესურსები და შესაძლებლობები, კერძოდ, რევერსული „მოდელი-პროგრამა“ ავტომატიზებული აგების პროცესის კონცეფციისათვის. ქვემოთ განხილული გვაქვს კონკრეტული საპრობლემო სფეროს (უნივერსიტეტის) ერთი საილუსტრაციო მაგალითი.



ნახ. 3. პროგრამული სისტემების და IT-სერვისების მენეჯმენტის მეთოდოლოგიათა კვეთა

- OGC (Office of Government Commerce) - სახელმწიფო სავაჭრო პალატა (დიდი ბრიტანეთი),
- ISACA (Information Systems Audit and Control Association) - საინფორმაციო სისტემების აუდიტის და კონტროლის ასოციაცია (აშშ)

➤ **ექსპერიმენტული მაგალითი**

საჭიროა შეიქმნას დესკტოპ-პროგრამული პროექტი კლასებით: Student, Lector, Group, Acad_course და ა.შ., Visual Studio .NET Framework პლატფორმაზე. გამოყენებულ იქნება კლასთა ურთიერთკავშირის არსებული ტიპები: Inheritance, Association, Agregation და ა.შ.

მარტივად და უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ვაგებთ პროგრამული აპლიკაციის საილუსტრაციო ფრაგმენტს კლასების და შესაბამისი კოდების ავტომატიზებული გენერაციის პროცესის რევერსული (ორმხრივი მიმართულებით) გადაწყვეტით, ანუ „მოდელი – კოდი – მოდელი“. ძირითადი ბიჯები ასეთია:


- 1) ახალი პროექტის შექმნის საწყის ეტაპზე საჭიროა < C# Windows Desktop Console > -სთვის შევიდეთ “Install more tools and features” – ლინკით და Individual component-ში ჩავრთოთ ჩეკბოქსი Class Designer;
- 2) პროექტს მივანიჭოთ სახელი (მაგ., ConsoleApp_Revers). იგი გამოჩნდება Solution Explorer-ში;
- 3) შევქმნათ ახალი კლასი (Add -> Class)-ით და მივანიჭოთ სახელი (მაგ., Student). C# პროგრამის ტექსტში შევიტანოთ სტუდენტის ატრიბუტები (ნახ.4);

```

7 namespace ConsoleApp_Revers
8 {
9     public class Student
10    {
11        public int St_ID { get; set; }
12        public string Name { get; set; }
13        public string first_Name { get; set; }
14        public string Gender { get; set; }
15        public int Age { get; set; }
16        public int Nom_Gr { get; set; }
17    }
18 }
    
```

ნახ. 4. C# კოდი Student კლასისთვის

4. Solution Explorer-ში Student-კლასის კონტექსტური მენიუდან კლასების დიაგრამის გამოსატანად ვირჩევთ View Class Diagram-ს (ნახ.5).




ნახ. 5. Student-ის C# კოდის შესაბამისი კლასის მოდელის გამოტანა ეკრანზე

Student-კლასის მოდელის (დიაგრამის) და მისი C# კოდის ერთდროულად ხილვადობისათვის ვიყენებთ კონტექსტ-მენიუს ჩანართს New Vertical Document Group (შედეგი - ნახ.6).

ახალი კლასის დამატება, ან კლასის თვისებების შეცვლა შესაძლებელია როგორც დიაგრამიდან (მოდელიდან), ასევე კოდიდან და კლასის დეტალების (Class Details) ფანჯრიდან.

3. დასკვნა

დიდი პროგრამული პროექტების აგების პროცესში ეფექტურია CASE ინსტრუმენტების გამოყენება, განსაკუთრებით UML/Agile მეთოდოლოგიების კომპრომისული გადაწყვეტით, ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების საფუძველზე.



ნახ. 6. Student: კლასი (მოდელი) და პროგრამა (კოდი) VS.NET პლატფორმაზე

ექსტრემალური პროგრამირების ან Scrum მეთოდების გამოყენებისას დამკვეთის ცვლადი მოთხოვნების გათვალისწინება და დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია. შემუშავებულია უნიფიცირებული პროცესის რევერსული ასახვის („მოდელი <-> კოდი“) რეალიზაციის საილუსტრაციო აპლიკაცია Ms Visual Studio.NET Framework 2022 პლატფორმაზე.

ლიტერატურა – References:

1. სურგულაძე გ. კორპორაციის ავტომატიზებული სამუშაო ადგილების ქსელის აგების ტექნოლოგია (პირველი ქართული ERP სისტემა). ISBN 978-9941-8-5109-4, მონოგრაფია. სტუ-ს „IT-კონსალტინგ სამეცნიერო ცენტრი“. თბ., 2023, - 331 გვ.
2. სურგულაძე გ., ბიტარაშვილი მ., გელაძე ბ., ნარემელაშვილი გ., შურღია ი. რევერსული პროგრამირების CASE მეთოდი საინფორმაციო სისტემების ო-დაპროექტების პროცესის სრულყოფისათვის. სტუ-ის შრ.კრ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, N1(37), 2024. გვ. 115-121. DOI.org/10.36073/1512-3979
3. Берталанфи Л. фон. Общая теория систем – критический обзор. Исследования по общей теории систем: Сб. переводов / Общ. ред. и вст. ст. В.Н. Садовского и Э.Г. Юдина. – М.: Прогресс, 1969. С. 23–82. https://grachev62.narod.ru/bertalanffy/bertalanffy_1.html
4. Gorbатов V.A. Theory of partially ordered systems. Moscow. “SRadio”, 1976. -334 p.
5. ჩოგოვაძე გ., სურგულაძე გ., ქაჩიბაია ვ. შესავალი მონაცემთა ბაზების სისტემების თეორიაში. სპი, „საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი. თბ., 1985. 59 გვ.
6. სურგულაძე გ., ჟვანია თ., კვიციანი ნ., ქობულაშვილი ს. Web-აპლიკაციის აგების ტექნოლოგია მიკროსერვისული არქიტექტურით. ISBN 978-9941-8-6333-2, მონოგრაფია. სტუ-ს „IT-კონსალტინგ სამეცნიერო ცენტრი“. თბ., 2022, - 302 გვ.
7. სურგულაძე გ., ურუშაძე ბ. საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება (BSI, ITIL, COBIT). ISBN 978-9941-20-458-6. სტუ. „ტექნიკ.უნივერს.“, თბ., 2014 -345 გვ.

Model-driven Development and Reverse Programming for Perfecting the OO-Design Process of Management Information Systems

Gia Surguladze, Bezhan Geladze, Gulbaat Nareshelashvili

Georgian Technical University

g.surguladze@gtu.ge; bejangeladze67@gmail.com; g.nareshelashvili@gtu.ge

Abstract

Model-based and model-driven development issues are discussed, including their main purposes and conceptual differences. Experimental results based on the solution of specific problems using reverse programming are presented. The problem of computer-aided design and software implementation of an organizational management information system is proposed on the example of a university, based on the compromise use of UML/Agile methodologies. In the process of building large software projects, the use of CASE technologies is very effective, especially when modeling unified processes based on an object-oriented approach. When using extreme programming or Scrum methods, the time factor is important, so UML diagrams are not fully used here. Only using a business process (Activity-D) or class diagram is recommended (for semantic purposes), which is considered a compromise decision. An implementation of a unified reverse mapping process (“model <--> code”) on the Microsoft VisualStudio.NET 2022 platform is presented. Microsoft Corporation is actively expanding the functionality of the Visual Studio.NET Core platform in this direction, which promotes fast and high-quality development of desktop and web applications.

Keywords: software application. Model-driven development. UML. Agile. Design automation. Programming automation. Reverse programming.

ინტერაქტიური და მულტიმედიური საშუალებების გამოყენება სწავლებაში

ნინო ხუჯაძე¹, ზურაბ ზაქარაძე²

1-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2-ბათუმის N 6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

aninia82@mail.ru, kancelaria6@gmail.com

რეზიუმე

ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს სწავლებაში გამოყენებული ინტერაქტიური და მულტიმედიური საშუალებები. მულტიმედიური ინფორმაცია ახდენს ეფექტურ ზემოქმედებას იმ მსმენელზე, ვისთვისაც იგი არის განკუთვნილი და ჩვენ შემთხვევაში ეს მსმენელია მოსწავლე ან სტუდენტი. მულტიმედიური ინფორმაცია ერთდროულად მიეწოდება, მსმენელის, როგორც მხედველობით ასევე სმენით ორგანოებს და იწვევს მის ემოციოგენურ აღზნებას.

საკვანძო სიტყვები: ინტერაქტიური საშუალებები, მულტიმედიური საშუალებები, მულტიმედიური ინფორმაცია, სასწავლო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროცესი.

1. შესავალი

მულტიმედიური ინფორმაცია ერთდროულად ახდენს ეფექტურ ზემოქმედებას სტუდენტის, მოსწავლის, როგორც სმენით ასევე მხედველობით შეგრძნებაზე; სასწავლო ინფორმაცია ეფექტურ ზემოქმედებას ახდენს სტუდენტის, მოსწავლის ემოციურ სფეროზე; სასწავლო ინფორმაცია ადვილად აღიქმება და დამახსოვრდება; სასწავლო ინფორმაცია ადვილად

და კომპაქტურად ინახება კომპიუტერის, როგორც გარე ასევე შიგა მეხსიერებაზე; სასწავლო ინფორმაციის განთავსება ნოუთბუკზე ან ინტერნეტში აღწევს მაქსიმალურ მობილურობას; სასწავლო ინფორმაციის აქტუალიზება (ცვლილებების შეტანა, განახლება) ხდება სწრაფად და უპრობლემოდ.

გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ საგანმანათლებლო პროცესში მულტიმედიის გამოყენების პრაქტიკას აქვს მზარდი ტენდენცია. ახალი ტექნიკური საშუალებები, მაგალითად მულტიმედიური ინტერაქტიური დაფები, რომელსაც თავისი ფუნქციური შესაძლებლობებით „ჭკვიანი“ დაფებიც კი უწოდეს, უკვე სწავლის ეფექტურ და მძლავრ ინსტრუმენტულ საშუალებებად არის აღიარებული. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი პრაქტიკის მქონე პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილეს ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე. კერძოდ, სასწავლო მასალის მულტიმედიური მიწოდების გადამეტებამ ანუ ზედმეტი დოზით მიწოდებამ გამოიწვია სტუდენტების, მოსწავლეების მიერ შესასწავლი მასალის არასიღრმისეული ანუ ზედაპირული შეთვისება [1].

2. ძირითადი ნაწილი

როცა ვამბობთ, რომ მულტიმედიური საშუალებების გამოყენების არასრულფასოვნებას ადგილი აქვს პედაგოგების მხრიდან, ვგულისხმობთ შემდეგს - პედაგოგთა ზოგი ნაწილი სასწავლო მასალას ამზადებს სლაიდ-ჩვენებების საშუალებით, სადაც შეაქვს მთლიანი ტექსტები და ლექციის დროს აკეთებს მის დემონსტრირებას კითხვის წესით, რაც არადასაშვებად მიგვაჩნია. ამ დროს მასალის მიწოდება ხდება დაბალი ხარისხით, პედაგოგები თავს არიდებენ ზედმეტ მუშაობას და არ ხდება მათი პედაგოგიკური პოტენციალის გამდიდრება. გარდა ამისა, სტუდენტები, მოსწავლეები სხედან უმოქმედოდ და კმაყოფილდებიან მასალის მოსმენით და ეკრანზე გამოტანილი ტექსტების, ნახაზების ან ფორმულების შეხედვით, რასაც სწორედ რომ ზედაპირული ცოდნის შეძენასთან მივყავართ. ამ დროს ხდება ინფორმაციის გადატანა სტუდენტის სენსორული მეხსიერებიდან მხოლოდ მოკლევადიან მეხსიერებაში (ზედაპირული დამახსოვრება) და შემდგომში მას აღარ ეძლევა გზა გძელვადიანი მეხსიერებისაკენ, რომელიც განაპირობებს შესასწავლი მასალის სიღრმისეულ დამახსოვრებას

სლაიდ-ჩვენებები პედაგოგმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ მასალის იმ ნაწილისათვის, რომელსაც იგი ადრე ასრულებდა დაფაზე ცარცის გამოყენებით, ან წინასწარ მომზადებული თვალსაჩინოებით - ე.წ. პლაკატებით. სლაიდ-ჩვენებები ძირითადად უნდა შეიცავდეს ლექციის მსვლელობის სტრუქტურის სქემატურ ნაწილს. სლაიდ-ჩვენება არ უნდა გავაიგივოთ ელექტრონულ სახელმძღვანელოებთან და საწვრთნელებთან (ტრენაჟორები), რომელსაც სულ სხვა დანიშნულება აქვს, ვიდრე სლაიდ-ჩვენებას. სლაიდ-ჩვენება პედაგოგმა უნდა მიმართოს იმ დროის დაზოგვისა და ეფექტურად გამოყენებისაკენ, რომელსაც იგი ჰკარგავდა ტრადიციული თვალსაჩინოების გამოყენების პროცესში.

ლექციის მულტიმედიური მსვლელობის დროს, თუ სტუდენტი არ ჩაიწერს ძირითად მომენტებს, არ გამოჰყოფს და არ დააფიქსირებს თავისი ხელით უმთავრეს ინფორმაციას, ის ადვილად დაივიწყებს მას. მულტიმედიური ლექციის დროს ყველაზე აუცილებელია, არა

მხოლოდ სლაიდ-ჩვენებების შეხედვა და მასზე თანდართული ტექსტების მოსმენა, არამედ ინტერაქტიური ურთიერთქმედების რეალიზება.

იმის მიხედვით თუ რა სახის სენსორული მოდალოება (ინფორმაციის აღქმის ძირითადი არხი) გააჩნია მსმენელს, შედეგად ზოგი მსმენელი უკეთესად ითვისებს ვიდეოინფორმაციას (ვიზუალური სენსორიკა), ზოგისთვის მნიშვნელოვანია ხმა (აუდიო სენსორიკა), ზოგიერთს კი ინფორმაციის უკეთესად ათვისებისათვის აუცილებლად სჭირდება კუნთების აქტიურობა (კინესტეტიკები). სასწავლო მულტიმედია კურსის (სმკ-ს) საფუძველს წარმოადგენს მისი ინტერაქტიური ნაწილი, რომლის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე. ეს არის: ელექტრონული სახელმძღვანელო, ელექტრონული საძიებელი, ტრენაჟორის კომპლექსი (კომპიუტერული მოდელები, კონსტრუქტორები და ტრენაჟორები), ამოცანათა კრებული, ელექტრონული ლაბორატორიული პრაქტიკუმი, კომპიუტერული სატესტო სისტემა.

ინტერაქტიური მულტიმედია საშუალებების სალექციო მასალის პროექტირების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ მის ინფორმაციულ უზრუნველყოფას. განათლების თანამედროვე სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი იქნება უმაღლესი სასწავლებლების გადასვლა ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე, სადაც ძირითადი ვექტორი მიმართულია ახალი ინფორმაციული (კომპიუტერული) ტექნოლოგიების (აიტ) გამოყენებაზე. მომხმარებლის მომსახურებაში მთავარი იქნება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული სამუშაოს შესაძლებლობების გაფართოება. სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო ბიბლიოთეკების აიტ-ის ერთერთი შემადგენელი ნაწილი გახდება ხარისხობრივად (თვისობრივად) ახალი ქვეგანყოფი - მედიათეკა, რაც ფაქტობრივად და შინაარსობრივად სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონული ბიბლიოთეკა.

საინფორმაციო მედიათეკა (Information Library - ელექტრონული ბიბლიოთეკა) არის გარემო, სადაც მომხმარებელს შეეძლება კომფორტულად და ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა საინფორმაციო რესურსები (ბეჭდური გამოცემები და ფურცლოვანი მასალები, აუდიო- და ვიდეო-მონაცემები, მანქანით /კომპიუტერით/ წაკითხვადი ინფორმაცია), რომლებიც იმყოფება, როგორც ამ ბიბლიოთეკაში ასევე მის ფარგლებს გარეთ [2]. საინფორმაციო მედიათეკის კონცეფცია გულისხმობს კომპლექსურ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს მკითხველთა დარბაზის, არატრადიციული ინფორმაციის მატარებლების ფონდის და ნებისმიერი სახის ინფორმაციის მატარებლების საინფორმაციო ცენტრის ფუნქციას. საინფორმაციო მედიათეკის ყველა კომპიუტერი გაერთიანებულია ლოკალურ ქსელში, რომლის სერვერიც იმყოფება უშუალოდ მედიათეკაში. მედიათეკის სერვერი შეერთებულია ბიბლიოთეკის სერვერთან, რომელიც, თავის მხრივ, შეერთებულია უმაღლესი სასწავლებლის საერთო ქსელში. მას აქვს საკუთარი საიტი და, შესაბამისად, მაღალსიხშირიანი გასასვლელი ინტერნეტში. აქ ფორმირებული რესურსები კომპლექტურ ოპტიკურ დისკზე, აუდიო და ვიდეო-კასეტებზე მისაწვდომია მედიათეკის ყველა მომხმარებლისთვის. საინფორმაციო მედიათეკის თანამშრომლები იძლევიან საშუალებას, რომ მომხმარებლებმა დამოუკიდებლად მოიძიონ საჭირო საინფორმაციო რესურსი, აწვდიან სხვადასხვა გვარის საინფორმაციო მომსახურებას, უწევენ კონსულტირებას მედიათეკაში არსებული მრავალგვარი (მათ შორის ადგილობრივი გენერაციის) რესურსებთან მუშაობისას. მედიათეკაში შეკრებილია ტრადიციული საცნობარო და პერიოდული გამოცემის მასალები, მანქანით კითხვადი მასალების ფართო ასორტიმენტი, მონაცემთა ბაზები (მბ), მრავალფეროვანი აუდიო, ვიდეო და მულტიმედია მონაცემები,

რომელთან წვდომაც შესაძლებელია როგორც უშუალოდ მედიათეკაში, ასევე, დარბაზში დაყენებული კომპიუტერების მეშვეობით, ინტერნეტშიც.

სტუდენტების მხრიდან საინფორმაციო მასალების ეფექტური გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები არა მხოლოდ კარგად ფლობენ კომპიუტერს და სათანადო პროგრამებს, არამედ იციან მუშაობა ბიბლიოთეკაში და ბიბლიოგრაფიული მონაცემების გამოყენება. ეს დაეხმარებათ მათ არა მხოლოდ დამოუკიდებლად გამოიყენონ ბიბლიოთეკის საცნობარო-სადიებო აპარატი, არამედ რეფერატების, საკურსო საკონტროლო ნაშრომების სადიპლომო შრომების შესრულებისას სწორად შეადგინონ გამოყენებული ლიტერატურის (წყაროების) სიები. შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ელექტრონული სახელმძღვანელო და, ამავდროულად, საცნობარო კრებული, რომელიც მისცემს მომხმარებლებს შესაძლებლობას დამოუკიდებლად ინტერაქტიურად შეისწავლონ მოცემული პრობლემები და მიიღონ პასუხები გაცილებით ხშირად წარმოქმნილ შეკითხვებზე. იშვიათად წარმოქმნილი შეკითხვებზე პასუხების ძებნის ორგანიზებას ოპერატიულად მოაგვარებენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყველასათვის ღია ელექტრონული კონფერენციის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საიტზე.

რაც შეეხება ინტერაქტიური ტექნოლოგიების გამოყენების არეალს იგი საგანმანათლებლო სისტემაში დღით-დღე სწრაფი ტემპით იზრდება და განიცდის მუდმივ სრულყოფას. ეს საფუძვლიანი პროცესია, რადგან ინტერაქტიური მოდელების უპირატესობა თვალნათელია, იგი იძლევა მოსწავლისა და მასწავლებლის აქტიური ურთიერთობის და კოლექტიური მუშაობის სტიმულს, მისი გამოყენება მარტივია, მასთან მუშაობა სახალისო და საინტერესოა; აქვს მულტიმედიური მოდელების, ტექსტების, გრაფიკების, აუდიო-ვიდეო მასალების, ცხრილების, ტექსტების და სხვ. ფაილების ერთ დანართად გამოყენების მაღალი შესაძლებლობა. გარდა ამისა, ინტერაქტიური მოდელების აპარატურის პროგრამული უზრუნველყოფა თავისი უნივერსალური ბუნების მეშვეობით თავსებადი და ადვილად გამოყენებადია ყველასათვის უკვე კარგად ცნობილ საოფისე და ოპერაციულ სისტემებთან.

ინტერაქტიური სწავლება, როგორც ინოვაციური შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა არის დიალოგი, რომელიც მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს (პროფესორსა და სტუდენტს) შორის აქტიური ურთიერთობის სქემით, სადაც გამორიცხულია რომელიმე მხარის დომინირება. ცხადია, ასეთი ფორმით ერთობლივ საქმიანობაში სტუდენტების (მოსწავლეების) ჩართვა ნაყოფიერად მოქმედებს მათ ინდივიდუალურ აქტივობაზე, რომელიც არის ლექციის (გაკვეთილის) მასალის ხარისხიანი გაგების და აღქმის პირველი და მნიშვნელოვანი ბიძგი.

3. დასკვნა

დავასკვნით, რომ სასწავლო მულტიმედიური ინფორმაციის მომზადება და მიწოდება მოითხოვს დიდაქტიკურ მიდგომას, რაც მხოლოდ მეცნიერული კვლევებისა და ანალიზის საშუალებით შეიძლება მოხერხდეს.

ლიტერატურა:

1. Коджаспирова Г.М., Петров К.В. Технические средства обучения и методика их использования: Уч. пособие для студентов высших учебных заведений. М.: Изд. центр. "Академия", 2001.
2. ხუჯაძე ნ., იასინ ასლან. ინტერაქტიური ტექნოლოგიების გამოყენების არეალი საგანმანათლებლო სისტემაში. მოხსენებათა თეზისები. III საერთაშორისო-სამეცნიერო

კონფერენცია: კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. ბათუმი, 2014.

Use of interactive and multimedia tools in teaching

Nino Khujadze¹, Zurab Zakaradze²

1-Batumi Shota Rustaveli State University

2-Batumi N 6 Public School of Physics and Mathematics

aninia82@mail.ru, kancelaria6@gmail.com

Abstract

The subject of our discussion is interactive and multimedia tools used in teaching. Multimedia information has an effective impact on the listener for whom it is intended, and in our case this listener is a pupil or student. Multimedia information is delivered simultaneously to the listener's visual and auditory organs and causes emotional arousal.

Key words: interactive means, multimedia means, multimedia information, educational information, educational process.

ავტომატიზაცია და მართვა ლოგისტიკაში, ციფრული ლოგისტიკა, ტენდენციები და შესაძლებლობები

ლიანა ყანჩაველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

kanchaveliliana08@gtu.ge

რეზიუმე

დიგიტალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლოგისტიკაზე და სხვა დაკავშირებულ ინდუსტრიებზე, როგორცაა საცალო და ონლაინ ვაჭრობა. Covid-19-ის გამო მიწოდების გლობალურმა გამოწვევებმა დააჩქარა ინოვაციების ტემპი და ხაზი გაუსვა ინდუსტრიის მომგებიანობის აღდგენის გადაუდებელ აუცილებლობას. ვინაიდან Covid-ის ჩაკეტვამ და სხვა გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა გლობალურ სისტემაზე და მრავალი საქონლის მიწოდების ჯაჭვზე, ლოგისტიკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიაში. ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ბიზნესს გაზარდონ ეფექტურობა, გაზარდონ შემოსავალი საოპერაციო საფრთხეების შემცირებით და მნიშვნელოვნად შეამცირონ ხარჯები. ისინი საშუალებას გაძლევენ მარტივად და ზუსტად მართოთ გადაზიდვები და თვალყური ადევნოთ გადაზიდვებს, რაც აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და კმაყოფილებას.

ბევრი კომპანია უკვე იყენებს საწყობის მართვის სისტემებს ინვენტართან, რესურსებთან მუშაობის ავტომატიზაციისთვის, საქონლის მზარდი მოცულობის, შენახვის ოპტიმიზაციისა და შეკვეთების შესრულების დასაჩქარებლად. თუმცა, არასტაბილური პერიოდის განმავლობაში, ცალკეული, ავტონომიური პროცესები ვერ უზრუნველყოფენ მიწოდების ჯაჭვების სტაბილურობას, თუნდაც ავტომატიზებული. კომპანიებს სჭირდებათ გამჭვირვალობა-ხილვადობა მათი მიწოდების მთელი ჯაჭვის პროცესში, რათა სწრაფად იპოვონ და მოაგვარონ პრობლემები.

ავტომატიზაციის მთავარი ამოცანაა ინფორმაციის, ენერჯისა და მასალის მიღების, სარგებლობის, გადაცემის, გარდაქმნის პროცესში მონაწილეობისგან ადამიანის მთლიანად ან ნაწილობრივ გასათავისუფლებლად, ტექნიკური საშუალებების, ეკონომიკურ-მათემატიკური

მეთოდებისა და მართვის სისტემების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ავტომატიზაცია, მართვის სისტემები, ინტეგრატორები, ციფრული ლოგისტიკა

1. შესავალი

ციფრული ლოგისტიკა ეს არის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების მართვა მათი ოპტიმიზაციის საფუძველზე, დანახარჯების მინიმიზაციის, პრობლემის გადაჭრა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ქვეყნების ტერიტორიების დაკავშირება და საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია ციფრული ეკონომიკის მთავარი ფაქტორია.

მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი წარმოების რესტრუქტურის მთავარი ფაქტორია ციფრული ეკონომიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2007 წელს მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ვაჭრობის განყოფილებამ, ფინეთის ქალაქ ტურკუს უნივერსიტეტთან ერთად, პირველად შეიმუშავა ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი (Logistics Performance Index - LPI) სხვადასხვა ქვეყნებში ლოგისტიკური სისტემის განვითარების დონის შეფასებისათვის.

ლოგისტიკის ეფექტიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

- საბაჟო და სასაზღვრო გაფორმების ეფექტიანობა (customs); შეფასება: „ძალიან დაბალი“ (1) - „ძალიან მაღალი“ (5);
- სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი (infrastructure); შეფასება: „ძალიან დაბალი“ (1) - „ძალიან მაღალი“ (5);
- კონკურენტუნარიან ფასებში საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების სიმარტივე (international shipments); შეფასება: „ძალიან რთული“ (1) - „ძალიან მარტივი“ (5);
- ლოგისტიკური მომსახურების კომპეტენტურობა და ხარისხი (logistics competence and quality); შეფასება: „ძალიან დაბალი“ (1) - „ძალიან მაღალი“ (5);
- გზაწილებზე თვალყურის დევნებისა და კვალდაკვალ მიყლის შესაძლებლობა (tracking & tracing); შეფასება „ძალიან დაბალი“ (1) - „ძალიან მაღალი“ (5);
- მიწოდების დაგეგმვით ან მოსალოდნელ ვადებში მიმღებამდე გზაწილების მიტანის სიხშირე (timeliness); შეფასება: „ძალიან იშვიათად“ (1) - „ითიქმის ყოველთვის“ (5).
- ფაქტიურად ეს გახლავთ ქვეყნის სავიზიტო ბარათი, თუ როგორი დინამიურია და ეფექტური ქვეყნის სტრატეგიული ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკის ინდუსტრია.
- ტრანსპორტი და ლოგისტიკური სისტემები (მაკრო, მიკრო და მეტა ლს) ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორებია

დინამიური ღია ბიზნეს სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ლეგალურად დამოუკიდებელი საწარმოების მიერ ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირებაზე, მათი ტექნოლოგიური რესურსების გაზიარების მიზნით, პროექტის განხორციელებაზე მუშაობის ყველა ეტაპის განსახორციელებლად (მომხმარებლის შეკვეთა) პირველადი ნედლეულის წყაროებიდან. პროდუქციის საბოლოო მომხმარებლისთვის გადაცემამდე. ეს უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანი ციფრული სატრანსპორტო სივრცის ჩამოყალიბებას, ქვეყნის სატრანსპორტო კომპლექსის კონკურენტუნარიანობის გაზრდას გლობალურ ბაზარზე, გლობალურ სატრანსპორტო სივრცეში ინტეგრაციის უზრუნველყოფას ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის რეალიზებით, მათ შორის მულტიმოდალური ტრანსპორტით, ტრანსპორტისა და

ლოჯისტიკური სერვისების გეოგრაფიული და ფასის ხელმისაწვდომობის გაზრდას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეფექტურობას, ტრანსპორტის ჰუმანიტარული ხასიათს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სოციალურ როლს.

1. ლოჯისტიკის ავტომატიზაცია

რა არის ლოჯისტიკის ავტომატიზაცია, რატომ არის მნიშვნელოვანი ლოჯისტიკის ავტომატიზაცია? როგორია ინდუსტრიის ტენდენციები. ლოჯისტიკის ავტომატიზაციის ძირითადი მნიშვნელობა და სარგებელი ბიზნესისთვის, ბარიერები ეფექტური ცვლილებებისთვის, ხუთი საუკეთესო ლოჯისტიკური ავტომატიზაციის სისტემა, რომელიც დღეს შეიძლება განხორციელდეს, სად დავიწყეთ ბიზნესის ავტომატიზაცია?

როგორ მოვახდინოთ ლოჯისტიკური პროცესების ავტომატიზაცია Jmix-ის გამოყენებით?

ეს ხშირად დასმული კითხვებია ლოჯისტიკის ავტომატიზაციის შესახებ.

რა არის ლოჯისტიკის ავტომატიზაცია?

The current Government program defines the digital transformation of state and local government as a priority. This has significantly affected the implementation of GovTech and based on that, specific commitments were made on the development of platforms for the delivery of digital services, interoperability of information systems, and introduction of new tools for efficient public administration. The Government actions plan for 2019-2023 which defines actions towards the creation and development of electronic systems, and digitization of government functions (e-justice, e-health, e-social protection, e-notification), is in line with Sustainable Development Goals. The strategy outlines 5 pillars for digitalization: cybersecurity, data policy, infrastructure: broadband internet and government cloud services, education: digital skills, and legislation. Sectoral strategies and action plans address digital transformation issues and identify the vision of transformation in specific fields, such as the Judicial and Legal Reform Strategy, which identified the establishment of an e-justice system, digital archives, and modernization of existing electronic systems as the main strategic directions [3]. It should be stated that there are no special e-government strategies formulated for sub-national level digitization yet, however, the development of GovTech solutions for self-government bodies is emphasized in the Digitization Strategy for 2021-2025. The new e-justice holistic concept covers the sub-national level as well. (from RoA sources).

The suggestion is to implement also the below listed Generic Models:

- Broadcasting / Wider-Dissemination Model / The model is based on broadcasting or dissemination of useful governance information that already exists in the public domain into the wider public domain through the use of ICT and convergent media.

- Critical Flow Model / The model is based on broadcasting or disseminating information of 'critical' value (which by its very nature will not be disclosed by those involved with bad governance practices) to a targeted audience using ICT and convergent media. . The targeted audience may include, the media, opposition parties, the judicial bench, independent investigators, or the wider public domain itself.

- Comparative Analysis Model / The model is one of the least-used but a highly significant model for developing countries which is now gradually gaining acceptance. The model can be used to empower people by matching cases of bad governance with those of good governance and then analyzing the different aspects of bad governance and its impact on the people.

- E-Advocacy/ Lobbying and Pressure Group Model / The model is one of the most frequently used Digital Governance models and has often come to the aid of the global civil society to impact global decision-making processes. The model is based on setting up a planned, directed flow of information to build strong virtual allies to complement actions in the real world. Virtual communities are formed that share similar values and concerns, and these communities in turn link up with or support real-life groups/ activities for concerted action. The model builds the momentum of real-world processes by adding the opinions and concerns expressed by virtual communities.

- Interactive-Service Model / The model is a consolidation of the earlier presented digital governance models and opens up avenues for direct participation of individuals in the governance processes. Fundamentally, ICT has the potential to bring every individual into a digital network and enable the interactive (two-way) flow of information among them. The potential of ICT for the governance is fully leveraged in this model and leads and can bring lead to greater objectivity and transparency in decision-making processes. Under this model, the various services offered by the Government become directly available to its citizens in an interactive manner. It does so by opening up an interactive Government to Consumer to Government (G2C2G) channel in various aspects of governance, such as election of government officials (e-ballots); online grievance-redressal; sharing of concerns and providing expertise; opinion polls on public issues, etc.

3. Conclusion

This paper describes the suggestions on how to improve the current E-Government services in the Republic of Armenia.

References:

1. E-business Strategies for Government by Douglas Holmes, 2001.
2. “Comparative Analysis of E-Governance Models”, by Vani Jain, Devesh Bandil, Sachin Jain, International Journal on Future Revolution in Computer Science & Communication Engineering ISSN: 2454-4248 Volume: 5 Issue: 5, pp. 101-108.
3. E-Government: From Vision to Implementation--A Practical Guide with Case Studies by Subhash Bhatnagar, 2005

გადაცემის სტრატეგიები ტურბო-კოდირებული კოპერაციისთვის

სერგო შავგულიძე, მარინა ქურდაძე, მამუკა ჩხაიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

s.shavgulidze@gtu.ge, m.kurdadze@gtu.ge, chkhaidzemamuka08@gtu.ge

რეზიუმე

შესწავლილია კოდური კოპერაცია, რომელშიც კოპერაციული კომუნიკაცია ინტეგრირებულია ხელშეშლამდგრად კოდირებასთან. აქ თითოეული მომხმარებელი ცდილობს გადასცეს დამატებითი სიჭარბე თავის პარტნიორს, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია, მომხმარებლები ავტომატურად უბრუნდებიან არა-კოპერაციულ რეჟიმს. განიხილება გადაცემა აპლიკაში, სადაც ორ მომხმარებელი თანამშრომლობს და დაკავშირებულია ერთ საბაზო სადგურთან. ამ მომხმარებლებს აქვთ ორთოგონალური არხები. ვვარაუდობთ, რომ თითოეული მომხმარებლის არხი იყოფა ორ დროით სლოტად და კოპერაციის სქემისთვის მომხმარებლები ყოველთვის იყენებენ პირველ სლოტს საკუთარი კოდური სიტყვის ნაწილის გადასაცემად. მეორე სლოტისთვის არსებობს ორი შესაძლებლობა: ან გადაიცემა პარტნიორის შეტყობინების ნაწილი, თუ მომხმარებელმა შეძლო მისი პირველი ნაწილის დეკოდირება, ან სხვაგვარად ის აგზავნის საკუთარი კოდური სიტყვის სხვა ნაწილს. კომპიუტერული სიმულაციებისთვის ვიყენებთ ტურბო კოდს, რომელიც დაფუძნებულია ორ ხვევად კოდზე. განხილულია ორი ვარიანტი: პირველ სქემაში, რომელსაც აღვნიშნავთ cc-ით, ჩვენ ვიყენებთ პირველი ხვევადი კოდის საინფორმაციო ბიტების ნაწილს და სიჭარბის შემცველი ბიტების ნაწილს, როგორც პირველ ნაწილს, ხოლო მეორე ხვევადი კოდის სიჭარბეს, როგორც მეორე ნაწილს. მეორე სქემისთვის, სახელწოდებით punct, პირველი შეტყობინების ნაწილი არის პერფორირებული კოდის სიტყვა, ხოლო მეორე ნაწილი შედგება პერფორირებული (ამოგდებული) სიმბოლოებისგან. კომპიუტერული სიმულაციით გამოკვლეულია ბიტზე შეცდომის ალბათობას სხვადასხვა სიგნალ/ხელშეშლის ფარდობისათვის. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია განხილული კოდური კოპერაციის გამოყენების ერთ-ერთი პრაქტიკული შემთხვევა.

საკვანძო სიტყვები: კოდური კოპერაცია, საკომუნიკაციო სიტემები, ტურბო კოდები, კომპიუტერული სიმულაცია.


1. შესავალი

კოპერაციულ უსადენო კომუნიკაციაში, ჩვენ განვიხილავთ უსადენო ქსელს, ფიქტური ან სპეციალური ტიპის, სადაც უსადენო აგენტებს, რომლებსაც ჩვენ მომხმარებლებს ვუწოდებთ, თანამშრომლობით შეუძლიათ გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი (გაზომილი ფიზიკურ ფენაში ბიტზე შეცდომის ალბათობით, ბლოკზე შეცდომის ალბათობით, ან მტყუნების ალბათობით). კოპერაციულ საკომუნიკაციო სისტემაში, ივარაუდება, რომ ყოველი უსადენო მომხმარებელი გადასცემს მონაცემებს და ასევე მოქმედებს როგორც კოპერაციული აგენტი სხვა მომხმარებლისთვის. თანამშრომლობა იწვევს საინტერესო კომპრომისებს კოდურ სიჩქარესა და გადამცემ სიმძლავრეს შორის. სიმძლავრის შემთხვევაში, ერთი მხრივ, შეიძლება ჩანდეს, რომ მეტი სიმძლავრეა საჭირო, რადგან კოპერაციულ რეჟიმში მყოფი თითოეული მომხმარებელი გადასცემს ორივე მომხმარებლისთვის. მაგრამ, მეორე მხრივ, საბაზისო გადაცემის სიმძლავრე ორივე მომხმარებლისთვის შემცირდება განცალკევების (diversity) ეფექტის გამო. ამ ურთიერთკომპრომისის პირობებში, შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ ადგილი ექნება გადამცემი სიმძლავრის შემცირებას, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა პარამეტრი მუდმივია. მსგავსი კითხვები ჩნდება სისტემის გადაცემის სიჩქარესთან დაკავშირებითაც. კოპერაციულ კომუნიკაციაში თითოეული მომხმარებელი გადასცემს როგორც საკუთარ ბიტებს, ასევე გარკვეულ ინფორმაციას თავისი პარტნიორისთვის; შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სისტემაში სიჩქარის დანაკარგებს გამოიწვევს. თუმცა, თითოეული მომხმარებლის სპექტრული ეფექტიანობა უმჯობესდება, რადგან თანამშრომლობასთან დაკავშირებული განცალკევების გამო შეიძლება გაიზარდოს არხში გამოყენებული ხელშეშლამდგრადი კოდის სიჩქარე [1-4].

გამლიერება და გადაგზავნა (Amplify-and-Forward) არის კონცეპტუალურად ყველაზე მარტივი სქემა კოოპერაციული კომუნიკაციის მეთოდებს შორის. ამ მეთოდის გამოყენებისას თითოეული მომხმარებელი იღებს პარტნიორის მიერ გადაცემული სიგნალის ხმაურიან ვერსიას. როგორც სახელი გულისხმობს, მომხმარებელი აძლიერებს და გადააგზავნის ამ ხმაურიან სიგნალს (ნახ. 1), ხოლო დანიშნულების პუნქტი გააერთიანებს მომხმარებლისა და პარტნიორის მიერ გამოგზავნილ ინფორმაციას და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გადაცემულ სიმბოლოზე. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორის ხმაური გამლიერებულია ამ სქემაში, დანიშნულების პუნქტი მაინც იღებს სიგნალის ორ დამოუკიდებელ ფედინგის შემცველ ვერსიას და ამგვარად შეუძლია უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება გადაცემული სიმბოლოებისთვის. ამ სქემის პოტენციური გამოწვევა ისაა, რომ ანალოგური მნიშვნელობების დისკრეტიზაცია, გამლიერება და გადაგზავნა შეიძლება იყოს ტექნოლოგიურად არატრივიალური. მიუხედავად ამისა, გამლიერება და გადაგზავნა არის მარტივი მეთოდი, რომელიც ექვემდებარება ანალიზს და, შესაბამისად, ძალიან სასარგებლო იყო კოოპერაციული საკომუნიკაციო სისტემების გაგების შემდგომი შემდგომი განვითარებისთვის.

დეტექტირება (დეკოდირება) და გადაგზავნა (detect (decode) and forward) არის მეორე მეთოდი, რომელიც ალბათ ყველაზე ახლოსაა ტრადიციული სარელეო გადაცემის იდეასთან. ამ მეთოდით მომხმარებელი ცდილობს მოახდინოს პარტნიორის ბიტების დეტექტირება და შემდეგ გადასცემს დეტექტირებულ ბიტებს (ნახ.1). პარტნიორები შეიძლება განისაზღვროს ორმხრივად საბაზო სადგურის მიერ, ან სხვა ტექნიკით. სიმარტივისთვის ჩვენ განვიხილავთ ორ მომხმარებელს, რომლებიც პარტნიორობენ ერთმანეთთან, მაგრამ სინამდვილეში ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ თითოეულ მომხმარებელს ჰყავს პარტნიორი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის მეორე (განცალკევებულ) გზას. ამის ვიზუალიზაციის უმარტივესი გზაა წყვილების საშუალებით, მაგრამ ასევე შესაძლებელია იგივე ეფექტის მიღწევა სხვა პარტნიორული ტოპოლოგიების საშუალებით, რომლებიც ხსნიან დაწყვილების მკაცრ შეზღუდვას.

მესამე მეთოდი, რომელიც დღეს ყველაზე უფრო ფართოდ გამოიყენება ეს არის კოდური კოოპერაცია (coded cooperation), რომელშიც კოოპერაციული კომუნიკაცია ინტეგრირებულია ხელშეშლამდგრად კოდირებასთან (ნახ.1). კოდირებული კოოპერაციის ძირითადი იდეა არის ის, რომ თითოეული მომხმარებელი ცდილობს გადასცეს დამატებითი სიჭარბე (სიჭარბის შემცველი ბიტები) თავისი პარტნიორისთვის. როდესაც ეს შეუძლებელია, მომხმარებლები ავტომატურად უბრუნდებიან არა-კოოპერაციულ რეჟიმს. კოდური კოოპერაციის ეფექტიანობის გასაღები არის ის, რომ ეს ყველაფერი ავტომატურად იმართება კოდის დიზაინის საშუალებით და არ არის საჭირო უკუკავშირი მომხმარებლებს შორის. ამ მეთოდს აქვს ორი ძირითადი მახასიათებელი. უპირველეს ყოვლისა, თანამშრომლობა ხდება მომხმარებლის კოდური სიტყვის დაყოფით ისე, რომ კოდური სიტყვის ნაწილი გადაიცემა თავად მომხმარებლის მიერ, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი პარტნიორის მიერ ნაწილობრივ ან სრული დეკოდირების გზით. წინა მეთოდებში თანამშრომლობა ხორციელდებოდა გამეორების გზით, რაც შეიძლება არ იყოს საუკეთესო გზა გამტარუნარიანობის სრული გამოყენებისთვის. მეორეც, ჩვენ ვიყენებთ შეცდომების გამჟღავნებას პარტნიორში, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომების გავრცელება.



ნახ.1.

კოოპერაციული კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის შედარება. სიმარტივისთვის მხოლოდ ერთი მომხმარებლის თანამშრომლობაა ნაჩვენებია საბაზისო სიხშირული ზოლის ეკვივალენტური სიგნალების საშუალებით

2. ძირითადი ნაწილი

➤ სისტემის მოდელი, კოდური კოოპერაციის სქემა და სიმულაციის შედეგები

ჩვენ წარმოვადგენთ კოდური კოოპერაციის ახალ სქემას და შემდეგ განვიხილავთ მისი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივებს. განვიხილება გადაცემა აპლინკში, სადაც ორ მომხმარებელი დაკავშირებულია ერთ საბაზო სადგურთან. ორ მომხმარებელს აქვს ორთოგონალური არხები ნებისმიერი მრავალჯერადი წვდომის სქემის გამოყენებით, როგორცაა მაგალითად მრავალჯერადი წვდომა დროითი დაყოფით (TDMA) ან მრავალჯერადი წვდომა კოდური დაყოფით (CDMA).

ჩვენ აღნიშნავთ კოდირებულ და ორობითი ფაზური წანაცვლებით (BPSK) მოდულირებულ შეტყობინებას i მომხმარებლიდან დროის n მომენტში $s_i(n)$ -ით. შესაბამისად, j მომხმარებლის მიერ მიღებული შეტყობინება მოცემულია გამოსახულებით

$$r_{i,j}(n) = \alpha_{i,j}(n) s_i(n) + z_i(n),$$

სადაც $j = 0$ აღნიშნავს საბაზო სადგურს, ხოლო $j = 1$ და $j = 2$ აღნიშნავს შესაბამისად პირველ და მეორე მომხმარებელს. ადიტიური თეთრი გაუსის ხმაური კონკრეტული მომხმარებლის არხში აღნიშნულია $z_i(n)$ -ით, ხოლო $\alpha_{i,j}(n)$ წარმოადგენს ფედინგის (მიყუჩების) კოეფიციენტს არხისათვის i -დან j -მდე. ჩვენი სისტემის მოდელის არხები განიცდიან ბრტყელ ფედინგს, რომლის დროსაც სიგნალის ყველა სიხშირული კომპონენტი განიცდის ფედინგის ერთსა და იმავე დონეს და სადაც კოეფიციენტები განიხილება დამოუკიდებელ რელეის ფედინგის მნიშვნელობებად. გარდა ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ფედინგის კოეფიციენტები მუდმივია კოდის ბლოკზე და ზუსტად ცნობილია j მიმღებში.

სისტემის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ორი მომხმარებელი თანამშრომლობს. ჩვენ განვიხილავთ კოოპერაციულ სისტემას, რომელიც აღწერილია [1]-ში. ამრიგად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თითოეული მომხმარებლის არხი იყოფა ორ დროით სლოტად. ჩვენი თანამშრომლობის სქემისთვის მომხმარებლები ყოველთვის იყენებენ პირველ სლოტს საკუთარი კოდური სიტყვის ნაწილის გადასაცემად. მეორე სლოტისთვის არსებობს ორი შესაძლებლობა. ან გადაიცემა პარტნიორის შეტყობინების ნაწილი, თუ მომხმარებელმა შეძლო მისი პირველი ნაწილის დეკოდირება, ან, სხვაგვარად, ის აგზავნის საკუთარი კოდური სიტყვის სხვა ნაწილს. ამრიგად, თუ თანამშრომლობა გამოიყენება, ჩვენ ვიყენებთ დეკოდირების და გადაგზავნის სქემას. კოდური სიტყვა სიგრძეს აღნიშნავთ n -ით, პირველი ნაწილის სიგრძეს n_1 -ით და მეორე ნაწილის სიგრძეს n_2 -ით, ამასთან $n_1 + n_2 = n$. წილადი n_2/n განსაზღვრავს თანამშრომლობის დონეს.


აღწერილ თანამშრომლობის სქემაში შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტი კოდური სიტყვის მეორე ნაწილისთვის. პირველი, თუ ორივე მომხმარებელს შეუძლია პარტნიორის შეტყობინების დეკოდირება, ორი კოდური სიტყვის ნაწილები მიიღება სხვადასხვა არხების საშუალებით საბაზო სადგურზე. ასე ხორციელდება თანამშრომლობის იდეა სივრცითი განცალკევების გამოყენებით. მეორე ვარიანტში, ორივე მომხმარებელი ვერ ახერხებს პარტნიორის შეტყობინების დეკოდირებას და ამგვარად გადასცემს საკუთარი კოდური სიტყვის მეორე ნაწილს მეორე სლოტში. ამ შემთხვევაში, ორი შეტყობინება აღდება საბაზო სადგურზე, როგორც არაკოოპერაციულ რეჟიმში. ბოლო შესაძლო ვარიანტს აქვს ადგილი, თუ მხოლოდ ერთ მომხმარებელს შეუძლია პარტნიორის შეტყობინების დეკოდირება. ამრიგად, მომხმარებლის შეტყობინების მეორე ნაწილი საერთოდ არ არის გადაცემული, ხოლო პარტნიორის კოდური სიტყვის მეორე ნაწილი გადაიცემა ორჯერ, ანუ თითოეული თითოეული მომხმარებლის არხით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საბაზო სადგური ამუშავებს მხოლოდ ერთ-ერთ საუკეთესო არხს და უგულებელყოფს სხვა სიმბოლოებს. აქ გაუმჯობესება შესაძლებელია, მაქსიმალური თანაფარდობის გაერთიანების (MRC) ალგორითმის გამოყენებით, მაგრამ მიმღების უფრო მაღალი სირთულის ხარჯზე.

აღწერილი კოდური კოოპერაციის სქემის გამოსაყენებლად, თითოეული შეტყობინება უნდა დაიყოს ორ ნაწილად. თანამშრომლობის შესაძლებლობის დასადგენად, პირველი ნაწილი უნდა შეიცავდეს შეტყობინების დეკოდირებულ ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილი არის დამატებითი სიჭარბე. ტურბო-კოდირებული სქემისთვის ჩვენ ვიკვლევთ მთლიანი კოდური სიტყვის ორ

ნაწილად გაყოფის ორ შესაძლებლობას. ერთ სქემაში, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ cc-ით, ანუ ხვევადი კოდით (convolutional code), ჩვენ ვიყენებთ პირველი ხვევადი კოდის საინფორმაციო ბიტების ნაწილს და სიჭარბის შემცველი ბიტების ნაწილს, როგორც პირველ ნაწილს, ხოლო მეორე ხვევადი კოდის სიჭარბეს, როგორც მეორე ნაწილს. სხვა სქემისთვის, სახელწოდებით punct, ანუ პერფორირებული (punctured) კოდით, პირველი შეტყობინების ნაწილი არის პერფორირებული კოდის სიტყვა, ხოლო მეორე ნაწილი შედგება პერფორირებული (ამოგდებული) სიმბოლოებისგან. ამრიგად, პირველი სქემისთვის, cc დეკოდირების ერთი ნაბიჯი BJCR-დეკოდერით საკმარისია პარტნიორის შეტყობინების დეკოდირებისთვის, ხოლო ტურბო დეკოდერი საჭიროა მეორე, punct სქემის თითოეულ მომხმარებელისთვის.

კომპიუტერული სიმულაციებისთვის ვიყენებთ ტურბო კოდს, რომელიც დაფუძნებულია ორ ხვევად კოდზე გენერატორის პოლინომებით $G(1, 33/31)$. ამრიგად, cc სქემისთვის ვიღებთ კოოპერაციის დონეს $n_2/n = 1/3$. პერფორირებული (punct) კოოპერაციის სქემისთვის ჩვენ ვანაწილებთ კოდურ სიტყვას ისე, რომ კოოპერაციის დონე კვლავ იყოს $n_2/n = 1/3$. შედარებისთვის სიმულირებული იყო ასევე სქემა კოოპერაციის გარეშე. აქ თითოეული მომხმარებელი იყენებს თავის არხს n სიგრძის კოდური სიტყვის გადასაცემად. სიმულაციით ჩვენ ვიკვლევთ ბიტზე შეცდომის ალბათობას (BER) მოცემული E_s/N_0 -სთვის, სადაც E_s არის მოდულაციის შემდეგ სიგნალის ენერჯია და N_0 არის ადიტიური თეთრი გაუსის ხმაურის სიმძლავრე.

მე-2 ნახაზზე გამოსახულია BER-ები მომხმარებელთაშორის არხის სხვადასხვა ხარისხისთვის, კერძოდ, სიგნალი-ხმაურის საშუალო თანაფარდობაა 6 დბ, 12 დბ და განიხილება ასევე თითქმის სრულყოფილი ლინკი 100 დბ-ით.




ნახ.2. ტურბო-კოდირებული კოოპერაცია: cc და punct სქემების შედარება

საინფორმაციო სიტყვის სიგრძეს ვირჩევთ $k = 128$ ბიტის ტოლს. არა-კოოპერაციულ (no cooperation) სქემასთან შედარებით, ჩანს, რომ ყველა გამოკვლეული თანამშრომლობის სტრატეგია და მომხმარებელთა შორის არხი უკეთეს მახასიათებლებს იძლევა. კოოპერაციაზე დაფუძნებული ორი სქემის შედარებისას, cc სქემა დეკოდირების უფრო დაბალი სირთულით აღემატება punct-ს ყველა განხილული სცენარისთვის.

ჩვენ შევადარებთ შედეგებს პარტნიორის შეტყობინების დეკოდირების კუთხით. cc სქემისთვის, ეს შეესაბამება ძირითადი ხვევადი კოდის კოდური სიტყვის დეკოდირებას, მაშინ როდესაც მომხმარებელმა უნდა მოახდინოს პერფორირებული ტურბო კოდის სიტყვის

დეკოდირება punct სქემაში. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ტურბო კოდებს კარგ არხებში აქვთ ძალიან კარგი მახასიათებლები, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ისინი გაუმჯობესებული იქნებიან ჩვეულებრივი ხვევადი კოდებით თუ გადაცემა განიცდის ხმაურის მაღალ მნიშვნელობებს. გარდა ამისა, განხილული ბლოკური ფედინგის შემცველი არხის გამო, ხვევადი კოდი უფრო უკეთესია $E_s/N_0=30$ დბ-სთვისაც კი, როგორც ეს ნაჩვენებია მე-3 ნახაზზე. ეს კანონზომიერება არ იცვლება, თუ საინფორმაციო სიტყვის სიგრძე გაიზრდება $k = 1000$ -მდე, როგორც ეს ასევე ჩანს ამ გრაფიკებზე.



ნახ.3. მახასიათებელი პარტიორთან: cc და punct სქემების შედარება

კომპიუტერული სიმულაციის შედეგებიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ შეტყობინებების დაყოფა ერთ ხვევად კოდურ სიტყვად და მეორე ხვევადი კოდის სიჭარბის ნაწილად (cc სქემა) სასურველია punct სქემასთან შედარებით, არა მხოლოდ მომხმარებლებში დეკოდირების უფრო დაბალი სირთულის გამო, არამედ უკეთესი მახასიათებლების გამო.

3. პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები და დასკვნა

ჩვენ წარმოვადგენთ განხილული კოდური კოპერაციის გამოყენების ერთ-ერთ პრაქტიკულ შემთხვევას. რიგების თეორიაში, რომელიც წარმოადგენს ალბათობის მათემატიკური თეორიის დისციპლინას, $M/G/1$ რიგი არის რიგის მოდელი, სადაც ჩამოსვლა (arrival) არის მარკოვის პროცესი, მომსახურების დრო აქვს ზოგადი განაწილება და გვაქვს 1 სერვერი.

ასეთი ტიპის მოდელები სასარგებლოა სისტემების ანალიზისთვის, სადაც მომსახურების დრო შეიძლება განსხვავდებოდეს, როგორცაა კომპიუტერული ქსელები ან ტელეკომუნიკაციები. ხელშეშლამდგრადი კოდირება, მეორეს მხრივ, მოიცავს ტექნიკას, რომელიც გამოიყენება ხმაურიან არხში გადასაცემი მონაცემების კოდირებისთვის, შეცდომების გამოვლენისა და გასწორების უზრუნველსაყოფად. როდესაც კომბინირებულია $M/G/1$ რიგებთან, ხელშეშლამდგრადი კოდირება გვეხმარება გააუმჯობესოს მონაცემთა გადაცემის საიმედოობა და ეფექტიანობა საკომუნიკაციო სისტემებში. მაგალითისათვის, [5] და [6] განიხილავს $M/G/1/1$ და $M/G/1$ რიგის საკომუნიკაციო სისტემებს, რომლებიც დაფუძნებულია ხელშეშლამდგრად კოდებზე და, შესაბამისად, ჰიბრიდული განმეორებითი მოთხოვნის პროტოკოლზე (HARQ) და ავტომატური გამეორების მოთხოვნის პროტოკოლზე (ARQ). ცნობილია, რომ HARQ და ARQ პროტოკოლები ზრდიან შეცდომის ალბათობას და სისტემის შეყოვნებას, ვინაიდან შეცდომის

მაღალი კოეფიციენტის მქონე არხმა შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის პაკეტების ზედმეტად გადაცემა. ისინი ასევე ართულებენ მთლიანი სისტემის ფუნქციონირებას, ვინაიდან ამატებენ სირთულეს როგორც გამგზავნის, ისე მიმღების მხარეს, საჭიროებენ დამატებით ლოგიკას და მექანიზმებს ინდივიდუალური დადასტურების და ხელახალი გადაცემის სამართავად. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კოდური კოოპერაციის სისტემა არ საჭიროებს HARQ/ARQ სქემას და ეფექტიანობა მიიღწევა თანამშრომლობის საფუძველზე, რაც ასეთ ტექნოლოგიას ძალიან პერსპექტიულს ხდის ალწერილ და სხვა სახის სისტემებში გამოსაყენებლად.

ლიტერატურა:

1. Janani M., Hedayat A., Hunter T., Nosratinia A. Coded cooperation in wireless communications: space-time transmission and iterative decoding. IEEE Trans. Signal Proces., vol. 52, #2, pp. 362–371, Feb. 2004.
2. Laneman J., Tse D., Wornell G.W. Cooperative diversity in wireless networks: Efficient protocols and outage behavior. IEEE Trans. Inf. Theory, vol. 50, #12, pp. 3062–3080, Dec. 2004.
3. Hunterand N., Nosratinia A. Diversity through coded cooperation. IEEE Trans. Wireless Commun., vol. 5, #2, pp. 283–289, Feb. 2006.
4. Kim S. Cooperative Concatenated Coding in Multi-Hop Multiple Access Relay Networks. IEEE Trans. Commun., vol. 58, no. 11, pp. 3305–3316, Nov. 2010.
5. Najm E., Yates R., Emina Soljanin. Status updates through M/G/1/1 queues with HARQ. In Proc. 2017. IEEE International Symposium on Information Theory (ISIT), Aachen, Germany, 25-30 June 2017, pp. 131-135.
6. Sac H. et al. Age-Optimal Channel Coding Blocklength for an M/G/1 Queue with HARQ. In Proc. 2018. IEEE 19th International Workshop on Signal Processing Advances in Wireless Communications (SPAWC), Kalamata, Greece, 25-28 June 2018, 5 pages.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი STEM-22-340].

Transmission Strategies for Turbo-Coded Cooperation

Sergo Shavgulidze, Marina Kurdadze, Mamuka Ckhaidze

Georgian Technical University

s.shavgulidze@gtu.ge, m.kurdadze@gtu.ge, chkhaidzemamuka08@gtu.ge

Abstract

Coded cooperation is studied, in which cooperative communication is integrated with channel coding. Here, each user tries to transfer additional redundancy to its partner, and when this is not possible, the users automatically revert to the non-cooperative mode. Transmission in an uplink where two users are cooperating and connected to a single base station is considered. These users have orthogonal channels. We assume that each user's channel is divided into two time slots, and for the cooperation scheme, users always use the first slot to transmit part of their own codeword. For the second slot, there are two possibilities: either a part of the partner's message is transmitted if the user was able to decode its first part, or else it sends another part of its own codeword. For computer simulations, we use a turbo code based on two convolutional codes. Two options are considered: in the first scheme, denoted by cc, we use part of the information bits and part of the redundancy bits of the first convolutional code as the first part, and the redundancy of the second convolutional code as the second part. For the second scheme, called punct, the first part of the message is a punctured codeword, and the second part consists of punctured (discarded) symbols. The bit error probability for different signal-to-noise ratios is investigated by computer simulation. At the end of the paper, one of the practical cases of using the discussed code cooperation is presented.

Keywords: Coded Cooperation, Communication Systems, Turbo Codes, Computer Simulation

ახალი მიდგომა ლაბორატორიული ექსპერიმენტის დისტანციურად ჩატარების ეფექტურობის შეფასებისთვის

ლევან იმნაიშვილი, მაგული ბედინეიშვილი, თეა თოდუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
l.imnaishvili@gtu.ge, m.bedineishvili@gtu.ge, tea_todua@gtu.ge

რეზიუმე

ნაშრომში შემოთავაზებულია დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ეფექტურობის შეფასების ახალი მოდელი, რომელიც უფრო სრულად ასახავს დასწრებული და დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის დადებით და უარყოფით მხარეებს. შეფასების მოდელი ეყრდნობა შეწონილი მატრიცის მეთოდს და იყენებს ექსპერტულ შეფასებებს. შეფასების კრიტერიუმების სახით გამოყენებულია ლაბორატორიული სამუშაოებისადმი ABET აკრედიტაციის მიერ განსაზღვრული 13 მიზანი, რომელიც ამომწურავად ასახავს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც სჭირდება ინჟინერს პრაქტიკულ საქმიანობაში. ნაშრომის ავტორების მიერ 13 კრიტერიუმს დამატებული აქვს კიდევ ოთხი კრიტერიუმი, რომლებიც ასახავს დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ღირსებებს. დამუშავებულ მოდელზე დაყრდნობით შეფასებულია დასწრებული და ორი დისტანციური ლაბორატორიული ტექნოლოგიის ეფექტურობები. დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ტექნოლოგიის სახით აღებულია მიმართულება, როცა არსებული კომპიუტიზირებული ლაბორატორიული სტენდები აღჭურვილია სპეციალური აპარატურულ/პროგრამული საშუალებებით, რომელიც საშუალებას იძლევა სტუდენტმა ლაბორატორიული ექსპერიმენტი ჩაატაროს ლაბორატორიაში მყოფი ინსტრუქტორის დახმარებით. ამ მიმართულებაზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია ლაბორატორიული სტენდების უნივერსალურობით - როცა სტენდები უკვე არსებობს უნივერსიტეტის აღჭურვილობაში და იმავდროულად შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც დასწრებული, ასევე დისტანციური სწავლებისთვის. შემუშავებული მოდელით შეფასების შედეგად აღინიშნა დისტანციური ტექნოლოგიების ეფექტურობის მცირედით ჩამორჩენა დასწრებულ სწავლებასთან შედარებით. შემოთავაზებულია ჩამორჩენის აღმოფხვრის მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსში პრაქტიკის იმ კომპონენტების გაძლიერებას, რომლებიც სტუდენტისგან ითხოვს „ფსიქომოტორიკის“ და „სენსორული აღქმის“ კრიტერიუმების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ეს შეიძლება განხორციელდეს სასწავლო პროცესში დასწრებული სასწავლო კომპონენტის განხორციელებით ან სტუდენტს საკუთარ სარგებლობაში შეიძლება ქონდეს ამ უნარების განმავითარებელი სპეციალური სამარჯვები და მოწყობილობები.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტი, დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ეფექტურობა, შეწონილი მატრიცის მეთოდი.

1. შესავალი

დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტი სასწავლო პროცესში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება. მაგალითისთვის მოვიტანთ ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრის ერთ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს დისტანციური სწავლების მასშტაბებს 2022 წლისთვის [1].

აქედან გამომდინარე, ცხადია, გვაინტერესებს სწავლების ასეთი ფორმის ეფექტურობა.

სამუშაოში [2] წარმოდგენილია ლაბორატორიული ექსპერიმენტის ეფექტურობის შეფასების ერთი მოდელი. მოდელი იხილავს დისტანციური ექსპერიმენტის სამ მიმართულებას:

- როცა ხდება ლაბორატორიული დანადგარის აღჭურვა სპეციალური აპარატურულ/პროგრამული საშუალებებით, ან სპეციალურად ხდება ამ ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორიული დანადგარის დაპროექტება, რომელიც საშუალებას იძლევა სტუდენტმა დისტანციურად მართოს ფიზიკურ ექსპერიმენტზე მოქმედი ფაქტორები, მათ შორის ლაბორატორიული სქემის აწყობა–გადაწყობის პროცესი [3];

- როცა ცდილობენ გამოყენებული იქნას არსებული კომპიუტიზირებული ლაბორატორიული სტენდები და ისინი აღჭურვონ სპეციალური აპარატურულ/პროგრამული საშუალებებით, რომელიც საშუალებას იძლევა სტუდენტმა ლაბორატორიული ექსპერიმენტი ჩაატაროს წინასწარ აწყობილი საექსპერიმენტო სქემის ფარგლებში [4];

- როცა ცდილობენ გამოყენებული იქნას არსებული კომპიუტიზირებული ლაბორატორიული სტენდები და ისინი აღჭურვონ სპეციალური აპარატურულ/პროგრამული საშუალებებით, რომელიც საშუალებას იძლევა სტუდენტმა ლაბორატორიული ექსპერიმენტი ჩაატაროს ლაბორატორიაში მყოფი ინსტრუქტორის დახმარებით [5,6].

ეფექტურობის შეფასების მოდელი ეყრდნობა ნაშრომის [2] ავტორების მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს. დასწრებული სწავლების და დისტანციური ექსპერიმენტის სამი მიმართულების შეფასება შეწონილი მატრიცების მეთოდით [7] იძლევა 1-ელ ცხრილში წარმოდგენილ შედეგებს.

შეწონილი შეფასებების შედეგები ცხრ.1

„დასწრებული“ ექსპერიმენტი	დისტანციური ექსპერიმენტი		
	პირველი მიმართულება	მეორე მიმართულება	მესამე მიმართულება
8.25	7.95	6.5	6.9

როგორც ცხრილიდან ჩანს, დასწრებულ ლაბორატორიულ ექსპერიმენტს უპირატესობა აქვს დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის სამივე მიმართულებასთან შედარებით.

მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დისტანციურ სწავლებასაც აქვს თავისი ხიბლი, რაც განაპირობებს მის ფართოდ გავრცელებას.

მოცემულ სამუშაოში ჩვენს ამოცანაა წარმოვადგინოთ ჩვენს მიერ შემუშავებული დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის შეფასების ახალი მოდელი და შეფასების შედეგები, რომელსაც ეს მოდელი იძლევა.

2. შეფასების მოდელის შემუშავება

შეფასების შემოთავაზებული მოდელი ასევე ეყრდნობა შეწონილი მატრიცების მეთოდს [7]. განსხვავება [2]–გან გამოიხატება შეფასების კრიტერიუმების ახალი სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელიც უფრო წარმოაჩენს როგორც „დასწრებული“, ასევე დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ღირსებებს.

შეფასებისთვის ავიღეთ მესამე მიმართულების დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ტექნოლოგია. ამ მიმართულების არჩევა განპირობებულია მისი პერსპექტიულობით. საქმე ისაა, რომ პირველი მიმართულება ძალიან ძვირია, ამასთან, არ არის უზრუნველყოფილი გამოყენების უნივერსალურობა, როგორც დასწრებული, ასევე დისტანციური ექსპერიმენტებისთვის. მეორე და მესამე მიმართულება უზრუნველყოფს გამოყენების უნივერსალურობას, მაგრამ მეორე მიმართულება ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ლაბორატორიული სწავლების მაღალ ხარისხს და სწავლების შედეგების სისრულეს.

როგორც სამეცნიერო წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, ნაშრომში [8] მესამე მიმართულების ტექნოლოგია წარმოდგენილია მოდიფიცირებული სახით. მოდიფიცირების არსი მდგომარეობს დისტანციური სტუდენტების დისტანციურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განთავსებაში ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ, რაც დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემას ხსნის.

ამდენად, შეფასებისთვის ვიხილავთ ლაბორატორიული ექსპერიმენტის სამ სახეს:

- „დასწრებული“ ლაბორატორიული ექსპერიმენტი ტრადიციული გაგებით (მოდელი 1);
- მესამე მიმართულების დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტი [5,6] (მოდელი 2);
- მესამე მიმართულების მოდიფიცირებული დისტანციური ექსპერიმენტი [8] (მოდელი 3).

მოდელების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენეთ ლაბორატორიული სამუშაოებისადმი ABET აკრედიტაციის მიერ განსაზღვრული 13 მიზანი [9], რომელიც, ჩვენს აზრით, ამომწურავად ასახავს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც სჭირდება ინჟინერს პრაქტიკულ საქმიანობაში. ლაბორატორიული სწავლების ეფექტურობის შეფასების განხორციელებისთვის ეს 13 მიზანი შეიძლება ტრანსფორმირდეს 13 კრიტერიუმად. კრიტერიუმები გამოიყენება იმ შესაძლებლობების შეფასებისთვის, რა ცოდნასაც და უნარებსაც აძლევს სტუდენტს ესა თუ ის მოდელი. ეს გასაგებია, რამდენადაც ჩვენ ვაფასებთ მოდელების შესაძლებლობებს.

ამ 13 კრიტერიუმის გარდა, ლაბორატორიული სწავლების მოდელების სრულყოფილი შეფასებისთვის, ჩვენს მიერ შემოტანილი იქნა კიდევ ოთხი დამატებითი კრიტერიუმი. ამდენად, ჩვენს მიერ შერჩეული კრიტერიუმების სრული კრებულისაა:

1) **ინსტრუმენტები.** ფიზიკური სიდიდეების გაზომვის მიზნით შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი გადამწოდების, ხელსაწყოების და/ან პროგრამული საშუალებების შერჩევა - გამოყენება. საუბარია რეალური ხელსაწყოების გამოყენებაზე.

2) **მოდელები.** რეალურ სამყაროში ორიენტირების მიზნით შესაძლებელი უნდა იყოს თეორიული მოდელების ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. ეს შეიძლება მოიცავდეს შეფასებასაც, თუ რამდენად ადეკვატურად აღწერს თეორია ფიზიკურ მოვლენას, ასევე ადგენდეს/ასაბუთებდეს კავშირს გაზომილ მონაცემებსა და მოვლენის ფიზიკურ პრინციპებს შორის.

3) **ექსპერიმენტირება.** იმისათვის, რომ დახასიათებული იქნას საინჟინრო მასალა, კომპონენტი ან სისტემა, შესაძლებელი უნდა იყოს: ექსპერიმენტული მიდგომის დამუშავება, შესაბამისი აღჭურვილობისა და პროცედურების შერჩევა, ამ პროცედურების რეალიზება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტირება.

4) **მონაცემთა ანალიზი.** შესაძლებელი უნდა იყოს მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტირების უნარების დემონსტრირება, დასკვნების ფორმირება და გამტკიცება, სიდიდეთა ზომის, გაზომვის სისტემის და მათი გარდაქმნების შესახებ მსჯელობა.

5) **პროექტირება.** შესაძლებელი უნდა იყოს დეტალის, ნამზადის ან სისტემის პროექტირება, დამზადება, მათ შორის, სპეციალური მეთოდოლოგიების, აღჭურვილობის ან მასალების გამოყენებით. შესაძლებელი უნდა იყოს მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინება და დაკმაყოფილება. შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით პროტოტიპის, სისტემის ან პროცესის ტესტირება და გამართვა.

6) **შეცდომებზე სწავლა.** შესაძლებელი უნდა იყოს გაუმართავი აღჭურვილობის, დეტალების, პროგრამული კოდის, კონსტრუქციის, პროცესის ან პროექტის გამო წარუმატებელი შედეგების აღიარება და შემდგომი ეფექტური რეინჟინერინგი.

7) **კრეატიულობა.** შესაძლებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი აზროვნების, კრეატიულობის და რეალური პრობლემების გადაჭრის შესაბამისი დონის დემონსტრირება.

8) **ფსიქომოტორიკა.** შესაძლებელი უნდა იყოს საჭირო საინჟინრო ინსტრუმენტების და რესურსების ამორჩევის, მოდიფიცირების, გამოყენების და ექსპლუატაციის კომპეტენტურობის დემონსტრირება.

9) **უსაფრთხოება.** აღიარებული იქნას ტექნოლოგიურ პროცესებთან და ადამიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემო პირობების პრობლემები, გამოხატული იქნას მათთან შესაბამისი დამოკიდებულება.

10) **კომუნიკაცია.** გარკვეულ აუდიტორიასთან ეფექტური ურთიერთობა ლაბორატორიული სამუშაოს შედეგებთან დაკავშირებით როგორც ზეპირი, ასევე წერილი კომუნიკაციით, როგორც მცირე რეზიუმეს, ასევე სრული ტექნიკური ანგარიშის სახით.

11) **გუნდში მუშაობა.** შესაძლებელი უნდა იყოს გუნდში ეფექტურად მუშაობა ინდივიდუალური და გუნდური ურთიერთანგარიშგების სტრუქტურირების ჩათვლით. როლების, ვალდებულებების და ამოცანების განაწილებით, გუნდური მოღვაწეობის მონიტორინგი. შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური წვლილის საბოლოო შედეგში ინტეგრირება.

12) **ეთიკა.** უზრუნველყოფილი უნდა იყოს საინჟინრო მოღვაწეობის ეთიკის სტანდარტების დაცვა, მათ შორის ინფორმაციის და მონაცემების ობიექტური წარმოდგენა, კოლეგებთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

13) **სენსორული აღქმა.** შესაძლებელი უნდა იყოს ადამიანური გრძნობის ორგანოების გამოყენება ინფორმაციის შეგროვებისთვის, დასკვნების დასაბუთებისთვის, რეალური პრობლემების ფორმულირებისთვის.

14) **კომფორტულობა.** შესაძლებელი უნდა იყოს ლაბორატორიული ექსპერიმენტის ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან ჩატარება.

15) **შრომატევადობა.** გულისხმობს სტუდენტის დროითი და მატერიალური რესურსების დანახარჯებს (არ იგულისხმება სწავლის გადასახადი).

16) **იდენტიფიცირება.** შესაძლებელი უნდა იყოს ლაბორატორიულ სივრცეში სტუდენტის მარტივად იდენტიფიცირება.

17) **არჩევადობა.** უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტის მიერ სწავლების ფორმის არჩევის შესაძლებლობა.

3. შეფასების განხორციელება

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები ერთნაირი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სწავლების სამივე საფეხურისთვის, ჩვენ შეფასება განვახორციელებთ მხოლოდ სწავლების ბაკალავრიატის საფეხურისთვის. ეს განპირობებული იყო, პირველ რიგში იმით, რომ სწავლების ამ საფეხურზე მეტია ლაბორატორიული სწავლების კომპონენტის მოცულობა. შესაბამისად, შეფასებაში მონაწილე ჩვენს პროფესორებსაც ბაკალავრიატის საფეხურზე ლაბორატორიული სწავლების უფრო მეტი გამოცდილება აქვთ.

შეწონილი მატრიცის მეთოდი [7] გულისხმობს შეფასების კრიტერიუმების წონის ექსპერტულად განსაზღვრას. პრაქტიკაში ეს საკითხი 17 კრიტერიუმისთვის სრულიადაც არ აღმოჩნდა მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტულ ჯგუფში ჩართულ პროფესორს კარგად ესმის სწავლების ბაკალავრიატის საფეხურის ამოცანები, ისინი მაინც უპირატესობას ანიჭებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაკავშირებულია სისტემის პროექტირებასთან. აქედან გამომდინარე, კრიტერიუმს „პროექტირება“ ყველაზე მაღალი წონა აქვს (0,14). ამ მოსაზრებით არის ასევე

განპირობებული კრიტერიუმების „ინსტრუმენტები“, „ექსპერიმენტირება“, „მონაცემთა ანალიზი“ და „კრეატიულობა“ მაღალი წონები (0,09, 0,08).

თითოეული მოდელის შეფასება ხდებოდა 10–ბალიანი სისტემით.

ექსპერტული შეფასების შედეგები მოტანილია ცხრილში 2. ცხრილი 2 საშუალებას იძლევა ერთმანეთთან იქნას შედარებული ლაბორატორიული სწავლების მოდელები როგორც ცალკეული კრიტერიუმების, ასევე ჯამური მაჩვენებლების მიხედვით.

ექსპერტული შეფასების შედეგები

ცხრ.2

	შეფასების კრიტერიუმი	წონა	დასწრებული ლაბორატორია (მოდელი 1)		დისტანციური ლაბორატორია (მოდელი 2)		დისტანციური ლაბორატორია (მოდელი 3)	
			ექსპერტული შეფასება	შეწონილი შეფასება	ექსპერტული შეფასება	შეწონილი შეფასება	ექსპერტული შეფასება	ექსპერტული შეფასება
1	ინსტრუმენტები	0,09	10	0,9	8	0,72	8	0,72
2	მოდელები	0,05	10	0,5	10	0,5	10	0,5
3	ექსპერიმენტირება	0,09	10	0,9	10	0,9	10	0,9
4	მონაცემთა ანალიზი	0,08	8	0,64	10	0,8	10	0,8
5	პროექტირება	0,14	10	1,4	9	1,26	8	1,12
6	ისწავლეთ შეცდომებზე	0,05	9	0,45	10	0,5	8	0,4
7	კრეატიულობა	0,09	10	0,9	10	0,9	10	0,9
8	ფსიქომოტორიკა	0,05	10	0,5	6	0,3	6	0,3
9	უსაფრთხოება	0,05	8	0,4	10	0,5	10	0,5
10	კომუნიკაცია	0,04	10	0,4	10	0,4	10	0,4
11	გუნდში მუშაობა	0,05	10	0,5	7	0,35	10	0,5
12	ეთიკა	0,04	10	0,4	8	0,32	10	0,4
13	სენსორული აღქმა	0,05	10	0,5	5	0,25	5	0,25
14	კომფორტულობა	0,05	7	0,35	9	0,45	6	0,3
15	დანახარჯები	0,05	8	0,4	9	0,45	7	0,35
16	იდენტიფიცირება	0,02	10	0,2	5	0,1	10	0,2
17	არჩევადობა	0,01	5	0,05	10	0,1	8	0,08
	ჯამი:	1		9,39		8,8		8,62

ჯამური შეფასებით დასწრებული სწავლების მოდელი უმჯობესია (მოდელი 1 – 9,39 ქულა), ვიდრე დისტანციური სწავლების ორი მოდელი (მოდელი 2 – 8,8 ქულა, მოდელი 3 – 8,62 ქულა).

როგორც ცხრილი 2 – დან ირკვევა დისტანციური სწავლების მოდელების (მოდელი 2, მოდელი 3) შეფასებაში ჩამორჩენა დასწრებული სწავლების მოდელისგან (მოდელი 1) ძირითადად განპირობებულია „ფსიქომოტორიკის“ და „სენსორული აღქმის“ კრიტერიუმებში დაბალი შეფასებით. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ეს კრიტერიუმები მოითხოვენ ფიზიკურ ობიექტებთან უშუალოდ მომხმარებლის ფიზიკურ შეხებას. „ფსიქომოტორიკის“ კრიტერიუმის

შემთხვევაში უდავო უპირატესო აქვს დასწრებულ ტექნოლოგიას, რამდენადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება და ფიზიკურად შეასრულოს. დისტანციური ტექნოლოგიების დროს სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ ფიზიკურად შესრულების შესაძლებლობა არ აქვს.

4. დისტანციური ლაბორატორიული სწავლების ხარისხის

ამაღლების მექანიზმები

ზემოთ მოტანილი ჩამორჩენის აღმოფხვრის მექანიზმად მიგვაჩნია სამი ღონისძიების გატარება:

- სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსში პრაქტიკის იმ კომპონენტების გაძლიერება, რომლებიც სტუდენტისგან ითხოვს „ფსიქომოტორიკის“ და „სენსორული აღქმის“ კრიტერიუმების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

- დისტანციურ ლაბორატორიულ კომპონენტს დაემატოს დასწრებული სპეციფიკური პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მიმართული იქნება „ფსიქომოტორიკის“ და „სენსორული აღქმის“ კრიტერიუმების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე.

- დისტანციურ ლაბორატორიულ კომპონენტს დაემატოს სპეციფიკური პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც დისტანციურ პირობებში განახორციელებს სავარჯიშოებს „ფსიქომოტორიკის“ და „სენსორული აღქმის“ კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით. ამ შემთხვევაში სტუდენტს უნდა ქონდეს საკუთარ სარგებლობაში მარტივი ლაბორატორიული სამარჯვები, კონსტრუქტორები და ა.შ..

5. დასკვნა

- შეფასების კრიტერიუმების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შემოთავაზებული მოდელი უფრო სრულყოფილად ახდენს ლაბორატორიული ექსპერიმენტის ჩატარების ტექნოლოგიის ეფექტურობის შეფასებას.

- შეფასების შემოთავაზებულმა მოდელმა აჩვენა დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ზოგიერთი კრიტერიუმის მიმართულებით სუსტი მხარეები.

- მიზანშეწონილია „სუსტი“ კრიტერიუმების მიმართულებით ლაბორატორიული ექსპერიმენტის ალტერნატიული დასწრებული აქტივობებით ჩანაცვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://nces.ed.gov/programs/digest/d23/tables/dt23_311.15.asp
2. ფრანგიშვილი ა. იმნაიშვილი ლ., ბედინეიშვილი მ. ლაბორატორიული ექსპერიმენტის დისტანციურად ჩატარების ეფექტურობის შეფასება. სტუ-ის 100 და იმს ფაკ- 65 წლისთავის მიძ.საერთაშ. სამეც.-პრაქტ. კონფ.- „ინოვაციები და თანამედროვე გამოწვევები 2022“ შრ.კრ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2023, გვ. 117–122. ISBN ISBN 978-9941-28-944-6
3. US6813473B1, Remote laboratory, G09B7/02
4. CN111325362A, Remote laboratory system for electrical, electronic and control circuit learning and method for implementing same, G06Q10/02.
5. ფრანგიშვილი ა., იმნაიშვილი ლ., ბედინეიშვილი მ., ზედგინიძე გ. დისტანციური ლაბორატორიული სისტემა. პატენტი გამოგონებაზე # U 2022 2123 Y, 2022 წ.
6. იმნაიშვილი ლ., ბედინეიშვილი მ., გოდერძიშვილი გ., ზედგინიძე გ., ჭოველიძე. ლაბორატორიული ექსპერიმენტის დისტანციური ჩატარების ტექნოლოგია. ჟურნალი „ენერჯია“. №4(96), სტუ. თბილისი, 2020 წ., გვ 141-145.

7. Weighted Decision Matrix. <https://ecampusontario.pressbooks.pub/essentialsofprojectmanagement/chapter/4-3-weighted-decision-matrix/>

8. იმნაიშვილი ლ., ბედინეიშვილი მ., ჭოველიძე ა. საინჟინრო პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ლაბორატორიული რესურსების ურთიერთგამოყენების ერთი ტექნოლოგიის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენცია თანამედროვე გამოწვევები და მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში - 12 ოქტომბერი, 2023, თბილისი.

9. Feisel L.D. et al., Learning objectives for engineering education laboratories, in: Presented at the Frontiers in Education (FIE) 32nd Annual Conference, 2002

A new approach to evaluating the effectiveness of conducting a laboratory experiment remotely

Levan Imnaishvili, Maguli Bedineishvili, Tea Todua
Georgian Technical University

l.imnaishvili@gtu.ge, m.bedineishvili@gtu.ge, tea_todua@gtu.ge

Abstract

The paper proposes a new model for evaluating the effectiveness of remote laboratory experiments, which more fully reflects the positive and negative aspects of in-person and remote laboratory experiments. The evaluation model is based on the weighted matrix method and uses expert assessments. The evaluation criteria are based on 13 objectives defined by ABET accreditation for laboratory work, which comprehensively reflect the skills that an engineer needs in practical activities. The authors of the paper have added four more criteria, that reflect the merits of remote laboratory experiment. Based on the developed model, the efficiencies of in-person and two remote laboratory technologies has been evaluated. The remote laboratory experiment technology considers the approach where existing computerized laboratory stands are equipped with special hardware/software tools that allow students to conduct laboratory experiments with the help of an instructor in the laboratory. The focus on this approach is due to the versatility of laboratory stands - when the stands already exist in the university's equipment and can be used for both in-person and remote learning. The evaluation using the developed model showed that remote technologies are slightly less effective compared to in-person learning. Mechanisms to eliminate the lag are proposed, which means strengthening the components of internship course, that require students to maximize satisfaction of the "Psychomotor Skills" and "Sensory Perception" criteria. This can be implemented by incorporating in-person learning components into the educational process or students should have for their personal use special tools and devices that develop these skills.

Keywords: Remote laboratory experiment, efficiency of remote laboratory experiment, weighted matrix method.

საკომუნიკაციო მოწყობილობების გავლენა კომპიუტერულ ქსელში მონაცემთა ნაკადის გამტარუნარიანობაზე

მიხეილ დონაძე, იბრაიმ დიდმანიძე, ბესიკ ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

mikheil.donadze@bsu.edu.ge, ibraim.didmanidze@bsu.edu.ge, b.beridze@bsu.edu.ge

რეზიუმე

ქსელის კვანძებს შორის კავშირების ტოპოლოგიის ცვლილება იძლევა უამრავ შესაძლებლობას გაზარდოს, როგორც მთლიანი ქსელის, ისე მისი ცალკეული სეგმენტის გამტარუნარიანობა, საკომუნიკაციო არხების ფიქსირებული გამტარუნარიანობის შემთხვევაშიც კი. მაგალითად, ნებისმიერ კვანძს შორის ორი ალტერნატიული გადაცემის არხის არსებობა აორმაგებს ქსელის გამტარუნარიანობას, როდესაც ეს კვანძები ურთიერთქმედებენ. ნაშრომი წარმოდგენს ბიზნეს საწარმოს კორპორაციული ქსელის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდების აღწერას, მათი პრაქტიკაში რეალიზაციის შესაძლებლობას. ნაშრომში განხილულია კორპორაციული კომპიუტერული ქსელების დაგეგმვის კონცეფცია, დასაბუთებულია საპილოტე ქსელების მნიშვნელობა კორპორაციული ქსელების დაპროექტების პროცესში. ნაშრომში ასევე განხილულია ლოკალური ქსელების ანალიზისა და ოპტიმიზაციის ინსტრუმენტები, შესწავლილია საწარმოს საინფორმაციო რესურსების ინფრასტრუქტურის დიზაინი და რეინჟინერინგის შესაძლებლობები. შესწავლილია კომუნიკაციების ტოპოლოგიისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მუშაობის გავლენა ქსელის გამტარუნარიანობაზე.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული ქსელი, გამტარუნარიანობა, ქსელური მოწყობილობები, ხიდი, კომუტატორი, მარშრუტიზატორი.

1. შესავალი

თანამედროვე პირობებში ადგილობრივი, ლოკალური ქსელები, რომლებიც იყენებენ მხოლოდ კომუტატორებს, უნდა აიგოს ნაცნობ, განსაზღვრულ ტოპოლოგიაზე - საერთო სალტეზე, რგოლზე ან ვარსკვლავზე, რომელიც განისაზღვრება ქსელში გამოყენებული ძირითადი ტექნოლოგიით (Ethernet, TokenRing და ა. შ.).

თუმცა, ხიდების, კომუტატორების ან მარშრუტიზატორების გამოყენებისას შესაძლებელი ხდება უფრო რთული ტოპოლოგიების შედგენა, რომლებიც განსხვავდება სტანდარტულისგან. ქსელის შესაბამისი ტოპოლოგიის არჩევამ შეიძლება გადაჭრას მრავალი შეფერხება (გამტარუნარიანობის თვალსაზრისით) ქსელში. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ დამატებითი საკომუნიკაციო არხების არსებობით, არამედ იმიტაც, რომ ამ შემთხვევაში ქსელი აყალიბებს სხვადასხვა საერთო მედიას, რომელიც გაზიარებულია მხოლოდ იმ კვანძებს შორის რომელთა გამტარუნარიანობა მოცემული ქსელის სეგმენტისათვისაა განსაზღვრული [1].

რა თქმა უნდა, ისეთი საკომუნიკაციო მოწყობილობების მუშაობა, როგორცაა ხიდები, კომუტატორები და მარშრუტიზატორები დიდ გავლენას ახდენს ქსელის გამტარუნარიანობაზე. ეს გადაწყვეტილება საკმარისი უნდა იყოს სეგმენტთაშორისი ან ქსელთაშორისი ტრაფიკის გადასატანად ქსელის ნაწილებს შორის, რომლებიც წარმოიქმნება ქსელში ამ ტიპის მოწყობილობების დაყენების შედეგად. ფრეიმების ან პაკეტის დაკარგვამ ხიდებზე, კომუტატორებზე ან მარშრუტიზატორებზე შეიძლება გამოიწვიოს ქსელის გამტარუნარიანობის მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც პაკეტის აღდგენა ხორციელდება პროტოკოლებით, მხოლოდ ლოდინის პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ [1,2].

2. ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება სეგმენტაციის გზით

LAN ტექნოლოგიების შეზღუდვების დასაძლევად დიდი ხანია გამოიყენება ადგილობრივი ხიდები, რომლებიც კონცენტრატორების ფუნქციური წინამორბედეა. მიუხედავად იმისა, რომ კომპუტატორებმა თითქმის შეცვალეს LAN ხიდები თანამედროვე ქსელებში, მუშაობის პრინციპები და მათი გამოყენების მოსაზრებები თითქმის იგივეა.

ხიდი არის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ორი (იშვიათად რამდენიმე) ლოკალური ქსელის ურთიერთდაკავშირებას ერთი ქსელიდან მეორეზე ფრეიმების გადაცემის გზით მათი შუალედური ბუფერის გამოყენებით. ხიდი, გამმეორებლისგან განსხვავებით, არ ცდილობს შეინარჩუნოს ბიტის სინქრონიზაცია გაერთიანებულ ქსელში. ამის ნაცვლად, ის თითოეულ ქსელთან მიმართებაში მოქმედებს, როგორც ტერმინალური კვანძი, იღებს ფრეიმს, ანალიზებს მის დანიშნულების მისამართს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამისამართო კვანძი ნამდვილად ეკუთვნის სხვა ქსელს, გადასცემს მას იქით. ხიდს, ფრეიმის სხვა ქსელში გადასატანად, უნდა ჰქონდეს წვდომა საზიარო მედიაში იმავე წესების შესაბამისად, როგორც გააჩნია ჩვეულებრივ კვანძს.

ამრიგად, ხიდი იზოლირებას უკეთებს არჩეულ სეგმენტზე შემოსულ ტრაფიკს, კერძოდ, ფილტრავს სხვა სეგმენტის შემოსული ტრაფიკის ჩარჩოების ვინაიდან შედარებით მცირე რაოდენობის კვანძებიდან ტრაფიკი მიმართულია თითოეულ სეგმენტზე, სეგმენტების დატვირთვის ფაქტორი მცირდება. შედეგად იზრდება, თითოეული სეგმენტის გამტარუნარიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ იზრდება ქსელის მთლიანი გამტარუნარიანობაც.

თითოეული ქსელის სეგმენტი რჩება შეჯახების დომენად, ანუ ქსელის განყოფილებად, რომელშიც ყველა კვანძი ერთდროულად აფიქსირებს და ამუშავებს შეჯახებას, არ აქვს მნიშვნელობა, თუ სად ხდება ეს. თუმცა, ერთ სეგმენტში შეჯახება არ იწვევს სხვა სეგმენტში შეჯახებას, რადგან ხიდი მათ სეგმენტებს შორის არ გადასცემს [6],[7].

ჯერჯერობით, არსებობს ვარაუდი, რომ ხიდის გამოყენება ორი სეგმენტის დასაკავშირებლად გამმეორებლის ნაცვლად ყოველთვის გააუმჯობესებს მთლიანი ქსელის მუშაობას, რადგან თითოეულ სეგმენტში კვანძების რაოდენობა მცირდება, შესაბამისად მცირდება სეგმენტის დატვირთვა. ეს მართალია იმ პირობით, რომ ხიდი სეგმენტთაშორის ტრაფიკს გადასცემს, მნიშვნელოვანი შეფერხებებისა და ფრეიმების დანაკარგების გარეშე. თუმცა, განხილული ხიდის ალგორითმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხიდს შეუძლია შეაფერხოს ფრეიმები და ხშირ შემთხვევაში დაკარგოს ისინი. ხიდის მიერ შექმნილი დაყოვნება გადასაცემი ფრეიმების საერთო ბუფერულ დროს უდრის. როგორც წესი, ფრეიმის გამზადების შემდეგ გარკვეული დრო სჭირდება მისამართების სიის დამუშავებას, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ მისამართების ცხრილის ზომა დიდია. ამიტომ, დაყოვნება იზრდება ჩარჩოს დამუშავების პერიოდში.

ფრეიმის დამუშავების დრო გავლენას ახდენს არა მხოლოდ კადრის დაგვიანებაზე, არამედ მისი დაკარგვის ალბათობაზეც. თუ კადრების დამუშავების დრო ნაკლებია, ვიდრე მომდევნო ფრეიმის მოსვლის ინტერვალი, მაშინ შემდეგი ფრეიმი განთავსდება ბუფერში და დაელოდება იქ, სანამ ხიდის პროცესორი გათავისუფლდება და დაიწყებს შემომავალი ფრეიმის დამუშავებას. თუ კადრების საშუალო სიხშირე დიდი ხნის განმავლობაში აჭარბებს ხიდის გამტარუნარიანობას, ანუ ჩარჩოს დამუშავების საშუალო დროს, მაშინ ხიდზე არსებული ბუფერული მეხსიერება მოსამზადებელი ჩარჩოების შესანახად შეიძლება გაიზარდოს. ასეთ ვითარებაში ხიდი ვერ მოახერხებს შემომავალი ფრეიმების ჩანაწერის შექმნას და დაიწყებს მათ დაკარგვას, ანუ უბრალოდ გადააგდებს მათ.

კადრების დაკარგვა ძალიან არასასურველი მომენტია, რადგან მისი შედეგები ვერ აღმოიფხვრება საქსელო დონის პროტოკოლებით. ჩარჩოს დაკარგვის გამოსწორება ხდება მხოლოდ სატრანსპორტო ან აპლიკაციის დონის პროტოკოლებით, რომლებიც შეამჩნევენ ქსელში ზოგიერთი მონაცემების დაკარგვას და ორგანიზებას უკეთებენ მათ ხელახლა გადაცემას. თუმცა, ქსელურ დონეზე ჩარჩოების რეგულარულმა დაკარგვამ შესაძლებელია ქსელის წარმადობა რამდენჯერმე შეამციროს, რადგან ზედა დონის პროტოკოლებში გამოყენებული დროითი ინტერვალის ამოწურვა მნიშვნელოვნად აღემატება საქსელო დონეზე ჩარჩოს გადაცემის დროს, ხოლო ჩარჩოს ხელახალ გადაცემას შეიძლება დასჭირდეს რამდენიმე ათეული წამი.

კადრების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ხიდს უნდა გააჩნდეს უკეთესი ფუნქციონალი, ვიდრე სეგმენტშორის გადასაცემ საშუალო ტრაფიკს, აგრეთვე დიდი ზომის ბუფერული მეხსიერება, რათა შეინახოს ჩარჩოები, რომლებიც გადაცემული იყო ან იქნება პიკური ტრაფიკის პერიოდში [6].

იმისათვის, რომ ხიდმა გაზარდოს ქსელის გამტარუნარიანობა, აუცილებელია შესრულდეს პირობები:

- სიჩქარე, რომლითაც ხიდი ასრულებს ჩარჩოს გადაცემის ოპერაციას მის ნებისმიერ ორ პორტს შორის (ამ ოპერაციას ეწოდება გადამისამართება) ყოველთვის უნდა იყოს უფრო მაღალი ვიდრე ამ პორტებით დაკავშირებულ ქსელის სეგმენტებს შორის არსებული ტრაფიკის საშუალო ინტენსივობა.

- ლოკალურ ქსელებში ხშირად მოქმედებს ემპირიული წესი 80/20, რომელიც გვიჩვენებს, რომ თუ ქსელი სწორ სეგმენტებად არის დაყოფილი, ტრაფიკის 80% რჩება სეგმენტის შიდა ტრაფიკად და მხოლოდ 20% გადის სეგმენტს გარეთ. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს წესი ეხება კონკრეტულ ქსელს, მაშინ ხიდს უნდა შეეძლოს Ethernet სეგმენტის მაქსიმალური გამტარუნარიანობის 20%-ის გადამისამართება, ანუ მისი წარმადობა იქნება $0.2 \times 14880 = 3000$ კადრი წამში. როგორც წესი, ლოკალურ ხიდებს ახასიათებთ 3000 კადრი წამში ან მეტი წარმადობა.

თუმცა ხიდი, გამმეორებლისგან განსხვავებით, არ იძლევა ჩარჩოების მიწოდების გარანტიას ნებისმიერ სიტუაციაში. ეს მისი ფუნდამენტური ნაკლია, რომელთანაც შეგუება გვიწევს.

ქსელში ლოკალური ხიდების წარმატებით გამოყენების შესაძლებლობა რომ გავარკვიოთ, ჯერ პროტოკოლის ანალიზატორის ან ქსელის მართვის სისტემის გამოყენებით უნდა გავზომოთ ტრაფიკის მატრიცა ქსელის კვანძებს შორის. ეს ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს გაიგოთ სეგმენტთაშორისი ტრაფიკის დონე ქსელის სეგმენტებად დაყოფისას და შევადაროთ იგი ხიდის წარმადობის მაჩვენებელს.

ქსელის კომპუტატორების საერთო გამტარუნარიანობის შეფასება. Ethernet ქსელებში სეგმენტების კომპუტაციის ტექნოლოგია, ლოკალურ ქსელებში მაღალი გამტარუნარიანობის მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ, შემოიტანა ფირმა Kalpana-მ 1990 წელს. ეს ტექნოლოგია დაფუძნებულია ქსელის სეგმენტებსა და კვანძებს შორის საერთო საკომუნიკაციო ხაზების გამოყენების უარყოფაზე და ქსელში კომპუტატორების გამოყენებაზე, რომლიც საშუალებას იძლევა ყველა წყვილ პორტს შორის ერთდროულად გადაიცეს პაკეტები.

ფუნქციურად, მრავალპორტიანი კომპუტატორი მუშაობს, როგორც მრავალპორტიანი ხიდი, ანუ მუშაობს საარხო დონეზე, ანალიზებს ჩარჩოს სათაურებს, ავტომატურად აგებს მისამართების ცხრილს და ამ ცხრილის საფუძველზე, გადამისამართებს ფრეიმებს ერთ-ერთ გამომავალ პორტზე ან ფილტრავს მას და შლის მეხსიერების ბუფერიდან. ინოვაციას წარმოადგენს

შემომავალი ფრეიმების პარალელური დამუშავება, როდესაც ხიდი მათ რიგრიგობით, მიყოლებით ამუშავებს. მეორეს მხრივ კომპუტატორს, როგორც წესი შემომავალი კადრების დასამუშავებლად, აქვს ბევრი შიდა პროცესორი, რომელთაგან თითოეულს შეუძლია შეასრულოს ხიდის ალგორითმის ფუნქცია. ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კომპუტატორი არის მულტიპროცესორული ხიდი, რომელსაც აქვს მაღალი წარმადობა შიდა პარალელურობის გამო.

კომპუტაციის ტექნოლოგია დაფუძნებულია გამჭვირვალე ხიდის ალგორითმზე, გადართვის პრინციპი არ არის დამოკიდებული წვდომის მეთოდზე, პაკეტის ფორმატზე და თითოეული ტექნოლოგიის სხვა დეტალებზე. კომპუტატორში გამავალი ტრაფიკის საფუძველზე, სვიჩი სწავლობს ქსელის ბოლო კვანძების მისამართებს, აშენებს ქსელის მისამართების ცხრილს და შემდეგ, მის საფუძველზე, ახორციელებს რგოლთაშორის გადაცემებს TokenRing ან FDDI ქსელებში. ნებისმიერი ტექნოლოგიის ქსელებში გადამრთველის მუშაობის პრინციპი უცვლელი დარჩა, რაც უზრუნველყოფს ფრეიმების ერთდროულ გადაგზავნას კომპუტატორის პორტებს შორის [2].

იდეალურ შემთხვევაში, ქსელში დაყენებული კომპუტატორი პორტებთან დაკავშირებულ კვანძებს შორის გადასცემს პაკეტებს იმ სიჩქარით, რა სიჩქარითაც წარმოქმნიან კვანძები ამ ჩარჩოებს, დამატებითი შეფერხებებისა და ფრეიმების დაკარგვის გარეშე. რეალურად პრაქტიკაში, კომპუტატორი ყოველთვის აწესებს გარკვეულ შეფერხებებს ფრეიმების გადაცემაში, ასევე შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი ფრეიმი, ანუ ვერ მიაწოდოს დანიშნულების ადგილამდე. შესაბამისად სხვადასხვა მოდელების შიდა ორგანიზების განსხვავებების გამო, ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როგორ გადასცემს კონკრეტული კომპუტატორი კონკრეტული ნიმუშის ფრეიმს. საუკეთესო კრიტერიუმად მაინც შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკა, როდესაც კომპუტატორი მოთავსებულია რეალურ ქსელში და იზომება მის მიერ გაგზავნილი შეფერხებები და დაკარგული ფრეიმების რაოდენობა. თუმცა, არსებობს მარტივი გამოთვლები, რომლებიც მოგცემთ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა კომპუტატორი რეალურ სიტუაციაში.

იმისათვის, რომ კომპუტატორმა შეძლოს საჭირო ტრაფიკის მხარდაჭერა, უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა:

1. კომპუტატორის საერთო მოქმედება უნდა იყოს მეტი ან ტოლი გადაცემული ტრაფიკის მთლიან ინტენსივობაზე:

$$B \geq \sum_{ij} P_{ij} \quad (1)$$

სადაც B არის კომპუტატორის საერთო წარმადობა, P_{ij} არის გადაცემის საშუალო ინტენსივობა i პორტიდან j -მდე. ჯამი აღებულია კომპუტატორის ყველა პორტზე, მაგ. 1-დან 8-მდე. თუ ეს უტოლობა არ დაკმაყოფილდა, მაშინ კომპუტატორი აშკარად ვერ გაუმკლავდება მასში შემავალი ფრეიმების ნაკადს და ისინი დაიკარგება მეხსიერების შიდა ბუფერების გადაჭარბების გამო. ვინაიდან ფორმულაში ფიგურირებს ტრაფიკის ინტენსივობის საშუალო მნიშვნელობა, ვერცერთი ბუფერის ჯამი, თუნდაც საერთო კომპუტაციის, ვერ მოახდენს იმ დროის კომპენსირებას, რომელიც სჭირდება ძალიან ნელი ფრეიმის დამუშავებას.

კომპუტატორის საერთო ფუნქციონირება განისაზღვრება მისი ცალკეული ელემენტის საკმარისად მაღალი წარმადობით - პორტის პროცესორი, გადართვის მატრიცა, საერთო სალტის დამაკავშირებელი მოდულები და ა. შ. კომპუტატორის შიდა ორგანიზების და მისი მოსალოდნელი ოპერაციების კონვეირიზაციის მიუხედავად, ადვილი დასადგენია მისი ელემენტების წარმადობის მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მოცემული ტრაფიკის მატრიცის მხარდასაჭერად.

2. კომპუტატორის თითოეული პორტის პროტოკოლის მაქსიმალური გამტარუნარიანობა უნდა იყოს მეტი ან ტოლი პორტში გამავალი მთლიანი ტრაფიკის საშუალო ინტენსივობაზე:

$$C_k \geq \sum_j P_{kj} + \sum_i P_{ik} \quad (2)$$

სადაც C_k არის k -ე პორტის პროტოკოლის ნომინალური მაქსიმალური გამტარუნარიანობა (მაგალითად, თუ k -ე პორტი მუშაობს Ethernet ქსელში, მაშინ C_k უდრის 100 მბ/წმ-ს), პირველი ჯამი არის გადაგაზვნილი ტრაფიკის ინტენსივობა, ხოლო მეორე ჯამი არის შემომავალი ტრაფიკის ინტენსივობა. (2) ფორმულის მიხედვით, კომუტაციის პორტი მუშაობს სტანდარტულ ნახევრად დუპლექს რეჟიმში, სრული დუპლექსის რეჟიმში, C_k -ის მნიშვნელობა გაორმაგდება.

3. თითოეული პორტის პროცესორის მუშაობა უნდა იყოს მინიმუმ პორტში გამავალი მთლიანი ტრაფიკის საშუალო ინტენსივობის ტოლი. მდგომარეობა წინას მსგავსია, მაგრამ მხარდაჭერილი პროტოკოლის ნომინალური გამტარუნარიანობის ნაცვლად, მან უნდა გამოიყენოს პორტის პროცესორის გამტარუნარიანობა.

4. კომუტატორის შიდა სალტის წარმადობა არ უნდა იყოს კომუტატორზე არსებულ პორტებს შორის გადაცემული მთლიანი ტრაფიკის საშუალო ინტენსივობაზე ნაკლები:

$$B_{bus} \geq \sum_{ij} P_{ij} \quad (3)$$

სადაც B_{bus} არის კომუტატორის საერთო სალტის წარმადობა, ხოლო $\sum_{ij} P_{ij}$ აღებულია მხოლოდ იმ i და j -ზე, რომლებიც ეკუთვნის განსხვავებულ მოდულებს.

შემოწმება, ცხადია, უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ კომუტატორებისათვის რომელთაც გააჩნიათ, შიდა მოდულური ტიპის არქიტექტურა და იყენებს საერთო სალტს მოდულთა-შორისი კომუნიკაციისთვის. სხვა შიდა არქიტექტურის მქონე კომუტატორებისათვის, მაგალითად, განაწილებული მეხსიერებით, მარტივია მსგავსი ტიპის ფორმულებით მათი შიდა ელემენტების საკმარისი წარმადობის შემოწმება.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები აუცილებელია იმისათვის, რომ კომუტატორმა საშუალოდ გაართვას თავი დავალებას და მუდმივად არ დაკარგოს ფერიმები. თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთი მაინც არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ფრეიმის დაკარგვა ხდება არა, როგორც ეპიზოდური მოვლენა პიკური ტრაფიკის მნიშვნელობებზე, არამედ მუდმივი მოვლენა, რადგან საშუალო ტრაფიკის მნიშვნელობებიც კი აღემატება კომუტატორის შესაძლებლობებს.

1 და 2 პირობა ვრცელდება ნებისმიერი ორგანიზაციის შიდა კომუტატორებზე, ხოლო 3 და 4 პირობები მოცემულია, როგორც ინდივიდუალური მუშაობის გათვალისწინების აუცილებლობის მაგალითი.

იმის გამო, რომ კომუტატორის მწარმოებლები ცდილობენ თავიანთი მოწყობილობები გახადონ რაც შეიძლება სწრაფი, კომუტატორების მთლიანი შიდა გამტარუნარიანობა ხშირად აჭარბებს ნებისმიერი ტრაფიკის საშუალო მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება გადავიდეს კომუტაციის პორტებში. ასეთ კომუტატორებს უწოდებენ „დაბრკოლების გარეშე“, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი სახის ტრაფიკი გადადის ინტენსივობის შემცირების გარეშე.

კომუტატორების წარმადობის სრული ნომინალური მნიშვნელობის მიუხედავად ყოველთვის არის შესაძლებელი პორტებს შორის ტრაფიკის ისეთი განაწილება, რომელსაც კომუტატორი ვერ უმკლავდება და აუცილებლად დაიწყებს „ფრეიმების“ დაკარგვას. მაგალითად, საკმარისია კომუტატორის მეშვეობით გადაცემული მთლიანი ტრაფიკი მისი ზოგიერთი გამომავალი პორტისთვის აღემატებოდეს ამ პორტის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას.

კომუტატორმა ასევე შეიძლება დაკარგოს „ფრეიმების“ დიდი პროცენტი იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია, რადგან ეს პირობები აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი თანამედროვე პირობებში კომუტატორის პორტებში მიღებული და გადაცემული „ფრეიმების“ სამართავად. ეს პირობები მნიშვნელოვნად ამარტივებს კომუტატორში „ფრეიმების“ გაცვლის პროცესს. მხოლოდ ნაკადის სიჩქარის საშუალო

მნიშვნელობებზე ორიენტაცია არ ითვალისწინებს კოლიზიებს, რომლებიც ხდება პორტის გადამცემებსა და კომპიუტერის ქსელურ ადაპტერს შორის, დანაკარგებს რომლებიც ჩნდება გარემოზე წვდომის ლოდინის დროს და სხვა ფენომენებს, რომლებიც გამოწვეულია კადრების შემთხვევითი გენერირებით, ასევე გასათვალისწინებელია კადრების შემთხვევითი ზომები და სხვა შემთხვევითი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს კომუტატორების რეალურ წარმადობას. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული შეფასებების გამოყენება სასარგებლოა, რადგან ის საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ იმ შემთხვევების იდენტიფიცირება, როდესაც კონკრეტული ქსელისთვის კომუტატორების კონკრეტული მოდელის გამოყენება აშკარად მიუღებელია.

რადგან ყოველთვის არ არის შესაძლებელი ქსელის კვანძებს შორის ფრეიმების ნაკადების ინტენსივობის შეფასება, ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ისეთი დამოკიდებულება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვთქვათ, რომ კომუტატორს აქვს საკმარისი წარმადობა რათა გაუმკლავდეს იმ ფრეიმების ნაკადს რომელიც იმოდრავებს კომუტატორის ყველა პორტში მაქსიმალური ინტენსივობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვვლავლობთ პირობას, რომლის მიხედვითაც კომუტატორი მოცემული პორტებზე არ იქნება დაბლოკილი მოცემული ნაკრებისთვის.

ცხადია, კომუტატორი არ იქნება დაბლოკილი, თუ მისი საერთო შიდა გამტარუნარიანობა B -ს ტოლი იქნება მისი ყველა C_k პორტის მაქსიმალური გამტარუნარიანობის ჯამის:

$$B = \sum_k C_k \quad (4)$$

ანუ, თუ კომუტატორს აქვს, მაგალითად, 12 FastEthernet და 2 GbtEthernet პორტი, მაშინ შიდა წარმადობა - 3200 მბტ/წმ საკმარისი იქნება ნებისმიერი ტრაფიკის განაწილებისთვის, რომელიც შედის კომუტატორში მისი პორტების მეშვეობით. თუმცა, ასეთი შეხედულება შიდა გამტარუნარიანობაზე (წარმადობა) გადაჭარბებულია, რადგან კომუტატორი შექმნილია არა მხოლოდ „ფრეიმების“ მისაღებად, არამედ მათ დანიშნულების პორტში გადასაგზავნადაც. ამრიგად, კომუტატორის ყველა პორტი მუდმივად ვერ მიიღებს გარედან ინფორმაციას მაქსიმალური სიჩქარით, რადგან გადამრთველის ყველა პორტიდან გასული ინფორმაციის საშუალო ინტენსივობა უნდა იყოს მიღებული ინფორმაციის საშუალო ინტენსივობის ტოლი. ამრიგად, კომუტატორის საშუალებით სტაბილურ რეჟიმში გადაცემული ინფორმაციის მაქსიმალური სიჩქარე უდრის ყველა პორტის მთლიანი გამტარუნარიანობის ნახევარს - თითოეული მიღებული „ფრეიმი“ ზოგიერთი პორტისთვის ყოველთვის გვევლინება, როგორც გამომავალი „ფრეიმი“. ამ მტკიცებულების თანახმად, კომუტატორმა გამართულად, რომ იმუშაოს საკმარისია მისი შიდა მთლიანი წარმადობა უდრიდეს მისი ყველა პორტის პროტოკოლის მაქსიმალური გამტარუნარიანობის ჯამის ნახევარს:

$$B = (\sum_k C_k) / 2 \quad (5)$$

მაშასადამე, კომუტატორისთვის 12 FastEthernet და 2 GbtEthernet პორტით საკმარისია, რომ საშუალო ჯამური გამტარუნარიანობა იყოს 1600 მბტ/წმ, ნორმალური მუშაობისთვის ტრაფიკის განაწილების ნებისმიერი ვარიანტის გადაცემაზე, რომელიც შეიძლება გადაიცეს მისი პორტებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირობა მხოლოდ იმის გარანტიას იძლევა, რომ კომუტატორის შიდა ელემენტები - პორტის პროცესორები, ინტერმოდულური სალტე, ცენტრალური პროცესორი და ა. შ. - გაუმკლავდება შემომავალი ტრაფიკის დამუშავებას.

ტრაფიკის განაწილების ასიმეტრიამ გამავალ პორტებში, პორტის პროტოკოლების შეზღუდვების გამო ყოველთვის შეიძლება გამოიწვიოს ქსელში მოძრავი ტრაფიკის გადაცემის შენელება. ფრეიმის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, კომუტატორების მრავალი

მწარმოებელი იყენებს საკუთარ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს „შეანელონ“ გადამრთველთან დაკავშირებული კვანძების გადამცემები, ანუ ისინი შემოაქვთ ნაკადის კონტროლის ელემენტებს ბოლო კვანძის პორტის პროტოკოლების შეცვლის გარეშე [8].

მარშრუტიზატორების გავლენა ქსელის მუშაობაზე. მარშრუტიზატორები, ისევე როგორც ხიდები და კომუტატორები, ახდენენ ქსელის ერთი ნაწილის ტრაფიკს იზოლირებას მეორისგან და ამით ზრდიან ქსელის გამტარუნარიანობას მთლიანობაში. ამავდროულად, ქსელის იზოლაციის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ხიდების და კომუტატორების გამოყენების დროს, რადგან მარშრუტიზატორები არ გადასცემენ სამაუწყებლო ტრაფიკს და ჩარჩოებს უცნობი დანიშნულების მისამართებით ქსელებს შორის. მარშრუტიზატორების გამოყენებამ შეიძლება შეამციროს გამტარუნარიანობა. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ როუტერის წარმადობა ნაკლებია ინტერნეტის სამუშაო ტრაფიკის საშუალო ინტენსივობაზე. როგორც წესი, როუტერის წარმადობა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე კომუტატორის. საშუალო როუტერი ერთი პაკეტის დამუშავებაზე ხარჯავს 5-დან 10-ჯერ მეტ დროს, ვიდრე საშუალო წარმადობის კომუტატორი. ამიტომ, ჩვეულებრივ, მარშრუტიზატორები გამოიყენება ქსელების ისეთი ფრაგმენტების დასაკავშირებლად, რომლებიც საკმაოდ იზოლირებულია და წარმოქმნის არც თუ ისე ინტენსიურ ინტერნეტ ტრაფიკს.

ყველა ზემოთ განხილული დამოკიდებულება, რომელიც მიღებული იქნა კომუტატორების წარმადობის მოთხოვნების განხილვისას, ასევე მოქმედებს მარშრუტიზატორებზეც [8]. იმისათვის, რომ სწორად მოვახდინოთ კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და მივიღოთ საფუძვლიანი გადაწყვეტილება, იმის შესახებ, თუ რომელი კომუტატორი შეიძლება იქნეს გამოყენებული კონკრეტულ ქსელში, ჯერ უნდა გავარკვიოთ რა პირობებში მოხდა წარმოდგენილი შედეგების მიიღება და როგორ შეესაბამება ეს იმ პირობებს, რომლებიც შეიძლება შეგხვდეს ჩვენ ქსელში. ცხადია, ამ შედეგების საფუძველზე, კომუტატორები შეიძლება შეირჩეს იმ რეალური ქსელებისთვის, რომლებშიც დატვირთვის განაწილება გადამრთველ პორტებს შორის ერთგვაროვანია. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის ერთრანგიანი ქსელებისთვის, სადაც კომუტატორები მუშაობენ იერარქიის ზედა დონეებზე და აერთიანებს დიდი სეგმენტების ტრაფიკს. თუმცა, თუ კომუტატორი გამოიყენება ქსელში გამოყოფილი სერვერით, სადაც მკაფიოდ გამოხატულია ტრაფიკის გადახრა იმ პორტისკენ, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაბამის პირობებში, ტრაფიკის ასიმეტრიული განაწილება [7].

3. დასკვნა

სტატიაში განხილული, გაანალიზებული და შემუშავებული მეთოდების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები.

მიზანშეწონილია მოხდეს კორპორაციის კომპიუტერული ქსელის სეგმენტებად დაყოფა და სეგმენტებსა და ქსელის კვანძებს შორის სასურველია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე საერთო, განაწილებული (shared) კავშირის არხები, რაც შესაბამისად ამალღებს ქსელის წარმადობას. ნაშრომში წარმოდგენილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელებიც ინფორმაციული სისტემების შრომისუნარიანობის ამალღებას ითვალისწინებს, დამუშავებულია კომპიუტერული ქსელების ეფექტური მუშაობის მახასიათებლები და ქსელის მოცემული სეგმენტის გამტარუნარიანობის გაუმჯობესების კრიტერიუმები.

ჩამოყალიბებულია მოთხოვნები (პირობები) თუ როგორ შეძლოს კომუტატორმა საჭირო ტრაფიკის მხარდაჭერა, მოძიებულია დამოკიდებულება ქსელის კვანძებს შორის ფრეიმების ნაკადების ინტენსივობის შეფასების გარეშე, თუ როგორ შეუქმნათ კომუტატორს საკმარისი წარმადობა და გაუმკლავდეს იმ ფრეიმების ნაკადს რომელიც იმოდრავებს მის ყველა პორტში მაქსიმალური ინტენსივობით.

ლიტერატურა:

1. Krntach C. Mansfield Jr., James L. Antonakos. Computer Networking from LANs to WANs: Hardware, Software, and Security, 2010.
2. P. Gburzyński, Modeling Communication Networks and Protocols, Springer Cham, 2019.
3. K. Wehrle, Mesut Güneş, James Gross, Modeling and Tools for Network Simulation, Springer Berlin, Heidelberg, 2010.
4. James McCabe, Network Analysis, Architecture, and Design, 3rd Edition, Elsevier Inc, 2007.
5. D. Serpanos, T. Wolf, Architecture of Network Systems, Morgan Kaufmann Publishers. 2011.
6. J. Kurose, K. Ross, Computer Networking Approach 7th_Edition, Pearson Education, Inc, 2017.
7. B. Beridze, M. Donadze, Network Anomaly Detection Utilizing Machine Learning Methods, IEEE East-West Design & Test Symposium (EWDTS) Proceedings, 2023., Publisher: IEEE

The impact of communication devices on data flow bandwidth in a computer network

Mikheil Donadze, Ibraim Didmanidze, Besik Beridze
Batumi Shota Rustaveli State University

mikheil.donadze@bsu.edu.ge, ibraim.didmanidze@bsu.edu.ge, b.beridze@bsu.edu.ge

Abstract

Changing the topology of connections between network nodes provides many opportunities to increase the bandwidth of the entire network, as well as its individual segment, even in the case of fixed bandwidth of communication channels. For example, having two alternate transmission channels between any node doubles the network bandwidth when these nodes interact. The work presents a description of the methods of planning and development of the corporate network of a business enterprise, the possibility of their implementation in practice. The paper discusses the concept of planning corporate computer networks, the importance of pilot networks in the process of designing corporate networks is substantiated. The paper also discusses the tools for analysis and optimization of local networks, the design and reengineering possibilities of the enterprise's information resources infrastructure are studied. The influence of the communication topology and the operation of the communication devices on the network bandwidth is studied.

Keywords: computer network, bandwidth, network devices, router, switch, bridge

უსადენო კავშირის მეშვიდე თაობის ტექნოლოგია Wi-Fi 7

სალომე მახარაძე, ია ცქვიტინიძე, ელვირა ბჟინავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

s.makharadze@gtu.ge, ia.tskvitinidze@gtu.ge, e.bzhinava@gtu.ge

რეზიუმე

გასულ ათწლეულებში Wi-Fi (Wireless Fidelity) უსადენო კავშირის ტექნოლოგია ფართოდ გამოყენებადი გახდა და მისი პირველი თაობები აკმაყოფილებდნენ კიდევ მომხმარებელთა ყველა მოთხოვნას, მაგრამ მარშუტიზატორების გავრცელებისა და გამტარუნარიანობის სტანდარტების მნიშვნელოვანმა ცვლილებამ, Wi-Fi-ის ახალ თაობებში წარმოშვა წინა თაობებში შექმნილი პრობლემების მოგვარების საჭიროება. მომხმარებელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შესაბამისად, საჭიროა დღევანდელ ტექნოლოგიებში ცვლილებების განხორციელება, მახასიათებლების გაუმჯობესება: გადაცემის სიჩქარის გაზრდის, დაყოვნების შემცირების, გადაცემის ხარისხის, ქსელის გამტარუნარიანობისა და საიმედოობის გაზრდის თვალსაზრისით. თავდაპირველად უსადენო კავშირის ტექნოლოგიების შემქმნელი კომპანები მხოლოდ უსადენოდ დაფარვის ზონის გაფართოებაზე იყვნენ ორიენტირებული, დამატებითი სიხშირეების გამოყენებამ კი მოაგვარა არხის გადატვირთულობის პრობლემა. ახალი თაობის ტექნოლოგიას წარმოადგენს Wi-Fi 7 (IEEE 802.11be), ის არის Wi-Fi Alliance-ის

შემდგომი თაობის სტანდარტი - EHT (Extremely High Throughput) განსაკუთრებით მაღალი გამტარუნარიანობის ტექნოლოგია, რომელიც გვთავაზობს ახალ შესაძლებლობებს. Wi-Fi 7 ტექნოლოგია დაფუძნებულია Wi-Fi 6E-ზე, იყენებს სამივე სიხშირულ დიაპაზონს 2.4 გჰც, 5 გჰც, 6 გჰც-ს და მასში გაზრდილია მონაცემთა გადაცემის სიჩქარე, სიჩქარემ თეორიულად შესაძლოა მიაღწიოს 46 გბიტ/წმ, რაც განპირობებულია Wi-Fi 7-ში გამოყენებული ტექნოლოგიების ერთობლიობით: 320 მგჰც-იანი სიგანის არხის გამოყენებით, არხების სიგანით 16 სივრცული ნაკადით (MU-MIMO), ასევე 4096-QAM - 4096 კვადრატულ ამპლიტუდური მოდულაციით, Multi-RU - მრავალრესურსული ერთეულის გამოყენებით, Multi-Link Operation (MLO) - მრავალარხიანი კავშირით და მრავალჯერადი შეღწევის წერტილების კოორდინაციის გაუმჯობესებით, რისი წყალობითაც სიჩქარე იქნება 4.8-ჯერ უფრო სწრაფი ვიდრე Wi-Fi 6-ის და 13-ჯერ უფრო სწრაფი ვიდრე Wi-Fi 5-ის. ახალი სტანდარტის ახალი შესაძლებლობებით სარგებლობისთვის საჭირო იქნება ახალი მოწყობილობები, რომლებიც ამ სტანდარტს უჭერენ მხარს.

საკვანძო სიტყვები: უსადენო კავშირი, IEEE 802.11be, Wi-Fi 7, MU-MIMO, MLO.

1. შესავალი

უსადენოდ ინტერნეტ ქსელთან წვდომის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ტექნოლოგიას წარმოადგენს Wi-Fi (Wireless Fidelity) ტექნოლოგია. ასეთი ტექნოლოგიით აგებული ქსელით სარგებლობა შესაძლებელია ყველგან: სახლში, დაწესებულებებში, საჯარო სივრცეებში. მონაცემთა გადასაცემად Wi-Fi ტექნოლოგია ხშირად გამოიყენება როგორც ძირითადი ქსელი. კვლევების თანახმად, 2018 წლის მონაცემით მსოფლიოში ქსელში ჩართული 9 მილიარდზე მეტი Wi-Fi მოწყობილობა მუშაობდა. უფრო პოპულარული ხდება ახალი ტექნოლოგიები, მკაცრი მოთხოვნებით: ულტრამაღალი გამტარუნარიანობით, ულტრამცირე დაყოვნებით, რომლებიც საშუალებას იძლევა განვითარდეს თანამედროვე სერვისები: ვირტუალური და დამატებითი რეალობა, ონლაინ თამაშები, დისტანციური მუშაობა, ონლაინვიდეოკონფერენცია, ღრუბლოვანი გამოთვლები. Wi-Fi მოწყობილობების დიდი სიმკვრივით განთავსების პირობებში ქსელის პარამეტრებს: გამტარუნარიანობის გაზრდასა და დაყოვნების შემცირებას დიდი ყურადღება ეთმობა. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით 2019 წლის მაისში IEEE 802.11be (TGbe) სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო IEEE 802.11be EHT (Extremely High Throughput – განსაკუთრებით მაღალი გამტარუნარიანობა) - Wi-Fi უსადენო კავშირის ტექნოლოგიის მეშვიდე თაობაზე - ე.წ. Wi-Fi 7-ზე. მე-7 თაობის Wi-Fi ლოკალური მოწყობილობების უსადენოდ დაკავშირების ყველაზე გავრცელებული საშუალება იქნება. Wi-Fi 7-ის მომხმარებელს შეეძლება დაუკავშირდეს ძველი სტანდარტის ჰოსტს. Wi-Fi 7 იქნება უკუთავსებადი ანუ მოქმედი სტანდარტის არსებულ მოწყობილობებს შეეძლება დაუკავშირდნენ Wi-Fi 7 მოწყობილობებს (მარშრუტიზატორს, შეღწევის წერტილს), Wi-Fi 7-ის სრული შესაძლებლობებით სარგებლობისთვის საჭირო იქნება კავშირის ორივე ბოლოში ახალი მოწყობილობების გამოყენება, ზოგიერთ კომპიუტერზე დამატებითი ადაპტერის დაყენება. აღნიშნული სტანდარტის ექსპლუატაციაში გაშვება მოსალოდნელია 2024 წლის ბოლოს. 2022 წლის თებერვლის ბოლოს Qualcomm-მა გამოაცხადა პირველი ჩიპის გამოსვლის შესახებ, რომელიც მხარს უჭერდა Wi-Fi-ის მე-7 თაობის FastConnect 7800. იმავე წლის სექტემბერში Intel-მა Broadcom-თან ერთად დემოსტრირება მოახდინა ახალი ქსელის ფუნქციონირების, ხოლო 2022 წლის ნოემბერში ჩინურმა კომპანიამ TP-Link-მა წარმოადგინა მარშრუტიზატორები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ახალ სტანდარტს. მიუხედავად იმისა, რომ წინა თაობები Wi-Fi 6 და Wi-Fi 6E გამოვიდა არც ისე დიდი ხნის წინ (2019 წ., 2021 წ.) (ცხრილი 1), Wi-Fi 7-ს აქვს სერიოზული ტექნიკური უპირატესობები. ოღონდ Wi-Fi-ის ახალი სტანდარტი არ არის დანიშნული იმისთვის, რომ ჩაანაცვლოს „Ethernet“-ი. მართალია, რომ გლობალურ პრობლემებს მეშვიდე თაობა არ წყვეტს, მაგრამ მიზნად ისახავს მონაცემთა გადაცემის სიჩქარის მიზანმიმართულ ზრდას განსაკუთრებით მომთხოვნი მომხმარებლებისთვის.

Wi-Fi-ის თაობების ევოლუცია

ცხრ.1

Wi-Fi თაობა	IEEE სტანდარტი	გამოშვების წელი	2.4 გჰც	5 გჰც	6 გჰც	გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე
Wi-Fi	802.11	1997	+	-	-	2 მგბიტი/წმ
Wi-Fi 1	802.11 b	1999	+	-	-	11 მგბიტი/წმ
Wi-Fi 2	802.11 a	1999	-	+	-	54 მგბიტი/წმ
Wi-Fi 3	802.11 g	2003	+	-	-	54 მგბიტი/წმ
Wi-Fi 4	802.11 n	2009	+	+	-	600 მგბიტი/წმ
Wi-Fi 5	802.11 ac	2013	-	+	-	6.93 გბიტი/წმ
Wi-Fi 6	802.11ax	2019	+	+	-	9.6 გბიტი/წმ
Wi-Fi 6E		2021	+	+	+	
Wi-Fi 7	802.11be	2024	+	+	+	46 გბიტი/წმ
Wi-Fi 8	802.11bn	2028	+	+	+	100 გბიტი/წმ

2. ძირითადი ნაწილი


Wi-Fi 7 უსადენო ტექნოლოგიის გამოყენება გააუმჯობესებს შემდეგი სფეროების მუშაობის ხარისხს (ნახ.1):

- ბიზნესი. Wi-Fi 7 გამოასწორებს ნელი ავტორიზაციის პროცესს, ვირტუალური შეხვედრებისას შეამცირებს დაყოვნებას, მოავარებს გადატვირთული ქსელის პრობლემას.

- გართობა. ონლაინ-თამაშებით თამაში, ვირტუალური და აუგმენტირებული რეალობით სარგებლობა, ნაკადური ვიდეოს 4K/8K ყურება ბუფერიზაციისა და დაყოვნების გარეშე იქნება შესაძლებელი. განვითარდება ახალი დამატებები: ვიდეო ნაკადი, ვიდეო/ხმოვანი კონფერენცია, ონლაინ თამაშები, რეალურ დროში თანამშრომლობა, ღრუბლოვანი/სასაზღვრო გამოთვლები, საგნების ინდუსტრიული ინტერნეტი, იმერსიული AR/VR, ინტერაქტიული ტელემედიცინა.

- „ჭკვიანი“ სახლი. Wi-Fi 7 დააკმაყოფილებს ჭკვიანი სახლის ყველა მოთხოვნას, აღარ იქნება არანაირი დაყოვნება ხმოვანი მართვისას, ყველაფერი შესრულდება მომენტალურად.


Wi-Fi 7-ის შესაძლებლობებით ისარგებლებენ: ახალი ტექნოლოგიის მოყვარულნი, მეწარმეები, ჭკვიანი სახლის მეპატრონენი, ინჟინრები, IT-სპეციალისტები, გეიმერები.



ნახ. 1. Wi-Fi 7-ის გამოყენების სფეროები


Wi-Fi 7 (IEEE 802.11be) არის დამუშავების პროცესში მყოფი Wi-Fi სტანდარტი. რომელიც გამოიყენებს სამ დიაპაზონს - 2.4 გჰც, 5 გჰც, 6 გჰც (ნახ.2). მიუხედავად იმისა, რომ Wi-Fi 6 შეიქმნა ძირითადად მობილური მოწყობილობების მზარდი რაოდენობის საპასუხოდ, Wi-Fi 7 მიზნად ისახავს გასაოცარ კავშირს წარმოუდგენელი სიჩქარით. Wi-Fi 7 საუკეთესო გამოსავალი იქნება

ყველასთვის, ვისაც აქვს პრობლემები მუდმივი ბუფერიზაციის, დაყოვნებებისა და ქსელის გადატვირთულობის მხრივ. მრავალბინიან კორპუსში სხვადასხვა სიხშირეზე მომუშავე მარშრუტიზატორები ერთმანეთის მუშაობას ხელს არ შეუძლია. არხების რაოდენობა თითოეულ დიაპაზონში იგივეა რაც 6E-ში: 13 არხი 2.4 გჰც, 33 არხი 5 გჰც, 59 არხი 6 გჰც. მნიშვნელოვანი განსხვავებებია არხის სიგანეში, Wi-Fi 6E სტანდარტისთვის მაქსიმალური სიგანე იყო 160 მგჰც, მე-7 თაობაში იქნება 320 მგჰც, ანუ მარშრუტიზატორი ერთდროულად დაიკავებს 1-დან 32 არხამდე. რაც ზრდის ქსელის გამტარუნარიანობას და სტაბილურობას.



ნახ. 2. Wi-Fi 7-ში სიხშირული დიაპაზონის, სპექტრის და არხების აღწერილობა

მიუხედავად იმისა, რომ Wi-Fi 6-ის მაქსიმალური ნომინალური სიჩქარე 37%-ით მაღალია, ვიდრე Wi-Fi 5-ის, გასათვალისწინებელია, რომ Wi-Fi 6-მდე მიზანი იყო არა იმდენად სიჩქარის გაზრდა, რამდენადაც ეფექტურობის, ანუ ქსელის სტაბილური მუშაობა მომხმარებლების მოწყობილობების მაღალი სიმკვრივის პირობებში. Wi-Fi 7-ში აქცენტი გაკეთებულია სიჩქარეზე, ამიტომ მისი მაქსიმალური სიჩქარე იქნება უფრო სწრაფი ვიდრე წინა თაობების. Wi-Fi 7-ის მაქსიმალური თეორიული სიჩქარეა 46 გბიტ/წმ-ია. Intel-მა და Broadcom-მა ტექნოლოგიის დემონსტრირებისას 5 გბიტ/წმ სიჩქარეს მიაღწია მაღალი ტრაფიკის მქონე საზოგადოებრივ ადგილებში და ოფისებში (ნახ.3).



ნახ. 3. Wi-Fi 6-ის და Wi-Fi-ის სიჩქარეების შედარება


Wi-Fi 7-ი Wi-Fi 6-ისგან გამოირჩევა შემდეგი უპირატესობით:

- მეშვიდე თაობის Wi-Fi საშუალებას მოგვცემს ისეთი ინტერნეტით სარგებლობისას, როგორც არასდროს, აქამდე არ იყო შესაძლებელი. 4.8-ჯერ უფრო სწრაფი ვიდრე Wi-Fi 6, სიჩქარე 46 გბიტი/წმ;

- 4-ჯერ მცირე დაყოვნება ვიდრე Wi-Fi 6/6E, ულტრა გლუვი Wi-Fi 7, მარშრუტიზატორები საშუალებას აძლევს განვითარებულ აპლიკაციებს ყოველთვის იმუშაონ უმაღლესი წარმადობით;

- 5-ჯერ მეტი მოწყობილობის ჩართვის შესაძლებლობა. 320 მგჰც სიგანის არხებით (სურათი 4) და მრავალარხიანი კავშირით Wi-Fi დააკავშირებს ხუთჯერ მეტ მოწყობილობას ქსელში, ვიდრე Wi-Fi 6.


- 2-ჯერ უფრო ფართო და 2-ჯერ უფრო სწრაფი, Wi-Fi 7 6 გჰც დიაპაზონის მთელ პოტენციალს გამოიყენებს და უზრუნველყოფს მაღალ სიჩქარეს 320 მგჰც არხის სიგანის ხარჯზე, რომელიც 2-ჯერ უფრო ფართოა Wi-Fi 6-ის არხებზე.



ნახ. 4. Wi-Fi 7-ის არხების სიგანე 6 გჰც დიაპაზონში


- ნაკადების რაოდენობა. 2-ჯერ უფრო მეტი ნაკადები, 2-ჯერ უფრო მეტი ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. Wi-Fi 7 იყენებს MU-MIMO 16X16 სტანდარტს, 16 სივრცულ ნაკადს - 16x16 MU-MIMO (Multi-User Multiple-Input and Multiple-Output (MU-MIMO)), განსხვავებით Wi-Fi 6E 8 ნაკადისაგან. ქსელში ჩართული დიდი რაოდენობით მოწყობილობებისთვის სტაბილურობისა და კავშირის სიჩქარის შესანარჩუნებლად საჭიროა ეს - 1 ნაკადი 1 გაჯეტზე. კომერციული და კორპორატიული გამოყენებისათვის ეს საკმაოდ სასარგებლო პარამეტრია. ქსელში რაც მეტი მომხმარებლის Wi-Fi მოწყობილობაა ჩართული, მით მეტი მულტიპლექსირება მოითხოვება (კავშირის არხების გამკვრივება). Wi-Fi 6 მხარს უჭერს 8 სივრცით ნაკადს, რომლებიც ერთდროულად მუშაობენ, Wi-Fi 7-ში ასეთი ნაკადები იქნება 16.

- 20%-ით მეტი მონაცემები დროის ერთეულში - 4K-QAM (ნახ.5). Wi-Fi 7-ში მაქსიმალური სიჩქარის გასაზრდელად გამოიყენება კვადრატული მაღალი რიგის მოდულაციის სქემა - 4096 QAM (4KQAM), რისი წყალობითაც თითოეული სიმბოლო მოთავსდება 12 ბიტში, 10-ის ნაცვლად, რაც ნიშნავს 20% თეორიულ ზრდას Wi-Fi 6-თან შედარებით და 1024-QAM მოდულაციის სქემასთან შედარებით. რაც მეტია QAM მით მეტია მწარმოებლურობა იმავე არხის სიგანეზე და მონაცემთა გადაცემის უფრო მაღალი პიკური სიჩქარის რეალიზება იქნება შესაძლებელი.




ნახ. 5. 4K-QAM-ს გამოყენებით ქსელის მწარმოებლობის გაზრდა

- Multi-RU (Multi Resource Unit (RU) - მრავალი რესურსის ერთეული (ნახ.6). Wi-Fi 6 ქსელებში ყოველი მომხმარებელი აგზავნის და იღებს კადრებს მხოლოდ მიკუთვნილებული რესურსების ერთეულით, რაც არსებითად ზღუდავს სპექტრული რესურსების განაწილების მოქნილობას. ამ პრობლემის გადასაწყვეტად და სპექტრული ეფექტურობის უფრო მეტად გასაზრდელად Wi-Fi 7-ში რესურსების ერთეულის კომბინირება მოხდება, ერთ მომხმარებელს მიეკუთვნება რამდენიმე რესურსის ერთეული, რაც ზრდის მონაცემთა გადაცემის ეფექტურობას.



ნახ. 6. Multi-RU

- ტექნოლოგია Multi-link operation (MLO) (ნახ.7). MLO უზრუნველყოფს სხვადასხვა სიხშირული დიაპაზონის არხების გაერთიანებას და მათ შორის გადართვის შესაძლებლობას ქსელის მუშაობისას (დიაპაზონების აგრეგაცია, MLO საშუალებას იძლევა გააერთიანოს 2 Wi-Fi დიაპაზონი, მაგ. 2.4 გჰც და 5 გჰც ან 5 გჰც და 6 გჰც, Wi-Fi ერთიან შეერთების ქსელში). დიაპაზონის აგრეგაცია ხელმისაწვდომია ორ რეჟიმში: დატვირთვის ბალანსირებისას და უარის დამუშავებისას. დატვირთვის ბალანსირებისას საშუალებას იძლევა გაერთიანდეს გატარების ზოლები ორივე დიაპაზონის ერთ არხში, მათთვის ვისაც უსადენო კავშირის მაქსიმალური სიჩქარე სჭირდება. მეორე რეჟიმში შეუძლია იმუშაოს მხოლოდ მაუწყებლის შიგნით. სიგნალის დაკარგვა ან მოკლევადიანი გადადება გამორიცხულია უარისადმი მდგრადი MLO-ს გამო. Wi-Fi 6E-მდე Wi-Fi შეერთება ორ პირდაპირ მოწყობილობას შორის ხდებოდა ერთ დიაპაზონში ფიქსირებული არხის გამოყენებით. მრავალარხიანი კავშირი საშუალებას იძლევა მოწყობილობებმა ერთდროულად გააგზავნონ და მიიღონ მონაცემები სხვადასხვა სიხშირულ დიაპაზონში და არხებში. ეს საშუალებას იძლევა გაიზარდოს გამტარუნარიანობა, შემცირდეს დაყოვნება და ჩართვის სტაბილურობა ამაღლდეს ისეთი ამოცანების შესასრულებლად როგორცაა VR/AR, ონლაინ თამაშები, დისტანციური მუშაობა, ღრუბლოვანი გამოთვლები. ამჟამად Wi-Fi მოწყობილობები იყენებენ ერთ არხს მონაცემთა გადასაცემად სადგურსა და შეღწევის წერტილს შორის. მრავალარხიანი კავშირი Wi-Fi 7-ში საშუალებას იძლევა რამდენიმე არხის მონაცემები გადაიცეს სადგურსა და შეღწევის წერტილს შორის, რაც დააბალანსებს ტრაფიკს და იქნება უფრო ოპტიმალური მარშრუტის აგების შესაძლებლობა.



ნახ. 7. Wi-Fi 6 ერთი ბმულით, Wi-Fi 7 მრავალ ბმულიანი მუშაობა

Wi-Fi 7-ს წინა თაობებიდან გამოარჩევს შემდეგი მახასიათებლები (ცხრილი 2):

სხვადასხვა თაობის Wi-Fi-ის მახასიათებლები ცხრ.2

მახასიათებლები	Wi-Fi 5	Wi-Fi 6	Wi-Fi 6E	Wi-Fi 7
გამოშვების წელი	2013	2019	2021	2024 სავარაუდო
IEEE სტანდარტი	802.11 ac	802.11 ax	802.11 ax	802.11 be
მონაცემთა გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე	6.9 გბიტი/წმ	9.6 გბიტი/წმ	9.6 გბიტი/წმ	46 გბიტი/წმ
სიხშირული დიაპაზონი	5 გჰც	2.4, 5 გჰც	2.4, 5, 6 გჰც	2.4, 5, 6 გჰც
არხის სიგანე	20, 40, 80, 80+80, 160 მგჰც	20, 40, 80, 80+80, 160 მგჰც	20, 40, 80, 80+80, 160 მგჰც	320 მგჰც
მოდულაცია	256-QAM OFDM	1024-QAM OFDMA	124-QAM SOFDMA	496-QAM OFDMA
დაფარვის მანძილი	25-35 მეტრი	30 მეტრი შიგნით, 120 მეტრი გარეთ		30 მეტრი შიგნით, 120 მეტრი გარეთ
დაყოვნება	30 მწმ	20 მწმ	10 მწმ	ნაკლები 1 მწმ-ზე
უსაფრთხოება	WPA, WPA2	WPA3		WPA3
MU-MIMO	4x4 MIMO DL MIMO	8x8 UL/DL MU- MIMO	8x8 UL/DL MU- MIMO	16x16 UL/DL MU- MIMO
RU	-	RU	RU	Multi-RU

- არანაირი დანაკარგები. ქვეარხების გატარების მექანიზმი - Wi-Fi 6-ში და წინა თაობებში თუ ერთ არხზე იყო ხელშეშლები, მაშინ ყველა არხი რომელიც ამ არხთან მდებარეობდა იყო მიუღწევადი. Wi-Fi 7-ში ქვეარხების გატარების მექანიზმი საშუალებას იძლევა დაიბლოკოს არხი ხელშეშლებით, რომ მის ახლოს მდებარე ყველა დანარჩენმა არხმა შეძლოს შეუფერხებლად გააგრძელონ მუშაობა.

- სიხშირეების ავტომატური კოორდინაცია AFC (Automated Frequency Coordination) - გამოიყენება 6 გჰც დიაპაზონისას. რაც ნიშნავს იმას, რომ Wi-Fi 7 მაუწყებელს ექნება თავისი თავისუფალი საჰაერო სივრცე მუშაობისათვის, მომწოდებლებს შეეძლებათ გამოიყენონ უფრო მძლავრი და უფრო მოქნილი ანტენის კონსტრუქცია.

- მულტიგიგაბიტური პორტები გახდება Wi-Fi 7-ისთვის ნორმა. Wi-Fi 7 აძლიერებს სადენიანი სტანდარტის Multi-Gig გამოყენებას, Wi-Fi 7 როუტერებს აქვს მინიმუმ ორი პორტი Multi-Gig სიჩქარით 10 გბიტი/წმ, Multi-Gig სადენიანი ქსელი გახდება ჩვეულებრივი მოვლენა Wi-Fi 7 როუტერებში და შედგენის წერტილებში.

- უფრო ძლიერი უსაფრთხოება. ახალი სტანდარტი მხარს უჭერს Wi-Fi Protected Access 3 (WPA3) უსაფრთხოების პროტოკოლს. 192 ბიტის ძლიერი დაშიფვრის გარდა WPA3-ს აქვს ავტორიზაციის ძლიერი მექანიზმი და შეჭრის აღმოჩენის შესაძლებლობა. ასევე გააჩნია ფუნქცია მოწყობილობების თვალყურის დევნების, მდებარეობის მხარდაჭერის, რაც ხელს შეუწყობს მოწყობილობების და მონაცემების მითვისებისა და ბოროტად გამოყენებისგან დაცვას.

- ტექნოლოგია „Spectrum puncturing” - დიდი სიგანის სიხშირულ არხებში ინტერნეფენციის თავიდან აცილების მიზნით.

Wi-Fi 7-სთან თავსებადი ჩიპები, მარშრუტიზატორები, გამმეორებლები, წვდომის წერტილები უკვე გამოდის ბაზარზე (ნახ. 8).



ნახ. 8. ბაზარზე არსებული Wi-Fi 7-სთან თავსებადი მოწყობილობები

3. დასკვნა

Wi-Fi 7 აერთიანებს Wi-Fi 6 და 6E ფრაგმენტაციას, რათა შექმნას ერთიანი უსადენო მიდგომა უფრო მაღალი სიჩქარისა და საიმედო კავშირის უზრუნველსაყოფად. ახალი სტანდარტი გვპირდება Wi-Fi-ის ყველა ასპექტის გაუმჯობესებას: გამტარუნარიანობის, შეერთების ხარისხისა და მოქმედების დიაპაზონის ჩათვლით. შესაძლებელია გვექნოდეს Wi-Fi შეერთება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მრავალგაბიტიანი სიჩქარე-10 გბიტი/წმ. წლები იქნება საჭირო ბაზრიდან Wi-Fi 6/6E კლიენტების გამოსასვლელად. უსადენო კავშირის ტექნოლოგიები განაგრძობენ განვითარებას, Wi-Fi 7 იქნება დამატებითი ვარიანტი, სამომავლოდ კი გამოჩნდება Wi-Fi 8.

Wi-Fi 7-ის შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას იძლევა: გატარების ზოლი 320 მგჰც, 4096 კვადრატულ ამპლიტუდური მოდულაცია QAM, მრავალრესურსული ერთეული Multi-Resource Unit-Multi RU, რამდენიმე არხთან მუშაობა Multi-Link Operation-MLO, მრავალმომხმარებლიანი - Multiple-Input Multiple-Output-MU-MIMO და მრავალჯერადი შეღწევის Access Point-AP- კოორდინაციის გაუმჯობესება.

Wi-Fi 7 არის მომავლის გასაღები, დიდი წინსვლაა უსადენო ტექნოლოგიებში. გვპირდება მნიშვნელოვნად გაზრდილ სიჩქარეს, საიმედოობას, მაგრამ ყველა უპირატესობით სარგებლობისათვის საჭირო იქნება კავშირი პროვაიდერთან, თავსებადი ახალი აღჭურვილობით (მარშრუტიზატორი, ქსელთან დამაკავშირებელი მოწყობილობები და სხვა). Wi-Fi 7 ეფექტურობა ვლინდება კავშირის სტაბილურობაში, დიდი რაოდენობით სერვისული მოწყობილობების ჩართვის შესაძლებლობაში, ადგილობრივი ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდაში, დაყოვნების შემცირებაში.

ლიტერატურა:

1. Xia Zhou, Wi-Fi 7, eBook, Huawei Technologies, 2024, p. 61, link- <https://shorturl.at/CNsDW>.
2. Monica Paolini, Wi-Fi7: The next generation in the evolution of Wi-Fi, Senza Fili, 2022. P 1-9.
3. David Lopez-Pérez, Adrian Garcia-Rodriguez, Lorenzo Galati-Giordano, Mika Kasslin, Klaus Doppler. IEEE 802.11be Extremely High Throughput: The Next Generation of Wi-Fi Technology Beyond 802.11ax//IEEE Communications Magazine. 2019. v57, no 9.
4. <https://www.edn.com/exploring-the-superior-capabilities-of-wi-fi-7-over-wi-fi-6/>
<https://www.ruijienetworks.com/support/tech-gallery/wifi7vswifi6-part1>

<https://www.lancom-systems.com/technology/wifi-7> (23.10.2024)

The seventh generation of wireless connection technology Wi-Fi 7

Salome Makharadze, Ia Tskvitinidze, Elvira Bzhinava

Georgian Technical University

s.makharadze@gtu.ge, ia.tskvitinidze@gtu.ge, e.bzhinava@gtu.ge

Abstract

In the past decades, Wi-Fi (Wireless Fidelity) wireless connection technology has become widely used, and its first generations met all the demanding requirements of users, but a significant change in the spreading of routers and bandwidth standards has created a need in the new generations of Wi-Fi to solve the problems which created in the previous generations. Accordingly, in order to meet the constantly growing demands of customers, it's necessary to make changes in today's technologies, to improve the characteristics: in terms of increasing transmission speed, reducing latency, increasing transmission quality, network bandwidth and reliability. Initially, the companies developing of the wireless connection technologies were focused only on expanding the wireless coverage area. Using additional frequencies solved the problem of channel overcrowding. The new generation technology is Wi-Fi 7 (IEEE 802.11be), it's the next generation standard of the Wi-Fi Alliance – EHT – Extremely High Throughput technology, which offers new possibilities. Wi-Fi 7 technology is based on Wi-Fi 6E, uses all three frequency bands 2.4 GHz, 5 GHz, 6 GHz and has increased data transfer speed, the speed can theoretically reach 46 Gbps, which is due to Wi-Fi 7- with the combination of technologies used in: using a 320 MHz wide channel, with a channel width of 16 spatial streams (MU-MIMO), as well as 4096-QAM - 4096 square amplitude modulation, Multi-RU - using multi-resource unit, Multi-Link Operation (MLO) - with multi-channel connection and improving the coordination of multiple access points, respectively the speed will be 4.8 times faster than Wi-Fi 6 and 13 times faster than Wi-Fi 5. In order to take advantage of the new capabilities of the new standard, will be required a new devices that support this standard.

Key words: Wireless connection, IEEE 802.11be, Wi-Fi 7, MU-MIMO, MLO.

მობილური აპლიკაციის სერვისები Databricks Lakehouse

ტექნოლოგიის გამოყენებით

ინგა აბულაძე, ნანა მაღლაკელიძე, მარინა კაშიბაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

i_abuladze@gtu.ge; n.maglakelidze@gtu.ge; m.kashibadze@gtu.ge

რეზიუმე

ნაშრომის კვლევის მიზანია მობილურ აპლიკაციაში ჩაშენებული ციფრული ბიბლიოთეკის მოდელის შემუშავება **AI Databricks** და **Lakehouse** ტექნოლოგიების გამოყენებით. შემოთავაზებულია Databricks პლატფორმის გამოყენება თანამედროვე ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და მათი შემდგომი გაზიარებისათვის. შესაბამის მონაცემებზე დაფუძნებული AI და ML მოდელების აგება ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: AI Databricks, Lakehouse, მობილური აპლიკაცია, ციფრული ბიბლიოთეკა, ჰიბრიდი ტექნოლოგია.

1. შესავალი

სამეცნიერო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მგზავრობისას დროის გამოყენების უფრო კომფორტული და რაციონალური მეთოდის შემუშავება.

ჩვენი ამოცანის მიზანია ადამიანებს გავუადვილოთ მათთვის სასურველი წიგნის მოძიების პროცესი ელექტრონულად, „ჭკვიანი ტექნოლოგიის“ - მობილური აპლიკაციის საშუალებით. მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია როგორც ქართული, ასევე უცხოელი ავტორების წიგნების მოძიება. ამ პროცესში გვეხმარება ხელოვნური ინტელექტის AI Databricks ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია Lakehouse პლატფორმაზე [1].

2. ძირითადი ნაწილი

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად დავამუშავეთ Databricks ტექნოლოგიის სიმბიოზი ღრუბლოვანი სერვისებთან. Databricks Lakehouse ინოვაციური მიდგომის საფუძველზე როგორ გავხადოთ მობილური აპლიკაციის გამოყენება უფრო ეფექტური, როგორ მოხდეს დიდი ზომის ინფორმაციის შენახვა, ანალიზი და მათი გამოყენება.

Databricks არის ერთიანი, ღია ანალიტიკური პლატფორმა დიდი ზომის მონაცემების ანალიტიკისთვის, რომლის საფუძველზე AI იღებს გადაწყვეტილებას. DataBricks Lakehouse საშუალებას იძლევა გადაწყვეტილების გაზიარებისა ღრუბლოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც მისი უსაფრთხო მახასიათებელია.

Databricks სამუშაო სივრცე უზრუნველყოფს ერთიან ინტერფეისს და ინსტრუმენტებს მონაცემთა დამუშავებისთვის განკუთვნილი ამოცანების გადასაწყვეტად, მათ შორის:

- ❖ მონაცემთა ვიზუალიზაციის გენერირება;
- ❖ მონაცემთა მართვის უსაფრთხოება, მაღალი ხელმისაწვდომობა და კატასტროფის შემთხვევაში მონაცემთა აღდგენის მაღალი ხარისხი;
- ❖ მანქანური დასწავლის (ML) მეთოდების მოდელირება, თვალთვალი და მოდელის მომსახურება;
- ❖ AI გადაწყვეტილებების გენერაცია.


1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია ავტორების მიერ შემუშავებული მოდელი მობილურ აპლიკაციაში ჩაშენებული ბიბლიოთეკის შესახებ ინფორმაციის დამუშავების მოდელი Databricks ტექნოლოგიის გამოყენებით.



ნახ.1. მობილური აპლიკაციის ინოვაციური მოდელი Databricks ტექნოლოგიით

მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია Databricks და Lakehouse პლატფორმის სიმბიოზში და საერთო სახელწოდებით Databricks Lakehouse. Databricks მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და დამუშავების მეთოდი Lakehouse პლატფორმასთან სიმბიოზში იძლევა მონაცემებზე მარტივ წვდომას [2]. ეს მონაცემები გადაეცემა AI-ს, რომელიც გამოიყენება მანქანური დასწავლის (ML) მეთოდის საშუალებით მისი შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით. შესაბამისი მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ჩვენს მობილურ ტელეფონში ჩავაშენოთ ციფრული ბიბლიოთეკა. ამასთან ერთად, მოხდება სხვადასხვა ჟანრის წიგნების განთავსება სხვადასხვა ცხრილებში. ასეთი მიდგომა გაუდვილებს მგზავრობის პროცესში მყოფ ადამიანებს წიგნის მოძიებას.

მე-3 ნახაზზე წარმოდგენილია Lakehouse პლატფორმის არქიტექტურა. ერთ არქიტექტურაში ინტეგრირებულია მონაცემთა შენახვა, დამუშავება, მართვა, გაზიარება და ანალიტიკა, რომელიც შემდგომში გადაეცემა AI-ს და ML-ს. ასეთი მიდგომა რაციონალურია როდესაც ვმუშაობთ როგორც სტრუქტურირებულ, ასევე არასტრუქტურირებულ მონაცემებთან. ამ არქიტექტურის შიგნით მიმდინარეობს პროცესი დაწყებული მონაცემთა შეგროვებიდან მათ გაზიარებამდე. ამ მონაცემების გამოყენება შესაძლებელია როგორც Python-სა და SQL-ში, ასევე Notebooks-სა და SmartPhones-ში. მონაცემებთან კავშირი ხორციელდება სპეციალური დრუბლის საშუალებით [2].



ნახ.2. Databricks Lakehouse პლატფორმა


Lakehouse არქიტექტურა აერთიანებს: Data Engineering, Data Analysts და Machine Learning. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

Data Engineering — Data Engineers, Delta Live Tables, Delta Lake, Unity Catalog.

Data Analysts — Databricks SQL, Visualizations.

Machine Learning — ML Flow, Feature Store.

საბოლოოდ, Lakehouse პლატფორმა საშუალებას იძლევა გავაერთიანოთ მონაცემთა ინჟინერია, მონაცემთა მეცნიერება და ანალიტიკა.



ნახ.3. Lakehouse პლატფორმის არქიტექტურა

Databricks Mosaic AI მეთოდი უზრუნველყოფს ერთიან ინსტრუმენტებს AI და ML გადაწყვეტილებების შესაქმნელად, მათი განლაგების, შეფასებისა და მართვისთვის, რათა შემდგომში გაგვიადვილდეს GenAI apps — აპლიკაციის შექმნა AI-ის გამოყენებით, რომელიც აგებული იქნება Databricks Data Intelligence-ის პლატფორმაზე.

Databricks Mosaic AI საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს უსაფრთხოდ და ეკონომიურად შექმნან თავიანთი

წარმოებისთვის მაღალი ხარისხის AI აპლიკაციები, რომლებიც ინტეგრირებული იქნება მათი საწარმოების მონაცემებთან.

Databricks Lakehouse მუშაობს ყველა მთავარ საჯარო ღრუბელზე, მჭიდროდ ინტეგრირებული უსაფრთხოებით, გამოთვლებით, საცავით, ანალიტიკით და AI სერვისებით, რომლებიც ბუნებრივად შემოთავაზებულია ღრუბლოვანი პროვაიდერების მიერ. სიმბიოზში ეს უზრუნველყოფს მუშაობის/მომხმარებლის სისწრაფეს და მისი გამოყენების საშუალებას გვამძლევს ღრუბლოვანი პროვაიდერი, როდესაც და როგორც გვინდა [1].

Databricks ტექნოლოგია გამოიყენება 3 მიმართულებით. ესენია: Microsoft Azure; AWS და Google Cloud (ნახ. 4).

ნახ.4. Databricks ტექნოლოგიის გამოყენების სფეროები

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

➤ Azure Databricks

მონაცემები და AI სერვისი Databricks-ში ხელმისაწვდომია Microsoft Azure-ის საშუალებით. მონაცემების შესანახად გამოიყენება Lakehouse, რათა შემდეგ განხორციელდეს მათი ანალიზი და AI-ს მიეწოდოს სამუშაო დატვირთვა.



➤ Databricks on AWS (Amazon Web Services)

დიდი რაოდენობის მონაცემების მოდერნიზაცია და ანალიზი შესაძლებელია Databricks AWS პლატფორმის საშუალებით. Databricks AWS-ის ჩაშენებულ პლატფორმაზე შესაძლებელია დიდი ზომის მონაცემების მარტივად შენახვა. ეს პლატფორმა აერთიანებს მონაცემთა საუკეთესო მონაცემთა საწყობებს, რათა საჭიროების შემთხვევაში უკეთესად გამოვიყენოთ AI ნებისმიერი ამოცანის გადასაჭრელად [1]. Databricks AWS გამოიყენება მონაცემთა ინჟინერიასა (Data Engineering) და მანქანურ სწავლებაში (Machine Learning).

➤ Databricks on Google Cloud

Databricks Google Cloud-ზე არის ერთობლივად შემუშავებული სერვისი Lakehouse პლატფორმა, რომელიც საშუალებას გვამძლევს შევინახოთ ყველა მონაცემი მარტივად data warehouse-ის და data lakes-ის გაერთიანებით შემდომი ანალიტიკისა და AI სამუშაო დატვირთვისათვის.

3. დასკვნა

ნამშრომში ავტორების მიერ შემუშავებულია ინოვაციური იდეა, როგორ გავხადოთ სმარტფონი „უფრო ჭკვიანი“ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია Databricks Lakehouse სიმბიოზური პლატფორმა და შემუშავებულია შესაბამისი მოდელი. ამასთან ერთად, Databricks-ის გამოყენება თანამედროვე ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით.

ლიტერატურა:

1. <https://www.databricks.com/product/machine-learning>
2. <https://www.databricks.com/product/data-lakehouse>

Mobile Application Services Using Databricks Lakehouse Technology

Inga Abuladze, Nana Maglakelidze, Marina Kashibadze
Georgian Technical University
i_abuladze@gtu.ge; n.maglakelidze@gtu.ge; m.kashibadze@gtu.ge

Abstract

The research goal of the paper is to develop a digital library model embedded in a mobile application using AI Databricks and Lakehouse technologies. It is proposed to use the Databricks platform using modern cloud technologies for data retrieval, processing, analysis and their further sharing. Building AI and ML models based on relevant data using cloud technologies.

Key words: AI Databricks, Lakehouse, Mobile application, Digital library, Smart technology.

YouTube-ის გამოცდილების ხარისხის (QoE) გაზომვა λ - ლამბდა საზომი ერთეულით

ომარ შამანაძე, ომარ ტყემელაშვილი, თემურ ბერიანიძე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

o.shamanadze@gtu.ge; o.tkeshelashvili@gmail.com; berianidzetemuri08@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია თანამედროვე მობილურ ქსელებში მომხმარებლების მიერ გამოყენებული ინტერნეტ ტრაფიკის სტრუქტურა, გადასაცემი და მიღებული ვიდეო მასალის დამუშავებისას კომპენსირების და კოდირების ახალი მეთოდების გამოყენება თანამედროვე (4G, 5G) და შემდგომი თაობის მობილური ტექნოლოგიების ექსპლოატაციის დროს. ფართოზოლოვანი რადიო არხების გამოყენებისას ძირითადად გამოიყენება სუბიექტური გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ძვირი და შრომატევადია, ამიტომ სტატიაში შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრის პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებულია PEVQ (ვიდეო ხარისხის აღქმის შეფასება) ალგორითმი λ - ლამბდა საზომი ერთეულით. გამოკვლეულია Youtube აპლიკაციის ხარისხის გაზომვის მარტივი მიდგომა და გაკეთებულია შედარება PEVQ ალგორითმთან. მონაცემები შეგროვებულია არსებული მობილური ოპერატორის 5G/4G მობილურ ქსელში რამოდენიმე სხვადასხვა ტევადობის ქალაქში ერთი თვის განმავლობაში ჯამურად 122 ათასი მონაცემის ანალიზის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: λ მაჩვენებელი. ინტერნეტ ტრაფიკი. YouTube აპლიკაცია, Netflix, Disney + 4G, 5G, ITU-T SG12. კომპრესირება. კოდირება, აპლიკაცია. მომსახურების ხარისხი (QoS, LTE, NR), ულტრა მაღალი გარჩევადობის ტელევიზია (UH-DTV). ვიდეოს კოდირების სიჩქარე (Encoding Rate), PEVQ (ვიდეო ხარისხის აღქმის შეფასება). სერვისის შეფასები (MOS) შკალა. ვიდეოს შეფერხება (Stalling).

1. შესავალი

ციფრულ ვიდეოზე მოთხოვნა 2017-2024 წლებში გაიზარდა 4.4-ჯერ, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემდგომი აპლიკაციების პოპულარობის ზრდით: YouTube, Netflix, Disney + და ვიდეო კონფერენციების სერვისებით Zoom, Teams, Skype [1]. მობილურ ქსელებში გადაცემის დროს, ვიდეოს ხარისხი განიცდის ხარვეზებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ქსელური (QoS) ხარისხის პარამეტრებით (მონაცემთა გადაცემის სიჩქარე, ჯიტერი, დაყოვნება, პაკეტების კარგვა) ან მედია/აპლიკაციის დონის პარამეტრებით (სერვისის/აპლიკაციის შეღწევადობის დრო, შეყოვნება, ვიდეოს დაკვრის შეჩერება, ვიდეოს დაკვრის დრო, ვიდეო ხარვეზები და

რეზოლუცია) [3]. ვიდეოს ხარისხის გაზომვის ძველებური მიდგომა ორიენტირებული იყო მარტო ქსელურ (QoS) ხარისხის პარამეტრებზე, ხოლო თანამედროვე სერვისებისათვის ეს მიდგომა არ მოგვცემდა სწორ შედეგებს, რადგანაც ის არ მოიცავს მომხმარებლის მიერ გამოცდილ სერვისის ხარისხს (QoE). ITU-T SG12-ი აღწერს QoE-ს, როგორც "აპლიკაციის ან სერვისის საერთო მისაღებლობას, როგორც სუბიექტურად აღიქმება საბოლოო მომხმარებლის მიერ". [4]

გამოცდილების ხარისხის (QoE) გასაზომად, უნაკლო საშუალება არის სუბიექტური გამოკითხვის მეთოდი, რაც მოიცავს ლაბორატორიულ პირობებში მომხმარებლების გამოკითხვას და სერვისის შეფასებას (MOS) შკალაზე. ესეთი გაზომვის ხერხი საკმაოდ შრომატევადი, ხარჯიანი და არაპრაქტიკულია და მის გადასაჭრელად შეიქმნა PEVQ (Perceptual Evaluation of Video Quality) ალგორითმი, რაც ეგრეთ წოდებული „Full Reference” (სრულიად მითითებულ) მოდელზეა დაყრდნობილი და არის შეტანილი ITU-T რეკომენდაცია J.247-ში [5]. PEVQ ზომავს ვიდეოს დეგრადაციას, რომელიც წარმოიქმნება ვიდეო გადაცემისას და მიღებულ ვიდეოს შედარებას აკეთებს ნაცნობ უხარვეზო ვიდეოსთან მიმართებაში. იგი ზომავს შედეგებს MOS (1=ცუდიდან 5=შესანიშნავად) შკალაზე.

ნაშრომის მიზანია ავტორის მიერ წარმოდგენილი YouTube აპლიკაციის ხარისხის გაზომვის გამარტივებული მეთოდის შესწავლა და მისი შედარება PEVQ ალგორითმთან რათა დასკვნა მოვახდინოთ რამდენად ახლოს ასახავს ეს მაჩვენებლები მომხმარებლის მიერ გამოცდილ ხარისხს (QoE) [6].

ნაშრომში გამოყენებული მონაცემები მოგროვებულია არსებულ 5G/4G მობილურ ქსელში, რამოდენიმე ქალაქის მაშტაბით, ერთი თვის განმავლობაში, ჯამრად 122 ათასი მონაცემი იქნა მოგროვილი.

2. ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ლიტერატურაში მოიძებნება მრავალი მოდელი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს კავშირი ქსელურ, აპლიკაციის დონის (QoS) პარამეტრებსა და მომხმარებლის მიერ გამოცდილების ხარისხს (QoE) შორის. ესეთი მოდელირების მიზანია: 1. (QoE) გაზომვების გამარტივება, 2. გაზომვითი პროცესის ავტომატიზაცია და 3. ხარჯების შემცირება.

[6] ნაშრომში წამოაყენეს ახალი მაჩვენებელი λ - **ლამბდა** რომელის მიზანია გაზომოს YouTube-ის აპლიკაციის გამოცდილების ხარისხი (QoE), მედია/აპლიკაციის დონის პარამეტრებზე დაყრდნობით. ამ მაჩვენებლის დათვლის ფორმულა, წარმოადგენს ფარდობას ვიდეოს შეყოვნების დროსა, დაკრულ ვიდეოს დროსთან მიმართებაში.

$$\lambda = \frac{\text{შეყოვნება}}{\text{ჯამურად ვიდეოს დაკვრის დრო}}$$

რაც უფრო დაბალია λ - **ლამბდა** მაჩვენებელი მით უფრო კარგი ხარისხის ვიდეოს უნდა ელოდოს მომხმარებელი. ამ ნაშრომზე დაყრდნობით, ჩვენ მოვახდენთ შედარებას ამ საზომ ერთეულსა და PEVQ-ს ალგორითმთან რათა გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რამდენად რეალურად ასახავს ის მომხმარებლის მიერ მიღებულ ხარისხს (QoE).

გაზომვის მეთოდი: სანამ სტატიის ცდების დეტალებზე გადავალთ, ჯერ საჭიროა განვიხილოთ YouTube ვიდეოს საზომი ერთეულების დეტალები.

- **ვიდეოს შეფერხება (Stalling)** - ITU-ს BT.500 მიერ განსაზღვრულია როგორც მომენტი როდესაც ვიდეო ნაკადი დროებით წყდება ქსელის გადატვირთულობის ან სხვა ტექნიკური პრობლემების გამო [7].

• PEVQ (ვიდეო ხარისხის აღქმის შეფასება) - ალგორითმი დაფუძნებულია HVS (ადამიანის ვიზუალური სისტემა) მოდელზე, რომელიც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სიკაშკაშე, კონტრასტი, სივრცითი გარჩევადობა და დროითი გარჩევადობა, რათა წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორ აღიქვამს მაყურებელი ვიდეოს. დასკვნამდე მისასვლელად, ალგორითმი ეყრდნობა მათემატიკური ფორმულების ნარევს და დიდ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს ინდივიდების ინდივიდუალურ შეფასებებს ვიდეოს საერთო ხარისხის შესახებ [8].


მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა კომპანია InfoVista TEMS Paragon 5.1 სატესტო ხელსაწყო, უახლესი თაობის მობილური Samsung S21 ტელეფონით და ვიდეო ხარისხის გაზომვის PEVQ ალგორითმი. შედეგების ანალიზისთვის გამოვიყენეთ InfoVista TEMS Discovery. ტესტირება ტარდებოდა მეხუთე თაობის -NR და LTE ქსელზე. მე-5 თაობა იყო NSA (Non-Standalone) კონფიგურაციის. ჯამურად, მოგროვებული იყო ერთი თვის მონაცემები - 29 ათასი ვიდეო ტესტი.

გაზომვის ჩატარებისას გამოვიყენეთ მაღალი ხარისხის 4K ვიდეო, რომელიც მრავლად შეიცავს მოძრავ ელემენტებს. ტესტირება ტარდებოდა მოძრაობაში, რამაც საშუალება მოგვცა, რომ ანალიზი გაგვეკეთებინა ექნება თუ არა სიგნალის დონეს გავლენა ჩვენს ნახსენებ კორელაციაში. ამისათვის ტესტირების რეზულტატებს დავყობთ დონეებად: შესანიშნავ (- 85 დეციბელზე უკეთესი), საშუალო (- 85 დან -110 მდე) და სუსტი (- 110 დეციბელზე ნაკლები).

შედეგები:


NR			
λ - ლამბდა	# მონაცემების რაოდენობა	PEVQს აჩვენებული MOS შკალაზე	სტანდარტული დევიაცია
0	13,993	4.74	0.15
0.1	305	4.43	0.75
0.2	89	3.66	1.35
0.3	53	2.96	1.60
0.4	28	2.26	1.57
0.5	16	2.01	1.55

LTE			
λ - ლამბდა	# მონაცემების რაოდენობა	PEVQს აჩვენებული MOS შკალაზე	სტანდარტული დევიაცია
0	12,326	4.73	0.19
0.1	438	4.31	0.84
0.2	185	3.36	1.42
0.3	78	3.02	1.48
0.4	40	2.06	1.36
0.5	17	1.84	1.66



ნახ. 1. ვიდეოს ხარისხის აღქმის კოეფიციენტის ცვლილება MOS შკალაზე, λ - ლამბდა პარამეტრის თანაფარდობასთან მიმართებაში

შედეგებით დასტურდება, რომ λ - ლამბდა პარამეტრი რაც უფრო დაბალია და ნულს უახლოვდება ვიდეოს ხარისხიც საგრძნობლად უმჯობესდება. აგრეთვე R² პარამეტრი ორივეს NR-სა და LTE-სთვის არის საკმაოდ მაღალი განსაზღვრის კოეფიციენტი. იდენტური შედეგები გვიჩვენა ამ კორელაციამ სხვადასხვა სიგნალის დონეებისთვისაც.



ნახ. 2

3. დასკვნა

იმისათვის, რომ შეგვეთავაზებინა QoE-ს გაზომვის ბევრად გამარტივებული მოდელი ჩვენ ანალიზი გავუკეთეთ, უკვე არსებულ მოლედს და დამატებით გავუკეთეთ კორელაცია PEVQ ალგორითმთან რადგანაც დასკვნა გაგვეკეთებინა წარმოდგენდა იგი თუ არა მომხმარებლის მიერ მიღებულ ხარისხს. ჩვენი დასკვნით λ - ლამბდა საზომი მაჩვენებელი, შეიძლება გამოყენებული იყოს (QoE) ხარისხის გასაზომად.

ლიტერატურა:

1. https://www.cisco.com/c/dam/m/en_us/solutions/service-provider/vni-forecast-highlights/pdf/Global_Device_Growth_Traffic_Profiles.pdf
2. <https://www.fiercevideo.com/video/youtube-accounts-for-35-worldwide-mobile-internet-traffic-sandvine-says>
3. Anush Krishna Moorthy and Alan Conrad Bovik, "Blind image quality assessment: From natural scene statistics to perceptual quality," *Trans. Img. Proc.*, vol. 20, no. 12, pp. 3350–3364, Dec. 2011

4. Kalpana Seshadrinathan, Rajiv Soundararajan, Alan Conrad Bovik, and Lawrence K. Cormack, “Study of subjective and objective quality assessment of video,” *Trans. Img. Proc.*, vol. 19, no. 6, pp. 1427–1441, June 2010
5. <https://www.itu.int/md/T01-SG12-040324-D-0197/en>
6. <https://www.itu.int/rec/T-REC-J.247/en>
7. P. Casas, et al., “Monitoring YouTube QoE: Is your mobile network delivering the right experience to your customers?,” *IEEE WCNC*, 2013, pp. 1609–1614.
8. <https://www.itu.int/rec/R-REC-BT.500>
9. <http://www.pevq.com/pevq.html>

Measuring YouTube's Quality of Experience (QoE) with the λ - lambda metric

Omar Shamanadze, Omar Tkeshelashvili, Temur Berianidze

Georgian Technical University

o.shamanadze@gtu.ge; o.tkeshelashvili@gmail.com; berianidzetemuri08@gtu.ge

Abstract

The article discusses the structure of Internet traffic used by users in modern mobile networks, the use of new methods of compensation and coding in the processing of transmitted and received video material during the operation of modern (4G, 5G) and next-generation mobile technologies. When using broadband radio channels, the subjective survey method is mainly used, which is expensive and time-consuming, so the PEVQ (perception of video quality evaluation) algorithm with λ - lambda measurement unit is used to solve the problem of determining the evaluation criteria in the article. A simple approach to measure the quality of the Youtube application is investigated and compared with the PEVQ algorithm. The data is collected in the 5G/4G mobile network of the existing mobile operator in several cities of different capacities during one month in the case of analysis of a total of 122 thousand data.

Keywords: new indicator λ - lambda Internet traffic. YouTube app, Netflix, Disney + 4G, 5G, ITU-T SG12, compression, encoding, application-level quality of service (QoS), user quality of service index (QoE), LTE, NR, ultra-high-definition television (UH-DTV), Video encoding rate (Encoding Rate), PEVQ (Video Quality Perception Evaluation), Service Rating (MOS) scale, video stalling.

პარალელიზმი თანამედროვე პროცესორებში

ალექსანდრე ბენაშვილი, ეკატერინე გვარამია, ნინო წიკლაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

a.benashvili@gtu.ge, e.gvaramia@gtu.ge, n.tsiklauri@gtu.ge

რეზიუმე

ტრანზისტორების მუშაობის სიხშირის ზრდასთან ერთად იზრდება მათი სითბოგამოყოფა, ხოლო მიკროსქემების ინტეგრაციის ხარისხის გასაზრდელად და მოხმარებული ენერჯის შესამცირებლად საჭიროა ტრანზისტორების ზომების შემცირება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულში ძალიან გართულდა პროცესორების დამზადების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება. ამრიგად, პროცესორების წარმადობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა ამჟამად არსებული ტექნოლოგიური პრობლემების პირობებში მხოლოდ პარალელური არქიტექტურული გადაწყვეტებითაა შესაძლებელი. პარალელური არქიტექტურა გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ბრძანებების უფრო მარტივ ქვებრძანებებად დაშლას და მათ პარალელურ შესრულებას. გაანალიზებულია მე-11 თაობის Rocket Lake მიკროარქიტექტურის სერვერული Intel Xeon E-2324G, Intel Xeon E-2374G და Intel Xeon E-2356G პროცესორების მახასიათებლები.

წარმოდგენილია შესაბამისი ბენჩმარკები და გაკეთებულია მათი წარმადობების შედარებითი ანალიზი. გაანალიზებულია პარალელური არქიტექტურების გავლენა პროცესორების წარმადობაზე ერთნაკადიან ამოცანებში და პროცესორის მაქსიმალური დატვირთვის პირობებში. გამოკვეთილია პროცესორების პარალელური არქიტექტურების უპირატესობები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: პროცესორი, პროცესორის წარმადობა, პროცესორების პარალელური არქიტექტურები, Rocket Lake მიკროარქიტექტურა.


1. შესავალი

მართალია კომპიუტერის წარმადობა განუწყვეტლივ იზრდება, თუმცა ამასთან ერთად თვალსაჩინოა ახალი პროგრამული მოთხოვნებიც. რაოდენ მძლავრიც არ უნდა იყოს კომპიუტერი, მისი შესაძლებლობები მაინც არ არის საკმარისი რთული სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაჭრელად. წლების განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდებოდა პროცესორების სამუშაო სიხშირე და ინტეგრაციის ხარისხი, რაც მიკროსქემების სწრაფქმედების ზრდის და მათში ტრანზისტორების სულ უფრო მეტი რაოდენობის განთავსების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა ამ მონაცემების უსაზღვროდ ზრდა შეუძლებელია. Intel-ის 14 ნმ-იანი Broadwell მიკროარქიტექტურის პროცესორის გამოშვება 2015 წელს, პროგნოზირებულთან შედარებით 6-9 თვის დაგვიანებით მოხდა [1]. მცირენაომეტრიანი ტექნოლოგიური პროცესის რეალიზაცია საკმაოდ ძვირადღირებულია. დღესდღეობით უკვე თვალსაჩინოა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ენერჯის გაზრდა, დენის გაჟონვა და სხვ.

2. ძირითადი ნაწილი


პარალელიზმის რეალიზაცია შესაძლებელია სხვადასხვა დონეებზე. ტრადიციულად ყველაზე დაბალ დონეზე იგი შეიძლება რეალიზებული იყოს პროცესორის ბირთვში კონვეირიზაციის და სუპერსკალარული არქიტექტურის ხარჯზე. ამ შემთხვევაში პროცესორის ბირთვს გააჩნია რამდენიმე ფუნქციონალური ბლოკი და ბრძანებების პარალელური შესრულება ხდება რამდენიმე ნაკადის პარალელური დამუშავების საფუძველზე.

32-ბიტის პროცესორებში 64-ბიტის გარე თანრიგისაგან გამომდინარეობდა ორი ხუთსაფეხურიანი კონვეირი (ნახ. 1). ბრძანებათა ამორჩევის ბლოკი მესხიერებიდან იმახებდა ერთდროულად ორ ბრძანებას და თითოეულ მათგანს ერთ-ერთ კონვეირში ათავსებდა. თითოეული კონვეირი შეიცავდა არითმეტიკულ-ლოგიკურ მოწყობილობას (აღმ) პარალელური ოპერაციებისათვის [2].



ნახ. 1. ორმაგი ხუთსაფეხურიანი კონვეირი ბრძანებათა ამორჩევის საერთო ბლოკით

64-ბიტის პროცესორებში კონვეირის არქიტექტურა შეიცვალა. ნაცვლად ორი ხუთსაფეხურიანი კონვეირისა გამოიყენება ერთი კონვეირი რამდენიმე ფუნქციონალური ბლოკით (ნახ. 2) [2].



ნახ. 2. სუპერსკალარული პროცესორი ხუთი ფუნქციონალური ბლოკით

კლასიკური ტერმინოლოგიური გაგებით თანამედროვე კომპიუტერის არქიტექტურა ტექნიკური თვალსაზრისით არ არის სუპერსკალარული - ერთი სატაქტო ციკლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბრძანების გაშვება ხდება, თუმცა მიღწეული შედეგი ანალოგიურია კლასიკური სუპერსკალარული არქიტექტურისა - რამდენიმე ფუნქციონალური ბლოკის არსებობა განაპირობებს შესაბამისი რაოდენობის ბრძანების პარალელურ შესრულებას.

კონვეიერში ხუთი პარალელური ბლოკის არსებობა თეორიულად 5-ჯერ უნდა ზრდიდეს პროცესორის წარმადობას, თუმცა ეს ასე არ ხდება. ბრძანებების პარალელური შესრულებისთვის უნდა სრულდებოდეს ორი პირობა:

- ბრძანებებს შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს კონფლიქტს რესურსების (მაგალითად რეგისტრების, შემსრულებელი ბლოკების, ოპერატიული მეხსიერების უჯრედების) გამოყენების თვალსაზრისით;
- შესაძლებელი უნდა იყოს ბრძანებების ერთდროული შესრულება - ისინი არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი ერთმანეთის შესრულების შედეგებზე.

ბუნებრივია, სუპერსკალარული პროცესორების განვითარების შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა კონვეიერში პარალელური ბლოკების რაოდენობის გაზრდა, რომელმაც Pentium 4 არქიტექტურაში 31-ს მიაღწია, თუმცა ამ სიახლემ არ გაამართლა, რადგან მნიშვნელოვნად გაიზარდა რესურსების გამოყენებისა და ბრძანებების ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე კონფლიქტების რაოდენობა. შემდგომში კონვეიერში პარალელური ბლოკების რაოდენობა 20-მდე შემცირდა.

პროცესორის გამომთვლელი ბლოკების მუშაობის ეფექტურობის გაზრდისთვის აგრეთვე გამოიყენება Hyper-threading ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც ერთი პროცესორი ორ ვირტუალურ პროცესორად წარმოდგინდება. თუმცა „მეორე პროცესორი“, მიუხედავად იმისა, რომ „პირველი პროცესორის“ მიერ გამოყენებულ რესურსებს იყენებს, პროცესების გადანაწილებისას ზოგჯერ მაინც აფერხებს პროცესორის მუშაობას. ამ დროს მცირდება პროცესორის წარმადობა [3].

მთლიანობაში ერთბირთვიანი პროცესორების წარმადობის ზრდა სუპერსკალარული არქიტექტურის და Hyper-threading ტექნოლოგიის საფუძველზე მხოლოდ გარკვეულ დონემდეა შესაძლებელი, ხოლო პარალელიზმის შემდეგი დონე რეალიზებულია მრავალბირთვიანი არქიტექტურის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ერთ კრისტალში, ინტეგრირებულია რამდენიმე პროცესორული ბირთვი, რომლებიც პარალელურად ასრულებენ ოპერაციებს. ამჟამად კომპიუტერებისთვის იწარმოება ორ, ოთხ, ექვს, რვა, თექვსმეტ და მეტბირთვიანი პროცესორები. ბირთვების დიდ რაოდენობის რეალიზაცია მაშინ არის ეფექტური, როდესაც პარალელურად სრულდება რთული ამოცანები.

მთლიანობაში პროცესორის წარმადობაზე ძირითად გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ბირთვების რაოდენობა, Hyper-threading ტექნოლოგია, სამუშაო სიხშირე და Cache-მეხსიერების მოცულობა.

პროცესორის წარმადობაზე პარალელური არქიტექტურების გავლენის ანალიზისთვის შერჩეულია Intel Xeon E-2324G, Intel Xeon E-2374G და Intel Xeon E-2356G პროცესორები, რომლებიც მრავალბირთვიანი პროცესორების მეთერთმეტე თაობას - Intel Rocket Lake-ს მიეკუთვნებიან.

Rocket Lake ეფუძნება Cypress Cove მიკროარქიტექტურას, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბირებად და მრავალ სიახლის მომცველ Ice Lake მობილურ პროცესორებში გამოყენებულ Sunny Cove მიკროარქიტექტურის პორტირებას 14 ნმ-იან ტექნოლოგიურ პროცესზე [4].

Rocket Lake მიკროარქიტექტურის ბაზაზე გამოშვებულია Intel Xeon და Intel Core i9/7/5 მოდელის პროცესორები. ყურადღებას იპყრობს, რომ პროცესორების სპექტრი მოიცავს 35-125 ვატი სიმძლავრის მძლავრ სასერვერო და სამაგიდო, თუმცა არა მობილურ პროცესორებს.

1-ელ ცხრილი წარმოდგენილია ტესტირებისთვის შერჩეული პროცესორების მახასიათებლები.


Intel Xeon E-2324G, Intel Xeon E-2374G და Intel Xeon E-2356 G

პროცესორების მახასიათებლები


ცხრ. 1

	Intel Xeon E-2324 G @ 3.1 GHz	Intel Xeon E-2374 G @ 3.7 GHz	Intel Xeon E-2356 G @ 3.2 GHz
სოკეტი	FCLGA 1200	FCLGA 1200	FCLGA 1200
პროცესორის კლასი	სერვერი	სერვერი	სერვერი
საბაზისო სიხშირე	3.1 გჰც	3.7 გჰც	3.2 გჰც
Turbo სიხშირე	4.6 გჰც-ზე მეტი	5.0 გჰც-ზე მეტი	5.0 გჰც-ზე მეტი
ბირთვების (პროცესორის) რაოდენობა	4 (4)	4 (8)	6 (12)
L3 Cache მეხსიერება	8 მბ	8 მბ	16 მბ
TDP	65 ვტ	80 ვტ	80 ვტ

ტესტირება შესრულებულია Passmark software პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით [5]. მე-3 და მე-4 სურათებზე წარმოდგენილია პროცესორების ტესტირების შედეგები შესაბამისად ერთნაკადიან ამოცანებში და პროცესორების სრული დატვირთვის პირობებში.



ნახ. 3. პროცესორების ტესტირების შედეგები ერთნაკადიან ამოცანებში



ნახ. 4. პროცესორების ტესტირების შედეგები პროცესორის სრული დატვირთვის პირობებში

ტესტირების შედეგები შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

ერთნაკადიან ამოცანებში მაქსიმალურ შედეგს Intel Xeon E-2374G პროცესორი იძლევა. მისი წარმადობის მაჩვენებელი Intel Xeon E-2324G და Intel Xeon E-2356G პროცესორების მაჩვენებლებს შესაბამისად 13.6 და 4.1%-ით აღემატება. ცხადია, რომ Intel Xeon E-2374G პროცესორის უპირატესობა მისი უფრო მაღალი სატაქტო სიხშირითაა განპირობებული. საინტერესოა, რომ წარმადობაზე ფაქტიურად გავლენას არ ახდენს L3 Cache მეხსიერების მოცულობა რომელიც Intel Xeon E-2356G პროცესორს ორჯერ უფრო დიდი მოცულობის გააჩნია Intel Xeon E-2324G და Intel Xeon E-2374G პროცესორებთან შედარებით და ბირთვების რაოდენობა.

თუმცა სურათი იცვლება პროცესორების სრული დატვირთვის პირობებში. 6-ბირთვიანი Intel Xeon E-2374G პროცესორის წარმადობა 47.2%-ით აღემატება Intel Xeon E-2324G და 26.5%-ით - Intel Xeon E-2374G პროცესორს. ასეთ მაჩვენებლებს განაპირობებს როგორც ბირთვების უფრო დიდი რაოდენობა, ასევე L3 Cache მეხსიერების უფრო დიდი მოცულობა.

თუმცა ბირთვების რაოდენობის ზრდა არ განაპირობებს პროცესორის წარმადობის პირდაპირპროპორციულ ზრდას, რადგან მრავალბირთვიანი არქიტექტურაც გარკვეული პრობლემებით ხასიათდება:

- პროცესების თანმიმდევრული შესრულების შემთხვევაში მრავალბირთვიანი არქიტექტურა ერთბირთვიან შედარებით უპირატესობას არ იძლევა;
- ამდლის კანონის მიხედვით პარალელური სისტემის სიჩქარე მისი ყველაზე წელი კომპონენტით განისაზღვრება [6]. შესაბამისად, ბირთვების რაოდენობის გაზრდა აუცილებლად არ განაპირობებს პროგრამის შესრულების სიჩქარის იმდენჯერვე ზრდას;
- ბირთვების რაოდენობის ზრდასთან ერთად რთულდება მათი შეთანხმებული მუშაობა და მეხსიერებასთან კავშირი.

3. დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულია პარალელური არქიტექტურების გავლენა პროცესორის წარმადობაზე. ტესტირების შედეგები აჩვენებს, რომ ერთნაკადიან ამოცანებში როგორც Hyper-threading და მრავალბირთვიანი არქიტექტურების, ასევე L3 Cache მეხსიერების მოცულობა პროცესორის წარმადობაზე ფაქტიურად არ ახდენს გავლენას. ამრიგად შესაძლებელია ყოველგვარი დანაკარგების გარეშე შედარებით დაბალწარმადული პროცესორების გამოყენება. თუმცა პროცესორის სრული დატვირთვის პირობებში პარალელური არქიტექტურები მნიშვნელოვან, თუმცა არა პირდაპირპორციულ გავლენას ახდენენ პროცესორის წარმადობაზე.

ლიტერატურა:

1. ბენაშვილი ა., ბენაშვილი გ. პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა. მე-3 გამოცემა. I ნაწილი. თბ. „საქართველოს უნივერსიტეტი“. 2017.
2. Andrew S. Tanenbaum. Structured computer organization. Sixth Edition, Pearson Education, 2013.
3. Upgrading and Repairing PCs 22th Edition Scott Mueller. 2015.
4. <https://www.intel.com/content/www/us/en/newsroom/news/11th-gen-processor-rocket-lake-s-architecture.html#gs.gksj6m>
5. <https://www.cpubenchmark.net/>
6. <https://www.geeksforgeeks.org/computer-organization-amdahls-law-and-its-proof/>

Parallelism in Modern Processors

Alexander Benashvili, Eka Gvaramia, Nino Tsiklauri
Georgian Technical University
a.benashvili@gtu.ge, e.gvaramia@gtu.ge, n.tsiklauri@gtu.ge

Abstract

As the operating frequency of transistors increases, so does their heat generation. To increase the level of integration and reduce the energy consumption of microcircuits, it is necessary to reduce the size of the transistors. However, it should be noted that over the past decade, improving the technological process of processor production has become increasingly difficult.

Thus, a further significant increase in processor performance, given the current technological challenges, is possible only through the use of parallel architectural solutions. Parallel architecture implies, when necessary, dividing commands into simpler subcommands and executing them in parallel.

The article analyzes the characteristics of the 11th generation Rocket Lake server microarchitecture processors: Intel Xeon E-2324G, Intel Xeon E-2374G, and Intel Xeon E-2356G. The corresponding benchmarks are presented, and a comparative analysis of their performance is conducted. The impact of parallel architectures on processor performance in single-threaded tasks and under the maximum load of the processor is analyzed. The advantages of parallel processor architectures, as well as the challenges associated with their use, are highlighted.

Keywords: Processor, Processor Performance, Parallel Processor Architectures, Rocket Lake Microarchitecture.

ინტერნეტი და ციფრული მარკეტინგი

ია მოწყობილი¹, ირმა ტაკიძე², ინგა სურმანიძე²

1-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

2-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ia.motskobili@bsu.edu.ge, i.takidze@bsma.edu.ge, i.surmanidze@bsma.edu.ge

რეზიუმე

ინტერნეტი და ციფრული მარკეტინგი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სფეროებია, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიან ბიზნესის და მომხმარებელთა ურთიერთობის მოდელს. ინტერნეტმა რევოლუცია გამოიწვია კომუნიკაციაში, ინფორმაციის გავრცელებაში, პროდუქტებისა და მომსახურებების გაყიდვაში. ციფრული მარკეტინგი, კი, ამავე რევოლუციის ნაყოფია, რომელიც დღეს ნებისმიერი ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. სწორედ, ინტერნეტისა და ციფრული მარკეტინგის მეშვეობით შეუძლიათ კომპანიებს უფრო ეფექტურად და სწრაფად დაუკავშირდნენ მომხმარებლებს, გააუმჯობესონ ბრენდის ცნობადობა და გაზარდონ გაყიდვები. ინტერნეტმა შექმნა ახალი შესაძლებლობები ბიზნესისათვის, რითაც შესაძლებელი გახდა გლობალურ ბაზარზე მუშაობა, ახალი სეგმენტების ათვისება და ინოვაციური პროდუქტების და მომსახურებების განვითარება. ციფრული მარკეტინგი, საკუთარი საქმიანობის სპეციფიკით წარმოადგენს ინტერნეტის გამოყენებას მარკეტინგულ აქტივობებში, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სტრატეგიასა და ინსტრუმენტს, როგორცაა საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია (SEO), საძიებო სისტემის მარკეტინგი (SEM), სოციალური მედიის მარკეტინგი (SMM), კონტენტ მარკეტინგი და ელ.ფოსტის მარკეტინგი. ეს სტრატეგიები მიმართულია მომხმარებელთა ყურადღების მოზიდვაზე, მათი ჩართულობის გაზრდაზე და გაყიდვების გაზრდაზე. ინტერნეტი და ციფრული მარკეტინგი ურთიერთქმედებენ და ერთობლივად ქმნიან ახალ შესაძლებლობებს ბიზნესებისთვის. ინტერნეტი უზრუნველყოფს პლატფორმას, ხოლო ციფრული მარკეტინგი იყენებს ამ პლატფორმას მომხმარებლის მოზიდვისა და კომუნიკაციისთვის. ეს ურთიერთგავლენა საშუალებას აძლევს კომპანიებს, შექმნან ინოვაციური და პერსონალიზებული მარკეტინგული კამპანიები. ნაშრომის მიზანია, დეტალურად განიხილოს ინტერნეტის და ციფრული მარკეტინგის როლი თანამედროვე ბიზნესში, წარმოგვიდგინოს სხვადასხვა სტრატეგიები და ინსტრუმენტები და განიხილოს წარმატებული მაგალითები. ასევე, წარმოადგინოს ციფრული მარკეტინგის გამოწვევები და სამომავლო ტენდენციების ანალიზი, რაც დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ ამ სფეროს დინამიკა და განვითარების პოტენციალი.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტი, ციფრული მარკეტინგი, ბიზნესი, ანალიზი

1. შესავალი

ინტერნეტის როლი ციფრულ მარკეტინგში - ინტერნეტის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წინსვლა იყო. ინტერნეტმა პირველად 1960-იან წლებში დაიწყო განვითარება, თუმცა მისი მასშტაბური გავრცელება და კომერციალიზაცია 1990-იან წლებში მოხდა. ინტერნეტის ადრეული ეტაპები მოიცავდა მონაცემთა გადაცემას და საკომუნიკაციო ქსელების შექმნას, მაგრამ მისი განვითარებისთანავე, ინტერნეტი მარკეტინგისათვის მძლავრი ინსტრუმენტი გახდა.

ინტერნეტის გაჩენამ და განვითარებამ მთლიანად შეცვალა მარკეტინგის მიდგომები. ტრადიციული მეთოდებმა, როგორცაა ტელევიზია, რადიო და ბეჭდური მედია, დაკარგა აქტუალობა ინტერნეტის გაჩენით. ახალი ციფრული არხებით, როგორცაა სოციალური მედია,

საძიებო სისტემები, ელ.ფოსტა და სხვა პლატფორმები, უფრო ეფექტური და ნაკლებ ხარჯიანი გახდა მომხმარებელთან კომუნიკაცია. რამაც ბიზნესს გაუხსნა გზა უფრო მიზანმიმართული და პერსონალიზებული მომსახურების გაწევისთვის.

ძირითადი ციფრული პლატფორმები-ციფრული მარკეტინგი მოიცავს სხვადასხვა პლატფორმებსა და არხებს, რომლებიც კომპანიებს საშუალებას აძლევს, გააცნონ თავიანთი პროდუქტები და მომსახურებები უფრო ფართო აუდიტორიას. ძირითადი პლატფორმები და არხები მოიცავს:

სოციალური მედია-Facebook: ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური მედია პლატფორმა, რომელიც ბიზნესებს საშუალებას აძლევს, შექმნან გვერდები, განათავსონ რეკლამები და მოახდინონ პირდაპირი კომუნიკაცია მომხმარებლებთან. **Instagram:** ფოტოების და ვიდეოების გაზიარების პლატფორმა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებში და გამოიყენება ვიზუალური მარკეტინგისთვის. **Twitter:** მოკლე შეტყობინებების პლატფორმა, რომელიც ეფექტიანია სწრაფი კომუნიკაციისთვის და ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის. **LinkedIn:** პროფესიული ქსელების პლატფორმა, რომელიც გამოიყენება B2B მარკეტინგისთვის და პროფესიული ქსელების შექმნისთვის.

საძიებო სისტემები-Google: მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესებისთვის SEO და SEM შესაძლებლობებს. **Bing:** Microsoft-ის საძიებო სისტემა, რომელიც ასევე გთავაზობთ რეკლამის განთავსების შესაძლებლობებს. **ელ.ფოსტა:** ელ.ფოსტის მარკეტინგი საშუალებას აძლევს ბიზნესებს, პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდეთ თავიანთი აუდიტორიასთან პერსონალიზებული შეტყობინებების საშუალებით. დღეს ამ პლატფორმამ დაკარგა აქტუალობა და შესაბამისად ნაკლები ეფექტურობით გამოირჩევა. თავის მხრივ ნებისმიერი სხვა პლატფორმა სწორედ მასზეა მიბმული.

ვიდეო პლატფორმები-YouTube: მსოფლიოში ყველაზე დიდი ვიდეო გაზიარების პლატფორმა, რომელიც ბიზნესს აძლევს ვიდეო კონტენტის განთავსებისა და რეკლამირების შესაძლებლობას. **TikTok:** სწრაფად მზარდი პლატფორმა, რომელიც პოპულარულია ახალგაზრდებში და განკუთვნილია მოკლე ვიდეო კონტენტის გაზიარებისთვის. კარგად გათვლილი “სწრაფი ენდორფინის” მიღების მეთოდით, ეს პლატფორმა, მომხმარებელთა რიცხვით მოწინავე ადგილს იკავებს.

ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები - საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია (SEO) წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და ყველაზე ეფექტურ სტრატეგიას ციფრულ მარკეტინგში. SEO-ის მიზანია ვებგვერდის პოზიციის გაუმჯობესება საძიებო სისტემების (როგორცაა Google, Bing) შედეგებში, რაც ზრდის ვებგვერდის ხილვადობას და, შესაბამისად, მის ტრაფიკს.

SEO-ს ძირითადი პრინციპებია: საკვანძო სიტყვების კვლევა-განსაზღვრავს იმ საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებსაც მომხმარებლები ეძებენ. ამ სიტყვების სწორად გამოყენება ვებგვერდის კონტენტში ზრდის მისი ხილვადობის შანსებს; ონ-პეიჯ SEO: მოიცავს ვებგვერდის შიდა ოპტიმიზაციას, მათ შორის, სათაურების, მეტა აღწერების, URL-ების და კონტენტის ოპტიმიზაციას; ოფ-პეიჯ SEO: მოიცავს გარე ოპტიმიზაციას, როგორცაა ლინკბილდინგი (სხვა ვებგვერდებიდან ბმულების მოპოვება) და სოციალური სიგნალები. ტექნიკური SEO: მოიცავს ვებგვერდის ტექნიკურ ასპექტებს, როგორცაა საიტის სიჩქარე, მობილური მოწყობილობებისთვის ოპტიმიზაცია და საიტის სტრუქტურა.

საძიებო სისტემის მარკეტინგი (Search Engine Marketing)- საძიებო სისტემის მარკეტინგი (SEM) მოიცავს გადახდილ რეკლამებს საძიებო სისტემებში, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს სწრაფად და ეფექტურად მიაწვდინონ თავიანთი პროდუქტი ან მომსახურება მომხმარებლებს.

Pay-Per-Click (PPC) რეკლამები-PPC რეკლამები საშუალებას აძლევს ბიზნესებს გადაიხადონ მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელი კლიკავს მათ რეკლამაზე. ეს სტრატეგია ხშირად გამოიყენება Google Ads და Bing Ads პლატფორმებზე. Google Ads: ყველაზე პოპულარული PPC პლატფორმაა, რომელიც გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის რეკლამებს, მათ შორის საძიებო რეკლამები, დისპლეი რეკლამები, ვიდეო რეკლამები და ა.შ.

კონტენტ მარკეტინგი-კონტენტ მარკეტინგი არის სტრატეგია, რომელიც კონცენტრირდება მომხმარებლისთვის ღირებული, შესაბამისი და მუდმივად განახლებადი კონტენტის შექმნასა და განაწილებაზე. ამ ფუნქციას ითავსებს საინფორმაციო მასალები, როგორცაა ბლოგები და სტატიები. მათი მეშვეობით კომპანიები უზიარებენ მომხმარებლებს სასარგებლო და ინფორმაციულ კონტენტს, რაც ზრდის ბრენდის ცნობადობას და ნდობას. კონკტენტ მარკეტინგისთვის ასევე მნიშვნელოვანია ვირუსული კონტენტი, რომელიც სწრაფად ვრცელდება და დიდი აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს.

სოციალური მედიის მარკეტინგი (Social Media Marketing)-სოციალური მედიის მარკეტინგი გამოიყენებს სოციალური მედიის პლატფორმებს, მთავარი სამარკეტინგო მიზნებისათვის: ბრენდის პოპულარიზაციისა და მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის. სოციალური მედიის კამპანიების დაგეგმვა და მართვა SMM-ის ძირითად ასპექტს წარმოადგენს. სოციალური მედიის კამპანიები მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მომხმარებელთა ჩართულობის გაზრდისაკენ. მარკეტერები ქმნიან და აზიარებენ შინაარსს, რომელიც მოიცავს ტექსტურ პოსტებს, სურათებს, ვიდეოებს და სხვა მულტიმედიურ მასალას, რათა მიაღწიონ და ჩართონ მიზნობრივი აუდიტორია. ეს ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობის ამაღლებას და მომხმარებელთა ინტერესის შენარჩუნებას. სოციალური მედიის მარკეტინგის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მომხმარებელთა ჩართულობის ზრდა და მათი უკუკავშირის შეგროვება. მარკეტერები იყენებენ ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რათა გაანალიზონ პოსტების ეფექტურობა და შეიმუშაონ მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიები. ეს ეხმარება ბიზნესებს უფრო ეფექტური და მორგებული კამპანიების დაგეგმვაში, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს მომხმარებელთა კმაყოფილებას და ლოიალობას.

აღსანიშნავია ასევე ინფლუენს(influence) მარკეტინგი, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს გავლენიან ადამიანებთან თანამშრომლობას ბრენდების და პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით. ინფლუენსერები არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ დიდი და ერთგული მიმდევრების ბაზა სოციალურ ქსელებში, როგორცაა Instagram, YouTube, TikTok და სხვა. მათ შეუძლიათ პირდაპირი და ავთენტური კომუნიკაცია თავიანთ აუდიტორიასთან, რაც საშუალებას აძლევს ბრენდებს უფრო ეფექტურად მიაწოდონ თავიანთი მესიჯები.

ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტები და ანალიზი-ანალიტიკური ინსტრუმენტები

ციფრული მარკეტინგის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მონაცემთა ანალიზზე, რაც ხელს უწყობს კამპანიების ეფექტურობის შეფასებას და სტრატეგიების გაუმჯობესებას. ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტები მოიცავს:

Google Analytics რომლის ფუნქციებშიც შედის, მომხმარებლის ქცევის ანალიზი, ტრაფიკის წყაროების განსაზღვრა, კონვერსიის თვალყურის დევნება, და სხვა მნიშვნელოვანი მეტრიკების გაზომვა. ხოლო მონაცემთა შეგროვება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით ხდება: ვიზიტორების რაოდენობა, სესიის ხანგრძლივობა, გვერდების ნახვები და სხვა. ამ პლატფორმაზე შესაძლებელია პერსონალიზებული ანგარიშების შექმნა და ვიზუალურ დაფებზე განთავსება, რაც ამარტივებს მონაცემთა ინტერპრეტაციას.

ასევე ამავე ტიპის პლატფორმებიდან გამოიყოფა: Adobe Analytics პლატფორმა გთავაზობთ სხვადასხვა ანგარიშების და ანალიზის ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დეტალურ მონაცემებს მომხმარებლის ქცევის, ვებგვერდის ტრეფიკის და მარკეტინგული კამპანიების შედეგების შესახებ. მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან პერსონალიზებული ანგარიშები და დემოგრაფიები, რაც ეხმარება სწრაფად მიიღონ საჭირო ინფორმაცია; Mixpanel- ასევე მომხმარებლის ქცევის დეტალური ანალიზი, რომელიც გამოიყენება აპლიკაციების და ვებგვერდების გამოკვლევისთვის. Hotjar-მომხმარებლის ქცევის ვიზუალიზაცია (heatmaps, recordings) და უკუკავშირის შეგროვება.

ციფრული მარკეტინგის ავტომატიზაცია-ციფრული მარკეტინგის ავტომატიზაცია წარმოადგენს ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების ნაკრებს, რომელიც საშუალებას აძლევს მარკეტერებს, ავტომატურად შეასრულონ განმეორებადი დავალებები და პროცესები. ეს მოიცავს ელ. ფოსტის კამპანიების, სოციალური მედიის პოსტების, რეკლამების განთავსების, და მომხმარებელთა ქცევის ანალიზს. ავტომატიზაცია ამარტივებს და აჩქარებს მარკეტინგულ აქტივობებს, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს ფოკუსირება გააკეთოს უფრო სტრატეგიულ და კრეატიულ ამოცანებზე. მაგალითად, ავტომატიზაციის ინსტრუმენტები, როგორცაა HubSpot, Marketo და Mailchimp, უზრუნველყოფს პერსონალიზებულ კომუნიკაციებს, რასაც შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა მაღალი ჩართულობა და ლოიალობა. ავტომატიზაციის მთავარი უპირატესობა არის მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. მარკეტინგული ავტომატიზაციის სისტემები აგროვებენ მომხმარებელთა ქცევის მონაცემებს, რაც იძლევა ღრმა ანალიტიკას და პროგნოზირების შესაძლებლობას. შედეგად, მარკეტერები უკეთ ესმით მომხმარებელთა საჭიროებებს და ქმნიან უფრო მიზნობრივ კამპანიებს. ავტომატიზაცია ასევე ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და ამაღლებს ოპერაციულ ეფექტურობას, რაც საბოლოოდ ზრდის ROI-ს (ინვესტიციის ანაზღაურებას). ამ გზით, ციფრული მარკეტინგის ავტომატიზაცია საშუალებას აძლევს ბიზნესს მაქსიმალურად გამოიყენოს თავიანთი რესურსები და მიაღწიოს უკეთეს შედეგებს.

რეკლამის მართვის ინსტრუმენტები-რეკლამის მართვის ინსტრუმენტები ეხმარება ბიზნესებს რეკლამის კამპანიების ეფექტურად მართვას და ოპტიმიზაციას. სოციალური მედიის რეკლამა თანამედროვე სამყაროში ციფრული მარკეტინგის უმნიშვნელოვანეს ნაწილია. გამოვყოფთ შემდეგ ტიპებს:

- **სურათის რეკლამები (Image Ads):** ეს არის ყველაზე გავრცელებული ტიპი, რომელიც გამოიყენება ბრენდის ცნობადობის და ვიზუალური წარდგენის გასაზრდელად. სურათის რეკლამები მარტივად მისაღებია და შესაფერისია სწრაფი, ვიზუალური შეტყობინების გადასაცემად.

- **ვიდეო რეკლამები (Video Ads):** ვიდეო რეკლამები უფრო ეფექტურად გადმოსცემენ ბრენდის მესიჯს და მომხმარებლის ჩართულობის მაქსიმალიზაციას ახდენენ. ვიდეოს საშუალებით შესაძლებელია პროდუქტის ფუნქციების დემონსტრირება, მომხმარებლის ემოციების მართვა და ბრენდის ისტორიის მოყოლა.

- **კარუსელი რეკლამები (Carousel Ads):** ეს რეკლამები საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, ნახონ რამდენიმე სურათი ან ვიდეო ერთ რეკლამაში. კარუსელი რეკლამები განსაკუთრებით ეფექტურია პროდუქციის ასორტიმენტის წარმოსაჩენად ან პროდუქტის სხვადასხვა მახასიათებლების გასაცნობად.

- **სლაიდშოუ რეკლამები (Slideshow Ads):** სლაიდშოუ რეკლამები შედგება რამდენიმე სურათისგან, რომლებიც შექმნილია ვიდეოს მსგავსი ეფექტის მისაღწევად. ეს რეკლამები შესაფერისია, როდესაც ვიდეო რეკლამის რესურსები შეზღუდულია.

- **სტორის რეკლამები (Story Ads):** ეს რეკლამები განთავსებულია სოციალურ მედიის პლატფორმების "სტორის" სექციაში, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს იხილოს რეკლამა სწრაფად და მარტივად. სტორის რეკლამები განსაკუთრებით ეფექტურია მოკლევადიანი აქციებისა და შემოთავაზებების გასავრცელებლად.

ასეთი ტიპის რეკლამებს, თავის მხრივ გააჩნიათ მართვის ინსტრუმენტები, მაგალითად: Facebook Ads Manager-რეკლამის დაგეგმვის, მართვის და ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს აუდიტორიის სეგმენტაციას და შედეგების ანალიზს; Twitter Ads-რეკლამის მართვის პლატფორმა, რომელიც გთავაზობს საკვანძო სიტყვების სეგმენტაციას და შედეგების გაზომვას. Google Display Network-დისპლეი რეკლამების განთავსების და მართვის პლატფორმა, რომელიც მოიცავს მილიონობით ვებგვერდს და აპლიკაციას. Programmatic Advertising Platforms-ავტომატიზირებული პლატფორმები (მაგ., The Trade Desk, MediaMath), რომლებიც უზრუნველყოფენ რეკლამის ავტომატურ განთავსებას და მართვას.

გამოწვევები და ტენდენციები- საყოველთაო გამოწვევები ციფრულ მარკეტინგში

ციფრული მარკეტინგის სფეროში წარმატების მისაღწევად, კომპანიებს უწევთ სხვადასხვა გამოწვევების დაძლევა. ეს გამოწვევები მოიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე სტრატეგიულ და ეთიკურ საკითხებს. ამათ შორის დღევანდელ ყველაზე დიდ გამოწვევად გამოვყოფთ - მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობას. ციფრული მარკეტინგისათვის, კომპანიებს სჭირდებათ მომხმარებელთა პირადი მონაცემების შეგროვება და გამოყენება. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. ასეთი ტიპის სტანდარტია **General Data Protection Regulation (GDPR)** არის ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც განისაზღვრავს და მართავს პერსონალური მონაცემების დაცვას. GDPR ამოქმედდა 2018 წლის 25 მაისს და მისი მიზანია მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვის გაძლიერება და ერთიანი სტანდარტების შექმნა ევროკავშირის ქვეყნებში. ეს რეგულაცია გავლენას ახდენს ყველა კომპანიაზე, რომლებიც მონაცემებს ამუშავებენ ევროკავშირის მოქალაქეების შესახებ, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა.

ციფრული მარკეტინგის სფერო ძალიან კონკურენტულია. კომპანიებს უწევთ მუდმივად განახლონ და გააუმჯობესონ თავიანთი სტრატეგიები, რათა დარჩნენ კონკურენტუნარიანები. აღსანიშნავია, ასევე ციფრული მარკეტინგის ტექნოლოგიები მუდმივი განვითარების ტენდენცია, კომპანიებს უწევთ ახალი ინსტრუმენტების და პლატფორმების სწრაფი ათვისება და მათი ინტეგრაცია საქმიანობაში. მნიშვნელოვან გამოწვევად ასევე რჩება მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება და მისი ჩართულობის შენარჩუნება. მომხმარებლის ინტერესები და ქცევა ხშირად იცვლება. მარკეტინგის სტრატეგიების მუდმივი განახლება და ადაპტაცია აუცილებელია მომხმარებლის ჩართულობის შესანარჩუნებლად და ასევე ვთქვამთ “ტრენდებიდან არ ჩამოსარჩენად”. მომხმარებლები ძირითადად ირჩევენ მაღალხარისხიან და შესაბამის კონტენტს. კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კონტენტი იყოს მიმზიდველი, ინტერაქტიული და ინფორმაციული.

ციფრული მარკეტინგის მომავალი ტენდენციები-ციფრული მარკეტინგის სფეროში განვითარებადი ტენდენციები განსაზღვრავს ამ სფეროს მომავალს და ახალი შესაძლებლობების გაჩენას. ციფრული მარკეტინგის მომავალი განსაზღვრულია ინოვაციური ტექნოლოგიებით და ახალი შესაძლებლობებით. ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანური სწავლება (ML) საშუალებას აძლევს ბიზნესებს პერსონალიზებული მარკეტინგული კამპანიების შექმნას,

მომხმარებლის ქცევის ანალიზს და მარკეტინგული პროცესების ავტომატიზაციას. ვირტუალური და გაფართოებული რეალობა (VR და AR) მომხმარებლებს ინტეგრალურ და ინტერაქტიულ ბრენდის გამოცდილებას სთავაზობს, რაც პროდუქტის ვიზუალიზაციისა და დემონსტრაციის ახალ გზებს ხსნის. ინფლუენსერ მარკეტინგი ვითარდება მიკრო და ნანო ინფლუენსერების გამოყენებით, რომლებიც მაღალი ჩართულობის მაჩვენებელს გვთავაზობენ და მათთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. ხმოვანი ძიების და ხმოვანი ასისტენტების, როგორცაა Amazon Alexa და Google Assistant, პოპულარობა ზრდის და კომპანიებს ახალი არხების გამოყენების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები და დიდი მონაცემების ანალიზი ეხმარება კომპანიებს უფრო სწრაფად და სიღრმისეულად გაანალიზონ მომხმარებლის ქცევა, რაც მარკეტინგულ სტრატეგიებს აძლიერებს და მომხმარებლის გამოცდილებას აუმჯობესებს. კომპანიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, გამოიყენოს ეს ტენდენციები და ტექნოლოგიები, რათა მარკეტინგული სტრატეგიები მაქსიმალურად ეფექტური და მიზნობრივი გახადოს.

წარმატებული ციფრული მარკეტინგის შემთხვევები-წარმატებული კამპანიების მაგალითები:

ციფრული მარკეტინგის განხილვისას მნიშვნელოვანია მსოფლიო პრაქტიკის განხილვა. ამ თავში განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შემთხვევას, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ შეიძლება ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების წარმატებით გამოყენება.

1) Nike: "Just Do It" კამპანია-სტრატეგია: Nike-მა გამოიყენა სოციალური მედია პლატფორმები, როგორცაა Instagram და YouTube, რათა შეექმნა ინსპირაციული კონტენტი, რომელიც ასახავდა სპორტსმენების ისტორიებს და წარმატებებს.

2) შედეგი: კამპანიამ მიაღწია მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში, გააუმჯობესა ბრენდის ცნობადობა და გაზარდა გაყიდვები.

3) Coca-Cola: "Share a Coke" კამპანია-სტრატეგია: Coca-Cola-მ განაახლა თავისი ბოთლის ეტიკეტი, და მასზე ცნობილი სახელები დაბეჭდა. ამ კამპანიამ მომხმარებლებს მისცა შესაძლებლობა, ეჩუქებინათ სასმელი თავიანთი მეგობრებისთვის.

4) შედეგი: კომპანიამ გამოიწვია მომხმარებლების მაღალი ჩართულობა სოციალურ მედიაში და გაზარდა გაყიდვები მრავალ ქვეყანაში.

5) Old Spice: "The Man Your Man Could Smell Like"-სტრატეგია: Old Spice-მა გამოიყენა იუმორისტული და შთამბეჭდავი ვიდეო რეკლამები, რომლებიც განთავსდა YouTube-ზე და სხვა სოციალურ მედია პლატფორმებზე.

შედეგი: ვიდეოები ვირუსული გახდა, რაც გამოიწვია ბრენდის ცნობადობის და გაყიდვების მკვეთრი ზრდა.

5.2 მცირე და საშუალო ბიზნესების წარმატების მაგალითები

ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები არ არის მხოლოდ დიდი კომპანიებისთვის. მცირე და საშუალო ბიზნესებიც ხშირად აღწევენ წარმატებას ციფრული მარკეტინგის მეშვეობით. ასეთებია:

1) Dollar Shave Club-სტრატეგია: Dollar Shave Club-მა შექმნა ვირუსული ვიდეო, რომელიც მოიცავდა იუმორისტულ და დამაინტრიგებელ შეტყობინებას. ვიდეო გავრცელდა სოციალურ მედიაში და YouTube-ზე.

2) შედეგი: კომპანიამ მოიზიდა მილიონობით მომხმარებელი და მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის მომხმარებელთა ბაზა.

3) Glossier სტრატეგია: Glossier-მ გამოიყენა სოციალური მედია პლატფორმები, განსაკუთრებით Instagram, რათა შეექმნა მომხმარებელთა საზოგადოების გრძნობა და გაზიარების კულტურა.

შედეგი: მომხმარებელთა ჩართულობამ და ბრენდის ცნობადობამ მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის გაყიდვები და მომხმარებელთა ლოიალობა.

ციფრული მარკეტინგის წარმატების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ციფრული სტრატეგიები ეფექტურია როგორც დიდი, ისე მცირე ბიზნესებისთვის. სოციალური მედიის პლატფორმები, ვირუსული კონტენტი და მომხმარებელთა ჩართულობის გაზრდა ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდას. მცირე ბიზნესებიც წარმატებით იყენებენ ამ სტრატეგიებს მომხმარებელთა ბაზის გასაზრდელად და ლოიალობის გასამდიდრებლად. საბოლოოდ, ციფრული მარკეტინგი უზრუნველყოფს მოქნილ და ეფექტურ გზას ბიზნესებისათვის, რათა მიაღწიონ თავიანთ მიზნებს.

3. დასკვნა

ინტერნეტი და ციფრული მარკეტინგი თანამედროვე ბიზნესის შეუცვლელი ინსტრუმენტები არიან. ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებელთან უფრო სწრაფ და ეფექტურ კომუნიკაციას, ბრენდის ცნობადობის ზრდას და გაყიდვების ზრდას. ციფრული მარკეტინგი აერთიანებს მრავალფეროვან სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს, როგორცაა საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია (SEO), საძიებო სისტემის მარკეტინგი (SEM), სოციალური მედიის მარკეტინგი (SMM), კონტენტ მარკეტინგი და ელ.ფოსტის მარკეტინგი, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ინტეგრირებულ მარკეტინგულ მიდგომას. წარმატებული კამპანიების მაგალითები, როგორცაა Nike-ის "Just Do It", Coca-Cola-ს "Share a Coke" და Old Spice-ის "The Man Your Man Could Smell Like", აჩვენებს კრეატიულობის, მონაცემთა ანალიზის და მომხმარებელთან ურთიერთობის მნიშვნელობას. მცირე და საშუალო ბიზნესების მაგალითები, როგორცაა Dollar Shave Club და Glossier, ადასტურებენ, რომ სწორი სტრატეგიების შერჩევისას და მათი ეფექტურად გამოყენებისას წარმატების მწვერვალი არც ისე შორსაა.

ციფრული მარკეტინგის სფერო მუდმივად იცვლება და ვითარდება, რაც მოითხოვს მუდმივ ადაპტაციას და ინოვაციას. გამოწვევები, როგორცაა მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის ჩართულობის შენარჩუნება, ასევე მომავალი ტენდენციები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური რეალობა, ციფრული მარკეტინგის სფეროს მუდმივი განვითარების და გაუმჯობესების საჭიროებას მოითხოვს. საერთო ჯამში, ციფრული მარკეტინგი და ინტერნეტი წარმოადგენენ ბიზნესის განვითარების და წარმატების უმთავრეს ფაქტორებს, რომლებიც თანამედროვე სამყაროში კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფენ.

ლიტერატურა:

1. <https://www.investopedia.com/terms/d/digital-marketing.asp>
2. <https://www.wisestamp.com/blog/difference-between-seo-sem-smm-and-smo/>
3. <https://www.oracle.com/cis/cx/marketing/digital-marketing/>
4. <https://gusarov-group.by/digital-marketing-uzhe-ne-tot-razbiraemsya-pochemu/>
5. <https://business.adobe.com/blog/basics/digital-marketing-campaign-examples>
6. <https://www.forbes.com/advisor/business/what-is-digital-marketing/>

Internet and Digital Marketing

Ia Motskobili¹, Irma Takidze², Inga Surmanidze²

1-Batumi Shota Rustaveli State University,

2-Batumi state maritime academy

ia.motskobili@bsu.edu.ge, i.takidze@bsma.edu.ge, i.surmanidze@bsma.edu.ge

Abstract

Internet and digital marketing are one of the most dynamically evolving areas of our time, which significantly alter the business and customer relationship model. The Internet has revolutionized communication, dissemination of information, the sale of products and services. Digital marketing is, on the other hand, the fruit of the same revolution that is an integral part of any business today. By means of the Internet and digital marketing, companies can communicate more efficiently and quickly with customers, improve brand awareness and increase sales. The Internet has created new opportunities for businesses, making it possible to work in the global market, assimilate new segments and develop innovative products and services. Digital marketing, with the specifics of its own activities, represents the use of the Internet in marketing activities that include various strategies and tools such as Search Engine Optimization (SEO), Search Engine Marketing (SEM), Social Media Marketing (SMM), Content Marketing, and E.Mail marketing. These strategies are focused on attracting the attention of customers, increasing their engagement and increasing sales. The Internet and digital marketing interact and jointly create new opportunities for businesses. The Internet provides a platform, and digital marketing uses this platform to attract and communicate customers. This interplay allows companies to create innovative and personalized marketing campaigns. The aim of the paper is to discuss in detail the role of internet and digital marketing in modern business, present various strategies and tools, and consider successful examples. Also present digital marketing challenges and analysis of future trends that will help us better understand the dynamics and development potential of this field.

Keywords: Internet, Digital Marketing, Business, Analysis

3D გეომეტრიული აღწერების გამარტივების მეთოდების დამუშავება ვიზუალიზაციის აპლიკაციებისთვის


ბესიკ კეკელია, ალექსანდრე ალიხანოვი

სტუ-ს ბირთვული ინჟინერიის ცენტრი

bkekeli@cern.ch; aleksandr.alikhanov@cern.ch

რეზიუმე

განხილულია 3D გრაფიკის კომპლექსური და მრავალმხრივ გამოყენების საკითხები, რომელიც გულისხმობს სამგანზომილებიანი ობიექტების შექმნასა და გამოსახვას ვირტუალურ სივრცეში, მათემატიკის, გეომეტრიისა და კომპიუტერული გრაფიკის ტექნოლოგიების გამოყენებით. დღეს 3D გრაფიკა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სფეროა და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ინდუსტრიებში, მათ შორის: ფილმები და ანიმაცია, ვიდეო თამაშები, ინჟინერია და არქიტექტურა, რეკლამა და სპეცეფექტები. 3D მოდელირება საჭიროებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორცაა Blender, Catia, SolidWorks, ArchiCAD, Autodesk Maya, 3ds Max და Cinema 4D. ამ ინსტრუმენტებით შესაძლებელია 3D მოდელების შექმნა, ანიმაცია, ტექსტურირება და რენდერინგი. ამ სფეროს პროფესიონალებს აქვთ როგორც ტექნიკური, ისე კრეატიული უნარები, რაც საშუალებას აძლევთ შექმნან შთამბეჭდავი და ფუნქციური 3D გამოსახულებები. ტრადიციული გამოყენების გარდა, 3D მოდელირება ფართოდ გამოიყენება ვირტუალური რეალობის (VR) და აუგმენტურებული რეალობის (AR) ტექნოლოგიებში, ასევე 3D ვიზუალიზაციის ვებ აპლიკაციებში. ვებ აპლიკაციები დიდ როლს ასრულებენ 3D გრაფიკის მასობრივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. 3D



გეომეტრიული აღწერების გამარტივება ვებ აპლიკაციებისთვის უზრუნველყოფს მოდელების სწრაფ ჩატვირთვას და გამართულ მუშაობას, რაც ხელს უწყობს VR და AR ტექნოლოგიების ოპტიმიზაციას და ხელმისაწვდომს ხდის 3D მოდელების გამოყენებას სხვა ვიზუალიზაციის ვებ აპლიკაციებში.

საკვანძო სიტყვები: 3D მოდელირება, ვირტუალური რეალობა (VR), 3D ვებ-ვიზუალიზაცია, აუგმენტირებული რეალობა (AR).

1. შესავალი

3D მოდელირება ფართოდ გამოიყენება ვირტუალური (VR), აუგმენტირებული რეალობის (AR) ტექნოლოგიებში და ასევე 3D ვიზუალიზაციის ვებ აპლიკაციებში [1]. ვებ აპლიკაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ 3D გრაფიკის ტექნოლოგიების მასობრივ გავრცელებაში და ხელმისაწვდომობაში. მას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ, რაც ხელს უწყობს ამ ტექნოლოგიების პოპულარიზაციას:

1) ხელმისაწვდომობა და პლატფორმის დამოუკიდებლობა – რაც გამოიხატება იმაში რომ, ვებ აპლიკაციები ხელმისაწვდომია ყველა მოწყობილობიდან, რომელსაც აქვს ინტერნეტ ბრაუზერი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლებს არ სჭირდებათ სპეციალური პროგრამების დაინსტალირება. ეს მნიშვნელოვნად ამარტივებს 3D გრაფიკის ტექნოლოგიების გამოყენებას;

2) ღირებულება – მრავალი ვებ აპლიკაცია გვთავაზობს უფასო ან დაბალი ღირებულების მოდელებს. ამის გამო, მომხმარებლებს არ უწევთ ძვირადღირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა;

3) მარტივი განახლება და ტექნიკური მხარდაჭერა – ვებ აპლიკაციების განახლება მარტივად და ავტომატურად ხდება სერვერზე, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლებს ახალი ფუნქციებით. ეს ხელს უწყობს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გამარტივებას და განახლებული ფუნქციონალით უზრუნველყოფას.

4) გამოყენების სიმარტივე – ვებ აპლიკაციები ხშირად უფრო ინტუიციური და მომხმარებლისთვის მარტივი გამოსაყენებელია, რაც ზრდის მომხმარებლების რაოდენობას [2, 3].

2. 3D გეომეტრიული აღწერების გამარტივება ვიზუალიზაციის აპლიკაციებისთვის

3D ვებ-აპლიკაციების შექმნა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით VR, AR და ვიზუალიზაციის სხვა აპლიკაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ შედარებით დაბალ ფასიან აპარატურაზე. ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება, თუ საჭირო ხდება მასიური ხელმისაწვდომობა ვებ-პლატფორმაზე. სირთულეები გამოიხატება შემდეგში:

1) ტექნიკური შეზღუდვები - ვებ-ბრაუზერები, მიუხედავად პროგრესისა, მაინც ჩამორჩებიან კომპიუტერულ და მობილურ აპლიკაციებს გრაფიკული წარმადობის მხრივ. VR და AR აპლიკაციები მოითხოვენ მაღალი ხარისხის 3D გრაფიკას და რეალურ დროში დამუშავებას;

2) პლატფორმის შეზღუდვები - აპლიკაცია უნდა მუშაობდეს ყველა ძირითად ბრაუზერზე და მოწყობილობაზე. ეს მოითხოვს სხვადასხვა პლატფორმების თავისებურებების გათვალისწინებას და შესაბამისი და ტექნოლოგიების გამოყენებას [4, 5].

კვლევის საგანია ვიზუალიზაციის აპლიკაციების 3 განზომილებიანი მოდელების გამარტივების მეთოდები. ვებ ბრაუზერს 3D მოდელების ჩატვირთვის გარკვეული ლიმიტები გააჩნია. 3D მოდელის აგება ხდება პოლიგონების - სამკუთხედების საშუალებით (ნახ. 1). სწორედ მათი რაოდენობა ახდენს პირდაპირ გავლენას აპლიკაციის წარმადობაზე. ამიტომ უნდა განხორციელდეს 3D მოდელების გამარტივება და პოლიგონების რაოდენობის შემცირება ისე, რომ მოდელის გარეგნული იერსახე არ დაირღვეს, ამისათვის საჭიროა გამარტივების ეფექტური

მეთოდები. შესაბამისად გამარტივების მეთოდების დამუშავება წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. ეს საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს 3D მოდელების სწორად გამარტივება, რაც უზრუნველყოფს ვიზუალიზაციის 3D აპლიკაციების გამართულ მუშაობას ვებ-ბრაუზერებში [6].

ნახ. 1 პრიზმის აგება პოლიგონების საშუალებით

ვინაიდან პროექტი სრულდება CERN-ისთვის (ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია) გამოიყენება გეომეტრიული აღწერები, რომლებიც განთავსებულია CERN-ის საიჟინრო მონაცემთა ბაზებში. მათი პირდაპირი გამოყენება ვიზუალიზაციის აპლიკაციებში შეუძლებელია, ვინაიდან აქ შენახული ატლასის დეტექტორის გეომეტრიული აღწერები ძალიან დეტალურია და ამ დროს ხდება

მოწყობილობის დატვირთვა და ბრაუზერის ავარიული გათიშვა.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ზემოაღნიშნული პრობლემა საჭიროა განხორციელდეს გეომეტრიული აღწერების გამარტივება რისთვისაც დამუშავებულ იქნა 2 მეთოდი:

- 1) ნაკლებად ხილული ობიექტების წაშლა
 - 1.1. წასაშლელი ობიექტების იდენტიფიკაცია
 - 1.2. ანაწყობში დეტალების რაოდენობის შემცირება
- 2) პოლიგონების შემცირება
 - 2.1. ტესტის პარამეტრის განსაზღვრა
 - 2.2. 3D ობიექტის პოლიგონური ბადის ოპტიმიზაცია
 - 2.3. წრიული ობიექტების პოლიგონების ოპტიმიზაცია
 - 2.4. 3D ობიექტის ნორმალების პარამეტრების დადგენა

პირველი მეთოდის მიხედვით თავდაპირველად ხორციელდება დეტალური გეომერიის ანალიზი. რის შედეგადაც დგინდება ანაწყობში კომპონენტების რაოდენობა. კომპონენტების რაოდენობა პირდაპირ გავლენას ახდენს 3D ვიზუალიზაციის აპლიკაციის გამართულ მუშაობაზე. რაც უფრო მეტია მათი რაოდენობა, აპლიკაციის ჩატვირთვის დრო იზრდება. ამიტომ საჭიროა მათი რაოდენობის შემცირება. ობიექტების შემცირება ხდება 2 კრიტერიუმის მიხედვით:

- 1) ნაკლებად ხილული კომპონენტების წაშლა და
- 2) 3D ობიექტების გაერთიანება.


პირველი კრიტერიუმი გულისხმობს შემდეგს: უნდა განხორციელდეს იმ კომპონენტების იდენტიფიცირება, რომლებიც ნაკლებად ხილულია. (მაგ., ობიექტი შეიძლება იყოს დაფარული სხვა დეტალით, ან ზომი იყოს ძალიან პატარა და ა.შ.) შემდეგ ხდება მათი წაშლა ანაწყობიდან. მეორე კრიტერიუმის მიხედვით კი ხდება დარჩენილი ობიექტების გაერთიანება.

მე-2 ნახაზზე მოცემულია დეტექტორის ერთ-ერთი კომპონენტის “feet”-ის დეტალური მოდელი.

დეტალურ მოდელში ობიექტების რაოდენობა არის 5`629, ხოლო პოლიგონების რაოდენობა კი 3`588`892. რაც შეეხება პირველი კრიტერიუმით გამარტივებულ 3D მოდელს (ნახ.3) მისი ობიექტების რაოდენობა არის 1, ხოლო პოლიგონების რაოდენობა - 1`507`712.

პირველი კრიტერიუმის მიხედვით განხორციელდა feet-ის გეომეტრიული აღწერის გამარტივება ისე, რომ მისი გარეგნული იერსახე არ დამახინჯებულა.

რაც შეეხება პირველი კრიტერიუმით გამარტივებულ 3D მოდელს (ნახ.3), მისი ობიექტების რაოდენობა არის 1, ხოლო პოლიგონების რაოდენობა - 1`507`712.





ნახ. 3. პირველი კრიტერიუმით გამარტივებული feet


რაც შეეხება პირველი კრიტერიუმით გამარტივებულ 3D მოდელს (ნახ.3) მისი ობიექტების რაოდენობა არის 1, ხოლო პოლიგონების რაოდენობა - 1`507`712.

მე-2 მეთოდით გეომეტრიული აღწერების გამარტივება გულისხმობს პოლიგონების შემცირებას. აღნიშნული მეთოდისთვის განისაზღვრა 4 კრიტერიუმი:

- 1) ტესელაციის პარამეტრის განსაზღვრა;
- 2) 3D ობიექტის პოლიგონური ბადის ოპტიმიზაცია;
- 3) წრიული ობიექტების პოლიგონების ოპტიმიზაცია;
- 4) 3D ობიექტის ნორმალების პარამეტრების დადგენა (ნახ.4).

1-ლი კრიტერიუმში ტესელაციის პარამეტრად განისაზღვრა 0.01. ტესელაცია არის პროცესი, რომლის დროსაც დიდი გეომეტრიული ფიგურა იყოფა უფრო მცირე, რეგულარულ ფორმებად (როგორცაა სამკუთხედები, კვადრატები, ან სხვა მრავალკუთხედები) ისე, რომ ეს ფორმები არ ტოვებენ ცარიელ ადგილს და არ ფარავენ ერთმანეთს ზედმეტად. ამ ტექნიკას ფართოდ იყენებენ კომპიუტერულ გრაფიკაში და 3D მოდელირებაში ობიექტების ზედაპირის გამოსახვისა და წარმოჩენისას [7].


მე-2 კრიტერიუმი - 3D ობიექტის პოლიგონური ბადის ოპტიმიზაცია არის პროცესი, რომლის მიზანია ობიექტის გეომეტრიული აღწერის გამარტივება, ისე რომ მისი ვიზუალური ხარისხი დიდად არ დაზიანდეს. ეს ოპტიმიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია



ნახ. 4. 3D მოდელებში პოლიგონების შემცირების სასიცოცხლო ციკლი

კომპიუტერული გრაფიკის, თამაშების, ანიმაციის, და რეალურ დროში მუშაობის აპლიკაციებისთვის, სადაც გრაფიკული რესურსების მაქსიმალური ეფექტურობაა საჭირო. ამ პროცესის მიმდინარეობისას ხორციელდება ზედმეტი წერტილების და ხაზების იდენტიფიცირება და წაშლა.

მე-3 კრიტერიუმი - წრიული ობიექტების პოლიგონების ოპტიმიზაცია, 3D მოდელირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მაღალი პოლიგონების რიცხვი ზრდის გრაფიკული სისტემის დატვირთვას, შესაბამისად ამ დროს ხდება წრიულ ზედაპირზე წერტილების შემცირება, რაც პოლიგონების შემცირებას იწვევს.




ნახ. 5. Strip EndCap დეტექტორი

ნახ. 5-ზე წამოდგენილია ITK დეტექტორის ქვე-დეტექტორი Strip EndCap-ის დეტალური მოდელი. რომლის პოლიგონების რაოდენობა არის - 24`226`740, ხოლო ობიექტების რაოდენობა კი 270`714. განხორციელდა მისი გამარტივება ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდის გამოყენებით, შედეგად გამარტივებული მოდელი შედგება 1`339`894 პოლიგონისგან და 1 ობიექტისგან (ნახ.6), რაც იმას ნიშნავს, რომ მისი პოლიგონების რაოდენობა შემცირდა დაახლოებით -94,5%-ით.

მე-4 კრიტერიუმი - 3D ობიექტის ნორმალების პარამეტრების დადგენა, ითვალისწინებს პოლიგონებს შორის დახრის კუთხის 30° დან 45° მდე გაზრდას, რაც იწვევს 3D მოდელის ვიზუალური მხარის გაუმჯობესებას.

მეთოდის აპრობაცია განხორციელდა ატლასის დეტექტორის სხვადასხვა სტრუქტურებზე, მათ შორის ITK დეტექტორზე. ნახ. 5-ზე წამოდგენილია ITK დეტექტორის ქვე-დეტექტორი Strip EndCap-ის დეტალური მოდელი. რომლის პოლიგონების რაოდენობა



ნახ.6 Strip EndCap გამარტივებული დეტექტორი

ზემოაღნიშნული მეთოდით დამუშავდა ატლასის დეტექტორის ყველა სტრუქტურა: მაგნიტური სისტემა; ITK დეტექტორი; კალორიმეტრემის სისტემა; მიონური სისტემა; შილდინგების სისტემა; სერვისები; პლატფორმები; კავერნა.

გამარტივების პარამეტრები

ცხრ. 1

	დეტალური		გამარტივებული		სხვაობა/%
	ობიექ. რაოდ.	პოლიგ. რაოდ.	ობიექ. რაოდ.	პოლიგ. რაოდ.	
Strip EndCap PP1	271`916	9`161`656	1	28`824	97.04
Outer Cylinder	16	56`544	1	11`264	80.08
Pixel PP1	563	828`346	1	62`417	92.46
Strip EndCap	270`714	24`226`740	1	1`339`894	94.46

ცხრილში მოცემულია ზოგიერთი მათგანის გამარტივების პარამეტრები, საიდანაც დგინდება, რომ პოლიგონების საშუალო პროცენტული სხვაობა დეტალურ და გამარტივებულ გეომეტრიულ აღწერებს შორის შეადგენს 90.01%, რაც განაპირობებს იმას, რომ ვიზუალიზაციის აპლიკაციები რომლებიც იყენებენ ზემოთ განხილული მეთოდით გამარტივებულ 3D გეომეტრიულ აღწერებს, მუშაობენ შეფერხების გარეშე. ქვემოთ მოცემულ ლინკებზე შეგიძლიათ იხილოთ 3D ვებ აპლიკაციები რომლებიც სტატიაში განხილული გამარტივების მეთოდების მიხედვით დამუშავებულ 3D მოდელებს იყენებენ:

- Tracer Core - <https://tracer-core.web.cern.ch/>
- Tracer ARB - <https://tracer-arb.web.cern.ch/>
- Tracer VR - <https://tracer-vr.web.cern.ch/>
- ITK Viewer - <https://itk-viewer.web.cern.ch/>
- Atlas Viewer - <https://atlas-viewer.web.cern.ch/>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Laurie Annis. Blender 3D for Jobseekcers. 2023
2. Jerald, Jason. The VR Book: Human-Centred Design for Virtual Reality. 2016
3. Peddie, Jon. Augmented Reality: Where We Will All Live. Springer, 2017

4. <https://humbingo.com/humbingo/artificial-intelligence/what-are-the-current-limitations-and-challenges-of-vr-technology/> - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 18.10.2024
5. Augmented Reality: Principles and Practice. Dieter Schmalstieg, Tobias Hollerer. 2016
6. Loeb, Arthur L. Polyhedra: Surfaces or solids. 2013
7. Computer Graphics: Principles and Practice" (3rd Edition) by John F. Hughes, Andries van Dam, Morgan McGuire, et al

Development of methods for simplifying 3D geometric descriptions for visualization applications

Besik Kekelia, Aleksandr Alikhanov

Nuclear Engineering Centre of GTU

bkekelia@cern.ch; aleksandr.alikhanov@cern.ch

Abstract

3D graphics is a complex and versatile field that involves creating and rendering three-dimensional objects in virtual space, utilizing mathematics, geometry, and computer graphics technologies. It is one of the fastest-growing sectors today and finds applications across various industries, including film and animation, video games, engineering and architecture, advertising, and special effects. 3D modeling requires specialized software such as Blender, Catia, SolidWorks, ArchiCAD, Autodesk Maya, 3ds Max, and Cinema 4D. These tools allow the creation of 3D models, animation, texturing, and rendering. Professionals in this field possess both technical skills and creative thinking, enabling them to produce impressive and functional 3D visuals. Apart from traditional uses, 3D modeling is extensively applied in Virtual Reality (VR) and Augmented Reality (AR) technologies and 3D visualization web applications. Web applications play a significant role in making 3D graphics technology accessible to the masses. The simplification of 3D geometric descriptions for visualization applications ensures that models load and function efficiently on web platforms, overcoming technical limitations and optimizing performance for VR and AR environments.

Keywords: 3D modeling, virtual reality (VR), 3D web visualization, augmented reality (AR).

ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების იდემპოტენტური ელემენტები

ომარ გივრადე, ალექსანდრე ბაკურიძე, თენგიზ დიდმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Omar.givradze@bsu.edu.ge, a.bakuridze@bsu.edu.ge, didmanidzetengiz@gmail.com

რეზიუმე

განხილულია $\Sigma_1(X, 4)$ და $\Sigma_2(X, 4)$ კლასების ნახევარმესერებით განსაზღვრული გაერთიანებათა სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფების იდემპოტენტური ელემენტები: მოცემულია მათი აღწერა; სასრული ნახევარჯგუფების შემთხვევაში მიღებულია იდემპოტენტურ ელემენტთა რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულები.

საკვანძო სიტყვები: ნახევარჯგუფი, ნახევარმესერი, იდემპოტენტური ელემენტი.

1. შესავალი

როგორც ცნობილია, ბინარული მიმართებები დიდ გამოყენებას პოულობენ როგორც მათემატიკურ, ასევე სხვა მეცნიერებებში, როგორებიცაა მათემატიკური ლინგვისტიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ბიოლოგია, ავტომატთა თეორია, გრაფთა თეორია, კვანძთა თეორია და სხვა. ბინარულ მიმართებათა ალგებრა და მესერთა თეორია მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რის გამოც მათი პრობლემები შეიძლება გადაჭრილი იქნას ამ კავშირის

გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ნებისმიერი ნახევარჯგუფი იზომორფულად ჩაიდგმება რაიმე სიმრავლეზე ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფში, ამიტომ გამართლებულია ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფების ქვენახევარჯგუფთა შესწავლა. ნახევარჯგუფთა შესწავლა უფრო საინტერესო ხდება, როცა შეისწავლება არა ცალკეული ნახევარჯგუფები, არამედ ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფების კლასები. ამ კლასთა აბსტრაქტული მახასიათებლის პოვნა განსაზღვრავს ალგებრულ ოპერაციათა თეორიის რომელიღაც მიმართულებას. მიყვებით რა ამ გზას, ჩვენ შევისწავლით ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფების ისეთ კლასებს, რომელთა ელემენტები განისაზღვრებიან $\Sigma_1(X, 4)$ და $\Sigma_2(X, 4)$ კლასების ნახევარმესერებით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გაერთიანების სრული X -ნახევარმესერები მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებენ მათ მიერ განსაზღვრული ნახევარჯგუფების შესახებ.

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოიყენება ნახევარჯგუფთა თეორიის, მესერთა თეორიის, სიმრავლეთა თეორიისა და კომბინატორიკის მეთოდები.

2. ნაშრომის ძირითადი ნაწილი

ვთქვათ X ნებისმიერი არაცარიელი სიმრავლეა და D არის X სიმრავლის ქვენსიმრავლეთა რაღაც სიმრავლე, რომელიც ჩაკეტილია D სიმრავლის ელემენტთა თეორიულ-სიმრავლური გაერთიანების ოპერაციის მიმართ. ასეთ D სიმრავლეს ვუწოდებთ გაერთიანების სრულ X -ნახევარმესერს.

X სიმრავლის D სიმრავლეში ყოველ f ასახვას შევუსაბამოთ α_f ბინარული მიმართება, განსაზღვრული შემდეგი პირობით: $\alpha_f = \bigcup_{x \in X} (\{x\} \times f(x))$. ყველა ასეთ α_f ბინარული მიმართება

$B_X(D)$ სიმრავლე ქმნის ნახევარჯგუფს ბინარულ მიმართებათა გამრავლების ოპერაციის მიმართ, რომელსაც ეწოდება გაერთიანების სრული X -ნახევარმესერით განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფი (მოკლედ $B_X(D)$ ნახევარჯგუფი).

მტკიცდება, რომ ნებისმიერი ნახევარჯგუფი შეიძლება იზომორფულად ჩაიდგას რაიმე X სიმრავლეზე ბინარულ მიმართებათა სრულ $B_X(D)$ ნახევარჯგუფში. ამრიგად, $B_X(D)$ ნახევარჯგუფების შესწავლით ფაქტობრივად შეისწავლება ყველა ნახევარჯგუფი.

ვთქვათ, X ნებისმიერი არაცარიელი სიმრავლეა, ხოლო $D = \{Z_1, Z_2, Z_3, Z_4\}$, სადაც $Z_1, Z_2, Z_3, Z_4 \subseteq X$ და აკმაყოფილებენ პირობებს: $Z_1 \subset Z_3, Z_2 \subset Z_3, Z_1 \cup Z_2 = Z_3$ და $Z_3 \subset Z_4$ ($Z \subset Z'$ ჩანაწერის ქვეშ ვგულისხმობთ, რომ $Z \subseteq Z'$ და $Z \neq Z'$). ცხადია, D არის გაერთიანების სრული X -ნახევარმესერი. ამ ნახევარმესერის Z_1 და Z_2 ელემენტებისათვის გვექნება ორი შემთხვევა: $Z_1 \cap Z_2 \neq \emptyset$ და $Z_1 \cap Z_2 = \emptyset$. პირველ შემთხვევაში ვიტყვით, რომ D ნახევარმესერი ეკუთვნის $\Sigma_1(X, 4)$ კლასს, მეორე შემთხვევაში კი $\Sigma_2(X, 4)$ კლასს.

შევნიშნოთ რომ $\Sigma_1(X, 4)$ და $\Sigma_2(X, 4)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყოველი α ელემენტი ცალსახად შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$\alpha = (Y_1 \times Z_1) \cup (Y_2 \times Z_2) \cup (Y_3 \times Z_3) \cup (Y_4 \times Z_4),$$

სადაც $Y_i \subseteq X$, $Y_j \cap Y_k = \emptyset$, როცა $j \neq k$ ($i, j, k \in \{1, 2, 3\}$). $j \neq k$ α ელემენტის ასეთ ჩაწერას ვუწოდებთ α -ს ნორმალურ წარმოდგენას.

სამართლიანია შემდეგი შედეგები:

თეორემა 1. ვთქვათ, $D = \{Z_1, Z_2, Z_3, Z_4\}$ არის $\Sigma_1(X, 4)$ კლასის ნახევარმესერი. $B_X(D)$ ნახევარჯგუფის α ელემენტი არის ამ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგი სამი პირობიდან ერთ-ერთს:

- 1) $\alpha = X \times Z_i$, სადაც $i \in \{1, 2, 3, 4\}$;
- 2) $\alpha = (Y \times Z_i) \cup ((X \setminus Y) \times Z_j)$, სადაც $i \in \{1, 2, 3\}$, $j \in \{3, 4\}$, $i < j$, $Y \subset X$ და აკმაყოფილებს პირობებს: $Y \supseteq Z_i$ და $Z_i \setminus Y \neq \emptyset$;
- 3) $\alpha = (Y_1 \times Z_i) \cup (Y_2 \times Z_3) \cup (X \setminus (Y_1 \cup Y_2) \times Z_4)$, სადაც $i \in \{1, 2\}$, $Y_1, Y_2 \subset X$ და აკმაყოფილებენ პირობებს: $Y_1 \cap Y_2 = \emptyset$, $Y_1 \supseteq Z_i$, $Y_1 \cup Y_2 \supseteq Z_3$, $Y_2 \cap Z_3 \neq \emptyset$ და $Z_4 \setminus (Y_1 \cup Y_2) \neq \emptyset$.

შედეგი 1. $\Sigma_1(X, 4)$ კლასის $D = \{Z_1, Z_2, Z_3, Z_4\}$ ნახევარმესერით განსაზღვრული სასრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა იდემპოტენტური ელემენტების რაოდენობა I გამოითვლება ფორმულით:

$$I = 4 + 2^{|X \setminus Z_1|+1} + 2^{|X \setminus Z_2|+1} - 2^{|X \setminus Z_3|} - 3 \cdot 2^{|X \setminus Z_4|} + 3^{|X \setminus Z_4|} \cdot (3^{|Z_4 \setminus Z_3|} - 2^{|Z_4 \setminus Z_3|}) \cdot (2^{|Z_3 \setminus Z_1|} + 2^{|Z_3 \setminus Z_2|} - 2).$$

თეორემა 2. ვთქვათ, $D = \{Z_1, Z_2, Z_3, Z_4\}$ არის $\Sigma_2(X, 4)$ კლასის ნახევარმესერი. $B_X(D)$ ნახევარჯგუფის α ელემენტი არის ამ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- 1) $\alpha = X \times Z_i$, სადაც $i \in \{1, 2, 3, 4\}$;
- 2) $\alpha = (Y \times Z_i) \cup ((X \setminus Y) \times Z_j)$, სადაც $i \in \{1, 2, 3\}$, $j \in \{3, 4\}$, $i < j$, $Y \subset X$ და აკმაყოფილებს პირობებს: $Y \supseteq Z_i$ და $Z_i \setminus Y \neq \emptyset$;
- 3) $\alpha = (Y_1 \times Z_i) \cup (Y_2 \times Z_3) \cup (X \setminus (Y_1 \cup Y_2) \times Z_4)$, სადაც $i \in \{1, 2\}$, $Y_1, Y_2 \subset X$ და აკმაყოფილებენ პირობებს: $Y_1 \cap Y_2 = \emptyset$, $Y_1 \supseteq Z_i$, $Y_1 \cup Y_2 \supseteq Z_3$, $Y_2 \cap Z_3 \neq \emptyset$ და $Z_4 \setminus (Y_1 \cup Y_2) \neq \emptyset$;
- 4) $\alpha = (Y \times Z_1) \cup ((X \setminus Y) \times Z_2)$, სადაც $Y \subset X$ და აკმაყოფილებს პირობებს: $Z_1 \subseteq Y \subseteq X \setminus Z_2$;
- 5) $\alpha = (Y_1 \times Z_1) \cup (Y_2 \times Z_2) \cup (X \setminus (Y_1 \cup Y_2) \times Z_3)$, სადაც $Y_1, Y_2 \subset X$ და აკმაყოფილებენ პირობებს: $Y_1 \cap Y_2 = \emptyset$, $Z_1 \subseteq Y_1 \subseteq X \setminus Z_2$, $Z_2 \subseteq Y_2 \subseteq X \setminus Z_1$ და $Y_1 \cup Y_2 \neq X$;
- 6) $\alpha = (Y_1 \times Z_1) \cup (Y_2 \times Z_2) \cup (X \setminus (Y_1 \cup Y_2) \times Z_4)$, სადაც $Y_1, Y_2 \subset X$ და აკმაყოფილებენ პირობებს: $Y_1 \cap Y_2 = \emptyset$, $Z_1 \subseteq Y_1 \subseteq X \setminus Z_2$, $Z_2 \subseteq Y_2 \subseteq X \setminus Z_1$ და $Z_4 \setminus (Y_1 \cup Y_2) \neq \emptyset$;
- 7) $\alpha = (Y_1 \times Z_1) \cup (Y_2 \times Z_2) \cup (Y_3 \times Z_3) \cup (X \setminus (Y_1 \cup Y_2 \cup Y_3) \times Z_4)$, სადაც $Y_1, Y_2, Y_3 \subset X$ და აკმაყოფილებენ პირობებს: $Y_i \cap Y_j = \emptyset$, როცა $i \neq j$ ($i, j \in \{1, 2, 3\}$); $Y_3 \neq \{\emptyset, X\}$, $Z_1 \subseteq Y_1 \subseteq X \setminus Z_2$, $Z_2 \subseteq Y_2 \subseteq X \setminus Z_1$ და $Z_4 \setminus (Y_1 \cup Y_2 \cup Y_3) \neq \emptyset$.

შედეგი 1. $\Sigma_2(X, 4)$ კლასის $D = \{Z_1, Z_2, Z_3, Z_4\}$ ნახევარმესერით განსაზღვრული სასრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა იდემპოტენტური ელემენტების რაოდენობა I გამოითვლება ფორმულით:

$$I = 4 + 2^{|X \setminus Z_1|+1} + 2^{|X \setminus Z_2|+1} - 2^{|X \setminus Z_3|} - 3 \cdot 2^{|X \setminus Z_4|} + \\ + 3^{|X \setminus Z_4|} \cdot (3^{|Z_4 \setminus Z_3|} - 2^{|Z_4 \setminus Z_3|}) \cdot (2^{|Z_3 \setminus Z_1|} + 2^{|Z_3 \setminus Z_2|} - 2) + \\ + 4^{|X \setminus Z_4|} \cdot (4^{|Z_4 \setminus Z_3|} - 3^{|Z_4 \setminus Z_3|}).$$

3. დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ $\Sigma_1(X, 4)$ და $\Sigma_2(X, 4)$ კლასების ნახევარმესერებით განსაზღვრული გაერთიანებათა სრული ნახევარჯგუფების იდემპოტენტური ელემენტების აღწერა და მათი რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულები. მიღებულ შედეგებს გამოყენება აქვს როგორც ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფებში, ასევე მეცნიერებათა იმ დარგებში, რომელთაც კავშირი აქვთ ნახევარჯგუფთა თეორიასთან.

ლიტერატურა:

- Diasamidze Y., Makharadze Sh. Complete semigroups of binary relations. Turkey, Kriter, 2013.
 Givradze O. Some Properties of Semigroup $B_X(D)$, Defined by Semilattice of Class $\Sigma_1(X, 4)$. Proc. A. Razmadze Inst. 131. 2003.
 Givradze O. The Number of Equivalences on a Finite Set. Proc. A. Razmadze Inst. 131, 2003.

Idempotent Elements of Complete Semigroup of Binary Relations

Omar Givradze, Aleksandre Bakuridze, Tengiz Didmanidze

Batumi Shota Rustaveli State University

Omar.givradze@bsu.edu.ge, a.bakuridze@bsu.edu.ge, didmanidzetengiz@gmail.com

Abstract

The idempotent elements of the semigroups $B_X(D)$ defined by semilattices of the class $\Sigma_1(X, 4)$ and $\Sigma_2(X, 4)$ are discussed in the paper: Their description is given; In the case of finite semigroups, the formulas for calculating the number of idempotent elements are obtained.

Key Words: Semigroup, Semilattice, Idempotent Element.

მარკეტინგის სამსახურის მენეჯერების გამოკითხვის შედეგების დამუშავება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით

ანა გერგაული, მედეა თევდორაძე, მაია სალთხუციშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

gergauli.ana@gtu.ge, medeat@gtu.ge, saltkhutsishvilimaia08@gtu.ge

რეზიუმე

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ორგანიზაციის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ვინაიდან ის უზრუნველყოფს ორგანიზაციაში კადრების შერჩევას, შეფასებას, ტრენინგსა და განვითარებას. სწორად შერჩეული თანამშრომელი კი მთლიანი ორგანიზაციის განვითარების და მის წინაშე დასახული მიზნების მიღწევის საწინდარია. ხელოვნური ინტელექტი, მათ შორის ხელოვნური ნეირონული ქსელების მოდელები, აქტიურად

გამოიყენება პერსონალის შერჩევისა და შეფასების პროცესში, რაც გაცილებით ამარტივებს და გარკვეულწილად აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. წინამდებარე სტატიაში განხილული კვლევა მიზნად ისახავდა ხელოვნური ნეირონული ქსელის მოდელის შემავალი პარამეტრების, კერძოდ მარკეტინგის მენეჯერებისთვის საჭირო უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების, განსაზღვრას. ამისათვის გამოყენებული იყო ფოკუს-ჯგუფის მეთოდი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მარკეტინგის მენეჯერებმა. მიღებული პარამეტრების საფუძველზე, შემდგომ ჩატარდა სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე მარკეტინგის სპეციალისტებისა და მენეჯერების გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც გაიზომა ის, თუ რამდენად ახასიათებთ ფოკუს ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული პარამეტრები მენეჯერებს და აღნიშნული პარამეტრების კავშირი შრომით კმაყოფილებასთან. რაოდენობრივი კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS (Statistical Package for the Social Sciences) v.23 გამოყენებით, სიხშირული, კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეთოდებით. გამოვლინდა კორელაციები კვლევაში გამოყენებულ სკალებს შორის და მათი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა შრომით კმაყოფილებაზე, მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მარკეტინგის მენეჯერების გამოკითხვა.

1. შესავალი

ორგანიზაციებში პერსონალის შერჩევის პროცესი დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული იმ მხრივ, რომ უნდა შეირჩეს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარებისა და გამოცდილების მქონე პერსონალი (Masum, Beh, Azad, & Hoque, 2018; Zdravković, Panetto, & Weichhart, 2021). აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს-ჯგუფის ჩატარებას მარკეტინგის დეპარტამენტის მენეჯერების მონაწილეობით. მარკეტინგის დეპარტამენტი შევარჩიეთ, ვინაიდან ის არის ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული. კვლევის მიზანს წამოადგენდა შესწავლილიყო მარკეტინგის მენეჯერის პოზიციისთვის სამუშაოს მაღალპროფესიონალურ დონეზე შესასრულებლად მნიშვნელოვანი ტექნიკური უნარები, პიროვნული მახასიათებლები და სხვა რბილი უნარები, რის საფუძველზეც შეიქმნებოდა შესაბამისი კითხვარი და შემდგომ გაიგზავნებოდა მარკეტინგის სპეციალისტებთან იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ფოკუს-ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ პარამეტრებს და რამდენად რეალურია მიღებული პარამეტრები მარკეტინგის მენეჯერების და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად. კერძოდ, ფოკუს-ჯგუფის რესპოდენტებს შორის იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებული 26-დან 35 წლამდე ასაკის, ციფრული, პროდუქტის და პროექტის მარკეტინგის მენეჯერები.

2. მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის განხორციელების მიზნით გამოყენებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი მეთოდებიდან - ფოკუს ჯგუფის მეთოდი, ხოლო რაოდენობრივი მეთოდებიდან - წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარი ღია და დახურული კითხვებით. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა პასუხები დამუშავდა კონტენტ ანალიზის მეთოდით. კითხვარი ონლაინ გაიგზავნა Google Forms-ის ფორმით მარკეტინგის მენეჯერებთან და სპეციალისტებთან, ხოლო მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS v.23 -ის გამოყენებით.

3. ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კვლევების თანახმად, დღესდღეობით მარკეტინგის მენეჯერებისთვის სამუშაოს კარგად შესასრულებლად, მნიშვნელოვანია გააჩნდეთ ისეთი უნარები, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, ემოციური ინტელექტი, გადაწყვეტილების მიღება და მოლაპარაკების ეფექტიანად წარმართვა, შედეგზე ორიენტაცია, მოტივაცია, ეთიკა, ასერტიულობა, გუნდური მუშაობა, ცვლილებებისადმი ღიაობა და სხვა (Santos, და სხვ., 2021; WEF, 2018). თუმცა საინტერესო იყო თუ რა მოთხოვნები იყო ამ მხრივ საქართველოში. ამ მიზნით ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მიერ განსაზღვრული უნარები, მახასიათებლები გაერთიანდა შემდეგ ჯგუფებად: ტექნიკური უნარები, პიროვნული მახასიათებლები, რბილი უნარები.

აღნიშნული ჯგუფები, თავის მხრივ, დაიყო ქვეკატეგორიებად, როგორცაა მაგალითად, საოფისე ინსტრუმენტების ცოდნა, ციფრული მარკეტინგი და ანალიტიკა, სოც. ქსელის მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, ინტერპერსონალური უნარები, ლიდერული უნარები, გადაწყვეტილების მიღება, სამუშაო ჩვევები და პრაქტიკა და სხვა. ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ჩამოთვალეს ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა, საბოლოო ჯამში, დაჯგუფდა დიდი ხუთეულის ფაქტორებად: ემოციური სტაბილურობა, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, თანხმობისადმი მზაობა და კეთილსინდისიერება.

პიროვნული მახასიათებლების გასაზომად შერჩეულ იქნა კოსტა და მაკკრეის მიერ შემუშავებული დიდი ხუთეულის საზომი კითხვარი NEO-FFI (Costa & McCrae, 1992), ტექნიკური უნარების გასაზომად სპეციალურად აღნიშნული კვლევისთვის თავად ჩამოვყალიბეთ შესაბამისი კითხვარი.

გამოკითხვაში მონაწილეთაგან 64% იყო მდებრობითი, ხოლო 36% მამრობითი სქესის. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS v23. - ის გამოყენებით. გამოკითხულთა უმეტესობა დასაქმებული იყო კერძო ორგანიზაციაში (88%) საშუალო რგოლის (56%), ზედა რგოლის (26%) ან ქვედა რგოლის (18%) მენეჯერად. გაიზომა სკალებს შორის კორელაციის კოეფიციენტები.

კერძოდ, საშუალო სიძლიერის კორელაცია გამოვლინდა ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობას ($r = .406, p < .01$), თანხმობისადმი მზაობასა ($r = .301, p < .01$) და კეთილსინდისიერების სკალებს ($r = .357, p < .01$) შორის. ასევე საშუალო სიძლიერის კორელაცია თანხმობისადმი მზაობასა და კეთილსინდისიერებას შორის ($r = .434, p < .01$). სუსტი უარყოფითი კორელაცია ნეიროტიციზმსა და ერთი მხრივ, თანხმობისადმი მზაობასა ($r = -.191, p < .05$) და მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების ($r = -.277, p < .01$) სკალებს შორის (იხ.ცხრილი N1).

კორელაციების კოეფიციენტები სკალებს შორის				ცხრ.1	
		ნეიროტიციზმის სკალა	ექსტრავერსიის სკალა	გამოცდილებისადმი ღიაობის სკალა	თანხმობისადმი მზაობის სკალა
ნეიროტიციზმის სკალა	Pearson Correlation				
	Sig. (2-tailed)				
ექსტრავერსიის სკალა	Pearson Correlation	0.145			
	Sig. (2-tailed)	0.077			

გამოცდილების ადმი ღიაობის სკალა	Pearson Correlation	-0.049	.406**		
	Sig. (2-tailed)	0.549	0		
თანხმობისადმი მზაობის სკალა	Pearson Correlation	-.191*	.301**	0.155	
	Sig. (2-tailed)	0.019	0	0.059	
პატოსნების/კეთილსინდისიერების სკალა	Pearson Correlation	-.277**	.357**	.174*	.434**
	Sig. (2-tailed)	0.001	0	0.034	0

*. Correlation is significant at the 0.05 level (2-tailed).
 **. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

სქესთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა ნეიროტიციზმის, თანხმობისადმი მზაობასა და კეთილსინდისიერების სკალებზე (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი 1. კვლევაში გამოყენებულ სკალების სქესთა შორის განსხვავება

Independent Samples Test										
		Levene's Test for Equality of Variances		t-test for Equality of Means						
		F	Sig.	t	df	Sig. (2-tailed)	Mean Difference	Std. Error Difference	95% Confidence Interval of the Difference	
									Lower	Upper
ნეიროტიციზმის სკალა	Equal variances assumed	1.304	.255	2.893	148	.004	4.156	1.436	1.318	6.995
	Equal variances not assumed			2.769	96.397	.007	4.156	1.501	1.177	7.136
ექსტრავერსიის სკალა	Equal variances assumed	5.872	.017	2.552	148	.012	2.25000	.88161	.50782	3.99218
	Equal variances not assumed			2.785	138.484	.006	2.25000	.80779	.65280	3.84720
გამოცდილებისადმი ღიაობის სკალა	Equal variances assumed	.481	.489	1.891	148	.061	1.74884	.92471	-.07850	3.57619
	Equal variances not assumed			1.921	115.151	.057	1.74884	.91044	-.05454	3.55223
თანხმობისადმი მზაობის სკალა	Equal variances assumed	1.548	.215	3.848	148	.000	3.68981	.95886	1.79500	5.58463
	Equal variances not assumed			3.582	88.904	.001	3.68981	1.02999	1.64321	5.73642
კეთილსინდისიერების სკალა	Equal variances assumed	4.441	.037	2.841	148	.005	2.62847	.92506	.80044	4.45650
	Equal variances not assumed			2.639	88.279	.010	2.62847	.99612	.64898	4.60796

რეგრესიული ანალიზის გზით, კერძოდ ordinal regression მეთოდით, შემოწმდა პიროვნული მახასიათებლებისა და განათლების დონის დამოკიდებულება მენეჯერების სამუშაო პოზიციაზე

(ქვედა, საშუალო და ზედა რგოლი). შედეგებმა ცხადყო, რომ აღნიშნული მოდელი სტატისტიკურად სანდოა ($\chi^2 = 58.42$, $df = 9$, $p < .01$). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მენეჯერის სამუშაო პოზიციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი განათლების დონე და ფოკუს ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული პიროვნული მახასიათებლები.

4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფოკუს ჯგუფის ჩატარების შედეგად ჩამოყალიბდა მარკეტინგის მენეჯერისათვის მნიშვნელოვანი ტექნიკური უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების მთელი რიგი ჩამონათვალი, რომელიც შემდგომ დაჯგუფდა და ჩატარდა გამოკითხვა. სტატისტიკურად სანდო სუსტი და საშუალო სიძლიერის კორელაცია აღმოჩნდა კვლევაში გამოყენებულ ზოგიერთ სკალას შორის. ასევე გამოვლინდა სქესთა შორის განსხვავება ნეიროტიციზმი – ემოციური სტაბილურობა, თანხმობისადმი მზაობისა და კეთილსინდისიერების სკალებზე. რეგრესიული ანალიზით დადგინდა, რომ განათლების დონისა და პიროვნული მახასიათებლები დადებით გავლენას ახდენს მარკეტინგის მენეჯერის მიერ დაკავებულ სამუშაო პოზიციაზე.

ლიტერატურა:

1. Costa, P., & McCrae, R. (1992). Neo PI-R professional manual. Psychological Assessment Resources, 396.
2. Masum, A.-K., Beh, L.-S., Azad, A.-K., & Hoque, K. (2018). Intelligent Human Resource Information System (i-HRIS): A Holistic Decision Support Framework for HR Excellence. The International Arab Journal of Information Technology, 15(1), 121-130.
3. Santos, G., Sá, J., Félix, M., Barreto, L., Carvalho, F., Doiro, M., et al. (2021). New Needed Quality Management Skills for Quality Managers 4.0. Sustainability, 13(11).
4. WEF. (2018). (World Economic Forum) The Future of Jobs survey.
5. Zdravković, M., Panetto, H., & Weichhart, G. (2021). AI-enabled Enterprise Information Systems for Manufacturing. Enterprise Information Systems, 1-53.

Processing the results of a survey of marketing managers using mathematical statistics methods

Ana Gergauli, Medea Tevdoradze, Maia Saltkhutsishvili
Georgian Technical University

gergauli.ana@gtu.ge, medeat@gtu.ge, saltkhutsishvilimaia08@gtu.ge

Abstract

The human resource management department is one of important part of the organization's functioning, since it ensures the selection, evaluation, training and development of personnel in the organization. A properly selected employee is a prerequisite for the development of the entire organization and the achievement of its goals. Artificial intelligence, including models of artificial neural networks, is actively used in the process of personnel selection and evaluation, which greatly simplifies and somewhat improves the decision-making process. The research discussed in this article aimed to determine the input parameters of the artificial neural network model, namely the skills and personal characteristics required for marketing managers. For this, the focus group method was used, in which marketing managers participated. Based on the received parameters, a survey of marketing specialists and managers working in different organizations was then conducted, within the framework of which it was measured to what extent the parameters established by the focus group characterize the managers and the relationship of the mentioned parameters with job satisfaction. Quantitative research results were processed using the statistical program SPSS (Statistical Package for the Social Sciences) v.23, using frequency, correlation and regression analysis methods. Correlations between the scales used in the study and their statistically significant impact on job satisfaction were revealed, corresponding conclusions are given.

Keywords: Statistical processing of data, survey of marketing managers

ბითკოინი - ციფრული დეცენტრალიზებული ვალუტა

თინათინ კაიშაური, ია ირემადე, ანა ბუზალაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
t.kaishauri@gtu.ge, i.iremadze@gtu.ge, a.buzaladze@gtu.ge

რეზიუმე

ბითკოინი არის კრიპტოვალუტა და ციფრული საგადასახადო სისტემა, რომელიც შექმნა თუ შექმნეს ერთმა ან რამდენიმე პროგრამისტთა ჯგუფმა სახელწოდებით „სატოში ნაკამოტო“ (Satoshi Nakamoto). ეს სისტემა გაშვებული იყო ქსელში 2009 წელს, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა - ღია საწყისი კოდით. სისტემა ერთრანგიანი, რაც ნიშნავს, რომ ტრანზაქციები წარმოებს მომხმარებელთან შუამავლის გარეშე. ეს ტრანზაქციები მონიტორინგს გადიან ქსელურ კვანძებში და ჩაიწერება ყველასთვის ხელმისაწვდომ წიგნ-დავთარის საჯარო რეესტრში - ბლოკ-ჯაჭვებში. რადგან სისტემა მუშაობს ცენტრალური საცავის გარეშე ან ერთი ადმინისტრატორით, ბითკოინს უწოდეს პირველი დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტა. მოპოვებული ბითკოინებისთვის ჯილდოს მიღების მიღმა, იგი შეიძლება გაიცვალოს სხვა არსებულ მატერიალურ ვალუტაზე, პროდუქტებზე, სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის, მაგალითად: იურიდიული, ან და (სამწუხაროდ) შავ ბაზარზე. 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით, 100 ათასზე მეტმა გამყიდველმა საფასური ბითკოინებით მიიღო. 2017 წლის კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევების თანახმად, არსებობს 2,9-5,8 მილიონი უნიკალური მომხმარებელი, რომელიც იყენებს კრიპტოვალუტის საფულეს, რომელთა შორის უმრავლესობა იყენებს ბითკოინებს.

საკვანძო სიტყვები: ბითკოინი, კრიპტოვალუტა, მაინინგი, ფორკები, პული, ტრანზაქციები

1. შესავალი

რას წარმოადგენს ბითკოინი (bitcoin, btc)? ეს არის დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტის ახალი თაობა, რომელიც შეიქმნა და მუშაობს მხოლოდ ინტერნეტ ქსელში. არავინ აკონტროლებს ამგვარ ვალუტას, ვალუტის ემისია ხდება მსოფლიო მასშტაბით მილიონობით კომპიუტერის მუშაობის შედეგად, რომლებიც იყენებენ მათემატიკური ალგორითმების გამომთვლელ პროგრამას. ამაში მდომარეობს ბითკოინების არსი.

ისმის ლოგიკური კითხვა: რა არის ბითკოინი და რა განასხვავებს მას ტრადიციული ელექტრონული ფულისგან, როგორც არის მაგალითად: webmoney, qiwi და ა.შ.?

ბითკოინებით შესაძლებელია ინტერნეტში შეიძინო ყველაფერი, რაც კი მოგესურვებათ, ისევე როგორც დოლარისა და ევროს მყარ ვალუტაში. როგორც ყველა ვალუტაზე ბითკოინებზეც მიმდინარეობს საბირჟო ვაჭრობები. თუმცა ბითკოინები, სხვა დანარჩენი არსებული ფულადი ფორმებისგან განსხვავებით ხასიათდება - დეცენტრალიზაციით. მსოფლიოს ვერც ერთი დაწესებულება ვერ აკონტროლებს ბითკოინს. ზოგიერთებს ბითკოინების ამგვარი „ქცევა“ აქცევს ჩიხში, რადგან ეს ნიშნავს, რომ - ვერც ერთი ბანკი ვერ გააკონტროლებს თქვენს ფულს.

როგორ შეიძლება შევქმნათ ბითკოინი?

პროგრამის შემქმელი მსოფლიოს წარუდგა როგორც Satoshi Nakamoto, მან შესთავაზა მსოფლიოს ელექტრონული გადახდის სისტემა, რომელსაც საფუძვლად მათემატიკური გამოთვლები უძევს. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ - განხორციელდეს მონეტების გაცვლა ნებისმიერი ცენტრალური მონეტარული ძალაუფლების გარეშე, ელექტრონული სახით, მყისიერად, მინიმალური საპროცენტო დანახარჯებით.

მაგრამ, ვინ ზეჰდავს/აწარმოებს ბითკოინებს? არავინ!

ეს ვალუტა არ იბეჰდება ცენტრალური თუ ფედერალური ბანკების მიერ და არ მუშაობს მათი წესების შესაბამისად. ბანკს შეუძლია დაბეჰდოს იმდენი ფული, რამდენიც მოესურვება, იმისათვის რომ დაფაროს სახელმწიფო ვალი, რის შედეგადაც აუფასურებს საკუთარ ფულად ერთეულს. საპირისპირო აქტივობა შეინიშნება ბითკოინების შემთხვევაში. ბითკოინების ემისია შესაძლებელია მხოლოდ ციფრული სახით და ნებიმიერ მსურველს შეუძლია დაიწყოს მათი მოპოვება ან როგორც იტყვიან აწარმოოს ბითკოინების მაინინგი.

ბითკოინების მაინინგი ხდება განაწილებულ ქსელში, კომპიუტერული გამოთვლის სიმძლავრეების გამოყენებს საშუალებით. ბითკოინების გადარიცხვისას, ტრანზაქციები მუშავდება იგივე ქსელით, რომელიც ბითკოინს გადააქცევს დამოუკიდებელ ციფრულ გადახდისუნარიან სისტემადა.

ყველა ვინც იწყებს ბითკოინების თემის გაცნობას, უჩნდება სურვილი რომ მოიპოვოს იგი საკუთარი კომპიუტერით, და არ იყიდოს კრიპტოვალუტის ბირჟაზე და ა.შ. აქვე გაგიცრუებთ იმედის: 2-3 წლის წინ ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ დღესდღეობით ეს უკვე არარეალურია. მსხვილმა ინვესტორებმა დაინახეს რა ბითკოინების მაინინგისგან მოგების მიღების დიდი შესაძლებლობები, განახორციელეს დიდი ინვესტიციები სპეციალიზებული ჩიპების შექმნისა და წარებისათვის. ამან გამოიწვია ის, რომ შეიქმნა სპეციალიზებული დანადგარები, რომლებიც იწოდებიან - ASIC-ად (Application-Specific Integrated Circuit, „სპეციალური დანიშნულების ინტეგრალური სქემა“), რომელიც უშუალოდ არის განკუთვნილი კრიპტოვალუტის მაინინგისათვის. თუ კი მას შევადარებთ ჩვეულებრივ ოჯახის პერსონალურ კომპიუტერს, ბითკოინების მაინინგის სიჩქარე ASIC-ს მეშვეობით გაიზარდა ასჯერ, ბითკოინ ქსელის სიმძლავრის გამო, გაიზარდა კრიპტოვალუტის მოპოვების სირთულის დონე, რის გამოც უკვე ბითკოინების მოპოვება სტაციონარულ კომპიუტერებზე გახდა შეუძლებელი.



სურ. 1. ბითკოინების მაინინგის (მოპოვების) ქარხანა

ამის გამო, არაა საჭირო გაიფუჰოთ ხასიათი! ბითკოინს გააჩნია ღია საწყისი კოდი (სურათი. 2) ბითკოინების დამოუკიდებელმა შემქმნელებმა, დაიწყეს სხვადასხვაგვარი მიზნობრივი დანიშნულებისათვის, მრავალგვარი ალტენატიული კრიპტოვალუტის შექმნა/შემუშავება. ამგვარმა კრიპტოვალუტებმა დაიმკვიდრეს სახელი „ფორკები“ (Fork) ან „ალტკოინები“ (Altcoin).

კრიპტოვალუტის შემქმნელებს, საკუთარი მიზანი აქვს. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად: შესაძლებელი მონეტების დიდი რაოდენობა, გზავნილების სისწრაფე. ყველა ფორკს საკუთარი განმასხვავებელი ნიშანთვისება აქვს. მაგალითად, პოპულარობით მეორე ადგილზე მყოფი კრიპტოვალუტა - ეს ლაიტკოინია (LTC) ([litecoin](#)), ისიც ბითკოინის ერთ-ერთი პოპულარული ფორკია.

და რა აზრია ამაში ჩადებული? ყველაფერი უფრო მარტივად - იმის გამო, რომ ASIC-ჩიპები გამოიშვება მხოლოდ კრიპტოვალუტის მაინინგის დაშიფვრის სპეციალიზებული ალგორითმით, ისეთები როგორცაა SHA-256 (ბითკონი) და SCRYPT (ლაითკონი), ზოგიერთმა დამოუკიდებელმა კრიპტოვალუტის შემქმნელმა გამოუშვეს სხვა ალგორითმზე შექმნილი საკუთარი კრიპტოვალუტა, რომლისათვისაც საბაზო ASIC-მოწყობილობა არ არსებობს. ის იყო იმისათვის გაკეთებული, რომ ქსელის სიმძლავრე, და აქედან გამომდინარე ახალი ფორკის მოპოვების სირთულე არ გაზრდილიყო უზარმაზარ მნიშვნელამდე, ე.ი. შესაძლებელი კრიპტოვალუტის მაინინგის განხორციელება ჩვეულებრივ კომპიუტერებზე, ხოლო როგორ გავაკეთოთ და რამდენი მონეტა შეიძლება მოვიპოვოთ განვიხილოთ ქვემოთ.

ბითკონების მაინინგი საჩვენო არ არის (არ ყოფილა), მაგრამ არსებობენ სხვა კრიპტოვალუტები!

■ .github	Mention reporting security issues responsibly
■ .tx	qt: Set transifex slug to 0.14
■ build-aux/m4	Avoid printing generic and duplicated "checking for QT" during ./conf...
■ contrib	Merge #10626: doc: Remove outdated minrelatxfee comment
■ depends	[depends] expat 2.2.1
■ doc	Merge #9544: [trivial] Add end of namespace comments. Improve consist...
■ share	Slightly overhaul NSI pixmaps
■ src	Remove no longer used mempool.exists(outpoint)
■ test	Merge #10659: [qa] blockchain: Pass on closed connection during gener...
📄 .gitattributes	Separate protocol versioning from clientversion
📄 .gitignore	Use shared config file for functional and util tests
📄 .travis.yml	Merge #10509: Remove xvfb configuration from travis
📄 CONTRIBUTING.md	[doc] Add blob about finding reviewers.
📄 COPYING	[Trivial] Update license year range to 2017
📄 INSTALL.md	Update INSTALL landing redirection notice for build instructions.
📄 Makefile.am	Filter subtrees and benchmarks from coverage report
📄 README.md	Rename test/pull-tester/rpc-tests.py to test/functional/test_runner.py
📄 autogen.sh	Add MIT license to autogen.sh and share/genbuild.sh
📄 configure.ac	Merge #10565: [coverage] Remove subtrees and benchmarks from coverage...
📄 libbitcoinconsensus.pc.in	Unify package name to as few places as possible without major changes

სურ. 2 საწყისი კოდი

ამგვარად, რა არის საჭირო კრიპტოვალუტის მაინინგის განხორციელებლად, და საერთოდ - რის მოპოვებას დავიწყებთ? წარმოვადგინოთ ინსტრუქცია რამდენიმე ეტაპად:

1. მაინინგისათვის კრიპტოვალუტის შერჩევა;
2. მაინინგისათვის პულის (pool) შერჩევა;
3. მაინინგისათვის პროგრამის შერჩევა;
4. მაინინგისათვის გავმართოთ და გავუშვათ პროგრამა;
5. მოპოვებული მონეტების ბირჟის ან საკუთარ საფულეში გამოტანა.

განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეული პუნქტი:

1. მაინინგისათვის კრიპტოვალუტის შერჩევა;

ნებისმიერი კრიპტოვალუტის მაინინგის სიჩქარე, მათ შორის თვით ბითკონისაც იზომება ჰეშებში და წამებში „kh/s“ (კილოჰაშ/წამში). საინტერესოა, ჩვენი კომპიუტერის წარმადობა kh/s-ში.

მაინინგის სიჩქარე დამოკიდებულია ვიდეოკარტის მახაიათებლებზე, მაგალითისთვის განვიხილოთ NVIDIA GTX 580, მაინინგის საშუალო სიჩქარეა 220 kh/s.

როგორ გავიგოთ, რომელი კრიპტოვალუტით შეიძლება დღეს მაინირება? ამაში დაგვეხმარება ორი პოპულარული (სურ. 3) საიტი: [coinwarz](#) და [whattomine](#), სადაც ჩამოთვლილია დღეისთვის არესებული ყველა კრიპტოვალუტების თავისუფალი ცხრილები, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია. აგრეთვე, აქვე მოცემულია მაინინგის ალგორითმები. მნიშვნელოვანია “Revenue /Profit (per day)” მაჩვენებლები/პარამეტრები, რაც ნიშნავს „ანაზღაურება/მოგება (დღეში)” და სვეტი - “Exchange Volume” - მონეტების მოცულობა, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ბირჟზე „რაც“ ფასად, რომ მივიღოთ ზუსტად ის მოგება, რომელსაც ვხედავთ სვეტში “Revenue /Profit (per day)”. სასურველია დღეში ერთხელ მაინც მოპოვებული მონეტები გადაიცვალოს ბითკოინებზე, რომ არ დაიკარგოს მოგება, იმ შემთხვევაში თუ კი კრიპტოვალუტის ფასი დაიწვეს - ამგვარი რამ კი ხშირად ხდება.

Cryptocurrency	Current Difficulty	Est. Coins	Exchange Rate BTC	Exchange Volume	Revenue / Profit (per day)	Earn 1 BTC	Profit Ratio vs. BTC
UFOcoin (UFO) Network Hashrate: 3.85 MH/s Block Reward: 2,500.00 Blocks: 431,813 Block Time: 1.50 minute(s)	0.0813 -63.45 %	142,293,2269 / 52,006,2108	0.00000002 (Bitrex) 0.00 %	0.02 BTC 1,005,706.33 UFO	\$0.69 / (\$0.27) \$0.98 for electricity	351.39 0.00284586 BTC / day	-8.86 % -27.73 %
Feathercoin (FTC) Network Hashrate: 290.05 MH/s Block Reward: 50.00 Blocks: 492,940 Block Time: 1.00 minute(s)	3.9777 -4.73 %	93,0554 / 88,6556	0.00001163 (Cryptsy) -0.77 %	4.21 BTC 359,200.26 FTC	\$0.26 / (\$0.70) \$0.98 for electricity	924.01 0.00108223 BTC / day	-22.78 % -24.14 %

სურ. 3. მაინინგისათვის კრიპტოვალუტის შერჩევა

პირველ რიგში ხდება ერთი, ყველაზე სარფიანი კრიპტოვალუტის შერჩევა. ამ მომენტისათვის არის -Feathercoin (FTC) მოპოვების ალგორითმით NeoScript. ცხრილში ვუთითებთ საკუთარი მაინინგის სიჩქარეს. შეგვიძლია მოვიპოვოთ კრიპტოვალუტა 96 ცენტად დღეში ან \$28 თვეში (ელექტროენერჯის დანახარჯების გაუთვალისწინებლად)

1. მაინინგისათვის პულის (pool) შერჩევა;

მაინინგისათვის პულის (pool) შერჩევისათვის საჭიროა მოიძებნოს ისეთი პული, რომელშიც დაიწყება მისი მოპოვება. რასაკვირველია მაინირება საჭიროა „სოლო“ რეჟიმში, ე.ი. ინდივიდუალურად, მაგრამ უფრო ეფექტურია სხვა მაინერებთან გაერთიანება.

პული - ეს საიტია, რომელზედაც ერთიანდება მრავალი წვრილი მაინერი და საერთო ძალებით მოიპოვებენ კრიპტოვალუტას. რაც მეტი სიმძლავრე აქვს პულს, მით მეტი შანსია მოინახოს „სწორი“ ბლოკი მონეტების მოსაპოვებლად. პულების საიტი, როგორც ყოველთვის მიეთითება კრიპტოვალუტის ოფიციალურ საიტზე Pool განყოფილებაში ან თემატურ ინტერნეტ ფორუმებზე, როგორცაა მაგალითად Bitcoin Talk. პულის არჩევის ძირითადი კრიტერიუმებია - მომხმარებლის კრიპტოვალუტის მოპოვების სიმძლავრე და კომისია.

2. მაინინგისათვის პროგრამის შერჩევა;

დღეისათვის მაინინგისათვის ყველაზე აქტუალური პროგრამა არის sgminer, ccMiner და სხვა.

3. მაინინგისათვის პროგრამის გაშვება!

მაინინგისათვის პროგრამის გამართვა და გაშვება ვრცელი თემაა, რომელიც განზოგადებული კონტენტის კონკრეტობაცაის, უფრო ვრცელ და დეტალიზებულ აღწერას მოითხოვს.

4. მოპოვებული მონეტების ბირჟის ან საკუთარ საფულეში გამოტანა.

დარჩა განსახილველი უკანასკნელი ბიჯი - „მოპოვებული მონეტების ბირჟის ან საკუთარ საფულეში გადმოტანა“. საჭიროა შეიქმნას საფულე, რომელშიც მოხდება მოპოვებული მონეტების გადარიცხვა. ოფიციალური საფულე შესაძლებელია ჩამოიტვირთოს კრიპტოვალუტის ოფიციალური საიტიდან, მაგრამ არსებობენ უფრო მარტივი სხვა საიტებიც. ვთქვათ, მოიძებნა საკუთარი კრიპტოვალუტა საიტზე [coinmarketcap](#), უნდა მიექცეს ყრადღება, თუ რომელ ბირჟზე აწარმოებს მაინერი ვაჭრობას. ამოირჩევა ის მაჩვენებელი, სადაც მეტია „Volume“-ანუ ვაჭრობის მოცულობა. ამ ბირჟაზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ იხსნება „პერსონალური კაბინეტი“, საკუთარი კრიპტოვალუტის მოძიების შემდეგ, მაუსის ერთი „წკაპით“ „Deposit“-ზე ხდება „ფულადი“ შენატანის განხორციელება და საკუთარი მონეტების მისამართის დაფიქსირება. პულში პირველი გამომუშავებული მონეტების მაინირების შემდეგ, უკვე მარტივად არის შესაძლებელი ბირჟაზე არსებულ საკუთარ საფულეში გადაგზავნა. ახლა კი არჩევანის ჯერი მომხმარებელზეა: ან დაუყოვნებლივ გადაცვალოს უფრო მყარ კრიპტოვალუტაზე - ბიტკოინებზე, ან იტოვებს იგივე სახით - იმ იმედით, რომ მათი ფასი გაიზრდება! აქვე მნიშვნელოვანია მხედველობიდან არ გამოვრჩეთ - **კომისიების** - ანგარიშის საკონტროლებლად და ეკრანზე გამოსატანად. ყოველ ჯერზე, რაც უფრო ხშირად ხდება კრიპტოვალუტის პულის ბალანსიდან გამოყოფა, მით უფრო ხშირია კომისიის გადასახად.

ბიტკოინების გადარიცხვისას, ტრანზაქციები მუშავდება იგივე ქსელის მეშვეობით, რომელიც გადააქცევს მათ დამოუკიდებელ გადახდისუნარიან ციფრულ სისტემად.

შესაძლებელია თუ არა მილიარდი ბიტკოინის მოპოვება?

შეუძლებელია!

ბიტკოინის კოდში არის შეზღუდვა, შესაძლებელია მხოლოდ 21 მილიონი ბიტკოინის „მოპოვება“. ამისდა მიუხედავად, ბიტკოინები შეიძლება დაიყოს უსასრულოდამდე ძალიან მცირე ნაწილებად - ეს ხომ ციფრული ვალუტაა! 1 სატოში უდრის 0.00000001 btc (სატოში შემქნელის საპატივცემულოდ ეწოდა)

რითია უზრუნველყოფილი ბიტკოინი?

ნაციონალური ფული, როგორც ყველ ვალუტა, გამყარებულია ოქროთი ან ვერცხლით. თეორიულად შესაძლებელია ეწვიო ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ბანკს და გაცვალო ქალაქის ფული ოქროს ექვივალენტზე ან პირიქით. ბიტკოინი არაფრით არის უზრუნველყოფილი - ეს წმინდა მათემატიკაა.

ნებისმიერ ადამიანს, საკუთარ კომპიუტერზე, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ბიტკოინების მოსაპოვებლად, შეუძლია გაუშვას სკრიპტი და „შეიგრძნოს“ მინი-ცენტრობანკის მდგომარეობაში ყოფნა. სკრიპტის საწყისი კოდი გამოქვეყნებულია ღია სახით. ყველას შეუძლია იგი დაათვალიეროს და შეაფასოს როგორ მუშაობს.

რაშა განსხვავება?

ბიტკოინებს გააჩნია რამდენიმე პრინციპული განსხვავება:

დეცენტრალიზაცია

ქსელში, კონტროლის ცენტრალური ორგანო **არ არსებობს!** ქსელი განაწილებულია ყველა მონაწილეზე, თითოეულ კომპიუტერზე - ბიტკოინების მომპოვებელი არის ამ სისისტემის მონაწილე. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ ცენტრალურ ორგანოს არა აქვს უფლებამოსილება უკარნახოს წესები ბიტკოინების მფლობელებს, **როგორ?** თუ კი ქსელის რომელიღაც ნაწილი მოხვდება ოფლაინში, საგადასახადო სისისტემა მაინც იმუშავებს სტაბილურად.

გამოყენების სიმარტივე

დიდი დრო და ძალისხმევა საჭირო, რომ ტრადიციულ ბანკებში გაიხსნას, მაგალითად - ფირმისათვის ანგარიში. შესაძლებელია ახსნა-განმარტებების გარეშე უარყოფითი პასუხითაც გამოგისტუმრონ. ბიტკოინებისათვის ეს პრობლემა არ არის, საჭიროა მხოლოდ 5 წუთი იმისთვის რომ შეიქმნას ბიტკოინ-საფულე და მაშინვე დაიწყოს მომხმარებელმა მისი გამოყენება - არავინ გეკითხებათ არას! არ იხდით საკომისიოს!

ანონიმურობა

დიახ, იგი სრულიად ანონიმურია და ამავდროულად სრულიად გამჭვირვალე. შესაძლებელია სხვა ინფორმაციის მიუხედავად უსასრულო რაოდენობის ბიტკოინ-მისამართების შექმნა. მაგრამ...

გამჭვირვალეობა

ბიტკოინი ინახავს ტრანზაქციების სრულ ისტორიას, რომელიც კი ოდესმე განხორციელებულა, რომელსაც ეწოდება ბლოკების ჯაჭვის მიმდევრობა ანუ ბლოკჩეინები. ბლოკების ჯაჭვმა „იცის“ ყველაფერი. ამიტომ თუ კი მომხმარებელს აქვს საჯაროდ გამოყენებული ბიტკოინების მისამართი, მაშინ ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება დაათვალიეროს რამდენი ბიტკოინი გაქვთ ანგარიშზე, თუ კი მისამართი გასაიდუმლებულია, მაშინ არავის ეცოდინება ის, რომ ეს მისამართი ეკუთვნის ამა თუ იმ მომხმარებელს. სრული ანონიმურობისათვის, ერთჯერადი ტრანზაქციისათვის იყენებენ მხოლოდ ერთ ბიტკოინ-მისამართს.

კომისია ძალიან, ძალიან უმნიშვნელო!

თქვენს ბანკს შეუძლია უკანმოუხედავად ჩამოგაჭრათ საკომისიო სარგებელი \$50 ოდენობით მხოლოდ საერთაშორისო გზავნილის ტრანზაქციისას.

ბიტკოინს კი - არა!

გადარიცხვების სისწრაფე!

მომხმარებელს შეუძლია განახორციელოს გზავნილი დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ჩარიცხვა მოხდება წამებში, მას შემდეგ რაც ბიტკოინ-ქსელი დაამუშავებს ტრანზაქციას.

უპასუხო ტრანზაქციები

ბიტკოინ ადრესატამდე „ფულადი“ გზავნილის შემდეგ, მათი დაბრუნება შეუძლებელია, თუ კი მიმღები თვითონ არ მოისურვებს უკან დააბრუნოს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. http://ru.bitcoinwiki.org/%D0%9C%D0%B0%D0%B9%D0%BD%D0%B8%D0%BD%D0%B3_%D1%82%D0%B5%D1%85%D0%BD%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D1%87%D0%B0%D1%81%D1%82%D1%8C#.D0.A5.D0.B0.D1.80.D0.B0.D0.BA.D1.82.D0.B5.D1.80.D0.B8.D1.81.D1.82.D0.B8.D0.BA.D0.B8_%D0.B2.D0.B8.D0.B4.D0.B5.D0.BE.D0.BA.D0.B0.D1.80.D1.82_NVIDIA
2. <https://coinspot.io/beginners/kak-dobyvayutsya-bitkojny/>
3. <https://github.com/bitcoin/bitcoin>
4. <https://coinspot.io/beginners/novichkam-kak-kupit-bitkojny/>
5. <http://cryptoage.com/ru/%D1%8D%D0%BD%D1%86%D0%B8%D0%BA%D0%BB%D0%BE%D0%BF%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%8F/105-%D1%87%D1%82%D0%BE-%D1%82%D0%B0%D0%BA%D0%BE%D0%B5-%D0%B0%D0%BB%D1%8C%D1%82%D0%BA%D0%BE%D0%B8%D0%BD-altcoin.html>

Bitcoin - The Digital Decentralized Currency

T. Kaishauri, I. Iremadze, A. Buzaladze

Georgian Technical University

t.kaishauri@gtu.ge, i.iremadze@gtu.ge, a.buzaladze@gtu.ge

Abstract

Bitcoin is a cryptocurrency and a digital payment system: invented by an unknown programmer, or a group of programmers, under the name Satoshi Nakamoto. It was released as open-source software in 2009. The system is peer-to-peer, and transactions take place between users directly, without an intermediary. These transactions are verified by network nodes and recorded in a public distributed ledger called a blockchain. Since the system works without a central repository or single administrator, bitcoin is called the first decentralized digital currency. Besides being created as a reward for mining, bitcoin can be exchanged for other currencies, products, and services in legal or black markets. As of February 2015, over 100,000 merchants and vendors accepted bitcoin as payment.[20] According to research produced by Cambridge University in 2017, there are 2.9 to 5.8 million unique users using a cryptocurrency wallet, most of them using bitcoin.

Key words: Bitcoin, Cryptocurrency, Mining, Fork, Pool, Transactions

მონაცემთა განაწილებული ბაზების აგების საფუძვლები

გიორგი იმნაიშვილი, მარინა დიდმანიძე, დიდარ დიდმანიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Giorgi.imnaishvili@bsu.edu.ge, mari.didmanidze@gmail.com, ddidari1966@gmail.com

რეზიუმე

მონაცემთა ბაზების გამოყენების უპირველეს მოტივაციაა მონაცემთა წვდომის სიჩქარე (სისწრაფე). თუ მონაცემთა ბაზის სქემა სწორად არის შერჩეული, მაშინ, მიუხედავად მონაცემთა ბაზის ზომებისა და მასში არსებული ჩანაწერების რაოდენობისა, მონაცემთა წვდომა თითქმის მყისიერია. მილიონობით ჩანაწერთა შორის ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერის ზუსტი და მყისიერი მოძებნა გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. კონკრეტულ მონაცემთა წვდომის დრო საკმაოდ მცირე (თითქმის ნულოვანი) და ფაქტობრივად, მუდმივი სიდიდის ტოლია, თანაც არ არის დამოკიდებული მონაცემთა ბაზაში არსებულ ჩანაწერთა რაოდენობაზე. ასეთი სწრაფი მოქმედება შესაძლებელია იმის გამო, რომ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა ინახავს როგორც თვითონ მონაცემებს ასევე მეტამონაცემებს - მონაცემებს მონაცემების შესახებ (metadata - მეტამონაცემები).


საკვანძო სიტყვები: მონაცემთა განაწილებული ბაზები, მონაცემთა წვდომის სიჩქარე.

1. შესავალი

მეტამონაცემების საშუალებით ბაზაში შენახული პირველადი მონაცემების თვითაღწერა ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ იმ პროგრამებს, რომლებიც ახორციელებენ მონაცემთა წვდომას, არ ესაჭიროებათ მრავალი დეტალის ცოდნა იმის შესახებ თუ როგორ ინახება მონაცემები ბაზაში. თუ პროგრამა კითხულობს მონაცემებს ფაილიდან, მაშინ ამ პროგრამამ უნდა იცოდეს შესაბამისი მონაცემთა ტიპები, ფორმატები და ველების თანმიმდევრობა. მაგრამ როდესაც პროგრამა

მიმართავს მონაცემთა ბაზას მას უმეტეს შემთხვევაში ესაჭიროება მხოლოდ მოსაძებნი მონაცემების ზოგადი დახასიათება (ყოველგვარი დეტალების გარეშე).

მონაცემთა ბაზა ასევე უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა ფიზიკური მატარებლის ეფექტურ გამოყენებას. თუ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა (მისი შინაგანი სქემა) ადეკვატური სახით არის შერჩეული მაშინ ბაზაში არ უნდა ხდებოდეს ერთი და იგივე მონაცემების განმეორება. იმ დროისათვის, როდესაც მონაცემთა დამაგროვებლის ფასი საკამოდ მაღალი იყო ამ უპირატესობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ, ბაზაში მონაცემთა სიჭარბის აცილება დღესაც მნიშვნელოვანია ისეთი საკითხებისათვის როგორც მონაცემთა ბაზის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, სხვადასხვა სახის შეცდომებისა და ანომალიების (ახალი მონაცემების შეტანის ან ძველი მონაცემების განახლების პროცესში და სხვა) აცილება და მონაცემთა



მთლიანობის უზრუნველყოფა.

2. ძირითადი ნაწილი

მონაცემთა განაწილებული ბაზების დაპროექტება და რეალიზაცია ექვს ეტაპს მოიცავს (ნახ.1) [1]. ნახ. 1. განაწილებული ბაზების აგების ეტაპები [1, გვ 342, 1996]

1-ელ ეტაპზე ფორმირდება საპრობლემო სფეროს ძირითადი ცნებათა ლექსიკონი.

მე-2 ეტაპზე პროექტდება საგნობრივი არის კონცეპტუალური (სემანტიკური) მოდელი. შედეგად ფორმირდება მონაცემებისა და პროცედურების გლობალური სქემა (ცოდნის ბაზა).

მე-3 ეტაპზე წყდება გლობალური ლოგიკური მოდელის დაპროექტების საკითხი. ამ მოდელის რეალიზება შეიძლება მონაცემთა ერთ-ერთი კლასიკური მოდელის (რელაციური, ქსელური ან იერარქიული) გამოყენებით.

ამ ეტაპზე ფორმირდება გარკვეული გლობალური სქემა და ლოგიკური მიმართვის ცხრილები, რომლებიც ეთანადება შესაბამისად მონაცემთა აბსტრაქტულ მოდელს (სემანტიკას) და მათი წვდომის გზებს (ურთიერთკავშირებს).

მე-4 ეტაპი დამახასიათებელია მხოლოდ განაწილებული ბაზებისათვის, და ის შედგება სამი ძირითადი ქვეეტაპებისაგან. ანაწილებს დაპროექტების ეტაპზე გაითვალისწინება როგორც აპარატურის, ოპერაციული სისტემის (ოს), მონაცემთა განაწილებული ბაზების მართვის სისტემის (მგმს) და ქსელის ტოპოლოგიის მახასიათებლები, ასევე ბაზის განაწილების მოთხოვნების ანალიზის შედეგები. ჩვენი მიზანია გლობალური ლოგიკური სქემის „დახლეჩა“ ცალკეულ ლოგიკურ ქვე სქემებად (ფრაგმენტაცია), რათა ისინი ლოკალური ქსელის კვანძებში განაწილდნენ [1,2].

პირველ ეტაპზე ფორმირდება განაწილებული ბაზის ცალკეული ნაწილის გამოყენების სიხშირეთა ცხრილი, წინააღმდეგობისა და ფრაგმენტაციის ცხრილები.

წინააღმდეგობის ცხრილებში აისახება მოთხოვნების დამუშავების ლოკალიზაციაზე ბაზების განაწილების გავლენის რაოდენობრივი შეფასება, დაყოფის ცხრილებში კი - გლობალური სქემის თითოეული ობიექტის განაწილების კრიტერიუმები.

მე-2 ქვეეტაპზე უნდა გადაწყდეს ბაზის ლოგიკურ ფრაგმენტებად დანაწევრების ამოცანა. ამ დროს მნიშვნელოვანია ბაზების განაწილების სტრატეგიის განსაზღვრა.

არსებობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ფრაგმენტაცია. ჰორიზონტალურის დროს ბაზა (ფაილები) „იხლიჩება“ სტრიქონებად გარკვეული პრედიკატის მიხედვით. ფრაგმენტი შეიძლება იყოს მინიმუმ ფაილის ერთი სტრიქონი (კორტეჟი) ან მაქსიმუმ მთლიანი ფაილი (რელაცია). ვერტიკალური ფრაგმენტაციის დროს ბაზა იყოფა ლოგიკური ქსელის ატრიბუტების მიხედვით. ამ დროს შესაძლებელია ნორმალურ ფორმათა თეორიის გამოყენება, რომელიც ადგენს ბაზის ფაილების ოპტიმალურ ლოგიკურ სტრუქტურებს. ოპტიმალურობის კრიტერიუმია მოთხოვნების სწრაფი დამუშავება, რაც შესაძლებელია ატრიბუტების ერთობლიობის (დამოკიდებულების) სწორად დაკომპლექტების შემთხვევაში.

ბაზის განაწილების შესაფასებლად განიხილება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ექსპლუატაციის სიმარტივე (ან სირთულე), საიმედოობა, მონაცემთა ამორჩევის ეფექტურობა, გადაგზავნის ლოკალიზაციის ხარისხი, განახლების სირთულე, ბაზის მთლიანობის დაცვა, მოქნილობა, პარალელური დამუშავების შესაძლებლობა, მონაცემთა სიჭარბე, ქსელის და კომპიუტერის მეხსიერების მოცულობა, კავშირების რეალიზაციის ღირებულება, ქსელის თანაბარი დატვირთვა გადაცემის დროს და ა.შ.

ბაზის ცენტრალიზაციის სიკეთეა ქსელში მისი ექსპლუატაციის სიმარტივე. მაგრამ შეზღუდულია ერთი კომპიუტერის მეხსიერების მოცულობით და ნაკლებად საიმედოა (თუ კომპიუტერი გამოვიდა მწყობრიდან, მაშინ ქსელის არც ერთი სხვა კვანძი ვერ იღებს მონაცემებს მოთხოვნების დასამუშავებლად).

დუბლირების სტრატეგია ხასიათდება მაქსიმალური საიმედოობით, მონაცემთა ამორჩევის ეფექტურობით და ბაზის ამორჩევის სიმარტივით. მისი ნაკლია მონაცემთა დიდი სიჭარბე (N - დუბლის არსებობა), რაც განაპირობებს დანახარჯების ზრდას მეორეულ მეხსიერებასა და ბაზის განახლების პროცესების სინქრონიზაციაზე.

დანაწევრების სტრატეგიის დროს მეხსიერების მოცულობა მონაცემთა ბაზისათვის შემოიფარგლება არა ერთი კომპიუტერით, არამედ ქსელის ყველა კვანძის მეხსიერებათა ჯამით. ცენტრალიზებულთან შედარებით გაზრდილია, საიმედოობა და მონაცემებთან მიმართვის ლოკალიზაციის ხარისხი. მაგალითად, თუ ერთი კომპიუტერი გამოვიდა მწყობრიდან, დანარჩენს მაინც შეუძლია ისეთი მოთხოვნების დამუშავება, რომლებიც არ საჭიროებს მონაცემებს დაზიანებული კომპიუტერიდან.

შერეული სტრატეგია აერთიანებს დანაწევრებული და დუბლირებული სტრატეგიების დადებით მხარეებს. მაღლდება სისტემის მოქნილობა, იზრდება მიმართვის ლოკალიზაციის ხარისხი (დუბლირების გამო), შესაძლებელია მონაცემთა პარალელური დამუშავების რეალიზაცია და საიმედოობის რეგულირება. ამ სტრატეგიის უარყოფითი მხარეა მაღალი დანახარჯები განაწილებული ბაზების ფრაგმენტთა პირების საცნობარო ცხრილების არსებობასა და ამ ფრაგმენტების სინქრონიზაციაზე (შეთანხმებაზე). მოთხოვნების დამუშავება და მათი ოპტიმიზაცია საკმაოდ პრობლემატურია, ამიტომ შერეული სტრატეგია ბაზების განაწილების დროს გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა დანარჩენი სტრატეგიები არაეფექტურია.

მე-2 ქვეეტაპზე დაპროექტდება აგრეთვე განაწილებული ბაზის ქსელური ცნობარი (ქც). ამ ცნობარში შეინახება ინფორმაცია ბაზის ფრაგმენტების პირების ქსელის კომპიუტერში განაწილების შესახებ. ყველა მოთხოვნა იყენებს ქსელურ ცნობარს, რათა „მიაგნოს” საჭირო მონაცემების ადგილმდებარეობას. ხშირ შემთხვევაში ასეთი ცნობარები საკმაოდ მოცულობისაა და ქსელის კვანძებში მათი მოთავსება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. აღნიშნული საკითხის გადაჭრა შესაძლებელია ზემოთ განხილული განაწილების სტრატეგიების გამოყენებით. ამგვარად, ქსელური ცნობარი შეიძლება იყოს ცენტრალიზებული ერთ კომპიუტერში, დუბლირებული ყველა კომპიუტერში ან განაწილებული კვანძებში მოთხოვნათა ლოკალიზაციის წინასწარი ანალიზის საფუძველზე.

მოცემულ ქვეეტაპზე ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია განაწილებული ბაზების განახლების პროცესების დაპროექტება. ეს ამოცანა დაკავშირებულია ბაზის მთლიანობისა და ექსპლუატაციის სიმარტივის ფაქტორებთან და წყდება ე. წ. „დიფერენციალური ფაილების” (დფ) გამოყენებით. დიფერენციალური ფაილი არის ცალკე ფაილი (თავიდან ცარიელი), რომელშიც გროვდება ბაზის ფაილების შეცვლილი მონაცემების მნიშვნელობები. პერიოდულად მოხდება ამ ფაილის შერწყმა ძირითად ბაზასთან და იგი კვლავ გასუფთავდება. დიფერენციალური ფაილის გამოყენების განაწილებული ბაზის განახლების პროცედურების ჩატარების ხარჯების შემცირებაშია. განახლების ხარჯები მაღალია, როცა ცვლილებები ბაზებში ხორციელდება სისტემატურად, უშუალოდ განახლების ტრანზაქციის შესრულების დროს.

მე-3 ქვეეტაპები ეხება ბაზის დანაწილებული ლოგიკური ფრაგმენტების ქსელის კვანძებში განლაგების რაციონალური (ან ოპტიმალური) ვარიანტის შერჩევას. ცენტრალიზებული ან დუბლირებული სტრატეგიების გამოყენების დროს შედარებით ტრივიალურია განლაგების ამოცანის გადაწყვეტა. საჭიროა მხოლოდ განისაზღვროს, თუ ქსელის რომელ კომპიუტერში მოთავსდეს ცენტრალიზებული ბაზა ან რომელ კვანძში განლაგდეს ბაზის პირები.

დანაწევრებული ან შერეული სტრატეგიების გამოყენებისას რთულდება განლაგების ამოცანის გადაჭრა. აქ საჭიროა დადგინდეს, თუ რომელი ლოგიკური ფრაგმენტი რომელ კვანძებში განლაგდეს, რამდენი იყოს მათი პირების რაოდენობა და ა. შ. ამას ემატება ქსელის ცნობარების საკითხიც, რომლის ეფექტურ გადაწყვეტეზეც დამოკიდებულია სისტემის მწარმოებლობა. შესაძლოა მრავალი ვარიანტის განხილვა ან წრფივი დაპროგრამების აპარატის გამოყენება. შედეგების შესაფასებლად საჭიროა დამუშავდეს სპეციალური პროგრამები.

მე-5 ეტაპზე ბაზის ცალკეული ლოგიკური ფრაგმენტებისა და მათთან მიმართვის ცხრილების საფუძველზე ხდება ლოგიკური დაპროექტება.

მე-6 ეტაპზე ხდება ლოკალური ლოგიკური სქემის ფიზიკური დაპროექტება, რაც გულისხმობს მონაცემთა ფაილების ორგანიზაციის აღწერას კომპიუტერების პირდაპირი მიმართვის მეხსიერებაში და მათთვის მიმართვის მეთოდებით.

3. დასკვნა

თითქმის ყველა თანამედროვე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში არსებობს მონაცემთა ბაზების სარეზერვო ასლების შექმნისა და მათი აღდგენის ინტეგრირებული იარაღები, თანაც სარეზერვო ასლების შექმნა მონაცემთა სარეზერვო ფიზიკურ მატარებლებზე მაშინაც კი არის შესაძლებელი, როდესაც მართვის სისტემა ერთდროულად მრავალ მომხმარებელს ემსახურება.

მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები ასევე უზრუნველყოფენ ტრანზაქციის კონცეფციას (concept of a transaction). ტრანზაქცია წარმოადგენს მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელების ოპერაციათა ჯგუფს. ეს ოპერაციები ერთმანეთთან იმყოფებიან მჭიდრო კავშირში, თანაც ან ყველა ოპერაცია უნდა შესრულდეს, ან არცერთი მათგანი.

მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები იძლევიან მონაცემებზე მოქმედების ოპერაციათა ტრანზაქციების სახით დაჯგუფების საშუალებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზაქციაში შემავალი ყველა ოპერაცია წარმატებულად შესრულდა, ამბობენ რომ ტრანზაქცია დაფიქსირდა, ხოლო თუ რომელიმე ოპერაცია არ შესრულდა მაშინ ტრანზაქცია მთლიანად უქმდება (ბრუნდება უკან).

ლიტერატურა:

1. ჩოგოვაძე გ., სურგულაძე გ., შონია ო. მონაცემთა და ცოდნის ბაზების აგების საფუძვლები. სახელმძღვანელო. გამომც. „განათლება“. თბ., 1996. -375 გვ.
2. David M.Kroenke. DataBase Processing (Eighth Edition). 2003
3. Иванов С.Ю., Котельников Е.В. Базы данных на основе Microsoft SQL Server 2008. 2009.

Fundamentals of construction distributed databases

Giorgi Imnaishvili, Marina Didmanidze, Didar Didmanidze

Batumi Shota Rustaveli State University

Giorgi.imnaishvili@bsu.edu.ge, mari.didmanidze@gmail.com, ddidari1966@gmail.com

Abstract

The primary motivation for using databases is speed of data access. If the database scheme is selected correctly, then regardless of the size of the database and the number of records in it, data access is almost instantaneous. Accurate and immediate search of the record of interest to us among millions of records makes an amazing impression. The time of access to specific data is quite small (almost zero) and practically constant, and does not depend on the number of records in the database. Such quick action is possible because the database management system stores both the data itself and metadata - data about the data (metadata - metadata).

Keywords: distributed databases, data access speed.

უნივერსიტეტის გალერეის საიტის შექმნა:

საგანმანათლებლო თანამშრომლობის პროექტი

ლაშა იაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

l.iashvili@gtu.ge

რეზიუმე

GTU Gallery ვებგვერდი შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის დინამიური, ტექნოლოგიურად მდიდარი გარემოს შექმნას და უნივერსიტეტის ღონისძიებების, პროექტების და ხელოვნების ნიმუშების დისტანციურად გავრცელებას. ვებ-გვერდების პროექტი განხორციელდა Angular-ის გამოყენებით, რომელიც თანამედროვე, კომპონენტზე დაფუძნებული ფრეიმვორქია.

ცოდნის მზარდი როლის გაზრდა, ინტერაქტიული მოდელირება და რთული, ღია პრობლემების ვიზუალიზაცია ინოვაციურ გადაწყვეტას მოითხოვს. სწავლების ფორმალური მოდელის აგებისას გამოვიყენეთ აგენტზე დაფუძნებულ მოდელირებას. აგენტზე დაფუძნებული მოდელირება (agent-based model - ABM) არის რთული, ინტეგრირებული და დინამიური სისტემების კვლევის ერთ-ერთი ახალი მეთოდი, რომელიც აქტიურად ვითარდება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში.


აგენტზე დაფუძნებული მოდელირების მიდგომის ძირითადი უპირატესობების საილუსტრაციოდ, განვიხილოთ მარტივ აგენტზე დაფუძნებული მოდელი დისკრეტული მოვლენის მოდელირებაზე და სისტემის დინამიკაზე დაფუძნებულ მოდელთან შედარებით.

სიმულაციური მოდელის აგენტები არის ერთეულები, რომლებსაც შეუძლიათ ჰქონდეთ ქცევა, მეხსიერება და საჭირო მახასიათებლების საკუთარი ნაკრები. რამდენად სასარგებლოა ეს თვისებები სიმულაციური მოდელის შემუშავებისას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, განვიხილოთ პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების მოდელი [3].

პროდუქტის დამუშავებაში მონაწილეობენ როგორც გამოცდილი დეველოპერები, ასევე მსმენელები. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ აგენტების ამ ორი ჯგუფის („პოპულაციების“) ქცევა და შრომის პროდუქტიულობა განსხვავებულია. აქ აგენტზე დაფუძნებული მიდგომის უპირატესობა არის სიზუსტე, რადგან აგენტის თითოეულ ტიპს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მდგომარეობის დიაგრამა და ქცევა (ნახ.3,4).



ნახ. 3. დეველოპერის მდგომარეობების დიაგრამა



ნახ. 4. სტაჟიორის მდგომარეობების დიაგრამა


ამ ნახაზების მდგომარეობის დიაგრამებში დეველოპერებს აქვთ სამი მდგომარეობა: *Developing* (როდესაც ისინი წერენ კოდს), *AnsweringTraineeQuestions* (როდესაც ისინი მონაწილეობენ ნაკლებად გამოცდილი კოლეგების სასწავლო პროცესში) და *Communicating* (ერთგვარი უმოქმედობის მდგომარეობა, როდესაც დეველოპერები არ წერენ კოდს, მაგრამ მონაწილეობენ კოლეგებთან დისკუსიაში). აგენტები გადაადგილდებიან ამ მდგომარეობებში

გადასვლებში აღწერილი წესების მოცემული ნაკრების მიხედვით, მაგალითად: ერთ დეველოპერს შეუძლია შემთხვევით გაუზავნოს მესიჯი მეორეს დაპროექტების ამჟამინდელი მდგომარეობის განსახილველად. განხილვის შემდეგ ისინი უნდა გააგრძელონ სამუშაო.

თითოეული აგენტი შეიცავს ლოგიკას და ცვლადებს. აგენტის ქცევის დასაზუსტებლად რთული მათემატიკური ფორმულები არ არის საჭირო. ყველა პარამეტრი პირდაპირ მოდელშია მითითებული: ვინ არის მენტორი, რამდენად გამოცდილია მსმენელი, რამდენად ხშირად უჩნდება კითხვები მსმენელს.

გარდა უფრო აშკარა ფაქტორისა – თანამშრომლების გამოცდილებისა - აგენტზე დაფუძნებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სხვა მახასიათებლები. მაგალითად, თითოეულ სტაჟიორს შეიძლება დაენიშნოს მენტორი, რომელიც მზად არის სასწრაფოდ გაუწიოს დახმარების ხელი, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. აგენტებს შეუძლიათ კომუნიკაცია შეტყობინებების სისტემის გამმასწავლი აგენტიქტების შეჩერება, რათა მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში (ნახ.5).

რაღაც მომენტში, კომპანიას შეიძლება შეხვდეს ახალი დაქირავებულების დიდი რაოდენობა. ამ შემთხვევაში ჯგუფური სწავლება რაციონალური გამოსავალი იქნება [4]. აგენტზე დაფუძნებული მოდელირება საშუალებას აძლევს ცალკეულ აგენტებს ურთიერთ-იმოქმედონ სხვა აგენტების ჯგუფებთან, რაც დადებითად მოქმედებს მიდგომის მასშტაბურობაზე.



ნახ. 5. სწავლების აგენტი

4. დასკვნა

აგენტზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს დიდ სიზუსტეს, მოქნილობას და მასშტაბურობას. აგენტზე დაფუძნებული მოდელირება არის ყველაზე დეტალური მიდგომა, რომელიც საშუალებას გაძლევთ თავიდან აიცილოთ აბსტრაქცია აგენტის ქცევის ლოგიკის „დაპროგრამებით“. ამ მიდგომის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა, მდგომარეობების დიაგრამების გამოყენებით, პირდაპირ დავაყენოთ განსხვავებული ქცევა თითოეული ჯგუფისთვის: დეველოპერებისთვის და სტაჟიორებისთვის.

მოდელის ყველა აგენტი უნიკალურია, რადგან ისინი შეიცავს ბევრ ცვლადს, რომელზედაც დამოკიდებულია მათი მდგომარეობაც. აქ აგენტზე დაფუძნებული მიდგომის უპირატესობა არის სიზუსტე, რადგან აგენტის თითოეულ ტიპს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მდგომარეობის დიაგრამა და ქცევა. ამ თვისებებით სარგებლობით, ჩვენ შევძელით თითოეულ სტაჟიორს

მენტორი მივანიჭოთ. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა, სხვა მიდგომებთან შედარებით, რეალურად უფრო მეტი ზუსტი შედეგების მიღწევა.

აგენტზე დაფუძნებული მიდგომით მოწოდებული მოდელების მოქნილობა შესაძლებელს ხდის თანაბარი სიზუსტით მოახდინონ როგორც მცირე, ისე დიდი პროექტების დამუშავების სიმულაცია. რაც უფრო დიდია პროექტი, მით მეტი შრომაა საჭირო. აგენტ - "პოპულაციის" ურთიერთობების გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მოდელის კარგ მასშტაბურობას.

ლიტერატურა – References:

1. Shunkevich D.V. Agent-oriented models, method and tools of compatible problem solvers development for intelligent systems. Proc. OSTIS-2018, Minsk, 2018, pp. 119–132
2. Castillo O., Melin P., Kacprzyk J. Recent Advances on Hybrid Intelligent Systems. Springer, 2014, 572 p. DOI: 10.1007/978-3-319-05170-3_1.
3. Florian R.V. Autonomous Artificial Intelligent Agents. 2003, 50 p
4. Nikolenko S.I., Tulupev A.L. Self Learning Systems. Moscow, 2009, 288 p. (in Russ.).

Agent-based simulation of software development training

Lolita Bejanishvili, Mziana Nachkebia, Lili Lobzhanidze

Georgian Technical University

lolita.bejanishvili@gtu.ge, mzianachkebia@yahoo.com, lobzhanidzelili08@gtu.ge

Abstract

Proper control of software design and development helps to avoid unplanned design errors and missed deadlines, as well as to guarantee increased quality and reliability of software products. In the process of developing software projects, it is becoming increasingly important to use the experience gained from successful projects adapted to the current project, as well as the experience and knowledge of experienced personnel involved in the current project. Learning is an integral part of any intelligent system, both natural and artificial, which includes experience - the accumulation of knowledge based on solving previous problems, their generalization and application to new, previously unforeseen problems. Agent-based modeling was used in developing the formal learning model. Growing competition in the modeling services market leads to the need for tools and solutions to improve its efficiency. Both experienced developers and interns participate in product development. It is logical to assume that the behavior and productivity of these two groups of agents are different. All agents in the model are unique since they contain many variables on which their state also depends. The advantage of the agent-based approach here is accuracy, since each type of agent can have its own state diagram and behavior. Using the agent-based approach allowed us to directly specify different behavior for each group using state diagrams. The flexibility of models provided by the agent-based approach allows us to model the processing of both small and large projects with equal accuracy. The agent-based approach provides greater accuracy, flexibility, and scalability.

Keywords: project management, agent, agent-based modeling, adaptive system

ჭკვიანი იარაღი: ხელოვნური ინტელექტის მომავალი სამხედრო საქმეებში

ქეთევან კვესელავა, ირაკლი ბოჭორიშვილი, ლიანა თედემილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
q.kveselava@gtu.ge, Irakli.bochorishvili@gtu.ge, liana99@list.ru

რეზიუმე

განხილულია ხელოვნური ინტელექტის განვითარების გზები და მეთოდები. მოცემულია ავტომატიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამორჩეული მახასიათებლები და გამოვლენილია სამხედრო საქმეებში მისი გამოყენების სფეროები, მიმართულებები და რისკები. როგორც უახლესი ტექნოლოგია, ხელოვნური ინტელექტი ასრულებს მთავარ როლს ადამიანთა საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. სულ უფრო ხშირად განიხილება საკითხები ხელოვნური ინტელექტის კაცობრიობაზე ზეგავლენის შესახებ - როგორც ძალაუფლების ბალანსის ახალი განმსაზღვრელი მდგენელი - როგორც ცალკეულ რეგიონებში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების პირობით. დღეს სამხედრო საქმეებში განსაკუთრებით აქტუალურია AI-ისა და „ჭკვიანი იარაღის“ განვითარება. ის ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს აჩენს. ამიტომ, AI-ს სამხედრო მიზნებისთვის (კერძოდ, სამხედრო მართვისა და კონტროლის სისტემაში) გამოყენების მიმდინარე ტენდენციების შესწავლას, ასევე შესაძლებლობების შესახებ კითხვების განხილვას, მისი სამომავლო გამოყენების თავისებურებებსა და პრობლემებს დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებისა და განვითარების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების კონკრეტიზაციის თვალსაზრისით. ნაშრომის მიზანია განიხილოს ხელოვნური ტექნოლოგიების გამოყენება სამხედრო მენეჯმენტში შესაძლო უპირატესობები და სამხედრო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც უნივერსალური ადამიანის ეგზისტენციალური ხასიათისა და შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი გავლენა ადამიანური საზოგადოების გრძელვადიან მომავალზე - მსოფლიო ომი დიდ ძალებს შორის, ბირთვული კონფლიქტის შესაძლებლობა და ხელოვნური ინტელექტის კონტროლიდან გასვლის შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო საქმეები, ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემები, იარაღის პროგრამები, იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ნიმუშები.

1. შესავალი

თანამედროვე სამყარო მთლიანად მოცულია ხელოვნური ინტელექტის კონცეფციით, გამოიყენება ყოველდღიურ ლექსიკაში, მედიაში, ეკონომიკაში, ინდუსტრიაში და მეცნიერებაში. ამ უკანასკნელთან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაურკვევლობა წარმოიქმნება სისტემური ანალიზის, ოპერაციების კვლევის, გადაწყვეტილების მიღების, კომპიუტერული მოდელირების, ექსპერტული სისტემების, ბუნდოვანი ლოგიკის, ავტომატიზაციის, შემეცნებითი ტექნოლოგიების, ინფორმაციის თეორიების, მენეჯმენტის, და მრავალი სხვა სფეროს განმარტებების ერთმანეთში აღრევის გამო.

ამ ტენდენციამ არც სამხედრო საქმეებს აუარა გვერდი - მისაღები გახდა ტერმინები „ინტელექტუალური საბრძოლო მასალა“, „რობოტული სამხედრო სისტემა ხელოვნური ინტელექტის ელემენტებით“ და ა.შ. ამ მხრივ, სრულიად გასაგებია ხელოვნური ინტელექტის კონცეფციის არსის გაგების სურვილი. კერძოდ გამოვყოთ ეს კონცეპტუალური სფერო სხვა მსგავსი სფეროებისგან და ამის საფუძველზე შევეცადოთ გამოვავლინოთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტიული სფეროები ქვეყნის თავდაცვის სისტემაში.

2. ძირითადი ნაწილი

ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია თუნდაც ზოგადი თვალსაზრისით გადავხედოთ ხელოვნური ინტელექტის ისტორიას - საგნის არეალის ფორმირებას და განვითარებას, გამოყენებულ მეთოდებს და პრაქტიკული გამოყენების სფეროებს.

„ხელოვნური ინტელექტის გაჩენის წინაპირობების“ საწყისი პერიოდი (1943-1955), დიდწილად განისაზღვრა ნაშრომით, რომელშიც წარმოდგენილი იყო ხელოვნური ნეირონების მოდელი [1]. ასევე ა. ტიურინგის ნაშრომმა, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალში „Computing Machinery and Intelligence“. აქ აღწერილია ტიურინგის ტესტი, მანქანური დასწავლის პრინციპები, გენეტიკური ალგორითმები და განმტკიცების სასწავლო პროცესები. „ადრეული ენთუზიაზმის“ პერიოდი (1956-1966) ხასიათდება იმით, რომ ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ იქნა პირველად გამოყენებული [1].

ხელოვნური ინტელექტის სფერო შემოიფარგლება კრეატიულობის მოდელირებით, თვითგანვითარებით, ბუნებრივი ენის გამოყენებით და, რაც მთავარია, კომპიუტერული სისტემების შექმნით, რომლებიც ავტონომიურად მუშაობს რთულ, ცვალებად გარემოში.

შეიქმნა პროგრამები, რომლებიც ახდენდნს ადამიანის ამოცანების გადაჭრის პროცედურების სიმულაციას - ლოგიკური მსჯელობა (Logic Theorist), „ზოგადი ამოცანების ამომხსნელი“ (General Problem Solver), „გეომეტრიული თეორემების ავტომატური მტკიცება“ (Geometry Theorem Prover), ქვების თამაშები, ჭადრაკი და ა.შ.

გარდა ამისა აღწერილია Advice Taker კომპიუტერული სისტემა, რომელშიც შემოთავაზებული იყო „ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ“ (ცოდნის ბაზა). შემუშავდა ევრისტიკული პროგრამირების საფუძვლები და ნეირონულმა ქსელებმა შემდგომი განვითარება „პერცეპტრონების“ კონცეფციაზე დაფუძნებით განიცადეს.

საინტერესოა, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამო, უახლოეს მომავალში შესაძლებელია ველოდოთ ეფექტიანობის ზრდას სამხედრო საქმეების ისეთ სფეროებში, როგორცაა:

- საბრძოლო მოქმედებების წარმართვის მოდელირება და შემადგენელი ძალებისა და საშუალებების გამართლება;
- დაზვერვისა და კონტროლის ინტეგრირებული სისტემების ფუნქციონირება, დისტანციური მართვის სადაზვერვო და დარტყმითი საბრძოლო სისტემები, რობოტული სისტემები სამხედრო მიზნებისთვის და ა.შ.;
- მობილურად განაწილებული საბრძოლო უსაფრთხოების სისტემების კონტროლი მითითებული საზღვრებისთვის და ობიექტებისთვის;
- ტრენაჟორების და სასწავლო სისტემების გამოყენება

ამავდროულად ყველაზე მიღწევადი ჩანს, სამხედრო რობოტებით სიტუაციური მართვის ინტელექტუალური ტექნოლოგიები, თავდასხმისა და სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატები, ინტელექტუალური ძიებისა და ინფორმაციის ანალიზის მათემატიკური მეთოდების შემუშავება, მათ შორის სადაზვერვო ხასიათის თეორიის განვითარება და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები რეალურ დროში რთულ დინამიურ სიტუაციებში.

გრძელვადიან პერსპექტივაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნანო-, ბიო-, საინფორმაციო და შემეცნებითი ტექნოლოგიების გაერთიანებას NBIC (Nanotechno-

logy, Biotechnology, Information technology and Cognitive science) – კონვერგენტულ ტექნოლოგიებში. ამ ნაკრებით ნანოტექნოლოგია შესაძლებელს გახდის მასალების შექმნას „შეკვეთით“ ატომურ-მოლეკულური კონსტრუირების საშუალებით, ბიოტექნოლოგია - ბიოლოგიური მასალის შეყვანა არაორგანული მასალების კონსტრუქციებში და ამით ჰიბრიდული მასალების მიიღება (ნანობიოსენსორები). ინფორმაციული ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემთ „დანერგოთ“ ინტეგრირებული წრე ასეთ ჰიბრიდულ მასალაში ან სისტემაში და საბოლოოდ მიიღოთ ფუნდამენტურად ახალი ინტელექტუალური სისტემა. ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევა ასეთ ჰიბრიდულ მასალაში ან სისტემაში „დაინერგოს“ ინტეგრირებული სქემა და საბოლოოდ მივიღოთ ფუნდამენტურად ახალი ინტელექტუალური სისტემა. აღსაღნიშნავია, რომ შემეცნებითი ტექნოლოგიები ფუნდებოდა ტვინის ფუნქციების, ცნობიერების მექანიზმებისა და ცოცხალი არსებების ქცევის შესწავლაზე, ხდებოდა ალგორითმების შემუშავება, რომლებიც რეალურად „აცოცხლებენ“ შექმნილ სისტემებს და ანიჭებენ მათ გონებრივი ფუნქციებს გარკვეული (და დროთა განმავლობაში, სულ უფრო ღრმა) მსგავსებით. სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ეს მოგვცემს საშუალებას შევქმნათ:

- მაღალსიჩქარიანი პირდაპირი ინტერფეისები ადამიანის ტვინსა და მანქანებს შორის;
- მოსახერხებელი ტარებადი სენსორები და კომპიუტერები, რომლებიც აუმჯობესებენ თითოეული სამხედრო მოსამსახურის ცნობიერებას ჯანმრთელობის მდგომარეობის, გარემოს და პოტენციური საფრთხეების შესახებ;
- ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოეფექტური მასალებისგან ობიექტების აგების სისტემები ზუსტად განსაზღვრული თვისებებით, მათ შორის ცვალებად პირობებთან ადაპტაციის შესაძლებლობით;
- „ჭკვიანი“ საბრძოლო და სატრანსპორტო მანქანები, ადაპტირებადი ინტელექტუალური მატერიალები, დაუცველი საინფორმაციო ქსელები, ახალი თაობის დაზვერვის სისტემები, ეფექტური ზომები ბიოლოგიური, ქიმიური, რადიაციული შეტევების წინააღმდეგ და ა.შ.

ეჭვგარეშეა, რომ ასეთ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის სისტემები მომავალში გამოყენებული იქნება არა მხოლოდ "ტექნიკური ხედვის" და ჯგუფური მართვის მოდელებზე დაფუძნებული სამხედრო აღჭურვილობის ცალკეული მოდელების გადაადგილების გასაკონტროლებლად, არამედ გამოყენებული იქნება შემდეგი სფეროებში:

- სამხედრო მშენებლობა;
- ჯარების ყოველდღიური საქმიანობა;
- საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება, ქვეყნის შეიარაღების სისტემის განვითარება;
- მოქმედებები შეიარაღებულ კონფლიქტებში;
- სამხედრო იარაღის, და სპეციალური ტექნიკის ფუნქციონირება
- ლოჯისტიკა და სხვა სახის მხარდაჭერა.

თანამედროვე ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა - დრონები, რომლებიც უკვე ფართოდ გამოიყენება თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში. დრონების მართვა და მათი საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა AI-ის გამოყენების საშუალებით, რაც უფრო ზუსტ და ეფექტურ იარაღს წარმოაჩენს თანამედროვე შეიარაღებაში. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ტექნოლოგიამ თავდაცვითი სტრატეგიების მნიშვნელოვანი შეცვლა გამოიწვიოს, ვინაიდან AI-ის გამოყენება საშუალებას იძლევა, ავტომატურად გაანალიზდეს ინფორმაცია და მიღებულ იქნას ოპტიმალური სამხედრო გადაწყვეტილებები

სამხედრო საქმეებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სპეციფიკურ სფეროებზე საუბრისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ ამჟამად არის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის მოცულობის ექსპონენციურ ზრდასთან, მის გაურკვევლობასა და ცუდ სტრუქტურასთან. ადამიანის შესაძლებლობების ფსიქოფიზიოლოგიური, გონებრივი და სხვა შეზღუდვების გათვალისწინებით (პირი, რომელიც არის გადაწყვეტილების მიმღები) და ავტომატიზაციის მოკრძალებული როლით გადაწყვეტილების მიღებისას (მხოლოდ ალგორითმიზებულ, ფორმალიზებულ სიტუაციებში) საჭიროა ინტელექტუალური სისტემების გამოყენება ყოველდღიური და საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისა და მართვისთვის რეალურ დროში, არასტრუქტურირებული მონაცემების ცოდნად გარდაქმნის უნარით, რომელიც მზადაა დაუყოვნებელი გამოყენებისათვის. ასეთი სისტემის პროტოტიპი შეიძლება იყოს დინამიური ანალიზისა და ხელახალი დაგეგმვის სისტემა (DART-Dynamic Analysis and Replanning), რომელიც განვითარდა შეერთებული შტატების მიერ სპარსეთის ყურის კრიზისის დროს 1991 წელს და განკუთვნილი იყო მიწოდების ტრანსპორტირების დაგეგმვისთვის. ამ სისტემის ფუნქციონირება ერთდროულად მოიცავდა 50 ათასამდე მანქანას, ტვირთის ერთეულს და მომსახურე პერსონალს, აგრეთვე ითვალისწინებდა გამგზავრებისა და დანიშნულების ყველა შესაძლო წერტილს, ამავე დროს აღმოფხვრიდა წინააღმდეგობებს და „გადაკვებებს“ ასეთ ლოგისტიკურ შემთხვევაში. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული დაგეგმვის მეთოდებმა შესაძლებელი გახადა გეგმების შემუშავება, რომლებიც მდგრადია საწყისი და შუალედური მონაცემების სხვადასხვა ვარიაციების მიმართ. უფრო მეტიც, ასეთი გეგმების შედგენას მხოლოდ რამდენიმე საათი დასჭირდა, ვიდრე კვირები ტრადიციული მეთოდების გამოყენებით.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კიდევ ერთი სფერო სამხედრო საქმეებში, რომელიც ეხება სამხედრო აღჭურვილობის განვითარების სისტემებს, როგორცაა:

➤ თვითნასწავლი კომპიუტერული სისტემები თანამედროვე და მოწინავე მასალებზე დაფუძნებული, ელექტრონულ კომპონენტურ ბაზაში არასტრუქტურირებული ინფორმაციის დასამუშავებლად; სამრეწველო ტექნოლოგიები; ცალკეული ნაწილები; კომპონენტები და ასამბლეები,

➤ მაღალი ხარისხის გამოთვლითი ინტელექტუალური სისტემები იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის დაჩქარებული განვითარებისათვის, საფრთხის პერიოდში მტრის თავდასხმის ახალი, მანამდე უცნობი საშუალებების შესაძლო გამოყენების ინფორმაციის გათვალისწინებით;

➤ ინტელექტუალური პროგრამული და აპარატური სისტემები დამცავი აღჭურვილობის შესაქმნელად, რომელთაც შეუძლიათ ადაპტირდნენ სიტუაციის ამჟამინდელ პირობებთან და თვისებების შეცვლა თანამედროვე იარაღის დამაზიანებელი ფაქტორების გავლენის ქვეშ და ა.შ.

ამავდროულად, განვითარებული იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის მოდელების, მათი კომპლექსებისა და სისტემების საბრძოლო ეფექტურობის შეფასება და მთლიანობაში ძალებისა და აქტივების დაჯგუფება შეიძლება განხორციელდეს ინტელექტუალური მრავალაგენტური მოდელირების გზით.

რა თქმა უნდა, გადაადგილების მართვით, ცეცხლის გამოყენებით, საფარით, თავდაცვის სამხედრო იარაღით და აღჭურვილობით, რომელიც ამჟამად ვითარდება „ტექნიკური ხედვის“ გამოყენებით, მომავალში კიდევ უფრო განვითარება და გამოიწვევს ავტონომიურ ფუნქციონირებას არა მხოლოდ ინდივიდუალური მოდელების და სამხედრო აღჭურვილობის კომპლექსების, როგორცაა:

- მონიტორინგის, დაზვერვისა და კონტროლის ინტეგრირებული სისტემები;

- სადაზვერვო და დარტყმის კომპლექსები;
- საბორტო სისტემები მოძრავი ობიექტების მართვისთვის, ზუსტი იარაღის ჩათვლით;
- რობოტული სისტემები სამხედრო მიზნებისთვის, მათ შორის უპილოტო საჰაერო ხომალდების მოწყობილობები;
- მობილური განაწილებული საბრძოლო უსაფრთხოების სისტემები მითითებული საზღვრებისთვის და ობიექტებისთვის;
- საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემები;
- ასევე შეიარაღების სისტემები და მთლიანად შეიარაღებული ძალები.

უახლოეს მომავალში, გაგრძელდება გამოსახულების ანალიზის ინტელექტუალური ტექნოლოგიების გაუმჯობესება, ტექნიკური ხედვის განვითარება, მეთოდების განვითარების და ალგორითმების მახასიათებლების შეფასების ხარჯზე და მაკორექტირებელი ფილტრების სწრაფი ფორმირება სურათებში „ნაცნობი ობიექტების“ მცირე ფრაგმენტებზე და ა.შ.

მომავალში გამოჩნდება არა მხოლოდ ტრადიციული ტექნოლოგიები მანიპულირების მოქმედებებით, არამედ პერსპექტიული იარაღის ტიპებიც, როგორცაა საფრენი სასროლი პლატფორმები, შემტევი სადაზვერვო ნანორობოტები, მობილური ნანოსენსორები დაზვერვისთვის, წერტილოვანი, ფართობის და სიტუაციის მოცულობითი შეფასება, ბიომექანიკური მიკროორგანიზმების ღრუბლები და ა.შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია უახლოეს მომავალში რადარის სათვალთვალო ტექნოლოგიები, რომლებიც აგებულია დაბალი სიხშირის რადარებიდან ინფორმაციის დამუშავების ინტელექტუალურ მეთოდებზე (მეტრი და დეციმეტრის დიაპაზონი), რაც შესაძლებელს გახდის ასახული რადარის სიგნალებში სამიზნების არსებობის ოდნავი ნიშნების იდენტიფიცირებას.

როგორც ჩანს, სამხედრო საქმეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება გადაწყვეტილების მიღების სისტემებს, მტრის თავდასხმის მოგერიებისთვის - თვითსწავლების სისტემები მტრის თავდასხმის ფაქტისა და მეთოდის გასაანალიზებლად, გამოყენებული იარაღის შემადგენლობისა და მახასიათებლების შესაფასება, დამარცხებული კერებუს პარამეტრები, დაზიანებები, ძალების და საშუალებების დანაკარგები და ეფექტური წინააღმდეგობის მეთოდის განსაზღვრა, ძალებისა და საშუალებების დაკარგვა, ეფექტური წინააღმდეგობის მეთოდის განსაზღვრა.

მიუხედავად ამისა, AI-ის ინტეგრაციასთან დაკავშირებულია რიგი სერიოზული გამოწვევები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეთიკური საკითხები, რადგან არასრულყოფილმა ალგორითმებმა შესაძლოა „განზრახ“ ან „არაგანზრახ“ შეცდომები გამოიწვიოს საბრძოლო მოქმედების დროს. არსებობს გარკვეული საფრთხე ადამიანის მიერ სრულად ან ნაწილობრივ კონტროლის დაკარგვისა სამხედრო ტექნოლოგიებზე, რაც შეიძლება მასობრივი ზიანით დასრულდეს. AI-ის გამოყენებისას უსაფრთხოება სამხედრო კონტექსტში საჭიროებს განახლებას, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალი საერთაშორისო სტანდარტებითა და რეგულაციებით.

დღეს უკვე აქტიურად ვითარდება ისეთი სფერო, როგორცაა ქვედა სამხედრო ნაწილების მოქმედებების ინტელექტუალური მხარდაჭერა.¹ სამომავლოდ კი თითოეულ სამხედრო

¹ Айдаркин Е.К., Пахомов Н.В., Шаклеин А.Ф. Некоторые вопросы использования методов

მოსამსახურეს მიეწოდება ინტელექტუალური საინფორმაციო სერვისები, რათა უზრუნველყოს სადაზვერვო ინფორმაცია, შეაფასოს სიტუაცია, დაგეგმოს და გააკონტროლოს საბრძოლო მოქმედებები, უზრუნველყოს ურთიერთქმედება, კოორდინაცია და დაქვემდებარება.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უზარმაზარი შესაძლებლობები დაკავშირებულია სამედიცინო დახმარებასთან სამხედრო საქმიანობის სფეროში. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს ანდროიდის რობოტების გამოყენება სამედიცინო ევაკუაციისთვის მტრის ზემოქმედების პირობებში, ხელოვნური ინტელექტის მეთოდები დიაგნოსტიკისთვის, რობოტი ექიმები დამავებული სამხედრო მოსამსახურეების რეანიმაციის, კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ინტელექტუალური ტექნოლოგიები თერმული, წნევის, ბიოქიმიური და სხვა ხასიათის დამაზიანებელი ფაქტორების სწრაფი ანალიზისთვის, მედიკამენტების დაჩქარებული წარმოება, დაზიანების ბუნებისა და დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, ანტიდოტებისა და ცილების შექმნა, რომლებიც ანეიტრალენ ტოქსიკური ნივთიერებებითა და ახალი პათოგენური მიკროორგანიზმებით გამოწვეულ დაზიანებებს. დაჭრილების რეაბილიტაციის დაჩქარება მიიღწევა დაზარალებული შინაგანი ორგანოების ინტელექტუალური კონტროლის სისტემებით, პროთეზების კონტროლის ნერვული სისტემებით და ა.შ.

კვლევა ასევე გაგრძელდება ოპერატორების, მძღოლების და პილოტების მომზადების ინტელექტუალური ტრენაჟორების შექმნის სფეროში, რთულ სიტუაციებში სამხედრო აღჭურვილობის მართვის საფუძვლებში, საბრძოლო მოქმედებების სიმულაციაში, მსმენელთა ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის შეფასება, მათი შესაძლებლობები საგანგებო და სხვა სიტუაციებში.

უახლოეს მომავალში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ინტელექტუალური სადაზვერვო ტექნოლოგიები, რომლებიც დაფუძნებულია "ჭკვიანი" დაკავშირების, კონკრეტული სადაზვერვო მასალების გამიფვრის მეთოდებზე, სადაზვერვო საშუალებებიდან მიღებული ინფორმაციის ინტელექტუალურ დამუშავებაზე, მათ შორის კიბერ დაზვერვაზე, რეკომენდაციების მომზადებაზე, სადაზვერვო და საინფორმაციო მხარდაჭერა იარაღის გამოყენებისთვის. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, იქნება საინფორმაციო ომების საწყისი ეტაპი, რომელშიც აქტიურად იქნება გამოყენებული სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები, საინფორმაციო გავლენის მომზადება, ყალბი ამბები, კიბერშეტევები და ა.შ.

ზოგადად ხელოვნური ინტელექტის შესახებ საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ რისკების შესაძლო მიზეზები იქნება შემდეგი:

- ხელოვნური ინტელექტის მეთოდების უარყოფითი მხარეები და შეზღუდვები, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად, ეთიკური სტანდარტების არასრულყოფილ გათვალისწინებასთან;
- არაწარმომადგენლობითი სწავლების სავარჯიშოები, არასწორი საწყისი მონაცემები თვითსწავლებისთვის, არაერგოდიკული ხელოვნური ინტელექტის მეთოდებისთვის;
- ხელოვნური ინტელექტის მეთოდების უკანონოდ გამოყენება ფართოდ სხვადასხვა სფეროში (მაგალითად, უმაღლესი საჯარო მმართველობის სფეროში);
- თვითორგანიზებული სამხედრო ინტელექტუალური სისტემების განვითარების ტრაექტორიის „ცნობიერი“ (ინტელექტუალური) გადახრა მოსალოდნელი ტრაექტორიიდან;

- კაცობრიობისთვის უცხო სამხედრო ინტელექტუალური სისტემების საკუთარი „ღირებულებების“ შემუშავება და „საკუთარი“ მიზნებისთვის შეგნებული წინააღმდეგობა („მანქანების აჯანყება“).

ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი სარისკო შედეგები:

- მტრისთვის მოსალოდნელი ზიანის შემცირება ან არ მიყენება;
- ხელოვნური ინტელექტის მქონე საჰაერო და სამხედრო ტექნიკის ნიმუშების, კომპლექსებისა და სისტემების გაუმართაობა;
- საკუთარი ძალებით და საშუალებებით, ობიექტებზე და ინფრასტრუქტურაზე მცირე ზიანის მიყენება;
- საკუთარი ძალებით და საშუალებებით, ობიექტებზე და ინფრასტრუქტურაზე კატასტროფული ზიანის მიყენება;

აღნიშნული რისკები და მათი შედეგები განსაკუთრებით კატასტროფულია სამხედრო ხელოვნური ინტელექტის სისტემის დამოუკიდებელი უარყოფითი მიზნების დასახვის შემთხვევაში. ამჟამად, მიზნების დასახვა არის წმინდა ადამიანური პრეროგატივა (როგორც, პრინციპში, ყველაზე მეტად რასაც ეს სისტემა მომავალში გადაწყვეტს).

3. დასკვნა

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ უკვე დღეს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის სამხედრო აღჭურვილობის საბრძოლო ეფექტურობის გაზრდას, მათი მოქმედების ხარჯების შემცირებას და დაზიანებისა და სიცოცხლის დაკარგვის რისკს. ხოლო სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარება ხელს შეუწყობს ხელოვნური ინტელექტის მზარდ გამოყენებას სამხედრო საქმეებში. თუ ახლა ძირითადად „ტექნიკური ხედვა“ და ჯგუფის მართვაა, შემდეგ უახლოეს მომავალში "ჭკვიანი" მანქანები განავითარებენ საკუთარ ტიპს, გააკონტროლებენ მათ ქცევას ბრძოლაში და ააშენებენ ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემას.

მომავლისათვის, მნიშვნელოვანია ალგორითმების სრულყოფა, დახვეწა ე.წ. „ჭკვიანი“ სისტემების გაუმჯობესება, რაც საშუალებას მისცემს ამ ტექნოლოგიებს უფრო მაღალი სიზუსტისა და მეტი ეფექტური გამოყენების იყოს. ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია ეფექტური რეგულაციების შემუშავება, რათა AI-ის გამოყენება სამხედრო საქმეში იყოს ეთიკურად და სამართლებრივად მართვადი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Berryhill J., Heang K.K., Clogher R., McBride K. «Hello, World: Artificial intelligence and its use in the public sector» // OECD Working Papers on Public Governance. N 36.
2. Corrigan J. «Three-Star General Wants AI in Every New Weapon System». November 2017 [Electronic source]. URL: <https://www.defenseone.com/technology/2017/11/three-star-generalwants-artificial-intelligence-every-new-weapon-system/142239/> (accessed: 25.02.2023).
3. Daniel Araya and Meg King. The Impact of Artificial Intelligence on Military Defence and Security // CIGI Papers. N 263. March 2022.
4. Defense Science Board // Summer Study on Autonomy. June 9, 2016. P. 12.

5. Hacker Ph., Petkova B. Reining in the Big Promise of Big Data: Transparency, Inequality, and New Regulatory Frontiers //15 NW. J. TECH. & INTELL. PROP.1. 2017.

Smart Weapons: The Future of Artificial Intelligence in Military Affairs

Ketevan Kveselava, Irakli Bochorishvili, Liana Tedeshvili
Georgian Technical University
q.kveselava@gtu.ge, irakli.bochorishvili@gtu.ge, liana99@list.ru

Abstract

In the work, the author has presented the historical ways of artificial intelligence and the current state of its methods. Distinctive features of automation and artificial intelligence methods are also given, and the areas, directions and risks of using artificial intelligence in military affairs are identified. As a cutting-edge technology, artificial intelligence plays a key role in improving the welfare and living conditions of human society, as well as in the sustainable development of the global economy, increasing productivity and effectively solving universal human problems. Questions about the impact of artificial intelligence - as a new determinant of the balance of power - on the conditions for achieving and maintaining peace in individual regions and around the world are increasingly being discussed. Therefore, studying the current trends in the use of artificial intelligence for military purposes, as well as discussing questions about opportunities, the peculiarities and problems of its future use are of great importance in terms of specifying the main guiding principles of maintaining and developing the state's military potential in modern conditions. The purpose of the article is to discuss the potential benefits of using artificial intelligence in military management and the significant risks associated with the use of artificial intelligence in the military, which are of a universal human existential nature and may have a direct impact on the long-term future of human society. A world war between major powers, the possibility of nuclear conflict, and the possibility of artificial intelligence getting out of control. In the work, the author discusses programs that implement artificial intelligence technologies in prospective models of weapons and military equipment, using the example of the armed forces of leading foreign countries, as well as developing and developing weapons and military equipment that have artificial intelligence.

Keywords: Military affairs, Artificial intelligence, Big data, Weapons programs, Samples of weapons and military equipment.

ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები და პერსპექტივები სახელმწიფო მმართველობის სისტემებში

ზურაბ ტუსკია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

zurabtuskia@gmail.com

რეზიუმე

განხილულია სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების მხრიდან ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალური საკითხები. სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო სისტემებში ინერგება AI -ზე დაფუძნებული ინოვაციური ტიპის პროექტები, რომლებიც ზრდის სერვისების ხარისხს, სისწრაფეს და ეფექტიანობას.

მიუხედავად ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს ხელოვნური ინტელექტის სამთავრობო მართვის სისტემებში ინტეგრაციის პროცესს. სტატიაში, მაგალითების დონეზე, წარმოდგენილია ის გამოწვევები და პერსპექტივები, რაც ახასიათებს ხელოვნური ინტელექტის ფართომასშტაბიან ინტეგრაციას საჯარო მმართველობის სისტემებში.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნური, ინოვაციები, AI ტექნოლოგიები.

1. შესავალი

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის სწრაფი განვითარების და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ინოვაციური ტექნოლოგიების ზეგავლენის გაძლიერება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად სწრაფი წინსვლა დაფიქსირდა შემდეგი მიმართულებებით:

- 1) ტრანსპორტი და ლოჯისტიკა - ავტონომიური მანქანები - Tesla და Uber
- 2) ინფრასტრუქტურა - ჰიპერსივლიანი ქსელები - სინგაპური
- 3) ფინანსური ტექნოლოგიები - თაღლითობის საწინააღმდეგო სისტემები - HSBC ბანკი
- 4) მედიცინა - ვაკცინის შემუშავება, ეპიდემიის მონიტორინგი - Moderna და Pfizer
- 5) განათლება - პერსონალიზებული სწავლა - Coursera და Udemy
- 6) მარკეტინგი - შემოთავაზების პერსონალიზაცია - Amazon და Netflix
- 7) კომპიუტერული ტექნოლოგიები - ხელოვნური ინტელექტის ჩატ-ბოტი - Chat GPT

სულ უფრო მიმზიდველი ხდება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენება სახელმწიფო მმართველობის სფეროში. მთავრობები მთელს მსოფლიოში დგანან იმ შესაძლებლობების აღიარების წინაშე, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტი იძლევა საჯარო რესურსების მართვის, გადაწყვეტილებების მიღების, უსაფრთხოების და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის სფეროში. დღევანდელ მსოფლიოში, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში, როგორცაა მაგალითად: ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი და სხვა.

ბოლო წლების განმავლობაში ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების ზრდის პარალელურად იზრდება მისი სამთავრობო მმართველობის სისტემებში გამოყენების ინტერესიც. არსებობს მოლოდინი, რომ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული უსწრაფესად განვითარებადი ტექნოლოგიები, გაზრდის სტრუქტურების რეაგირების სიჩქარეს, გააუმჯობესებს სერვისების შესაბამისობას, ხარისხს და გადაწყვეტილების მიღების პროცესს ახალ ინტელექტუალურ დონეზე აიყვანს. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ინტენსიურად ახორციელებენ ინვესტიციებს ამ სფეროში, ნერგავენ სხვადასხვა სატესტო პროგრამებს, რომლების დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიაზე.

მიუხედავად ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს ხელოვნური ინტელექტის სამთავრობო მართვის სისტემებში ინტეგრაციის პროცესს. არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები და პრაქტიკული გამოცდილება, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას და სკურპულოზურ მიდგომას იმსახურებს.

2. ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები სახელმწიფო მმართველობის სისტემებში

1) სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები:

ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების სამთავრობო სისტემებში ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება არის სამართლებრივი და ეთიკური ნორმების

იდენტიფიცირება და იმ საზღვრების, წითელი ხაზების დადგენა, რომლებიც მომავალში უზრუნველყოფს პროცესების კანონიერებას და უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების დაცვას.

Google-ის აღმასრულებელი დირექტორი სუნდარ პიჩაი ამბობს: "ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა. დიდი მონაცემების ანალიზის, ტენდენციების პროგნოზირებისა და რთული ამოცანების ავტომატიზაციის უნარი ცვლის ჩვენს ცხოვრებას. მაგრამ ის ასევე მოითხოვს პასუხისმგებლობას, გამჭვირვალობას და ეთიკურ მართვას."

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების დროს უმნიშვნელოვანესია საზოგადოების უფლებების, პერსონალურ მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვა, ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავება, რომელიც გამორიცხავს დისკრიმინაციას და მონაცემების არასწორად გამოყენების შესაძლებლობას.

მაგალითად: ნიდერლანდებში 2019 - 2020 წელს, ხელისუფლება ცდილობდა გამოეყენებინა ხელოვნური ინტელექტის თვითგანვითარებადი ალგორითმი პოტენციური სოციალური საგადასახადო თაღლითობის აღმოსაჩენად. სამწუხაროდ, ამ ალგორითმზე დაყრდნობით, ბევრი ოჯახმა სოციალური დახმარების მოთხოვნაზე უარი მიიღო. მოგვიანებით გაირკვა, რომ პროცესში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის სისტემა მიკერძოებულ შეხედულებებს იყენებდა - ამან გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება და ნიდერლანდების მინისტრთა კაბინეტის გადადგომა.

2) გამჭვირვალობა და ნდობა:

ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებისადმი ადამიანების ნდობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღევანდელ საზოგადოებაში, მნიშვნელოვანია ნდობის მაღალი ხარისხის არსებობა სამთავრობო სერვისების მიმართ, რომლებშიც ხელოვნური ინტელექტია გამოყენებული. უმეტეს შემთხვევებში ხელოვნური ინტელექტი მუშაობს „შავი ყუთის“ ლოგიკით - რაც ნიშნავს, იმას, რომ უმრავლესობას ადამიანებისა, ვისაც შეხება აქვს AI -ზე დაფუძნებულ სისტემებთან, არ ესმის გზა, რომელადაც იყენებს ხელოვნური ინტელექტი კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებათ, რაც აღრმავებს საზოგადოების პრეტენზიებს სისტემების მიუკერძოებლობის და გამჭვირვალების მიმართულებით.

მაგალითად: 2020 წელს, დიდ ბრიტანეთში სკოლის დამამთავრებელი კლასის შეფასებაში ალგორითმების გამოყენების გადაწყვეტილებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ალგორითმი ითვალისწინებდა სასწავლო დაწესებულებების ძველ რეზულტატებს, რამაც გამოიწვია უსამართლო შეფასება მათთვის, ვინც ნაკლებად პრესტიჟული სკოლიდან მოდიოდა. ამ ინციდენტმა გამოიწვია ადამიანების ნდობის მნიშვნელოვანი ვარდნა ხელოვნური ინტელექტის მიმართ საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში.

3) კიბერუსაფრთხოება:

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ალგორითმების უსაფრთხოება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია პროგრამული დეველოპერების ქეისში. ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული სამთავრობო მმართველობის სერვისები შეიძლება ჰაკერების შემოტევის მსხვერპლი გახდეს. ვინაიდან მთავრობა ფლობს მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ შემთხვევებში საიდუმლო ინფორმაციას, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის უსაფრთხოების მაღალკვალიფიციური და ეფექტური სისტემის აწყობას.

მაგალითად: 2017 წელს, ბევრი ქვეყნის, მათ შორის დიდი ბრიტანეთის სამთავრობო სისტემა მოექცა გაუთვალისწინებელი კიბერშეტევის (ვირუსი Ransomware – WannaCry) ქვეშ. ამ შემთხვევამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სუსტმა წერტილებმა, შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიონ სამთავრობო მმართველობის სისტემებში.

4) კადრების განათლება და ტრენინგი:

სახელმწიფო მოხელეებს ყოველთვის არ აქვთ საკმარისი უნარები ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებთან მუშაობისთვის. იმისთვის, რომ საზოგადოებამ არჩევანი გააკეთოს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ მმართველობის სისტემებზე, მას უნდა ჰქონდეს ამ ტექნოლოგიის შესახებ ცოდნის მიღების შესაძლებლობა. ეს მოითხოვს ტრენინგების და განვითარების ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას, რომ თანამშრომლებმა შეძლონ ახალი ინსტრუმენტების ოპტიმალურად გამოიყენება.

მაგალითი: სინგაპურში მთავრობა აქტიურად ახორციელებს სასწავლო პროგრამებს საჯარო მოხელეებისთვის, მათი ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოსაყენების უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით. ეროვნული SkillsFuture პროგრამა მთავრობის თანამშრომლებს სთავაზობს ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული განათლების კურსებს, სპეციალიზირებულ პროგრამებს და ტრენინგებს.

5) ეკონომიკური ხელმისაწვდომობა:

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რაც შეიძლება იყოს გამოწვევა ნაკლებად განვითარებული ან ღარიბი რეგიონებისთვის. ეკონომისტები გვიჩვენებენ ამ ფაქტორის გათვალისწინებას სამთავრობო უწყებებში ხელოვნური ინტელექტის განვითარების გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას.

ცნობილია ხელოვნური ინტელექტის ექსპერტმა და წიგნის "AI Superpowers" ავტორმა კაი-ფუ ლიმ თქვა: „ჩვენ იმ ეპოქის მწვერვალზე ვართ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი ძირეულად შეცვლის მუშაობის სტრუქტურას, ეკონომიკასა და მმართველობას, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ ცვლილებების მართვა ისე, რომ არ გაიზარდოს სოციალური უთანასწორობა და არ შეირყეს ნდობა საჯარო ინსტიტუტების მიმართ.“

მაგალითი: ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება საჯარო სერვისების მიწოდებაში ისეთ ქვეყნებში, როგორცაა უგანდა ან ნეპალი, დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, რადგან მათი ეკონომიკებიდან გამომდინარე შეზღუდულია ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების და ინვესტიციების მოცულობა. ასეთ ქვეყნებს უჭირთ სახსრების მოზიდვა და ხელოვნური ინტელექტის ინსტალაციისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა, რაც აფერხებს საჯარო ადმინისტრაციის დიגיტალიზაციის პროგრესს.

3. ხელოვნური ინტელექტის პერსპექტივები სახელმწიფო მმართველობის სისტემებში

1) სამთავრობო და ადმინისტრაციული მომსახურების ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლება:

სახელმწიფო სერვისებში მრავალი პროცესი შეიძლება განხორციელდეს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს დამუშავების დროის შემცირებას, პროცესების ეფექტურობასა და მომსახურების სტანდარტების

გაუმჯობესებას. მაგალითად, შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის, მიიღონ ინფორმაცია მათთვის კომფორტულად და ხელსაყრელ დროს ჩათბობებისა და მეტყველების ამომცნობი სისტემების დახმარებით.

მაგალითი: ესტონეთმა დაიწყო „e-Estonia“ პროექტი, რომლის მიზანია მრავალი სამთავრობო სერვისი, როგორცაა ბიზნესისა და საგადასახადო რეგისტრაცია, სამედიცინო მომსახურება და ა.შ. ხელმისაწვდომი გახადოს მოქალაქეებისთვის ონლაინ, სახელმწიფო უწყებებში ვიზიტის გარეშე.

2) მონაცემების საფუძველზე პროგნოზირება და რისკების მართვა:

დიდი მონაცემების (Big Data) დამუშავების ტექნოლოგიები სისტემატურად იყენებენ მრავალი ტერაბაიტის მოცულობის ინფორმაციას, რომ ხელი შეუწყონ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში. დიდი მონაცემების ორგანიზებისა და გაანალიზების შემდეგ შესაძლებელი ხდება მოვლენების საპროგნოზო მოდელების აგება ისეთ სექტორებში, როგორცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა და ურბანული დაგეგმარება.

მაგალითად: აშშ-ს ოკაიო შტატი იყენებს ხელოვნურ ინტელექტს ჯანდაცვის სისტემაში მონაცემების დასამუშავებლად. ალგორითმები ხელს უწყობს დაავადების გავრცელების პროგნოზირებას და სამედიცინო რესურსების საუკეთესო განაწილებას, რითაც აუმჯობესებს ჯანდაცვის ხარისხს რეგიონში.

AI-ს ტექნოლოგიას შეუძლია რეალურ დროში მონაცემების შერწყმისა და კონსოლიდაციის საფუძველზე ისეთი ტიპის კრიზისების პროგნოზირება, როგორც არის ბუნებრივი კატასტროფები, ეპიდემიები და ეკონომიკური შოკები.

მაგალითად: იაპონიაში მეცნიერები ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებს იყენებენ მოსალოდნელი მიწისძვრებისა და ცუნამების პროგნოზირებისთვის. სისტემები აკონტროლებენ სეისმოლოგიური სენსორების მონაცემებს და აფრთხილებენ მოსახლეობას, როდესაც კატასტროფის ალბათობა მაღალია, შესაბამისად, წინასწარი გაფრთხილების სისტემების ხარჯზე მიმდინარეობს ადამიანების დიდი რაოდენობის ევაკუაცია, რაც შესაბამისად ამცირებს ზიანის ალბათობას.

3) მეტი გამჭვირვალობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა:

ხელოვნურ ინტელექტზე (AI) დაფუძნებულ სისტემებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ ტრანზაქციებს და გამოიკვლიონ საეჭვო აქტივობები, რაც ზრდის სამთავრობო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას და დაბლა წევს კორუფციის ალბათობის დონეს.

მაგალითად: ინდოეთში სახელმწიფო შესყიდვების სამსახურები იყენებენ AI-ს ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ სისტემებს თაღლითური ტრანზაქციების გამოსავლენად. თაღლითურ კომპანიებთან კონტრაქტებსა და ტრანზაქციებში მონაწილე პირების იდენტიფიცირება ხდება იერარქიული კლასიფიკატორების გამოყენებით. სისტემა ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებებში ადამიანების კრიმინალური ქმედებების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას.

4) პერსონალიზირებული სერვისები მოსახლეობისთვის:

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ პროგრამებს შეუძლია ჩაატარონ კვლევა თითოეული მოქალაქის საჭიროებებზე და უზრუნველყონ მათზე მორგებული შესაბამისი

სერვისები. ეს ცვლის სამთავრობო უწყებებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთქმედებას უკეთესობისკენ, ზდის მოქალაქეების ლოიალობას სახელმწიფო სერვისების მიმართ.

მაგალითად: სამხრეთ კორეამ შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია, რომელიც უზურნველყოფს ხელისუფლების მხრიდან ყოვლისმომცველი პერსონალიზებული სოციალური სერვისების პროფილებს შექმნას AI გამოყენებით, რომელიც ეხმარება სოციალურად დაუცველ მოხუცებს, ეძებს სამუშაო ადგილებს უმუშევრებისათვის და ზრუნავს ავადმყოფების ჰანმრთელობის პრობლემებზე, რაც აუმჯობესებს მოქალაქეების სამთავრობო სამსახურებთან ურთიერთობის ხარისხს.

4. დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის ფართომასშტაბიანი ინტეგრაცია საჯარო მმართველობის სისტემებში ხელს შეუწყობს ახალი მექანიზმების გაჩენას სამთავრობო უწყებების ეფექტური ფუნქციონირებისთვის და უფრო მჭიდრო კომუნიკაციისთვის მოქალაქეებთან, ამისთვის კი ტექნოლოგიურ მზაობასთან ერთად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობები გაუმკლავდნენ იმ გამოწვევებს, რომლებიც წარმოიქმნება AI-ის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ, ეთიკურ და ტექნიკურ საკითხებში.

ილონ მასკმა, Tesla-სა და SpaceX-ის ხელმძღვანელმა, MIT AeroAstro Centennial Symposium-ზე განაცხადა: "ვფიქრობ, ხელოვნური ინტელექტი ყველაზე დიდი რისკია ცივილიზაციისთვის. ის უნდა განვითარდეს მკაცრი რეგულირების პირობებში. მთავრობებს უნდა ჰქონდეთ დიალოგი ამ ტექნოლოგიის მართვაზე, სანამ ის უკონტროლო გახდება."

„სწორად გამოყენების შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი შესაძლოა გადაჭრას ისეთი პრობლემები, როგორცაა კლიმატის ცვლილება, სიღარიბე და დაავადებები. ხელოვნური ინტელექტი აქვს რთული სამთავრობო სისტემების ოპტიმიზაციისა და მილიონობით ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესების პოტენციალი“ - სტივენ ჰოკინგმა ეს განცხადება ჯერ კიდევ 2016 წელს გააკეთა Google UK მიერ ორგანიზებულ ტექნოლოგიური ინოვაციების კონფერენციის გახსნაზე. 2024 წლის ივნისში ხელოვნური ინტელექტის მმართველობის გლობალურმა ცენტრმა (Global Center on AI Governance) პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის (GIRAI) გლობალური ინდექსი გამოაქვეყნა. ამ კვლევაში საქართველომ 100 ქულიდან 17.83 აიღო და რეიტინგში მე-60 ადგილი დაიკავა, მათ შორის ყველაზე დაბალი შეფასება პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის მმართველობაში მიიღო 11.03 100-ქულიდან (იხ. კვლევის სრული ვერსია GIRAI).

კვლევები ცხადყოფს, რომ შემდგომ წლებში, საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და აქტიურად იზრუნოს მმართველობის სტრუქტურებსა და საჯარო სერვისებში თანამედროვე ტექნოლოგიების ინკლუზიურობის პროცესზე, მათ შორის, ინვესტირების კუთხით ხელოვნური ინტელექტის განვითარების ისეთ მიმართულებებზე, როგორც არის AI-ის კვლევითი ცენტრი, სტარტაპ პროექტები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები, რომ ქვეყანამ, ეფექტიანად და დროულად მიიღოს ყველა ის ბენეფიტი, რომელიც აუცილებლად მოყვება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების პროგრესს.

ლიტერატურა:

1. Sundar Pichai, The Future of AI with GOOGLE CEO, 2024. <https://www.youtube.com/watch?v=h3M4bm2EveM>
2. The Guardian "Dutch government resigns over child benefits scandal".2021 <https://www.theguardian.com/world/2021/jan/15/dutch-government-resigns-over-child-benefits-scandal>
3. BBC News, A-Level Results: U-Turn as Government Scraps Algorithm for England's Exams. 2020. <https://www.bbc.com/news/uk-53810655>
4. Kai Fu Lee, AI Superpowers: China, Silicon Valley, and the New World Order https://books.google.ge/books/about/AI_Superpowers.html?id=g7JvtAEACAAJ&redir_esc=y
5. BBC News , "Massive ransomware infection hits computers in 99 countries" 2017. <https://www.bbc.com/news/technology-39901382>

6. Skills Future, Lifelong Learning Programme, Government of Singapore, 2023. <https://www.skillsfuture.gov.sg>
7. Moti Melkamu, "Artificial intelligence implementation challenges in industries: developing countries prospective", 2025. <https://www.aspur.rs/jai/archive/v2/n1/4.pdf>
8. Elon Musk, Interview at MIT AeroAstro Centennial Symposium. <https://www.youtube.com/watch?v=0ZLBhpWZP4o>
9. 2024 results, Global Index on Responsible AI. <https://www.global-index.ai/Results>

Problems and Perspective of Artificial Intelligence in Government Administration Systems

Zurab Tuskia

Georgian Technical University

zurabtuskia@gmail.com

Abstract

In recent years, there has been a growing interest in artificial intelligence technologies from government structures. Innovative AI-based projects are being implemented in public systems in different countries, which improve the quality, speed and efficiency of services. However, it is necessary to take a look to the significant problems inherent in the process of integrating artificial intelligence into public administration systems. This article discusses the problems and perspectives for large-scale integration of artificial intelligence into public administration systems using examples.

Keywords: artificial intelligence, innovations, AI technologies

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესებში

ეკატერინე როჭიკაშვილი, მზია კიკნაძე, ნატალია გაბაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

e.rochikashvili@gtu.ge; m.kiknadze@gtu.ge; n.gabashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების აქტუალური საკითხები სწავლა/სწავლების პროცესებში. მისი ძირითადი მიმართულებაა ადაპტური სწავლების პლატფორმების გამოყენება სტუდენტებისათვის, მათზე პერსონალურად მორგებული სასწავლო გეგმების შემუშავებისათვის, რაც შესაძლებელია მიღწეული შედეგების, სწავლის ტემპის ანალიზის, ცოდნის ხარვეზების იდენტიფიცირების საფუძველზე. სხვა მიმართულებებია სწავლის პროგრესის მონიტორინგი და ანალიზი, თანამშრომლობის და სოციალური ინტელექტის განვითარება, სწავლების რესურსების ავტომატური გენერაცია, ტესტებისა და შეფასების სისტემების ავტომატიზაცია, რაც საგრძნობლად ზოგავს მასწავლებლის დროს. მნიშვნელოვანი მიმართულებაა ვირტუალური ასისტენტები, კომუნიკაცია და მხარდაჭერა სადაც ეფექტურად მუშაობს ჩატბოტების სისტემა. წარმოდგენილია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მიმართულებები და მათი რეალური გავლენა სწავლების პროცესსა და მიღწეულ შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: პერსონალიზებული სწავლება, ადაპტური სწავლის პლატფორმები, სწავლის პროგრესის მონიტორინგი, სწავლების პლატფორმები, ადაპტირებული შეფასების სისტემა, სწავლების რესურსების ავტომატური გენერაცია, ჩატბოტები.

1. შესავალი

ხელოვნური ინტელექტი (AI) ფართოდ გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესებში. ის მზარდი პოპულარობით სარგებლობს და საგანმანათლებლო სფეროში მათი გამოყენება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთ მიდგომებს შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროცესი – AI-ის სპეციალური ფორმების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გამარტივებას, ეფექტურობას და უკეთესი შედეგების მიღებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლების პროცესში მრავალფეროვანი და საინტერესო შესაძლებლობებითაა სავსე. განვიხილოთ ამ ფორმების გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

2. ძირითადი ნაწილი

პერსონალიზებული სწავლება: AI-ის შეუძლია დაეხმაროს თითოეულ სტუდენტს ისწავლოს საკუთარი ტემპით, შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. სასწავლო პლატფორმები იყენებს AI-ს, რათა სტუდენტებს მისცეს პერსონალიზებული რეკომენდაციები. ასეთი მიდგომით ხელოვნური ინტელექტი განათლების სისტემას საშუალებას აძლევს, რომ სწავლება გარდაქმნას სტუდენტების საჭიროებებზე მეტად მორგებულ, მოქნილ და ეფექტურ პროცესად. ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს პერსონალიზებულ სწავლებას შემდეგი მიმართულებებით:

ადაპტური სწავლის პლატფორმები იყენებენ ანალიტიკურ ხერხებს, რათა შეაფასონ სტუდენტის ცოდნის დონე, სუსტი და ძლიერი მხარეები, ხდება ცოდნის ხარვეზების იდენტიფიცირება. შედეგად, სისტემა ავტომატურად აწვდის სტუდენტს პერსონალურად მორგებულ მასალას, კონკრეტული სფეროდან, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ეს მოიცავს როგორც, ფუნდამენტური ცოდნის განმტკიცებას, ისე, ასევე ახალი მასალის სწავლის პროცესის დამხმარე ელემენტებით გამდიდრებას. სტუდენტის ცოდნის დონესა და მიზნებზე დაყრდნობით შესაძლებელია შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ეს სწავლის პროცესს აუმჯობესებს რადგან თითოეული ინდივიდი სწავლობს საკუთარი ტემპით და პირად საჭიროებებზე მორგებული მეთოდებით.

სწავლის პროგრესის მონიტორინგისა და ანალიზის მიმართულებით ხდება სტუდენტის პროგრესის და სწავლის ტემპის შესწავლა. ამაზე დაყრდნობით AI აფასებს პროგრესს და გამოაქვს დასკვნები ხარვეზების შესახებ. ეს ლექტორებს ეხმარება გადაწყვეტილებების მიღებასა და სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. **ჭკვიანი სტუდენტის მხარდაჭერის (Smart Tutoring) მიმართულებით** AI-ის დახმარებით შესაძლებელია სტუდენტებისთვის "ვირტუალური რეპეტიტორის" შექმნა, რომელიც რეალურ დროში პასუხობს კითხვებს, აძლევს განმარტებებს და სთავაზობს სავარჯიშოებს. ამ ტიპის მხარდაჭერა სტუდენტს ეხმარება კონკრეტული ამოცანის/პრობლემის სწრაფად გადაჭრაში, ან სწავლის პროცესის ნებისმიერი სირთულის დაძლევაში. **სწავლის პროცესის პროგნოზირების მიმართულებით** სისტემებს შეუძლიათ სტუდენტის სწავლების პროცესის და მათი წარმატების შანსების პროგნოზირება. ეს მენტორებს ეხმარება სწავლების სტრატეგიების დროულად გაუმჯობესებასა და ადაპტირებაში. **თანამშრომლობის და სოციალური ინტელექტის განვითარების** მიმართულებით პერსონალიზებული სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია ჯგუფური სწავლების და თანამშრომლობის ორგანიზება, სადაც სისტემა აკონტროლებს ჯგუფების ფორმირებას, ადაპტაციას და ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას.

სწავლა/სწავლების პროცესისადმი პერსონალიზებული მიდგომა განათლებას აქცევს მეტად მოქნილ და შედეგზე ორიენტირებულ სისტემად, რომელიც მორგებულია თითოეული სტუდენტის უნიკალურ საჭიროებებზე. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ Khan Academy, რომელიც გამოიყენება უმაღლეს სასწავლებლებში როგორც დამატებითი რესურსი რაც აუმჯობესებს საკითხის გაგებას და დიდი რესურსია მაგალითებისა და სავარჯიშოებისათვის.

ანალიტიკა და პროგნოზირება: AI-ის მონაცემთა ანალიტიკური და პროგნოზირების ფუნქციები სწავლების პროცესში ძალზე ღირებულია. ის ეხმარება მასწავლებლებსა და მენეჯერებს წინასწარ განსაზღვრონ, რომელი სტუდენტების აკადემიური პროგრესი შეიძლება

აღმოჩნდეს საფრთხის ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩაერიონ პროცესებში. პირველ რიგში, საჭიროა ისეთი მონაცემების შეგროვება, რომელიც დაახასიათებს სტუდენტის პროგრესს. მონაცემები შეიძლება მოიცავდეს:

- ტესტის ქულებსა და დავალებების შესრულებას;
- დასწრებასა და აქტივობას;
- ქცევით მახასიათებლებს (როგორცაა ყურადღების გაფანტვა, დავალებების დაგვიანება და ა.შ.)

- დასმულ კითხვებსა და სხვა მნიშვნელოვან ქცევებს ონლაინ სასწავლო პლატფორმებზე.

ამ მონაცემების დამუშავების შემდეგ, AI-ს შეუძლია შეისწავლოს, თუ რომელმა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს გავლენა სწავლა/სწავლების პროცესზე და გააკეთოს პროგნოზები. AI ტექნოლოგიებს შეუძლია სხვადასხვა მონაცემთა ანალიზი იმ შაბლონების (პატერნები) გამოსავლენად, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს სტუდენტის პოტენციურ პრობლემებზე. მაგალითად:

- ქულების მკვეთრი კლება შეიძლება მიუთითებდეს, რომ სტუდენტს სირთულეები აქვს მასალების გაგებაში.

- სისტემატური დაგვიანება ან ჩავარდნა დავალებების შესრულებაში შეიძლება ნიშნავდეს მოტივაციის ნაკლებობას ან დროის მართვის პრობლემებს.

ანალიზის შემდეგ, AI-ს შეუძლია სტუდენტები დააჯგუფოს რისკის სხვადასხვა ზონებში, რათა მასწავლებლებმა უკეთესად განსაზღვრონ, სად და როგორ არის საჭირო დახმარება. მაგალითად:

- მაღალი რისკის სტუდენტები-ვისაც სერიოზული პრობლემები აქვთ აკადემიურ სფეროში.
- საშუალო რისკის სტუდენტები-ვისაც პერიოდული დახმარება სჭირდებათ.
- დაბალი რისკის სტუდენტები-ვინც სწავლაში წარმატებულია, მაგრამ საჭიროებენ მცირე წახალისებას ან მიმართულების მიცემას.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე სტუდენტებს მიეწოდებათ პერსონალიზებული რეკომენდაციები. მაგალითად, თუ სტუდენტი იშვიათად ასრულებს დავალებებს, სისტემამ შეიძლება შეთავაზოს მასწავლებელს, დამატებითი სასწავლო რესურსების მიწოდება ან მენტორინგის ჩატარება. სისტემა ავტომატურად აგზავნის შეტყობინებებს სტუდენტებთან თუ სტუდენტის შედეგები გარკვეულ ზღვარს ქვემოთ ჩამოვა. ეს შეიძლება იყოს **გაფრთხილებები** სტუდენტის არასაკმარისი დასწრების ან დაბალი ქულების შესახებ. შესაძლებელია კომუნიკაცია სხვა შემთხვევებშიც: **წახალისება** სტუდენტებისთვის, რომლებიც კარგ შედეგებს აჩვენებენ ან **სასარგებლო რესურსების რეკომენდაცია**, მაგალითად, სამოტივაციო მასალები ან განმეორებითი დამატებითი სავარჯიშოები. **მაგალითად: Civitas Learning:** ეს არის პლატფორმა, რომელიც უნივერსიტეტებსა და სკოლებში AI-ს გამოყენებით აგროვებს და აანალიზებს მონაცემებს, რათა მოახდინოს აკადემიური რისკების პროგნოზირება. ეს ეხმარება ადმინისტრაციას კონცენტრირდნენ სტუდენტების დახმარებაზე იმ მომენტში, როცა მათ ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

სწავლების პლატფორმები: AI-ს ჩართულობა ინტერნეტ სასწავლო პლატფორმებში სტუდენტებს სთავაზობს მოქნილ სასწავლო პროცესს, რომელიც მათ საცხოვრებელ ადგილსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს ერგება. AI ამ პლატფორმებზე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. **პერსონალიზებული სწავლება:** მაგალითისთვის **Coursera** იყენებს AI-ს, რათა სტუდენტებს რეკომენდაციები გაუწიოს შესაბამისი კურსების შესახებ, თუ სტუდენტს სირთულეები აქვს გარკვეულ მოდულში, ავტომატურად სთავაზობს დამატებით რესურსებს თემის გარშემო.

ადაპტირებული შეფასების სისტემა: AI-ს შეუძლია შექმნას ინტერაქტიული და ადაპტირებული ტესტები, რომელთა სირთულე სტუდენტის ცოდნის დონესთან შესაბამისობაშია. ასე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა განვითარდნენ და იყვნენ მეტად მოტივირებულნი. **მაგალითად: Coursera-ის** კურსებში AI ავტომატურად აფასებს სტუდენტების

მიერ შესრულებულ ტესტებს და დავალებებს და ქმნის პერსონალიზებულ რეკომენდაციებს. ეს არა მხოლოდ საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააცნობიერონ თავიანთი წარმატებები ან ჩავარდნები, არამედ ეხმარება მათ მომზადებაში და შემდგომ კურსებში ან თემებში წარმატების მიღწევაში.

სწავლების რესურსების ავტომატური გენერაცია: AI-ს შეუძლია ავტომატურად შეიმუშაოს სასწავლო მასალები, ტესტები და ქვიზები კონკრეტული კურსისთვის. ასეთი სახით მორგებული რესურსები სტუდენტს ეხმარება სასწავლო პროცესში მაქსიმალური შედეგების მიღწევაში. **მაგალითად:** edX იყენებს AI-ს, რომ შეიმუშაოს ისეთი ინტერაქტიული მასალები, როგორცაა ვიდეოების ავტომატური ტრანსკრიპტები და ვირტუალური ლაბორატორიული სავარჯიშოები.

ვირტუალური ასისტენტები, კომუნიკაცია და მხარდაჭერა: ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ ნებისმიერ დროს მიიღონ პასუხები მათ კითხვებზე, რაც ამარტივებს სასწავლო პროცესს და აღმოფხვრის ნებისმიერი ტიპის დაბრკოლებას, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას დროის და სივრცის გამო. **მაგალითად:** edX იყენებს ჩატბოტებს, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს მიიღონ პასუხები მათ შეკითხვებზე და სთავაზობენ სასწავლო მასალებს დამატებითი მხარდაჭერისთვის. ჩატბოტების გამოყენება კომუნიკაციაში და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაში სტუდენტებს სწრაფი და უწყვეტი დახმარების მიღების საშუალებას აძლევს. ეს ეხება როგორც კითხვებს სასწავლო თემებთან დაკავშირებით და სასწავლო მასალებს, აგრეთვე კურსების განრიგებს და სხვა ინფორმაციებს.

ჩატბოტების მუშაობის ძირითადი პრინციპები:

სწრაფი და უწყვეტი დახმარებით ჩატბოტები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მხარდაჭერა მაშინაც კი, როცა მასწავლებლები და ადმინისტრაცია (სასწავლო გეგმები და განრიგები) მიუწვდომელია. **მაგალითად IBM Watson.** მოთხოვნების და შეკითხვების კლასიფიკაცია და შესაბამისი პასუხის გაცემა-ჩატბოტები იყენებენ ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) ტექნოლოგიებს სტუდენტების მიერ დასმული კითხვების კლასიფიკაციისთვის სირთულის მიხედვით, ასევე დახმარებას უწევენ მათ შესაბამისი რესურსების მოძიებაში ან საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტთან დაკავშირებაში. **მაგალითად Coursera-ს** ჩატბოტი სტუდენტს სთავაზობს დახმარებას ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში, მაგალითად თუ ვიდეოს ხმა არ ისმის, დეტალურ ინსტრუქციებისა და დამატებით რესურსების მიწოდების გზით ეხმარება პრობლემის მოსაგვარებაში.

მოტივაცია და პროგრესის კონტროლი ჩატბოტები შეიძლება სტუდენტებს რეგულარულად მოუწოდებდნენ, გააკეთონ დავალებები ან გაიმეორონ გავლილი მასალა, რითაც ხელს უწყობენ მათ მოტივაციას. **მაგალითად Replika,** ჩატბოტს, რომელიც შეიქმნა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერისთვის, შეუძლია სტუდენტები მოამზადოს სწავლისთვის, უზრუნველყოს მათთვის დამატებითი მოტივაცია და დაეხმაროს სწავლის მიზნების მიღწევაში.

სტუდენტების ქცევების ანალიზი და ადრეული დახმარება ჩატბოტებს შეუძლიათ გააანალიზონ სტუდენტის ქცევა და დაეხმარონ პროცესის ადრეულ ეტაპზე, სანამ პრობლემა გართულდება. **მაგალითად Hubert.ai** – ეს არის ჩატბოტი, რომელიც მუდმივად აანალიზებს კურსზე სტუდენტების მიერ შევსებულ ფორმებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. თუ სტუდენტი გამოხატავს უკმაყოფილებას, სისტემას შეუძლია ინფორმაცია გადასცეს მასწავლებლებს, რათა მათ უზრუნველყონ ეფექტური მხარდაჭერა.

სწავლების რესურსების შექმნა: AI შეუძლია ავტომატურად შექმნას სასწავლო მასალები, ტესტები და სახალისო ციფრული თამაშები, რაც ამცირებს მასწავლებლების შრომას და აძლევს მათ დროს უფრო კრეატიულ და სტრატეგიულ დავალებებზე და ამოცანებზე ფოკუსირებისთვის. **სისტემას** შეუძლია შექმნას მრავალფეროვანი მასალა-დაწყებული ტექსტებით, დამთავრებული ვირტუალური სავარჯიშოებითა და ანიმაციებით. ეს პროცესი მოიცავს კონკრეტულ თემებთან დაკავშირებული კონტენტის გენერაციას და მის ადაპტირებას სხვადასხვა დონის სტუდენტებისთვის. **მაგალითად Quizlet** იყენებს AI-ს, რომ ავტომატურად შექმნას ბარათები

(flashcards) და სავარჯიშოები იმ მასალების მიხედვით, რომლებსაც მასწავლებლები და სტუდენტები პლატფორმაზე ასრულებენ.

ტესტებისა და შეფასების სისტემების ავტომატიზაცია AI-ს შეუძლია შექმნას ტესტები და შეფასების სისტემები სხვადასხვა სირთულის მიხედვით, რაც თითოეულ სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გაიაროს ცოდნის შემოწმების პროცესი ინდივიდუალურად მორგებული შეფასებებით. ეს სისტემა ამარტივებს მასწავლებლების სამუშაოს და ამცირებს ტესტებისა და შეფასებების მომზადებისთვის საჭირო დროს. **მაგალითად Knewton** – ეს არის სწავლების პლატფორმა, რომელიც იყენებს AI-ს, სტუდენტებისთვის დინამიური ტესტებისა და სავარჯიშოების შესაქმნელად. თითოეულ კითხვას თან ახლავს სირთულის დონე, სტუდენტის პასუხების საფუძველზე, სისტემა ავტომატურად განსაზღვრავს მის საჭიროებებს და ახდენს შემდეგი სავარჯიშოების ადაპტირებას.

კურსებსა და სწავლებაზე მორგებული მასალების შექმნა AI სისტემებს შეუძლიათ გამოიყენონ დიდი მონაცემები, რათა შექმნან სხვადასხვა დონის კურსები და მასალები, მორგებული სტუდენტის უნარებზე. ამგვარი პერსონალიზაცია მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის ეფექტურობას. **მაგალითად Coursera Labs**-ს პლატფორმაზე AI ქმნის პრაქტიკულ სავარჯიშოებს დაპროგრამების ან ტექნიკური კურსებისთვის. სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულაციურ გარემოში და ავტომატური შეფასების სისტემის დახმარებით, იღებენ უკუკავშირს თავიანთი მიღწევების შესახებ.

ტექსტებისა და მასალების შექმნის სისტემები (Text-to-Lesson Generators) ზოგიერთ AI-ს შეუძლია ტექსტების საფუძველზე შექმნას გაკვეთილები, შინაარსები და სავარჯიშოები. სისტემას შეუძლია მოცემული თემის შესახებ ძირითადი ფაქტების და კონცეპტების გენერაცია და სტრუქტურირებულ ფორმატში წარმოდგენა. **მაგალითად Content Technologies, Inc.**-ეს კომპანია იყენებს AI-ს, რათა ხელი შეუწყოს პედაგოგებისთვის საგანმანათლებლო მასალების სწრაფად შექმნას. მათი სისტემა ავტომატურად ქმნის ტექსტებს, სავარჯიშოებს და კურსების შინაარსს.

3. დასკვნა

AI ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესის გამარტივებას და გაუმჯობესებას. მათ გამოყენებას შეუძლია გაამდიდროს სტუდენტების გამოცდილება, გააძლიეროს მათი უნარები და სწავლების პროცესში შექმნას პერსონალიზებული პედაგოგიური მიდგომები. AI-ს გამოყენება და ინტეგრაცია ონლაინ სასწავლო პლატფორმებში ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას და მორგებულობას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ისარგებლონ ინდივიდუალური სწავლების პროცესითა და მორგებული სასწავლო კურსებით. ჩატბოტების დანერგვა და გამოყენება ხელს უწყობს განათლების პროცესის მოქნილობას და უწყვეტობას. ამასთან, სტუდენტების ინტეგრირება საგანმანათლებლო პლატფორმებში აუმჯობესებს მათ გამოცდილებას. AI-ს მიერ რესურსების შექმნის ავტომატიზაცია ამცირებს პედაგოგების დატვირთვას, ამაღლებს სწავლის ხარისხს და აადვილებს სწავლების პროცესს. ის უზრუნველყოფს პერსონალიზებულ და მუდმივ მხარდაჭერას სტუდენტებისთვის და ქმნის მოქნილ სასწავლო გარემოს.

კიდევ რამდენიმე პლატფორმა, რომელიც გამოიყენება სწავლა/სწავლების პროცესებში:

1) **Smart Sparrow** – არის ადაპტური სასწავლო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალიზებულ სწავლებას, ინსტრუქტორების მიერ ადაპტური კურსების შექმნისა და კონტროლის გზით. პლატფორმა რეალურ დროში აანალიზებს სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს, ამცნობს ლექტორს სტუდენტის პროგრესის შესახებ და შესაბამისად, ახდენს სწავლის პროცესის ადაპტირებას.

2) **DreamBox Learning** – არის მათემატიკის სასწავლო პლატფორმა, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება პერსონალიზებულ სწავლებაში. DreamBox იყენებს AI-ს, რათა გააანალიზოს მოსწავლის თითოეული მოქმედება, განსაზღვროს ცოდნის დონე და ამის საფუძველზე შეთავაზოს

ინდივიდუალური ამოცანები და სავარჯიშოები. ეს პლატფორმა ხშირად გამოიყენება დაწყებითი და საშუალო სკოლის დონეზე.

3) Carnegie Learning – არის საგანმანათლებლო ტექნოლოგიის კომპანია, რომელიც იყენებს AI-ს მათემატიკის სწავლებაში. მისი სისტემა ანალიზს უკეთებს თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს და ინსტრუქტორებს აძლევს ინფორმაციას მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ასევე უზრუნველყოფს პერსონალიზებულ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის ხარვეზების გამოსწორებაში.

4) Socratic by Google – არის უფასო აპლიკაცია, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებით ეხმარება სტუდენტებს თავიანთი დავალებების გადაჭრაში. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელს გადაიღოს ფოტო და მიიღოს დეტალური ახსნა-განმარტება საკითხზე. აპლიკაცია იყენებს ტექსტის ამოცნობის-ოპტიკური სიმბოლოების ამოცნობის (OCR) ტექნოლოგიას და AI-ს, რომ მოიძიოს ახსნა-განმარტების შესაბამისი მასალა.

5) ALEKS (Assessment and Learning in Knowledge Spaces) – იყენებს ადაპტურ ტექნოლოგიას, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს და სთავაზობს ინდივიდუალურ ამოცანებს კონკრეტული ცოდნის გასადრმაველად. პლატფორმა ხშირად გამოიყენება საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში და ეხმარება ინსტრუქტორებს თითოეული სტუდენტის ცოდნის პროგრესის განსაზღვრაში და ხარვეზების გამოვლენაში.

ლიტერატურა:

1. <https://www.edx.org/>
2. <https://www.khanacademy.org/>
3. <https://www.civitaslearning.com/>
4. <https://www.coursera.org/>
5. <https://replika.com/>
6. <https://www.hubert.ai/>
7. <https://quizlet.com/>
8. <https://www.knewton.com/>

Use of artificial intelligence in teaching-learning processes

Ekaterine Rochikashvili, Mzia Kiknadze, Natalia Gabashvili

Georgian Technical University

e.rochikashvili@gtu.ge; m.kiknadze@gtu.ge; n.gabashvili@gtu.ge

Abstract

The use of artificial intelligence is gaining more and more importance in learning/teaching processes. The main direction of the use of AI is the use of adaptive learning platforms for students, for the development of personalized training plans, which is based on the analysis of the achieved results and learning pace, and the identification of knowledge gaps. Other directions are monitoring and analysis of learning progress, development of cooperation and social intelligence, automatic generation of teaching resources, automation of tests and evaluation systems, which significantly saves the teacher's time. An important direction is virtual assistants, communication and support where the chatbot system works effectively. The article discusses the above-mentioned main directions of using artificial intelligence and their real impact on the teaching process and the achieved results.

Keywords: personalized learning, adaptive learning platforms, learning progress monitoring, learning platforms, adaptive assessment system, automatic generation of learning resources, chatbots.

ვირტუალური და განვრცობილი რეალობის (VR/AR) ტრანსფორმაციული გავლენა განათლებაზე და ინდუსტრიაში

მირანდა ღვალაძე, მარიამ ჩხაიძე, ნიკა კაკაურიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ghvaladze.m@gtu.ge, m.chkaidze@gtu.ge, kakauridze.nika@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ვირტუალური და განვრცობილი რეალობის (VR/AR) ცნებები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინდუსტრიაში. ციფრული შინაარსის რეალურ სამყაროში გადაფარვით ან მომხმარებლის მთლიანად ვირტუალურ გარემოში შეყვანით, ვირტუალური და განვრცობილი რეალობა მკვეთრად ცვლის სწავლისა და მუშაობის ტრადიციულ მეთოდებს. მათი ტრანსფორმაციული ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იქმნება ინტერაქტიული და ვიზუალურად მდიდარი გამოცდილება, რომელიც გადალახავს თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებულ განსხვავებებს. განათლებაში AR და VR აძლიერებს სწავლას, სტუდენტებს უზრუნველყოფს იმერსიული გამოცდილებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ საკლასო გარემოს. ეს ტექნოლოგიები გთავაზობს ინოვაციურ გზებს რთული საგნების შესასწავლად, ექსპერიმენტების ჩასატარებლად და პრაქტიკული უნარების მოსაპოვებლად. ინდუსტრიაში, VR და AR რევოლუციას ახდენენ პროცესებში, დიზაინის გაუმჯობესებით და დისტანციური თანამშრომლობის გაადვილებით. აპლიკაციები იწვევს უფრო მეტ ეფექტურობას, ხარჯების შემცირებასა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას. თემის ფარგლებში განხილულია ლიტერატურა, რომელიც სიღრმისეულად აანალიზებს ვირტუალური და განვრცობილი რეალობის მეთოდების ინტეგრაციას განათლებაში და ინდუსტრიაში. ნაშრომში გამოკვეთილია კვლევის ტენდენციები, არსებულ ხარვეზები, უპირატესობები და მიღწევები.

საკვანძო სიტყვები: ვირტუალური რეალობა. VR. განვრცობილი რეალობა. AR.

1. შესავალი

Virtual Reality და Augment Reality ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი განათლებაში არის მათი უნარი, რომ შექმნან იმერსიული სასწავლო (immersive learning) გარემო [1-4]. ტრადიციული სასწავლო მეთოდებისგან განსხვავებით, რომლებიც დიდწილად ეყრდნობიან სახელმძღვანელოებსა და ლექციებს, VR და AR უზრუნველყოფს ინტერაქტიულ და საინტერესო გამოცდილებას, რომელიც სხვადასხვა სწავლის სტილს პასუხობს [5-8]. კერძოდ, კომპანიები, როგორცაა Boeing და Siemens, იყენებენ VR-ს, რათა მოამზადონ თანამშრომლები რთული მოწყობილობების აწყობის პროცესებში და აღჭურვილობის დამუშავებაში. VR-ში ამ ამოცანების სიმულირებით, დასაქმებულებს შეუძლიათ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება რისკისგან თავისუფალ გარემოში.

AR გამოიყენება უსაფრთხოების ტრენინგის გასაუმჯობესებლად სახიფათო ინდუსტრიაში, როგორცაა ნავთობისა და გაზის სექტორი. მაგალითად, AR ყურსასმენებს შეუძლიათ რეალურ დროში მიაწოდოს დასაქმებულებს უსაფრთხოებაზე ინფორმაცია, რაც ეხმარება მათ სახიფათო ამოცანების შესრულებაში. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (NIOSH) კვლევამ აჩვენა, რომ AR-ზე დაფუძნებული ტრენინგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს უსაფრთხოების ნორმების დაცვას და ამცირებს ავარიების რისკს მაღალი საფრთხისას.

ტრენინგის გარდა, VR და AR ასევე გამოიყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში პროდუქციულობისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდებით და დისტანციური თანამშრომლობის ხელშეწყობით, ეს ტექნოლოგიები აძლიერებს ინოვაციას და აუმჯობესებს ოპერაციებს, მაგალითად წარმოების სექტორში AR გამოიყენება

დისტანციური თანამშრომლობის დასახმარებლად. ინჟინრებს და ტექნიკოსებს შეუძლიათ გამოიყენონ AR სათვალეები, რათა ექპერტებს სხვადასხვა ადგილას გაუზიარონ ის, რასაც ხედავენ, და ამ გზით მიიღონ დახმარება კომპლექსური რემონტის ან ინსტალაციის დროს. ისეთმა კომპანიებმა, როგორც Lockheed Martin, დანერგეს ეს მეთოდი, რამაც გამოიწვია შეფერხების დროის შემცირება და პრობლემების ეფექტური მოგვარება. საავტომობილო და აერონავტიკის ინდუსტრიაში, VR რევოლუციას ახსენს დიზაინისა და პროტოტიპების შექმნის პროცესში. კომპანიები, როგორც Ford და Airbus, იყენებენ VR-ს ვირტუალური პროტოტიპების შესაქმნელად, რაც გუნდებს შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლონ დიზაინის ცვლილებებსა და გაუმჯობესებაზე ფიზიკური მოდელების საჭიროების გარეშე.

2.1 აპლიკაციები და პლატფორმები

ბოლო წლების განმავლობაში, მობილური აპლიკაციები სულ უფრო პოპულარული გახდა განათლების სფეროში. სმარტფონებისა და ტაბლეტების საყოვლთაო გავრცელებამ საშუალება მისცა შემუშავებულიყო მრავალფეროვანი საგანმანათლებლო აპლიკაციები, დაწყებული ენის შემსწავლელი პროგრამებიდან საგანმანათლებლო თამაშებამდე დამთავრებული, მაგალითად:

- Google Expeditions არის AR/VR პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაიწყო ვირტუალური სავლე მოგზაურობა. ამ პროგრამის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ კლასის დატოვების გარეშე შეისწავლონ ადგილები, როგორცაა დიდი ბარიერული რიფი, საერთაშორისო კოსმოსური სადგური ან უძველესი ცივილიზაციები. ბირმინგემის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ ვირტუალურ ექსკურსიებში Google Expeditions-ის გამოყენებით, აჩვენეს გაუმჯობესებული ჩართულობა და ინფორმაციის უკეთ შესწავლა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით.

- zSpace გვთავაზობს VR-ისა და AR-ის კომბინაციას, საკუთარი აპარატურისა და პროგრამული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც გამოიყენება ისეთ საგნებში, როგორცაა ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა. პლატფორმა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ურთიერთქმედობა დაამყარონ რთული სისტემების 3D მოდელებთან. კალიფორნიის ირვინის უნივერსიტეტის კვლევამ აჩვენა, რომ zSpace მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტუდენტების STEM კონცეფციების გაგებას პრაქტიკული, ვიზუალური სწავლის გამოცდილების მეშვეობით.

- Labster გვთავაზობს ვირტუალურ სამეცნიერო ლაბორატორიებს, რომლების საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაატარონ ექსპერიმენტი იმიტირებულ გარემოში. ეს აპლიკაცია განსაკუთრებით სასარგებლოა დაწესებულებებისთვის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ლაბორატორიის რესურსებზე შეზღუდული წვდომა. Nature Biotechnology-ში გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებმა, რომლებიც იყენებდნენ Labster's VR ლაბორატორიებს, აჩვენეს სწავლის ეფექტურობის 76%-ით ზრდა ტრადიციულ ლაბორატორიულ პარამეტრებთან შედარებით.

- STRIVS არის VR-ზე დაფუძნებული ტრენინგის პლატფორმა, რომელსაც იყენებენ კომპანიები, როგორცაა Walmart, Verizon და Fidelity თანამშრომლების ტრენინგის პროგრამების გასაუმჯობესებლად. პლატფორმა ახდენს რეალურ სამყაროს სცენარების სიმულაციას, კერძოდ მომხმარებელთა მომსახურების ურთიერთქმედება ან საგანგებო სიტუაციები, რაც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ივარჯიშონ და დახვეწონ თავიანთი უნარები უსაფრთხო გარემოში. PwC -ის კვლევამ აჩვენა, რომ VR-ის გამოყენებით გაწვრთნილი თანამშრომლები ასრულებდნენ დავალებებს 40%-ით უფრო სწრაფად. ამან განაპირობა სამუშაოს შესრულების გაუმჯობესება და ტრენინგის ხარჯების შემცირება კომპანიებისთვის.

- PTC Vuforia არის AR პლატფორმა, რომელიც ინდუსტრიის მუშაკებს საშუალებას აძლევს მიიღონ რეალურ დროში ინფორმაცია და მითითებები AR ყურსასმენების საშუალებით. მაგალითად, ტექნიკოსებს შეუძლიათ ნახონ ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციები კომპლექსური მანქანების შეკეთებისთვის უშუალოდ მათი ხედვის არეში. Deloitte-ის კვლევის მიხედვით, AR-ის გამოყენებამ ინდუსტრიულ გარემოში გამოიწვია შეცდომების 30%-ით შემცირება და მთლიანი პროდუქტიულობის 25%-ით გაუმჯობესება. Vuforia აპლიკაციები ფართოდ გამოიყენება წარმოებაში, კოსმოსურ და საავტომობილო ინდუსტრიებში, სადაც სიზუსტე და ეფექტურობა გადამწყვეტია.


- VirtualShip არის VR-ზე დაფუძნებული სიმულაციური პროგრამა, რომელიც გამოიყენება საზღვაო სწავლებისთვის. ის უზრუნველყოფს რელისტურ გარემოს, სადაც გემის ოპერატორებს შეუძლიათ ივარჯიზონ ნავიგაცია, დოკინგი და სასწრაფო რეაგირება. აშშ-ს საზღვაო ძალები და სხვადასხვა საზღვაო აკადემიები იყენებენ VirtualShip-ს პერსონალის მოსამზადებლად, რეალურ ცხოვრებაში ვარჯიშებთან დაკავშირებული რისკების გარეშე. ირლანდიის ეროვნული საზღვაო კოლეჯის მიერ გამოქვეყნებული კვლევა ხაზს უსვამს, რომ მსმენელებმა რომლებიც იყვნენ VirtualShip-ს, აჩვენეს 60%-ით გაუმჯობესებული შესრულება და გადაწყვეტილების მიღების უნარი, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით გაწვრთნილი.

განვრცობილი და ვირტუალური რეალობის მნიშვნელოვანი წინსვლისა და პოტენციალის მიუხედავად განათლებისა და ინდუსტრიის ტრანსფორმაციაში, რამდენიმე ხარვეზი მაინც აფერხებს, მათ სრულ გავლენას. ხარვეზების აღიარება და აღმოფხვრა აუცილებელია ამ ტექნოლოგიების უწყვეტი ევოლუციისთვის, კერძოდ AR/VR არ არის ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველა რეგიონსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღჭურვილობისა და კონტენტის განვითარების მაღალი ღირებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს ფართო გამოყენებისათვის, განსაკუთრებით მცირე კომპანიებისთვის. გარდა ამისა, ამ ტექნოლოგიების მასშტაბირება მსხვილი ორგანიზაციებისთვის ან მთელი საგანმანათლებლო სისტემებისთვის წარმოადგენს ლოჯისტიკურ და ფინანსურ გამოწვევებს.

2.2. სამეცნიერო კვლევები

სამეცნიერო კვლევებზე არსებობს რამდენიმე მონაცემთა ბაზა, აქედან გამომდინარე, კონკრეტული კვლევისთვის შეირჩა Scopus-ის მონაცემთა ბაზა, სადაც ხელმისაწვდომია საერთაშორისო ჟურნალები განათლების სფეროში. 2022 წლამდე Scopus მონაცემთა ბაზაზე გამოქვეყნებულია ვირტუალურ და განვრცობილ რეალობაზე 5122 დოკუმენტი, რომელიც მოიცავს განათლებასა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში გამოქვეყნებულ სტატიებსა და წიგნებს. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის საგანი განათლების სექტორია, გამოყოფილი იქნა 2195 დოკუმენტი და წლების მიხედვით იკვეთება თუ როგორი აქტუალურია AR და VR მსოფლიოში (სურათი 1).

VR და AR აპლიკაციების ირგვლივ ჩატარებული კვლევა განათლებასა და ინდუსტრიაში თანმიმდევრულად მიუთითებს მათ ეფექტურობაზე სწავლის შედეგებისა და ოპერატიული ეფექტურობის გაძლიერებაში [9,10].



სურ. 1 წლების განმავლობაში გამოქვეყნებული დოკუმენტები გაძლიერებულ და ვირტუალურ რეალობაზე

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოხსენებაში ნათქვამია, რომ VR და AR შეიძლება შექმნან 23 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი 2030 წლისთვის, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა და წარმოება. თუმცა, რჩება გამოწვევები, მათ შორის VR/AR-ის იმერსიული ბუნება, რომელიც ბადებს ეთიკურ კითხვებს მომხმარებლის მონაცემების კონფიდენციალურობისა და ვირტუალურ გარემოში ხანგრძლივი ზემოქმედების ფსიქოლოგიურ ეფექტებთან დაკავშირებით. როგორც AR და VR ტექნოლოგიები განაგრძობს განვითარებას, მოსალოდნელია, რომ მათი აპლიკაციები კიდევ უფრო გაფართოვდეს. მომავალი განვითარება შეიძლება მოიცავდეს უფრო ხელმისაწვდომ და ღრმა ინტეგრაციას ხელოვნურ ინტელექტთან.

2. დასკვნა

განვრცობილი რეალობის და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებს აქვს პოტენციალი, რომ მოახდინოს რევოლუცია განათლების და ინდუსტრიის სექტორში. გარდა ამისა, ეს ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვირტუალურ სამყაროების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს საინტერესო სასწავლო გამოცდილებას. მაგალითად, AR ტექნოლოგია ეხმარება სტუდენტებს ვიზუალიზაციაში რთული ფენომენების შესწავლისას, როგორცაა ატომის სტრუქტურა ან ადამიანის სხეულის ორგანოების ფუნქციონირება, რაც უკეთესად აღიქმება ინტერაქტიული და 3D მოდელების საშუალებით. ასევე, VR უზრუნველყოფს ვირტუალურ გარემოს, სადაც ინდუსტრიაში მყოფებს შეუძლიათ უსაფრთხოდ განახორციელონ რთული სამუშაო პროცესების სიმულაცია და გაიარონ ტრენინგი რეალური დანაკარგების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ AR და VR ტექნოლოგიები დიდ შესაძლებლობებს ქმნიან, ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას, რათა მათი პოტენციალი სრულად გამოვიყენოთ. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის გრძელვადიანი შედეგების შესწავლა, განსაკუთრებით განათლებაში. ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ მოკლევადიან ეფექტებს, გრძელვადიანი შედეგები, როგორცაა ცოდნის შენარჩუნება და უნარების განვითარება ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. კვლევების ნაწილი აჩვენებს, რომ ინტერაქტიული სწავლება აუმჯობესებს ტესტის შედეგებს, თუმცა რამდენად გრძელვადიანია ეს გაუმჯობესება, დამატებით კვლევებს საჭიროებს.

ლიტერატურა:

1. Al-Azawi, 2018, Embedding augmented and virtual reality in educational learning method: Present and future In 2018 9th international conference on Information and communication systems (ICICS), IEEE (2018), pp. 218-222
2. N. Alalwan, L. Cheng, H. Al-Samarraie, R. Yousef, A.I. Alzahrani, S.M. Sarsam Challenges and prospects of virtual reality and augmented reality utilization among primary school teachers: A developing country perspective Studies In Educational Evaluation, 2020.
3. S. Alizadehsalehi, A. Hadavi, J.C. Huang Assessment of AEC students' performance using BIM-into-VR. Applied Sciences, 11 (7) (2021), p. 3225
4. K.H. Cheng, C.C. Tsai. A case study of immersive virtual field trips in an elementary classroom: Students' learning experience and teacher-student interaction behaviors, 2019.
5. University of California, Irvine. (2021). The Effectiveness of zSpace Virtual Learning Platforms in Enhancing STEM Education. UCI Research Bulletin.
6. Cipresso, P., Giglioli, I. A. C., Raya, M. A., & Riva, G. (2018). The past, present, and future of virtual and augmented reality research: A network and cluster analysis of the literature. *Frontiers in Psychology*, 9, 2086.
7. Merchant, Z., Goetz, E. T., Cifuentes, L., Keeney-Kennicutt, W., & Davis, T. J. (2014). Effectiveness of virtual reality-based instruction on students' learning outcomes in K-12 and higher education: A meta-analysis. *Computers & Education*, 70, 29–40.
8. Radianti, J., Majchrzak, T. A., Fromm, J., & Wohlgenannt, I. (2020). A systematic review of immersive virtual reality applications for higher education: Design elements, lessons learned, and research agenda. *Computers & Education*, 147, 103778.
9. სურგულაძე გ., წაწიშვილი დ. ვირტუალური რეალობა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. ISBN 978-9941-8-0626-1. სტუ. „IT-კონსალტინგ სამეცნ. ცენტრი“. თბ., 2018. -112 გვ. https://gtu.ge/book/Surgul_VirtualReality.pdf
10. ჩოგოვაძე გ., სურგულაძე გ., თოფურია ნ., ხარიტონაშვილი მ. ინფორმაციული საზოგადოება და ინტერდისციპლინური სწავლება ციფრული ტექნოლოგიების ბაზაზე. ISBN 978-9941-8-3338-0. მონოგრაფია. სტუ. „IT-კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი“, თბილისი, 2021. -360 გვ. https://gtu.ge/book/Surgu_InfoSociety-21%20new.pdf

The Transformative Impact of Virtual and Augmented Reality (VR/AR) in Education and Industry

Miranda Ghvaladze, Mariam Chkaidze, Nika Kakauridze
Ghvaladze.m@gtu.ge, m.chkaidze@gtu.ge, kakauridze.nika@gtu.ge

Abstract

Virtual and Augmented reality (VR/AR) represent a paradigm shift in the ways people interact with the world and information. Once considered futuristic and niche, VR and AR are now at the forefront of transforming the current educational and industrial landscapes. By overlaying digital content onto the real world or immersing users in entirely virtual environments, augmented and virtual reality significantly alter traditional methods of learning and working. Their transformative power lies in creating interactive and visually rich experiences that bridge the gap between theory and practice. In education, VR and AR enhance learning by providing students with immersive experiences that go beyond the typical classroom environment. These technologies offer innovative ways to study complex subjects, conduct experiments, and acquire practical skills. In industry, VR and AR are revolutionizing processes by improving design and facilitating remote collaboration. Applications lead to greater efficiency, cost reduction, and improved safety. The topic explores literature that deeply analyzes the integration of augmented and virtual reality methods in education and industry. The paper highlights research trends, existing gaps, advantages, and achievements.

Keywords: Augmented Reality (AR); Virtual Reality (VR).

Research of efficiency of parallel programs and systems by improvised means

Tengiz Bakhtadze, Georgian Technical University
t.bakhtadze@gtu.ge

Irakli Rodonaia, International Black Sea University
irakli.rodonaia@ibsu.edu.ge

Abstract

The article discusses three issues of parallel programming:

1. Methodology have been developed for parallel execution time analysis of hyper treads.
2. The identification the random nature of the detection of errors in specific programs as a result of the data race. The essence of the approach lies in the multiple execution of a parallel and serial program on a task of different sizes. Quantitative and temporal real and averaged characteristics of race occurrences are provided for data race detection analysis.
3. The empirical method of determining the share of parallel and serial operations of a computer program is elaborated. Variations of the multi-core acceleration calculation method based on the Amdal formula are analyzed.

All proposed methods is described and Calculation results of program in C++ in Open Mp (Open Multi-Processing) environment of Visual Studio(MS) 22 is presented.

Key words: Hyper treads, parallel programming, C++, Open MP, Data races, Acceleration of multi-core system, Amdal's formula.

1. Introduction

Parallel programming [1-11] is the use of multiple resources, in this case, processors (cores), to solve a problem. This type of programming takes a problem, breaks it down into a series of small steps, provides instructions, and processors (including logic and cores) execute the solutions simultaneously

Visual C++ offers the several technologies that help us create multithreaded and parallel programs that take advantage of multiple cores and use the GPU(Graphics processing unit) for general purpose programming. We settled on OpenMP for three main reasons: 1. Don't care about learning new C++ classes; 2. Has support in MS VS; 3. To convert the program in parallel, it is enough to enable the appropriate compiler mode (option) and add the necessary OpenMP directives to the existing program text.

Research is done for "laptop" HP 250 I5 G3. To find out the number of cores of the computer, the combination of Windows + R and the command msinfo32 are used. In the 10th line of the list of computer parameters: Processor Intel(R) Core(TM) i5-4210U CPU @ 1.70GHz, 2401 Mhz, 2 Core(s), 4 Logical Processor(s). That is, we have 4 logical processors in the computer.

That is, in this case, 4 parallel treads can be executed at the same time. A logical processor is seen by Windows as a processor, and each logical processor can simultaneously execute its own tread of instructions.

2. Main part

➤ Parallel Execution Time Analysis of Hyper Treads for the Open MP Platform Paradigm

Parallel execution of two functions in one program is shown below in two ways.

1. With the section directive
2. with the for directive.

The extended example above discusses the parallel computation of the f1() and f2() functions in two ways: 1. using #pragma omp sections and 2. using #pragma omp parallel for constructs.

To calculate the time of simultaneous execution, the formula is used:

$\min(\text{finish1}, \text{finish2}) - \max(\text{start1}, \text{start2})$, where start1, start2, finish1, finish2 are the start and finish times of the first and second functions, respectively.

For each case, both the total time and the time when both functions were calculated in parallel are calculated. The delay time of the function depends on the random variable and is introduced artificially to make the timing parameters more visible for this small example. Using Printf instead of COUT is a forced step in the parallel region, since COUT inconsistently prints data in the parallel region. Format specifiers are used for input and output purposes in C. Using this concept, the compiler can learn what type of data is in a variable when inputted using the scanf() function and when printed using the printf() function. The program gives the following result:

```
start 1 thread=0 counter=01 num_threads=2 start1=624030.179005  
Thread 0 in function f1.  
start 2 thread=1 counter=02 num_threads=2 start2=624030.180126
```

Thread 1 in function f2.

finish 2 thread=1 counter=03 num_threads=2 finish2=624030.193229

finish 1 thread=0 counter=04 num_threads=2 finish1=624030.193300

using sections elapsedTime = 0.0149301

section parallel time = 0.013103

using sections Answer = 3

Thread 0 in function f1.

Thread 1 in function f2.

using for parallel time elapsedTime = 0.0156071

using for parallel time = 0.015132

parallel for Answer = 3

Let's consider the calculation of the area of the plot bounded by the function from above (calculation of the definite integral by numerical method, sum of rectangles)

The program gives the following result:

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000093.250000

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000076.812500

j= 1 Runtime:0.0194845

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000082.250000

j= 2 Runtime:0.0071731

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000080.062500

j= 3 Runtime:0.0049258

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000107.437500

j= 4 Runtime:0.0053797

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000099.500000

j= 5 Runtime:0.0053167

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000092.375000

j= 6 Runtime:0.0046483

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000097.500000

j= 7 Runtime:0.0051622

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000093.250000

j= 8 Runtime:0.0037087

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000096.687500

j= 9 Runtime:0.0047656

For 550000 steps the area of the integral $3 * x^2 + 1$ from 1.000000 to 100.000000 is: 1000096.000000

j= 10 Runtime:0.0050457 In the above results, the variable j indicates the number of threads. As can be seen from the example, in the case of 8 threads, the task is solved in the shortest time. Note that the results will be slightly different at different times, depending on the state of the computer's data. The final result does not depend on the number of threads and is the same with great accuracy. In the case of one million, 2 or 3 units do not matter. The equation of the circle is: $3 * x^2 + 1$ (parabola), between 1.0 and 100.0. Number of steps is 550000. private(i) - declares variable i for all threads as private. The Reduction attribute specifies that one or more variables (in the list, in our case only 1) that are private to each thread, are the subject of a reduction operation at the end of the parallel region. then.

➤ Data race analysis and handling research in the OpenMP paradigm

Data races are among the most difficult types of bugs in software [3]. Analyzing the interaction of time and flows is an inherently complex problem.

A race condition occurs when two different threads asynchronously write to the same memory.

However, using OpenMP incorrectly can cause errors in the application.

Causes of Data Race: 1. Missing Data Sharing Directive; 2. Dependencies implemented in the cycle; 3. SIMD race; 4. Synchronization issues; 5. The sequence of commands depends on the number of threads. There are two known approaches to data race detection: 1. Static; 2. Dynamic.

When using the static method, the source code is provided at the system entrance and conclusions are made based on its text analysis, the dynamic method involves multiple execution of the program and conclusions are made based on it.

Both approaches use quite complex systems and are often tailored to specific compilers. For example, LLVM (Low Level Virtual Machine).

The approach presented in the article belongs to the second type. In general, it does not depend on a specific compiler and a specific language and platform. OpenMp is considered as an example only. It does not require the use of special complex software. In principle, it can be used for any parallel programming technology.

The paper substantiates the random nature of the detection of errors in specific programs as a result of the data race. Dependence of error detection on task size is calculated. Calculated corresponding execution times in nanoseconds using state-of-the-art class. The essence of the approach lies in the following. Let's imagine the task A, which can be implemented in a serial (non-parallel) way and in parallel. respectively with P1 and P2 programs. Let's denote the results as R1 and R2 respectively. Let's denote the size of the data by N. execution time with T1 and T2 respectively. Naturally, if the task is correctly programmed, the result of serial and parallel computation should be the same. If there is no data race error, then for P1 and P2, $R1 = R2$ and, as a rule, for sufficient N, $T1 < T2$. Practice shows that race errors are not detected immediately after the first run. For this, N needs to be increased, since for a small value of N, the error may not be detected in many runs. For a sufficiently large value of N, the result becomes stable over many runs. That is, $R1 = R2$ or $R1 \neq R2$. In case of inequality, a race error occurs. To determine the cause of the race, we need to remove the parallel constructs from P2. By running programs that will give us the result $R1 = R2$, there was a reason for that construction. The following means can be used for synchronizing individual constructions.

The author has constructed a program for researching this problem.

For 200 elements, the program gives the following result:

```
*****
start zoma:200
h :10 kk :5 M:20
k  ii  zoma  omp<>serial  OmpDuration  SerialDuration
1  1  200  omp<ser  9300  17200
2  1  190  omp<ser  8300  14900
3  1  180  omp<ser  5600  14200
4  1  170  omp<ser  5600  13900
5  1  160  omp<ser  7700  14700
6  1  150  omp<ser  8000  14000
7  1  140  omp<ser  6200  11700
8  1  130  omp<ser  7800  11900
9  1  120  omp<ser  7500  10700
10 1  110  omp<ser  5300  8300
11 1  90  omp<ser  5200  8100
12 1  70  omp<ser  4500  7000
13 1  60  omp<ser  4900  5500
14 1  50  omp>ser  5600  4800
15 1  30  omp>ser  4200  2600
16 2  200  omp<ser  6900  18200
17 2  190  omp<ser  6800  17200
18 2  180  omp<ser  5500  14300
19 2  170  omp<ser  7100  15300
20 2  160  omp<ser  5500  14300
      ii  AvarageZoma  omp<>serial  AvarageOmpDuration  AvarageSerialDuration
1      123      omp<ser  6380  10633
2      185      omp<ser  6575  16250
```

In the above printout: Oma- is array size, omp and ser are the parallel and serial execution times of programs, respectively, h- is step to change size, M- is the maximum number of possible searches specified for distinct results. k- is the counter of the number of different results. ii- is the specified maximum number of program runs without recompilation, AvarageZoma, AvarageOmpDuration, AvarageSerialDuration are the average values of the size, parallel and serial execution respectively.

As can be seen from the results, in order to achieve 20 races with 200 elements at a size change of step 10, we needed to automatically run the program 2 times. Parallel execution time was found to be higher than serial in case of size 50 and 30.

In the case of 10 elements:

```

*****
start zoma:10
h :1 kk :5 M:4
k  ii  zoma  omp<>serial  OmpDuration  SerialDuration
1  1    9  omp>ser      4300        1100
2  2   10  omp>ser      4000        1300
3  2    9  omp>ser      3900         900
4  3    9  omp>ser      4100        1100
ii  AvarageZoma  omp<>serial  AvarageOmpDuration  AvarageSerialDuration
1   9            omp>ser      4300        1100
2   9            omp>ser      3950        1100
3   9            omp>ser      4100        1100

*****
start zoma:10
h :1 kk :5 M:15
k  ii  zoma  omp<>serial  OmpDuration  SerialDuration
1  1   10  omp>ser      6600       1600
2  1    8  omp>ser      5400        900
3  1    7  omp>ser      5400        800
4  2    7  omp>ser      4900        700
5  3   10  omp>ser      4200       1000
6  3    8  omp>ser      4900        900
7  4    6  omp>ser      5200        700
8  5    7  omp>ser      4900        700
ii  AvarageZoma  omp<>serial  AvarageOmpDuration  AvarageSerialDuration
1   8            omp>ser      5800       1100
2   7            omp>ser      4900        700
3   9            omp>ser      4550        950
4   6            omp>ser      5200        700
5   7            omp>ser      4900        700

```

As can be seen from the examples, even in the case of a small number of elements, a data race appears, and the serial execution time is shorter. i.e. There is no point in parallel programming. The given program allows for a lot of variation, but we are limited in demonstrating the results due to the volume of the article.

➤ **Method for determining the proportion of parallel operations of a computer program to evaluate the acceleration of multiprocessor and multicore systems.**

There is a huge interest in evaluating multi-core and multi-processor system acceleration and efficiency, as evidenced by numerous publications. Some of them are cited in [2,5,6,9,11]. All approaches use either a parallel or serial part of the program, with an unequivocal dependency between them. If the parallel part is f, then the series part is 1-f and vice versa. Thus, defining this parameter is an important task, given the diversity of programming languages and platforms.

One of the variants of the basic formula of Amdali's law[11] is $s = T1/Tp = 1 / (1 - f + f/p)$, where S is the acceleration of the process, T1 is the execution time of the program in serial mode, Tp is the execution time of the program in parallel mode, f(0<f<1) is the proportion of the program that can be done in parallel, p is the speed coefficient of the parallel part, that is, the number of processors or cores. Actually s,f,p are functions of two variables s(f,p),f(s,p),p(s,f). Two more formulas for determining f and p follow from this formula. In particular

$$f=(1/s-1)/(1/p-1) \text{ and } p=f/(1/s+f-1).$$

Based on the above formulas, we conclude that in the case of a fixed number of cores, the acceleration s is directly proportional to the parallel part of the program f. f is directly proportional to s, and given s and p uniquely determine p.

These formulas do not take into account the resource, i.e. the time required to organize a parallel process, so we should actually consider inequalities instead of equalities. In the Internet space and educational literature, where the estimation of acceleration by Amdali's formula is given, everywhere f is given and the acceleration

is calculated for a specific p . Nowhere is it discussed in detail how to determine f . If we determine f for a particular architecture, it allows us to estimate, without actual physical experimentation, how the process will speed up if cores are added. Two approaches can be used to estimate f . Based on the verification of the first program, determine p . Second – determine empirically the ratio $T1/Tp$ and use the appropriate formula.

The first approach is very attractive at first glance, but in reality its implementation is possible only for a very simple program, since each type of operation has its own weight and it is very difficult to take into account. Additionally, no software was found that would do this automatically. Actually, an analyzer should be created for each language and operating system, which is not done.

The essence of the second approach, which is proposed in the article, is as follows:

1. We determine the number of specific processors or cores;
2. Run the program in serial mode and set $T1$;
3. We run the program in parallel mode and set Tp so that all cores are taken into account. In the case of threads, their number must be equal to the number of cores;
4. We calculate $T1/Tp$ and its mean f ;
5. We repeat points 1-4 several times for different sizes of the task;
6. We determine the maximum, minimum and average values of f ;
7. We used the established values to estimate the acceleration in case of adding cores.

The proposed method does not depend on a specific programming language and parallelization technology. It is just necessary to know the number of cores of the computer on which we perform the calculations. Also, serial and parallel versions of the program. The parallel option should consider the number of cores. The simplest program consisting of two similar cycles, differing only in size, is taken as a test option. A parallel cycle is twice as long as a serial cycle. Therefore, determining the parallel share for this program is very easy through verification. The parallel part is $2/3$, and the serial part is $1-2/3=1/3$, respectively.

Below is the full text of the c++ program to implement these bugs.

The results of the program are shown in the table below.

Start - the beginning of the cycle, End - the end of the cycle, $T1$ - the serial execution time in milliseconds, Tp - the parallel execution time in milliseconds, s - the acceleration of the system, f - the parallel fraction of the program.

Start	End	$T1$	Tp	s	f
10	2560	26	22	1.181818	0.205128
5120	40960	338	268	1.261194	0.276134
81920	1310720	13725	9736	1.409716	0.387517
2621440	2621440	27557	17894	1.540013	0.467540
5242880	5242880	51626	40120	1.286790	0.297163
10485760	10485760	103060	64008	1.610111	0.505233
20971520	20971520	213427	125451	1.701278	0.549609
41943040	41943040	386900	233664	1.655796	0.528081
83886080	83886080	617049	406533	1.517833	0.454888
167772160	167772160	1220465	784262	1.556195	0.476543
335544320	335544320	2401245	1560358	1.538906	0.466917
671088640	671088640	4694493	2983683	1.573389	0.485906

$f_a=0.666667$ actual, when $SA=2.0$, $f_{Average}=0.367097$, $f_{min}=0.079128$, $f_{max}=0.664924$

For this example, the share established by verification, i.e. $2/3$ $SA=2.0$ acceleration without taking into account parallelization resources, the experimental value of the parallel part of the program, the average, minimum and maximum values are respectively $f_{Average}$, f_{min} , f_{max} .

As can be seen from the data, the maximum value of the experimental fraction is the closest to the real fraction. It can be seen from the table that it makes sense to switch to parallel mode when the value of the cycle is 2560. Under the given conditions up to this value, it takes more time to organize parallelism than to run the program in serial mode. All this is taken into account by the given program under the condition $T1 \leq Tp$. The program is run multiple times for different values of the cycle. Each subsequent cycle, the upper parameter is doubled.

These values can be used to predict the actual speedup when adding cores/processors for any given program without physical experimentation. $T_{total}=15.600390$ seconds - is the total execution time of the

program in seconds, as verified by Visual Studio (Debug performance profiler) and shown in the graph below.




Fig.1.

This graph additionally confirms the reality of the conducted experiment.

2. Conclusion

The proposed three methodologies are general in nature and applicable to any programming languages and platforms.

1. Methodology for parallel execution time analysis of hyper threads and development of 2 programs.

It makes it possible to estimate the parallel execution time and identify the optimal number of threads.

2. The method for analyzing data race detection provides quantitative and temporal real and average characteristics of data race occurrence.

3. Method to determine the share of parallel operations, in the future to evaluate the effectiveness of adding new processors.

As an example, all programs the results of which are given in this article were written in C++ in OpenMP (Open Multi-Processing of Visual Studio (MS) 22). Calculations and analysis of their results indicate the adequacy of these approaches.

References:

1. OpenMP Architecture Review Board. 2015. OpenMP Application Programming Interface Version 4.5. <https://www.openmp.org/wp-content/uploads/openmp-4.5.pdf>. (2015).
2. Accelerator PGI. 2018. PGI Accelerator Compilers with OpenACC Directives. <https://www.pgroup.com/resources/accel.htm>. (2018).
3. S. Atzeni, G. Gopalakrishnan, Z. Rakamarić, I. Laguna, G. L. Lee, and D. H. Ahn, "Sword: A bounded memory-overhead detector of OpenMP data races in production runs," in Proceedings of the 32nd IEEE International Parallel and Distributed Processing Symposium (IPDPS). IEEE, 2018, to appear.
4. C. Bertolli, S. Antao, G. Bercea et al., "Integrating GPU support for OpenMP offloading directives into Clang," in Proceedings of the Second Workshop on the LLVM Compiler Infrastructure in HPC. ACM, 2015, p. 5.
5. E. L. J. Ozen, G. Ayguade, "On the Roles of the Programmer, the Compiler and the Runtime System When Programming Accelerators in OpenMP," in Using and Improving OpenMP for Devices, Tasks, and More. Springer, 2014, pp. 215–229.
6. C. Liao, Y. Yan, B. de Supinski et al., "Early Experiences with the OpenMP Accelerator Model," in OpenMP in the Era of Low Power Devices and Accelerators. Springer, 2013, pp. 84–98.
7. S. McIntosh-Smith, J. Price, R. Sessions, and A. Ibarra, "High Performance in Silico Virtual Drug Screening on Many Core Processors," International Journal of High-Performance Computing Applications, pp. 119–134, 2014.
8. M. Martineau, S. McIntosh-Smith, M. Boulton, and W. Gaudin, "An Evaluation of Emerging Many-Core Parallel Programming Models," Accepted to 7th International Workshop on Programming Models and Applications for Multicores and Many cores, 2016.
9. S. Wienke, C. Terboven, J. C. Beyer, and M. Muller, "A Pattern-Based Comparison of OpenACC and OpenMP for Accelerator Computing," in Euro-Par 2014 Parallel Processing. Springer, 2014, pp. 812–823.
10. A. Hart, "First Experiences Porting a Parallel Application to a Hybrid Supercomputer with OpenMP 4.0 Device Constructs," in OpenMP: Heterogeneous Execution and Data Movements: 11th International Workshop on OpenMP, IWOMP 2015, Proceedings, 2015, pp. 73–85.

11. Amdahl, Gene M. (1967). "Validity of the Single Processor Approach to Achieving Large-Scale Computing Capabilities" (PDF). AFIPS Conference Proceedings (30): 483–485. doi:10.1145/1465482.1465560. S2CID 195607370.

პარალელური პროგრამებისა და სისტემების ეფექტურობის კვლევა იმპროვიზირებული საშუალებებით

თენგიზ ბახტაძე¹, ირაკლი როდონაია²
1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
t.bakhtadze@gtu.ge , irakli.rondonaia@ibsu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პარალელური დაპროგრამების სამი საკითხი.

1. ჰიპერ ძაფების პარალელური შესრულების დროის ანალიზის მეთოდოლოგია.
2. მონაცემთა რბოლის შედეგად კონკრეტულ პროგრამებში შეცდომების შემთხვევითი ხასიათის იდენტიფიკაცია. მიდგომის არსი მდგომარეობს პარალელური და სერიული პროგრამის მრავალჯერადი შესრულებაში სხვადასხვა ზომის ამოცანაზე. განსაზღვრულია რბოლის გამოვლენის რაოდენობრივი მიმდინარე და საშუალო მახასიათებლები.
3. კომპიუტერული პროგრამის პარალელური და სერიული მოქმედებების წილის განსაზღვრის ემპირიული მეთოდი. გაანალიზებულია ამდალის ფორმულაზე დაფუძნებული მრავალბირთვიანი აჩქარების გაანგარიშების მეთოდის ვარიაციები.

აღწერილია ყველა შემოთავაზებული მეთოდი და წარმოდგენილია პროგრამების C++-ში Visual Studio(MS) 22-ის Open Mp (Open Multi-Processing) გარემოში გაანგარიშების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ჰიპერ ნაკადები, პარალელური დაპროგრამება, C++, Open MP, მონაცემთა რბოლა, მრავალბირთვიანი სისტემის აჩქარება, ამდალის ფორმულა.

უსადენო ქსელების უსაფრთხოების სისტემების პრობლემების გადაწყვეტის გზები

ზეზურ ბერიძე¹, ზურაბ ზაქარაძე²
1-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2-ბათუმის N 6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
zazaber@mail.ru, kancelaria6@gmail.com

რეზიუმე

განხილულია უსადენო ქსელების მნიშვნელობის საკითხები ადამიანთა ცხოვრებაში. სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი - სამსახურში, სახლში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დიდ როლს თამაშობს. თუნდაც მაშინ, როცა უსადენო ქსელი იქმნება მარტივი მიზნით - უზრუნველყოს კავშირი ადამიანსა და ინფორმაციის წყაროს შორის სადენების გამოყენების გარეშე, საჭიროა გავერკვეთ უსადენო ქსელების ძირითად კონცეფციაში, განვიხილოთ მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები, შემდეგ კი ვნახოთ, თუ როგორ მუშაობს ისინი და რა სარგებლობა შეუძლია მოიტანოს ამა თუ იმ შემთხვევებში.

საკვანძო სიტყვები: უსადენო ქსელები, უსადენო ქსელების უსაფრთხოება, უსადენო ტექნოლოგიები, ინფორმაციის გადაცემის არეალი, უსადენო გლობალური ქსელი.

1. შესავალი

დღეისათვის უსადენო ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება მთელ სამყაროში, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა დიდი რაოდენობის საკომუნიკაციო მოთხოვნები. უსადენო ტექნოლოგიების არსებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი გააჩნია. უსადენო მოწყობილობების ფასი საგრძნობლად შემცირდა, რაც მომსახურების პროვაიდერს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად შეამციროს უსადენო სერვისის ღირებულება და იგი მეტად მისაწვდომი გახადოს მომხმარებლისათვის.


როგორც ჩვეულებრივი ქსელები, რომლებიც დაფუძნებულია სადენების გამოყენებაზე, ასევე უსადენო ქსელებიც, ინფორმაციას გადასცემს კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის. ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იქნას სხვადასხვა სახით: ელექტრონული ფოსტა, WEB-გვერდი, მონაცემთა ბაზების ჩანაწერები, ვიდეოს ნაკადი ან ხმოვანი შეტყობინება. უმრავლეს შემთხვევაში უსადენო ქსელები მონაცემებს (data) გადასცემს ელექტრონული ფოსტის საშუალებით და ფაილების სახით. უსადენო ქსელების მახასიათებლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ვიდეოსიგნალების გადაცემა, აგრეთვე სატელეფონო კავშირების უზრუნველყოფა.

მომხმარებლების, სერვერებისა და მონაცემთა ბაზების ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად უსადენო ქსელები, როგორც გადამცემი საშუალება, იყენებს რადიოტალღებს ან ინფრაწითელ დიაპაზონს. ინფორმაციის გადაცემის ეს არეალი უხილავია ადამიანისათვის. დღეისათვის მწარმოებლების უმრავლესობა ქსელური ინტერფეისის პლატებს, რომლებიც ქსელური ადაპტერების სახითაა ცნობილი და ანტენებს კომპიუტერულ მოწყობილობებში ინტეგრირებას უკეთებენ ისეთი სახით, რომ ისინი შეუმჩნეველია მომხმარებლებისათვის. ყოველივე ეს უსადენო მოწყობილობას უფრო მობილურს და მოხერხებულს ხდის გამოყენებაში.

2. ძირითადი ნაწილი

უსადენო ქსელებს, რომლებიც უზრუნველყოფს კავშირს სხვადასხვა ზომის ფიზიკურ ზონაში, ყოფენ სხვადასხვა კატეგორიებად: - უსადენო პერსონალური ქსელი; - უსადენო ლოკალური ქსელი; - უსადენო რეგიონალური ქსელი; - უსადენო გლობალური ქსელი;

უსადენო პერსონალური ქსელები გამოირჩევა ინფორმაციის პატარა მანძილზე გადაცემით, რაც მათ იდეალურს ხდის შენობის პატარა ტერიტორიაზე ან "პერსონალურ ზონაში" გამოსაყენებლად. ბევრ სიტუაციაში უსადენო პერსონალური ქსელები წარმატებით ცვლის სადენიან ქსელებს (ნახ. 1).



ნახ. 1. უსადენო პერსონალური ქსელი უზრუნველყოფს კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის ინფორმაციის გადაცემას მოკლე მანძილზე

ასეთი სახის ქსელს შეუძლია უზრუნველყოს, მაგალითად, მონაცემთა უსადენო სინქრონიზაცია PDA მომხმარებელზე და მის პერსონალურ კომპიუტერზე ან ნოუთბუქზე. ანალოგიურად შესაძლებელია უსადენო კავშირი პრინტერთან. კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის სადენიანი ქსელებით შეერთების უსადენო ქსელებით შეცვლა მეტად სერიოზული

უპირატესობაა, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს კომპიუტერული მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებს, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი სხვა ადგილას გადატანის დროსაც.

უსადენო რეგიონალური (ქალაქური) ქსელები ემსახურება ქალაქში შემავალ ზონებს. უმრავლეს შემთხვევაში სისტემის რეალიზაციის დროს საჭიროა ფიქსირებული შეერთება. მაგალითად, საავადმყოფოში ასეთი ქსელი უზრუნველყოფს ძირითად კორპუსსა და მოცილებულ კლინიკებს შორის მონაცემთა გადაცემას. ასევე, ენერგეტიკულ კომპანიას ქალაქის მასშტაბით შეუძლია გამოიყენოს ასეთი ტიპის ქსელები ძირითად შენობასა და მოცილებულ ენერგეტიკულ პუნქტებს შორის დასაკავშირებლად. შედეგად, უსადენო რეგიონალური ქსელები დააკავშირებს არსებულ ქსელურ ინფრასტრუქტურებს, ან საშუალებას მისცემს მობილურ მომხმარებლებს დაუკავშირდნენ უკვე არსებულ ქსელურ ინფრასტრუქტურას.

უსადენო ინტერნეტის მომსახურების მომწოდებლები მომხმარებლებს ქალაქის მასშტაბით წარმოუდგენენ უსადენო რეგიონალურ ქსელებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუდმივ უსადენო კავშირს მოცილებულ შენობებს შორის. მსგავს ქსელებს გააჩნია არსებითი უპირატესობა ჩვეულებრივ სადენიან ქსელებთან შედარებით, როგორცაა, მაგალითად, ციფრული სააბონენტო ხაზები, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მისი დამონტაჟება დიდ ეკონომიურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

უსადენო გლობალური ქსელები უზრუნველყოფს ინფორმაციასთან წვდომას ქვეყნისა და კონტინენტის მასშტაბით. უსადენო გლობალურ ქსელებს აქვს მოქმედების შეუზღუდავი არეალი, რომელიც უზრუნველყოფილია სატელეკომუნიკაციო კომპანიების მიერ.

სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მიერ მიღწეული შეთანხმებები როუმინგთან დაკავშირებით შესაძლებელს ხდის კავშირების დიდ მანძილზე დამყარებას და უზრუნველყოფს მონაცემების სწრაფ გადაცემას მობილურ მომხმარებლებს შორის. მხოლოდ ერთ სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან ანგარიშსწორების შემდგომ მომხმარებელს უსადენო გლობალური ქსელების მეშვეობით მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია კავშირის დამყარება ინტერნეტის სხვადასხვა მომსახურებებთან.

სპეციალური სისტემები, რომლებიც ახასიათებს უსადენო გლობალურ ქსელებს, უზრუნველყოფს მომხმარებლის წვდომას ინტერნეტთან, კორპორატიულ სისტემებთან და ელექტრონული ფოსტის მიღება-გადაცემას, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფება მომხმარებელი - ოფისში, სახლში თუ შენობის გარეთ. მაგალითად, ქსელის აბონენტებს თავისუფლად შეუძლიათ დაამყარონ კავშირი ტაქსით მგზავრობის ან ქალაქში გასეირნების დროსაც. უსადენო გლობალურ ქსელებს შეუძლიათ ფუნქციონირება ისეთი ადგილებიდან, საიდანაც სხვა ტიპის ქსელებისთვის წვდომა შეუძლებელია, რის გამოც მომხმარებელი ტერიტორიულად შეზღუდული არ არის.

უსადენო ლოკალური ქსელები მარტივად უზრუნველყოფს იმ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მაღალი დონის სისტემების უწყვეტად შესრულებისათვის. ასეთი ქსელის მომხმარებლებს სერვერიდან შეუძლიათ მიიღონ დიდი მოცულობის ელექტრონული ფოსტა ან ვიდეოს ნაკადი. უსადენო ლოკალური ქსელები სრულიად აკმაყოფილებს ყველა საოფისე სისტემის მოთხოვნებს.

უკანასკნელ ხანებში უსადენო ქსელებში უსაფრთხოება და მომსახურების ხარისხი უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტიური კვლევის საგანი გახდა, რის მიზეზსაც მონაცემთა პაკეტების გადაცემის მხარდაჭერის მზარდი მოთხოვნა წარმოადგენს [1]. ადექვატური უსაფრთხოების გარეშე ორგანიზაციები თავს აარიდებენ უსადენო ქსელების გამოყენებას. უსაფრთხოების საკითხები უსადენო ქსელებში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ასეთი ქსელების ფართოდ ადაპტირებისთვის. შესაბამისად, მსგავსი უსადენო ქსელების უსაფრთხოება

მნიშვნელოვანი სფეროა, რაც რეაგირებას მოითხოვს, თუკი ასეთი ქსელები ფართოდ იქნება გამოყენებული. აუცილებელია, რომ აღნიშნული სფეროს მკვლევარებმა მოახდინონ ღია პრობლემების იდენტიფიცირება და უზრუნველყონ შესაბამისი გადაწყვეტილებები ამ პრობლემებისთვის. თითოეული ასეთი მცდელობა უსადენო ქსელს ოდნავ უფრო უსაფრთხოს ხდის. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ის, რომ შემუშავდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც აამაღლებს უსადენო ქსელების უსაფრთხოებას და მისი საშუალებით მოხდება მოცილებული სამუშაო ადგილების მართვა.

უსაფრთხოება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია უსადენო ქსელებისათვის, ვინაიდან გარემოში გავრცელებული საკომუნიკაციო სიგნალები ხელმისაწვდომია დასაჭერად. აქედან გამომდინარე, კომპანიებმა და ინდივიდუალურმა მომხმარებლებმა უნდა შეიცნონ პოტენციურად არსებული პრობლემები და მიიღონ შესაბამისი ზომები [2].

ნებისმიერ სისტემას, რომელსაც დაცვა სჭირდება, გააჩნია სისუსტეები ან ხარვეზები, რომელთა ნაწილს ან ყველას ერთად ამოირჩევს თავდამსმხმელი ობიექტად. შესაბამისად, სისტემის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს განხილვა იმ საფრთხეებისა და სავარაუდო თავდასხმებისა, რომელთა წინაშე დგას სისტემა, იმის გათვალისწინებით, რომ სისტემას ხარვეზები გააჩნია. უსაფრთხოების მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ სისტემის უსაფრთხოება მოცემული საფრთხეების, თავდასხმებისა და ხარვეზების გათვალისწინებით.

უსადენო ქსელების უსაფრთხოება საგრძნობლად განსხვავდება მათი სადენიანი ანალოგის უსაფრთხოებისაგან, რის მიზეზსაც ფიზიკური გარემოს ბუნება წარმოადგენს. უსადენო გარემოში კავშირისას გადაცემული და მიღებული სიგნალები ჰაერში მოგზაურობს. შესაბამისად, ნებისმიერ კვანძს, რომელიც გამგზავნი კვანძის გადაცემის დიაპაზონში მდებარეობს და იცის საოპერაციო სიხშირე და სხვა ფიზიკური დონის ატრიბუტები (მოდულაცია, კოდირება და ა.შ.), პოტენციურად შეუძლია სიგნალის გაშიფრვა იმგვარად, რომ გამგზავნს ან სავარაუდო მიმღებს არაფერი ეცოდინება აღნიშნული შეჭრის შესახებ. საპირისპიროდ ამისა, საკაბელო ქსელებში მსგავს შეჭრას ადგილი შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევისას, თუ თავდამსმხელისთვის მისაწვდომი გახდება გადაცემის ფიზიკური საშუალება (სადენი, ბოჭკო და ა.შ.), რისთვისაც, როგორც წესი, აუცილებელია ასეთ საშუალებასთან მიერთება. ვინაიდან უსადენო ქსელები არ არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებულ რესურსებზე, როგორცაა დენის სტაბილური წყარო, მაღალი სიხშირე, უწყვეტი კავშირი ან უცვლელი მარშრუტიზირება, მათ მიმართ თავდასხმების განხორციელება საკმაოდ ადვილია.

მაგალითად, გამოცდილ ჰაკერს ან სულაც შემთხვევით სნუპერს პროგრამული საშუალებების გამოყენებით შეუძლია ადვილად მოიძიოს უსადენო ქსელის დაუცველი პაკეტები და მთლიანად გახსნას მასში არსებული მონაცემები. მაგალითად, სნუპერებს, რომლებიც იმყოფებიან რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებით შენობიდან, სადაც ფუნქციონირებს უსადენო ლოკალური ქსელი, შესწევთ ძალა მოიძიონ ყველა ტრანზაქცია, რომელიც სრულდება უსადენო ქსელის ნაწილში. რა თქმა უნდა, ძირითადი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ შეტევების შედეგად ვიღაცას შეიძლება ხელში ჩაუვარდეს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორცაა მომხმარებლების სახელები და პაროლები, კრედიტ-კარტების ნომრები და სხვა.

ამ პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს იმაში, რომ მინიმუმ მოხდეს იმ ინფორმაციის დაშიფვრა, რომელიც გადაეცემა უსადენო მოწყობილობებსა და საბაზისო სადგურებს შორის. დაშიფვრის პროცესის დროს მონაცემთა ბიტები იცვლება საიდუმლო გასაღების დახმარებით. რადგანაც გასაღები საიდუმლოა, ჰაკერს არ შეუძლია მონაცემების გაშიფვრა. აქედან გამომდინარე, ეფექტური მექანიზმების გამოყენების ხარჯზე დაშიფვრას შეუძლია აამაღლოს მონაცემთა დაცულობა.

3. დასკვნა

ოპერაციული სისტემა Windows საშუალებას იძლევა ადვილად დამყარდეს კავშირი უსადენო ქსელებთან, განსაკუთრებით საერთო კავშირის მქონე ქსელებთან. როდესაც ნოუთბუქი

მიგბემა უსადენო ლოკალურ ქსელს, მის მფლობელს შეუძლია შეაღწიოს ნებისმიერ სხვა ნოუთბუქში, რომელიც ჩართულია იმავე უსადენო ლოკალურ ქსელში. თუ არ არის გამოყენებული პერსონალური ბრანდმაუერი, ნებისმიერს შეუძლია გაეცნოს ასეთი ნოუთბუქის მყარ დისკზე არსებულ ყველა ინფორმაციას, რაც წარმოადგენს უზარმაზარ საფრთხეს.

უსადენო ქსელის დაცვა შესაძლებელია გარედან რადიოსიგნალების შეღწევისაგან შენობის წინააღმდეგობის გაწევის უნარის უზრუნველყოფის გზით. არსებობს ზოგიერთი რეკომენდაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შენობაში რადიოსიგნალების ნაკადის შემცირება:

- თუ შენობის შიდა კედლებს გაჩნია ლითონის გამძლე ზედაპირი, სასურველია მოხდეს მისი დამიწება;

- სასურველია დაყენდეს თერმოიზოლაციის მქონე ფანჯრები და მოხდეს მისი მოლითონება;

- შენობის შიდა და გარე კედლებზე გამოყენებული იქნას ლითონის მინარევის საღებავი;

- მოხდეს გადამცემის სიმძლავრის დარეგულირება ისეთი სახით, რომ მთლიანად გამოირიცხოს სიგნალის გაჟონვა, ან მისი დონე დაიწიოს ისეთ მნიშვნელობამდე, რომ შესაძლებელი იქნეს ჰაკერის ადვილად გამოვლინება.

ლიტერატურა:

1. Didmanidze I., Beridze Z., Geladze N. Routing Security Enchantment in Wireless Local Area Networks. XXX international conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES (PDMU-2017). ABSTRACTS. August 14-19, 2017, Vilnius, Lithuania. p. 39.

2. Didmanidze I., Beridze Z. The Analysis of Wireless Network Security. 12th International Conference THEORETIKAL AND APPLIED ASPECT OF PROGRAM SYSTEMS DEVELOPMENT. TAAPSD'2015. Proceeding. 23-26 December 2015 y. Kiev. p. 206-207.

3. G. Chogovadze, G. Gogichaishvili. G.Surguladze, T. Sherozia, O. Shonia – „Projecting and construction of computer-aided systems“ Tbilisi, 2001

Ways to solve problems of security systems of wireless networks

Zebur Beridze¹, Zurab Zakaradze²

1-Batumi Shota Rustaveli State University

2-Batumi N 6 Physics-Mathematics Public School

zazaber@mail.ru, kancelaria6@gmail.com

Abstract

Wireless networks play a major role in people's lives, no matter where they are - at work, at home or in public places. Even when a wireless network is created with a simple goal - to provide a connection between a person and an information source without the use of wires, it is necessary to understand the basic concept of wireless networks, consider the security issues associated with it, then we will see how they work and what benefits they can bring in these or those cases.

Key Words: wireless networks, security of wireless networks, wireless technologies, information transmission area, wireless global network.

ციფრულ გამოსახულებაზე შეკრული კონტურის შემოვლის ალგორითმი

ნიკოლოზ ნარგიზაშვილი, ოთარ თავდიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

nargizashvili.nikoloz24@gtu.ge; tavidshviliotar08@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია კონტურზე დამყარებული ფორმის აღწერის ამოცანა. ფორმის ასეთი სახით აღწერისას გამოიყენება მხოლოდ ობიექტის სილუეტის შემომსახვრელი შეკრული კონტურიდან აღებული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში კონტური წარმოიდგინება მისი

შემადგენელი სასრული რაოდენობის პიქსელების მიმდევრობის სახით. შესაბამისად, ფორმა შესაძლებელია აღიწეროს კონტურის შემადგენელი პიქსელების კოორდინატების მიმდევრობის საშუალებით. პიქსელების და მათი კოორდინატების მიმდევრობის დასადგენად გამოიყენება კონტურის შემოვლის ალგორითმები. სტატიაში შეკრული კონტურის პიქსელების მიმდევრობის საშუალებით ფორმის აღწერისთვის შემოთავაზებულია კონტურის შემოვლის ორიგინალური ალგორითმი, რომელიც ტესტირებული იქნა სხვადასხვა ფორმის შეკრულ კონტურზე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული გამოსახულება, ფორმის აღწერა, შეკრული კონტური, კონტურის შემოვლის ალგორითმი.

1. შესავალი

ციფრულ გამოსახულებაზე გამოყოფილი ობიექტის ძიება გამოსახულებების მონაცემთა ბაზაში და კლასიფიკაცია, დამყარებული ობიექტის ფორმაზე, დღესდღეობით წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ კვლევის საგანს ციფრულ გამოსახულებათა ანალიზის სფეროში. მისი გამოყენების სფეროებია მეტეოროლოგია, მედიცინა, კოსმოსი, წარმოება, სოფლის მეურნეობა, ბიოლოგია, გართობის ინდუსტრია, განათლება, მართლწესრიგი, თავდაცვა და უსაფრთხოება და სხვ. ფორმის წარმოდგენა და აღწერა უნდა იყოს ისეთი, რომ გაადვილდეს მისი შენახვა, შორ მანძილზე გადაცემა, სხვა ფორმებთან შედარება და ამოცნობა. თავის მხრივ, გამოსახულებების მონაცემთა ბაზაში მსგავსი ფორმების ეფექტური მოძიება მოითხოვს ფორმის მაღალი სიზუსტით აღწერას. ამასთან, ფორმის აღწერა უნდა იყოს ინვარიანტული გადაადგილების, ბრუნვის და მასშტაბირების მიმართ. მაგალითად, სამედიცინო გამოსახულების ანალიზისას ადამიანის რომელიმე ორგანოს ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაავადების დიაგნოსტიკის საქმეში. ასევე მნიშვნელოვანია ფორმა ასტრონომებისთვის, რომლებიც მის საფუძველზე ახდენენ გალაქტიკების, ვარსკვლავთა სისტემების, პლანეტების კლასიფიკაციას, რაც აუცილებელი ნაბიჯია სამყაროს სტრუქტურის სხვადასხვა ასპექტების შესწავლის და ახსნის გზაზე.

ციფრულ გამოსახულებაზე ობიექტის გამოყოფის (ჩვეულებრივად, სეგმენტაციის და სეგმენტირებული გამოსახულების ბინარიზაციის შედეგად) შემდეგ გამოსახულების ანალიზის ამოცანა მოითხოვს ობიექტის ფორმის აღწერას.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კონტურზე დამყარებული ფორმის აღწერის ამოცანა. ფორმის ასეთი სახით აღწერისას გამოიყენება მხოლოდ ობიექტის სილუეტის გარემომცველი შეკრული კონტურიდან აღებული ინფორმაცია და იგნორირებულია კონტურის შიგნით არსებული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში კონტური წარმოდგინება სასრული რაოდენობის წერტილთა (ანათვლების) სიმრავლით. ციფრულ გამოსახულებაზე, მარტივ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს კონტურის შემადგენელი პიქსელების (x_i, y_j) , $i = 1, \dots, N$, $j = 1, \dots, M$ კოორდინატების მიმდევრობა. ასეთ წერტილებად შეიძლება გამოყენებულ იქნას ასევე კონტურზე არსებული ინტერესის (მახასიათებელი) წერტილები, მაგალითად მაღალი სიმრუდის (გადაღუნვის) წერტილები. ასეთი წერტილების შერჩევა შეიძლება სხვადასხვა საფუძველზე დაყრდნობით. მაგალითად, სიმძიმის ცენტრიდან დაშორების, კონტურის მიმართ მოცემულ წერტილში გავლებული მხების კუთხის მიხედვით და ა. შ. [1, 2].

სეგმენტის შემომსახვერელი კონტური არის ერთი პიქსელის სისქის პიქსელების მიმდევრობა. შესაბამისად, ფორმა შესაძლებელია აღიწეროს კონტურის შემადგენელი პიქსელების კოორდინატების მიმდევრობის საშუალებით. პიქსელების და შესაბამისად მათი კოორდინატების მიმდევრობის დასადგენად გამოიყენება კონტურის შემოვლის ალგორითმები. ასეთ ალგორითმებს რამდენიმე მოთხოვნა წაყენება. მათ შორის ერთერთი არის პიქსელების მიღებული მიმდევრობით კონტურის მაღალი სიზუსტით აღდგენის შესაძლებლობა.

სტატიაში წარმოდგენილია ციფრული გამოსახულების სეგმენტიზაციის და მისი შემდგომი ბინარიზაციით მიღებულ გამოსახულებაზე გამოყოფილი სეგმენტების აღწერისთვის კონტურის შემოვლის ორიგინალური ალგორითმის შექმნის მცდელობა.

კონტურის შემოვლისთვის არაერთი ცნობილი ალგორითმი გამოიყენება, დაწყებული მარტივი, პიქსელების თანმიმდევრობითი მიყოლით და დამთავრებული კომპლექსური პარალელიზაციის ტექნიკით [3-5]. მათ შორისაა:

- სუპუკი-აბეს ალგორითმი: ამ მეთოდს შეუძლია ეფექტურად შემოუაროს იერარქიულ კონტურებს, სადაც შეიძლება კონტურის შიგნით ან გარეთ არსებობდეს სხვა კონტურებიც;
- მურის ალგორითმი: მარტივი ალგორითმი, რომელიც კონტურის შემოვლას თითოეული პიქსელის რვა მეზობლის შემოწმებით ახდენს. პრობლემა შეიძლება შეექმნას კომპლექსურ და ხმაურიან კონტურებზე, თუ საკამრისი სიფრთხილით არ სრულდება;
- კვადრატული შემოვლის ალგორითმი: მარტივი ალგორითმი, რომელიც კონტურს უვლის პიქსელის მომიჯნავე ორთოგონალური მეზობლების შემოწმებით, თუმცა ამ თვისების გამო შეიძლება არც ისე ზუსტი გამოდგეს კომპლექსურ კონტურებში დიაგნოსტიკური კავშირების არსებობის შემთხვევაში;
- GPU-ზე (გრაფიკულ პროცესორზე) დაფუძნებული პარალელური საზღვრის შემოვლის ალგორითმები: იყენებენ GPU-ს პარალელიზაციას, რათა დიდი სისწრაფით მოახდინოს კონტურის რეალურ დროში შემოვლა.

წარმოდგენილ სტატიაში, როგორც საწყისი მონაცემი, ჩვენ განვიხილავთ ბინარულ სახეში წარმოდგენილ სეგმენტირებულ ციფრულ გამოსახულებას შავი ფერის ფონით და თეთრი ფერის ერთი პიქსელის სისქის კონტურის მქონე სეგმენტით. კონტურის შემოვლა ხდება საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

2. კონტურის შემოვლის ალგორითმის აღწერა

1. შევქმნათ პიქსელების ცარიელი სია, სადაც ჩავამატებთ შემოვლილ კონტურის წერტილებს მათი შემოვლის თანმიმდევრობით. გადავიდეთ მე-2 ნაბიჯზე;


2. დავიწყოთ პირველი თეთრი პიქსელის ძებნა ზედა მარცხენა კუთხიდან, შევამოწმოთ პირველი სტრიქონი მარცხნიდან მარჯვნივ, თუ თეთრი პიქსელი სტრიქონში ვერ მოიძებნა, გადავიდეთ შემდეგ სტრიქონზე და ა.შ. სანამ არ შეგვხვდება პირველი კონტურის (თეთრი) პიქსელი. როდესაც ვიპოვით, ჩავამატოთ კონტურის პიქსელების სიაში და მოვნიშნოთ ის, როგორც საწყისი წერტილი. საწყის წერტილს დავარქვათ S. ასევე, შემოვიღოთ ბოლოს შემოწმებული თეთრი პიქსელის (იმ წერტილის წინა შემოვლილი პიქსელი, რომელზეც ამჟამად ვდგავართ) ცნება და დავარქვათ L. საწყისი წერტილი ასევე მოვნიშნოთ როგორც L და გადავიდეთ მე-3 ნაბიჯზე;

3. S-ს გარშემო შემოვუაროთ საათის ისრის მიმართულებით მეორე თეთრი პიქსელის შეხვედრამდე. დავიწყოთ მარჯვენა მეზობლიდან, თუ თეთრი არ არის, შევამოწმოთ ქვედა მარჯვენა მეზობელი, შემდეგ ქვედა და ბოლოს ქვედა მარცხენა, სხვა მეზობელი პიქსელების განხილვა არაა საჭირო (სურ. 1), რადგან ვიცით, რომ პირველი პიქსელის ზემოთ და იმავე სტრიქონში მისგან მარცხნივ ყველა პიქსელი შავია (წინააღმდეგ შემთხვევაში პირველ პიქსელამდე სხვა თეთრი პიქსელიც შეგვხვდებოდა მე-2 ნაბიჯში). პოვნის შემდეგ ჩავამატოთ მეორე წერტილი კონტურის პიქსელების სიაში. გადავიდეთ მე-4 ნაბიჯზე;


4. თუ ის პიქსელი, რომელზეც ახლა ვდგავართ განსხვავდება S-ისგან და პიქსელების სიის ზომა არ აღემატება გამოსახულების საერთო პიქსელების რაოდენობას, გადავიდეთ მე-5 ნაბიჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შევწყვიტოთ ალგორითმის მუშაობა და პასუხად დავაბრუნოთ პიქსელების სია.

5. იმ პიქსელისთვის, რომელზეც ამჟამად ვდგავართ, შევამოწმოთ ოთხი ორთოგონალური მეზობელი პიქსელი, თუ მათგან რომელიმე თეთრია და L-ისგან განსხვავდება, L გავხადოთ პიქსელი, რომელზეც ახლა ვდგავართ, გადავიდეთ ახალ ნაპოვნ თეთრ პიქსელზე, ეს ახალი წერტილი ჩავამატოთ სიაში და დავბრუნდეთ მე-4 ნაბიჯზე (სურ. 2), წინააღმდეგ შემთხვევაში გადავიდეთ მე-6 ნაბიჯზე;

6. თუ ორთოგონალურ მეზობლებში ვერ მოიძებნა L-ისგან განსხვავებული თეთრი პიქსელი, დიაგონალურ მეზობლებში მოვძებნოთ L-ისგან განსხვავებული თეთრი პიქსელი, რომელიც L-ის ორთოგონალური მეზობელი არაა ($|x - x_L| + |y - y_L| \neq 1$), თუ მოიძებნა, პიქსელი, რომელზეც ახლა ვდგავართ, გავხადოთ ის L, გადავიდეთ ნაპოვნ დიაგონალურ მეზობელზე, ჩავამატოთ სიაში და დავბრუნდეთ მე-4 ნაბიჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შევწყვიტოთ ალგორითმის მუშაობა და დავაბრუნოთ პასუხად პიქსელების სია;



სურ. 1. მეორე პიქსელის ძებნა საათის ისრის მიმართულებით



სურ. 2. ორთოგონალური მეზობლის არჩევა შემდეგ პიქსელად

3. ყოველი მომდევნო პიქსელის შერჩევის მეთოდები

პირველი ორი პიქსელის დაფიქსირების შემდეგ ყოველ ჯერზე საჭიროა შევინახოთ L, ანუ ბოლოს შემოწმებული თეთრი პიქსელის კოორდინატები. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ნებისმიერ მომენტში შეგვეძლოს იმის გარჩევა საიდან მოვედით და საით უნდა წავიდეთ.


კონტურის სისქისა (ერთ პიქსელზე მეტი) და განშტოებების არარსებობის გამო ალგორითმში გათვალისწინებულია რამდენიმე მომენტი, რომელიც ამცირებს ყოველი მომდევნო პიქსელის არჩევისას განსახილველი ვარიანტების რაოდენობას:

- ნებისმიერ მომენტში ზუსტად ორი მიმართულებით შეგვიძლია მოძრაობა კონტურის გასწვრივ (თუ კონტურში არ არის განშტოებები);

- ნებისმიერი პიქსელის რვა მეზობლიდან თეთრი მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 4-ია (წინააღმდეგ შემთხვევაში კონტურის სისქე რომელიმე უბანზე 1-ზე მეტი იქნებოდა, ან იქნებოდა განშტოებები);

- ნებისმიერი პიქსელის თეთრი მეზობლებიდან მომიჯნავედ მაქსიმუმ ორია მისგან ორთოგონალურად განლაგებული და ასევე მაქსიმუმ ორი დიაგონალურად (წინააღმდეგ შემთხვევაში იარსებებდა განშტოებები);

- თეთრი პიქსელის არც ერთი თეთრი მეზობელი არ ესაზღვრება ორთოგონალურად დანარჩენებიდან 1-ზე მეტს (წინააღმდეგ შემთხვევაში კონტურის სისქე რაიმე ინტერვალში 1-ზე მეტი იქნებოდა ან იარსებებდა განშტოებები).




ყოველი შემდეგი თეთრი პიქსელის არჩევისთვის გამოწმენდით მის უახლოეს 8 პიქსელს. თუ მოცემულ თეთრ პიქსელს ჰყავს ორი მომიჯნავე მეზობელი, მაშინ მათგან ერთ-ერთი აუცილებლად მონიშნული იქნება როგორც L და შემდეგ პიქსელად მეორე მეზობელს ავირჩევთ. განვიხილოთ ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ბოლო არჩეულ თეთრ პიქსელს 3 ან 4 თეთრი მეზობელი ჰყავს. მე-3 სურათზე ნაჩვენებია სიტუაცია, სადაც ალგორითმს ორ პიქსელს შორის უწევს გადაწყვეტილების მიღება, შემდეგ პიქსელად რომელი აირჩიოს - მისგან ჰორიზონტალურად განთავსებული მეზობელი თუ დიაგონალურად განთავსებული. ამ შემთხვევაში ავირჩევთ ორთოგონალურ L-ისგან განსხვავებულ მეზობელ თეთრ პიქსელს, ანუ 1-ს (სურ. 3). იგივენაირად მოვიქცეოდით, L რომ ორთოგონალური მეზობელი ყოფილიყო და არა დიაგონალური.

თუ ამ პრინციპით ვიმუშავებთ, თავს ავირიდებთ თეთრი პიქსელების გამოტოვებას და განვაზოგადებთ ამ შემთხვევას იმ სცენარებზე, რომლებშიც L-ის მარჯვნივ ან ქვემოთ დამატებით მეოთხე თეთრი პიქსელიც გვექნებოდა: ამ შემთხვევაში იარსებებდა გარანტია, რომ ეს მეოთხე პიქსელი იქნებოდა რეალურად L - ჩვენ ორთოგონალურ მეზობლებს გამოწმენდით დიაგონალურებამდე. ამიტომ ზედა მარცხენა წერტილიდან ცენტრამდე ვერ მივიდოდით ამ მეოთხე პიქსელის გავლის გარეშე (მწვანე ისრის მიმართულებით ვიმოდრავდებით და არა წითლის) (სურ. 4).



სურ. 2. ორთოგონალური მეზობლის არჩევა შემდეგ პიქსელად



სურ. 4. ზედა მარცხენა კუთხიდან ცენტრამდე მიღწევის

უნდა განვიხილოთ ერთი განსაკუთრებული შემთხვევა, სადაც გვაქვს სამი მეზობელი თეთრი პიქსელი, რომელთაგან ერთი არის ორთოგონალურად განთავსებული L და დანარჩენი ორი დიაგონალურადაა განლაგებული (სურ. 5). ამ შემთხვევაში ცხადია, რომ 1 გავლილი გვექნება სანამ L-მდე მივიდოდით, ამიტომ უნდა ავირჩიოთ 2, თუმცა დამატებითი პირობის გარეშე ამას ალგორითმი ვერ მიხვდება, ის ჯერ ნახავს, რომ მოცემულ პიქსელს L-ისგან განსხვავებული ორთოგონალური თეთრი მეზობელი არ ჰყავს, ამიტომ გადავა დიაგონალური მეზობლების შემწმენდაზე. მათ შორის არც ერთი არ არის L, ამიტომ გაუგებარი იქნება, დიაგონალური მეზობლებისგან რომელს აირჩევს ალგორითმი მომდევნო პიქსელად. შესაბამისად, იმისთვის რომ მას ვაიძულოთ 2-ის არჩევა, საკმარისია შევამოწმოთ, ამ ორიდან რომელი არ არის L-ის

მეზობელი. ეს შეგვიძლია შევამოწმოთ მეზობლის კოორდინატების L -ის კოორდინატებთან სხვაობების მოდულების ჯამით: $|x - x_L| + |y - y_L| > 1$.

სურ. 5. სამი თეთრი მეზობლის განსაკუთრებული შემთხვევა

4. ალგორითმის მუშაობის შეწყვეტის კრიტერიუმები


ალგორითმი წყვეტს მუშაობას, თუ შემოვლილი პიქსელების სიის ზომა გაცდება გამოსახულების პიქსელების საერთო რაოდენობას, ან თუ ალგორითმი ჩიხში შევიდა - ვერ პოულობს ვერც ორთოგონალურ და ვერც დიაგონალურ ვალიდურ მეზობელს, რომლის მიმართულებითაც შეიძლება შემოვლის გაგრძელება.

ალგორითმის შემოწმების მიზნით შემუშავდა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც რეალიზებული იქნა სატესტო გამოსახულებებზე, რომელთაგან ერთერთი მოცემულია მე-6 სურათზე. კონტურის შემოვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ის შეიცავს 864 პიქსელს. ასევე მოხდა ამ პიქსელების შესაბამისი კოორდინატების მიმდევრობის ჩაწერა.

სურ. 6. სატესტო კონტური

5. ალგორითმის დროითი სირთულის და გამოყენებული მეხსიერების მოცულობის შეფასება

თუ გამოსახულების განზომილება არის $n \times m$, პირველი თეთრი პიქსელის პოვნის ყველაზე ცუდ შემთხვევაში (თუ პიქსელების უმეტესობის შემოწმება მოგვიხდა მანამ, სანამ პირველი კონტურის წერტილს ვიპოვით) ან ჩაციკლვის დროს ალგორითმს სჭირდება $n \cdot m$ ოპერაციის შესრულება, შესაბამისად დროითი სირთულე იქნება $O(nm)$. საუკეთესო შემთხვევაში (თუ პირველი წერტილი ძალიან სწრაფად ვიპოვეთ და წარმატებით შევძელით კონტურის სრულად შემოვლა) კი კონტურის შემოვლას $O(l)$ დრო დასჭირდება, სადაც l კონტურის სიგრძეა.



ალგორითმს სჭირდება $O(l)$ მეხსიერება კონტურის შემოვლის შედეგად პიქსელების კოორდინატების სიის შესანახად. თუმცა, თუ არ არის საჭირო საბოლოო შედეგისთვის ყველა შემოვლილი პიქსელის შენახვა (მაგალითად, თუ კონტურის ყველა პიქსელისთვის რაიმე ოპერაციის ერთჯერადად ჩატარება გვსურს და მოგვიანებით გამოყენებისთვის არ გვჭირდება შემოვლილი პიქსელების შენახვა), შეგვიძლია ეს სიაც ამოვიღოთ ალგორითმიდან. ამ შემთხვევაში ალგორითმს დასჭირდება $O(1)$ მეხსიერება.

6. ალგორითმის შედარება სხვა ალგორითმებთან

- **ალგორითმის სიზუსტე:** შემოვლის მიმართულების წინასწარ განსაზღვრისა და პიქსელის რვავე მეზობლის შემოწმების შესაძლებლობის გამო ალგორითმს სიზუსტის მხრივ უპირატესობა აქვს ზოგიერთი შედარებით მარტივი ალგორითმის მიმართ, როგორცაა კვადრატული შემოვლის ალგორითმი, რომელიც მხოლოდ ოთხ მეზობელს ამოწმებს.

- **მუშაობის დრო:** ალგორითმის მუშაობის დრო მერყეობს $O(l)$ -დან $O(nm)$ -მდე, თუმცა, ხშირ შემთხვევაში მუშაობის დრო $O(l)$ -ისკენ უფრო იქნება გადახრილი, რაც კონტურის შემოვლის ალგორითმებისთვის მინიმალური მუშაობის დროა. შესაბამისად, ამ მაჩვენებლით ალგორითმი

უტოლდება სხვა სწრაფ ალტერნატივებს, როგორცაა მურის და კვადრატული შემოვლის ალგორითმები.

- **გამოყოფილი მესხიერება:** ალგორითმი საჭიროებს $O(l)$ მესხიერებას თუ გვსურს ყველა შემოვლილი წერტილის შენახვა და საბოლოო პასუხად გამოტანა, თუმცა სხვა შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ რამდენიმე ცვლადის შენახვა, როგორცაა კონტურის საწყისი და ბოლოს შემოწმებული პიქსელი, ამ შემთხვევაში ალგორითმი $O(1)$ მესხიერებას იყენებს. შესაბამისად, გამოყენებული მესხიერების მხრივ ალგორითმი მაქსიმალურად ეფექტურია და სჯობს მრავალ სხვა ალტერნატივას, რომელთაც დამატებითი მესხიერება სჭირდებათ მუშაობისთვის, მაგალითად სუბუკი-აბე და გრაფიკულ პროცესორზე დაფუძნებული პარალელური ალგორითმები.

- **კონტურის ზომის ცვლილების სიზუსტე:** ალგორითმი არ ტოვებს არც ერთ კონტურის წერტილს, იცავს პიქსელების თანმიმდევრობას და შემოვლის მიმართულებას, რაც აადვილებს კონტურის ზომის ცვლილებას, სხვა კონტურებთან შედარებას და ა.შ.

7. დასკვნა

წარმოდგენილი ალგორითმი გამოირჩევა კონტურის შემოვლის მიმართულების წინასწარ განსაზღვრისა და პიქსელების თანმიმდევრობის დაცვის შესაძლებლობებით (რაც ამარტივებს კონტურის აღდგენას, ზომის ცვლილებასა და სხვა კონტურებთან შედარებას), გამოყენებული მესხიერების ზომის სიმცირით, შედარებით მარტივი იმპლემენტაციით, ასევე მოდიფიკაციის სიმარტივით (ადვილად შეიძლება შეეცვალოს ან განვავრცოთ ერთი წერტილიდან მეორეზე გადასვლის ლოგიკა). ამის გარდა, ორთოგონალური მეზობლების შემოწმება დიაგონალურ მეზობლებამდე ხდის ალგორითმს უფრო მოქნილს, რაც მისი ცვლილების გარეშე შეამცირებს მუშაობის დროს შედარებით მარტივი კონტურებისთვის, სადაც იშვიათია დიაგონალური კავშირები.

ლიტერატურა:

1. Costa, L. da F., Cesar, R. M., jr. Shape Classification and Analysis: Theory and Practice. Taylor & Francis Group, LLC, 2009. DOI: <https://doi.org/10.1201/9781315222325>
2. Zhang D. and Lu. G. Review of Shape Representation and Description techniques. Pattern recognition, Vol. 37, pp. 1-19, 2004. DOI: <https://doi.org/10.1016/j.patcog.2003.07.008>.
3. Suzuki, S. and Abe, K. Topological Structural Analysis of Digitized Binary Images by Border Following. Computer Vision, Graphics and Image Processing, Vol. 30, Issue 1, pp 32-46, 1985.
4. Victor M. Garcia-Molla, Pedro Alonso-Jorda, Ricardo Garcia-Laguia. Parallel border tracking in binary images using GPUs. The Journal of Supercomputing, Vol. 78, pp. 9817-9839, 2022. DOI: <https://doi.org/10.1007/s11227-021-04260-y>.
5. Gupta S. Algorithms to Speed Up Contour Tracing in Real Time Image Processing Systems, IEEE Access, Vol. 10, pp. 127365-127376, 2022. DOI: 10.1109/ACCESS.2022.3226943.

Algorithm for Tracing a Closed Contour on a Digital Image

Nikoloz Nargizashvili, Otar Tavdishvili

Georgian Technical University .

nargizashvili.nikoloz24@gtu.ge; tavidshviliotar08@gtu.ge

Resume

A retrieval of the extracted on the digital image object in an image database and classification based on shape is nowadays one of the actual investigation subjects in the field of digital image analysis. The areas of its application are meteorology, medicine, space exploration, manufacturing, agriculture, biology, entertainment, education, law enforcement, defense and security, etc. For its part, efficient retrieval of the

similar shapes in an image database requires a description of the shapes with high accuracy. At the same time a description of shape must be invariant to translation, rotation and scaling. In the presented article the contour-based shape description task is considered. In case of such kind of description of shape only information taken from the closed contour surrounding the object's silhouette is applied. In this case contour is represented by a sequence of the finite number of pixels. Accordingly, the shape can be described by means of the sequence of coordinates of the pixels that make up the contour. Contour tracing algorithms are used to determine the sequence of pixels and their coordinates. In the article an original contour tracing algorithm for shape description by a sequence of surrounding closed contour pixels, which was tested on closed contours of different shapes is proposed.

Key Words: Digital Image, Description of Shape, Closed contour, Contour Tracing Algorithm.

საწარმოს კორპორაციული კომპიუტერული ქსელის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდები

გელა ჩოგაძე, მიხეილ დონაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gela.chogadze@bsu.edu.ge, mikheil.donadze@bsu.edu.ge

რეზიუმე

განხილულია ბიზნეს საწარმოს კორპორაციული ქსელის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდები, აღწერილია მათი პრაქტიკაში რეალიზაციის შესაძლებლობები. შემუშავებულია კორპორაციული კომპიუტერული ქსელების დაგეგმვის კონცეფცია. დასაბუთებულია საპილოტე ქსელების მნიშვნელობა კორპორაციული ქსელების დაპროექტების დროს. გაანალიზებულია კომპიუტერული მოდელირების გამოყენება ქსელის მუშაობის ოპტიმიზაციის მიზნით. განხილულია ლოკალური ქსელების ანალიზისა და ოპტიმიზაციის ინსტრუმენტები, საწარმოს ინფორმაციული რესურსების ინფრასტრუქტურის, დიზაინის და რეინჟინერინგის შესაძლებლობები. ნაშრომის ბოლოს მოყვანილია CISCO Packet Tracer-ში შესრულებული საპილოტე ქსელების სქემატური ნახაზები და დიაგრამები.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული ქსელები, კომპიუტერული სისტემები, მოდელირება, ოპტიმიზაცია.

1. შესავალი

არსებობს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები, რომლებიც ორიენტირებულია კომპიუტერული ქსელების მოდელირებაზე, რომლებშიც მოდელის შექმნის პროცესი გამარტივებულია. ასეთი პროგრამული სისტემები თავად ქმნიან ქსელის მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ქსელის საწყის მონაცემებზე, გამოყენებული ტოპოლოგიის და პროტოკოლების ტიპზე, ქსელში კომპიუტერებს შორის მოძრავი ტრაფიკის ნაკადის ინტენსივობაზე, საკომუნიკაციო ხაზების სიგრძეზე, გამოყენებული აპარატული რესურსის და აპლიკაციების ტიპებზე. სიმულაციური პროგრამული სისტემები შეიძლება იყოს უაღრესად სპეციალიზებული და საკმარისად მრავალმხრივი სხვადასხვა ტიპის ქსელების მოდელირებისათვის. სიმულაციის შედეგების ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია სიმულაციური სისტემაში გაწერილი ქსელის საწყისი მონაცემების სიზუსტეზე.

ქსელის მოდელირების პროგრამული სისტემები არის ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს ნებისმიერი კორპორატიული ქსელის ადმინისტრატორისთვის, განსაკუთრებით ქსელის ახალი დიზაინის ან არსებული ქსელში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანისას. ამ კატეგორიის პროგრამული პროდუქტები საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ გარკვეული გადაწყვეტილებების განხორციელების შედეგები აპარატული საშუალებების შეძენამდე.

ქსელის სიმულაციური პროგრამები თავიანთ მუშაობაში იყენებენ ინფორმაციას ქსელის სივრცითი მდებარეობის, კვანძების რაოდენობის, კავშირების კონფიგურაციის, მონაცემთა გადაცემის სიჩქარის, გამოყენებული პროტოკოლებისა და აღჭურვილობის ტიპის შესახებ, აგრეთვე ქსელში გაშვებული აპლიკაციების შესახებ. როგორც წესი, სიმულაციური მოდელი არ არის აგებული ნულიდან. არსებობს კომპიუტერული ქსელების ძირითადი ელემენტების მზა სიმულაციური მოდელები: მარშრუტიზატორების ყველაზე გავრცელებული ტიპები, საკომუნიკაციო არხები, წვდომის მეთოდები, პროტოკოლები და ა.შ. ცალკეული ქსელის ელემენტების ეს მოდელები იქმნება სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე: რეალური მოწყობილობების სატესტო ტესტების შედეგები, მათი მუშაობის პრინციპების ანალიზი, ანალიტიკური კოეფიციენტები. შედეგად, იქმნება ტიპური ქსელის ელემენტების ბიბლიოთეკა, რომლის კონფიგურაცია შესაძლებელია მოდელებში წინასწარ მოწოდებული პარამეტრების გამოყენებით. სიმულაციური სისტემები, როგორც წესი, მოიცავს ინსტრუმენტების ერთობლიობას შესასწავლი ქსელის საწყისი მონაცემების მოსამზადებლად. ხდება მონაცემების წინასწარი დამუშავება ქსელის ტოპოლოგიაზე, სტრუქტურისა და გასაზომ ტრაფიკზე. გარდა ამისა, სისტემა აღჭურვილია სიმულაციის მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავების ხელსაწყოებით.

ჩვენ ვახარისხებთ სისტემებს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული კრიტერიუმის მიხედვით: ფასი და ფუნქციონალი. ბაზარზე შემოთავაზებული სისტემების ანალიზი აჩვენებს, რომ გამოთვლითი სისტემების დინამიური მოდელირება ძალიან ძვირი ბიზნესია. ბაზარზე გავრცელებულია მიდგომა, თუ გსურთ მიიღოთ რეალური სურათი კომპიუტერულ სისტემებში - გადაიხადეთ ფული. ყველა დინამიური სიმულაციური სისტემა შეიძლება დაიყოს ორ ფასის კატეგორიად:

- იაფი (ასობით და ათასობით დოლარი).
- მაღალი კლასის (ათიათასობით დოლარი).
- გამოთვლითი კომპიუტერული სისტემების შესწავლისას მიზნით გამოყენებული მოდელირების სისტემების ფუნქციონალიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კლასად:
- სისტემის ცალკეული ელემენტების (კომპონენტების) მოდელირების სისტემები.
- მთელი გამოთვლითი ქსელის სიმულაციის სისტემები.

წარმოდგენილ ნაშრომში კომპიუტერული ქსელის სატრანსპორტო სისტემის ოპტიმიზაციის საკითხების პრაქტიკული რეალიზაციისათვის გამოყენებულია კორპორაცია CISCO-ს პროგრამული პროდუქტი Packet Tracer-ი.

CISCO Packet Tracer არის ინსტრუმენტი ლოკალური და კორპორაციული ქსელების, კომპიუტერული სისტემების, აპლიკაციებისა და განაწილებული სისტემების დიზაინის მოდელირებისათვის და შედეგების ემულირებისათვის. მისი საშუალებით შესაძლებელია იერარქიული ქსელების, მულტიპროტოკოლური ლოკალური და გლობალური ქსელების მოდელირება, მარშრუტიზაციის ალგორითმების აღრიცხვა და შედეგების ანალიზი.

რა არის ქსელის დაგეგმვა. კორპორატიული ქსელი არის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს ათასობით სხვადასხვა კომპონენტს: სხვადასხვა ტიპის კომპიუტერებს, დესკტოპიდან მენისფრემებამდე, სისტემური და აპლიკაციის პროგრამული უზრუნველყოფა, ქსელის გადამცვანები, ჰაბები, კონცენტრატორები და მარშრუტიზატორები, კაბელი. სისტემური ინტეგრატორებისა და ადმინისტრატორების მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ, რომ ეს შრომატევადი და ძალიან ძვირი სისტემა მაქსიმალურად გაუმკლავდეს საწარმოს თანამშრომლებს შორის ცირკულირებული ინფორმაციის ნაკადების დამუშავებას და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ დროული და რაციონალური გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოს გადარჩენას. საწარმო რთულ კონკურენციაში. ამავდროულად, ამოცანები, რომლებსაც წყვეტენ სისტემის ადმინისტრატორები, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფი - ყოველდღიური

ადმინისტრირების ამოცანები, მეორე ჯგუფი - ყოველთვიური და წლიური ადმინისტრირება. პრობლემების მესამე ჯგუფი მოგვიანებით განიხილება.

ვინაიდან ცხოვრება არ დგას, კორპორაციული ინფორმაციის შინაარსი, მისი ნაკადების ინტენსივობა და მისი დამუშავების გზები მუდმივად იცვლება. კორპორაციული ინფორმაციის ავტომატური დამუშავების ტექნოლოგიის მკვეთრი ცვლილების უახლესი მაგალითი სრული ხედვით - ეს დაკავშირებულია ინტერნეტის პოპულარობის უპრეცედენტო ზრდასთან ბოლო 2-3 წლის განმავლობაში.

ინტერნეტის პოპულარობა სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს კორპორატიულ ქსელებზე. მას შემდეგ, რაც ინტერნეტი თანდათან იქცა ადამიანებს შორის ინტერაქტიული ურთიერთ-ქმედების გლობალურ ქსელად, იგი სულ უფრო ხშირად გამოიყენება არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისთვის, ან რეკლამისთვის, არამედ თავად ბიზნეს ტრანზაქციების განსახორციელებლად - საქონლისა და მომსახურების შესაძენად, ფინანსური აქტივების მოძრაობის სივრცედ. ეს ძირეულად ცვლის ბიზნესის კეთების სტრუქტურას, რადგან არის მილიონობით პოტენციური მყიდველი, რომლებსაც სჭირდებათ სარეკლამო ინფორმაციის მიწოდება, ათასობით დაინტერესებული მომხმარებელი, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და აქტიურ დიალოგში შესვლა და ბოლოს, ასობით მყიდველი, რომლებთანაც გჭირდებათ ელექტრონული ტრანზაქციების განხორციელება, ინფორმაციის გაცვლას ბიზნეს პარტნიორებთან ან პარტნიორ საწარმოებთან. ცვლილებები ბიზნეს მოდელში ცვლის მოთხოვნებს კორპორაციული ქსელების მიმართ.

მაგალითად, ინტრანეტ ტექნოლოგიის გამოყენებამ დაარღვია საწარმოს, როგორც მთლიანი და ასევე მისი განყოფილებების შიდა და გარე ტრაფიკის ჩვეულებრივი პროპორციები - ძველი წესი, რომელიც ამბობს, რომ ტრაფიკის 80% არის შიდა და მხოლოდ 20% გადის გარეთ, არ ასახავს რეალური მდგომარეობა ახლა. გარე ორგანიზაციებისა და საწარმოს სხვა განყოფილებების ვებგვერდებზე ინტენსიურმა წვდომამ მკვეთრად გაზარდა გარე ტრაფიკის წილი და შესაბამისად, გაზარდა დატვირთვა სასაზღვრო მარშრუტიზატორებზე და კორპორატიული ქსელის ფაირვოლებზე (firewalls).

ბიზნეს პროცესებზე ინტერნეტის გავლენის კიდევ ერთი მაგალითია აუთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის აუცილებლობა კლიენტების დიდი რაოდენობისათვის, რომლებიც ეძებენ ინფორმაციას გარე საწარმოს სერვერებიდან. ძველი მეთოდები, რომლებიც ეფუძნება ქსელის მონაცემთა ბაზაში თითოეული მომხმარებლის ანგარიშის შექმნას და მისთვის ინდივიდუალური პაროლის გაცემას, აქ აღარ არის შესაფერისი - ვერც ადმინისტრატორები და ვერც ქსელის აუთენტიფიკაციის სერვერები ვერ უმკლავდებიან სამუშაოს ასეთ მოცულობას. ამიტომ, ჩნდება მომხმარებელთა კანონიერების შემოწმების ახალი მეთოდები, რომლებიც ნასესხებია მომხმარებელთა დიდი ნაკადების მქონე ორგანიზაციების პრაქტიკიდან: მაღაზიები, გამოფენები და ა.შ.

ინტერნეტის გავლენა კორპორატიულ ქსელზე მხოლოდ ერთი, თუმცა ნათელი მაგალითია იმ მუდმივი ცვლილებებისა, რომელსაც ინფორმაციის ავტომატური დამუშავების ტექნოლოგია განიცდის თანამედროვე საწარმოში, რომელსაც სურს კონკურენტუნარიანი იყოს ბაზარზე. გამუდმებით ჩნდება ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული კორპორაციულ ქსელში მისი დროის მოთხოვნილებების შესაბამის მდგომარეობაში შესაანარჩუნებლად. ცვლილებების გარეშე კორპორატიული ქსელი სწრაფად მორალურად მოძველდება და ვერ შეძლებს იმუშაოს ისე, რომ საწარმომ წარმატებით გაუძლოს მკაცრ კონკურენციას გლობალურ ბაზარზე. როგორც წესი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების მოძველების პერიოდი 3-5 წელია.

ქსელის სტრატეგიული დაგეგმვა ეს არის ადმინისტრაციის მესამე ამოცანა, საჭიროა კომპრომისის პოვნა საწარმოს საჭიროებებს შორის ინფორმაციის ავტომატიზებულ დამუშავებაში, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და ქსელური და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებს შორის. უფრო მეტიც, ეს ეხება როგორც არსებულ ქსელებს, რომლებიც ექვემდებარება მოდერნიზაციას, ასევე დასაპროექტებელ ქსელებს.

სტრატეგიული ქსელის დაგეგმვისას გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული ოთხ საკითხზე:

1) რა ახალი იდეები, გადაწყვეტილებები და პროდუქტებია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი? რა გადაწყვეტილებებია პერსპექტიული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სფეროებში? რომელი მათგანი შეიძლება იყოს სასარგებლო თქვენს კორპორატიულ ქსელში?

2) როგორ უნდა მოხდეს ახალი გადაწყვეტილებებისა და პროდუქტების ინტეგრირება არსებულ ქსელში? რა ეტაპებად უნდა დაიყოს ახალ გადაწყვეტილებებსა და ახალ პროდუქტებზე გადასვლის პროცესი, როგორ უზრუნველყოფთ ყველაზე უმტკივნეულო ურთიერთქმედება ქსელის ახალ და ძველ კომპონენტებს შორის?

3) როგორ ავირჩიოთ რაციონალურად გარე თანამშრომლები ქსელში ახალი გადაწყვეტილებებისა და პროდუქტების დასანერგად? როგორ ავირჩიოთ ინტეგრატორები, მწარმოებლები და მომწოდებლები პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის პროდუქტების, ტერიტორიული ქსელების სერვისის პროვაიდერების?

4) როგორ მოვაწყოთ კორპორაციის თანამშრომლების ახალ ტექნოლოგიებსა და პროდუქტებში მომზადების პროცესი? დირს თუ არა გარედან უკვე მომზადებული სპეციალისტების დაქირავება?

2. ძირითადი ნაწილი

➤ **საპილოტე ქსელების მნიშვნელობა კორპორაციული ქსელების დაპროექტების დროს.** საწარმოს საინფორმაციო კომპიუტერული ქსელის ტოპოლოგიის შესახებ ინფორმაციის დასადგენად, არ არის აუცილებელი რეალური სისტემის აწყობა. გაზომვები შეიძლება შესრულდეს საპილოტე ქსელებზე, რომლებიც შესამუშავებელი ქსელის ვირტუალურ მოდელს წარმოადგენს. ეს გაზომვები შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა საშუალებებით, პროტოკოლის ანალიზატორების ჩათვლით.

სიმულაციური მოდელირებისათვის საწყისი მონაცემების მოპოვების გარდა, საპილოტე ქსელი შეიძლება გამოყენებულ იქნას დამოუკიდებელი, მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად. მას შეუძლია პასუხის გაცემა კითხვებზე კონკრეტული ტექნიკური გადაწყვეტის ან აპარატული აღჭურვილობის თავსებადობასთან დაკავშირებით. სავლელ ექსპერიმენტებმა შეიძლება მოითხოვოს მნიშვნელოვანი მატერიალური ხარჯები, რაც საპილოტე ქსელებით სარგებლობის დროს გამოირიცხება. საპილოტე ქსელი უნდა იყოს მაქსიმალურად მსგავსი იმ ქსელის, რომელიც იქმნება, რათა შევარჩიოთ ის პარამეტრები, რომელთა გამოყენებაც მოგვიწევს რეალური სისტემით ექსპლუატაციის დროს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ხაზი გავუსვა შექმნილი ქსელის იმ მახასიათებლებს, რომლებსაც შეუძლიათ უდიდესი გავლენა იქონიონ ქსელის ფუნქციონირებაზე.

თუ არსებობს ეჭვი სხვადასხვა მწარმოებლის პროდუქტების თავსებადობასთან დაკავშირებით, მაგალითად, გადამრთველები, რომლებიც მხარს უჭერენ ვირტუალურ ქსელებს ან სხვა ფუნქციებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სტანდარტიზებული, მაშინ ეს მოწყობილობები საპილოტე ქსელში უნდა შემოწმდეს თავსებადობაზე და იმ რეჟიმებში, რომლებიც ყველაზე მეტ ეჭვს იწვევს. რაც შეეხება საპილოტე ქსელის გამოყენებას რეალური ქსელის გამტარუნარიანობის პროგნოზირებისთვის, აქ ამ ტიპის მოდელირების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. თავისთავად, საპილოტე ქსელი ნაკლებად სავარაუდოა, რომ სრული შეფასება მისცეს ქსელის მუშაობას, რომელიც მოიცავს უფრო მეტ ქვექსელის კვანძს და მომხმარებელს, რადგან

გაუგებარია, როგორ მოხდება მცირე ქსელში მიღებული შედეგების ექსტრაპოლაცია ზომებით უფრო დიდ ქსელში.

ამიტომ მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში საპილოტე ქსელის გამოყენება სიმულაციური მოდელთან ერთად, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს საპილოტე ქსელში მიღებული ტრაფიკის ნიმუშები, შეფერხებები და მოწყობილობების გამტარუნარიანობა რეალური ქსელის ნაწილების მოდელების დასახასიათებლად. შემდეგ ეს მოდელები შეიძლება გაერთიანდეს შექმნილ ქსელის სრულ მოდელში, რომლის ფუნქციონირებაც იქნება სიმულირებული.

➤ **საწარმოს ინფორმაციული რესურსების ინფრასტრუქტურის ექსპერტიზა, დიზაინი, რეინჟინერინგა და სატრანსპორტო ქვესისტემის მოდელის შექმნა.** ამჟამად, ლოკალური და გლობალური ქსელების დიზაინში გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკულად ერთადერთი კრიტერიუმი არის სისტემური ინჟინრების გარკვეული, თუმცა ხშირად საკმაოდ ვიწრო და ხშირად „თეორიული“ გამოცდილება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ყველა კომპანიას არ შეუძლია შეძლოს თუნდაც ერთი მწარმოებლის, მაგალითად, Cisco-ს ან Extreme Networks -ის აპარატული ნაწილის გამართვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიოში ათობით მწარმოებელზე. გადაწყვეტილებები მიიღება, როგორც წესი, მწარმოებლების კატალოგების მიხედვით, ან იდეალურ შემთხვევაში, რაც საკმაოდ იშვიათია, აღჭურვილობის საოპერაციო დოკუმენტაციის მიხედვით.

გადაწყვეტილებების ხარისხსა და ღირებულებაზე ობიექტური კონტროლის ნაკლებობა იწვევს მომხმარებლისთვის ხარჯების მნიშვნელოვან გადამეტებას.

დიზაინის ავტომატიზაციის ხელსაწყოების ან მათი კომპონენტების გამოყენება არის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ერთადერთი გზა.

საწარმოს ინფორმაციული რესურსების (IR) დიზაინის პროცესი აუცილებლად უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილების მოდელების შექმნისა და ტესტირების ეტაპებს (ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება IR ტერმინი „დაგეგმვა“) სხვადასხვა დონის მოდელირების სისტემების (რომლებსაც CAD კომპონენტებს უწოდებენ) გამოყენებით.

თუ განვსაზღვრავთ საწარმოს საინფორმაციო რესურსების (IR) კონცეფციას. IR არის საწარმოს პროგრამული და ტექნიკური კომპლექსი, რომელშიც შედის:

- კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერია;
- ქსელის აპარატურა;
- ქსელური პროგრამული უზრუნველყოფა;
- კლიენტის პროგრამული უზრუნველყოფა;
- ხელსაწყოების პროგრამული უზრუნველყოფა (SUBZ);
- აპლიკაციის პროგრამული უზრუნველყოფა;
- სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა (მონიტორინგი და ქსელის მართვის სისტემები);

IR რეინჟინერინგის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას მონიტორინგისა და ქსელის მართვის სისტემები, როგორცაა IBM NetView, HP OpenView, Cabletron Spectrum Extreme Networks და სხვა. ამავდროულად, მოდელის აგებისას გამოიყენება ამ სისტემებიდან მიღებული ტოპოლოგია და ტრაფიკის მონაცემები. საჭიროების შემთხვევაში, ეს მონაცემები შეიძლება ხელით შესწორდეს.

ამრიგად, სიმულაციის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია:

- ქსელის და მისი კომპონენტების გამტარუნარიანობის შეფასება;
- IR სტრუქტურაში არსებული ჩახშობის იდენტიფიცირება;
- შეადარეთ IR ორგანიზების სხვადასხვა ვარიანტები;
- განახორციელოს R&D განვითარების გრძელვადიანი პროგნოზი;
- მომავალი ქსელის გამტარუნარიანობის მოთხოვნების პროგნოზირება პროგნოზის მონაცემების გამოყენებით;

- შევფასოთ გავლენა პროგრამული უზრუნველყოფის IR-ზე, სამუშაო სადგურების ან სერვერების სიმძლავრეზე, ქსელის პროტოკოლებზე.

მოდელირების გამოყენებით IR რეინჟინერიაში, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა:

- ქსელის მონიტორინგისა და მართვის სისტემის გამოყენებით ქსელის ტოპოლოგიის განსაზღვრა და მოდელისთვის ამ მონაცემების გამოყენება;
- აპლიკაციების, მომხმარებლების, ერთი და იმავე საწარმოს ან საწარმოების განყოფილებების მიერ სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში წარმოქმნილი ტრაფიკის გამოთვლა;
- ქსელის გამტარუნარიანობის მოთხოვნების შეფასება;
- განახორციელოს გრძელვადიანი პროგნოზი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიღებული მოდელების ნაკრების ანალიზით;
- ქსელში სერვერების საჭირო რაოდენობისა და მუშაობის შეფასება;
- შევფასოთ პროგრამული უზრუნველყოფის, სამუშაო სადგურების ან სერვერების, ქსელის პროტოკოლების განახლებაზე ზემოქმედება და განვითარება;

ამრიგად, IR დიზაინის ან მათი რეინჟინერის განხორციელება CAD სისტემების გამოყენებით, ჩვენ გვაძლევს შემდეგ უპირატესობებს:

- მრავალი ვარიანტის განხილვა „მაგიდაზე“ და საუკეთესო გადაწყვეტის არჩევა აღჭურვილობის შესყიდვის გარეშე;
- ქსელის მოდერნიზაციის წინაპირობების განსაზღვრა, შესრულების პროგნოზი;
- ფულის და მატერიალური რესურსების დაზოგვა.


სატრანსპორტო ქვესისტემის მოდელის შექმნა მოიცავს ორ ეტაპს:

ფიზიკური ტოპოლოგიის აღწერა და ქსელში გადაცემული ტრაფიკის აღწერა. IR ტოპოლოგია გულისხმობს, როგორც ქსელის კომპიუტერების, პერიფერიული აღჭურვილობის ერთობლიობას მათი მახასიათებლებით, დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფითა ასევე, მონაცემთა გადაცემის ტექნოლოგიებს (კავშირის არხებს). ტოპოლოგიის აგებისას გამოიყენება ინფორმაციის ყველა შესაძლო წყარო:


- ტექნიკური დავალება/პროექტი;
- ოპერატიული დოკუმენტაცია;
- კომპანიის გამოკითხვა;
- ქსელის მართვის სისტემები;
- ქსელის ანალიზატორები.

კავშირების ტოპოლოგიისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების მუშაობის გავლენა ქსელის გამტარუნარიანობაზე. ქსელის კვანძებს შორის კავშირების ტოპოლოგიის ცვლილება იძლევა უამრავ შესაძლებლობებს გაზარდოს, როგორც მთლიანი ქსელის, ისე მისი ცალკეული სეგმენტის გამტარუნარიანობა, საკომუნიკაციო არხების ფიქსირებული გამტარუნარიანობის შემთხვევაშიც კი. მაგალითად, ორი ალტერნატიული გადაცემის არხის არსებობა ნებისმიერ კვანძს შორის აორმაგებს ქსელის გამტარუნარიანობას, როდესაც ეს კვანძები ურთიერთქმედებენ. ადგილობრივი ქსელები, რომლებიც იყენებენ მხოლოდ კომუტატორებს, უნდა აიგოს ნაცნობ, განსაზღვრულ ტოპოლოგიაზე - საერთო სალტეზე, რგოლზე ან ვარსკვლავზე, რომელიც განისაზღვრება ქსელში გამოყენებული ძირითადი ტექნოლოგიებით.

ნაშრომში განხილული საკითხების და შესაბამისი პრობლემატიკის მოგვარების შემუშავებულ მეთოდებზე დაყრდნობით Cisco Packet Tracer-ში, ავაგეთ საპილოტე საოფისე ქსელის რამდენიმე ნახაზი. მოდელების აგების დროს გათვალისწინებულია ფიზიკური და ლოგიკური კავშირები კორპორაციის ფილიალებს შორის სერვერზე ინფორმაციის გადაგზავნის დროს.




ნახ. 1. მცირე სახლის კომპიუტერის ქსელისთვის ინტერნეტთან დაკავშირების ვარიანტების შეფასება



ნახ.2 კორპორაციის განაწილებული ინფორმაციო ქსელის სტრუქტურა დამორებული საერთო სერვერით, Firewall-ებით და ISP კავშირების გამოყენებით

თუმცა, ხიდეების, კომპუტატორების ან მარშრუტიზატორების გამოყენებისას შესაძლებელი ხდება უფრო რთული ტოპოლოგიების შედგენა, რომლებიც განსხვავდება სტანდარტულიდან. ქსელის შესაბამისი ტოპოლოგიის არჩევამ შეიძლება გადაჭრას მრავალი შეფერხება (გამტარუნარიანობის თვალსაზრისით) ქსელში. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ დამატებითი საკომუნიკაციო არხების არსებობით, არამედ იმითაც, რომ ამ შემთხვევაში ქსელი აყალიბებს არა ერთ საერთო მედიას, რომელიც გაზიარებულია ყველა ქსელის კვანძს შორის, არამედ რამდენიმე ასეთ მედიას, რომელთა გამტარუნარიანობა მხოლოდ კვანძებს შორის, მოცემული ქსელის სეგმენტისათვისაა განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ისეთი საკომუნიკაციო მოწყობილობების მუშაობა, როგორცაა ხიდეები, კომპუტატორები და მარშრუტიზატორები, დიდ გავლენას ახდენს ქსელის გამტარუნარიანობაზე. ეს გადაწყვეტილება საკმარისი უნდა იყოს სეგმენტთაშორისი ან ქსელთაშორისი ტრაფიკის გადასატანად ქსელის ნაწილებს შორის, რომლებიც წარმოიქმნება ქსელში ამ ტიპის მოწყობილობების დაყენების შედეგად. ფრეიმების ან პაკეტის დაკარგვამ ხიდეზე, კომპუტატორებზე ან მარშრუტიზატორებზე შეიძლება გამოიწვიოს ქსელის გამტარუნარიანობის მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პაკეტის აღდგენა ხორციელდება პროტოკოლებით, მხოლოდ ლოდინის პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ.



ნახ. 3. კორპორაციის კომპიუტერული ქსელის სქემა ორმაგი კავშირის არხებისა და სარეზერვო ლინკების გამოყენებით

3. დასკვნა

Fig. 3. The relationship of humans and machines in an evolving work environment

As a result of the rapidly increasing use of information and digital technologies, the global economy is undergoing a rapid transformation. One of the distinguishing factors of recent years is the exponential growth of machine processing of information or digital information. These processes are accompanied by the development of technologies for processing large information flows, artificial intelligence (AI) and new business models. Every day, more and more devices are connected to the network, connecting more and more people to digital services. Consequently, a larger value chain is created through connected digital technologies, which in turn stimulates its expansion and development.

5. Experience of countries around the world in the direction of digitalization

The study of value creation in the digital economy not only helps us to assess the value of the digital economy, but is also a good tool for individual countries to identify links in the value chain where the lack of infrastructure or its underdevelopment causes delays in development. Accordingly, they are given the opportunity to implement targeted measures on an individual area to address the problems.

Over the past 16 years, the digital economy has grown 2.5 times faster than global GDP. Most of the value created is in developed countries - America (35%), China (13%), Japan (8%), and the European Union (25%), with Germany dominating. It's important to note that all the value of the digital economy has been created in the last 30 years, when other areas have been developing for centuries.

Experience of leading countries in this direction:

- **China's** - success in the digital age is due to the significant steps taken in the past 20 years:
- **Internet** access. The first step that China took towards the development of the digital economy was to connect the population to the Internet. The government played an important role in this by ensuring that the infrastructure was built.
- The **introduction** of ICT technologies in education is the most important factor in the development of the digital economy. The availability of knowledge in the direction of information and communication technologies is achieved by their implementation in education.
- **Formation** of the relevant agency. In 2008, China established the Ministry of Industry and Information Technology (MIIT), which is responsible for the development of Internet, telecommunications, broadcasting and other digital products and services.
- **Germany's** - information and communication sector (ITC) plays an important role in employment. In the last 5 years, 150,000 jobs have been created in this sector, employing a total of one million people. Revenues in this sector amounted to 161 billion euros.

The success of the digital economy in Germany is due to a number of important factors:

✓ Internet access. As we mentioned in the case of China, the most important factor in the development of the digital economy is the Internet. If the population does not have access to the Internet and digital technologies, it is impossible to develop a consumer market for digital products. Germany is one of the leading countries in this direction, where 90% of the population has access to the Internet.

✓ Formation of a digital ecosystem - Germany has an association of the digital economy Bitcom, which unites 2,700 companies across the country. The association ensures the development of various digital services and products and promotes the introduction of digital technologies in all sectors.

✓ Government support. In Germany, cooperation between the state and the private sector is a key factor in the development of the digital economy.

6. “Digital Situation” in Georgia

Despite recent steps taken, Georgia's digital readiness is still low, primarily due to low access to the Internet (75%). - Georgia, together with the countries of the region, is on the list of countries with a low level of digitalization but high growth rates, which is typical for developing countries.

Georgia is in the middle level with the countries of the region in terms of digital economy development and digital readiness, but has a high growth potential. We can positively assess the activities of the Data Exchange Agency in the development of the draft law on e-commerce and the e-Georgia strategy. It should also be noted that the introduction and adaptation of information and communication technologies in education is actively underway. A step forward is the use of the European model of telecommunication regulation and improvement of electronic customs procedures. Digitalization of public services is successfully underway. A step forward in this regard is the creation of a single portal of e-services www.my.gov.ge; Creation of platforms of the Agency for Development of Public Services and Data Exchange, where it's possible to receive various services online in all areas [1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11].

7. Conclusion

Digital technologies are developing at a rapid pace. At the same time, innovative technologies are being developed in this sphere, which is directly related to the country's economic growth indicators.

The importance of digital technologies and the reflection of their impact on the economies of countries have a directly proportional impact on the indicator of the standard of living of each person and the indicator of the realization of the individual in society.

Technology is not uniquely determinative. It creates both opportunities and challenges. Therefore, a country's benefits depend on how it seizes opportunities and responds to challenges.

The digital economy opens up entirely new opportunities for countries to generate economic growth, employment, increase efficiency in all spheres and be competitive in the digital world. One of the most important challenges in this direction is the digital divide, the main determinant of which is the unequal access of different groups of society to digital technologies, which affects their ability to develop digital skills and be employed in the digital world. The most important problem in this direction is the low level of access to the Internet. Internetization is the formation of the environment of the digital economy, the further improvement of which creates an opportunity for the development of the digital economy. A prerequisite for Internetization is the formation of infrastructure. In this direction, an important responsibility lies with the state, which must ensure the creation of an environment where society is no longer dependent on specific suppliers and business interests. The integration of digital infrastructure is necessary in all spheres: from the financial sector to agriculture.

References:

1. <https://hsbi.hse.ru/articles/tsifrovye-tehnologii-v-ekonomike/>
2. www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Pages/stat/default.aspx
3. <https://media.inti.asia/read/from-industry-40-to-society-50-the-evolution-of-digitalization-and-its-impact-on-society>
4. <https://www.dwih-tokyo.org/en/event/ai-and-the-future-of-work/>
5. <https://geoeconomics.ge/?p=12627>
6. Schwab, K. (2015). *The Fourth Industrial Revolution - What It Means and How to Respond*. 12.

7. E. Gogilidze, N. Gogilidze. The impact of modern information and communication technologies on the formation of society. Internat. scientific-practical conf.: „Modern challenges and achievements in information and communication technologies“, Tbilisi, 2023, pp. 365-375.
8. Gogilidze E., Gogilidze N. Intelligent Transport Systems in the XXI century. <https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/2678>.
9. Gogilidze E. Wireless data transmission technologies and their importance. Automated systems of labor management. 2017 No. 1 (23). p. 84-92.
10. Gogilidze E. Embedded Systems and XXI Century. Set of scientific researches of II International Scientific and Technical Conference "Modern problems of power engineering and ways of solving them", 2020, pp. 205-210.
11. Gogilidze E. Wireless data transmission technologies and their importance. Automated systems of labor management". 2017 No. 1 (23). p. 84-92.

ციფრული ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკაში

ემელიანე გოგილიძე, ნათია გოგილიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
gogilidzeemeliane05@gtu.ge; nataligogilidze@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ICT სამეცნიერო სფეროს მნიშვნელობისა და განვითარების პერსპექტივები დღევანდელ მსოფლიოში. ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოქმედება ეკონომიკაზე განპირობებულია „პროდუქტიულობის პარადოქსით“, როდესაც ფირმების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინვესტირებული მოგების წილის ზრდა არ იწვევს მათი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ქვეყნის ეკონომიკა რომ მსოფლიო ეკონომიკის სრულყოფილ ნაწილად იქცეს, მშპ-ს ზრდა უნდა ეყრდნობოდეს ICTB ს ყველა ასპექტს და მასზე სრული დაშვების შესაძლებლობას. სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილება დაეხმარება ქვეყნებს არსებული ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევაში. საკმარისი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ახალმა მიღწევებმა შეიძლება გზა გაუხსნას სრულ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, გახსნას ახალი შესაძლებლობები ახალ ბაზრებზე. განვითარებად ქვეყნებს შეუძლია შეამციროს მოწინავე ტექნოლოგიების ხარჯები და გადავიდეს დაბალანაზღაურებად საქმიანობაზე, გლობალური მონაწილეობის უპირატესობით.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტექნოლოგია, ციფრული ეკონომიკა, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტექნოლოგიები, IoT, big data, ინდუსტრია 4.0, საზოგადოება 5.0.

მართლმსაჯულების რევილუცია: ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და პოტენციური რისკები

მაგდა ბერუაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
Magda.beruashvili@gmail.com

რეზიუმე

გასული წლებიდან მოყოლებული ხელოვნურმა ინტელექტმა ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროში შეაღწია და ძირეულად შეცვალა. იგი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. მას იყენებენ როგორც ბიზნესში, ასევე საჯარო სექტორებში. ციფრული პლატფორმები და საშუალებები იქცა ყველა საკვანძო მიმართულებით საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის ერთგვარ გარანტად. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი სხვადასხვა ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაშიც აქტუალურად გამოიყენება, რაც, რა თქმა უნდა, ქმნის

შესაძლებლობებს და რისკებს. სტატიაში განხილული იქნება კონკრეტულად რა სახის შესაძლებლობებს ქმნის ხელოვნური ინტელექტი, რომელიც უკვე გამოიყენება სასამართლო სისტემებში და ასევე რა რისკები არსებობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას.

საკვანძო სიტყვები: AI, ML, მართლმსაჯულების სისტემა, სამართალწარმოება

1. შესავალი

ევროპის საბჭო ხელოვნურ ინტელექტს განმარტავს, როგორც: „მეცნიერებების, თეორიების, ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიკური უნარების რეპროდუცირება მანქანის მიერ. არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს ადამიანის მიერ გასაკეთებელი რთული ინტელექტუალური დავალებების დელეგირებას მანქანისთვის.

ევროკომისიის მაღალი რანგის ექსპერტთა ჯგუფის (AI HLEG) შემუშავებული განმარტების მიხედვით, კი „ხელოვნური ინტელექტი ახასიათებს ისეთ სისტემებს, რომლებიც, გარემოს ანალიზით, ავლენს ინტელექტუალურ ქცევას და, დამოუკიდებლობის გარკვეული დონით, ახორციელებს ქმედებებს კონკრეტული მიზნების მისაღწევად. AI-ზე დაფუძნებული სისტემები შეიძლება იყოს ვირტუალურ სამყაროში სრულად პროგრამული უზრუნველყოფაზე დაფუძნებული (მაგ.: ხმის ასისტენტები, გამოსახულების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა, საძიებო სისტემები, ხმის და სახის ამომცნობი სისტემები) ან შესაძლებელია, რომ AI ჩანერგილი იყოს კომპიუტერულ მოწყობილობებში (მაგ.: განვითარებული რობოტები, ავტომატური მართვის/თვითმართვადი მანქანები, დრონები, საგნების ინტერნეტის აპლიკაციები).”

„ხელოვნური ინტელექტი - ეს არის რთული ხელოვნური კიბერნეტიკული კომპიუტერულ პროგრამულ-აპარატული სისტემა (ელექტრონული, მათ შორის ვირტუალური, ელექტრო მექანიკური, ბიო-ელექტრო-მექანიკური ან ჰიბრიდული), რომელსაც გააჩნია კოგნიტურ ფუნქციური არქიტექტურა და საკუთარი ან ფარდობითი დაშვება საჭირო მოცულობის სწრაფმოქმედი გამოთვლითი სიმძლავრეებით.

ხელოვნური ინტელექტის სისტემები ასევე შეიძლება დიფერენცირებული იყოს მათი შესრულების და აპლიკაციის დომენის მიხედვით. აბსტრაქტული განსხვავება ეგრეთ წოდებულ "ძლიერ" და "სუსტ" AI-ს შორის განსაკუთრებით ხშირია AI კვლევაში. ამ განსხვავების საფუძველი ფილოსოფიური ხასიათისაა და ეფუძნება ორ ჰიპოთეზას: სუსტი ჰიპოთეზა, რომ სისტემას (მაგ. მანქანას) შეუძლია ჭკვიანურად მოიქცეს და უფრო ძლიერი ჰიპოთეზა, რომ ასეთ სისტემას შეიძლება ჰქონდეს გონება. ანალოგიურად, ძლიერი AI სისტემა გამოავლენს ინტელექტუალურ ქცევას, რადგან ის რეალურად ფიქრობს, ხოლო სუსტი AI სისტემა უბრალოდ იქცევა, თითქოს ინტელექტუალური იყოს. ძლიერი ხელოვნური ინტელექტის სისტემის მუშაობა ტოლი იქნება ან თუნდაც აღემატება ადამიანის ტვინის მუშაობას. ამის საპირისპიროდ, სუსტი ხელოვნური ინტელექტის სისტემა სპეციალიზირებულია ინდივიდუალური ამოცანების დამუშავებაში და ემსახურება ხალხის მხარდაჭერას მათ (აზროვნების) მუშაობაში და არა მათ შეცვლაში.

2. ხელოვნური ინტელექტის სისტემები

ხელოვნური ინტელექტი გვთავაზობს მრავალფეროვან შესაძლებლობას, სხვადასხვა სექტორის გასაუმჯობესებლად. ხელოვნური ინტელექტის სისტემები სულ უფრო ხშირად გამოიყენება სამართალწარმოებაში და სასამართლო დარბაზებში მთელი მსოფლიოს მაშტაბით, დაწყებული ავსტრალიიდან, ჩინეთიდან, შეერთებული შტატებიდან და გაერთიანებული სამეფოდან ესტონეთამდე, მექსიკამდე და ბრაზილიამდე. ხელოვნური ინტელექტის სისტემები შენდება, ტესტირდება, ვითარდება და ადაპტირდება სასამართლოებსა და ტრიბუნალებში გლობალურად. ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი გაზარდოს პროცესების ეფექტურობა, სიზუსტე და გააუმჯობესოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

სასამართლო განხილვა არ საჭიროებს პირისპირ მოსმენას, რადგან საკომუნიკაციო ტექნოლოგია ხელს უწყობს მოსმენას. Solution Explorer გამოიყენეს 160,527 ჯერ 2016 წლის 13 ივლისიდან 2021 წლის 31 მარტამდე. 2020/2021 წლებში დავის გადაწყვეტის საშუალო დრო იყო 85.8 დღე, ხოლო გადაწყვეტის მედიანური დრო იყო 59 დღე, ყველა ტიპის დავისთვის.

ჩინეთში სასამართლოები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს მოსამართლეთათვის გაფრთხილების მისაცემად, თუ მათი გადაწყვეტილება არ ემთხვევა მონაცემთა ბაზას.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) გადაწყვეტილებების პროგნოზირება. ეს ინსტრუმენტი იყენებს ენის ბუნებრივი დამუშავებისა და მანქანური სწავლებას, რათა წინასწარ განსაზღვროს, დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) კონკრეტული დებულება განსახილველ საქმეზე. ინსტრუმენტი მუშაობს ადრინდელი გადაწყვეტილების საფუძველზე. ხელოვნური ინტელექტი 79% სიზუსტით იღებს იმავე გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ადამიანი მოსამართლე.

გარდა ზემო აღნიშნულისა, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება სასამართლო პროცესის დროს დოკუმენტების განხილვის და ანალიზისთვის, რათა დადგინდეს აკმაყოფილებს თუ არა ისინი წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. სასამართლო დავისთვის დოკუმენტის განხილვა გულისხმობს შესაბამისი დოკუმენტების მოძიებას, ამ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აუმჯობესებს დოკუმენტის ანალიზის სიჩქარეს, სიზუსტეს და ეფექტურობას. ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ხელშეკრულებების ანალიზი, რომელსაც შეუძლია დახმარება როგორც ყველა გარიგებების, ასევე ინდივიდუალური ხელშეკრულებების განხილვაში. JPMorgan-ში ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე პროგრამა, სახელწოდებით COIN, გამოიყენება 2017 წლის ივნისიდან კომერციული სესხის ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისთვის. სამუშაო რომელსაც 360 000 ადვოკატის საათი ჭირდებოდა ეხლა შეიძლება შესრულდეს წამებში.

3. ეთიკური გამოწვევები

ხელოვნური ინტელექტი გვთავაზობს პერსპექტიულ პოტენციალს და სარგებელს, თუმცა ამდროულად მას თან ახლავს მნიშვნელოვანი ეთიკური გამოწვევები, კერძოდ:

ზოგ შემთხვევაში ხელოვნურ ინტელექტს ახასიათებს მიკერძოება და დისკრიმინაცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასამართლიანი შედეგები, მაგ. 2019 წელს გამოცხადდა, რომ Apple Pay-ს ჰქონდა განსხვავებული საკრედიტო ლიმიტები ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. ქალები იღებდნენ უფრო დაბალ საკრედიტო ლიმიტებს და იყვნენ დაუცველები Apple-ს ალგორითმის გამო. რასიზმის გამოვლენის მაგალითი დაკავშირებულია Google Photos-თან, შავკანიანთა ფოტოების დასახელება ხდებოდა, როგორც „შავკანიანები“.

გეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-12 მუხლი (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა), ისევე როგორც **სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენციის მე-2, მე-3 და მე-17 მუხლები**, სავალდებულოა ყველა ხელმომწერი სახელმწიფოსთვის, როდესაც საქმე ეხება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. სახელმძღვანელო მითითებებში აღნიშნულია ალგორითმების საჯაროობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობის აუცილებლობა. **AI-ის** მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს პროგნოზირებადი და საჭიროებს ადამიანურ ზედამხედველობას. მონაცემთა ბაზების გამჭვირვალობა და მათი დამუშავების საფუძველების საჯაროდ ხელმისაწვდომობა აუცილებელია AI-ის განვითარებისთვის, რომელიც უნდა მოხდეს ეთიკური, მორალური და სამართლებრივი მექანიზმებით კონტროლირებად გარემოში.

ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ასევე პირადი მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა. მასობრივი მეთვალყურეობა და მონაცემების შეგროვება გამოვლინდა Amazon-ის პროექტში „Rekognition“, რომელიც განკუთვნილი იყო რეალურ დროში ადამიანის იდენტიფიცირებისთვის, თუმცა მას ახასიათებდა კონფიდენციალურობისა და მეთვალყურეობის პრობლემები.

კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, თუმცა ისინი განსხვავებული უფლებებია, კონფიდენციალურობა ფუნდამენტური უფლებაა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აღიარებს კონფიდენციალურობის უფლებას, გარკვეული ფორმით კონსტიტუციაში ან სხვა რეგულაციებში. გარდა ამისა კონფიდენციალურობა აღიარებულია ადამიანის ზოგად უფლებად, განსხვავებით მონაცემთა დაცვისა. კონფიდენციალურობისა და პირადი ცხოვრების უფლება გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 12), ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში (მუხლი 8) და ძირითადი უფლებათა ევროპული ქარტია (მუხლი 7). მონაცემთა დაცვა გულისხმობს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციის დაცვას - სახელების, დაბადების თარიღების, ფოტოების, ვიდეო ჩანაწერების, ელექტრონული ფოსტის მისამართების და ტელეფონის ნომრების ჩათვლით. მონაცემთა დაცვის კონცეფციას აქვს თავისი ფესვები კონფიდენციალურობის უფლებაში და ორივე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. მონაცემთა დაცვას აქვს ზუსტი მიზნები, რათა უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავება (შეგროვება, გამოყენება, შენახვა) კეთილსინდისიერად როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მიერ.

მონაცემთა დაუცველობის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს Cambridge Analytica, მონაცემთა ანალიზის კომპანიის ქმედება, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიის მხარდასაჭერად უკანონოდ იყენებდა Facebook-ის მომხმარებლების პირად მონაცემებს. დოკუმენტების მიხედვით, კომპანიამ მოიპოვა და გაანალიზა 50 მილიონი მომხმარებლის მონაცემები, რაც გამოყენებული იყო პერსონალიზებული პოლიტიკური რეკლამების შექმნისთვის.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში ეთიკური პრინციპების ინტეგრირება გადაწყვეტია იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებმა დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. მომხმარებლებისთვის და დაზარალებულებისთვის, AI სისტემა ხშირად არც გასაგებია და არც გამჭვირვალე იმის შესახებ, თუ როგორ მოვიდა გადაწყვეტილებები ან შედეგები. სხვა საკითხებთან ერთად, გადაწყვეტილებები გასაგები უნდა იყოს, რათა ხელოვნური ინტელექტის სისტემები მიღებულ იქნეს როგორც სანდო AI და აკმაყოფილებდეს იურიდიულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეფექტური დაცვა დისკრიმინაციის, მანიპულაციის ან სხვა უარყოფითი გამოყენებისგან.

ზემო აღიშნული გარემოებების გათალისწინებით საფუძველი დაედო ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ ნორმებს, რომელთა თანახმად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ფუნდამენტურ ადამიანის უფლებებს, რომლებიც იურიდიულად სავალდებულოა ევროკავშირის ხელშეკრულებებითა და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით. უპირველეს ყოვლისა, მოხსენიებულია ადამიანის ღირსების, პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა, ასევე თანასწორობა, არადისკრიმინაცია და სოლიდარობა.

ამგვარად, HLEG გთავაზობთ მითითებებს ეთიკური და ძლიერი ხელოვნური ინტელექტის ხელშეწყობისა და უზრუნველსაყოფად და უზრუნველყოფს მის დანერგვის მხარდაჭერას სოციალურ-ტექნიკურ სისტემებში. ექსპერტთა 52-კაციანი ჯგუფი თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას აქვს პოტენციური მდგრადი შეცვალოს საზოგადოება: “ხელოვნური ინტელექტი თავისთავად არ არის მიზანი, არამედ პერსპექტიული საშუალებაა ადამიანთა აყვავების და, შესაბამისად, ინდივიდების და საზოგადოების კეთილდღეობისა და საერთო სიკეთის გაზრდის, ასევე პროგრესისა და ინოვაციების ხელშეწყობაში.”

OECD-ის დოკუმენტი რეკომენდაციას უწევს წევრ მთავრობებს ხელი შეუწყონ საჯარო და კერძო ინვესტიციებს კვლევასა და განვითარებაში, რათა ხელი შეუწყონ ინოვაციას სანდო AI-ში და შექმნან პოლიტიკის გარემო, რომელიც გზას გაუხსნის სანდო AI სისტემების დანერგვას.

პრინციპში, ტრანსსასაზღვრო და ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობა აუცილებელი იქნება სანდო AI-ის პასუხისმგებლობით მენეჯმენტში პროგრესის მისაღწევად.

ამავდროულად AI სისტემებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა დაცვასთან შესაბამისობა სისტემის მთელი ციკლის განმავლობაში. ეს მოიცავს მომხმარებლის მიერ თავდაპირველად მოწოდებულ ინფორმაციას, ისევე როგორც მომხმარებლის შესახებ გენერირებულ ინფორმაციას სისტემასთან მათი ურთიერთქმედების დროს.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ინფორმაცია ხაზს უსვამს ეთიკის როლს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებები იყოს გამჭვირვალე და გასაგები და ასევე შეესაბამებოდეს იურიდიულ მოთხოვნებს. ეს აუცილებელია ნდობის გასამყარებლად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად და AI სისტემების გამოყენების უზრუნველსაყოფად ხალხის საჭიროებების შესაბამისად.

4. რეგულირების როლი

ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება აუცილებელია ეთიკური სტანდარტების დანერგვისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის მართვისთვის. შესაბამისი რეგულაციები ხელს შეუწყობს რისკების მინიმიზაციას და მოახდენს შესაძლებლობების მაქსიმალიზაციას. მოცემულ შემთხვევაში განხილული იქნება მოქმედი კანონები, რეგულაციები და პროექტები.

2022 წლის ოქტომბერში თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნდა „The Blueprint for an AI Bill of Rights“, რომელიც ასახავს ხუთ ძირითად პრინციპს, რათა დაცული იქნას ამერიკული საზოგადოების უფლებები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში.

1. უსაფრთხო და ეფექტური სისტემები: AI სისტემები უნდა იყოს დაცული სახიფათო ან არაეფექტური ტექნოლოგიებისგან. ეს მოიცავს სისტემების განვითარებას მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე, რათა იდენტიფიცირდეს და შემცირდოს პოტენციური რისკები. უნდა მოხდეს სისტემების წინასწარი ტესტირება და მუდმივი მონიტორინგი მათი უსაფრთხოების და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

2. ალგორითმული დისკრიმინაციის დაცვა: AI სისტემები უნდა იყოს დიზაინირებული ისე, რომ თავიდან აიცილოს ალგორითმული დისკრიმინაცია, რაც გულისხმობს გაუმართლებელი განსხვავებული მოპყრობის პრევენციას. დიზაინერები და დეველოპერები უნდა მიაწვდონ ზომები, რომ სისტემები იყოს სამართლიანი და ინდივიდუალური უფლებების დაცვა განუხრელად.

3. მონაცემთა კონფიდენციალურობა: მონაცემთა დაცვა უნდა იყოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. AI სისტემების დიზაინი უნდა მოიცავდეს კონფიდენციალურობის დაცვას და მომხმარებლების ნებართვის მიღებას მონაცემების გამოყენებაზე. დაცული უნდა იყოს თქვენი მონაცემების სწორად გამოყენება და კონფიდენციალურობა.

4. შენიშვნა და ახსნა: მომხმარებლებს უნდა მიაწვდონ ინფორმაცია, როდესაც AI სისტემები გამოიყენება და როგორ მოქმედებს ეს შედეგზე. სისტემები უნდა უზრუნველყოს გასაგები ახსნა-განმარტებები, რათა ადამიანები იცოდნენ როგორ ხდება შედეგების განსაზღვრა.

5. ადამიანური ალტერნატივები, განხილვა და უკან დაბრუნება: მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა უარი თქვან ავტომატიზირებულ სისტემებზე და მიიღონ ადამიანის განხილვა და გასწორება საჭიროების შემთხვევაში. უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადამიანის ფაქტორების გამოყენება, განსაკუთრებით მაღალი რისკის სიტუაციებში.

ასევე ევრო საბჭოს ხელოვნური ინტელექტის კომიტეტმა 2023 წლის 6 იანვარს გამოაქვეყნა ხელოვნური ინტელექტის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ კონვენციის პროექტი.

კონვენციის პროექტის პირველი ნაწილი ეხება ზოგად დებულებებს, პირველი მუხლი შეეხება მიზანს და ობიექტს, რომლის თანახმადაც ეს კონვენცია ადგენს ფუნდამენტურ

პრინციპებს, წესებს და უფლებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის სისტემების დიზაინის, განვითარებასა და გამოყენების სრულ შესაბამისობას ადამიანის უფლებების, დემოკრატიის ფუნქციონირებისა და კანონის უზენაესობის დაცვასთან. მეორე მუხლი ეძღვნება განმარტებებს, მუხლი სამი - დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს შეეხება, ხოლო მუხლი ოთხი მოიცავს ფარგლებს, კერძოდ, ეს კონვენცია გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის სისტემების დიზაინზე, განვითარებასა და გამოყენებაზე. მეორე ნაწილი ეთმობა

5. დასკვნა

მსოფლიოში სულ უფრო მეტად დომინირებს ხელოვნური ინტელექტი, ეთიკის ინტეგრირება გადამწყვეტია ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური ზემოქმედების მაქსიმალურად გაზრდის და უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. ამ სტატიაში აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტი გვთავაზობს მნიშვნელოვან პოტენციალს მართლმსაჯულების სისტემის გასაუმჯობესებლად. თუმცა ასევე წარმოაჩინა მნიშვნელოვანი ეთიკური გამოწვევები, მიკერძოება, დისკრიმინაცია, მონაცემთა დაცვის და კონფიდენციალურობის საკითხები. ხელოვნური ინტელექტის და ეთიკის მომავალი ჩამოყალიბდება ეთიკის სფეროში გაზრდილი კვლევებით, უფრო მკაცრი რეგულაციებით და ამ საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით. ეთიკა არის ხელოვნური ინტელექტის განვითარების განუყოფელი ნაწილი და დეველოპერების პასუხისმგებლობა სულ უფრო და უფრო ხაზგასასმელია. საბოლოო ჯამში, გამოწვევაა ხელოვნური ინტელექტის ძალის გამოყენება, რათა ხელი შეუწყოს ადამიანის კეთილდღეობასა და პროგრესს ადამიანის ეთიკისა და ღირსების კომპრომისის გარეშე. ეს მოითხოვს მუდმივ, ინფორმირებულ და ინკლუზიურ დისკუსიას იმ ეთიკური საკითხების შესახებ, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტი წარმოშობს, რათა უზრუნველყოს ხელოვნური ინტელექტის ეთიკური მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://ec.europa.eu/futurium/en/ai-alliance-consultation>
2. Courts and Artificial Intelligence, A. D. (Dory) Reiling
3. <https://www.cmshs-bloggt.de/rechtsthemen/sustainability/sustainability-social-and-human-rights/wie-diskriminierend-ist-kuenstliche-intelligenz/> (ნანახია 30.09.2023წ.)
4. <https://www.aclu.org/news/privacy-technology/amazons-face-recognition-falsely-matched-28> (ნანახია 30.09.2023 წ.)
5. <https://www.din.de/resource/blob/754724/00dcbccc21399e13872b2b6120369e74/whitepaper-ki-ethikaspekte-data.pdf>
6. <https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2022/10/Blueprint-for-an-AI-Bill-of-Rights.pdf> (ნანახია 01.10.2023 წ.)

Justice System Revolution: Artificial Intelligence Capabilities and Potential Risks

Magda Beruashvili

Business and Technology University

Magda.beruashvili@gmail.com

Abstract

Over the past years, artificial intelligence has penetrated many areas of our lives and fundamentally changed them. It has become part of our daily life. It is used both in business and public sectors. Digital platforms and tools have become a kind of guarantee for ensuring business continuity in all key directions. Accordingly, artificial intelligence is actively used in the justice systems of different countries, which, of course, creates both opportunities and risks. The article will discuss specifically what kind of opportunities are

created by artificial intelligence that is already being used in court systems and what risks exist when using artificial intelligence.

Keywords: AI, ML, Justice System, Legal Proceedings

მოდელირება აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე ბიზნესპროცესების ანალიზისას

სუხიაშვილი თეიმურაზი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
sukhiashvilitimuraz08@gtu.ge

რეზიუმე

პროგრამული სისტემების დაპროექტებისას ობიექტ-ორიენტირებული მიდგომით დამუშავებისათვის აუცილებელია განიხილოს სისტემა არა მარტო სხვადასხვა თვალთახედვით, არამედ აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამისტი მუშაობს შედარებით დაბალ, ხოლო ანალიტიკოსი და მომხმარებელი შედარებით მაღალ აბსტრაქციის დონეებზე. ვაკავშირებთ რა სხვადასხვა აბსტრაქციის მოდელებს ერთმანეთთან საშუალება გვძლევს გასაგები გავხადოთ იგი როგორც ანალიტიკოსისა და პროგრამისტისათვის, ასევე მომხმარებლისათვის. გარდა ამისა სისტემა უფრო ადვილად ადაპტირდება ცვალებად გარემოსთან.

საკვანძო სიტყვები: აბსტრაქცია, ბიზნესპროცესი, ანალიზი, დიაგრამა, კოოპერაცია, მოდელის დიაგრამა, პრეცედენტი.


1. შესავალი

აბსტრაქციის სხვადასხვა დონეებზე მაგალითად, თუ გვაქვს სისტემის კლასები, რომლებიც მოიცავს საპრობლემო სფეროს ლექსიკონს, მაშინ პროგრამისტისათვის საჭირო იქნება თითოეული მათგანის შესწავლა შესაბამისი ატრიბუტებით, ოპერაციებითა და მიმართებებით. მეორეს მხრივ, ანალიტიკოსისათვის, რომელიც ათანხმებს საბოლოო მომხმარებელთან სისტემის გამოყენების სხვადასხვა ვარიანტებს, იგივე კლასები დასრულებული სისტემის დასჭირდებათ მაქსიმალურად გამარტივებული სახით. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამისტი მუშაობს შედარებით დაბალ, ხოლო ანალიტიკოსი და მომხმარებელი შედარებით მაღალ აბსტრაქციის დონეებზე. რამდენადაც დიაგრამები, არსებითად წარმოადგენენ მოდელის შემადგენელი ელემენტების გრაფიკულ წარმოდგენას, შეგვიძლია დავხაზოთ ერთი და იმავე მოდელის რამოდენიმე დიაგრამა, რომელთაგან თითოეული მალავს ან პირიქით, წარმოაჩენს ზოგიერთ ელემენტებს და შესაბამისად გვიჩვენებს დეტალიზაციის სხვადასხვა დონეს. ყველა შემთხვევაში თუ შესაქმნელია მოდელი რეალიზაციისათვის, დაგჭირდება ყველაზე დაბალი დონის დიაგრამები, ხოლო საბოლოო მომხმარებლისათვის ძირითადი კონცეფციების გადასაცემად, დაგჭირდება მაღალდონიანი დიაგრამები, რომელშიც დეტალების უმრავლესობა დამალულია. კონცეპტუალური კავშირების მოდელირება ელემენტებს შორის, რომლებიც სხვადასხვა მოდელებში არიან, შესაძლებელია ტრასირების დამოკიდებულებით. ტრასირება წარმოიდგინება სტერეოტიპული დამოკიდებულებით. დამოკიდებულების მიმართულებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ჩვეულებრივ ისარი მიუთითებს უფრო ადრეულ ობიექტს. უფრო ხშირად ტრასირების მიმართება გამოიყენება იმისათვის, რომ უჩვენონ გზა მოთხოვნიდან რეალიზაციამდე.

2. ძირითადი ნაწილი

სისტემის აბსტრაქციის სხვადასხვა დონეების მოდელირებისათვის, იმისგან დამოკიდებულებით თუ რა მოთხოვნებია გასათვალისწინებელი, ვქმნით დიაგრამას შესაბამის აბსტრაქციის დონეზე. რისთვისაც ვმალავთ ან წარმოვაჩენთ არსებებს, რომლებიც ქმნიან მოდელს. კერძოდ, ვიყენებთ მხოლოდ იმ სამშენებლო ბლოკებს და მიმართებებს მათ შორის,


რომლებიც შეესაბამებიან ამ მოთხოვნებს, დანარჩენებს უგულებელვყოფთ. ქცევის დიაგრამებზე უჩვენებთ მხოლოდ იმ შეტყობინებებს და გადასვლებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა არსებული მოთხოვნების გადმოსაცემად.




ნახ.1

მაგალითისათვის 1-ელ მოყვანილია უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის ორგანიზების ამსახველი აქტიურობის დიაგრამის ფრაგმენტი (უწყისების დამუშავება) აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, ყველაზე მაღალ დონეზე გამოსახულია ძირითადი მოთხოვნები სისტემისადმი (უწყისების დამუშავება), რომლებიც დეტალიზირდება ქვედა დონეებზე მათი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ნახაზზე დეტალიზება ნაჩვენებია მხოლოდ პრეცედენტისთვის „უწყისების დამუშავება“. ორივე დიაგრამა მიეკუთვნება ერთი და იმავე მოდელს, მაგრამ ახდენენ სხვადასხვა დეტალიზაციის დონის დემონსტრირებას.

შეფასების შემოწმება




სტუდენტთა გადანაწილება



ნახ. 2

მოცემული მიდგომის თავისებურება იმაშია, რომ მოდელირების პროცესში გამოიყენება სემანტიკური მცნებების ახალი ნაკრები (შეფასების შემოწმება, სტუდენტების გადანაწილება). და ცვლილებამ დიაგრამაზე აბსტრაქციის ერთ დონეზე, შეიძლება გამოიწვიოს უფრო დაბალ დონეებზე არსებული დიაგრამების არსებითი შეცვლა. რაც საშუალებას გვაძლევს სწრაფად აღმოვაჩინოთ სისტემის შესაცვლელი ნაწილი.

აბსტრაქციების გამოყენების მეორე საშუალებაა, შევქმნათ სხვადასხვა მოდელები აბსტრაქციის სხვადასხვა დონით და ტრასირების დიაგრამები ერთი მოდელიდან მეორეზე. მოცემულ შემთხვევაში ვირჩევთ რა აბსტრაქციის საჭირო დონეს ვაგებთ ყოველი დონისათვის თავის დამახასიათებელ მოდელს, შემდეგ ვადგენთ ტრასირების მიმართებას სხვადასხვა დონის დამაკავშირებელ ელემენტებს შორის. მაგალითად, მოდელში პრეცედენტების თვალთახედვით პრეცედენტები ტრასირდებიან მოდელის კოოპერაციებთან პროექტირების თვალთახედვით, ხოლო კოოპერაციები ტრასირდებიან კლასებთან, რომლებიც ერთობლივად ფუნქციონირებენ მოცემული კოოპერაციის განსახორციელებლად. ნახ.3.-ზე სწორედ გამოსახულია პრეცედენტი “შეკვეთის მომზადება”, შესაბამისი კოოპერაცია მიმდევრობის დიაგრამის სახით, რომელიც თავის მხრივ ტრასირდება კლასების დიაგრამაზე.



ნახ. 3

ასეთი მიდგომისას, სხვადასხვა დონის აბსტრაქციის დიაგრამები ნაკლებათ არიან ერთმანათთან დაკავშირებული. ცვლილება ერთ მოდელში არ მოახდენს ძალიან დიდ გავლენას დანარჩენებზე. საჭირო ხდება დამატებითი ძალისხმევა მოდელების და მათი დიაგრამების სინქრონიზაციაზე. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს თუ მოდელები მიეკუთვნებიან სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზებს.

3. დასკვნა

მნიშვნელოვანი ბიზნეს-სემანტიკის მქონე სისტემების დამუშავებისას ანალიზის ეტაპზე აბსტრაქტული მოდელების აგების მოყვანილი მიოდგომა არის მოხერხებული საშუალებას სისტემის დაპროექტებისათვის.

ლიტერატურა:

1. Арлоу Дж., Нейштадт А. UML.2 и унифицированный процесс. 2-ое изд., Практический Объектно-ориентированный анализ и проектирование.. Санкт-Петербург-Москва, 2008.
2. სუხიაშვილი თ. მოდელირების უნიფიცირებული ენა (UML). პრაქტიკული ობიექტ-ორიენტირებული ანალიზი და დაპროექტება. თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2018, 210 გვ. ელ. სახელმძღვანელო.

Modeling at different levels of abstraction in the analysis of business processes

Sukhiashvili Teimuraz
Georgian Technical University
Sukhiashviliteimuraz08@gtu.ge

Abstract

When designing software systems with an object-oriented approach, it is necessary for a developer to consider the system not only from different points of view, but also at different levels of abstraction. It can be said that the programmer works at relatively low, and the analyst and user at relatively high levels of abstraction. Connecting different abstraction models together allows us to make it understandable for both the analyst and the programmer, as well as for the user. In addition, the system is more easily adapted to the changing environment.

Keywords: abstraction, cooperation, activity, business process, analysis, diagram, precedent, interaction.

არარელაციული მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების მეთოდები

თამარ ბუზიაშვილი, ვალერი ტაკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
buziashvilitamar08@gtu.ge v.takashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია მონაცემთა ბაზების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები. ისინი ეხება ინსტრუმენტების, კონტროლისა და ზომების სპექტრს, რომლებიც შექმნილია მონაცემთა ბაზის კონფიდენციალურობის, მთლიანობის, ხელმისაწვდომობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული არარელაციული მონაცემთა ბაზის კონფიდენციალურობაზე, რადგან ეს არის ელემენტი, რომელიც კომპრომეტირებულია მონაცემთა უმეტესი დარღვევის დროს. მონაცემთა ბაზის უსაფრთხოება კომპლექსური და რთული წამოწყებაა, რომელიც მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის ყველა ასპექტს. წარმოდგენილია არარელაციული MongoDB ბაზის დაცვისა და უსაფრთხოების მეთოდები. დასაბუთებულია კიბერუსაფრთხოების, როგორც თანამედროვე ციფრული მსოფლიოს ახალი გამოწვევა, ლოგიკური კავშირი ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ ცვლილება-განვითარებასთან. ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს უსაფრთხოების კუთხით, ახალი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, დანერგვა და გამოყენება კიბერ სივრცეში, არსებული ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: არარელაციული მონაცემთა ბაზა, კიბერუსაფრთხოება, Mongo DB.

1. შესავალი

არარელაციული მონაცემთა ბაზები (NoSQL მონაცემთა ბაზები) განსხვავდებიან ტრადიციული რელაციური მონაცემთა ბაზებისგან (SQL მონაცემთა ბაზები) რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით:

მონაცემთა შენახვის მოდელი: არარელაციული მონაცემთა ბაზები იყენებენ სხვადასხვა მონაცემთა მოდელებს, როგორცაა დოკუმენტზე დაფუძნებული, გრაფზე დაფუძნებული, გასაღები-ღირებულების წყვილები და სვეტზე დაფუძნებული მოდელები. ეს მოდელები უზრუნველყოფენ უფრო მოქნილ და მასშტაბურ მონაცემთა შენახვას. მნიშვნელოვანია ასევე სქემის მოქნილობა რაც გულისხმობს იმას რომ არარელაციული მონაცემთა ბაზებს არ

საჭიროებენ წინასწარ განსაზღვრულ სქემას, რაც საშუალებას აძლევს მონაცემთა სტრუქტურების დინამიურად შეცვლას და ადაპტირებას.

არარელაციული მონაცემთა ბაზები ხშირად გამოიყენება ჰორიზონტალური მასშტაბურობისთვის, რაც ნიშნავს, რომ მონაცემთა ბაზის მასშტაბირება შესაძლებელია დამატებითი სერვერების გამოყენებით. არარელაციული მონაცემთა ბაზები ხშირად უზრუნველყოფენ მონაცემთა რეპლიკაციას და განაწილებას, რაც ზრდის სისტემის ხელმისაწვდომობას და გამძლეობას, ასევე ბაზები ხშირად გამოიყენება დიდი მონაცემთა ნაკრებების, რეალურ დროში ანალიტიკის, IoT (ინტერნეტ ნივთების) და სხვა აპლიკაციებისათვის, სადაც საჭიროა სწრაფი და მოქნილი მონაცემთა დამუშავება.

2. ძირითადი ნაწილი

არარელაციული MongoDB უსაფრთხოების მახასიათებლები მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, რომლების უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვას და კონფიდენციალურობას.

ავთენტიფიკაცია - ავთენტიფიკაციის დროს MongoDB ამოწმებს კლიენტის ვინაობას. როდესაც წვდომის კონტროლი (ავტორიზაცია) ჩართულია, MongoDB მოითხოვს ყველა კლიენტს საკუთარი თავის ავთენტიფიკაციას, რათა დადგინდეს მათი წვდომა სერვერზე. მიუხედავად იმისა, რომ ავთენტიფიკაცია და ავტორიზაცია მჭიდრო კავშირშია, ავთენტიფიკაცია განსხვავდება ავტორიზაციისგან:

ავთენტიფიკაცია ადასტურებს მომხმარებლის იდენტურობას ხოლო, ავტორიზაცია განსაზღვრავს დამოწმებული მომხმარებლის წვდომას რესურსებსა და ოპერაციებზე.

როლებზე დაფუძნებული წვდომის კონტროლი - MongoDB იყენებს როლებზე დაფუძნებულ წვდომის კონტროლს (RBAC) MongoDB სისტემაზე წვდომის მართვისთვის. მომხმარებელს ეძლევა ერთი ან მეტი როლები რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის წვდომას მონაცემთა ბაზის რესურსებსა და ოპერაციებზე. როლური დავალებების მიღმა, მომხმარებელს არ აქვს წვდომა სისტემაზე. მას შემდეგ, რაც წვდომის კონტროლი ჩართულია, მომხმარებლებმა უნდა დაადასტურონ საკუთარი თავი. როლი ანიჭებს პრივილეგიებს რესურსზე მითითებული მოქმედებების შესასრულებლად. თითოეული პრივილეგია ან პირდაპირ არის მითითებული როლში, ან მემკვიდრეობით არის მიღებული სხვა როლიდან.

მონაცემთა მთლიანობა-MongoDB მხარს უჭერს ACID (Atomicity, Consistency, Isolation, Durability) თვისებებს ტრანზაქციებისთვის, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ოპერაციების სისწორეს და მთლიანობას. სქემის ვალიდაცია საშუალებას აძლევს ადმინისტრატორებს განსაზღვრონ მონაცემთა სტრუქტურა და ვალიდაციის წესები, ხოლო რეპლიკაციის მექანიზმებს MongoDB იყენებს მონაცემთა სარეზერვო ასლების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ხელმისაწვდომობას და მთლიანობას დაზიანების შემთხვევაში.

MongoDB-ს აუდიტის ლოგირების ფუნქცია საშუალებას აძლევს ადმინისტრატორებს ჩაწერონ და მონიტორინგი გაუწიონ მონაცემთა ბაზის ოპერაციებს, როგორცაა მომხმარებლის შესვლა, მონაცემთა ცვლილებები და ადმინისტრაციული ოპერაციები.

მონაცემთა ბაზის მონიტორინგი - MongoDB Atlas და სხვა მონიტორინგის ინსტრუმენტები უზრუნველყოფენ მონაცემთა ბაზის მუშაობის და უსაფრთხოების მონიტორინგს რეალურ დროში.

MongoDB-ს დაშიფვრის მექანიზმი - მონაცემთა განხილვის დროს: MongoDB-ს შეუძლია მონაცემების დაშიფვრა შესაბამისი ფუნქციების გამოყენებით, რომელსაც ეწოდება Transparent Data Encryption (TDE). TDE შიფრავს იმ ინფორმაციას, რომელიც შენახულია დისკზე, რათა დაიცვას მისი მონაცემები, მაშინაც კი თუ მასზე ფიზიკურ პირს ექნება წვდომა. MongoDB იყენებს WiredTiger-ს, ხოლო WiredTiger უზრუნველყოფს TDE-ის მხარდაჭერას. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გააქტიუროთ TDE, ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა „mongod“-ის კონფიგურაციის ფაილი ან MongoDB Enterprise Manager. ხოლო, როდესაც გვსურს მონაცემების

დაცვა კლიენტებსა და MongoDB-ს სერვერების შემთხვევაში, ამ დროს უნდა გამოვიყენოთ SSL/TLS (Secure Sockets Layer/Transport Layer Security).

SSL/TLS (Secure Sockets Layer/Transport Layer Security) -ის სტრუქტურა SSL/TLS უზრუნველყოფს, რომ არ მიეწოდოს მესამე მხარეს კონფიდენციალური მონაცემები. თქვენ შეგიძლიათ ეს ყველაფერი არეგულიროთ და დააკონფიგურიროთ SSL/TLS-ს მეშვეობით. MongoDB ასევე გთავაზობთ კლიენტის ველის დონის დაშიფვრას. ამ უკანასკნელით შეგიძლიათ დაშიფროთ დოკუმენტებში სასურველი ველები და იყოთ ინფორმირებულები, რაც მიზნად ისახავს იმას, რომ კონფიდენციალური მონაცემები დარჩეს სერვერზე დაშიფრულად და მხოლოდ კლიენტის მხრიდან იყოს მისი გამოყენება შესაძლებელი. იგი გვცხმარება რომ დავიცვათ ყველანაირი კონფიდენციალური ინფორმაცია, მაშინაც კი, როდესაც ეს კონფიდენციალური ინფორმაცია ინახება MongoDB-ში. MongoDB-ის სისტემა სრულიად გვცხმარება, რათა დავიცვათ კონფიდენციალური ინფორმაცია ნებისმიერ დროს. გაითვალისწინეთ, რომ ყველა ეს ფუნქცია შეიძლება არ იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი MongoDB-ის კოდის შემთხვევაში და შესაძლოა ზოგიერთ მათგანს დასჭირდეს MongoDB Enterprise-ს გამოყენება. სწორედ ამიტომ, აუცილებლად უნდა შეამოწმოთ თქვენი MongoDB-ის გამოშვება და ფუნქციები.


არარელაციული ბაზას უსაფრთხოების კუთხით აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კვანტურ კომპიუტერებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ დაშიფვრის გარკვეული ალგორითმები და შეასრულონ კონკრეტული მათემატიკური საკითხები იმაზე სწრაფად, ვიდრე ამას აკეთებენ კლასიკური კომპიუტერები. იმისათვის რომ ბაზა გავხადოთ უსაფრთხო უნდა განვიხილოთ პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფია რაც გახლავთ აქტიური კვლევისა და განვითარების სფერო, რომელიც მიზნად ისახავს დაშიფვრის და კრიპტოგრაფიული პროტოკოლების შექმნას, რომელიც დაიცავს კვანტურ კომპიუტერებს თავდასხმის შემთხვევაში. ტრადიციული SSL/TLS დაშიფვრა, რომელიც ეყრდნობა ასიმეტრიულ ალგორითმებს, როგორცაა RSA და ECC (Elliptic Curve Cryptography), არ არის დაცული ძლიერი კვანტური კომპიუტერების თავდასხმისგან. იმისათვის, რომ SSL/TLS იყოს უსაფრთხო, უნდა განვიხილოთ კვანტურ რეზისტენტული კრიპტოგრაფიული ალგორითმები. კვლევებზე დაყრდნობით წარმოდგენილი მაქვს რამდენიმე ძირითადი მოსაზრება: ჩანაცვლეთ რამდენიმე ალგორითმები (როგორცაა RSA ან ECC) კვანტურ რეზისტენტული ალგორითმებით. რამდენიმე ალგორითმი, როგორცაა NTRUEncrypt და Ring-LWE მოიცავს მთავარ ალგორითმებს. McEliece არის დაშიფვრის სქემა. პოლინომიური კრიპტოგრაფიის სქემებია: „Rainbow“, „Unbalanced Oil“ და „Vinegar“ (UOV).

SSL/TLS დაშიფვრის მოდელის წარმოდგენა კვანტური კრიპტოგრაფიით- ამ პარაგრაფში წარმოდგენილია „გასაღების გაცვლა“ SSL/TLS-ში ახლა უკვე ღია გასაღების დაშიფვრის გამოყენებით QKD პროტოკოლის დახმარებით. მოგეხსენებათ რომ SSL/TLS არის პროტოკოლი, რომელიც ეფუძნება მომხმარებლის ბრაუზერსა და სერვერს შორის უსაფრთხო კავშირს. იგი განკუთვნილია ორი სერვისის უზრუნველსაყოფად: დაშიფრული წერტილოვანი კავშირის და შეტყობინების სისტემის ერთიანობის. აქედან გამომდინარე პროტოკოლი შედგება ხუთი ნაწილისგან:

- ჩანაწერების პროტოკოლი (Record protocol);
- Handshake პროტოკოლი;
- შიფრის სპეციფიკის ცვლილების პროტოკოლი (Change cipher spec);
- გაფრთხილების პროტოკოლი (Alert Protocol);
- პროგრამის მონაცემთა პროტოკოლი.

ჩანაწერების პროტოკოლი (Record protocol) პასუხისმგებელია კოდირებაზე (DES, AES, და 3 DES...) და ერთიანობაზე (MD5 და SHA-1). მონაცემების მისაღებად იგი იყენებს პროგრამული მონაცემების პროტოკოლს. პირველ რიგში, მონაცემები დაყოფილი და დანაწევრებულია და თითოეული დანაწევრებული ფრაგმენტისთვის HMAC გამოითვლება და ემატება ჩანაწერს.

აღნიშნული სქემა აჩვენებს საბოლოო საკვანძო სიჩქარეს k და ორ უწყვეტ სიხშირეს k t პერიოდს 1 და 4 წამის განმავლობაში (ნახ.1).



ნახ. 1

თუ გამოიყენება ბლოკის შიფრირების ალგორითმი, ბლოკის შესავსებად შეიძლება საჭირო გახდეს მისი დაფარვა. მთელი ჩანაწერი (დანაწევრებული ფრაგმენტები, HMAC და არასავალდებულობა Padding (-გამოიყენება შინაარსის გარშემო სივრცის შესაქმნელად) დაშიფრულია. შემდეგ დაშიფრულ ბლოკს ემატება სათაური და მთელი პაკეტი გადაეცემა მონაცემთა გადაცემის დონეს. დაშიფრისთვის და მთლიანობისთვის საჭიროა გასაღები რომელიც განსაზღვრულია handshake პროტოკოლით. გასაღები წარმოიქმნება ორი შემთხვევითი ნომრისგან და pre-master secret-სგან (SSL/TLS აგენერირებს გასაღებებს pre-master secret-ში) pre-master secret გენერირებულია კლიენტის მიერ და დაშიფრულია გაგზავნამდე სერვერის ღია გასაღებით. ასე რომ გასაღების უსაფრთხოება მხოლოდ გაანგარიშებული და გამოთვლილია, რადგან დაკავშირებული კერძო გასაღების გამოთვლა შეუძლია მოწინააღმდეგეს შეუზღუდავი ძალებით. აქედან გამომდინარე ზემო აღნიშნულის მიზანია უსაფრთოდ „გასაღებს გაცვლა“ QKD-სთან ერთად. გაფრთხილების (Alert) პროტოკოლი გამოიყენება გაუთვალისწინებელი შეცდომების დროს handshake და record პროტოკოლების მიმდინარეობისას. აქედან გამომდინარე არსებობს შეცდომის სხვადასხვა საფეხურის აღმნიშვნელი რამდენიმე ტიპის შეტყობინება, რომელიც იგზავნება სერვერზე ან კლიენტის ბაზაზე. ზიანის მომყენებელი შეტყობინების მიღების შემდეგ კავშირი უნდა დაიხუროს და ყველაფერი უნდა გაუქმდეს.

3. დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია არარელაციული მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების მეთოდები, გამოკვეთილი და დასაბუთებულია თუ რას იყენებს მონაცემთა ბაზა ინფორმაციის დაცვისათვის. ნაშრომში წარმოვადგინე SSL/TLS პროტოკოლის მოდიფიცირებულ ვერსიას, რათა ტექნოლოგიური სიახლის - როგორც კვანტური კომპიუტერის გავლენა Mongo DB - ის დაშიფრის მეთოდზე, მეტად გასაგები და ნათელი ყოფილიყო. გამოიკვეთა რომ ორივე მათგანი იყენებს QKD-ს როგორც საკვანძო გენერაციას. ჰიბრიდულ გამოსავალს აქვს ის უპირატესობა, რომ არ არის მაღალი ხარჯის დანაკარგები (თუნდაც მხოლოდ handshake პროტოკოლში) და უსაფრთხოების უფრო მაღალი დონე სტანდარტულ SSL/TLS პროტოკოლთან შედარებით.

ლიტერატურა:

1. <https://www.mongodb.com/resources/products/capabilities/best-practices>
- 2.
3. <https://www.mongodb.com/docs/v6.2/security/>
4. <https://www.mongodb.com/en-us/products/capabilities/security>
5. <https://www.mongodb.com/docs/manual/security/>

Non-relational database security methods

Tamar Buzhiashvili, Valeri Takashvili
Georgian Technical University
buziashvilitamar08@gtu.ge v.takashvili@gtu.ge

Abstract

In today's digital age, the protection and security of databases are among the most important issues. Database security refers to a range of tools, controls, and measures designed to establish and maintain the confidentiality, integrity, and availability of databases. The article focuses on the confidentiality of non-relational databases, as this is an element that is compromised in most data breaches. Database security is a complex and challenging endeavor that encompasses all aspects of information security technologies and practices. The methods for protecting and securing non-relational MongoDB presented and discussed in the article further illustrate that cybersecurity, as a new challenge in the modern digital world, is logically connected to information technology changes and developments. Therefore, it is necessary to develop, implement, and use new methods and approaches in cybersecurity to protect existing information.

Keywords: non-relational database, cybersecurity, MongoDB.

ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები

ხათუნა ბარდაველიძე¹, ლიანა თედეშვილი¹, ავთანდილ ბარდაველიძე²

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

bardavelidzekhatuna08@gtu.ge, l.tedeshvili@gtu.ge, bardaveli54@mail.ru

რეზიუმე

განხილულია ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების ტექნოლოგიები, როგორც გამოყენებითი კომპიუტერულ მეცნიერების დისციპლინების ერთ-ერთ მიმართულებას. მისი გამოყენების სფერო ეხება გაზომვებს, ბიომეტრიას, კომპიუტერულ დიზაინს, სამგანზომილებიან სიმულაციას, მედიცინას და მრეწველობის სხვადასხვა დარგებს. უფრო მეტიც, კომპიუტერული ტექნიკის მუშაობის გაუმჯობესებით, გამოსახულების დამუშავების ალგორითმებმა გააუმჯობესეს ციფრული გამოსახულების დამუშავების ტექნოლოგიის გამოყენება. ნაშრომი წარმოადგენს ციფრული გამოსახულების დამუშავების მეთოდების საფუძვლიან მიმოხილვას თანამედროვე ინჟინერიის სხვადასხვა დარგისთვის. წარმოდგენილია და განხილულია გამოსახულებათა დამუშავების ყველა ძირითადი მეთოდი, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიმოხილვა თითოეული მეთოდის უპირატესობებსა და შეზღუდვებზე, რაც უზრუნველყოფს ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების სფეროს შესახებ საფუძვლიან ინფორმირებას. დადგენილია, რომ ციფრული გამოსახულების დამუშავება აერთიანებს მეთოდების ჯგუფს, რომელიც ეხება ციფრული სურათების გარდაქმნებს კომპიუტერული ალგორითმების გამოყენებით. ეს არის არსებითი წინასწარი დამუშავების ეტაპი ბევრ გამოყენებით პროგრამებში, როგორც არის სახის, ობიექტების ამოცნობა, გამოსახულების შეკუმშვა, აღდგენა და გაუმჯობესება.


საკვანძო სიტყვები: გამოსახულების დამუშავება, სემანტიკა, აღდგენა, კუმშვა, ფილტრაცია.

1. შესავალი

კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების ტექნოლოგიის განვითარება, მუდმივი მოთხოვნა ციფრული გამოსახულების დამუშავების ტექნოლოგიაზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროებიდან, რამაც ციფრული გამოსახულების ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობები შემოიტანა. იგი იყენებს სხვადასხვა სფეროებს ტექნოლოგიური მიღწევებით, როგორც არის მედიცინა, კოსმოსური მეცნიერებები, სამხედრო და სამრეწველო საქმიანობა, უსაფრთხოება, გეოგრაფიული საინფორმაციო

ტექნოლოგიები და სხვა [1]. 1920-იან წლებში ადამიანებმა პირველად გამოიყენეს ციფრული გამოსახულების დამუშავების ტექნოლოგია. ისინი იყენებდნენ სადენებს ფოტოების გადასატანად, თუმცა გადაცემული სურათების ხარისხი, არც თუ ისე კარგი იყო. ამიტომ აუცილებელი გახდა გამოსახულების ხარისხის გაუმჯობესება და ოპტიმიზება. მხოლოდ 1970-იან წლებში განახლდა ციფრული გამოსახულების დამუშავების ტექნოლოგია. რამდენადაც ტექნოლოგია მუდმივად განახლებადია და გამოიყენება სხვადასხვა სფეროში, ციფრული გამოსახულების დამუშავების ტექნოლოგიის მოთხოვნები სულ უფრო მატულობს და აჩქარებს მათი დამუშავების მედოდების განვითარებას [2].

ციფრული გამოსახულების დამუშავება ეხება თავდაპირველი გამოსახულების ციფრულ სიგნალად გარდაქმნას და კომპიუტერული დამუშავების პროცესს, რომელიც მოიცავს გამოსახულების ხარისხის გაუმჯობესებას, ხმაურის შემცირებას, სეგმენტაციას, აღდგენას, კოდირებას და შეკუმშვას. ციფრული გამოსახულების დამუშავების პროცესი ნაჩვენებია სურათზე 1.



სურ. 1 ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების სქემა

ციფრული გამოსახულების დამუშავებისათვის დამახასიათებელია:

1. *გამოსახულების დამუშავების მაღალი გარჩევადობა.* ციფრული გამოსახულების ტექნოლოგია განსხვავდება ანალოგური ტექნოლოგიისგან იმით, რომ ის იწერს ინფორმაციას პიქსელთა ბადის სახით. აქედან გამომდინარე, გამოსახულების შენახვის სიზუსტე უმეტესად დამოკიდებულია კონვერტაციაში გამოყენებული კვანტირების ბიტების რაოდენობაზე და მიმდინარე ციფრულ გამოსახულებაზე;

2. *გამოსახულებათა გამოყენების ფართო სპექტრი:* ციფრული გამოსახულების ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, მათი მიღება შესაძლებელია მრავალი წყაროდან: მიკრობებიდან კოსმოსურ სურათებამდე, ადამიანის ჩონჩხიდან ტბებამდე და მთებამდე. სამიზნის გარემოთი შეზღუდვის გარეშე, მათ შეუძლიათ ზუსტად ასახონ თავიანთი ობიექტური გარეგნობა და ზომა;

3. *გამოსახულების დიდი შეკუმშვის არე:* განსაკუთრებით, როცა ორი გამოსახულების კადრი დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ არ არის ძალიან განსხვავებული, მონაცემების 90%-ზე მეტი არ არის ერთნაირი და შეკუმშვის კოეფიციენტი შეიძლება იყოს ძალიან დიდი.

2. ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების მეთოდოლოგია

ციფრული გამოსახულების დამუშავების ძირითადი მეთოდოლოგია მოიცავს გამოსახულების გაუმჯობესებას, სურათის აღდგენას და შეკუმშვას, რომელიც ძალზე ეფექტურია განსაკუთრებით მათი გამოყენების ფართო არეალით [2, 3].

არსებობს ციფრული გამოსახულების დამუშავების რამდენიმე მეთოდი, რისთვისაც შემუშავებულია ალგორითმები და გამოიყენება გამოსახულებათა დასამუშავებლად [4, 5]: გამოსახულების სიმკვეთრის გაზრდა და აღდგენა; ხმაურის მოცილება ვინერის ფილტრის გამოყენებით; ხაზოვანი კონტრასტის მომართვა; მედიანური ფილტრაცია; არამკვეთრი ნიღბის ფილტრაცია; კონტურების გაფართოება; ციფრული მოზაიკის შექმნა; სინთეზური სტერეო სურათების შექმნა.

სიმბოლოთა ამოცნობა. სკანირებული სურათების დამუშავების სიჩქარე შეიძლება გაუმჯობესდეს სიმბოლოების ამოცნობით. ის ამოიცნობს და ამოიღებს ტექსტის შინაარსს სხვადასხვა მონაცემთა ველებიდან. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვასკანირებთ ფორმას და ვიყენებთ დოკუმენტის გამოსახულების დასამუშავებლად პროგრამას, ოპტიკური სიმბოლოების


ამოცნობა (OCR) საშუალებას გვაძლევს გადავიტანოთ ინფორმაცია პირდაპირ დოკუმენტიდან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. OCR არის ბექდური ხელნაწერების ციფრული გადაცემის საშუალება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი პროცედურების ჩატარება: რედაქტირება, ტექსტის გარდაქმნა, ძირითადი მონაცემების მოპოვება და სხვა [2, 5].

სამიზნე ამოცნობა. ავტომატური ამოცნობა აკონტროლებს სამიზნე ობიექტებს, რომლებიც ჩაშენებულია ლაზერული რადარის (LR), სინთეტიკური რადარის (SAR) ან ვიდეო კამერის მიერ შექმნილ სურათებში. იგი გარდაქმნის სიგნალს სენსორიდან ციფრულ გამოსახულებად და შემდეგ გამოყოფს სამიზნეს მიმდებარე არედან, საბოლოოდ ახდენს ობიექტის იდენტიფიცირებას სამიზნე ობიექტის აღწერით [4].

ბიომეტრიული ამოცნობა. ბიომეტრია გულისხმობს მეტრიკას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მახასიათებლებთან, როგორც არის თითის ანაბეჭდები, ხელის გეომეტრია, ხელმოწერები, ბადურა, ხმის ტალღები, დნმ და ა.შ. თანამედროვე და განვითარებადი ბიომეტრიული მეთოდებია: ადამიანის სურნელის ამოცნობა, EEG ბიომეტრია, კანის სპექტროსკოპია, მუხლების ტექსტურა, თითებზე ფრჩხილების ამოცნობა [5]. ბიომეტრიულ ამოცნობას შორის ყველაზე პოპულარულია თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაცია, რომელიც ეფუძვნება თითის ანაბეჭდის წარმოდგენას ნაცრისფერი სკალის გამოსახულებით, ფაზური გამოსახულებით, ჩონჩხის სილუეტის გამოსახულებით და სხვა დეტალებით [6].

გამოსახულების სეგმენტაცია. სეგმენტაცია არის სურათების ანალიზის ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი ობიექტების ამოცნობისა და იდენტიფიკაციისთვის, გამოსახულების არეებად დაყოფის პროცესი, რომელიც განკუთვნილია სურათების ინტერპრეტაციისათვის. შემუშავებულია რამდენიმე მეთოდი და ალგორითმი გამოსახულების სეგმენტაციის პროცესისთვის, როგორც არის ობიექტის კონტურთა ამოცნობის, არეების დაყოფის და კლასტერიზაციის მეთოდები. სეგმენტაციის რამდენიმე მეთოდის არსებობის მიუხედავად, მეთოდის შერჩევა და შესაბამისად ალგორითმი დამოკიდებულია გამოსახულების ბუნებასა და ტიპზე. ამიტომ, სეგმენტაციის მეთოდების და შესაბამისი ალგორითმების შერჩევა რჩება გამოსახულების დამუშავებისა და კომპიუტერული ხედვის გამოწვევად [6].

კონტურთა გამოყოფის მეთოდი: გამოსახულების სეგმენტაციის ერთ-ერთი მეთოდია, შესაბამისი საზღვრების არჩევით, რომელიც გარდაქმნის მრავალი დონის სურათს ორობით გამოსახულებად, შემდეგ დაყოფს გამოსახულების პიქსელებს რამდენიმე არედ და გამოარჩევს ობიექტებს ფონისგან. თუ ფონის განათება არათანაბარია, მაშინ კონტურის გამოყოფა ვერ ხერხდება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გამოსახულებაზე მცირდება შემფოთებების ხმაური [7].



სურ. 2. გამოსახულების სეგმენტაცია კონტურების გამოყოფით

კლასტერიზაციის მეთოდი. კლასტერიზაციის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად:

- K კლასტერებად, რომელიც არის ერთ-ერთი სწრაფი, ძლიერი, უმარტივესი ალგორითმი და ხსნის კარგად ცნობილ კლასტერიზაციის პრობლემას და მდგომარეობს მოცემულ მონაცემთა კლასიფიცირებაში, განსაზღვრული რაოდენობის K კლასტერების საშუალებით;

- არამკაფიო კლასტერიზაცია, ობიექტის ამოცნობის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, რაც საშუალებას იძლევა ობიექტები მიაკუთვნონ ერთზე მეტ კლასტერს, სხვადასხვა წევრობით [8]. ციფრული გამოსახულების სეგმენტაციის უარყოფითი მხარე მაინც დიდ გამოწვევას აყენებს ხელოვნური ინტელექტის მიმართულებას, კომპიუტერულ ხედვას.

გამოსახულების შეკუმშვა: სურათის შეკუმშვა არის პროცესი, რომელიც ამცირებს გამოსახულების ფაილის ზომას. გამოსახულების შეკუმშვა ხდება მისგან ინფორმაციის ბაიტების მოშორებით ან გამოსახულების შეკუმშვის ალგორითმის გამოყენებით. სურათის შეკუმშვა ეფექტური გზაა გამოსახულების სწრაფი ჩატვირთვის უზრუნველსაყოფად, მომხმარებლის მიერ ვებ-საიტზე მუშაობის დროს. გამოსახულების შეკუმშვას ჩვეულებრივ იყენებენ სხვა მეთოდებთან ერთად ვებ-საიტების მწარმოებლობის გაზრდის მიზნით.

გამოსახულების შეკუმშვის კოდირების კვლევას დიდი ისტორია აქვს. უკეთესი შედეგებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალი გარჩევადობისათვის გამოსახულების კუმშვის კოდირების მეთოდები, როგორც არის პროგნოზირებადი კოდირება, ტრანსფორმაციის და ენტროპიის კოდირება. მაგალითისათვის სურ. 5-ზე მოცემულია გამოსახულება 96 კბტ ზომით, ხოლო სურ.6-ზე გამოსახულება შეკუმშული 35 კბტ-მდე;



სურ. 3 გამოსახულება 96 კბაიტი ზომით.



სურ. 4 შეკუმშული გამოსახულება 35 კბაიტამდე.

გამოსახულების კლასიფიცირება. სურათებიდან, ეტიკეტებიდან და პიქსელებიდან ინფორმაციის ამოსაღებად სრულდება გამოსახულების კლასიფიცირება, რისთვისაც არსებობს მრავალი მიდგომა ხელოვნური ნეირონული ქსელების, საექსპერტო სისტემების და არამკაფიო ლოგიკის გამოყენებით. განასხვავებენ სხვადასხვა სახის კლასიფიცირების ალგორითმებს: სურათის პიქსელური კლასიფიცირება, სუბპიქსელური კლასიფიცირება, რომლის ალგორითმი უზრუნველყოფს ობიექტის ამოცნობის სიზუსტეს [2, 4].

გამოსახულების აღდგენა: სრულყოფილი გამოსახულების მიღება დაზიანებული და ხმაურიანი გამოსახულებისგან ხდება დამუშავების პროცესით, რომელიც ცნობილია გამოსახულების აღდგენით [5]. აღნიშნული მეთოდი აღადგენს ხმაურის ან სისტემის შეცდომის გამო დაზიანებულ სურათებს. დაზიანება შეიძლება გამოწვეული იყოს ხმაურით, კამერის არასწორი ფოკუსით ან ატმოსფერული ზემოქმედებებით. გამოსახულების აღდგენისთვის გამოიყენება სხვადასხვა პროცედურები [11]: ინვერსიული ფილტრაცია; ვინერის ფილტრაცია; Wavelet აღდგენა; დეკონვოლუცია.

გამოსახულების გაუმჯობესება: აღნიშნული მეთოდი ზრდის გამოსახულების ხარისხს სხვადასხვა ფილტრების გამოყენებით. გამოსახულების გაუმჯობესება დამოკიდებულია ორი სახის მიდგომაზე: 1. სივრცული არის (SDE) გაუმჯობესება, რომლის დროსაც პიქსელის მნიშვნელობის ცვლილება დამოკიდებულია გარემოს განათების ინტენსივობაზე; 2. სიხშირული არის გაუმჯობესება (FDE), რომელიც გულისხმობს წერტილთა დამუშავებას ინტენსივობის ტრანსფორმაციით, კონტრასტის გაზრდით, ჰისტოგრამის დამუშავებით და გამოსახულების გასაშუალოებით [6, 7];

სურათების მიღება. გამოსახულების დამუშავებამდე ვიზუალიზაციის თვალსაზრისით აუცილებელია გამოსახულების მიღება, რომელიც წარმოადგენს ვიზუალური ინფორმაციის მიღების პროცესს რეალური სამყაროდან და მის გარდაქმნას ციფრულ გამოსახულებად, რომლის დამუშავებაც კომპიუტერებს შეუძლიათ. გამოსახულების მიღება არ არის მხოლოდ სურათების გადაღება. იგი მოიცავს სხვადასხვა მოწყობილობებსა და ტექნოლოგიას, ციფრული კამერებიდან და სკანერებიდან დაწყებული უფრო რთული სისტემებით დამთავრებული, როგორც არის რენტგენის აპარატები და LiDAR სენსორები. თითოეული ინსტრუმენტი იყენებს სხვადასხვა

მეთოდს პიქსელიზებული მონაცემთა გადასაცვანად. გამოსახულების მიღების აღნიშნული მეთოდი მნიშვნელოვნად გამოყენებადია 3D გეომეტრიული მონაცემების წარმოებისთვის [2, 12].

გამოსახულების წარმოდგენა: გამოსახულების წარმოდგენა ნიშნავს დაუმუშავებელი მონაცემების გარდაქმნას ისე, რომ მოხდეს მათი კომპიუტერული დამუშავება. იგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ითარგმნება ვიზუალური მონაცემები ციფრულ ფორმატში, რომლის ინტერპრეტაციაც კომპიუტერებს შეუძლიათ. მოიცავს ინფორმაციის მიღებას, სურათის ფერის, ფორმის, ტექსტურის სტრუქტურირებულად დაშიფვრას. არჩეული წარმოდგენის ფორმატი განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება სურათის შენახვა, დამუშავება და ჩვენება [12].

გამოსახულების წარმოდგენა იძლევა საფუძველს ვიზუალური მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის, მანიპულაციისა და ინტერპრეტაციისთვის გამოვიტანოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სურათებიდან, ამოვიცნოთ შაბლონები, ამოვიცნოთ ობიექტები და შევასრულოთ გამოსახულების შეკუმშვა, გაფართოება და სეგმენტაცია. სწორად წარმოდგენის მეთოდის არჩევა გავლენას ახდენს გამოსახულების დამუშავების ამოცანების ხარისხზე, სიჩქარეზე და ეფექტურობაზე [12].

გამოსახულების ტრანსფორმაცია გულისხმობს არითმეტიკულ ოპერაციებს გამოსახულებებზე, რომლებიც გარდაქმნიან სურათებს ერთი წარმოდგენიდან მეორეზე. მათემატიკური ოპერაციები მოიცავენ მარტივი გამოსახულების არითმეტიკას, ფურიესა და ჰარტლის სწრაფ ტრანსფორმაციას, ჰაუსისა და რადონის ტრანსფორმაციას, თუმცა ყველაზე პოპულარულია ფურიეს გარდაქმნები (FT) [13].

გამოსახულებათა შედარების მეთოდი. ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების დროს, გამოსახულებათა დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა და მათი შედარება მნიშვნელოვანია მანქანური ხედვასა და რობოტიკაში მუშაობისთვის. გამოსახულებათა შედარების მეთოდი ადაპტირებულია ისეთ გარდაქმნებთან, როგორც არის როტაცია, მასშტაბირება, განათება, ხმაური და აფინური ტრანსფორმაციები გამოსახულებაში. გამოსახულებათა შედარება რთული პროცესია, რადგანაც შედარებისთვის გამოიყენება რამდენიმე ალგორითმი. ქვემოთ მოცემულია სამი მეტად ცნობილი მეთოდი [13]:

1) მასშტაბურ-ინვარიანტული გარდაქმნა, ე.წ. SIFT, რომელიც ხსნის გამოსახულების ბრუნვის, აფინური ტრანსფორმაციების, წერტილთა ინტენსივობის და ცვლილებების შესაბამის მახასიათებლებს. იყენებს მასშტაბური სივრცის ექსტრემუმა განსაზღვრას გაუსის ფუნქციის გამოყენებით [14]. მიუხედავად იმისა, რომ SIFT ძალიან ეფექტურია ობიექტების ამოსაცნობად, უკავშირდება გამოთვლების სირთულეს, რაც მისი მთავარი ნაკლოვანებაა, განსაკუთრებით კი რეალურ დროში გამოყენებისათვის, თუმცა გამოთვლების სირთულის გასამარტივებლად შემუშავებულია SIFT-ის რამდენიმე ვარიანტი [15, 16].

2) SURF-ის მეთოდი ერთ-ერთი სწრაფი და საიმედო ალგორითმის შემცველია გამოსახულებათა ლოკალური, ინვარიანტული წარმოდგენისათვის და მათი შედარებისათვის. SURF-ის მიდგომა გამოიყენებს ჰესეს მატრიცაზე დაფუძნებულ BLOB დეტექტორს სამიზნე წერტილთა საძიებლად, ხოლო ორიენტაციის განსაზღვრი-სათვის, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით - გაუსურ წონებს [17];

3) BRIEF არის კიდევ ერთი ეფექტური ალტერნატივა SIFT-ის და SURF-ის, რომელიც მოითხოვს ნაკლებ სირთულეს, ვიდრე SIFT, თითქმის მსგავსი შესატყვისი შესრულებით [18]. BRIEF ძალიან სწრაფია გამოსახულებების როგორც ასაგებად, ასევე შესადარებლად, აჭარბებს სხვა გამოსახულებათა დამუშავების სწრაფ აღწერებსა და მიდგომებს, როგორცაა SURF და SIFT, ხშირ შემთხვევაში სიჩქარისა და ამოცნობის სიჩქარის პირობებით.

3. ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების უპირატესობები

ციფრული გამოსახულების დამუშავების გამოყენებას რამდენიმე უპირატესობა აქვს ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით:

1) მოქნილობა: ციფრული გამოსახულების დამუშავება უზრუნველყოფს მოქნილობის მაღალ დონეს სურათების დამუშავებისასათვის. მოთხოვნის შესაბამისად, გამოსახულება შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ სასურველ ფორმატში;

2) სიზუსტე და საიმედოება: ციფრული გამოსახულების დამუშავების ალგორითმები შექმნილია ცალკეულ პიქსელებზე ან პიქსელების ჯგუფებზე მუშაობისთვის, რაც გამოსახულების დამუშავების სიზუსტეს უზრუნველყოფს. ციფრული ტექნოლოგიები ასევე იძლევა პარამეტრების კონტროლისა და გამოსახულების დამუშავების ოპერაციათა კორექტირების საშუალებას, რის შედეგადაც იზრდება დამუშავების სიზუსტე და თანმიმდევრულობა.

3) სიჩქარე და ეფექტურობა: ციფრული გამოსახულების დამუშავების ალგორითმებს შეუძლიათ სურათების გაანალიზება ადამიანისგან განსხვავებით ბევრად უფრო სწრაფად. სურათების დამუშავება რეალურ დროში, რაც მათ ეფექტურს გახდის ისეთი გამოყენებისათვის, როგორცაა სამედიცინო ვიზუალიზაცია, დაკვირვება-მეთვალყურეობა და სამრეწველო ავტომატიზაცია.

4) ინტეგრაცია და ავტომატიზაცია: გამოსახულებათა დამუშავების ციფრული მეთოდები ადვილად ინტეგრირდებიან არსებულ სისტემებში ეფექტური მუშაობისათვის. მაგალითად, სამრეწველო გამოყენებით პროგრამებში, გამოსახულების დამუშავების ალგორითმები შეიძლება ინტეგრირებული იყოს რობოტულ სისტემებთან ავტომატური შემოწმების შესასრულებლად. ზემოხსენებული უპირატესობა, ინტეგრაცია და ავტომატიზაცია ამცირებს ადამიანურ შეცდომებს, ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს საერთო ხარჯებს.

5) ხმაურის შემცირება და გამოსახულების გაუმჯობესება: ციფრული გამოსახულების დამუშავების ალგორითმები ადვილად უმკლავდებიან სხვადასხვა ტიპის ხმაურს, რომელიც შეიძლება გაჩნდეს სურათის მიღების ან გადაცემის დროს. ისეთ მეთოდებს, როგორც არის ფილტრაცია, ხმაურის შემცირება და აღდგენა, შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ გამოსახულების ხარისხი.

ზემოთ ჩამოთვლილი აღნიშნული უპირატესობები ციფრული გამოსახულების დამუშავებას ხდის მძლავრ ინსტრუმენტად მათი გამოყენების ფართო სპექტრისთვის, როგორცაა ვიდეო მასალების მოდიფიკაცია, ბიომეტრიული სისტემები ოფისებში, ენდოსკოპია, ხარისხის მონიტორინგი საფეიქრო და სხვა წარმოების ინდუსტრიებში, ხელმოწერის ვერიფიკაცია და სხვა.

1. დასკვნა

ციფრული გამოსახულების დამუშავება გახდა თანამედროვე ინჟინერიის განუყოფელი ნაწილი, რადგან ის გამოიყენება სხვადასხვა სფეროში, როგორც არის ბიომეტრია, ხელმოწერის იდენტიფიკაცია, გამოსახულების გაუმჯობესება, ხარისხის კონტროლი სხვადასხვა ინდუსტრიებში, მედიცინა, ხელოვნური ინტელექტი და სხვა. ციფრული გამოსახულების დამუშავება აერთიანებს მეთოდების ჯგუფს, რომელიც ეხება ციფრული სურათების გარდაქმნებს კომპიუტერული ალგორითმების გამოყენებით. ეს არის არსებითი წინასწარი დამუშავების ეტაპი ბევრ გამოყენებით პროგრამებში, როგორც არის სახის, ობიექტების ამოცნობა, გამოსახულების შეკუმშვა, აღდგენა და გაუმჯობესება.

წარმოდგენილი და განხილული თითოეული მეთოდი იყენებს ცალკეულ ან სხვადასხვა მეთოდების კომბინაციას, როგორც არის გამოსახულების მიღება, სეგმენტაცია, ტრანსფორმაცია და გაუმჯობესება. გამოსახულებათა შედარებისთვის განხილული მეთოდები: SIFT, SURF, BRIEF აღწერენ ციფრულ გამოსახულებათა დამუშავების სხვადასხვა ასპექტებს და იძლევიან სრულ ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ალგორითმების შესახებ.

ლიტერატურა:

1. S. K. Dewangan, "Importance & Applications of Digital Image Processing," International Journal of Computer Science & Engineering Technology (IJCSET), vol. 7, no. 7, pp. 316-320, 2016.
2. Rafael C. Gonzalez, Richard E. Woods. Digital image processing. 3rd ed. United States of America: Pearson, 2008, 943 p.
3. Kong Dali, Cui Yang. Research Status and Development Direction of Digital Image Processing Technology, Shandong Institute of Water Conservancy, no. 4, pp. 11-14, 2012.
4. Ding Ke. Research and Development Direction of Digital Image Processing Technology. Economic Research Guide, no.18, pp. 246-270, 2012.

5. T. S. Mohammed and A. S. Ibrahim, "Simulation and Analysis for Activities in Image Recognition Using MATLAB," Computer science and information technology, vol. 3, no. 1, pp. 22-30, 2015, doi: 10.13189/csit.2015.030104
6. R. S. Kavita, R. Bala, and S. Siwach, "Review paper on overview of image processing and image segmentation," International journal of Research in Computer applications and Robotics, vol. 1, no. 7, 2013.
7. M. W. Khan, "A survey: Image segmentation techniques," International Journal of Future Computer and Communication, vol. 3, no. 2, p. 89, 2014.
8. D. Goswami, "Edge Detection Technology using Image processing in MATLAB," International Journal on Recent and Innovation Trends in Computing and Communication, vol. 3, no. 5, pp. 3466-3471, 2015.
9. C. Zimmer, E. Labruyre, V. Meas-Yedid, N. Guilln, J. Olivo-Marin. Segmentation and tracking of migrating cells in video microscopy with parametric active contours: a tool for cell based drug testing. IEEE TransMed Imaging, 21(10):1212–21, 2002
10. H. Coskun, Y. Li, M.A. Mackey. Ameboid cell motility: A model and inverse problem, with an application to live cell imaging data. Journal of Theoretical Biology, 244(2): pp.169-179, 2007.
11. S. Dhawan. A Review of Image Compression and Comparison of its Algorithms. International Journal of Electronics & Communication Technology, 2(1), 2020.
12. D. LU, Q. Weng, A survey of image classification methods and techniques for improving classification performance, International Journal of Remote Sensing, 28(5), 823–870. <http://dx.doi.org/10.1080/01431160600746456>
13. S. Mathur, R. Purohit, A. Vyas, A Review on basics of Digital Image Processing, ETRASECT - 2016 Conference Proceedings, International Journal of Engineering Research & Technology (IJERT) ISSN: 2278-0181 www.ijert.org
14. M. S. Güzel. A Hybrid Feature Extractor using Fast Hessian Detector and SIFT. *Technologies* 2015, 3(2), 103-110; <https://doi.org/10.3390/technologies3020103>
15. E. Karami, M. Shehata, A. Smith, "Image Identification Using SIFT Algorithm: Performance Analysis Against Different Image Deformations," in Proceedings of the 2015 Newfoundland Electrical and Computer Engineering Conference, St. John's, Canada, November, 2015.
16. I. Rey Otero and M. Delbracio, Anatomy of the SIFT Method, *Image Processing On Line*, 4 (2014), pp. 370–396. <http://dx.doi.org/10.5201/ipol.2014.82>.
17. E. Karami, Siva Prasad, M. Shehata. Image Matching Using SIFT, SURF, BRIEF and ORB: Performance Comparison for Distorted Images, *Computer Science*, Published in arXiv.org 7 October 2017.
18. Sheena S, Sh. Mathew. A comparison of sift and surf algorithm for the recognition of an efficient iris biometric system. *International Journal of Advanced Research in Computer and Communication Engineering, IJARCCCE*, ISSN (Online) 2278-1021, 2016.

Modern methods and technologies of digital image processing

Khatuna Bardavelidze¹, Liana Tedeshvili¹, Avtandil Bardavelidze²

1-Georgian Technical University,

2-Akaki Tsereteli State University (Kutaisi)

bardavelidzekhatuna08@gtu.ge, l.tedeshvili@gtu.ge, bardaveli54@mail.ru

Abstract

Digital image processing technology is one of the areas of applied computer software disciplines, as its scope of application covers measurements, biometrics, computer design, three-dimensional simulation, medicine, and various fields of industry. Moreover, with the improvement of computer hardware performance, image processing algorithms have improved the application of digital image processing technology. The paper presents a thorough review of digital image processing methods for various fields of modern engineering. All the main image processing methods, their pros and cons, and an overview of the advantages and limitations of each method are presented and discussed, providing a thorough understanding of the field of digital image processing. It is established that digital image processing encompasses a group of methods that deal with the transformation of digital images using computer algorithms. This is an essential pre-processing step in many applications, such as face and object recognition, image compression, restoration and enhancement.

Keywords: image processing, segmentation, restoration, compression, filtering.

წნევათა სხვაობის საზომი სისტემა სუფთა ოთახებისთვის

ზაალ აზმაიფარაშვილი, ელგუჯა ბუცხრიკიძე, მარინა მესხია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

z.azmaiparashvili@gtu.ge, elguja_bucxrikidze@mail.ru, meskhia.marina@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული წნევათა სხვაობის საზომი სისტემა. ჩატარებულია წნევის სენსორების მიმოხილვითი ანალიზი, არჩეულია ინტელექტუალური სენსორის ტიპები, მოყვანილია სენსორის მახასიათებელი პარამეტრები და ნაჩვენებია საზომი ინფორმაციის მიღების შესაძლო გზები, განხილულია შემოთავაზებული საზომი სისტემის სტრუქტურული სქემა და ახსნილია მუშაობის პრინციპი. მოცემულია სტატიაში განხილული საზომი სისტემის პრაქტიკულად რეალიზებული მომუშავე ნიმუშის ფოტო და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: საზომი სისტემა, ინტელექტუალური სენსორი, ვენტილაცია, ატმოსფერული წნევა, ტემპერატურა, პანდემიები, COVID-19, საიზოლაციო ოთახი.

1. შესავალი

მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის (SARS-CoV-2) წარმოშობამ, გამოიწვია მსოფლიო პანდემია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა საგანგებო მდგომარეობაში გადაიზარდა. ამ ახალი პათოგენის გადაცემის გზამ და ვირულენტობამ გააჩინა ახალი გამოწვევები სამედიცინო დაწესებულებების ოთახების მოწყობასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ვირუსის ჰოსპიტალური გადაცემის გზები.


2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ მსოფლიოს წამყვან კლინიკებში აირ წვეთოვანი დაავადებები ე.წ. ჰოსპიტალური ინფექციები გვხვდება პაციენტების 1-2%-ში. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია როდესაც სამედიცინო დაწესებულებაში ყველა რეკომენდაცია არ არის დაცული, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა კოვიდ პანდემიის პირობებში, რადგან კორონა ვირუსი მაღალი ვირულენტობით გამოირჩევა. გაიდლაინების დაცვით მოწყობილ კლინიკებში შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი დავადებების ეფექტური პრევენცია, როგორცაა: ასპერგილოზი და სხვა სოკოვანი დაავადებები, ტუბერკულოზი და სხვა ბაქტერიული დაავადებები, საჭაერო გზით გადამდები ვირუსული დაავადებები [1].

ჯანდაცვის დაწესებულებებში აირ წვეთოვანი დავადებების პრევენციის მეთოდებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ჰაერის ნაკადების კონტროლს ოთახებს შორის წნევათა სხვაობით, რაც დიფერენციალური წნევის სენსორების გამოყენებით მიიღწევა.

2.1 ზოგადი რეკომენდაციები დიფერენციალური წნევის შესახებ

წნევათა სხვაობის გაზომვასთან დაკავშირებული ოთახების დიზაინისა და მშენებლობისას, გამოიყენება შემდეგი რეკომენდაციები: სხვადასხვა კლასის მიმდებარე ოთახებს შორის წნევათა სხვაობის დიაპაზონი უნდა იყოს 10-20 პა (პასკალი) (ოპტიმალურად - დაახლოებით 15 პა). დიფერენციალური წნევის კონტროლის სიზუსტე უმეტეს შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ± 5 პა. ამიტომ, სხვადასხვა კლასის ოთახებს შორის წნევათა სხვაობა 10 პა-ზე ნაკლები არ იძლევა საიმედო მუშაობის გარანტიას. თავის მხრივ, 20 პა-ზე მეტი წნევის ვარდნა, როგორც წესი, არ აუმჯობესებს სისუფთავის მაჩვენებლებს და საჭიროა მხოლოდ საიზოლაციო ოთახებში. ოთახების ჰერმეტიულობა, რომლებშიც კონტროლდება წნევათა სხვაობა, უნდა იყოს საკმარისად მაღალი, მაგრამ არა გადაჭარბებული. რაც უფრო დიდია ოთახის მოცულობა და შემოდინებისა და გადინების ჰაერის ნაკადის დანაკარგი, მით უფრო რთულია ოთახში წნევის კონტროლი [2]. ნახ. 1-ზე გამოსახულია წნევის სენსორული ბლოკებისა და ძირითადი პულტის (საზომი სისტემის ძირითადი მართვის ბლოკი) განთავსების ადგილები. უკანასკნელი ნახ.1-ზე აღნიშნულია დოგორც „დ.მ.“



ნახ.1 სამედიცინო ოთახებში განლაგებული წნევათა სხვაობის საზომი სისტემის შემადგენელი კომპონენტების განთავსების ადგილები

2.2 ატმოსფერული წნევის სენსორების მოკლე მიმოხილვა

წნევის სენსორი არის მოწყობილობა, რომლის ფიზიკური პარამეტრების ცვლილება დამოკიდებულია გასაზომ გარემოს წნევაზე (სითხე, გაზი, ორთქლი). წნევის სენსორებში გასაზომი გარემოს წნევა გარდაიქმნება უნიფიცირებულ პნევმატურ, ელექტრულ ციფრულ კოდად ან სიგნალად. ასეთი მოწყობილობები არის საზომი მოწყობილობები მგრძნობიარე ელემენტებით, რომლებიც ცვლის ფიზიკურ პარამეტრებს გარემოს წნევის მიხედვით [3].

ფირმა „BOSH” არის მსოფლიო ბაზრის ლიდერი წნევის სენსორების საავტომობილო და სამომხმარებლო სფეროში. ქვემოთ მოცემულია მსოფლიოში ფირმა „BOSH“-ის მიერ წარმოებული ატმოსფერული წნევის სენსორების ოჯახზე აგებული პოპულარული სენსორული მოდულების მოკლე დახასიათება.

➤ BMP280 ტიპის წნევის ინტელექტუალური სენსორი წარმოადგენს BMP085 / BMP180 / BMP183 ტიპის ინტელექტუალური სენსორების ოჯახის განახლებულ ვერსიას. BMP280 სენსორულ ჩიპს აქვს დაბალი ენერჯის მოხმარება, ტემპერატურის გაუმჯობესებული სტაბილურობა და 20-ბიტის აცგ-ს გარჩევადობა ტემპერატურისა და წნევისათვის. აღნიშნული BMP280 ინტელექტუალური სენსორი შედის GY-BMP280-3.3 სენსორული მოდულის შემადგენლობაში, რომლის მოქმედების პრინციპი ეფუძნება პიეზორეზისტულ მეთოდს. იგი განკუთვნილია ატმოსფერული წნევის მაღალი სიზუსტით გაზომვისათვის და აბსოლუტური ცდომილება შეადგენს ± 0.12 კპა(ჰექტოპასკალი) , ხოლო ტემპერატურის გაზომვის აბსოლუტური ცდომილება არ აჭარბებს ± 0.1 ° C . გარდა ამისა, სიმაღლის დადგენა შესაძლებელია წნევის მონაცემების გარდაქმნით.

➤ RKP-GY-BMP280-3.3 ტიპის ციფრული ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ალტიმეტრი, გაზომვის სიზუსტით ± 1 მ. ციფრული ბარომეტრი-თერმომეტრიანი მოდული ხშირად გამოიყენება ფრენის კონტროლერებში (მულტიკოპტერი, კვადკოპტერი, ბუშტი, ზონდი, ჩამოსაკიდი პლანერი). ასევე, როგორც დამოუკიდებელი ალტიმეტრის ნაწილი ან GLONASS მოწყობილობასთან ერთად, GPS სიმაღლის დასადგენად და ამინდის თვალყურისდევნების მოწყობილობებში.

➤ GY-BMP280-3.3 მოდულს გააჩნია მონაცემთა გაცვლის I2C და SPI ინტერფეისი ისე, რომ დაკავშირება მარტივად შესაძლებელი იქნება Arduino ოჯახის ნებისმიერ პლატფორმასთან.

➤ BMP180 ტიპის ინტელექტუალური სენსორი, რომელიც შედის GY-68 -3,3 სენსორული მოდულის შემადგენლობაში, არის იაფი და საკმაო სიზუსტის სენსორული მოდული, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზომოს ატმოსფერული წნევა და გარემოს ტემპერატურა. ეს სენსორი გამოიყენება ჰიდრომეტეოროლოგიურ მობილურ სადგურებში ატმოსფერული წნევისა და გარემო ტემპერატურის დასადგენად.

1-ელ ცხრილში მოცემულია განხილულ სენსორთა პარამეტრების შედარება, რომლის ანალიზის საფუძველზე არჩეულია მოცემული ამოცანის გადასაჭრელად შესაფერისი სენსორული მოდულის ტიპი.


წნევის ინტელექტუალური სენსორების პარამეტრების შედარება ცხრ.1

პარამეტრები	სენსორი BMP180	სენსორი BMP280
დაკავებული ფართის ზომები	3.6 × 3.8 მმ.	2.0 × 2.5 მმ.
მინიმალური VDD	1.80 ვ.	1.71 ვ.
მინიმალური VD_DIO	1.62 ვ.	1.20 ვ.
დენის მოხმარება, @3 კა საშუალოკვადრატული მნიშვნ. ხმაურისას	12 მკა	2.7 მკა
ხმაურის საშუალოკვადრატული მნიშვნელობა	3 კა	1.3 კა
წნევის გარჩევადობა	1 პა	0.16 პა
ტემპერატურის გარჩევადობა	0.1°C	0.01°C
მონაცემთა გაცვლის ინტერფეისი	I ² C	I ² C & SPI (3 ან 4 ხაზი, რეჟიმი '00' ან '11')
გაზომვის რეჟიმები	მხოლოდ P ან T, იძულებითი	P&T, იძულებითი ან პერიოდული
გაზომვის სიხშირე	120 ჰერცამდე	157 ჰერცამდე
ფილტრის ვარიანტები	არ გააჩნია	ხუთი გატარების ზოლი

2.3 საზომი სისტემის სტრუქტურული სქემა

მე-2 ნახაზზე მოცემულია შემუშავებული წნევათა სხვაობის საზომი სისტემის სტრუქტურული სქემა. იგი შეიცავს შემდეგ ბლოკებს: 1,2 - ორი იდენტური წნევის გამზომი სენსორული ბლოკი, 3 - ძირითადი მართვის ბლოკი (წამყვანი კონტროლერი), 4 - ციფრული ინდიკატორი, 5 - კვების ბლოკი

ნახ. 2.
საზომი სისტემის
1,2 - ორი იდენტური სენსორული ბლოკი, ბლოკი (წამყვანი 4 - ციფრული კვების ბლოკი



შემოთავაზებული
სტრუქტურული სქემა
წნევის გამზომი 3 - ძირითადი მართვის კონტროლერი), ინდიკატორი, 5 -

მოწყობილობა მუშაობს შემდეგნაირად: საზომი სისტემის ძირითად მართვის ბლოკს 3, მიეწოდება გაზომილი და ციფრულ ფორმაში გარდაქმნილი მონაცემები ორი იდენტური წნევის გამზომ სენსორულ ბლოკიდან 1 და 2. თვითოეული აღნიშნული ბლოკი თავის მხრივ შეიცავს წნევის სენსორს,

მიკროკონტროლერს და მონაცემთა შეუფერხებელი გადაცემის სინქრონიზაციის სქემას. აღნიშნული მიკროკონტროლერი უზრუნველყოფს წნევის სენსორიდან (ქარხნულად დაკალიბრებული) პარამეტრებისა და კონსტანტების წინასწარ გადამუშავებას, მიღებული საზომი ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებას და მონაცემთა შეუფერხებელ მიწოდებას ძირითადი კონტროლერისათვის, რომელიც შეიძლება დაშორებული იყოს რამოდენიმე ათეულ ან ასეულ მეტრის დისტანციაზე.

ამრიგად, გაზომილი წნევის შედეგები სხვადასხვა ადგილზე განთავსებულ სენსორული ბლოკებიდან 1,2 მიეწოდება ძირითად მმართველ ბლოკს - წამყვან კონტროლერს. ძირითადი მართვის ბლოკი განაპირობებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას და წნევათა სხვაობის ციფრულ ინდიკატორზე გამოტანას. გარდა ამის აღნიშნული მართვის ბლოკი, წნევათა სხვაობის უარყოფითი მნიშვნელობისას, (ოპციონალურად) უზრუნველყოფს ანალოგური ან ციფრული გამოსავალი სიგნალის ფორმირებას. უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, მთელი მოწყობილობის კვება ხორციელდება დაბალი (5ვ.) ძაბვით, რომლის მაფორმირებელი განთავსებულია სისტემის გარეთ [4].

მოწყობილობის გაზომვის სიზუსტის ამაღლების მიზნით, მასში გათვალისწინებულია ოპერატიული დაკალიბრების საშუალება, რისთვისაც საკმარისია რომ საზომი სისტემის სამივე ბლოკი განთავსდეს ერთმანეთთან ახლოს, ერთ ოთახში, რათა ატმოსფერული წნევების სიდიდეები ორივე წნევის გამზომ ბლოკთან იყოს ერთი და იგივე, მიუერთდეს ეს ბლოკები ძირითად ბლოკს მოწყობილობის სათადარიგო ნაწილებში არსებული მცირე სიგრძის შემაერთებელი კაბელებით და გარკვეული (10-15წთ) დროის გასვლის შემდეგ (რაც საჭიროა ტემპერატურული წონასწორობის დასამყარებლად), ხელსაწყოს წინა პანელზე განთავსებული ღილაკის საშუალებით, ხელსაწყოს ჩვენება გავიყვანოთ „0“-ზე. ამით ხელსაწყოს ოპერატიული კალიბრება იქნება დადასრულებული. მე-3 ნახაზზე ნაჩვენებია სტატიაში განხილული და პრაქტიკულად რეალიზებული საზომი სისტემის ნიმუშის ფოტო სენსორული ბლოკებითა და საკომუნიკაციო კაბელებით მუშა მდგომარეობაში



ნახ. 3 რეალიზებული და მომუშავე საზომის სისტემის ლაბორატორიული ნიმუშის ფოტო სენსორული ბლოკებითა და საკომუნიკაციო კაბელებით

3. დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული წნევის სენსორების მიმოხილვითი ანალიზის შედეგად, არჩეულია მოთხოვნილი პარამეტრების შესაბამისი წნევის ინტელექტუალური სენსორი, შემუშავებულია წნევათა სხვაობის საზომი სისტემის სტრუქტურული სქემა და მოქმედების ალგორითმი,

გაზომვის სიზუსტის ამაღლების მიზნით, გათვალისწინებულია საზომი ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და გაზომვის შედეგის სტატისტიკური ცდომილების კომპენსაცია დაკალიბრების გზით. გარდა ამისა, თითოეული სენსორული ბლოკი ძირითადი მმართველი ბლოკის მიმართ შეიძლება განთავსდეს რამოდენიმე ათეულ ან ასეულ მეტრ მანძილზე. შემოთავაზებული საზომი სისტემის გამოყენება სავენტილაციო სისტემასთან ერთად, ამცირებს ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს და ხელს უწყობს სტერილური სამუშაო გარემოს შენარჩუნებას.

ლიტერატურა:

1. Sammy Al-Benna. Negative pressure rooms and COVID-19. Journal: Journal of Perioperative Practice 2020 pp. 18–23 (6.07.2021)
2. <https://www.chthealthcare.com/blog/ventilation-requirements-for-healthy-hospitals>. (6.08.2022)
3. აზმაიფარაშვილი ზ., ტომარაძე ო., სენსორები და ინტელექტუალური საზომი საშუალებები. სტუ-ის „საგამომცემლო სახლი“, ISBN:978-9941-20-754-9. 2017. -498 გვ.
4. ფრანგიშვილი ა., ძაგანია თ., აზმაიფარაშვილი ზ., ბუცხრიკიძე ე., მესხია მ. დიფერენციალური წნევის მონიტორინგის სისტემა სამედიცინო დაწესებულებებისთვის. შრ.კრ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები“. N 1(33), ტ.1.1, 2022. გვ. 5-12. DOI.org/10.36073/1512-3979

Pressure difference measuring system for clean rooms

Zaal Azmaiparashvili, Elguja Butskhrikidze, Marina Meskhia
Georgian Technical University
z.azmaiparashvili@gtu.ge, elguja_bucxrikidze@mail.ru,
meskhia.marina@gtu.ge

Abstract

This article discusses a pressure difference measurement system developed by a team of authors. It provides an analytical overview of pressure sensors, selects suitable intelligent sensor types, presents the characteristic parameters of these sensors, and outlines methods for obtaining measurement data. The proposed measurement system's structural design and operating principles are also described. Additionally, a photo of a functional prototype of the measurement system is included, followed by relevant conclusions based on the findings.

Key words: measurement system, intelligent sensor, ventilation, atmospheric pressure, temperature, pandemics, COVID-19, isolation room.

S7-1200 პლკ-ს ბაზაზე სერვოსისტემის არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის ტესტირება და ვალიდაცია

ჯემალ გრიგალაშვილი, ნინო ლომიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
grigalashvilebi@yahoo.com, lomidze.n@gtu.ge

რეზიუმე

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერის S7-1200-ის ბაზაზე დამუშავებული სერვოსისტემის არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი, მისი ტესტირება და ვალიდაცია. სერვომძრავის მუდმივი ძრავის არამკაფიო ტესტირების შემოტანილია შემავალი და გამომავალი ლინგვისტიკური და არამკაფიო ცვლადები,

მიკუთვნების ფუნქციები, დამუშავებულია არამკაფიო წესების ბაზა, ჩატარებულია მოდელირება Matlab-ის გაფართოების პაკეტების Fuzzy logic toolbox-ისა და Simulink-ის გამოყენებით. განხილული და გაანალიზებულია: სერვოდრავის არამკაფიო მართვის სქემა 5 წესიანი რეგულატორის მეშვეობით, სერვოდრავის სიჩქარის ოსცილოგრამა, სიჩქარის ტერმების მიკუთვნების ფუნქციები (dabali, kargi, magali), აჩქარების ტერმების მიკუთვნების ფუნქციები (mateba didi, mateba mcire, ucveleli, kleba mcire, kleba didi), სიხშირის ტერმების მიკუთვნების ფუნქციები (mateba didi, mateba mcire, ucveleli, kleba mcire, kleba didi). სიჩქარის ტერმების მიკუთვნების ფუნქციად გამოყენებული იქნა გაუსის ფორმის (gaussmf) მიკუთვნების ფუნქციები, აჩქარების ტერმებისათვის, კონკრეტულად (nulovani)-სათვის გაუსის მეორე ტიპის (gauss2mf) მიკუთვნების ფუნქციები, სიხშირის განაპირა ტერმებისათვის გამოყენებული იქნა ტრაპეციული ფორმის (trapmf) მიკუთვნების ფუნქციები, ხოლო შუალედური ტერმებისათვის - სამკუთხა ფორმის (trimf) მიკუთვნების ფუნქციები. ექსპერიმენტულად მიღებული იქნა სერვოდრავის რეაქციის გამოსახულება ორი ბიჯის ზემოქმედებით ამპლიტუდით 4 და 6 ვოლტი. ნაშრომში გამოყენებული სერვოსისტემის ძირითად აპარატურულ საშუალებად აღებულია Feedback Ins. ფორმის სერვო ტრენაჟორის მექანიკური ბლოკი 33-100. იგი შეიცავს თვითონ მუდმივი დენის ძრავს, ანალოგურ ტაქომეტრს, აბსოლუტურ და ინკრემენტულ ციფრულ ენკოდერებს, პოზიციურ პოტენციომეტრებს, მაგნიტურ მუხრუჭს და სხვა დამხმარე ელექტრონიკას. სერვო ტრენაჟორი, თავის სრულყოფილ დამუშავებაში, შეიცავს ანალოგურ ბლოკს (33-110), ციფრულ ბლოკს (33-120), რომელთა დანიშნულებაა ანალოგური და ციფრული ტესტ სიგნალების გამომუშავება და მიწოდება მექანიკური ბლოკის შესაბამის შესასვლელებზე და კვების ბლოკს (01-100), რომელიც უზრუნველყოფს ელექტრო კვებას. ამ ბლოკებს შორის სიგნალების გადაცემა ხდება ლენტური კაბელების დახმარებით. სერვოსისტემის არამკაფიო მართვის ალგორითმის რეალიზაციისათვის აღებული იქნა Siemens-ის კომპანიის, დღეისათვის ფართოდ გავრცელებული S7-1200 პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერი, რომლის დაპროგრამებისათვის გამოყენებული იქნა იგივე ფორმის TIA Portal-ის მე 17 ვერსიის დაპროგრამების გარემო, ხოლო დაპროგრამების ენებად არჩეული იქნა FBD და LAD ენები, ინფორმაციის ვიზუალიზაციისათვის გამოყენებულია, იმავე Siemens-ის კომპანიის ადამიანი-მანქანური ინტერფეისის ბაზური HMI პანელი.

საკვანძო სიტყვები: სერვოსისტემა, არამკაფიო კონტროლერი, მუდმივი ძრავის მართვა, ტესტირება და ვალიდაცია, არამკაფიო ცოდნის ბაზა, ტერმები, მიკუთვნების ფუნქციები, Matlab-ის Fuzzy logic toolbox-ისა და Simulink-ის პაკეტები, მექანიკური ბლოკი 33-100, პლკ S7-1200, პროგრამული უზრუნველყოფა TIA Portal, HMI პანელი.

1. შესავალი

ცნობილია, რომ მართვის არამკაფიო სისტემა ისეთი სისტემაა, რომელიც დამყარებულია არამკაფიო ლოგიკაზე, ანუ ისეთ მათემატიკურ სისტემაზე, რომელიც ანალიზებს ანალოგურ შემავალ მნიშვნელობებს ლოგიკური ცვლადების ტერმინებში, სადაც გამოიყენება უწყვეტი მნიშვნელობები 0-დან 1-მდე, განსხვავებით კლასიკური ანუ ციფრული ლოგიკისგან, რომელიც ოპერირებს ან „1“ ან „0“ დისკრეტულ მნიშვნელობებზე (true ან false).

არამკაფიო ლოგიკა ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების მექანიზმების მართვაში. ტერმინი „არამკაფიო“ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გამოყენებულ ლოგიკას შეიძლება ჰქონდეს საქმე ისეთ ცნებებთან, რომლებიც შეუძლებელია გამოსახული იყოს ტერმინებით „ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“, მაგრამ შეიძლება გამოსახული იყოს ტერმინით „ნაწილობრივ ჭეშმარიტია“, „ნაწილობრივ მცდარია“ და სხვ.

მართვის არამკაფიო მეთოდი ძალზედ მარტივია კონცეპტუალურად. ის შედგება შეყვანის, დამუშავების და გამოყვანის ეტაპებისაგან. შეყვანის კასკადი ასახავს გადამწოდებს შესაბამის მიკუთვნების ფუნქციებში. დამუშავების ეტაპი იმახებს თვითოეულ შესაბამის წესს და გენერირებს რეზულტატს თვითოეული წესისთვის. შემდეგ კი აერთიანებს წესების

რეზულტატს. ბოლოს კი, გამოყვანის ეტაპი ახდენს გაერთიანებული რეზულტატის უკუ გარდაქმნას, მართვის გარკვეულ გამომავალ ანალოგურ მნიშვნელობებში.

სისტემის აქტუალობა სერვო კონტროლი არის ტექნოლოგია, რომელიც იძლევა მექანიკური პოზიციის, სიჩქარისა და აჩქარების ზუსტ კონტროლს უკუკავშირისა და მაკორექტირებელი ზემოქმედების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, დღევანდელი ავტომატიზირებული წარმოება, რობოტიკა, ანიმატრონიკა, დრონების ინდუსტრია წარმოუდგენელია ამ ფუნდამენტური კონცეფციის, ანუ სერვო კონტროლის გარეშე. ბაზარზე გამოდის სულ უფრო მეტი და ახალი სერვოსისტემები, რომელთა ფუნქციონალური კონტროლისა და დიაგნოსტიკის არსებული საშუალებები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოთხოვნილებებს. შეფერხებაა როგორც წარმოების აღჭურვაში თანამედროვე სერვოსისტემების კონტროლის საშუალებებით, ასევე სწავლებაშიც. აქედან გამომდინარე, ისეთი სერვოკონტროლერის დამუშავება, რომელსაც ექნება მოქნილი სტრუქტურა სხვადასხვა სახეობის სერვოსისტემებთან მუშაობისათვის არის აქტუალური ამოცანა.

2. ძირითადი ნაწილი

ახალი თაობის პროგრამირებაში ეფექტური და იაფი პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების (პლკ) გამოჩენამ წარმოშვა IEC 61131-7 სტანდარტის არამკაფიო მართვის ენის შესაბამისი არამკაფიო კონტროლერების დაპროექტებისა და დანერგვის შესაძლებლობა. წინამდებარე შრომის ძირითადი მიზანია პროგრამული მოდულის დაპროექტება, არამკაფიო ლოგიკური კონტროლერების რეალიზაციისათვის პლკ-ს გამოყენებით. ამ მიზნისთვის განიხილება სერვოდრავის პარამეტრების მართვის შესაძლებლობა.


მართვის მოდული დამუშავებული უნდა იყოს სიმენსის კომპანიის S7-1200 პლკ-სა და TIA Portal პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ეს საშუალებები გამოიყენება აგრეთვე, ადამიანი-მანქანური ინტერფეისის რეალიზაციისათვის, საკონტროლებელი პროცესის მონიტორინგისა და მონაცემთა შენახვისათვის, მათი შემდგომი ანალიზის მიზნით.

სერვოდრავი უნდა შეესაბამებოდეს Feedback Ins. კომპანიის (33-001) მექანიკურ ბლოკს, რომელიც შეიცავს მუდმივი დენის ძრავს, ანალოგურ ტაქოგენერატორს, ენკოდერებს, პოტენციომეტრებს, მაგნიტურ მუხრუჭს და სხვა დამხმარე ელექტრონიკას.

ეს მოწყობილობა იძლევა სიჩქარის, მდგომარეობის და აჩქარების კონტროლის შესაძლებლობას როგორც ღია ასევე ჩაკეტილ კონტურში. პლკ პასუხისმგებელია ისეთი ოპერაციის შესრულებაზე, როგორცაა გადამწოდებიდან მონაცემთა მიღება, არამკაფიო მართვის ალგორითმის შესრულება და აღმსრულებელი მექანიზმების მართვა გენერირებული მმართველი სიგნალების გამოყენებით.

1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია სისტემის კომპონენტებს შორის შეერთებების სქემა. როგორც სურათიდან ჩანს, HMI დანართი მუშაობს კომპიუტერზე, რომელიც მიერთებულია პლკ-სთან Ethernet-ის მეშვეობით. წარმოდგენილ Feedback Ins. კომპანიის მექანიკურ ბლოკზე 33-100 დატანილია შემდეგი წარწერები ინგლისურ ენაზე:

- Motor shaft (ძრავის ლილვი), მასზედ დამაგრებული სიჩქარის ორ ბილიკიანი სამუხრუჭე დისკითა და ტაქოგენერატორით;
- Input shaft (შესასვლელი ლილვი), იგი შეიცავს შემავალ პოტენციომეტრს შკალით და გამომოიძულებს სიგნალს ± 10 ვ დიაპაზონში;
- Output shaft (გამომავალი ლილვი), იგი შეიცავს გამოსასვლელ პოტენციომეტრსა და ციფრულ კუთხურ გამზომ ბილიკებს. პოტენციომეტრი გამოიძულებს სიგნალს ± 10 ვ დიაპაზონში.



ნახ. 1. შეერთებები მექანიკური ბლოკის, პლკ-ს და HMI შორის

ციფრებით აღნიშნულია: 1. 34 წვერა ლენტური კაბელი; 2. სამუხრუჭე მაგნიტი; 3. სამუხრუჭე ბერკეტი; 4. სამუხრუჭე დისკი; 5. სიჩქარის ბილიკის წამკითხველები; 6. ტაქტოგენერატორი; 7. ლუზის დენის სიგნალი; 8. ციფრული ვოლტმეტრის შესასვლელი; 9. გადამრთველი - ბრუნთა რიცხვი წამში/ციფრული ვოლტმეტრი; 10. ძრავის ბრუნვის გადამრთველი; 11. ცვლადი სიხშირე; 12. სიხშირული დიაპაზონი; 13. გამომავალი ლილვის კუთხე; 14. გამომავალი პოტენციომეტრი (პანელის უკანა მხარეს); 15. ბილიკების წამკითხველი; 16. გამომავალი ციფრული ბილიკი და საინდექსო იმპულსი; 17. გამომავალი ლილვის სიჩქარე ან ციფრული ვოლტმეტრი; 18. კვების წყაროს მომჭერები; 19. შემავალი ლილვის კუთხე.

კონტროლერის კონსტრუქცია და მისი პარამეტრები დგინდება წინასწარ პლკ-ს კონფიგურირების ეტაპზე. როგორც კი ინჟინერი ან დამპროექტებელი დაადგენს კონტროლერის პარამეტრებს (შეყვანა/გამოყვანა, არამკაფიო წესები და სხვ.), მას შემდეგ იგი დაპროგრამებული იქნება პლკ-ში TIA Portal-ის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

რეგულატორის აგება: სერვოსისტემის ეფექტური მუშაობისათვის ვაგებთ რეგულატორს, რომელიც ხუთ არამკაფიო წესზეა დაფუძნებული. მას აქვს ორი შესასვლელი ლინგვისტიკური ცვლადებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ მუდმივი ძრავის ბრუნვის სიჩქარესა და მის აჩქარებას და ერთი გამოსასვლელი რომელიც განსაზღვრავს ძრავის გრაფილზე მოდებული ძაბვის ცვლილების სიხშირეს.


შესასვლელი ცვლადები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ლინგვისტიკურ ფორმაში არის sichqare და achqareba, ხოლო გამოსასვლელი კი - sixshire. არამკაფიო ტერმებად აღებულია dabali, kargi, magali სიჩქარისათვის; uarkoffiiti, nulovani, dadebiti აჩქარებისათვის; mateba didi, mateba mcire, ucveli, kleba mcire, kleba didi ძაბვის სიხშირისათვის.

არამკაფიო წესი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

If (sichqare is kargi) and achqarebais nulovani then (sixshire is ucveli)


If (sichqare is Magali) then (sixshire is kleba didi)
 If (sichqare is dabali) then (sixshire is mateba didi)
 If (sichqare is kargi) and (achqareba is dadebiti), then (sixshire is kleba mcire)
 If (sichqare is kargi) and (achqareba is uarkoffiiti), then (sixshire is sixshire)

სისტემის სიმულინგ სქემა ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე.



ნახ. 2. სერვომრავის მართვის სქემა არამკაფიო რეგულატორით (5 წესი)

მოდელირების პროცესის დროს მიღებული სიჩქარის ცვლილების გრაფიკი ნაჩვენებია მე-3 ნახაზზე.



ნახ. 3. სერვომრავის სიჩქარის ცვლილების ოსცილოგრამა არამკაფიო რეგულატორის გამოყენებისას თუ საწყისი სიჩქარე 0 მ/წმ-ია

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ორი ფაქტი. ერთის მხრივ, დადასტურდა დამუშავებული კონტროლერის უნარი დაარეგულიროს სერვომრავის სიჩქარე საჭირო მოცემულ სიდიდემდე, ხოლო მეორეს მხრივ, ეს მონაცემები ადასტურებს, რომ S7-1200 პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერი შეიძლება გამოყენებული იქნას არამკაფიო კონტროლერების მართვის სისტემებში (ნახ. 4).



ნახ. 4. სერვისისტემის არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი S7-1200 პლკ-ს ბაზაზე

3. დასკვნა

წარმოდგენილია დამუშავება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოყენებული იქნას Siemens-ის S7-1200 პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერები სერვისისტემების არამკაფიო კონტროლერებში, მუდმივი დენის ძრავების პოზიციის, სიჩქარისა და აჩქარების მართვისათვის. საგამოცდო პლატფორმის სახით, არამკაფიო კონტროლერის ვალიდაციისათვის გამოყენებული იქნა სერვომძრავი. პროექტის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ნაშრომში გამოყენებულია ბაზარზე ახლახანს გამოსული პლკ, რაც გვაძლევს მისი გამოყენების შესაძლებლობას როგორც სამრეწველო საწარმოებში, ასევე სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. დადგენილი იქნა, რომ ხუთწესიანი არამკაფიო რეგულატორის შემთხვევაში, სიჩქარის დავალების ნახტომისებური ცვლილებისას, მიკუთვნების ფუნქციების ადექვატური არჩევის შედეგად, სერვომძრავის სისტემა მოთხოვნილი სიჩქარის სიდიდეზე გადადის ფაქტიურად გადარეგულირების გარეშე და რეგულირების პროცესი იღებს გაანგარიშებულ ხასიათს.

მომავალი სამუშაოები ფოკუსირებული იქნება დამუშავებული არამკაფიო კონტროლერების გამოყენებაზე უფრო რთულ სისტემებში, როგორცაა მაგალითად ატომური და თბოელექტროსადგურების ორთქლის გენერატორის მართვაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამუშავების შედეგების გამოყენება თანამედროვე დრონებისათვის სათანადო სერვისისტემების შერჩევისა და კვლევების საქმიანობაში.

ლიტერატურა:

1. გრიგალაშვილი ჯ. დაპროგრამება TIA Portal-ში S7-1200/S7-1500. სტუ. ბიბლ. CD – 6877. ISBN 978-9941-28-863-0. 2022. 216 გვ.
2. ხუროძე რ., გრიგალაშვილი ჯ. პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების დაპროგრამების საფუძვლები. ISBN 978-9941-512-39-1. სტუ, ბიბლ. CD-7436, 2024. -292 გვ.
3. გრიგალაშვილი ჯ. არამკაფიო მართვა მექატრონულ სისტემებში. ინოვაციური ტექნოლოგიები და მასალები. აკად. თ. ლოლაძის ხსოვნ. საერთაშ. სამეცნ.კონფ. შრ.კრ., სტუ, თბ., 2011, გვ. 117-124

4. Isaías González Pérez, A. José Calderón Godoy and Manuel Calderón Godoy. Fuzzy Controller based on PLC S7-1200 Application to a Servomotor. Jan. 2014
<https://ieeexplore.ieee.org/document/7049766> (10/20/24)
5. Chiu Choi. Assessment of Experiments in a Controls Course. Univ. of North Florida. ASEE Southeastern Section Conference. American Society for Engineering Education, 2020
<https://sites.asee.org/se/wp-content/uploads/sites/56/2021/01/2020ASEESE39.pdf>. (10/20/2024)
6. Prashant M. Menghal and A. Jaya Laxmi // A Virtual Laboratory: Teaching and Research Tool in Control Engineering Education © 2012 Menghal and Laxmi, licensee InTech. <https://www.intechopen.com/chapters/39338>. (10/20/24)

Testing and validation of fuzzy logic controller of servo system based on S7-1200 PLC

Jemal Grigalashvili, Nino Lomidze
Technical University of Georgia
grigalashvilebi@yahoo.com, lomidze.n@gtu.ge

Abstract

The report discusses the fuzzy logic controller of the servo system based on the modern programmable logic controller S7-1200, its testing and validation. Fuzzy testing of servo motor DC input and output linguistic and fuzzy variables, assignment functions, fuzzy rule base are developed, modeling is done using Matlab extension packages Fuzzy logic toolbox and Simulink.

Discussed and analyzed: servo motor fuzzy control scheme through 5-rule regulator, servo motor speed oscillogram, velocity term assignment functions (dabali, kargi, magali), acceleration term assignment functions (mateba didi, mateba mcire, ucveli, kleba mcire, kleba didi), frequency Term assignment functions (mateba didi, mateba mcire, ucveli, kleba mcire, kleba didi). Gaussian-shaped (gaussmf) was used to assign the speed terms, Gauss2mf (gauss2mf) was used for the acceleration terms, specifically for (nulovani), trapezoidal (trapmf) was used for the frequency terms, and triangular for the intermediate terms. Trimf functions. An image of the response of the servo motor was experimentally obtained under the influence of two pulses with an amplitude of 4 and 6 volts.

Feedback Ins is taken as the main hardware of the servo system used in the paper. The mechanical block of the firm's servo simulator 33-100. It contains the DC motor itself, analog tachometer, absolute and incremental digital encoders, position potentiometers, magnetic brake and other auxiliary electronics. The servo simulator, in its complete processing, also contains an analog block (33-110), a digital block (33-120), whose purpose is to generate and supply analog and digital test signals to the corresponding inputs of the mechanical block, and a power supply block (01-100) that provides electric power supply. Signals are transmitted between these blocks with the help of ribbon cables.

In order to realize the fuzzy control algorithm of the servo system, the currently widespread S7-1200 programmable logic controller of the Siemens company was taken, and the TIA Portal version 17 programming environment of the same company was used for programming, and the FBD and LAD languages were chosen as the programming languages for information visualization. The basic human-machine interface HMI of the same Siemens company is used panel.

Keywords: servo system, fuzzy controller, DC motor control, testing and validation, fuzzy knowledge base, terms, assignment functions, Matlab Fuzzy logic toolbox and Simulink packages, mechanical block 33-100, PLC S7-1200, Software TIA Portal, HMI panel.

საზომი სისტემების დაკალიბრების აქტუალურობა ექსპლუატაციის

პროცესის სამუშაო პირობებში

თამარ მენაბდე, მედეა ნარჩემაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
t.menabde@gtu.ge, m.narchemashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია დაკალიბრების გამოყენება გაზომვების სიზუსტის გასაუმჯობესებლად სამუშაო პირობების შემთხვევაში. სტატის მიზანია აჩვენოს საზომი სისტემების სიზუსტის გაზრდის პრობლემის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა. განხილულია კალიბრაციის, როგორც მეტროლოგიური პროცედურის გამოყენება სამუშაო პირობებში, საზომი სისტემების საზომი

არხების გამოყენებით შესრულებული გაზომვების სიზუსტის გასაუმჯობესებლად, აჩვენოს საზომი სისტემების სიზუსტის გაუმჯობესების პრობლემის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა. კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო მონტე კარლოს მეთოდი. მოცემულია საზომი სისტემების საზომი არხების დაკალიბრების მეთოდის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, რომელიც დაფუძნებულია საზომი სისტემების საზომი არხების სამუშაო პირობებში გამოყენებული პორტატული სტანდარტისა და ლაბორატორიაში განთავსებული სტაციონარული სტანდარტის გამოყენებაზე. გაანალიზებულია გაზომვის გაურკვევლობის წყაროები კალიბრაციის დროს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დადასტურებულია საზომი სისტემების საზომი არხების დაკალიბრების ეფექტურობა და გამოყენებადობა სამუშაო პირობებში, როგორც გაზომვებისა და გაზომვის სისტემების სიზუსტის გაუმჯობესების გზა. კვლევაში გამოყენებული იყო მონტე კარლოს მეთოდი. მოყვანილია საზომი არხების ეტალონის დაკალიბრების სამუშაო და ლაბორატორიულ პირობებში მიღებული ექსპერიმენტალური შედეგები. დამტკიცებულია სამუშაო პირობებში საზომი არხების დაკალიბრების შრომისუნარიანობა.

საკვანძო სიტყვები: საზომი სისტემები, საზომი არხების დაკალიბრება, გაზომვის სიზუსტის გაზრდის მეთოდი, გაზომვის გაურკვევლობის ანალიზი.

1. შესავალი

დაკალიბრება წარმოადგენს მნიშვნელოვან მეტროლოგიურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული საზომი ხელსაწყოების სიზუსტის დონეს.

გაზომვის საშუალებების გამოყენების ზრდამ გამოიწვია მათი სიზუსტის ამაღლების მოთხოვნები. გეოგრაფიულად გაფანტული გაზომვის საშუალებების მუშაობა ხშირად არ შეესაბამება ნორმალურ პირობებს და საჭიროებს ხშირ დაკალიბრებას, რაც საკმაოდ შრომატევადია. დაკალიბრება უნდა ხდებოდეს ლაბორატორიის პირობებში, მაგრამ ტრანსპორტირება ასეთი ხელსაწყოების ხშირად შეუძლებელია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თუ საზომი მოწყობილობა მუდმივად მუშაობს განსხვავებულ არასტაბილურ პირობებში, მაშინ კალიბრების ნორმატივები მომხმარებლისთვის არ წარმოადგენს პრაქტიკულ ინტერესს. მომხმარებელს სჭირდება საზომი სისტემის მუშაობის პირობებისთვის სპეციალურად დადგენილი საკალიბრაციო მახასიათებლები.

ამიტომ საზომი ხელსაწყოების მეტროლოგიური მახასიათებლების რეალური მნიშვნელობების განსაზღვრა კონკრეტულ პირობებში, შესაბამისად, მისი დაკალიბრება სამუშაო პირობებში ექსპლუატაციისას - აქტუალური ამოცანაა.

დაკალიბრების პროცედურის ცვლილებები:

თუ ადრე ხელსაწყოების დაკალიბრება წარმოადგენდა მეტროლოგიური მახასიათებლების ფაქტობრივი მნიშვნელობების და/ან საზომ ხელსაწყოების გამოყენების ვარგისიანობას დადგენას, ახლა დაკალიბრების ფორმულირება შეიცვალა და ხელსაწყოების დაკალიბრება არის ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც შესრულებულია მეტროლოგიური მახასიათებლების ფაქტობრივი მნიშვნელობების დასადგენად და დასადასტურებლად.

დაკალიბრების შედეგია – საზომ ხელსაწყოთა მეტროლოგიური მახასიათებლების ფაქტობრივი მნიშვნელობა.


დღეისათვის, ნორმალურ გაზომვის პირობებში, აპარატურული შემადგენლობის გათვალისწინებით საზომი ხელსაწყოების ცდომილება უახლოვდება დასაშვებ ლიმიტის 35%-ს, რაც არ აკმაყოფილებს გაზომვის სიზუსტის თანამედროვე მოთხოვნებს. იგი შეუძლებელს ხდის მივალწიით გაზომვის ზუსტ შედეგს. 1-ელ ნახაზზე მოყვანილია გაზომვის სიზუსტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

ცვლილებები ნორმალურ და სამუშაო პირობებში ექსპლუატაციისას.

ყველაზე დიდ აქტუალურობას დასმული ამოცანაში იწვევს სამუშაო პირობებში საზომი სისტემების საზომი არხების დაკალიბრება.

საზომი სისტემების კომპონენტების დემონტაჟი, ეტაპობრივი დაკალიბრება და შედეგის ლოდინი ლაბორატორიებში არა მარტო მიზანშეუწონელი, არამედ შეუძლებელიცაა,

მატერიალური და დროითი დანახარჯებიდან გამომდინარე. აგრეთვე გასათვალისწინებელია ტრანსპორტირებით გამოწვეული ვიბრაციული დატვირთვები დასაკალიბრებელ ხელსაწყოზე. აგრეთვე მათი დემონტაჟი და ხელახალი მონტაჟი. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს მათ თავდაპირველ მახასიათებლებზე. საზომი ხელსაწყოების დაკალიბრება არის მოქმედებათა ერთობლიობა, რომელშიც ტარდება მხოლოდ მეტროლოგიური მახასიათებლების ზუსტი, ფაქტობრივი მნიშვნელობების დასადგენად.



ნახ.1 გავლენა სიდიდის (ტემპერატურის) სამუშაო და ნორმალური დონეები


საერთაშორისო ლექსიკონში დაკალიბრება აღწერილია, როგორც ოპერაცია, რომლის მიმდინარეობისას მოცემულ პირობებში, პირველ ეტაპზე დგინდება ურთიერთ-დამოკიდებულება განუსაზღვრელ მნიშვნელობათა სიდიდესა და მოცემულ ჩვენებას შორის, რომელსაც თავის მხრივ, თავად ახასიათებს განუსაზღვრელობა. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე დგინდება თავსებადობა, რომელიც იძლევა გაზომვის შედეგს ჩვენებებიდან გამომდინარე. ამ ლექსიკონში დაკალიბრება ასახულია როგორც გაზომვის განუსაზღვრელობა, რომელიც აღჭურვილია სამუშაო ეტალონებით და დასაკალიბრებელი საზომი ხელსაწყოთი.

შემოთავაზებული მეთოდი ითვალისწინებს ზეგავლენის მქონე სიდიდეების ზემოქმედებას დასაკალიბრებელ საინფორმაციო არხებზე გადაცემის მომენტში. მეთოდის გამოყენება იძლევა დაკალიბრების გამოყენების საშუალებას გაზომვათა შედეგების სიზუსტის ამაღლების და მათზე ზემოქმედი ფაქტორების შემთხვევაში.

კონკრეტული მნიშვნელობების ამსახველი მეთოდი ხელს უწყობს მეტროლოგიური მეთოდის განვითარებას და გაზომვების სტანდარტის შენარჩუნებას საერთაშორისო აღიარების მიზნით. სხვაობა სამუშაო და სტაციონარულ ლაბორატორიაში მიღებულ შედეგებს შორის განისაზღვრება პორტატული ეტალონის დაკალიბრების ჩვენებების ლაბორატორიულ და სამუშაო პირობებში შედარებით. ჩატარებულია გამოთვლითი ექსპერიმენტი მონტე-კარლოს მეთოდის გამოყენებით, ზემოთ აღწერილი დაკალიბრების მეთოდის დასადასტურებლად:

- მარტივი საინფორმაციო არხის დაკალიბრება;
- შედგენილი საინფორმაციო არხის დაკალიბრება ერთი ან მეტი მასზე ზეგავლენის ფაქტორის შემთხვევაში.

- მიღებული შედეგები ამტკიცებენ საზომი სისტემის არხის დაკალიბრების ეფექტურობას ექსპლუატაციის სამუშაო პირობებში (კომპონენტების დემონტაჟის გარეშე).
- მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში.



ნახ.2

ზოგადად გაზომვების დროს და კონკრეტულად კალიბრაციის დროს, გაზომვის შედეგი მთლიანად არის წარმოდგენილი, როდესაც ის შეიცავს გასაზომი სიდიდისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ გაზომვის გაურკვევლობას. გაზომვის გაურკვევლობის წყაროები საოპერაციო პირობებში IC-ის დაკალიბრებისას IC-ები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

საჭიროა კალიბრაციის სამუშაოების ჩატარება უსაძლებელია რამდენიმე გავლენიანი ფაქტორის გათვალისწინებით, ექსპერიმენტის დაგეგმვის თეორიის შემდგომი განვითარება ინტერვალურ ცვლადებზე, რომლებიც სინამდვილეში გაზომვების შედეგია.

დაკალიბრების მეთოდის დამადასტურებელი ჩატარებულია გამოთვლითი ექსპერიმენტი

მონტე-კარლოს მეთოდის გამოყენებით

ცხრ.1

int distance;
unsigned long previousMillis = 0;

```

მე-2 ლისტინგზე მოცემულია კოდის ის ნაწილი, რომელიც ასრულებს მოწყობილობის ძირითად ამოცანას.

```

// ---- ლისტინგი_2 -----
digitalWrite(trigPin1, LOW);
delayMicroseconds(2);
digitalWrite(trigPin1, HIGH);
delayMicroseconds(5);
digitalWrite(trigPin1, LOW);
duration1 = pulseIn(echoPin1, HIGH);
cm1 = duration1 / 58;

digitalWrite(trigPin2, LOW);
delayMicroseconds(2);
digitalWrite(trigPin2, HIGH);
delayMicroseconds(5);
digitalWrite(trigPin2, LOW);
duration2 = pulseIn(echoPin2, HIGH);
cm2 = duration2 / 58;

distance = analogRead(potentiometer) / 20;

oled.setTextSize(1);
oled.setCursor(0, 20);
oled.print("Distance 1: ");
oled.print(cm1);
oled.print(" cm");

oled.setTextSize(1);
oled.setCursor(0, 30);
oled.print("Distance 2: ");
oled.print(cm2);
oled.print(" cm");

oled.setTextSize(1);
oled.setCursor(0, 50);
oled.print("Set Threshold: ");
oled.print(distance);
oled.print(" cm");

```

➤ პროტოტიპის კონსტრუქცია

მე-4 ნახაზზე წარმოდგენილია დასრულებული დაბრკოლების დეტექტორი. პროტოტიპის ასაწყობად გამოყენებულ იქნა 3D პრინტერი. კორპუსის ზედაპირზე თავსდება დისპლეი, გვერდით ზედაპირზე ჩართვის/გამორთვის ღილაკი, პოტენციომეტრი, type c -ის შესაერთებელი და ასევე ულტრაბგერითი სენსორები.



აღნიშნულ მოდელის ასაწყობად გათვალისწინებულია თითოეული ნაწილის ზომა და ადგილი. დეტალები დამორებულია საკმაო მანძილით, რათა არ შეუშალონ ერთმანეთს და გამართულად იმუშაონ.

ნახ. 4. დაბრკოლების დეტექტორი ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისათვის

3. დასკვნა

წარმოდგენილი მოწყობილობა ეს არის დაბრკოლების დეტექტორი, რომელიც შეიქმნა ეტლის მომხმარებელი შშმ პირთათვის. როცა ეტლი უახლოვდება რაიმე დაბრკოლებას, დაახლოებით 50 სმ მანძილზე და 45 გრადუსზე, სენსორი აქტიურდება, გამოსცემს ხმოვან სიგნალს, იწყებს ვიბრაციას, რათა შეატყობინოს მომხმარებელს დაბრკოლების არსებობის შესახებ. დისპლეიზე აისახება მანძილი დაბრკოლებამდე.

ჩვენი ხელსაწყო არ რეაგირებს ვარდნაზე, რბილ მასალასა და ან რაიმე ობიექტებზე, სენსორების ხედვის დიაპაზონის გარეთ. ხასიათდება საიმედოობით, მომხმარებლებისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომი და კომფორტულია.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოწყობილობა საკმაოდ აქტუალურია, რადგან არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში შშმ პირებს უწყვეტ ბევრ პრობლემასთან გამკლავება, სწორედ ამიტომაც ჩვენ უნდა ვეცადოთ დავეხმაროთ მათ.

საბოლოოდ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოწყობილობა მოიტანს დიდ სარგებელს შშმ პირებისთვის, გააუმჯობესებს მათ ცხოვრების ხარისხს.

ლიტერატურა:

1. Dr. Pooja Viswanathan and Dr. Alex Mihailidis. Obstacle detector for wheelchair users. https://brazemobility.com/_/12.10..24
2. Sunrise Medical editorial team. Power Wheelchair. <https://www.sunrisemedical.ca/power-wheelchairs/braze-mobility/blind-spot-sensors> (12.10..24)
3. Kiara Madrigalalolnso. A Prototype for a Wearable Device That Detects Obstacles for Wheelchair Users. <https://www.instructables.com/A-Prototype-for-a-Wearable-Device-That-Detects-Obs/> (12.10..24)

Obstacle detector for wheelchair users

Mariam Tsiklauri, Anri Aidinian, Kristine Tatevosiani

Georgian Technical University

m.tsiklauri@gtu.ge, aidiniani.anri24@gtu.ge, _tatevosiani.kristine24@gtu.ge

Abstract

Our goal was to develop a prototype of an electronic device that would assist people with disabilities in their daily lives, improving their mobility and safety. This paper discusses one of the main challenges faced by people with disabilities, specifically the difficulty of moving around and avoiding obstacles. To address this issue, we created an obstacle detector for people with disabilities, designed to help wheelchair users identify obstacles in time and alert them about potential hazards. The obstacle detector is equipped with sensors that detect obstacles in the path send the information to a controller, and then the device alerts the user through vibrations and sound signals. This notification method was chosen to ensure maximum efficiency and ease of use, as the signals can be perceived even in noisy environments, helping the user avoid obstacles. The detector uses ultrasonic sensors that measure the distance to obstacles, allowing the device to adapt to different movement scenarios. This work provides detailed diagrams of the device, lists the materials and components used, and includes the software code that controls all the functions. The device's primary purpose is to enhance

the safety of wheelchair users. The obstacle detector helps prevent collisions with objects such as curbs, stairs, and low barriers, significantly reducing the risk of injury and improving user comfort during movement. Thus, this device improves the quality of life for people with disabilities, enabling them to move safely and comfortably in any environment.

Keywords: Obstacle detector, wheelchair user, obstacle, the person with disabilities.

მორწყვის რეჟიმების მართვის სისტემის მოდელირება

სიმონ პოხოვიანი, გიორგი მაისურაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
s.pochoviani@gtu.ge, ggg@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმების მართვის ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები. აღწერილია მორწყვის რეჟიმების მართვის ძირითადი პრობლემები, გამოყენებული მეთოდები, საინფორმაციო ტექნოლოგიები. აგებულია მონაცემთა დამუშავების სისტემის ფუნქციონირების მოდელი მცენარეული კულტურების მორწყვის რეჟიმების ოპერატიული მართვისათვის. მოდელი აგებულია მოდიფიცირებული პეტრის ფერადი ქსელების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა. მცენარეული კულტურები. მორწყვის რეჟიმი. მართვის ავტომატიზებული სისტემა. მეთოდი. პეტრის ქსელი. მოდელირება.

1. შესავალი

კულტურათა მორწყვის რეჟიმების ავტომატიზაცია განპირობებულია:

- თანამედროვე ფერმის (ნაკვეთის) მართვის პროცესების სულ უფრო და უფრო გართულებით;
- დაგეგმილი მოსავლის მიღების აუცილებლობით;
- მიწის ფონდისა და სარწყავი წყლის ეფექტიანად გამოყენების მოთხოვნით;
- სარწყავი მიწების ნაყოფიერების ამაღლების მოთხოვნით;
- მოთხოვნით – არ იქნეს დაშვებული სარწყავი მიწების დაჭაობება, მლაშიანობა და ეროზია;
- ნიადაგისათვის საწყლოსნო, მარილთა შემცველობის, სითბური და კვებითი რეჟიმების სწორად შერჩევისა და რეგულირების მოთხოვნით;
- ბუნებრივი გარემოსადმი ფრთხილად მოპყრობის აუცილებლობით.

მონაცემთა დამუშავების სისტემის ფუნქციონირების მოდელირებისთვის შემუშავდა მოდიფიცირებული პეტრის ქსელი მრავალფერადი მარკირებით, რომელიც აღწერს სისტემის ყველა ელემენტს, მათ ურთიერთქმედებას და მახასიათებლებს, და საშუალებას აძლევს გაანალიზებთ მართვის პროცესი კულტურების მორწყვის რეჟიმები პეტრის ქსელის მდგომარეობების საფუძველზე, განსაზღვრული მისი მარკირებით [1-3].

მორწყვის რეჟიმების ავტომატიზებული მართვის სისტემის ძირითადი ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენება [4-7].

მაგალითად, ინფორმაციის შექმნის, დამუშავების, შენახვისა და ვიზუალიზაციის მულტიმედიური ტექნოლოგია (ინტერაქტიული ვიზუალური რეჟიმში გამომავალი დოკუმენტების და ვიდეოგრაფების შექმნა). წყლის ბალანსის მეთოდით ჯამური წყალ-მოხმარება სავეგეტაციო პერიოდისათვის, რომელიც განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით: *მორწყვის ნორმა, ვეგეტაციური ატმოსფერული ნალექები, ნალექების გამოყენების კოეფიციენტი და ნიადაგში არსებული წყლის მარაგის გამოყენების ოდენობა*. ბიოფიზიკური კოეფიციენტების მეთოდი (ანუ მეტეოროლოგიური მაჩვენებლები). ბიოფიზიკური კოეფიციენტების მეთოდი ამყარებს კავშირს ნიადაგის ტენიანობის მოხმარებასა და მეტეოროლოგიურ მაჩვენებლებს შორის.

2. ძირითადი ნაწილი

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმის დადგენა გულისხმობს მათი გაწყლოვანებისათვის ვადების, რაოდენობისა და ნორმების შერჩევას. მორწყვის რეჟიმი უნდა ითვალისწინებდეს:

- კულტურათა წყალზე მოთხოვნების დინამიკას მათი ზრდის ფაზების კრილში;
- ნიადაგისათვის შემდეგი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების – ტენიანობის, კვებითი ღირებულების, ტემპერატურის და მარილიანობის – მნიშვნელობები არ უნდა გასცდეს დაშვებულ ფარგლებს;
- მიწების ნაყოფიერების ამაღლებას მათი ინტენსიური გამოყენების პირობებში;
- ნიადაგის დაცვას დაჭაობებისაგან, ზედმეტი სიმლამისა და ჭარბი წყლით გამოწვეული ეროზიისაგან.

იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვისათვის სათანადო რეჟიმი დამყარდეს, აუცილებელია, განისაზღვროს:

- წყალთან მიმართებით ნიადაგის ფიზიკური ანუ მოკლედ, მისი საწყლოსნო-ფიზიკური თვისებები, ფესვთა სისტემის მიწაში განთავსების სიღრმე და მორწყვის ნორმა, კულტურის ბიოლოგიური მახასიათებლებისა და მისი განვითარების ფაზების გათვალისწინებით;
- მორწყვამდე ნიადაგის ტენიანობა (გამოიხატება პროცენტებში, შედარება ხდება ნიადაგის მაქსიმალურ ტენიანობასთან, რომელიც 100%-ად მიიჩნევა);
- დახარჯული წყლის ჯამური რაოდენობა, ანუ წყლის ჯამური მოხმარება.

კულტურების განვითარების ფაზების მიხედვით რწყვის აღნიშნული ნორმების, უფრო ზუსტად დადგენის მიზნით, შემოთავაზებულია, თავდაპირველად ყოველდღიურად გათვლილ იქნეს ჯამური წყალმოხმარება (ჯამური აორთქლება). ამ დროს ვეყრდნობით ბიოფიზიკურ (ბიომეტროლოგიურ) მეთოდებს, რომლებიც ამუშავებენ ყოველდღიურ ბიომეტროლოგიურ მონაცემებს. შემდეგ ხდება ფესვთა განთავსების ფენაში წყლის მარაგის გამოთვლა ყოველდღიურად. ოპერირება ხდება შემდეგი მონაცემების მიხედვით: წინა დღე-ღამეში არსებული წყლის მარაგის ოდენობის ანდა მიმდინარე დღე-ღამისათვის ნიადაგის ტენიანობის შეტანილი ფაქტობრივი მნიშვნელობის შესაბამისად. შემდეგ ტარდება გამოთვლები: რწყვათა ვადების, ბრუტო ნორმებში გამოსახული ჯამური რწყვების, დღეღამური რწყვების ბრუტო ნორმების და თითოეული კულტურისათვის მორწყვათა რაოდენობის.

ნიადაგში ფესვთა განთავსების შრისათვის ტენის მარაგი განისაზღვრება შემდეგი მონაცემების მიხედვით: ნიადაგის მოცემული შრისათვის ნიადაგის მოცულობითი წონა ($კგ/მ^3$); ნიადაგის იმ ფენის სიმძლავრე ($მ$), რომლისთვისაც განისაზღვრება წყლის მარაგი; ნიადაგის ტენიანობა ($%$ -ში მშრალი ნიადაგის წონასთან მიმართებით), რომელიც შეიტანება ან გაითვლება, როგორც საშუალო სიდიდე მოცემული ნიადაგის ფენისათვის. რწყვის ნორმის გასათვლელად, გარდა ნიადაგის ტენიანობის, ნიადაგის ფენის სიმძლავრის და ნიადაგის მოცულობითი წონის მნიშვნელობებისა, გამოიყენება ნიადაგის ის ტენიანობაც, რომელიც შეესაბამება ზღვრულ-საველე (უმცირეს) ტენტევადობას (მშრალი ნიადაგის წონასთან მიმართებით). შემდეგ მომავალი 10 დღისათვის კეთდება პროგნოზი: წყლის მარაგის, ნიადაგის ტენიანობის რწყვის ვადებისა და ბრუტო ჯამების (ნორმების), ასევე – რწყვების რიცხვისა და ბრუტო ნორმების თითოეული კულტურისათვის.

მორწყვის ნორმას განსაზღვრავენ ფესვთა სისტემისათვის განკუთვნილი ნიადაგის ფენისთვის საჭირო წყლის ბალანსთან შესაბამისობის მიხედვით. მორწყვითა და ატმოსფერული ნალექებით მიიღწევა მცენარეთა წყალზე ჯამური მოთხოვნების დაკმაყოფილება. მორწყვის მაქსიმალური ეფექტიანობისათვის ეს პროცესი უნდა ჩატარდეს განსაზღვრულ ვადებში, რომლებიც განპირობებული იქნება:

- მცენარის ზრდასა და განვითარებაზე მოქმედი გარემოს პირობებით (ნიადაგის ტენიანობა, ფესვთა ზონაში წლის მარაგი, მეტეოროლოგიური მონაცემები);
- კულტურის ბიოლოგიური თავისებურებებითა და მისი განვითარების ფაზებით (ეტაპებით).

გარდა ამისა, თითოეული რწყვისათვის აუცილებელია განისაზღვროს: მორწყვის ნორმა და მორწყვის სახე. ამ მონაცემების გათვალისწინებით ადგენენ მორწყვის რეჟიმს – ვადებს, მორწყვის ნორმას, სახეს და რაოდენობას, ყველა ნაკვეთზე თითოეული კულტურისათვის წყლის ჯამურ მოხმარებას.

ყოველდღიურად შესაბამის უტყუარ მონაცემებზე დაყრდნობით ფერმერები (მელიორატორები, აგრონომები) იღებენ კულტურების მორწყვის თაობაზე საბოლოო ოპტიმალურ გეგმურ გადაწყვეტილებებს.

სარწყავ მიწებზე მორწყვის სწორად ორგანიზებული რეჟიმი ხელს უწყობს მცენარეთა ზრდა-განვითარებას, ფესვთა სისტემის ნორმალურად ფორმირებას და კულტურების დაგეგმილი ნაყოფიერების მიღწევას.

დასახული მიზნის მისაღწევად შემუშავებულია მოდიფიცირებული პეტრის ქსელის მრავალფერადი მარკერებით სახით მორწყვის რეჟიმების კონტროლის პროცესის დინამიკის შესწავლის მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა დამუშავების სისტემის ფუნქციონირების მოდელირება და გაანალიზოთ მორწყვის რეჟიმების მართვის სისტემის ფუნქციები დადგინდეს: კულტურების დღეღამური ჯამური წყალმოხმარება ფერმებისა და მინდვრების (ნაკვეთები) მიხედვით, მორწყვის ვადები, მორწყვის ჯამები (ნორმები) ბრუტო, სარწყავი ნორმების ბრუტო დღეში და სარწყავი რაოდენობა ფერმებისა და მინდვრების (ნაკვეთების) მიხედვით თითოეული კულტურისათვის – გათვალისწინებით: კულტურების სახეობებისა და მათი ზრდა-განვითარების ფაზების, ნიადაგის წყალ ფიზიკური თვისებების, ამინდისა და კლიმატური პირობების და მორწყვის წესების თავისებურებანი (ხერხების), აგრეთვე პროგნოზირება კულტურების ჯამური წყალმოხმარებას, წყლის რეზერვებისა (მარაგისა) და ნიადაგის ტენიანობის ფერმებისა და მინდვრებისთვის (ნაკვეთებისთვის).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმების მართვის პროცესის ანალიზი და დინამიკა განისაზღვრება მოდიფიცირებული პეტრის ქსელის მდგომარეობების სივრცით და რომელიც წარმოადგენს ყველა მარკირების სიმრავლე. ყოველი ახალი შუალედური და საბოლოო მარკირება ქსელის მიღებულია საფუძველზე: ქსელის გადასასვლელების პრიორიტეტების სიმრავლე, ქსელის გადასასვლელების გაშვების პირობების და გადასასვლების შემავალის და გამომავალის პოზიციების მიხედვით ქსელში მარკირების ფერების განაწილების ფუნქციები.

შემუშავებული მოდიფიცირებული პეტრის ქსელი საშუალებას გაძლევთ გამოვიკვლიოთ კულტურების მორწყვის რეჟიმების მართვის პროცესის დინამიკა და გაანალიზოთ მართვის სისტემის მდგომარეობები მარკირების სიმრავლების საფუძველზე (როგორც საწყისი, ასევე შუალედური და საბოლოო) [4-8].

3. დასკვნა

სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაციონალური მორწყვის რეჟიმების ორგანიზების პროცესების ავტომატიზაცია აქტუალური პრობლემაა, რადგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდისა და განვითარებისთვის, მაღალი მოსავლიანობის მისაღებად, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისთვის აუცილებელია მოსავლის მორწყვის რეჟიმის დროულად დადგენა, ე.ი. განსაზღვროს მორწყვის ვადები, ნორმები და რაოდენობა, კულტურების სახეობებისა და მათი ზრდა-განვითარების ფაზების, ნიადაგის წყალ-ფიზიკური თვისებების, ამინდისა და კლიმატური პირობების და მორწყვის წესების თავისებურებანი (ხერხების) გათვალისწინებით.

დასახული მიზნის მისაღწევად შემუშავებულია მოდიფიცირებული პეტრის ქსელის მრავალფერადი მარკერებით სახით მორწყვის რეჟიმების კონტროლის პროცესის დინამიკის შესწავლის მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა დამუშავების სისტემის ფუნქციონირების მოდელირება და გაანალიზოთ მორწყვის რეჟიმების მართვის სისტემის ფუნქციები.

ლიტერატურა – References:

1. Pochovyan S.M., Maysuradze G.R. (2009). Database design (ISBN 978-9941-14-553-7). GTU, Publishing House „Technical University“, Tbilisi, 131 p. (in Russian)
2. Gabedava O.V., Pochovyan S.M. (2012). Server technologies (ISBN 978-9941-20-046-5). GTU, Publishing House „Technical University“, Tbilisi, 254 p. (in Georgian)

3. Pochovyan S.M. (2016). The use of information technology in the management decision-making processes. GTU Transactions „Automated Control Systems“ (ISSN 1512-3979), №2(22). GTU, Publishing House "Technical University", Tbilisi, pp. 139-142. (in Russian)
4. Pochovyan S.M. (2018). Ensuring the protection of information when using modern automated information technologies. GTU Transactions „Automated Control Systems“ (ISSN 1512-3979), №2(26), Works of the International Scientific-Technical Conference "Information Society and Technologies for Intensification of Education" (ISITE '18). GTU, Publishing House „Technical University“, Tbilisi, pp. 251-255. (in Russian)
5. Pochovyan S.M. (2019). Development of an automated information system using Modern information technologies. GTU, „Technical University“, Proceedings of GTU „Automated management systems“ (ISSN 1512-3979), №1(28), Tbilisi, pp. 154-158). (in Russian)
6. Pochovyan S.M. (2021). Ensuring information security based on information technology. Georgian Science and Society Development Foundation „Intellecti“periodical scientific publication, international scientific periodical „Intellecti“ (ISSN 1512-0333), №2(69), Tbilisi, pp. 41-43). (in Russian)
7. Pochovyan S.M. (2021). Construction of a corporate automated information system using modern information technologies. GTU Transactions „Automated Control Systems“ (ISSN 1512-3979), №1(32), Vol. 2, Works of the International Scientific-Technical Conference „Information Society and Technologies of Education Intensification“ (ISITE '21). GTU, Publishing House „Technical University“, Tbilisi, pp. 136-139. (in Russian)
8. Pochovyan S.M. (2022). The use of Information Technologies in an Automated Information System. GTU Proceedings book „Science Georgia“ (ISBN 978-625-9323-63-4) International Conference on Global Practice of Multidisciplinary Scientific Studies Dedicated to the 100th Anniversary of „Georgian Technical University - GTU“, June 24-26, 2022. Tbilisi, Georgia, Publishing House „Iksad Global“, pp. 984-988. (in Russian)

Modeling of irrigation control system

Simon Pochovyan, Giorgi Maisuradze
Georgian Technical University
s.pochoviani@gtu.ge, ggg@gtu.ge

Abstract

The main tasks and functions of the automated information system for managing agricultural crop irrigation regimes are considered. The main problems of managing the irrigation regime, the methods used, information technologies, as well as the model of the functioning of the data processing system for the operational management of agricultural crop irrigation regimes, built on the basis of a modified Petri net with multi-colored markers, are described.

Keywords: Automated control system for irrigation modes of agricultural crops. Methods. Modified Petri net.

ბურთის ძელზე წონასწორობის მართვა ფესვური ჰოდოგრაფის მეთოდის გამოყენებით

ირმა დავითაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
i.davitashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ბურთის ძელზე წონასწორობის მართვა ფესვური ჰოდოგრაფის მეთოდით; სისტემა „ბურთი ძელზე“ წარმოადგენს ისეთ არამდგრად და ამავდროულად არაწრფივ გახსნილ სისტემას, რომელიც მცირე გადახრების შემთხვევაში შეიძლება წრფივად ჩავთვალოთ. სისტემის გადაცემის ფუნქცია წარმოადგენს მეორე რიგის პოზიციურ რგოლს, რაც ამტკიცებს სისტემის არამდგრადობას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად დგება სისტემაში უკუკავშირის შეტანის

აუცილებლობა და რეგულატორის ჩართვის საკითხი. რეგულატორის სინთეზისთვის შემოტანილია სინთეზის შემდეგი კრიტერიუმები: გადარეგულირება არაუმეტეს 5%-ისა, ხოლო დამყარების დრო არაუმეტეს 3წმ-ისა. სინთეზის მეთოდებიდან გამოყენებულია რეგულატორის სინთეზი ფესვური ჰოდოგრაფის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ ჩატარებულია კვლევა სისტემაში წამყვანი კომპენსატორის ჩასართავად და შერჩეულია ისეთი რეგულატორი რომელიც აკმაყოფილებს სინთეზის პირობებს.


საკვანძო სიტყვები: რეგულატორი, სინთეზი, გადარეგულირება, ფესვური ჰოდოგრაფი, წამყვანი კომპენსატორი

1. შესავალი

სისტემა სისტემა „ბურთი ძელზე“ წარმოადგენს მართვის სისტემას, რომელიც საკმაოდ პოპულარულია და ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდელს წარმოადგენს თანამედროვე სასწავლო პროცესში მართვის სისტემების ინჟინერიის კუთხით, რადგან არის მარტივად გასაგები და მის შესასწავლად შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კლასიკური, ისე პროექტირების თანამედროვე მეთოდები. რაც მთავარია, მას გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი თვისება - არამდგრადობა; ზოგადად, არამდგრადი სისტემების მართვა ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და მოითხოვს მათ ლაბორატორიაში შესწავლას, მაგრამ რადგან არამდგრადი სისტემები ნაკლებად უსაფრთხოა, მათი ლაბორატორიებში შეტანა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. „ბურთი ძელზე“ სისტემის მოდელი სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად შეიმუშავეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მექანიზმი მარტივი და უსაფრთხოა, მას გააჩნია არამდგრადი სისტემების მნიშვნელოვანი დინამიური მახასიათებლები, ამიტომ იგი საინტერესოა როგორც სასწავლო მოდელი.

2. ძირითადი ნაწილი

ბურთი მოთავსებულია ძელზე, ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ.1-ზე. მას შეუძლია გორვა ძელის გასწვრივ. ბერკეტის მხარი ერთი ბოლოთი დამაგრებულია ძელზე, ხოლო მეორეთი კი სერვო მექანიზმზე. როგორც კი სერვო მობრუნდება θ კუთხით, ბერკეტი შეცვლის ძელის კუთხეს α -თი. კუთხის ჰორიზონტალური პოზიციიდან შეცვლა სიმძიმის ძალის გავლენით იწვევს ბურთის გორვას ძელის გასწვრივ. ძელის ბოლოში დამაგრებულია სენსორი, რომელიც ზომავს მანძილს, აფიქსირებს ბურთის პოზიციას.




ნახ.1

მოცემული სისტემის მართვის ამოცანის მიზანია ბურთმა შეინარჩუნოს ძელზე წონასწორობის მდგომარეობა, რაც შესაძლებელი გახდება ძელზე θ კუთხის ცვალებადობით. მიზნის მიღწევა არც ისე მარტივია რადგან ბურთი მოძრაობს ძელზე აჩქარებით, რომელიც ძელის დახრის პროპორციულია. მოცემული სისტემის შესასვლელს წარმოადგენს კუთხე, ხოლო გამოსასვლელს ბურთის პოზიცია, თვითონ სისტემა კი არამდგრადია, რადგან მისი გამოსასვლელი პოზიცია) უსასრულოდ იზრდება ფიქსირებული შესასვლელისას. უკუკავშირით მართვა შესაძლებელს ხდის სისტემა გახადოს მდგრადი. რეგულატორის სინთეზის ძირითადი კრიტერიუმებია: გადარეგულირება ნაკლები უნდა იყოს 5%-ზე; დამყარების დრო $< 3\tau$ -ზე;

მოცემული სისტემა წარმოადგენს გახსნილ სისტემას, რომლის გადაცემის ფუნქციას აქვს სახე:

$$G(s) = \frac{R(s)}{\theta(s)} = -\frac{mgd}{L\left(\frac{J}{R^2} + m\right)} \cdot \frac{1}{s^2} \quad (1)$$

სისტემის პოლუსების მიხედვით გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ იგი ნამდვილად არამდგრადია, რადგან მას გააჩნია ორი ფესვი კოორდინატა სათავეში. (ნახ.2). იმისათვის, რომ სისტემა გავხადოთ მდგრადი, აუცილებელია სისტემა გავხადოთ უკუკავშირიანი და გამოვიყენოთ რეგულატორი.



ნახ.2

➤ **გახსნილი სისტემის ფესვური ჰოდოგრაფი**

ფესვური ჰოდოგრაფის მეთოდით რეგულატორის სინთეზის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ გახსნილი სისტემის ფესვური ჰოდოგრაფის მიხედვით შესაძლებელია შეკრული სისტემის გარდამავალი მახასიათებლის შეფასება. სისტემაზე ნულებისა ან პოლუსების დამატებით (კომპენატორის დამატებით), შესაძლებელი ხდება ფესვური ჰოდოგრაფისა და მათსადამე შეკრული სისტემის გარდამავალი პროცესის მოდიფიცირება;

კონტროლერის სინთეზისთვის აუცილებელია ვიპოვოთ დემფირების (მილევის) კოეფიციენტი ζ და საკუთარი სიხშირე ω_n შემდეგი გამოსახულებებიდან:

$$M_p = e^{-\zeta\pi/\sqrt{1-\zeta^2}} \quad (2)$$


$$T_8 = \frac{4}{\zeta\omega_n} \quad (3)$$

სადაც, M_p შეგვიძლია დაუკავშიროთ გადარეგულირებას (5%), ხოლო T_8 დამყარების დროს (3τ); ამოცანიდან გამომდინარე (2) (3) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$5 = e^{-\zeta\pi/\sqrt{1-\zeta^2}} \quad (4)$$

$$3 = \frac{4}{\zeta \omega_n} \quad (5)$$

რომელთა ამოხსნით ვღებულობთ, რომ მიღების პარამეტრი $\zeta = 0.4559$, ხოლო საკუთარი სიხშირე $\omega_n = 2.924$



ნახ. 3

ორ დიაგონალს შორის არე წარმოადგენს იმ არეს, სადაც გადარეგულირება 5%-ზე ნაკლებია, ხოლო რკალის გარეთა არე კი იმ არეს, სადაც დამყარების დრო ნაკლებია 3 წმ-ზე, (ნახ.3) როგორც ვხედავთ ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს სინთეზის პირობებს. მდგრადობის უზრუნველსაყოფად, იმისათვის რომ ფესვური ჰოდოგრაფი გადავიტანოთ მარცხენა სიბრტყეში საჭიროა სისტემას დაუმატოთ წამყვანი კომპენსატორი;


წამყვანი კომპენსატორის დამატება

წამყვანი კომპენსატორის სისტემაზე დამატებით შესაძლებელია ფესვური ჰოდოგრაფის მარცხენივ წანაცვლება, იგი შეიძლება წამოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$C(s) = K_c \frac{(s + z_0)}{(s + p_0)} \quad (6)$$

სადაც, აუცილებელი პირობაა, რომ $z_0 < p_0$


სქემატურად სიტემა წამყვანი კომპენსატორით შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ




ნახ. 4

შევარჩიოთ z_0 -ის და p_0 -ის მნიშვნელობები.


z_0 და p_0 კოეფიციენტები ვცვალოთ ისე, რომ ჰოდოგრაფმა გადაინაცვლოს მარცხენა რკალის მარცხნივ; როგორც ვხედავთ ფესვური ჰოდოგრაფის მარცხენა ნახევარსფეროში გადანაცვლება ყველაზე უკეთესად მოხდა როდესაც შევარჩიეთ $z_0=0.01$, $p_0=7$; (ნახ.5)




ა) $z_0=0,5$ $p_0=2$



ბ) $z_0=0.05$ $p_0=3$




გ) $z_0=0.01, p_0=5$




დ) $z_0=0.01, p_0=7$

ნახ. 5


ფესვურ ჰოდოგრაფზე დაწკაპუნებით შევარჩიოთ გაძლიერების კოეფიციენტი და მიღებულ წამყვანი კომპენსატორთან ერთად შევამოწმოთ შეკრული სისტემის გარდამავალი მახასიათებელი. შევხედოთ, თუ რომელი გაძლიერების კოეფიციენტი და შესაბამისად პოლუსები და ნულები წარმოადგენენ საუკეთესო ვარიანტს მოცემული სისტემისთვის; როგორც ნახ.6 -დან ჩანს შერჩეული გაძლიერების კოეფიციენტებს შორის ყველა მათგანი აკმაყოფილებს სინთეზის კრიტერიუმებს, ყველა მათგანში გადარეგულირება 0-ის ტოლია, ხოლო დამყარების დრო ნაკლებია 3 წმ-ზე.




ა) $K_p=56.85$



ბ) $K_p=58.49$



გ) $K_p=45.34$



დ) $K_p=57$

ნახ. 6

3. დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილ კვლევაში ფესვური ჰოდოგრაფის აგებისას დადასტურდა გახსნილი სისტემის არამდგრადობა. შესაბამისად ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო გახდა რეგულატორის შემოტანა. ნაშრომში შემოტანილია წამყვანი კომპენსატორი, რომლის კოეფიციენტები ნაპოვნია ფესვური ჰოდოგრაფის გამოყენებით. განხილული იქნა ოთხი შემთხვევა. როგორც კვლევამ აჩვენა ოთხივე შემთხვევაში აღებული კოეფიციენტები აკმაყოფილებენ სინთეზის პირობებს.

ლიტერატურა:

1. Norman S. Nise. Control systems engineering. California State Polytechnic Univ. Pomona. 2019
2. Virseda M. Modeling and Control of the Ball and Beam Process. 2004
3. Chengjun Guo, Wei Xie, Ning Pei. Ballbeam System Analysis and Design Based on Root Locus Correction and State Space Correction. 2022. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1155/2022/2963465>
4. დავითაშვილი ი. ბურთის ძელზე წონასწორობის მოდელირება და მართვა. ISBN 978-9941-512-06-3. Articles of the conference. თბ., 2023; გვ 397-404;

“Ball and Beam” system control using the root locus method

Irma Davitashvili

Georgian Technical University

i.davitashvili@gtu.ge

Abstract

In this paper there is a discuss about control of the “Ball and Beam” system using root locus method. The system is unstable and nonlinear, but for small excursions it can be considered as linear. The transfer function of the system is a second-order positional loop, which proves the instability of the system. In order to eliminate this problem, there is a need to make the system closed loop and design the controller. For a 1-rad/sec step reference, the design criteria are the following: Settling time less than 3 seconds Overshoot less than 3%. Among the control design methods, the root locus method has been used, in particular, research has been done to choose the lead compensator. After involving controller in the system, the design criteria has been meet.

Key words: Controller, Design, Overshoot, Root locus, Lead Compensator.

ენერჯის მიხედვით არაწრფივი სისტემების

ოპტიმალური მართვა

ვალიდა სესაძე, ნინო მჭედლიშვილი, ნოდარი ნარიმანაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

v.sesadze@gtu.ge, nino.mchedlishvili@gtu.ge, n.narimanashvili@gtu.ge

რეზიუმე

არაწრფივი ტექნიკური სისტემების ოპტიმალური მართვის ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვან მათემატიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ეს გამოწვეულია არაწრფივობათა მრავალფეროვნებით საწყისი და სასაზღვრო პირობების ფორმირების პრობლემებით, პარამეტრების სივრცული განაწილებით, არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის სირთულით და სხვა. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები და უნივერსალური პროგრამული პაკეტები საშუალებას იძლევა წარმატებით გადავწყვიტოთ მრავალი ისეთი ამოცანა, რომელიც ძნელად იხსნება დინამიკური ოპტიმიზაციის კლასიკური მეთოდების გამოყენებით. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი და მძლავრი მეთოდია პონტრიაგინის

მაქსიმუმის პრინციპი. ამ მეთოდის გამოყენებით, წარმატებით ამოიხსნება ოპტიმალური მართვის საკმაოდ ფართო სპექტრის ტექნიკური ამოცანები. სტატიაში განხილულია დინამიკური ოპტიმიზაციის ამოცანების ის კლასი, რომლებიც საკმარისი მიახლოებით შეიძლება აღიწეროს ჰარმონიული ოსცილატორის ტიპის განტოლებებით. ოპტიმალურობის კრიტერიუმად შერჩეულია ენერჯის ოპტიმალური მაჩვენებელი. ამოცანა დაიყვანება დროის მოცემულ მომენტებში ენერჯის ოპტიმალური მნიშვნელობების მოძებნაზე. ამ მნიშვნელობათა შედარება ხდება შედეგებთან, რომლებიც მიღებულია ოსცილატორის სიმშვიდის რეჟიმში. კომპიუტერული პროგრამებით მიღებულია ოსცილატორის ფაზური პორტრეტი და ფაზური ტრანექტორიების სურათები. თანამედროვე მრავალფეროვანი კომპიუტერული უზრუნველყოფებიდან უპირატესობა მინიჭებული აქვს Matlab და Maple პროგრამულ პაკეტებს.

საკვანძო სიტყვები: ოპტიმალური მართვა, პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპი, ენერჯის შენახვის კანონი, ჰარმონიული ოსცილატორი, ფაზური პორტრეტი.

1. შესავალი

ჰარმონიული ოსცილატორის ოპტიმალური მართვის ამოცანა წარმოადგენს ოპტიმალური მართვის თეორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს. სტატიაში ვიკვლევთ ჰარმონიული ოსცილატორის ოპტიმალური მართვის ტიპის ამოცანებს, რომლებიც თავდაპირველად იმყოფებიან უძრაობის (სიმშვიდის) მდგომარეობაში, დროის მოცემულ T მომენტში ენერჯის საბოლოო მნიშვნელობის მაქსიმუმის მოძებნის კრიტერიუმის მიხედვით. კრიტერიუმი ინტეგრალური სახით შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$J = E(T) = \int_0^T \frac{dE}{dt} dt \rightarrow \max \quad (1)$$

არაწრფივი სისტემების ოპტიმალურ მართვაში სწრაფქმედების კრიტერიუმის გარდა გამოიყენება შემდეგი სახის კრიტერიუმი:

$$J_k = \int_0^T |u(t)|^k dt, \quad k = 1, 2. \quad (2)$$

აქ, კრიტერიუმი J_1 ასახავს გადაცემის სისტემაში იმპულსის მინიმუმს, ხოლო J_2 მართვის ენერჯის ხარჯის მინიმუმების დროს.

განვიხილოთ წრფივი ოსცილატორი, რომელიც იმართება შემოსაზღვრული ძალის მოქმედებით. სისტემის დინამიკის განტოლებებს ექნება სახე:

$$\begin{cases} \dot{q}(t) = p(t) \\ \dot{p}(t) = -\omega^2 q(t) + u(t) \end{cases} \quad (3)$$

სადაც q - ქანქარას მდგომარეობაა, ხოლო p - ქანქარას იმპულსი, ω - რხევათა სიხშირე. მივიჩნევთ, რომ ამ განტოლებაზე დადებული სიმეტრიული შეზღუდვაა.

$$|u| \leq \varepsilon.$$

რადგან საწყის მომენტში ოსცილატორი უძრავ (სიმშვიდის) მდგომარეობაშია, ამის გამო (3)-ის საწყისი მნიშვნელობა ნულოვანია:

$$q(0) = 0, p(0) = 0 \quad (4)$$

ჩვენი მიზანია მოვძებნოთ მართვის ოპტიმალური $u^*(t)$ ისეთი მნიშვნელობა, რომ (3) ამოცანის ამონახსნი (4) საწყისი პირობებით და (1) კრიტერიუმით აღწევდეს მაქსიმუმს.

2. ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ ოსცილატორის ენერჯია განსაზღვრულია დამოკიდებულებით:

$$E(t) = \frac{\omega^2 q(t)^2}{2} + \frac{p(t)^2}{2}.$$

(1) კრიტერიუმისათვის ეს გამოსახულება გარდავქმნათ (3) დინამიკის განტოლების გათვალისწინებით, მივიღებთ:

$$J = \int_0^T \frac{dE}{dt} dt = \int_0^T (\omega^2 q \dot{q} + p\dot{p}) dt = \int_0^T (\omega^2 qp + p(-\omega^2 q + u)) dt = \int_0^T p u dt \rightarrow \max.$$

უკანასკნელი განტოლება კანონიკური გარდაქმნის შემდეგ მიიღებს სახეს:

$$J = - \int_0^T p u dt \rightarrow \min_M \quad (5)$$

(3)-(5) ოპტიმალური მართვის ამოცანის ამოხსნისათვის გამოვიყენოთ პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპი. როგორც ვიცით პონტრიაგინის ფუნქცია ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$H(q, p, \psi_1, \psi_2, u) = \psi_1 p - \psi_2 \omega^2 q + \psi_2 u + p u \quad (6)$$

რადგანაც საძიებელმა $u^*(t)$ მართვამ H ფუნქციონალის მაქსიმირება უნდა მოახდინოს, ამიტომ ოპტიმალურობის განტოლება მიიღებს სახეს:

$$u^*(t) = \varepsilon \text{sign}(\psi_2(t) + p(t)) \quad (7)$$

შეუღლებული ცვლადებისათვის განტოლებები ჩაიწერება ასეთნაირად:

$$\begin{cases} \dot{\psi}_1 = \omega^2 \psi_2, \\ \dot{\psi}_2 = -\psi_1 - u. \end{cases} \quad (8)$$

თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ამოცანა იხსნება თავისუფალი დროისა და ფიქსირებული მარჯვენა ბოლოსთვის, ტრანსვერსალობის პირობას ექნება სახე:

$$\begin{cases} \psi_1(T) = 0, \\ \psi_2(T) = 0. \end{cases} \quad (9)$$

მოვახდინოთ ცვლადების წრფივი ცვლილება:

$$\begin{cases} \psi_1 = \psi_I - \omega^2 q, \\ \psi_2 = \psi_{II} - p. \end{cases} \quad (10)$$

(10) ჩავსვათ (8)-ში მივიღებთ:

$$\begin{cases} \dot{\psi}_I - \omega^2 \dot{q} = \omega^2 (\psi_{II} - p), \\ \dot{\psi}_{II} - \dot{p} = -\psi_I + \omega^2 q - u. \end{cases}$$

(3) - ის გათვალისწინებით სისტემა მიიყვანება ისეთ სახემდე, სადაც არ არის უშუალო დამოკიდებულება ზოგად კორდინატებზე და მართვაზე, კერძოდ:

$$\begin{cases} \dot{\psi}_I = \omega^2 \psi_{II}, \\ \dot{\psi}_{II} = -\psi_I. \end{cases} \quad (11)$$

(11) სისტემის ზოგად ამოხსნას $A > 0$ ამპლიტუდისა და ϕ ფაზისათვის ექნება სახე:

$$\begin{cases} \psi_I = \omega A \sin(\omega t + \phi) \\ \psi_{II} = A \cos(\omega t + \phi) \end{cases} \quad (12)$$

(12) გათვალისწინებით (7) ოპტიმალური მართვა მიიღებს სახეს:

$$u^*(t) = \varepsilon \text{sign} \psi_{II}(t) = \varepsilon \text{sign} \cos(\omega t + \phi) \quad (13)$$


ეს ნიშნავს, რომ მართვის გადართვა ხდება დროის კიდურა მნიშვნელობებს შორის.

$$\omega t_k = \frac{\pi}{2} - \phi + \pi(k - 1), \quad k = 1, \dots, K \quad (14)$$

სადაც K - მართვის გადართვათა რაოდენობაა, რომელიც ტოლია:

$$K = 1 + \left\lceil \frac{\omega(T-t_1)}{\pi} \right\rceil \quad (15)$$

ოპტიმალურ მართვას ექნება სახე (ნახ.1):



ნახ. 1. ოპტიმალური მართვა

(15)-ე ფორმულაში კვადრატული ფრჩხილები გულისხმობს გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის მთელ ნაწილს. ამ ფორმულიდან პირდაპირ ჩანს, რომ როცა $K \geq 1$ ნებისმიერი $T > t_1$ ოსცილატორის ენერჯის მაქსიმუმების ამოცანაში გვაქვს:

$$t_1 = \frac{\pi}{2\omega} - \frac{\phi}{\omega} \quad (16)$$

რომელიც აკმაყოფილებს პირობას $0 < \omega t_1 < \pi$, ანუ გვაქვს $-\frac{\pi}{2} < \phi < \frac{\pi}{2}$. აქედან ჩანს, რომ, მართვის გადართვა ხდება ყოველ $\frac{\pi}{\omega}$ წამში. ისევე, როგორც ამოცანის დასმის დროს, მართვის მნიშვნელობა არ ახდენს გავლენას ამოცანის ამოხსნაზე. შევარჩიოთ $u^*(0) = \epsilon$.

1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია ოპტიმალური მართვის დამოკიდებულება დროზე.

იმის გამო, რომ ამოხსნის მოცემული კანონი უშვებს განსაკუთრებულ ექსტრემალებს შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ:

$$\begin{cases} \psi_I(t) \equiv 0, \\ \psi_{II}(t) \equiv 0, \end{cases} \quad (17)$$

ახლა ვაჩვენოთ რომ ისინი არ შეიძლება იყოს მოსაძებნელ ამოხსნები. ტრანსველსალობის (9) და (17) პირობებიდან გამომდინარეობს;

$$\begin{cases} q(T) = 0 \\ p(T) = 0 \end{cases} \quad (18)$$

თუ დროის ერთ-ერთ ინტერვალზე $t \in [t', t'']$ სრულდება (17), მაშინ მივიღებთ, რომ დროის t'' მომენტში (12)-დან გამომდინარეობს $A=0$. ესე იგი სამართლიანია (17) დროის T მომენტში და ამიტომ სამართლიანია (18), ხოლო ეს შეუძლებელია, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ.

ამოცანის ამოხსნა საკმარისია მოვძებნოთ გადართვის პირველ t_1 მომენტში. გადავწეროთ (9) შეუღლებული ცვლადების გათვალისწინებით მივიღებთ:

$$\begin{cases} A \sin(\omega T + \phi) = \omega q(T) \\ A \cos(\omega T + \phi) = p(T) \end{cases} \quad (19)$$

ჩანს, რომ თუ ვიპოვით $p(T)$ და $q(T)$ როგორც t_1 -ის ფუნქციას, თუ გავითვალისწინებთ (8) (19) შეგვიძლია ვიპოვოთ t_1 მომენტი.

სისტემის დროითი მონაკვეთის ბოლოში ფაზური კორდინატების მოძებნისათვის მივმართოთ ფაზურ პორტრეტებს.

განვიხილოთ ერთი ოსცილატორის ფაზური კორდინატები, რომელიც აღიწერება (3) დინამიკის განტოლებით (q, p) და კონკრეტული u მართვით. ვთქვათ $u = \epsilon$:

$$\begin{cases} \dot{q}(t) = p(t) \\ \dot{p}(t) = -\omega^2 q(t) + \varepsilon \end{cases}$$

მეორეაირად ეს განტოლებები ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\ddot{q} + \omega^2 \left(q - \frac{\varepsilon}{\omega^2} \right) = 0.$$

ამ განტოლების ამოხსნასწავთ:

$$\begin{cases} q = R \cos(-\omega t + \lambda_0) + \frac{\varepsilon}{\omega^2} \\ p = R \omega \sin(-\omega t + \lambda_0) \end{cases}$$

სადაც R - კონსტანტაა, λ_0 - ერთ-ერთი ფაზაა, ნიშანი მინუსი სიხშირეზე აჩვენებს, რომ მოძრაობა ფაზურ სიბრტყეზე ხდება საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

იგივე მოქმედება განვახორციელოთ როცა $u = -\varepsilon$. შედეგად მივიღებთ იგივეს, განსხვავება იქნება მხოლოდ ნიშანში ამოხსნის მეორე შესაკრების წინ. სისტემის ფაზურ ტრაექტორიებს აქვთ წრიული ფორმა:

$$\left(q \mp \frac{\varepsilon}{\omega^2} \right)^2 + \left(\frac{p}{\omega} \right)^2 = R^2$$


წრეწირის ცენტრია $e \left(\mp \frac{\varepsilon}{\omega^2}, 0 \right)$. ამ წრეზე ფაზური წერტილი მოძრაობს საათის ისრის მიმართულებით ω საკუთხო სიჩქარით.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ ფაზური ტრაექტორიის სახე (ნახ.2). ნახაზზე წერტილებით მონიშნულია ოსცილატორის მართვის გადართვის მომენტები და საბოლოო მომენტი. ნახაზიდან ჩანს, რომ გადართვის პირველი წერტილის კოორდინატებს აქვს სახე:

$$\begin{cases} q_1 = \frac{\varepsilon}{\omega^2} (1 - \cos(\omega t_1)), \\ p_1 = \frac{\varepsilon}{\omega} \sin(\omega t_1) \end{cases}$$

თანაც

$$R = \frac{\varepsilon}{\omega^2}, \quad \lambda_0 = \pi,$$



ნახ. 2. ოსცილატორის ფაზური პორტრეტი

მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია ფაზური პორტრეტი მიღებული $\omega = 1, \varepsilon = 1$ გადართვებისათვის მე-10 კანონის მიხედვით ნებისმიერი t_1 -თვის. ხოლო გადართვის წერტილების კოორდინატების ზოგადი სახე ასეთია


$$\begin{cases} q_k = (-1)^{(k-1)} \left(q_1 + 2(k-1) \frac{\varepsilon}{\omega^2} \right), \\ p_k = (-1)^{(k-1)} p_1 \end{cases} \quad (20)$$

(20)-ე სისტემაში ნიშანი განისაზღვრება k -ს ლუწობის ხარჯზე და შეესაბამება ოსცილატორის მოძრაობას, მართვის $k-1$ და k გადართვებს შორის, ანუ მოძრაობის k -ურ ინტერვალს. ბოლო გადართვის ნომერია $k=K$.

ზოგად შემთხვევაში ამ ამოცანის შედეგად მიღებულ ფაზურ ტრაექტორიებს აქვს სახე (ნახ.3):

3. დასკვნა

სტატიაში გამოკვლეულია და გადაწყვეტილია დროის მოცემულ ფიქსირებულ მომენტში ენერჯის მაქსიმიუმის კრიტერიუმის მიხედვით ოსცილატორის მართვის ამოცანა. ანალიზურად მიღებულია ოპტიმალური მართვის სახე და მართვის გადართვის დროითი მომენტები, აგრეთვე ენერჯის, როგორც T დროის ფუნქციის მნიშვნელობები. მიღებული შედეგები აფართოებენ კლასიკური ამოხსნების სიმრავლეს, ერთეულოვანი ოსცილატორის შეზღუდული სკალარული ოპტიმალური მართვის ამოცანებში. ეს გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ მართვის სტრუქტურის კანონებში, აგრეთვე წყდება სწრაფქმედების ამოცანა. გამოთვლების წარმოებისა და გრაფიკების აგების დროს გამოყენებული გვაქვს პროგრამები Maple და Matlab.



ნახ. 3. ზოგადი ამოცანის ფაზური პორტრეტი

ლიტერატურა:

1. ჭიკაბე გ., სესაძე ვ. მათემატიკა კომპიუტერზე. სახელმძღვ., ISBN 978-9941-8-3533-9. სტუის „IT კონსალტინგის ცენტრი“, თბილისი, 2021. -300 გვ.
2. შანშიაშვილი ბ. ოპტიმალური სისტემები. თბილისი. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018. -96 გვ.
3. Murray R.M. Optimization-Based Control, California Institute of Technology, 2010, 112 p.
4. Boyd St., Vandenberghe L. Convex Optimization. Published in the United States of America by Cambridge University Press, New York. 2009, -747 p.
5. Bonnar B., Caillaud J.B. Introduction to Nonlinear Optimal Control. 2005. <https://caillaud.perso.math.cnrs.fr/research/fap-2005.pdf>

Optimal Control of Nonlinear Systems According to Energy

Valida Sesadze, Nino Mchedlishvili, Nodar Narimanashvili

Georgian Technical University

v.sesadze@gtu.ge, nino.mchedlishvili@gtu.ge, n.narimanashvili@gtu.ge

Abstract

Solving problems of optimal control of nonlinear technical systems is associated with significant mathematical difficulties. This is due to the variety of nonlinearities, the problems of forming initial and boundary conditions, the spatial distribution of parameters, the difficulty of solving nonlinear differential equations, and others. Modern computer technologies and universal software packages allow us to successfully solve many tasks that are difficult to solve using classical methods of dynamic optimization. One such well-known and powerful method is Pontryagin's maximum principle. Using this method, a wide range of technical tasks of optimal control can be successfully solved. The article discusses the class of dynamic optimization tasks that can be described with sufficient approximation by harmonic oscillator-type equations. The optimum energy index is selected as the optimality criterion. The task will be reduced to finding optimal values of energy at given moments of time. These values are compared with the results obtained when the oscillator is at rest. A phase portrait of the oscillator and images of phase trajectories are obtained by computer programs. Matlab and Maple software packages are preferred among modern diverse computer resources.

KeyWords: Optimal Control, Pontryagin maximum Principle, Energy conservation law, Harmonic Oscillator, Phase Portrait

Development of Automated Systems for the Logistics of Dental Products Using AI

Anna Bokuchava, Paata Jokhadze, Liana Kanchaveli

Georgian Technical University

annibokuchava@yahoo.com, paata_j@yahoo.com, kanchaveliliana08@gtu.ge

Abstract

The logistics of dental products present unique challenges due to the need for product customization, strict regulatory requirements, and global supply chain complexity. This paper examines how artificial intelligence (AI) can be leveraged to automate and optimize logistics processes within the dental industry. By reviewing existing AI models—such as predictive analytics for inventory management, robotic process automation (RPA), and AI-based route optimization—this study identifies the primary issues faced in dental logistics, including inventory control, compliance, and supply chain disruptions.

AI-driven solutions proposed include intelligent forecasting for demand management, quality control for regulatory compliance, and enhanced transparency using blockchain technology. Additionally, AI can automate administrative tasks, improving overall efficiency. The research concludes that AI-powered logistics systems can reduce operational costs, enhance supply chain efficiency, and ensure compliance with regulatory standards, ultimately transforming the dental industry's logistics framework. Organizations must, however, invest in AI infrastructure and workforce training to fully realize these benefits.

Key Words: Automation, AI, Logistics.

1. Introduction

The dental industry is a vital segment of healthcare, supplying a wide array of products that range from everyday dental tools to specialized equipment and custom-made prosthetics. Ensuring the timely and safe delivery of these products is crucial for maintaining the operations of dental clinics and hospitals. This sector faces a unique set of challenges compared to other industries. For instance, many dental products—such as implants, orthodontic appliances, and dental prosthetics—require customization based on individual patient

needs. This creates complexity in inventory management and product handling, as these items often have limited shelf lives or stringent sterilization requirements.

Furthermore, the global nature of the dental supply chain introduces additional complications. Dental products are often sourced from multiple regions worldwide, making them susceptible to delays caused by geopolitical events, pandemics, natural disasters, and other global supply chain disruptions. In addition to these external factors, the growing demand for more personalized and advanced dental treatments adds pressure on suppliers to deliver quickly and accurately, without compromising quality or compliance with regulatory standards.

Traditional logistics management systems often struggle to cope with these demands, leading to inefficiencies such as delays, high operational costs, and stock imbalances. This is where artificial intelligence (AI) can play a transformative role. AI has the capability to analyze vast amounts of data in real time, offering intelligent solutions that can predict demand, optimize inventory levels, enhance the efficiency of storage and distribution, and automate routine administrative tasks.

This paper explores how AI-driven automated systems can revolutionize logistics within the dental industry, enabling a more resilient and adaptive supply chain. By automating and optimizing various stages of the logistics process—from demand forecasting to route optimization—AI can significantly improve the efficiency of supply chains, reduce costs, and enhance service delivery. The research presented aims to provide a comprehensive understanding of how AI can be integrated into dental logistics, addressing key industry challenges and unlocking new opportunities for innovation.

Existing models illustrate how AI has already transformed logistics in other sectors and provide a strong foundation for developing AI-powered solutions tailored to the dental industry. By leveraging the capabilities of AI and machine learning, dental product supply chains can become more responsive, cost-effective, and capable of meeting the growing demands of healthcare professionals and patients.

2. Problems Description and Methodology for solving the problem

The logistics of dental products face several distinct challenges due to the nature of the products themselves, regulatory demands, and global supply chain complexities. These challenges require highly specialized approaches to ensure that dental clinics and professionals receive their materials in a timely and compliant manner.

AI-based quality control systems for logistics employ a variety of mathematical models to monitor and optimize the handling and packaging of products. These models are crucial in ensuring that dental products, which are subject to strict regulatory and sterility requirements, maintain their quality throughout the logistics process.

The challenges faced in the logistics of dental products, from managing product complexity to ensuring compliance with regulatory standards, can be mitigated through various AI-driven methods. These solutions offer enhanced efficiency, reduced costs, and improved service delivery, addressing the specific requirements of the dental industry. Below is a more detailed discussion of these methods:

1) Genetic Algorithms (GAs)

Genetic Algorithms are optimization techniques based on the principles of natural selection and genetics. They are particularly useful for solving complex, non-linear problems where multiple objectives need to be optimized simultaneously.

• How Genetic Algorithms Work:

- **Initialization:** The process starts by generating a population of potential solutions, known as "chromosomes." Each chromosome is a possible solution to the optimization problem and is typically encoded as a binary string or vector.
- **Fitness Evaluation:** The fitness of each chromosome is evaluated based on predefined objectives. For example, in logistics, the fitness function might evaluate cost, time, product quality, and compliance with regulatory standards.

- **Selection:** The best-performing chromosomes (those that optimize the objectives most effectively) are selected for reproduction.
- **Crossover and Mutation:** The selected chromosomes undergo genetic operations such as crossover (recombining parts of two chromosomes to create new offspring) and mutation (randomly changing parts of a chromosome to introduce diversity). This generates a new population of potential solutions.
- **Iteration:** The process repeats over several generations, with the population gradually evolving toward optimal solutions.
- **Application in Dental Product Logistics:**
 - **Route Optimization:** GAs can be used to optimize transportation routes for dental products by balancing multiple objectives such as cost, delivery time, and environmental conditions (e.g., ensuring temperature-sensitive products are transported under the right conditions). For example, GAs can find the best trade-off between minimizing fuel consumption and ensuring timely delivery while maintaining product quality.
 - **Inventory Management:** GAs can optimize stock levels by considering conflicting objectives like minimizing storage costs and ensuring enough inventory to meet fluctuating demand. This is crucial for dental products that have short shelf lives or strict sterility requirements.
 - **Regulatory Compliance:** In logistics systems, regulatory compliance must be factored into decisions about storage and transport. GAs can balance cost optimization with ensuring that dental products are handled according to strict safety and sterility guidelines.
- **Advantages of GAs:**
 - Can efficiently explore a large solution space, making them useful for complex optimization problems with multiple objectives.
 - Capable of finding near-optimal solutions even when the problem is non-linear or non-convex.
 - Flexibility in handling diverse objectives, which can be easily adjusted as needed.
- **Challenges:**
 - The computational cost can be high due to the iterative nature of the algorithm.
 - It may take many generations to converge to the best solution, which can be time-consuming.
 - Requires careful tuning of parameters like mutation rates and population size.

2) Particle Swarm Optimization (PSO)

Particle Swarm Optimization (PSO) is a population-based optimization technique inspired by the social behavior of birds flocking or fish schooling. It is often used for solving multi-objective optimization problems and is particularly well-suited to continuous optimization tasks.

- **How Particle Swarm Optimization Works:**
 - **Initialization:** PSO begins by initializing a swarm of particles, where each particle represents a potential solution to the optimization problem. Each particle has a position and a velocity.
 - **Fitness Evaluation:** The fitness of each particle is evaluated based on the objectives being optimized (e.g., cost, delivery time, compliance). Each particle remembers its best position (local best), and the swarm remembers the global best position across all particles.
 - **Update Velocity and Position:** Each particle adjusts its velocity and position based on its local best and the global best. This allows the swarm to collectively converge toward optimal solutions.
 - **Iteration:** The particles continue updating their positions until convergence, meaning the swarm has found a solution that balances all objectives effectively.
- **Application in Dental Product Logistics:**
 - **Route Optimization:** PSO can optimize the delivery routes for dental products by minimizing total travel distance, fuel consumption, and delivery time. For instance, if the objective is to deliver a temperature-sensitive product while minimizing transportation costs, PSO can balance these

conflicting goals and suggest the best possible route that reduces fuel consumption without compromising product quality.

- **Environmental Control:** For temperature-sensitive dental products, PSO can optimize the settings of environmental control systems (e.g., refrigeration units) to ensure compliance with sterility and safety regulations while minimizing energy consumption. It can dynamically adjust control settings based on changing external factors like weather conditions or vehicle performance.
- **Warehouse Operations:** PSO can also be used to optimize the layout and operation of warehouses, balancing objectives such as minimizing product handling time, ensuring proper storage conditions, and reducing operational costs. This is especially important for dental products that require specific storage environments.
- **Advantages of PSO:**
 - Simple to implement with fewer parameters compared to genetic algorithms.
 - Converges faster than other population-based algorithms, such as genetic algorithms, making it useful for time-sensitive logistics tasks.
 - Adaptable to dynamic environments, such as real-time route adjustments during delivery.
- **Challenges:**
 - PSO can sometimes converge prematurely to local optima, especially if the fitness landscape is complex.
 - Performance depends on careful tuning of parameters like swarm size, inertia weight, and learning coefficients.

3) Pareto Optimization and Pareto Front

In multi-objective optimization, often there is no single "best" solution, but rather a set of solutions that represent different trade-offs between the objectives. This is where the concept of **Pareto optimization** comes in.

- **Pareto Front:** The Pareto front is the set of non-dominated solutions, where no objective can be improved without worsening another objective. In the context of dental product logistics, the Pareto front might represent solutions that trade off between minimizing costs, ensuring product quality, and reducing environmental impact.

For example, one solution might minimize fuel consumption at the expense of slightly longer delivery times, while another might prioritize faster delivery but with a higher cost. Both solutions are considered optimal based on their respective trade-offs.

- **Finding the Pareto Front with GAs and PSO:**
The main way for development of quantum cryptography methods is lying in interdisciplinary research (mathematics, quantum physics and informatics) is analyzing and exploring the quantum key distribution methodologies starting from first QKD proposed by Bennett and Brassard in 2011 [10]. By leveraging single photon polarization, they pioneered the implementation of the quantum key distribution protocol. After that, many QKD protocols [11, 12] using the basic principles of quantum mechanics have been proposed successively.




Figure 2. Model of QKD protocol

Quantum authentication (QA) protocol is also one of the quantum cryptographic protocols. It was proposed in 2001[13,14]. After that, many QA protocols [15,16] have been proposed one after another.

The quantum cryptography method has developed many branches now. In addition to the protocols (i.e., QKD protocol, QOT protocol, and QA protocol) quantum cryptography protocols also include quantum bit commitment (QBC) protocols [17,18] and quantum signature (QS) protocols [19].

The term cyberspace today is used to describe the domain of the global technology environment by experts and researchers of technical strategy, security, government, military, and industry and enterprises. Typical applications based on cyberspace include cloud computing [20,21] and personalized recommender systems [22].

Despite all benefits and advantages of cyberspace, it is regarded as the largest unregulated and uncontrolled field in human history. Therefore, the problem of information security is the primary problem of cyberspace. On the one hand, information technology and industry have entered an unprecedented stage of prosperity. On the other hand, the means of all kinds of attacks emerge in an endless stream. Attacks, like hacker attacks, malicious software invade, and computer viruses, pose a great threat to cyberspace information security. Moreover, the progress of science and technology also poses new challenges to cyberspace security.

Due to the characteristics of the quantum computer, existing cryptography methods and tools [23- 25], will be no longer safe in the quantum computer. Namely, the well-known discrete logarithm problem (DLP) or the integer factorization problem will no longer be difficult under quantum computer. This suggests that in order to resist quantum computers, new cryptosystems that are not based on discrete logarithms problem or the large factor decomposition problem should be explored. Only in this way can the information security of cyberspace be ensured in the future Internet.

Quantum cryptography is still in its infancy. But we cannot ignore the challenges it brings to the security of existing cyberspace. From 1994, when P. Shor has proposed the quantum algorithm [26] by which the integer factorization problem and the discrete logarithm problem can be efficiently solved in polynomial time, researchers have not found the classical algorithm to solve the large integer decomposition and the discrete logarithm problem efficiently. The main goal of the study of quantum cryptography is to design cryptographic algorithms and protocols, which is against quantum computing attacks. As stated previously, exploring quantum cryptographic protocols will be an essential part of cyberspace security issues. Cryptography and network security are the key technologies to ensure the security of the information system [28], and quantum cryptography is an important branch of cryptography, which is the combination of quantum mechanics and classical cryptography. Here the security of communication can be guaranteed by Heisenberg's uncertainty principle and quantum non-cloning theory [29,30].

Generally, cybersecurity is the practice of protecting systems, networks, and programs from digital attacks, which usually aims at accessing, changing, or destroying sensitive information; extorting money from users; or interrupting any organizational processes.

On the other side Cybersecurity is a challenge that is growing exponentially and its part cyber intelligence is the acquisition and analysis of information to identify, track and predict the capabilities, intentions and cybernetic activities that support decision-making and must be understood as intelligence applied to computing or cyberspace.

Entangled and coherent attacks propagating from quantum computers may hypothetically possess the ability to enter entanglement with a targeted device maliciously. To construct a defense system to mitigate such potential threats, using a system of propagating radio waves to forcing continuous decoherence around a defended network may shield against attempts of malicious targeting. The applications of the ultraviolet light,

as a possible defense component, rely on the electromagnetic aspect of ultraviolet light. Ultraviolet light cannot ionize an atom, but the properties of radio waves, another form of light, can couple with conductors if the distance is within the propagation of the wave. Thus, the exchange of radio waves with ultraviolet light may alter hardware.

Hilbert spaces are requirements to any quantum-based mathematics for applications to computation [31], and therefore must be present in some way for security systems relying on quantum mechanics. During the initial stages of this research, the power of quantum computers understood in terms of threats to cryptography was not the focus, but applications for defending against quantum cracking is worth noting. Users of the Internet may not know that the transmission of data between their computer and the websites they visit rely on strong encryption to protect them, but with quantum computers, encryption using RSA and similar algorithms cannot mitigate cracking by a quantum computer. The promises of advanced elliptic curve cryptography suggest greater potential to mitigate the threat of quantum computers to classical encryption.

Given the fact that classical computers themselves operate using quantum mechanics, but fall to the limitations of classical systems, it is apparent that with the research conducted by Toshiba and their affiliates at Cambridge, quantum computing can affect classical systems. The level of threat posed by this finding, in conjunction with the currently occurring race to construct quantum communication, emanating from satellites, provides support for the reasoning behind use of electromagnetic waves for computer network defense. Given Earth's magnetic field inhibits quantum communication, conceptualizations of energy excitation using radio waves to create a shield appears tenable.

Applications of space as a vehicle for quantum communication may be promising, but is not necessary in all respects. In addition, with cryptography using the principles of elliptic curve geometry, of which can be complex the ability to conjoin the principles behind orbital momenta, a vector space, and trapdoor functions of path integrals over the space can be an advancement of seed algorithms for elliptic curve cryptography. Path integrals in quantum fields over vector spaces may provide an intractable problem applicable to mitigating attempts to break encryption [33].

The inability to predict the seed value compounds when using pseudo-random transformations of the area under the curves from the motion of points. The end goal is a defensive system such that any quantum computer attack against a conventional computer would trigger an automatic response using combinations of conventional hardware and quantum-based computation. The distribution of a propagating wave as mitigation will suffice to disrupt quantum computer threats using wave-particle interaction.

3. Discussion and Conclusion

China, a long-time investor in quantum networks, has set records in qubit entanglement organized by space satellites. Chinese scientists recently detected entanglement and achieved QKD at a record 745 miles.

The next stage is to expand the infrastructure. All experiments so far have connected only two endpoints. Now that point-to-point communication has been achieved, scientists are working on creating a network in which many senders and many receivers can exchange quantum information via a global-scale quantum internet.

The idea, in essence, is to find the best ways to organize the entanglement of many qubits over large distances and between many different endpoints simultaneously. This is much easier said than done: for example, currently maintaining entanglement between quantum devices in China and the United States is likely to require an intermediate node with new routing protocols. In this direction, countries are choosing different technologies for qubit transport. If China chooses satellite technology, the fiber-optic method is supported by the US Department of Energy (DoE), which is now trying to create a network of quantum repeaters to increase the distance of qubit entanglement. In the United States, quantum information particles have remained entangled in optical fiber on a 52-mile-long “quantum loop” in a suburb of Chicago without the need for quantum repeaters. Soon, this network will connect to one of the DoE laboratories to create an 80-mile-long quantum test channel.

The EU Quantum Internet Alliance project was launched in 2018 to develop a quantum internet strategy, and in 2021, qubits were experimentally transmitted over a distance of 31 miles. The goal of researchers working on the quantum network creation program is to first launch quantum networks at the national level and then on an international scale. The vast majority of scientists agree that this process will take several decades. The quantum internet is undoubtedly a long-term project, with many technical obstacles still ahead, but the results that the technology will inevitably bring will provide us with new scientific solutions, which will end with extraordinary quantum applications that are currently impossible to predict.

As China and the US move closer to building a working quantum communications network, it becomes clearer what level of progress we are dealing with in terms of receiving and transmitting information.

Quantum-network technology is of great importance for the transmission and security of health data. Despite some limitations, such as electronic waste and the risk of hacking, quantum distributed (QD) systems are considered as a modern healthcare provider with life-saving methods and tools to improve the quality of medical services and their real-time availability.

In the recent years it has been found that the performance of quantum algorithms is exponentially superior to classical algorithms. This will allow quantum computing to achieve qualitatively new results in many areas of information technology use.

As public awareness of health issues increases, the need for healthcare is increasing. Electronic medical records contain highly confidential and sensitive information, and modern blockchain technology can securely exchange these records between different medical organizations. By integrating current blockchain systems with quantum networks, it becomes possible to develop a new distributed quantum electronic medical record system. Here, in the quantum blockchain data structure, blocks are connected through entangled states. Time stamps are automatically generated by connecting the activities controlled by quantum blocks, which reduces the amount of storage space required, and the hash (key) value of each block is recorded using only one qubit. In this case, the processing of quantum information is described in detail in the quantum electronic medical record protocol. All medical records can be tracked, and the security and confidentiality of electronic medical records in Internet of Things systems are guaranteed. The protocol also eliminates traditional encryption and digital signature algorithms in favor of a quantum authentication system [34]. The quantum blockchain network is characterized by extremely high security against various cyber-attacks, as it can withstand virtually any external attack, due to the use of the attack-measure-replay and attack-measure method and the appropriate quantum circuit for analyzing the correctness and traceability of the quantum block.

References:

1. Stephanie Wehner, David Elkouss, Ronald Hanson, Quantum internet: A vision for the road ahead, *Science*, 19 Oct 2018 Vol 362, Issue 6412, DOI: 10.1126/science.aam9288.
2. Richard P. Feynman, Simulating Physics with Computers, *International Journal of Theoretical Physics*, Vol 21, Nos. 6/7, 1982.
3. Kervalishvili P. J. Quantum information science: some novel views. In book *Information and Computer Technologies*. Nova Publishing, USA. 2012.
4. Paata J. Kervalishvili, Quantum information technology: Theory and applications. Published in: 2015 IEEE Seventh International Conference on Intelligent Computing and Information Systems (ICICIS), IEEE Xplore: 04 February 2016, ISBN Information: INSPEC Accession Number: 15756870. DOI: 10.1109/IntelCIS.2015.7397187, Publisher: IEEE. 15p.
5. P. Kervalishvili, Phenomenology of infodynamics. 3rd International Computational Science and Engineering Conference, 21-22 October 2019, Doha, Qatar.
6. J. Shen, J. Shen, X. Chen, X. Huang, and W. Susilo, “An efficient public auditing protocol with novel dynamic structure for cloud data,” *IEEE Transactions on Information Forensics and Security*, vol. 12, pp. 2402–2415, 2017.
7. A. Peres, *Quantum Theory: Concepts And Methods*, Springer Science & Business Media, 2006.
8. Paata J. Kervalishvili. Data Storage – Quantum Approach (Key note lecture). Book of abstracts and proceedings of 2nd International Conference on Knowledge Engineering and Big Data Analytics (KE&BDA) 8-10 December 2017, Future University, Cairo, Egypt.
9. N. K. Langford, R. B. Dalton, M. D. Harvey et al., “Measuring entangled qutrits and their use for quantum bit commitment,” *Physical Review Letters*, vol. 93, no. 5, Article ID 053601, pp. 1–53601, 2004.
10. C. H. Bennett, “Quantum cryptography using any two nonorthogonal states,” *Physical Review Letters*, vol. 68, no. 21, pp. 3121–3124, 1992.
11. S. Wiesner, “Conjugate coding,” *ACM SIGACT News*, vol. 15, no. 1, pp. 78–88, 1983.
12. A. K. Ekert, “Quantum cryptography based on Bell’s theorem,” *Physical Review Letters*, vol. 67, no. 6, pp. 661–663, 1991.

13. M. Curty and D. J. Santos, “Quantum authentication of classical messages,” *Physical Review A: Atomic, Molecular and Optical Physics*, vol. 64, no. 6, 2001.
14. B.-S. Shi, J. Li, J.-M. Liu, X.-F. Fan, and G.-C. Guo, “Quantum key distribution and quantum authentication based on entangled state,” *Physics Letters A*, vol. 281, no. 2-3, pp. 83–87, 2001.
15. D. Zhang and X. Li, “Quantum authentication using orthogonal product states,” in *Proceedings of the 3rd International Conference on Natural Computation, ICNC 2007*, pp. 608–612, China, August 2007.
16. C. H. Bennett and G. Brassard, “WITHDRAWN: Quantum cryptography: Public key distribution and coin tossing,” *Theoretical Computer Science*, 2011.
17. N. K. Langford, R. B. Dalton, M. D. Harvey et al., “Measuring entangled qutrits and their use for quantum bit commitment,” *Physical Review Letters*, vol. 93, no. 5, Article ID 053601, pp. 1–53601, 2004.
18. G. Zeng and C. H. Keitel, “Arbitrated quantum-signature scheme,” *Physical Review A: Atomic, Molecular and Optical Physics*, vol. 65, no. 4, 2002.
19. X. Lü and D. Feng, “An Arbitrated Quantum Message Signature Scheme,” in *Computational and Information Science*, vol. 3314 of *Lecture Notes in Computer Science*, pp. 1054–1060, Springer Berlin Heidelberg, Berlin, Heidelberg, 2004.
20. J. Li, Y. Zhang, X. Chen, and Y. Xiang, “Secure attribute-based data sharing for resource-limited users in cloud computing,” *Computers & Security*, 2017.
21. T. Zhou, L. Chen, and J. Shen, “Movie Recommendation System Employing the User-Based CF in Cloud Computing,” in *Proceedings of the 2017 IEEE International Conference on Computational Science and Engineering (CSE) and IEEE International Conference on Embedded and Ubiquitous Computing (EUC)*, pp. 46–50, Guangzhou, China, July 2017.
22. J. Shen, T. Zhou, X. Chen, J. Li, and W. Susilo, “Anonymous and Traceable Group Data Sharing in Cloud Computing,” *IEEE Transactions on Information Forensics and Security*, vol. 13, no. 4, pp. 912–925, 2018.
23. R. L. Rivest, A. Shamir, and L. Adleman, “A method for obtaining digital signatures and public-key cryptosystems,” *Communications of the ACM*, vol. 21, no. 2, pp. 120–126, 1978.
24. J. Shen, T. Zhou, X. Chen, J. Li, and W. Susilo, “Anonymous and Traceable Group Data Sharing in Cloud Computing,” *IEEE Transactions on Information Forensics and Security*, vol. 13, no. 4, pp. 912–925, 2018.
25. T. ElGamal, “A public key cryptosystem and a signature scheme based on discrete logarithms,” *IEEE Transactions on Information Theory*, vol. 31, no. 4, pp. 469–472, 1985.
26. J. Shen, T. Zhou, F. Wei, X. Sun, and Y. Xiang, “Privacy-Preserving and Lightweight Key Agreement Protocol for V2G in the Social Internet of Things,” *IEEE Internet of Things Journal*, pp. 1–1.
27. P. W. Shor, “Algorithms for quantum computation: discrete logarithms and factoring,” in *Proceedings of the 35th Annual Symposium on Foundations of Computer Science (SFCS '94)*, pp. 124–134, IEEE, 1994.
28. P.J. Kervalishvili, D. I. Tseles, *Quantum Information: Philosophy and Technology*, International Scientific Conference eRA -11 The SynEnergy Forum, Piraeus University of Applied Sciences, 21-23 September, 2016.
29. Wootters, W.K. and Zurek, W.H.: A Single Quantum Cannot be Cloned. *Nature* 299 (1982), pp. 802-803.
30. Buzek, V. and Hillery, M.: "Quantum cloning". *Physics World* 14 (11) (2001), pp. 25-29.
31. Robert B. Griffiths, *Hilbert Space Quantum Mechanics*. Carnegie Mellon University Version of 20 August 2012.
32. Paata J Kervalishvili. *Leptons Based Quantum Computing*. *Acta Scientific, Computer Sciences*. Published: June 23, 2023; Volume 5 Issue 7: 12-14.
33. The Cavendish-Toshiba Collaboration - Department of Physics, University of Cambridge, <https://www.phy.cam.ac.uk/collaborative-programmes>.
34. Paata Kervalishvili. "Quantum Internet and Current Biomedicine". <https://sppf.info/int-ped-journal-2022-2024-2-4>.

Data Mining-ის როლი ბიზნეს-ანალიზში

მედეა თევდორაძე, ია გიაშვილი, თამარ ასათიანი, მანანა მალრაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

medeat@gtu.ge, i.giashvili@gtu.ge, t.asatiani@gtu.ge

რეზიუმე

თანამედროვე ბიზნესის წარმოდგენელია ბიზნეს-ანალიზის გარეშე. მთავარი მიზნები კი არის ის, რომ ბიზნესი ფუნქციონირებს არასტაბილურ და არამდგრად ეკონომიკურ გარემოში, მომატებული კონკურენციის პირობებში. და იმისათვის, რომ ბიზნესი გადარჩეს, იყოს მომგებიანი, კონკურენტუნარიანი და უწყვეტი მას, გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, სჭირდება ბიზნეს-ანალიზის განხორციელება რამდენიმე მიზეზის გამო: ბიზნესის საჭიროების განსაზღვრისათვის; საქმიანობაში არასასურველი გადახრების დროული აღმოჩენისათვის მათზე მყისიერი რეაგირების განხორციელებისათვის შესაძლო გაუარესების თავიდან აცილების მიზნით. ბიზნეს-ანალიზი იყენებს საკმაოდ რთულ მათემატიკურ, სტატისტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ მეთოდებს. მათი განხორციელებისათვის შემუშავებულია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ცნობილია BI (BI-business intelligence)-სისტემების სახელით. აღნიშნული სისტემები წყვეტენ საკმაოდ ფართო სპექტრის ამოცანებს, როგორც არის: მონაცემთა მიღება სხვადასხვა წყაროებიდან, მათი პირვანდელი დამუშავება, OLAP-პროცედურების განხორციელება, სხვადასხვა ბიზნეს-ანალიზის მეთოდის რეალიზაცია და ბოლოს, ჩატარებული ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ვიზუალიზაცია დაშორების სახით. ჩვენი ინფორმაციული საზოგადოების ბოლო წლები ხასიათდება დიდი მონაცემების წარმოშობით. დიდ მონაცემებში ძალიან ხშირად ადგილი აქვს არა სასარგებლო ინფორმაციას, მოუშადადებელი დიდი მონაცემების დამუშავების და ანალიზის პროცესში პრაქტიკულად შეუძლებელია სასარგებლო მონაცემების აღმოჩენა. ამ გარემოებამ განაპირობა ისეთი ტექნოლოგიის დამუშავება, როგორც არის Data Mining-ი, რომლის დანიშნულება არის ნედლ მონაცემებში ზუსტად იმ კანონზომიერებების და კავშირების აღმოჩენა, რომელიც დაუმუშავებლად პრაქტიკულად არ ჩანს. Data Mining-ი იყენებს თავის მეთოდებს, მისი განხორციელებისათვის აგრეთვე შემუშავდა სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფა. საქმე ის არის, რომ უმრავლეს შემთხვევაში BI-სისტემებში არ არის რეალიზებული Data Mining-ის ტექნოლოგია, დღეისათვის მათში ხორციელდება Data Mining-ის სისტემებში მიღებული შედეგების ვიზუალიზაცია, და მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის BI-სისტემებში რეალიზებულია Data Mining-ის ზოგიერთი ფუნქციები. Data Mining-ის განხორციელება უადრესად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემებში ვერ დგინდება რაიმე კანონზომიერებები და კავშირები მონაცემებს შორის.

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება Data Mining-ის მეთოდების განხილვას, მისი რეალიზაციის სისტემების დახასიათებას, და Data Mining-ის ადგილის და როლის განსაზღვრას ბიზნეს-ანალიზში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-ანალიზი, Data Mining-ის როლი და სისტემები

1. შესავალი

ბიზნეს-ანალიზი დღეს ფრიად მნიშვნელოვანია და მისი ჩატარება იძლევა მრავალ უპირატესობას. პირველ რიგში, ეს არის ბიზნესის უკეთესად გაგება. კომპანიების ხელმძღვანელები თვლიან ბიზნეს-ანალიზს სტრატეგიულ ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ტენდენციების გამოვლენას, მოწინავე ტექნოლოგიების შეფასებას და ინოვაციური გადაწყვეტილებების რეკომენდირებას. ბიზნეს-ანალიზი იძლევა ბიზნეს გარემოს ანალიზს რითაც შესაძლებელი ხდება ისეთი ფაქტორებს გათვალისწინება, როგორც არის: ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ბაზრის, ნორმატიულ-უფლებრივი, სოციალურ-კულტურული

და ეკოლოგიური. ყოველივე აღნიშნული ფრიად მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოებისათვის, რომელიც ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების პრინციპებით, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მიმართულებებს [1]. ბიზნეს-ანალიზი აუმჯობესებს: ურთიერთობებს, ბიზნეს-პროცესებს, გადაწყვეტილებების მიღებას კომპანიაში. ბიზნეს-ანალიზი იძლევა ისეთ შედეგებს, როგორც არის: ურთიერთქმედების გაუმჯობესებას, მოთხოვნების დადგენას და დოკუმენტირებას, პროექტების შედეგების გაუმჯობესებას, რისკების შემცირებას, ხარისხის გაუმჯობესებას, ცვლილებების დანერგვას და მართვას, ბიზნესის შესაძლებლობების განსაზღვრას. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს-ანალიზი იყენებს ფართო სპექტრის მეთოდებს, რომლებიც გამოირჩევიან მომატებული სირთულით. ამ მეთოდების გამოყენების გაადვილების მიზნით უკვე კარგა ხანია შემუშავებულია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ცნობილია BI-სისტემების სახელით. BI-სისტემებს გააჩნიათ რთული მრავალდონიანი არქიტექტურა და ისინი ასრულებენ მრავალ ფუნქციას, კერძოდ: იღებენ მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან, როგორც არის მონაცემთა ბაზები, სხვადასხვა სახის ფაილები, მონაცემთა საცავები და სხვა; ასრულებენ მიღებული მონაცემების პირველად დამუშავებას და მონაცემთა საცავში განთავსებას. შემდეგ უზრუნველყოფენ OLAP-დამუშავებას. ამის მერე ახორციელებენ ბიზნეს-ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. უნდა ითქვას, რომ ბიზნეს-ანალიზის მეთოდები იმდენად რთულია, რომ თითოეულ BI-სისტემაში რეალიზებულია ანალიზის არა უმეტესი 2-3 მეთოდისა. მონაცემების აღნიშნული დამუშავების შემდეგ უკვე ხორციელდება მიღებული შედეგების ვიზუალიზაცია და დაშორების სახით წარმოდგენა. მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა - დიდი მონაცემები. თანამედროვე წარმოებას აქვს საქმე ძალიან დიდი მოცულობის მონაცემებთან, რომლებშიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასარგებლო ინფორმაციის გამოვლენა. ზუსტად ამიტომ აქტუალური გახდა Data Mining-ის ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დიდ მონაცემებში შაბლონების, მსგავსებების, კანონზომიერებების, კავშირების, და ასევე ანომალიების აღმოჩენას.

2. ძირითადი ნაწილი

მონაცემთა მოპოვება (Data Mining) არის მონაცემთა დამუშავების პროცესი, რათა გამოვლენილ იქნას შაბლონები, მსგავსებები და ანომალიები მონაცემთა დიდ ნაკრებებში. მასში გამოიყენება სტატისტიკური ანალიზის და მანქანური სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რათა მონაცემებიდან ამოღებულ იქნას მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დასკვნები. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს დასკვნები დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად, ტენდენციების პროგნოზირებისთვის და ბიზნეს-სტრატეგიების გასაუმჯობესებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი არის განუყოფელი ნაწილი ნედლი მონაცემების უზარმაზარი მოცულობის (სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული) ღირებულ ცოდნად გარდაქმნისა, რომლის საფუძველზე შეიძლება შემდგომი ქმედებების დაგეგმვა.

განიხილავენ მონაცემთა მოპოვების შემდეგ ძირითად ეტაპებს (ნახ.1) [2]:

- **ბიზნესის გაგება (Business understanding).** ეს არის მონაცემთა დამუშავების პროექტის მიზნებისა და მოთხოვნების ანალიზი, ბიზნესის თვალთახედვით. ის მოიცავს ამოცანის მასშტაბების განსაზღვრას, ძირითადი ბიზნეს-საკითხების გამოვლენას, რომლებზეც პასუხი უნდა გასცეს მონაცემთა მოპოვებამ, და ამ მიზნების მისაღწევად თავდაპირველი გეგმის ჩამოყალიბებას;

- **მონაცემთა გაგება და შეგროვება (Data understanding and collection).** ამ ეტაპზე, ხორციელდება მონაცემთა შეგროვება და შესწავლა, რათა გასაგები გახდეს ეს მონაცემები, გამოვლინდეს მათი პრობლემების ხარისხი და გამოტანილ იქნას პირველადი დასკვნები;

- **მონაცემთა მომზადება (Data preparation).** ეს ეტაპი მოიცავს ნედლი მონაცემების გაწმენდას და გარდაქმნას ანალიზისთვის შესაფერის ფორმატში. ეს პროცესი მდგომარეობს


არამკაფიო მნიშვნელობების იდენტიფიცირებაში, შეუსაბამობების გადაჭრაში, მონაცემთა ნორმალიზებაში და ცვლადების პოტენციურ ტრანსფორმაციაში. მისი ამოცანაა - ნედლი მონაცემებიდან მზა მონაცემთა ბაზის მიღება შემდგომი მოდელირებისთვის.

- **მოდელირება (Modeling)**. ამ ეტაპზე შეირჩევა მათემატიკური მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება მონაცემების დასამუშავებლად. ამ ეტაპზე უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ალგორითმისა და მოდელის შემოწმება, რათა გამოვლინდეს საუკეთესო მეთოდიკა ნიმუშის ამოცნობისა და პროგნოზირების მომზადებული მონაცემების საფუძველზე;

- **შეფასება (Evaluation)**. ამ ეტაპზე ტარდება მოდელის სიზუსტის, სანდოობისა და ვალიდობის შეფასება. სიზუსტის შემოწმებისას განისაზღვრება, თუ რამდენად ხშირად იძლევა მოდელი სწორ შედეგებს. სანდოობა დაკავშირებულია მოდელის შეთანხმებულობასთან: თუ მოდელი მრავალჯერ იქნება გამოიყენებული, ის ყოველ ჯერზე უნდა იძლეოდეს ერთსა და იმავე შედეგს. ვალიდურობის ტესტირება საშუალებას იძლევა გაგებულ იქნას, პროგნოზირებს თუ არა რეალურად მოდელი იმას, რაც უნდა გაკეთდეს;

- **განშლა (Deployment)**. შეიძლება მოიცავდეს როგორც ანგარიშგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების გენერაციას, ასევე მონაცემთა მოპოვების მოდელის ინტეგრაციას კომპანიის მოქმედ სისტემებში. ეს ბოლო ეტაპი უნდა უზრუნველყოფდეს, Data Mining-ის მიღებული დასკვნების ეფექტურად გარდაქმნას ბიზნეს სტრატეგიებში ან გადაწყვეტილებებში.

განხილული პროცესის თითოეული ეტაპი განმეორებადია, რაც ნიშნავს, რომ მოგვიანებით ეტაპებზე გამოვლენილმა აღმოჩენებმა ან პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს ადრინდელი ეტაპის გადახედვა. მისი ციკლური ბუნება უზრუნველყოფს მონაცემთა მოპოვების პროექტის უწყვეტ გაუმჯობესებას და რელევანტურობას ბიზნეს-მიზნებთან.



ნახ.1. Data Mining-ის ეტაპები

შემდეგ მოყვანილია მონაცემთა დამუშავების იმ ძირითადი მეთოდებისა და მეთოდების მოკლე დახასიათება, რომლებიც გამოიყენება Data Mining-ში [3,4]:

სტატისტიკური მეთოდები: რეგრესიული ანალიზი - გამოიყენება ცვლადებს შორის ურთიერთობის პროგნოზირებისათვის; კლასტერული ანალიზი - ეხმარება მსგავსი ობიექტების დაჯგუფებას მონაცემთა ფარული ჯგუფების აღმოჩენით;

მანქანური სწავლების მეთოდები: გადაწყვეტილების ხეები - გამოიყენება მოდელის შესაქმნელად, რომელიც წინასწარ გვთავაზობს სამიზნე ცვლადის მნიშვნელობას რამდენიმე შესასვლელი ცვლადის საფუძველზე; ნეირონული ქსელები - ეს არის რთული ალგორითმები, რომლებიც მიბაძავენ ადამიანის ტვინის მუშაობას, რათა იპოვოს რთული დამოკიდებულებები მონაცემებში;

მონაცემთა ვიზუალიზაცია: სითბური რუკები - აჩვენებენ ცვლადის სიდიდეს ფერში, რაც ამარტივებს მონაცემთა სტრუქტურის ვიზუალურად გაგებას; გაფანტვის დიაგრამები -

წარმოადგენს ორ ცვლადს შორის დამოკიდებულებას, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს დაკვირვება იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ერთი ცვლადი მეორეზე.

კლასიფიკაცია - ობიექტის კატეგორიის განსაზღვრა უკვე ასებული კლასიფიცირებული მაგალითების შესწავლის საფუძველზე;

ასოციაციური ანალიზი - საინტერესო და ხშირად შეხვედრადი პატერნების, წესების ან ასოციაციების გამოვლენა;

პროგნოზირება - მომავალი მოვლენების და ტენდენციების პროგნოზირება ისტორიული მონაცემების საფუძველზე;

ანომალიების გამოვლენა - უჩვეულო, გადახრების მქონე პატერნების ან მონაცემთა ობიექტების აღმოჩენა

Data Mining-ი ხორციელდება რაოდენობრივ, ხარისხობრივ ანუ კატეგორიალურ, ტექსტურ მონაცემებზე, დროით რიგებზე, სივრცობრივ ან გეოგრაფიულ მონაცემებზე, მრავალგანზომილებიან და ნაკადურ მონაცემებზე. Data Mining-ის შედეგების ვიზუალიზაციისათვის კი გამოიყენება: გრაფიკები და დიაგრამები, თბური გრაფიკები, ამონახსნების ხეები, კლასტერული რუკები, ინტერაქტიული დაშორდები, რეპორტები ტექსტურ ფორმატში.

დღეს შემუშავებულია საკმაოდ ფართო სპექტრის პროგრამები Data Mining-ის განხორციელებისათვის, შემდეგ მოყვანილია მხოლოდ ფართოდ ცნობილი სისტემების მოკლე დახასიათება [5]:

- **Weka** - მოიცავს ინსტრუმენტების ფართო ნაკრებს კლასიფიკაციისათვის, რეგრესიისათვის, კლასტერიზაციისათვის და ვიზუალიზაციისათვის;

- **RapidMiner** - მოიცავს ღრმა შესაძლებლობებს მონაცემთა ანალიზისათვის, წინასწარი დამუშავების, მოდელირებისა და შეფასების ჩათვლით;

- **Python-ი ბიბლიოთეკებით Pandas და Scikit-learn** - ერთ-ერთი წამყვანი დაპროგრამების ინსტრუმენტი Data Mining-ისათვის და გააჩნია მონაცემთა ანალიზის ფართო ბიბლიოთეკა;

- **KNIME** - ღია პროგრამული გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზსა და მოდელირებას ვიზუალური ინტერფეისის საშუალებით კოდირების აუცილებლობის გარეშე;

- **Tableau** - ეს გადაწყვეტა ცნობილია პირველ რიგში მონაცემთა ვიზუალიზაციის ამოცანის გადაჭრაში, მაგრამ ასევე გააჩნია უფრო ღრმა ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა;

- **Oracle Data Mining (ODM)** - მოდული Oracle Database-ის შემადგენლობაში განკუთვნილია მანქანური სწავლების მოდელების შესაქმნელად და განშლისათვის

- **Microsoft Azure ML Studio** - გამოიყენება ღრუბლოვანი გამოთვლებში თანამედროვე ბიზნეს-გადაწყვეტილებების მისაღებად;

- **SAS Enterprise Miner** - გამოიყენება მონაცემების კორპორაციული ანალიზისთვის

- **IBM SPSS Modeler** - IBM-ის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა

საშუალებას აიგოს პროგნოზული მოდელები დაპროგრამების გარეშე.

როგორც ჩანს ჩამონათვალიდან, აქ ადგილი აქვს ტრადიციულ სისტემებს, სისტემებს ღია კოდით, ბიზნეს-ანალიზის სისტემებს, ღრუბლოვანი გადაჭრებს, სტანდარტულ პროგრამულ პაკეტებს და ა.შ.. მსგავსი ტიპის სისტემების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს. Gartner-ის ანალიტიკოსების აზრით, ძირითადი მეტრიკა ეფექტიანობის შეფასებისთვის უნდა იყოს გადაწყვეტის ღირებულება და ასევე სერვისის დონის მაჩვენებლები და მომხმარებლის კმაყოფილება. ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული ბიზნეს-პროცესების მაჩვენებლების გაუმჯობესება, მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესება, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის სრულყოფა, თანამშრომლების კმაყოფილება.

შემდეგ მოყვანილია Data Mining-ის გამოყენების მცირე ჩამონათვალი: საცალო ვაჭრობა - მყიდველების ქცევის პროგნოზირება, მარაგების მართვის ოპტიმიზაცია; ფინანსური სექტორი - რისკების შეფასება, აქციების ფასის პროგნოზირება; ჯანდაცვა - დაავადებების პროგნოზირება, საავადმყოფოს რესურსების მართვა; განათლება - სტუდენტების მოსწრების პროგნოზირება, სასწავლო კურსების და პროგრამების ანალიზი; წარმოება - პროდუქციის გამოშვების ანალიზი, რესურსების მართვა; ტელეკომუნიკაცია - დატვირთვის პროგნოზირება; მარკეტინგი და რეკლამა - ბაზრის კვლევა [6].

მონაცემთა მოპოვება შეიძლება იყოს ძალიან მომგებიანი ბიზნესისთვის. შემდეგ მოყვანილია ეს უპირატესობები [7]: *გამომუშავებს/გენერირებს* ღირებულ დაკვირვებებს, უფრო დასაბუთებული და სტრატეგიული ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად; *საშუალებას იძლევა* ბაზრის ტენდენციებისა და მომხმარებელთა ქცევის უფრო ზუსტი წინასწარმეტყველების, რაც ხელს უწყობს პროაქტიულ ბიზნეს-დაგეგმვას; *ეხმარება* ფარული შაბლონებისა და კორელაციების გამოვლენას, რაც განაპირობებს ბაზრის დინამიკისა და მომხმარებელთა საჭიროებების უფრო ღრმა გააზრებას; *ხელს უწყობს* გამოვლენილ იქნას გადახრები და უზვეულო მონაცემთა შაბლონები, რაც გადამწყვეტია თაღლითობის გამოსავლენად და ოპერაციული უწყვეტობის შესანარჩუნებლად; *საშუალებას იძლევა* შექმნას უფრო ეფექტური და პერსონალიზებული მარკეტინგული კამპანიები, მომხმარებელთა მონაცემების ანალიზის წყალობით; *ეხმარება* პოტენციური რისკების უფრო ზუსტად შეფასებას და აღმოფხვრას. ჩამოთვლილი უპირატესობების მიუხედავად, შესაძლებელია იმ შეცდომების ჩამოყალიბება, რომელსაც შეიძლება ადგილი ქონდეს Data Mining-ის პროცესში: მოდელის გადაჭარბებული სწავლება; მონაცემთა არასაკმარისი გაგება; გამოტოვებული მონაცემების იგნორირება; დასკვნების გამოტანა არასაკმარის შერჩევაზე დაყრდნობით; დამოკიდებულება ერთ მეთოდზე; ვიზუალიზაციის მნიშვნელობის არასაკმარისი შეფასება; შეცდომები მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირების წარმოდგენაში; გარე ფაქტორების იგნორირება.

დღეისათვის კარგად არის ჩამოყალიბებული Data Mining-ის მიმდინარე ტენდენციები. აქ გამოიკვეთება შემდეგი მიმართულებები: ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება - ანუ AI და მანქანური სწავლების ალგორითმების ინტეგრაცია ანალიტიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად; რეალურ დრო - რეალურ დროში მონაცემთა ანალიტიკა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მრავალი ინდუსტრიისთვის, რაც ცვლილებებზე უფრო სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა; დიდი მონაცემები - უზარმაზარი მოცულობის მონაცემთა დამუშავება და ანალიზი ნორმად ხდება გამოთვლითი სიმძლავრის მატებასთან ერთად; ღრუბლოვანი გადაწყვეტილებები - ღრუბლოვანი პლატფორმები უზრუნველყოფენ მოქნილობას და მასშტაბურობას მონაცემთა მოპოვებას გადაწყვეტილებების მიღებისთვის; კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება - გაზრდილი ყურადღება მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალურობაზე. **ასევე შესაძლებელია შემდეგი სამომავლო ტენდენციების ჩამოყალიბება:**

- კვანტური გამოთვლები - მონაცემთა ანალიზისთვის კვანტური კომპიუტერების გამოყენებამ შესაძლებელია კარდინალურად შეცვალოს სფერო;
- პერსონალიზაცია მასიური მასშტაბით - პროდუქტებისა და სერვისების კიდევ უფრო დახვეწილი მორგება თითოეული ინდივიდუალური მომხმარებლისთვის;
- ეთიკური მოსაზრებები - მონაცემთა ანალიზის ეთიკურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება, არა დისკრიმინაციული ალგორითმების ჩათვლით;
- ნივთების ინტერნეტთან ინტეგრაცია - IoT ტექნოლოგიებთან შეთავსება ფიზიკური სამყაროს უფრო ღრმა გაგებისა და ურთიერთქმედებისთვის;
- გადაწყვეტილების მიღების ავტონომიური სისტემები - სისტემების განვითარება, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად გაანალიზონ მონაცემები და მიიღონ გადაწყვეტილებები ადამიანის ჩარევის გარეშე.

3. დასკვნა

როგორც ავლინებით, მონაცემთა მოპოვება არის დიდი მოცულობის მონაცემების ანალიზის პროცესი არამკაფიო, მაგრამ მნიშვნელოვანი კანონზომიერების, კავშირების, თავისებურებების და შაბლონების აღმოჩენის მიზნით. Data Mining-ის რთული ალგორითმების და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენება იძლევა საშუალებას ორგანიზაციაში მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილებები მონაცემების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ Data Mining-ის გარეშე ვერ ხორციელდება ბიზნეს-ანალიზი დიდი მონაცემების შემთხვევაში. მონაცემთა მოპოვების საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება იძლევა შემდეგ უპირატესობებს: ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის გაგება, მომავლის პროგნოზირება, რესურსების ოპტიმიზაცია, ახალი შესაძლებლობების იდენტიფიკაცია, რეალურ დროში პრობლემებზე რეაგირება, მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შეფასება.

Data Mining-ის ტექნოლოგია საზოგადოების ტექნოლოგიური პროგრესის სათავეშია, მუდმივად ვითარდება და აფართოებს თავის ჰორიზონტს. ეს არის თანამედროვე ანალიტიკური სფეროს განუყოფელი ნაწილი და ის აგრძელებს ახალი ჰორიზონტების გახსნას ბიზნესისთვის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისთვის. წარმატებული ბიზნესისათვის აუცილებელია მიმდინარე ტენდენციებზე თვალყურის დევნა იმ სამომავლო შესაძლებლობებისთვის მომზადება, რომელსაც ეს სფერო სთავაზობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.თევდორაძე, მ.სალთხუციშვილი, თ.რუხაძე, თ.ჭილაძე, მ.დარჩიაშვილი. ბიზნეს-ანალიზის ინფორმაციული სისტემები სახელმძღვანელო. გამოცემა 3 (2021). 507 გვ. სტუ, თბილისი, 2017, სტუ-ს ბიბლიოთეკა CD 3769
2. **Andres Fortino, PhD.** *Data Mining and Predictive analytics for Business Decisions.* s.l. : Mercury Learning and Information LLC., 2023. ISBN: 978-1-68392675-7.
3. **Jiawei Han, Micheline Kamber, Jian Pei.** *Data Mining Concepts and Techniques Third Edition.* Waltham, USA : Morgan Kaufmann Publishers, 2012. ISBN 978-0-12-381479-1.
4. **Dimitrios Papakyriakou, Ioannis S. Barbounakis.** *Data Mining Methods: A Review.* International Journal of Computer Applications (0975 – 8887) Volume 183 – No. 48, January 2022. DOI: 10.5120/ijca2022921884
5. **Holdsworth, Jim.** *What is data mining?* s.l. : IBM, 2024. <https://www.ibm.com/topics/data-mining>.
6. **Shubhnoor, Gill.** *14 Best Data Mining Tools for 2024.* s.l. : HEVO, 2024. <https://hevodata.com/learn/data-mining-tools/>.
7. **Moaiad Ahmad Khder, Ibrahim A. Abu-ALSondos, Abdullrahman Yousif Bahar.** *THE IMPACT OF IMPLEMENTING DATA MINING IN BUSINESS INTELLIGENCE.* International Journal of Entrepreneurship Volume 25, Special Issue 2, 2021 1 1939-4675-25-S2-01 Volume 25.

The Role of Data Mining in Business Analysis

Georgian Technical University

Medea Tevdoradze, Ia Giashvili, Tamar Asatiani

medeat@gtu.ge, i.giashvili@gtu.ge, t.asatiani@gtu.ge

Summary

Modern business is unthinkable without business analysis. The main reason is that the business operates in the conditions of unstable and unsustainable economic, increased competition. And in order for the business to survive, be profitable, competitive and continuous, it, in addition to the use of information

technologies, definitely needs to carry out business analysis for several reasons: to determine the business needs, to detect unwanted deviations in the activity in time in order to respond to them immediately and to avoid possible deterioration. Business analysis uses quite complex methods: mathematical, statistical, economic, financial methods. Special software known as BI-systems (BI-business intelligence) has been developed for their implementation. These systems solve a wide range of tasks, such as: receiving data from various sources, their initial processing, implementation of OLAP-procedures, implementation of various business analysis methods, and finally, visualization of the results of the conducted analysis in the form of dashboards. The last years of our information society are characterized by the emergence of big data. In the mentioned big data very often, it is practically impossible to find useful data during the processing and analyzing this unprepared big data. This circumstance led to the development of such technology as Data Mining, the purpose of which is to discover exactly those regularities and connections in raw data, which practically do not appear in unprocessed data. Data Mining uses its own methods, specialized software has also been developed for its users, without which a complete business analysis cannot be carried out. The fact is that in most cases BI systems do not implement Data Mining technology, they implement the visualization of results obtained in Data Mining systems, and only a very small number of BI-systems implement some Data Mining functions. In the present paper there are discussed Data Mining methods, are characterized its implementation systems, and it is determined the place and role of Data Mining in business analysis.

Keywords: Business Analysis, Data Mining' role and systems

სასწავლო ობიექტების გენერირების ინტელექტუალური სისტემის შემუშავება პერსონალიზებული ელექტრონული სწავლებისთვის

დავით კაპანაძე, რუსუდან პაპიაშვილი, გიორგი თანდილაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

d.kapanadze@gtu.ge, r.papiashvili@gtu.ge, g.tandilashvili@gtu.ge

აბსტრაქტი

ელექტრონული სწავლება თანამედროვე განათლების სისტემაში სწრაფად ვითარდება, რაც წარმოშობს სასწავლო პროცესში ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების ჩართვის საჭიროებას. პერსონალიზებული სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და პრეფერენციებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის პროცესის ეფექტურობას. სტატიაში განხილულია ინტელექტუალური სისტემების გამოყენებით სასწავლო ობიექტების გენერირების და მათი პერსონალიზებულ ელექტრონულ სწავლებაში იმპლემენტაციის საკითხები.

სტატიაში ასევე განხილულია აღნიშნული სისტემების დანერგვის უპირატესობების შესახებ სწავლების პერსონალიზაციაში, როგორცაა დროისა და რესურსების ოპტიმიზაცია, მოსწავლეების მოტივაციის ზრდა და განათლების ინკლუზიურობა. ყურადღება გამახვილებულია ტექნოლოგიური გამოწვევებზე, მათ შორის მონაცემთა უსაფრთხოებაზე, სისტემის სიზუსტესა და ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე.

საკვანძო სიტყვები: სწავლების პერსონალიზაცია, ინტელექტუალური სისტემები, სასწავლო ობიექტები

1. შესავალი

თანამედროვე განათლების სისტემაში თანდათან ხდება ელექტრონული სწავლების დანერგვა, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ცოდნა ნებისმიერი ადგილზე და ნებისმიერ დროს.

ამ პროცესს თან ახლავს მრავალი გამოწვევა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სწავლების პერსონალიზაცია (ინდივიდუალიზაცია).

პერსონალიზებული სწავლება გულისხმობს სწავლების მეთოდებისა და ობიექტების ადაპტირებას თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, პრეფერენციებზე, სწავლის სტილზე, ტემპზე და სტუდენტზე მორგებულ სწავლის გზებზე [1,2].

პერსონალიზებული სწავლება უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და მოტივაციის ზრდას, რადგან ისინი სწავლობენ ოპტიმალურ ტემპში და მეთოდებით საინტერესო და საჭირო საკითხებს.

პერსონალიზებული სწავლების დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს, მათ შორის ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას და კვალიფიციურ პედაგოგებს.

სწავლების პროცესში გამოიყენება დიდი რაოდენობით მონაცემები, რაც მოითხოვს მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

პერსონალიზებული სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო ობიექტებს, რომლებიც წარმოადგენენ სასწავლო მასალის მცირე, დამოუკიდებელ ერთეულებს, როგორცაა:

- **გრავიკული ობიექტები** - ილუსტრაციები, დიაგრამები, ინფოგრაფიკა და სხვა ვიზუალური მასალები.

- **აუდიო ობიექტები** - ლექციები, მუსიკა, ხმოვანი წიგნები და სხვა აუდიო ფაილები.

- **ვიდეო ობიექტები** - ვიდეო ლექციები, დემონსტრაციები, ანიმაციები და სხვა ვიდეო მასალები.

- **სიმულაციები** - ინტერაქტიული მოდელები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოსცადონ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.

- **კვლევითი აქტივობები** - დავალებები, პროექტები, რომლებიც მოითხოვენ სტუდენტებისგან აქტიურ მონაწილეობას სწავლის პროცესში და სხვა ნებისმიერი ფორმატი, რომელიც ხელს უწყობს სწავლის პროცესს.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა სასწავლო ობიექტების შექმნის პროცესი გახდეს ავტომატიზებული, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლების ეფექტურობას და პერსონალიზაციის დონეს.

დღეისათვის პერსონალური სწავლების სასწავლო ობიექტების გენერირებისთვის გამოიყენება ინტელექტუალური სისტემები, რომლებიც დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ალგორითმებზე, რაც წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეს განათლების სფეროში [3]. ისინი განკუთვნილია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს პერსონალიზებულ სწავლებას, გაამარტივოს სასწავლო პროცესები და გააუმჯობესოს განათლების ეფექტურობა.

2. ძირითადი ნაწილი

პერსონალიზებულ სწავლებაში ინტელექტუალური სისტემების დანერგვა საშუალებას იძლევა განხორციელდეს **მონაცემთა ანალიზი** - სისტემა სწავლობს სტუდენტის პროფილს, რომელიც მოიცავს მის ცოდნის დონეს, ინტერესებს და სასწავლო მიზნებს. ახდენს **ობიექტების გენერირებას** - რომლებიც ადაპტირებულია სტუდენტის პრეფერენციებზე. სისტემის **უკუკავშირს** შეუძლია მოსწავლის პროგრესის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

პერსონალიზებულ სწავლებაში ინტელექტუალური სისტემების დანერგვისას არსებობს მთელი რიგი პრობლემები და გამოწვევები, როგორცაა მაგალითად, მონაცემთა უსაფრთხოება, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალის სიზუსტე და ხარისხი და სხვა.

თავის მხრივ სასწავლო ობიექტების გენერირების ინტელექტუალური სისტემა წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც მოითხოვს კარგად გააზრებულ არქიტექტურას. ამ

არქიტექტურაში განსაზღვრული უნდა იყოს სისტემის სხვადასხვა კომპონენტები და კომპონენტებს შორის ინტერფეისები. სასწავლო ობიექტების გენერირების ინტელექტუალური სისტემის არქიტექტურა უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი სხვადასხვა საჭიროებებზე. ასეთი სისტემების განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სწავლების პერსონალიზების ხარისხის ამაღლების მიმართულებით.

წარმოადგენთ სასწავლო ობიექტების გენერირების ინტელექტუალური სისტემის ერთ-ერთი შესაძლო არქიტექტურას, რომელიც შეიძლება შედგებოდეს შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:

მონაცემთა ბაზა - სტუდენტების მონაცემები (პროფილი, სწავლის შედეგები, პრეფერენციები); **სასწავლო ობიექტების მეტა მონაცემები** (შინაარსი, სირთულე, ტიპი, კავშირები სხვა ობიექტებთან); **სასწავლო პროგრამის მონაცემები** (სწავლის მიზნები, თემები, კურსის სტრუქტურა).

მოდელების რეპოზიტორი - მანქანური სწავლების მოდელები (სარეკომენდაციო მოდელები კოლაბორაციული ფილტრაცია, შინაარსზე დაფუძნებული რეკომენდაცია); ტექსტის გენერირების მოდელები (RNN, Transformer); კლასიფიკაციის მოდელები (სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრა, სასწავლო ობიექტების კატეგორიზაცია).

ინტერფეისი - მომხმარებლის ინტერფეისი (პედაგოგისთვის და სტუდენტისთვის განკუთვნილი ინტერფეისი, რომლის მეშვეობითაც ხდება სისტემასთან ურთიერთქმედება); API - სხვა სისტემებთან ინტეგრაციისთვის.

სასწავლო გზის გენერირების მოდული - საწყის მონაცემებზე იღებს სტუდენტის პროფილს, სასწავლო მიზნებს და იყენებს რეკომენდაციის მოდელებს ოპტიმალური სასწავლო გზის შესაქმნელად.

სასწავლო ობიექტების გენერირების მოდული - იღებს საწყის სასწავლო მიზანს და შინაარსის მოთხოვნებს. იყენებს ტექსტის გენერირების მოდელებს ახალი სასწავლო ობიექტის შესაქმნელად. სტუდენტის დონისა და პრეფერენციების შესაბამისად ადაპტირდება შექმნილი სასწავლო ობიექტი.

3. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო ობიექტების გენერირების ინტელექტუალური სისტემის შემუშავება წარმოადგენს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებას. მათი საშუალებით შესაძლებელი გახდება შეიქმნას უფრო პერსონალიზებული, ეფექტური და მოსახერხებელი სწავლის გარემო. თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაიჭრას მრავალი გამოწვევა, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა ხარისხთან, მოდელების სირთულესთან, ინტერფეისის დიზაინთან და ეთიკურ ასპექტებთან.

ლიტერატურა

1. თანდილაშვილი გ., კაპანაძე დ., ჟვანია თ., (2023 წ). ელექტრონული სწავლების პერსონალიზაციის კლასიფიკაციის ასპექტები. სტუ, საერთაშორისო კონფერენცია “თანამედროვე გამოწვევები და მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. გვ. 199-207
2. TandilaSvili G., Kapanadze D., Zhvania T., Kiknadze M. (2024). Analysis and Classification of Factors Contributing to Personalization in E-learning. Association For Science “Georgian Scientists”, Georgia, Vol. 6 No. 1
<https://doi.org/10.52340/gs.2024.06.01>
3. Mohana and Aradhya, R.H.V. (2019). “Object Detection and Tracking using Deep Learning and Artificial Intelligence for Video Surveillance Applications”. (IJACSA) International Journal of Advanced Computer Science and Applications, Vol. 10, No. 12, 2019 pp 517-530

Development of an Intelligent System for Generating Learning Objects in Personalized E-Learning

Kapanadze David, Papiashvili Rusudan, Tandilashvili George

Abstract. E-learning is rapidly developing in the modern education system, creating the need to incorporate new methods and technologies into the learning process. Personalized learning takes into account students' individual needs, interests, and preferences, which significantly increases the effectiveness of the learning process. The article discusses the generation of learning objects using intelligent systems and their implementation in personalized e-learning.

In the article, there are discussed the advantages of implementing the systems in the learning personalization, such as optimization of time and resources, increased student motivation, and educational inclusivity. The attention is focused on technological challenges, including data security, system accuracy, and infrastructural needs.

Key words: Learning Personalization, Intelligent Systems, Learning Objects